

მამული ენა სარწმუნოება

4

---

---

# ქართლის ცხოვრება

ვახუშტი ბატონიშვილი  
საქართველოს სამეფოს აღწერა



ნაწილი პირველი



საეკლესიო გამომცემლობა  
„ახალი ივერონი“  
თბილისი  
2012

# ექვნიება სოფლის მასწავლებელს

ტექსტები ძველი ქართულიდან  
ახალ ქართულზე გადმოიტანეს  
და კომენტარები დაურთეს:

ენრიკო გაბიძაშვილმა  
ნესტან ჩხიკვაძემ

რედაქტორი:

ნათია ჯალაბაძე

მხატვარი:

სპარტაკ ცინცაძე

გარეკანის გაფორმება:

გიორგი წერეთელი

ტექნიკური რედაქტორები:

ირაკლი ხუციშვილი  
ნინო ბურდული

© გამომცემლობა „ახალი ივერონი“

ISBN 978-99940-900-3-7

ISSN 2233-3428



## საქართველოს სამეფოს აღწერა

### [1] მკითხველთათვის სიტყვა [განმარტება] თუ რისთვისაა ეს შრომა<sup>1</sup>



მბობს ბრძენი პლინი სტოიკი: „მოისპობა ყოველი საათი, რომელსაც სწავლისთვის არ მოვიხმართ“. ჭეშმარიტია ეს სიტყვა, ვინაიდან დრო გარბის. არავის ძალუძს მისი მობრუნება და მოისპობა ჩვენგან, თუ არ მივიღებთ მის ნაყოფს იმავე დროში. და არათუ საათის, წამისა და წუთის, არამედ თვისა და წლის ხელის შევლებაც აღარ შეგვიძლია. ხოლო საათიც დროა, ასევე დროდ მიიჩნევა დღე, თვე, წელიწადი და საუკუნეც. მაგრამ, რომც მობრუნდნენ ესენი, არ იქნებიან იგივენი, რომელნიც წავიდნენ ჩვენგან და არ შეგვიძლია უწინდებურად ყოფნა მათში, როგორადაც გვენდომება. და რადგანაც ეს ჭეშმარიტებაა, ამიტომაც არ შეიძლება, რომ უქმი გავხადოთ დრო და დავრჩეთ მისგან უსარგებლოდ.

მაგრამ რა მოგვცემს მის ნაყოფს. თუ შევიკრებთ დიდძალ განძს, წავა და არ გაჩერდება ერთი საუკუნეც კი. თუ მოვიხვეჭთ სახელსა და დავიპყრობთ ქვეყნებს (როგორც მაკედონელმა და სხვებმა), არც ეს გაჩერდება და მოისპობა იმავე ზემოთქმულ დროში. თუ ავაშენებთ სახლებს, შევუდგებთ მინათმოქმედებას, გავამშვენიერებთ ვარდნარ-

ითა და ხეხილის ბალებით, აღმა ამოდინებული წყლითა [შადრევენებით] და წყაროებით, ისინიც მოისპობა იმავე ხანებში. თუ დავისვენებთ და გავერთობით განცხრომითა და ნადირობით, წვეულებით, მგოსნებითა და გუნდით, გალობით მამაკაცები ქალებთან ერთად და ქალები – მამაკაცებთან, მოისპობა ესეც თვეზე, დღესა და საათზე ადრე.

[2] ხოლო თუ ცოდნისკენ გავიწვევთ, და ეს არის ნაყოფი კეთილი, ესეც წავა, მაგრამ არა როგორც ზემოთქმული, რადგანაც სწავლა აბრძენებს, ათავისუფლებს, შეამეცნებინებს ღმერთსა და დანერგავს მის შიშს, ზღვაზე გააცურებს და აჩვენებს მის სიღრმეში ყოველივეს, ააფრენს და წინ გადაუშლის ცისა და მიწის ყოველ ქმნილებას, ერთად შეკრებილს თვალსანიერში, აჩვენებს ვარსკვლავთა, ცხოველთა და ყოველგვარი ნერგის თვისებასა და ბუნებრივ ძალას [ხასიათს], განდევნის ბოროტს, შეაყვარებს მოყვასს, აზიარებს სიკეთეს; შეჰმატებს, ააშენებს და დაამშვენებს ქვეყანას; სულგრძელს გახდის მეფეებს, პატივს მიაგებს დიდებულებს და ხალხზე მზრუნველად აქცევს, მტერს დაამდაბლებს და მხდალად გადააქცევს, თავისიანს აამაღლებს და გაათამამებს.

და რისგანაა ამდენი სიკეთე: მხოლოდ მეხსიერებისგან თუ არის იგი. მაგრამ ეს მეხსიერებაც მოისპობა სამ ან ოთხ და, უფრო კი, მეხუთე თაობამდე. სწორედ ამიტომ ვამჯობინებთ ნაწერს, რომელიც გვასწავლის ადრეთქმულ სიბრძნეს და გაგვახსენებს დასაბამიერ წამებს, საათებს, თვეებსა და წლებს და საუკუნეებს უფრო მეტად. და არ მოისპობა, არამედ იარსებებს საუკუნოდ, როგორც მივიჩნევთ (რადგანაც სულით წმინდით აღწერა მოსე ღვთისმხილველმა შესაქმე<sup>2</sup> ხუთი ხსოვნის შემდგომ, რადგანაც შეუძლებელი იყო შემდგომ გახსენება. და გვეუწყება სრულიად დასაბამიერი). რომ არა ამით, მოისპობოდა ყოველი საქმე, როგორც მოისპო მრავალი უძლიერესი. ხოლო ეს ნაწერები მოგვცემენ დროის ნაყოფს და არა მხოლოდ დროისას, არამედ სრულ მეხსიერებას, რომელიც ალაფრენს გონებას ღვთის მიმართ და მოგვანიჭებს ყოველი ადრეთქმულის შეცნობას, უნარსა და გამოცდილებას, როგორც ამბობს იგივე პლინი სტოიკი: „არ არსებობს არც ერთი წიგნი, რომლისგანაც არ მივიღებთ სარგებლობას“. და ასევეა საღვთო წერილი და წმინდათა ნაწერები, რომელნიც მოგვფენენ ზეციურ მადლს და მოგვანიჭებენ ქვეყნის სიკეთეს და შემდგომ აგვიტაცებენ ჩვენი ღვთის, ქრისტეს, წინაშე.

[3] და კვლავ ფილოსოფოსთა მიერ შექმნილი წიგნები აგვაგვსებენ სიბრძნით, უნართა და მეტყველებით, გაგვაცნობენ თავსა და გვასწავლიან, თუ როგორ უნდა ცხოვრება და ღვთისაკენ მღვთოღვლებად გვაქცევინ. და ასევე მათიანე გვამცნობს მეფეების, მთავრებისა და დიდებულების საქმეებსა და ქცევას ყოველ წვრილმანამდე, მათ თვისებას; გაგვაშორებს ბოროტსა და შეგვაერთებს სიკეთესთან. მხოლოდ მოხუც დედაბერთა ზღაპრების წიგნი თუ არაა გასახსენებელი, მაგრამ ისიც კი გვიშველის ზოგჯერ და გონიერი მისგან მოიძკის ნაყოფს (როგორც ამბობს დამასკელი იოანე მეოთხე წიგნში, მე-18 თავში, ამის შესახებ: „საჭიროა, ვიკითხოთ წიგნები, რადგანაც ამის მეშვეობით მოვიძკით სულის ნაყოფს და თუ ვერ გავიგებთ, კვლავ საჭიროა კითხვა და არა თვალის არიდება, რადგანაც მათი დახმარებით ვისწავლით. და არა მხოლოდ საღვთო, არამედ საეროც არაა გადასადგები, რათა მათგან უკეთესი შევითვისოთ, ხოლო უვარგისი ძაღლებს მივუგდოთ“).

თუმც კი ამდენი სიკეთე აქვს წერილს, ზოგიერთთა მიერ მაინც უარყოფილი და დასაგმობი ხდება. მაგრამ არ არის საჭირო ასეთთა აღრიცხვა. მცოდნეთა მიერაც იქნება მივიწყებული მოუცლელობის მიზეზით; და არათუ მოუცლელობით, არამედ ნაწერთა არსიყვარულის გამოც. და ძნელად თუ მოიძებნება სიყვარული ათასში ერთიც (რისთვისაც შემკითხველს მიუგებდა სოკრატე ბრძენი, როდესაც ეკითხებოდნენ: „რატომ არ დანერე რამე სიბრძნე?“ უპასუხა სოკრატემ: „იმის გამო, რომ ვხედავ, ქალაღი უფრო ძვირია, ვიდრე ნაწერი“). და თუ ახლაც ფურცელი უფრო ძვირია, რაღა საჭიროა შრომა და წერა, რადგანაც ჩანს ამის გამო, წიგნი პატივაყრილია. ხოლო ჩვენ გავიგოთ დამასკელის ნათქვამი და პლინი სტოიკის სიტყვა, რომ არაა გადასაყრელი არც საერო წიგნები. და როგორი შეუფერებლისაგანაც მივიღებთ სარგებლობას, რამდენად უკეთესია, რაც ვთქვით, მათი კითხვა და რამდენად სასარგებლო და მისაღებია მათიანეთა წიგნები (რის შესახებაც ამბობს ბრძენი ციცერონი: „თუკი მივიღებთ მხოლოდ ყოველგვარ ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, ფიზიკასა და რიტორიკას და არა მცენარეთა და ცხოველთა ბუნების მათიანეს, ვერაფერს შევიგრძნობთ“). [4] რადგანაც მათიანე გაგვაგებინებს დასაბამის საათს, წელსა და საუკუნეს; მათიანე გაარჩევს სიკეთესა და ბოროტებას; მათიანე აამაღლებს სიკეთის ქმნილებას და გმობს უკეთურთა ნამოქმედარს; მათიანე მეტყველებს ჭეშმარიტებას და არ ცდება და მოწმობს სხვასა და სხვას. მათიანე

გააძლიერებს კაცს და ქვეყნის ერთგულს გახდის; მატთანე გააგებინებს ნათესაობა-წარმომავლობას და თავს განირავს სარწმუნოებისთვის და მოყვასს მოყვასის მოყვარულად აქცევს.

და ეს მატთანეც იყოფა ოთხ ნაწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთმეტყველებად [გენეალოგიად], ქრონოლოგიად [წელთაღრიცხვად] და მოქმედების აღწერად; და ესეც იყოფა ორად – საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არის წმინდა ცხოვრება და საქმე, ხოლო სამოქალაქო – საქვეყნო საქმეები დიდთა და მცირეთა. და რადგანაც მასში ამდენი სიკეთე მოიპოვება, უცოდინართა მიერ გადასაგდები კი არ არის, არამედ სურვილითაა მისაღები.

ხოლო ჩვენი – ქართველთა მატთანე აერთიანებს სამ ნაწილს: ქრონოლოგიასა და გენეალოგიას – მცირედ, ხოლო მოქმედების აღწერას განავრცობს, ოღონდ აქაც ეკლესიის ისტორიას შეამცირებს და სამოქალაქოს მოგვითხრობს ხოტბით, ადგილ-ადგილ ვრცლად და ზოგან – შემოკლებით, ნოედან ვიდრე ბრწყინვალე მეფე გიორგიმდე. ჩვენი ნაშრომი კი ამისთვისაა: რადგანაც ის ორი ნაწილი არაა წარმოჩენილი, ცხადი გავხადოთ და მესამე გავრცობილი შევამოკლოთ, რათა მკითხველთათვის არ იყოს მოსაწყენი და ადვილად გასაგები იყოს.

ხოლო შემოქმედს ვევედრებით, თუ ვინმე ისურვებს წაკითხვას, არ შეუდგეს მრისხანებითა და შურით, რადგანაც მრისხანება [5] განდევნის სასჯელს და შური მიატოვებს სიკეთეს. არამედ სინრფელით აიმაღლოს გონების თვალი, როგორც ორბმა, რომელიც ზეცაში აიჭრება, რათა იხილოს მთელი დედამიწის მშვენიერება, და ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც მთელ ქვეყანას გუგებში შემოიკრებს. და ამის მქმნელი და ურწმუნო განახლდება და გაახალგაზრდავდება კიდევ. ასევე გულწრფელად მკითხველი გაიგებს ჩვენს შრომას, არ დაგმობს მას და მიიღებს სურვილის საფასურს.

სწორედ ამგვართ ვამცნობთ შემოქმედნი, რომ გონიერად მოისმინონ ჩვენი ნათქვამი, რადგანაც გამოვსახეთ ქარტა, ანუ რუკა საქართველოსი, ანუ ივერიისა, რომელსაც ხაზავდნენ მცირედ და შეუსაბამოდ. ჩვენ კი სრულად დავდეთ. მაგრამ ამისთვის იყო საჭირო, რომ გეოგრაფიის აღწერაც (რომელიც არის მიწის მხაზველობა) დადებულყო. სწორედ ეს გავაკეთეთ. მისთვისაც საჭირო იყო მოკლე მატთანე, რათა მკითხველებმა გაიგონ საქმე, მეფეები და მთავრები, მასში არსებული სიკეთე და ბოროტება. მატთანე კი არ უნდა მივივინყოთ, არამედ

უმჯობესია გავავრცოთ იგი. სწორედ ამის გამართლებისათვის და [არსებულის] სიმოკლის გამო აღვწერეთ მის შესავსებად.

თუმცა საჭიროა თხრობა, რადგანაც ჩვენი ცხოვრების წლები დროდადრო აღრიცხული. ნოედან მირიანამდე რაც მოიპოვება [წელთაღრიცხვა], უმეტესად მონშობს რომაულს, ხოლო მირიანიდან ბაგრატიონებამდე – ბერძნულს და თამარ მეფემდე არის ხუთასიანი, რასაც ვუნოდებთ ქართულს. და ჩვენც ასევე ჩვენ დამონშებულ [უტყუარ] ცხოვრებებს დავეყრდენით. ხოლო თამარიდან გიორგი ბრწყინვალემდე [ქრონოლოგია] კვლავ უცნობია. და ვინაიდან ადრინდელი და მოგვიანო წელთაღრიცხვა მცირე და უცნობია, ჩვენც, რაც მოვიპოვეთ ამ დაუსაბუთებელი [პერიოდებისათვის], იმას წარმოვაჩინთ.

ნოედან ნებროთის გამეფებამდე, ცხადია, დაბადებიდან, ხოლო ნებროთმა რამდენი წელი იმეფა და მოკვდა, [6] მოიძებნება სხვა მატრიანეებში, რომლებიც ჩვენს ისტორიას მონშობენ. ხოლო მისი შემდგომი კერპთაყვანისმცემლობა და მოსეს მიერ ზღვის გამოვლა – დაბადებიდანვე ირკვევა; და სხვა [საბუთები] მოვიპოვეთ სპარსთა მეფეების, ნაბუქოდონოსორისა და ალექსანდრე მაკედონელის [ისტორიების] მეშვეობით.

ხოლო, რადგანაც ალექსანდრეს ქართლში მოსვლა აქ მოვიძიეთ, ამით გავგიადვილდება პირველი მეფის, ფარნაოზის, გამეფების [დადგენა]: რამდენი წლისა იყო ალექსანდრეს მოსვლის დროს, რამდენის გამეფდა და რამდენი იმეფა, იქვე წერია. და მისი შემდგომი მეფეები [აღვადგინეთ] ასურელთა მეფეების მატრიანის დამონშებით, რადგანაც მოიხსენიებს მათ იმავე სახელებით, ადერკის მეფობამდე.

ადერკი გამეფდა ქრისტეს შობის პირველ წელს და მისი მეფობაც ცხადია. მისი შემდგომი მეფეები მირიანამდე მოვიძიეთ კეისრების, სპარსი და სომეხი მეფეების [ისტორიების] დამონშებით. ხოლო მირიანის ქრისტეს მიერ მოქცევის პირველი და მოქცევის შემდგომი წლები, რადგანაც დაწერილია, რომ მისი მოქცევის დღე იყო 20 ივნისი, შაბათი დღე, როგორც მოვიძიეთ, შეესაბამება [შემდეგი წელთაღრიცხვა]: ერთი – ქრისტეშობიდან 306, ქართული [ქორონიკონი] 58, მეორე – ქრისტეშობიდან 317, ქართული 69 და მესამე – [ქრისტეშობიდან] 324, ქართული 76 [წლები]. მაგრამ პირველი [თარიღი] არ არის მოქცევის დღე, რადგანაც კოსტანტინე დიდი ჯერ კიდევ არ იყო მოქცეული ქრისტესკენ და არც რომი ჰქონდა დაპყრობილი და არც საყოველთაო მეფობა, რადგანაც წე-

რია: „მირიანი მოეთათბირა თავის ოთხ წარჩინებულს კერპთმსახურების შესახებ: თუკი არ მიატოვებს ნანა დედოფალი რომაელთა რჯულს, მასაც ვანამებ.“ მაგრამ კოსტანტინე, ქრისტეს სჯულზე მოქცეული რომ ყოფილიყო, არ ახსენებდა რომაელთა რწმენას, რადგანაც რომაელთა რჯულიც კერპი იყო, ხოლო ნინო ქრისტეს ქადაგებდა. არც მესამე თარიღია [სწორი], რადგანაც ერთი წლის შემდგომ იყო ნიკეის პირველი კრება. ხოლო მირიანის მოქცევა ნიკეის კრებაზე ადრე მოხდა, როგორც თვალნათლივ ვნახავთ ცხოვრებაში. ხოლო მეორე [თარიღი] ჭეშმარიტია იმის გამო, რომ კოსტანტინეს ხუთი წლით ადრე დაეპყრო რომი და საყოველთაო მეფობა და გაქრისტიანებულიყო კიდეც, ვინაიდან მირიანმა რომის მეფობის დროსვე გაუგზავნა [7] ეპისკოპოსისა და მღვდლის მთხოვნელი. ჯერ არ დანყებულებიო ბიზანტიის<sup>3</sup> შენება, როგორც ვნახავთ ჩვენს ნაწერებში, და იმ დროს ცოცხალი იყო სილიბისტროც, რომელმაც მოავლინა თავისი დიაკვანი.

ხოლო ნინოს სიკვდილის ქრონოლოგია არ ეთანხმება ერთმანეთს (როგორც თამარ მეფისა, რასაც წარმოვაჩინთ თავის ადგილას), რადგანაც, თუ ქრისტეს შემდგომი წელთაღრიცხვა ჯვარცმოდან იყო 338, საჭირო იყო დასაბამინდელი ყოფილიყო 5804. და თუკი დასაბამიდან იყო 5838, ქრისტეს ჯვარცმოდან უნდა ყოფილიყო 330. მაგრამ ამ დროს კოსტანტინე ცოცხალი აღარ იყო. ეს მწერალთა შეცდომაა. ხოლო ჩვენ, რადგანაც იმ აღმოჩენით დავადგინეთ მირიანის მოქცევის დღე, ამის საფუძველზე აღვრიცხეთ მცხეთაში მოსვლა ნინოსი, რომელმაც დაჰყო 14 წელი. ამათგან სამი წელი მოქცევამდე იყო მცხეთაში, დარჩება 11 წელი. ეს შეეუფარდეთ მირიანის მოქცევის წელს, რომელიც ჩვენ მიერ დადგენილი ქრონოლოგიაა. იქ დაწერილთან შედარებით აკლდება დასაბამიდან 2, ხოლო ქრისტეს შემდგომ 10 წელი. მირიანის მეფობის სხვა წლები ასევე აღვრიცხეთ და აღწერეთ.

ხოლო ბაქარიდან ვარაზ-ბაქარამდე<sup>4</sup> ასევე კეისართა და სომეხ მეფეთა [ისტორიების] დამონშებით შევადგინეთ. ვარაზ-ბაქარი თეოდოსი მცირეს დროს კი არა, არამედ თეოდოსი დიდის დროს იყო; და მისი ძე მურვანოსი – თეოდოსი მცირეს დროს. ეს დადგინდება ასე: მურვანოსი ბავშვი წაიყვანეს და იქ [8] აღიზარდა მოღვაწეობით, შემდგომ განდგა და მონაზვნად აღიკვეცა.

და თუ მირიანიდან მეორე ფარსმანამდე წლები ასე არ განაწილდა, დაწერილი ისტორია არ დადგინდება და არც ვახტანგი იქნება ლეონ

კეისრის დროს. ასე არ იქნება სწორი, ხოლო ეს გამოთვლა გაასწორებს და თანამიმდევრულს გახდის წელთა აღრიცხვას დამოწმებით. ასევე ვახტანგამდე იქ ჩამოწერილი მეფეების შესახებ ნათქვამი – მირიანიდან ვახტანგამდე გავიდა 157 წელი – უნდა გულისხმობდეს არა ვახტანგამდე, არამედ ვახტანგის გარდაცვალებამდე [პერიოდს] და ასეც შევასწორობთ. თუ ეს არ გულისხმობს გარდაცვალებამდე პერიოდს, ყოველი სხვაც არასწორი იქნება და არც მეორე ფარსმანამდე 200 წელი არ იქნება ზუსტი. რადგანაც ვახტანგის შემდგომ მეფეთა მეფობის წლები დანერილია, ჩვენი გამოთვლით, 200 წელი რომ დაზუსტდეს, მირიანიდან ვახტანგის გარდაცვალებამდე უნდა იყოს 157 წელი. ასეა სწორი სხვა მემატრიანეთა დამოწმებით და იქ აღნიშნული თარიღებით. მეფეთა წლებიც ვახტანგამდე გავასწორეთ ამის საფუძველზე კეისართა და სპარსთა მეფეების ისტორიებთან შეჯერებით.

ზოგი მატრიანე აღნუსხავს ლეონ კეისრის 40-წლიან მეფობას. ჩვენიც მათ ადასტურებს, რისთვისაც ჩვენც შევაჯერეთ ვახტანგისა და ლეონის მეფობა. ხოლო ზოგიერთნი ამტკიცებენ ლეონის 17-წლიან მეფობას. და არც ესაა მცდარი, რადგანაც ეს იყო არა ლეონ დიდი, არამედ მეორე ლეონი. ასევე აღწერა ეს ჩვენმა ცხოვრებამაც და იგივე ზენონიც: სპარსთა მეფესთან ბრძოლის გამო სიყვარულით ზენონად წარმოაჩინა, ხოლო სხვა ქართლის ცხოვრებაში უსახელო კეისარი წერია. ეს იქნება ანასტასი კეისარი, როგორც გაცნობებთ. ხოლო ვახტანგის შემდგომი მეფეები რამდენ წელს მეფობდნენ, ნათელია მხოლოდ მეორე ფარსმანამდე. ჩვენი გამოანგარიშებით, ჭეშმარიტად 200 წელია გასული მირიანიდან ფარსმანამდე.

[9] ასევე ბაკურ მეფიდან გურამ კურაპალატამდე [პერიოდი] ნათელია მავრიკი კეისრის, სპარსთა მეფე ურმუზისა<sup>5</sup>, და მისი ძის, ხოსროს<sup>6</sup>, მიხედვით. ხოლო დავით წინასწარმეტყველის შთამომავალ გურამის დაბადება, ცხოვრება და გამეფება აღვწერეთ თავის ადგილას, აქედან ხდება ნათელი; ხოლო სტეფანოზის, გურამ კურაპალატის ძის – ირაკლი კეისრის მემკვიდრით და ასევე ადარნასე ხოსროვანისაც. მაგრამ რადგანაც ადარნასესა და ირაკლი კეისრის დროს გამოჩნდა მაჰმადი, სარკინოზთა მოძღვარი, ჩვენ ვიპოვეთ მაჰმადის წელთაღრიცხვა – რამდენია ქრისტეს შემდგომ. ამის წყალობით აღვრიცხეთ წლები მონამე მეფე არჩილისა და მისი ძეების, იოვანესა და ჯუანშერის, სიკვდილამდე, აშოტ კურაპალატის ძე ბაგრატამდე, რომლის გამეფების

შესახებ დაწერილია, რომ მაჰმადის გამოჩენიდან ბაგრატის გამეფებამდე გასული იყო 219 წელი; ამის საფუძველზევე შევასწორეთ ადარნასედან ბაგრატამდე გასული წლები – 219.

ხოლო აშოტ კურაპალატიდან თამარის მეფობამდე ყველას შესახებ დაწერილია ქართული წელთაღრიცხვა და ამით გამოვთვალეთ ქრისტეს შემდგომი წლებიც. დავით აღმაშენებლის შესახებ წერია, რომ 16 წლის გამეფდა და 36 წელი იმეფა, რაც უდრის 52 წელს. იქვე წერია, რომ 16 წლის გამეფდა და 57-ის მოკვდა. ამ რიცხვით მისი მეფობის წელი იქნება 41 და ჩვენც ასევე აღვწერთ, რადგანაც სხვა მეფეთა წელთაღრიცხვაც ამასვე მოწმობს. სიკვდილის დღე – შაბათი, იანვრის 24 ამ წელთაღრიცხვით იქნება, რომელიც დავადგინეთ.

[10] ასევე თამარ მეფის წელთაღრიცხვაც არაა დადგენილი, რადგანაც წერია, რომ დასაბამიდან იყო 6686, ქრისტეშობიდან 1156 წელი. მაგრამ თუ დასაბამიდან ეს იყო, ქრისტეშობიდან უნდა ყოფილიყო 1178, ხოლო თუ ქრისტესი შეადგენდა 1156, დასაბამიდან უნდა შეედგინა 6664. ასე არ ზუსტდება. ხოლო ჩვენ მოვიძიეთ ალექსი ანგაარისა და ფრანგების მიერ კოსტანტინეპოლის აღების წელთაღრიცხვა. ამით მისი წინარე და შემდგომი იქვე დაწერილი თარიღებით გამოვთვალეთ, რომლებშიც აღნიშნულია ლაშას 18-წლიანი და თამარის 24-წლიანი მეფობის აღმავლობა; მისი სიკვდილის წელთაღრიცხვაზე რაც მოვიპოვეთ, დავადგინეთ. ხოლო თამარის ძე ლაშა მოკვდა 18 იანვარს, ოთხშაბათ დღეს. გავარკვიეთ, რომელი [თარიღი შეესაბამება]: პირველი – ქრისტეს შემდგომ 1211, ქართული 431; მეორე – ქრისტესი 1216, ქართული 436. რადგანაც ჩინგიზ ყაენმა დაიპყრო სრულიად დიდი თათარი ქრისტეს შობიდან 1202 წელს და ამ დროს გამოგზავნა ლაშქარი სამტროდ და დავით მცირე [ულუ] ბავშვი დარჩა ლაშას, რუსუდანის მეფობის წლები იმავე დაწერილით აღვრიცხეთ. ამიტომ პირველი თარიღი გაცილებით სარწმუნოა და არც საჭიროს ხდის შემდგომ მეფეთა წლების გამოთვლას. ჩვენც იგივე დავწერეთ, უკვე დაწერილის გასამართლებლად. ასევეა ლაშადან დიმიტრი თავდადებულამდე [ქრონოლოგია] წელთაღრიცხვითა და მეფე-კეისრების შესახებ არსებული ნაწერების მიხედვით შევადგინეთ. დიმიტრი თავდადებულის წლები არაა აღნიშნული, მაგრამ ცნობილია თვის რიცხვი და დღე – მარხვის მესამე შაბათი. ამით ვიპოვეთ წელიც, რომელიც ყოფილა ქრისტეს შემდგომ 1289, ქართულით – 509; ხოლო მეორე – ქრისტეს შემდგომ, 1300, ქართულით – 520. ამათ გარდა სხვა არ არის.

ჩვენ მოვიძიეთ გიორგი ბრწყინვალისა და მისი შვილიშვილის, ბაგრა-ტის, წლები ძველ წელთაღრიცხვებში და ამით [11] იმედიანად ვიყავით ლანგ-თემურისა და ხონთქრების [მატიანეებისგანაც]; დავათარილეთ ვახტანგისა და დავითის, ვახტანგისა და გიორგის, დავითის ძის, მეფობაც. ამ მიზნით პირველი მივიჩინეთ ჭეშმარიტად და დავადგინეთ, ხოლო ეს მეორე ძალზე საჭიროს ხდის ამ მეფეთა წლების დადგენას, სწორად ვერ ათარილებს. ასევე ვახტანგის, დავითის ძის, დავით მეფისა და მისი ძე ვახტანგის მეფობის წლები აღვრიცხეთ და ასე წარმოვაჩინეთ. მაგრამ ვახტანგის აღსასრული, თუმცა არაა ცნობილი, გასაგები ხდება იმით, რაც აღვცინერია.

ხოლო გიორგისა და გიორგი ბრწყინვალის შესახებ, რომელნიც წარმოვაჩინეთ, გონიერი შეიტყობს იქ ზემო – ქვემოთ დაწერილის მიხედვით, რომ ასეა, რადგანაც წერია: „დატოვა დავით მეფემ თვისი ძე გიორგი 2 წლის გამეფებული“; გიორგი მცირე, რომელსაც მოიხსენიებს, თუმცა პირველ მეფობაში მცირე იყო, მაგრამ არა მეფობის ხანგრძლივობით. ამიტომ გიორგი დავითის ძე სხვაა და დიმიტრის ძე – სხვა. წლების რაოდენობა აღრიცხება ულჯათ ყაენის მეშვეობით. ულჯათ ყაენი 13 წელი იყო ყაენი და ამ წლების აღრიცხვითაა ასე ორი გიორგი. მაგრამ შემდგომ გიორგი ბრწყინვალეს ჯეროვნად მოვიხსენიებთ მის ადგილზე.

ამ წიგნის ერთგულად ნამკითხველი მიხვდება, რომ არც მოსაწონებლად და არც პირფერობით არ დავწერეთ, არამედ ეს იყო ჩვენი შესაძლებლობა და ამას ჩავწვდით. ხოლო თუ იცით ვინმესი უკეთესი, ჩვენი ეს ქმნილება არ შეგაფერხებთ, რადგანაც არსებობს მატიანის არა ერთი უცვლელი დედანი, არამედ მრავალი. ჩვენი შრომა არ იყო მცირე, ვიშრომეთ სამი წელი მუდმივი წერით, ძებნით, მატიანეებისა და ცხოვრების ძიებით; [12] რადგანაც არ გამოგვიტოვებია ბერძენთა ქრონოგრაფები;<sup>7</sup> მხოლოდ ერთს არ ვენდობოდით, სხვადასხვას ვამონმბედით. ასევე რომელი კეისრებისგან განყოფის შემდგომი [ქრონოლოგია] ევროპელი მეფეების, ახლანდელი სტამბულის სულთნების, სპარსეთის მეფე-შეიხების წყალობით ვიპოვეთ და შევამონმეთ, რაც ადასტურებს ჩვენს მატიანეებსა და წელთაღრიცხვებს. ამიტომაც დარწმუნებული ვართ, ვინც ნახავს ჩვენ შრომას, კი არ დაგვგმობს, არამედ მაღლიერი იქნება და ლოცვას შეანევს ამის შემოქმედს. და თუ ასე არ მოხდა, ჩვენ გვსურს ასრულდეს იოანე დამასკელის ნათქვამი და პლინი სტოიკის სიტყვა: არ გავატაროთ დრო უქმად, რომ მივიღოთ მისგან მისი შესატყვისი-

სი ნაყოფი. თქვენთვის შეგვიქმნია წინამდებარე შრომა. თუკი ვინმეს მოგეწონებათ, მიიღებთ თუ არა, არ არსებობს სხვა ღონისძიება, თუარა უკეთესის ჩვენება. და ვინც აირჩევს რამეს, ის გააკეთოს ღვთის, მამის, ძისა და სულით წმინდის მადლითა და კაცთმოყვარეობით, ამინ.

დავასრულეთ ეს შრომა, ქრისტეს შემდგომ წელთაღრიცხვის 1745 წელს, ქართულით 533, ოქტომბრის 20-ს მეფის შვილ ვახუშტის მიერ სამეფო ქალაქ მოსკოვში, პრესნაში.

## საქართველოს ზნე-ჩვეულებები

[13] ღმერთმა თავისი წყალობის სიბრძნით, გამოუთქმელითა და მიუწვდომლით, დაბადა კაცი. და როგორი წყალობით! რადგანაც მინისაგან შექმნა ცოცხლად, სულის მქონედ, მეტყველად, უკვდავად და დაამშვენა იგი სიკეთით და გააბრწყინა თავისი მადლით მზის, ვარსკვლავებისა და მნათობების უბრწყინვალესად; და მოურთო მინა ყოველგვარი მშვენიერებით: მრავალი მცენარის აყვავებითა და სურნელთა ფრქვევით, მომდინარე წყარო-მდინარეებით, უფრო მეტად ზღვის სივრცით და მასში მრავალი მშვენიერი კუნძულით, სხვადასხვა სახეობის ცხოველებისა და თევზის სისავსით, ხმელეთზე განცალკევებული პირუტყვების, ნადირისა და მხეცის და მრავალი სახეობის ფრინველის სიმრავლით, სილამაზითა და სტვენით ყურთასმენისთვის; ასევე მნათობ ვარსკვლავთა ბრწყინვალეებით. და არა მხოლოდ ამით უზრუნველყო, არამედ სხვა შეუქმნა მინის ზემოთ, როგორც სამეუფო ტახტი და ყოველ ამ ქმნილებაზე უმშვენიერესი – ეს არის სამოთხე. დაბადა მასში ადამი და ასევე წყალობით მისი გვერდიდან შეუქმნა ევა. და დააბანაკა სამოთხეში უკვდავი, უზრუნველი ნების მქონე და უვნებელი; და დაუმორჩილა მას ცისქვეშეთის ყოველი ქმნილება, როგორც ყოველივე მისთვის შექმნილი. და დაადგინა მათ მეუფედ, რათა დაიცვას მცნება მისი, შემდგომ მიიღოს უკვდავი, უკანასკნელი, კვლავ უდიდესი დიდება ღვთისა. მაგრამ მაცდური, ბოროტი მტრისგან შეცდენის მიზეზით სიურჩის გამო გამოვარდა სამოთხიდან და შემოეძარცვა მადლი და ბრწყინვალეობა. და დარჩა მარტივი კაცი [14] და მადლისა და ბრწყინვალეობის ნაცვლად შეიმოსა ლელვის ფოთლით. ეს არის სისქე, სიმძიმე და სიამოვნება. და შეუჩნდა სურვილი, როგორც კაენმა მოკლა თავისი ძმა აბელი. იმ დროიდან ენოდათ ღვთის შვილები და კაცთა შვილები, რაც ნიშნავს ნატვრისა და სურვილის შვილებსა და სულიერი ღვთის ტრფობის შვილებს. ასე იყო ეს ნოეს წარღვნამდე. ხოლო შემდეგ ნოეს შვილებმა, რომლებიც მიჰყვებოდნენ ნატვრისა და სურვილის შვილთა კვალს, დაამატეს მათი დამბადებელი ღმერთის მიტოვება და შექმნეს ნივთიერი ღმერთები: უსულო, უტყვი და ყრუ კერპები და ამას ეთაყვანებოდა მთელი ქვეყანა, ადამის ნათესავები და ნოეს ტომები. ხოლო ეს ქართველთა ტომები, როგორც გვაცნობებს ჩვენი მატიანე, იყვნენ ყოველგვარ ტომსა და შთამომავალზე უბოროტესნი და უღვთონი.

## ზნის შესახებ

რადგანაც აღვწერეთ ქართველთა ტომობრიობა და წარმომავლობა ნოეს ძის, იეფთაეს მოდგმიდან ქართლოსსა და მის ძმებამდე, მათი და მათ მემკვიდრეთა გაყოფა, ახლა დავიწყით ძველიდან ახლამდე საქართველოს ზნე-ჩვეულებებისა და მათი წესების აღწერა გაყოფამდე და გაყოფის შემდგომ. რადგანაც საქართველოს მმართველობის განანესი დასაბამიდან მოდის, როგორც ვიტყვი: როდესაც მისცა ჰაოსმა თავის ძმებს მათი წილი მიწები, შემდგომ კი ქართლოსის ცოლმა – თავის მემკვიდრეებს, შემდეგ მცხეთოსმა, ასევე ეგროსმა, ბარდოსმა, მოვაკანმა, ჰეროსმა, ლეკოსმა და კავკასოსმა. მათი წარჩინებულები მთავრებად სახელდებოდნენ, რადგანაც ადგილთა გაყოფითა და მათი სახელწოდებებით, რომელნიც მათ მიერ ეწოდათ, ნათელია [მათი დამკვიდრების] ადგილები. და ეწოდებოდათ მათ მთავრები; ხოლო მცხეთაში მყოფი უწარჩინებულეს მთავრად, მამასახლისად და [15] ყველა მათგანის მეურვედ სახელდებოდა. სარწმუნოება მათი იყო ერთი დამბადებელი ღმერთის თაყვანისცემა; და იფიცებდნენ ქართლოსის საფლავს. მათი ზნე იყო სიმტკიცე, მტრის წინააღმდეგ ერთობა, თავისუფლებისათვის მამაცური ბრძოლა, მისთვის მყარად დგომა, ციხე – სიმაგრეებისა და ქალაქების შენება, ქვეყნის გაძლიერება, ერთცოლიანობა. და ირთავდნენ თავიანთ თანასწორს: მთავრები – მთავრებს, აზნაურები – აზნაურებს და მდაბალნი – მდაბალთ. და ამის გამო არ იყო მრავალცოლიანობა, როგორც ვნახავთ ქართლოსისას და სხვებისასაც. მართალია, მრავალი მთავარი ჰყავდათ და თავ-თავისთვის განდგებოდნენ, მაგრამ მუდამ გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ და ემორჩილებოდნენ მცხეთელ მამასახლისს და გაერთიანებულნი თავიანთი ქვეყნისთვის გმირულად იბრძოდნენ. მრავალი წელი ამ კანონს იცავდნენ. მაგრამ შემდეგ დაივიწყეს თავიანთი დამბადებელი ღმერთი და თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებსა და ნივთიერსა და უტყვეს. და შემოერივნენ გარეშე წარმართები: სპარსელები, თურქები, ასურელები და ბერძნები, შემდგომ კი – ებრაელები. და ამდენ ენაზე მეტყველებდნენ. უფრო მეტად დაივიწყეს თავიანთი დამბადებელი, თავიანთი კანონი და ჩვეულება. და გახდნენ ყოველ წარმართზე მეტად წარმართები და ურჯულოები, რადგანაც აღარ იცოდნენ ნათესაობა და შეერივნენ ერთმანეთს შეუღლებით. და კვლავ ამას დაამატეს შემდეგი: როგორც კი ვინმე კაცი მოკვდებოდა, ან ბრძოლაში [დაიღუპებოდა], მეორე ისესხებდა და შეჭამდნენ; ხოლო

თუ არა, თავად შეჭამდნენ, როგორც ნათქვამია: „კარსნელებს დღემდე მართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარი“. ასევე ჭამდნენ ყოველ სულიერ არანმინდა ცხოველს. თუმცა ემორჩილებოდნენ მცხეთელ მამასახლისს და მრავალი წელი მტრის წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ.

[16] შემდგომ კი მოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. მან მოსპო მთლიანად შემოსული წარმართები, ქართლოსიანთა და ებრაელი ტომების გარდა, ასევე მისი ურჩი ქართლოსიანელებიც, როგორც ფარნაოზის მამა, ბიძა და სხვებიც. და განმინდა საქართველო ამგვარი სიავისგან, როგორც ვიგებთ არაბთა მიერ ლტოლვილი დიდოელებისგან, რომლებიც აქამდე ამ წესს იცავენ, გარდა კაცის ჭამისა. ხოლო ალექსანდრემ დაუდგინა საქართველოს რჯულად ერთი დამბადებელი ღმერთის თაყვანისცემა და მზის, მთვარისა და ვარსკვლავების პატივისცემა.

### **კერპების შესახებ**

ალექსანდრეს შემდეგ მისმა ერისთავმა აზონმა მიატოვა ის რჯული და აღმართა კერპები გაცდა გაიმ და ათაყვანა სრულიად საქართველო და ასწავლიდა თავის ზნე-ჩვეულებებს.

ხოლო მოკლულ იქნა აზონი ფარნაოზის მიერ და გამეფდა ფარნაოზი. ამან გაცსა და გაიმს შორის თავის სახელზე არმაზის მთასა და ხევში, ქართლოსის საფლავზე, აღმართა კერპი სპილენძისა, დიდი, ჯავშნით შემოსილი, რომელსაც ჰქონდა ძვირფასი მანათობელი ქვების თვალეები და თავზე ამავე მანათობელი ქვების გვირგვინი. ათაყვანა მას ქართველები და დაუდგინა მისი დღესასწაული, რომელზეც ქვემოთ ვიტყვით. ხოლო შემდგომმა მეფეებმა შეჰმატეს კერპები ზადენი და აფროდიტე და სხვანი. ხოლო ეს არმაზი ყოველ ღმერთზე უდიდესი იყო. მეფის მიერ წესის დადგენის შემდგომ ირწმუნეს ეს ღმერთები და მტკიცედ, [17] სიყვარულით იცავდნენ სარწმუნოებას და არ სცემდნენ თაყვანს სხვა ღმერთებს (რის შესახებაც გვაუწყებენ მაიჟან სპასპეტი და მირიან მეფე, როდესაც შეუთანხმდა დიდებულებს წმინდა ნინოს შეურაცხყოფის თაობაზე).

### **მეფეთა შესახებ**

წესად ჰქონდათ ერთი მეფის მორჩილება და მისთვის ნდობის გამოცხადება, შემდგომ კი მისი შთამომავლებისა და გვარის გამეფება – მამის შემდეგ მისი მემკვიდრისა და არა სხვა გვარისა, და არც არჩევით.

მათ გარდა არავის ემორჩილებოდნენ – არც ვაჟებსა და არც ასულებს, თუ [თავად მეფე] არ დატოვებდა ვაჟს (როგორც მოგვითხრობს მაიჟან სპასპეტი და ჩანს ჩვენს მატრიანეშიც).

### **წესების [კანონების] შესახებ**

ჰქონდათ წესები: კერპთა მღვდლების ხარისხი და იერარქია ცალკე იყო, როგორც სასულიერო [წრისა]; ხოლო საერონი [იყვნენ]: 1. ერისმთავრები, 2. მთავრები, 3. აზნაურები, 4. ვაჭრები, 5. მსახურები, 6. მშრომელები – გლეხები.

ერისთავთა წესი იყო მეფის მიერ სამფლობელოებზე მათი დადგენა და მათზე მეურვეობა. თავიანთი სამფლობელოს სამართალსა და ლაშქარს ისინი განაგებდნენ, ისინივე კრეფდნენ სამეფო გადასახადებს. ერისთავებად დაადგენდნენ მთავრებსა და წარჩინებულებს; ცვლიდნენ მათივე მემკვიდრეები.

მთავართა წესი იყო გვარი და წარმომავლობა, ქართლოსის შთამომავლობა და მისი პატივისცემა. ხოლო თუ მეფის კანონში იყო იგი [ნახსენები], მეტ პატივს მიაგებდნენ. ამრიგად, მთავრისთვის საჭირო იყო, ჰქონოდა წარმომავლობა და გვარი და შესაბამისად ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობა. ამის გარეშე იგი არ იწოდებოდა მთავრად.

ხოლო აზნაურს ჰქონდა გვარი და წარმომავლობა და რაიმე სიმაგრე მთაში ან ბარში და დაბები. მას შეეძლო გამოსვლა [18] სათადარიგო ცხენებით, კარვებითა და მებრძოლთა გუნდით. ამის გარეშე არ იწოდებოდნენ აზნაურად.

ხოლო ვაჭართა წოდება იყო აზნაურის ქვემოთ და ზოგიერთების თანასწორი.

და შემდგომ იყო მეფის მსახურთა წოდება, გლეხების ვაჟებისა და შემდგომ კი, წარჩინებულთა იერარქიის შესაბამისად, მათივე მსახურებისა.

ამათ შემდგომ იყო მუშაკ-გლეხთა წოდება, რადგანაც სისხლის საფასური ისაზღვრებოდა მათივე წოდების შესაბამისად: ზედა საფეხურიდან ქვემოთ – სისხლის საზღაური ნახევრად და ქვემოდან ზემოთ ორმაგად.

## ლაშქრის შესახებ

ხოლო ლაშქრის წესი იყო ასეთი: მეფეებს ქირით ჰყავდათ მცველად იმდენი ლაშქარი, რამდენიც შეეძლოთ. მირიანსა და აღმაშენებელზე როგორცაა ნათქვამი – 10 ათასი მუდმივი მცველი; დავითის [დროს] საგანძური აღარ გაიცემოდა ლაშქრისთვის და პატივს სხვაგვარად მიაგებდნენ. ამას გარდა სხვა ლაშქარი, რომელთაც დროდადრო იხმობდნენ, სხვადასხვა კუთხეებიდან დგებოდა და ერისთავებს ემორჩილებოდა.

## შეიარაღების შესახებ

საომარი აღჭურვილობა ჰქონდათ: ჯავშანი, ხვაფთიანი<sup>8</sup>, პოლოტიკი<sup>9</sup>, საბარკული<sup>10</sup>, მუზარადი, ჩაბალახი<sup>11</sup>, ხმალი, ხანჯალი, ლახტი<sup>12</sup>, ჩუგლუგი<sup>13</sup>, გურზი<sup>14</sup>, ოროლი<sup>15</sup>, შუბი, ხიშტი და მშვილდ-ისარი. მაგრამ მუდმივად ჰქონდათ ორპირი ისარი (ბოძალი) დიდი ნადირისთვის, განიერპირიანი (ქეიბური) მხეცისთვის, ბრტყელპირიანი ისარი (სარჩა) და პირგაყოფილი ისარი (ქიბორჯი) – წვრილი ნადირისთვის, ხოლო ქარქაშის ისრები, რომელიცაა საყალნო<sup>16</sup> – ომსა და ბრძოლაში.

## სამართლის შესახებ

[19] სამართლისა და სასჯელის წესისათვის ჰქონდათ: სისხლი, ხმალი, შანთი, მდულარე და ფიცი.

სისხლს უწოდებდნენ, როდესაც თანასწორი თანასწორს კლავდა. მეფე აკისრებდა სასჯელს [შერისხავდა]: ან სიკვდილი, ან ტანჯვა და პატიმრობა; მოვალე იყო, რათა ეზლო [გამოესყიდა] თეთრითა [ფულით] და ქონებით მისი ხარისხისა და განანესის [შესაბამისი] სისხლი. თუ ზემდგომი [წოდებრივად მაღალი] მოკლავდა ქვემდგომს, ეზლო სისხლი; ხოლო თუ დაბალი წოდებისა მოკლავდა მის ზემდგომს, გამოისყიდდა სისხლსა და რამდენიმე წლით გაიდევნებოდა მამულიდან. ასევე დანიშნული ქალის წართმევის ან მიტოვებისათვის გამჟღავნების თანავე [წოდების შესაბამისად] გადაიხდიდა სისხლის საზღაურს. ხოლო მსგავსი ქმედების ჩამდენ სასულიერო პირებს სხვა სასჯელი ეკისრებოდათ.

ხოლო ხმალი მეფეთა ღალატის ცილისწამებისათვის ან კერპების, ან, შემდგომ, ეკლესიის მკრეხელთათვის [იყო დადგენილი]. ცილისწამებულსა და დაბეზღებულს ალოცვინებდნენ 40 დღე, შემდგომ შეიარაღებდნენ ყოველგვარი იარაღით, შესხამდნენ ცხენებზე და გააყოლებდნენ

ნენ თითო უიარალო, მათრახის გამოკლებით, ცხენოსანს, რომლებსაც უწოდებდნენ მემათრახეებს. გაგ ზავნიდნენ მოედანზე და ცილისმწამებელი და დაბეზლებული იწყებდნენ ბრძოლას. ის მემათრახეები შეახსენებდნენ თავის დროზე ბრძოლასა და იარაღის ხმარებას. რომელიც ჩამოვარდებოდა, გამტყუნდებოდა. მისი საჯელი იყო: თავის მოკვეთა, მამულისა და სახლის აკლება, შეწყალებისთვის კი – თვალების დათხრა.

ხოლო შანთი [დადგენილი იყო] ქურდების გამართლებისათვის: სახნისს გაახურებდნენ, როგორც ნაკვერჩხალს და შემოდებდნენ სიმაღლეზე, რათა ხელები სწრაფად შეედოთ მის ქვეშ. დასმენილს ხელებზე დააფენდნენ სველ ტილოს ან ქალღაღადს. იგი მიდიოდა, იღებდა სახნისს, გადადგამდა სამი ნაბიჯს და სახნისს გადააგებდა. იმავე წამს შეუხვევდნენ ხელებს სამი დლით. სამი დლის შემდგომ გაუხსნიდნენ და თუ არ ჰქონდა დამწვარი, გამართლებოდა, ხოლო თუ დამწვარი ჰქონდა, გამტყუნდებოდა.

[20] ხოლო მდულარეც ამისთვისვე იყო: ქვაბში აადულებდნენ წყალს, შიგ ჩააგდებდნენ პატარა ზომის რკინას. მოვიდოდა დასმენილი შიშველი მკლავით და ამოიღებდა იმ რკინას. იმ წამსვე შეუხვევდნენ. როგორც შანთის დროს, აქაც ისევე ირკვეოდა მართალი და მტყუანი.

ხოლო ფიცა [დადგენილი იყო] მამულზე შედავებისათვის, მცირე ქურდობისა და სხვა დანაშაულისთვის. მონმის თანდასწრებით დააფიცებდნენ, რამდენი ერგო; ხოლო ქურდს, ავაზაკსა და მძარცველს ერთ წილზე შვიდს მიაცემინებდნენ. და თუ ვინმე მესამედ ჩაიდენდა, თვალებს დათხრიდნენ და მცირედისთვის მოჰკვეთდნენ ფეხებს. ასევე ვინც იშიშვლებდა მახვილს მეფის მსაჯულზე, ერისთავსა და წარჩინებულზე, მოჰკვეთდნენ ხელებს. და სხვაც მრავალი იყო.

## **მოხელეები**

სამეფო კარზე მეფის მოხელეები იყვნენ: სპასალარი, ანუ სპასპეტი. მას ევალებოდა ყველა სავეზირო თათბირზე პირველობა და ყველა ერისთავის უფროსობა.

## **სპასალარის შესახებ**

კრებდა ლაშქარსა და სამეფო ხარკს ერისთავთა სამფლობელოებიდან.

### **სახლთუხუცესის შესახებ**

აბრამიდის,<sup>17</sup> ანუ სახლთუხუცესის უფლებას შეადგენდა სამეფო შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვა. მან იცოდა სამეფო სახლის წესი და რიგი, სამეფოს თათბირი და მეფის სამფლობელოები და მის ქვემდგომ მოხელეებს, განსაკუთრებით კი ეჯიბის<sup>18</sup> შემდგომ, იგი მართავდა.

### **მსახურთუხუცესის შესახებ**

მისი უფლება ვრცელდებოდა სალაშქრო აღჭურვილობასა და სამეფო იარაღის მსახურებზე და ციხე-ქალაქების მცველ სამეფო ლაშქარზე.

### **[21] მონათუხუცესის შესახებ**

ციხე-ქალაქების გარდა მონათუხუცესის უფლება ვრცელდებოდა დაქირავებულ სამეფო ლაშქარზე.

### **მანდატურთუხუცესის შესახებ**

მის უფლებამოსილებას ეკუთვნოდნენ: მანდატურები<sup>19</sup>, ბოქაულთუხუცესები<sup>20</sup> ბოქაულები<sup>21</sup>, საბჭოს მცველები, კარის მცველები, ქონდაქრები<sup>22</sup>, მხედართა უფროსები, ნადიმის წესი, მეფის წინ სიარული, ნადიმის გახსენება და მეფის ამხედრება.

### **მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ**

მეჭურჭლეთუხუცესის უფლებამოსილებას ეკუთვნოდა მეფის ყოველგვარი იარაღი და საგანძური და რაც მასშია დადგენილი.

### **მსაჯულთუხუცესის შესახებ**

ამის უფლებამოსილებას ეკუთვნოდნენ ყოველი მსაჯული, მოსამართლე და ხევისბერი, ხევისთავი. ასევე განსჯიდა მეფის განკარგულებას.

### **მეჯინიბეთუხუცესის შესახებ**

მეჯინიბეთუხუცესის შემდგომად განისაზღვრა ამილახორი. მის უფლებამოსილებას ეკუთვნოდა: ყოველი მეჯინიბე, შიკრიკი, პაიჭები<sup>23</sup>, მარქავა<sup>24</sup> ცხენები, მარდი ცხენები, სამეფო ჯოგი და რემა.

## **[22] ბაზიერთუხუცესი**

ბაზიერთუხუცესის უფლებამოსილებას ეკუთვნოდა: ყველა სანადირო ფრინველი, ბაზიერი, მეძალე, ძალი, მეფის სანადირო სამფლობელოების ტყეებისა და ველების მცველები.

## **ეჯიბის შესახებ**

ეჯიბის უფლებამოსილებას ეკუთვნოდა მეფის სახლის ყოველი მსახური; ნადიმის დროს ის გასცემდა პასუხს მეფის ნაცვლად; მას ეუბნებოდნენ დარბაზის წევრები, რისი მოხსენება სურდათ მეფისთვის და მარტო ვერავინ შევიდოდა მეფესთან ეჯიბის გარეშე.

## **ეზოსმოდვრის შესახებ**

ეზოსმოდვრის უფლებამოსილებას ეკუთვნოდა მოხელეთა ყველა სახლი, სამეფო ხარჯი და გასავალი, დარბაზის, სამეფო სუფრისა და სანოვაცისა და სხვა [საკითხთა] წესი და რიგი.

## **ჩუნჩერახის შესახებ**

ჩუნჩერახის უფლებამოსილებას ეკუთვნოდნენ მზარეულთუხუცესები, მაგიდის მომსახურეები, მზარეულები, მეპურეები, წყლის მზიდავები, მგოსნები, მომღერლები, სამუსიკო იარაღებზე დამკვრელები.

## **მელვინეთუხუცესის შესახებ**

მელვინეთუხუცესის უფლებები ვრცელდებოდა მეფის მერიქიფეებზე<sup>25</sup>, მესასმისეებსა და ღვინის მწეებზე<sup>26</sup>.

## **მოლარეთუხუცესის შესახებ**

მოლარეთუხუცესის უფლებამოვალეობა მოიცავდა სამეფო თეთრისა და ლარის საჭირო და საქველმოქმედო საქმისთვის განკარგვას; ასევე მის ქვემდგომ მოლარეთა [მართვას].

## **[23] მესტუმრეთუხუცესის შესახებ**

მესტუმრეთუხუცესის უფლებები ვრცელდებოდა სტუმრად მოწვეულებზე. ესენი იწვევდნენ დარბაზის ერს, ესენი ზრუნავდნენ სტუმრებზე.

## **ჯვარისმტვირთველის შესახებ**

ჯვარისმტვირთველი იწვევდა კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებს. მისივე მეშვეობით აკისრებდა სასჯელს მეფე.

## **მდივნების შესახებ**

მდივნები იყვნენ იერარქიულად უმაღლესნი და უმდაბლესნი. მეფის თანმხლებნი რანგით უმაღლესნი იყვნენ (როგორც ნათქვამია: ჩვენს, ჩოლაყასშილს, არაფერი აკადრონ. მეფის წინაშე დიდი შეცოდებისთვის მხოლოდ მარჯვენა ცერი მოაჭრან, ამის მეტი სხვა არაფერი) სპასალარის თანმხლები – სხვა, სახლთუხუცესისა – სხვა, მონათუხუცესის, მსახურთუხუცესის, მსაჯულთუხუცესის, საჭურჭლეთუხუცესის, ეზოსმოდღვრის – სხვა. ესენი წერენ: წერილებს, იერლაცებს<sup>27</sup>, პიტაკებს<sup>28</sup>, ენდამებს<sup>29</sup>, პატრუცაგებს<sup>30</sup>, როარტაგებს<sup>31</sup>, გუჯრებს<sup>32</sup>, სიგელებს<sup>33</sup>, ბრძანებებს, განაჩენებსა და სხვა.

## **ფარეშთუხუცესის შესახებ**

ფარეშთუხუცესის უფლებები მოიცავდა: შინამომსახურეებს, ნოხებს, კარვებს, ოთახებს, გასაღებების მცველებსა და ყოველგვარ საფენსა და ქვეშაგებს, დიდებულთა საჯდომ ტახტებს, სკამებს, სავარძლებს, კედელზე ჩამოსაკიდებელ ფარდაგებს, ფარდებსა და მათ მომვლელებსა და წყლის მზიდავებს.

## **ხუროთმოძღვრის შესახებ**

ხუროთმოძღვრის უფლებები მოიცავდა: ყველა ხელოსანსა და შენობას – სასახლებს, ეკლესიებს, ხიდებს, ქარვასლებს.

## **[აღ]მწერლების შესახებ**

[აღ]მწერლები იყვნენ, რომლებიც აღნუსხავდნენ ყოველგვარ შემოსავალსა და გასავალს, ტომრებსა და სხვას.

## **[24] ჩვეულებათა შესახებ**

ამგვარი წესები და ჩვეულებები ჰქონდათ, როგორც ვთქვი. და ცდილობდნენ სამეფოში განხეთქილება არ ყოფილიყო. თუკი საზღვარს მოსტაცებდნენ, ყველა წუხდა და ცდილობდა კვლავ შემოერთებას. თავიანთ მეფეებს მტკიცედ უერთგულებდნენ. თუკი ვინმე ძლიერი

დაძლევდათ, არ ემორჩილებოდნენ და ისევ საკუთარ წესს მისდევდნენ. არ ლალატობდნენ თავიანთ ღმერთებს, მეფეებსა და ჩვეულებებს. მაგიდასთან ჭამდნენ და ნადიმობდნენ, სკამებზე ისხდნენ; ბოდიშს ქუდის მოხდით იხდიდნენ, როგორც ახლა მთის კაცები. სვამდნენ ღვინოს, ჭამდნენ პირუტყვისა და ნადირის ხორცს, ნადიმობდნენ მეფესა და ერთმანეთთან. მეფის კურთხევისას დიდებულებიცა და მდაბიონიც ხონჩებზე ყრიდნენ ოქროსა და ვერცხლს, ვისაც რა შეეძლო. ცოლად [ჰყავდათ] თავიანთი თანასწორნი – ერთი და არა სხვასავით მრავალი. ამიტომაც იცოდნენ მეგობრობა, ნათესაობა, ერთმანეთის მტრობა და მოყვრობა, ლხინში – ლხინი და ჭირში – ჭირი. ხოლო ქორწილშიც, როგორც მეფედკურთხევის დროს, ყოველი მონვეული და მომწვევი, ვისაც რამდენი შეეძლო, დაყრიდა [ხონჩაზე]. და ეს სიძე-პატარძალს კი არ ეკუთვნოდა, არამედ მათ მერიქიფეს. მკვდარს კრძალავდნენ ყოველგვარი სამოსით, იარაღითა და მისი სამკაულით (ამიტომაც ახლა დანესებული ეპისკოპოსთათვის გარდაცვლილთა ჭირისუფლის გადასახადი); ტიროდნენ და ბნელში ისხდნენ 40 დღე. გაიპარსავდნენ თავს, წვერ-ულვაშს, წარბს, წამწამს და მამაკაცებიცა და ქალებიც წელს ზემოთ გაშიშვლდებოდნენ და სისხლის დენამდე [თავს] იცემდნენ; ერთ წლამდე არ ჭამდნენ ხორცსა და ცხოველს და შემდგომაც – დიდი იძულებით; იცვამდნენ ბენვის ძაძებსა და თავზე იხურავდნენ თივთიკის<sup>34</sup> ჩაჩს<sup>35</sup>; საფლავამდე მიჰყვებოდნენ ცოლები ქმრებს და ქმრები ცოლებს და სხვა ახლო ნათესავსაც. გოდორ-მარხილში სიბნელეში მსხდომნი, ძაძებში გახვეულნი, გლოვა-თავშიცემის დროს სამ-გლოვიაროს გალობდნენ არა ჭირისუფლები, არამედ სხვა იქ მყოფები (ეს წესები, გარდა შავის ჩაცმისა, ხორცის უჭმელობისა და გლოვა-ტირილისა, მოშალა იმ დროს 91-ე მეფე გიორგიმ<sup>36</sup>, როდესაც მასთან მოვიდა იერუსალიმის პატრიარქი).

## **[25] კერპების დღესასწაულების შესახებ**

ასევე იცოდნენ კერპების, თავიანთ ღმერთთა დღესასწაულები: გამოდიოდნენ თავად მეფე, დიდებულები და მდაბიონი ბუკ-დაფდაფებით, ხმაშენყობითა და მუსიკის თანხლებით; შესწირავდნენ ძროხას, ხარს, ცხვარსა და ნადირს. თაყვანს სცემდნენ არმაზს, შემდგომ ზადენსა და მერე კი სხვა ღმერთებს. ხოლო ყველაზე დიდი იყო არმაზის დღესასწაული. თაყვანისცემის შემდეგ იხდიდნენ ნადიმსა და ლხინს

დიდი ჭამითა და ღვინის სმით, ფერხულის ცეკვით, თანხმობით, ხმაშენ-ყობილი დაკვრითა და სიმღერით სამი დღე. შემდგომ კი ბრუნდებოდა ყველა თავის სახლში. რადგანაც ადრევე მიატოვებინა ალექსანდრემ მკვდართა ჭამა, იმ დროიდან კერპებს სწირავდნენ საკუთარ ვაჟებსა და ასულებს. და ეს ბოროტება გრძელდებოდა მრავალი წელი. ხოლო შემდგომ შეწყვიტა მეფე რევმა ვაჟებისა და ასულების კერპებისათვის მსხვერპლად გაღება და უბრძანა პირუტყვითა შენიღვა (ხოლო ქრისტიანობის დროსაც იმ ნაკერპავ ადგილებზე კვლავ გრძელდება დროსტარება – ბუქნა; ამიტომაც ააგეს იქ ეკლესიები და ზეიმობდნენ ჯვრის თაყვანისცემით, როგორც ახლა ფერხულით ათენებენ). ეს ასე იყო.

### **კერპების შემდგომ**

და ზეგარდმო<sup>37</sup> ძალით შემუსრა წმინდა ნინომ არმაზი, ქართველთა უდიდესი ღმერთი, და გაც და გაიმ. და მირიან მეფე წმინდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა და სრულიად საქართველომ აღიარა ძედ ღვთისა მარნამ ქალწულისაგან განხორციელებული უფალი ჩვენი იესო ქრისტე. და შემდგომ მირიანმა შემუსრა ყოველი კერპი თავის საბრძანებელში და მათ ნაცვლად აღმართა ქრისტე მეუფის ცხოველმყოფელი ჯვრები მტერთა დასამხოვლად.

### **ეპისკოპოს-მღვდელთა შესახებ**

თუმცა ჰქონდათ ეს ზემოთქმული წესები და ჩვეულებები, არამედ მირიან მეფემ კერპთა მღვდლების სანაცვლოდ დასვა მცხეთაში, ზემო ეკლესიაში<sup>38</sup>, [26] მთავარეპისკოპოსი და ქალაქებსა და დაბებში – ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტი მღვდლები, რომელთაც ჰქონდათ დიდება – ეპისკოპოსს – მეფის წინაშე, ხოლო მღვდლებს – მთავრებთან.

### **მეფეთკურთხევის შესახებ**

ასევე ეპისკოპოსი აკურთხებდა მეფეს და დაადგამდა გვირგვინს, ხოლო კათალიკოსობის დადგენის შემდგომ – კათალიკოსი. ბაგრატიონთა დროს ლიხთ-იმერეთში ადგამდნენ გვირგვინს: ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები აკურთხებდნენ, ხოლო გვირგვინს მეფეებს ქუთაისის ტახტისთვის ადგამდა ქუთათელი. გაყოფის შემდგომ კი იმერეთში – იმერეთის კათალიკოსი, ქართლში – ქართლის კათალიკოსი და კახეთში ბოდბელი.

## **კათალიკოსის, ეპისკოპოსისა და წინამძღვრის შესახებ**

ვახტანგ გორგასალმა დასვა ეპისკოპოსი და კათალიკოსი მთელ საქართველოში. ამათ მიენიჭათ დიდება: კათალიკოსს – მეფესთან და ეპისკოპოსს – ერისთავებთან, ხოლო მღვდლებს აზნაურებთან. ხოლო ცამეტი წმინდა მამის<sup>39</sup> მოსვლის შემდგომ მათ მიერ დაარსდა მონასტრები და უდაბნოები<sup>40</sup>. და ამ მონასტრების მამებსა და წინამძღვრებს მიენიჭათ დიდება მთავრების წინაშე.

## **დამატებული წესი მთავრებისათვის**

ხოლო მთავრობის ამ ზემოთქმულ წესთან დამატებით განისაზღვრა, დაკრძალულიყვნენ საეპისკოპოსო ან მონასტრის ეკლესიაში, ასევე ჰქონდათ – კარის საყდარი მღვდლითურთ; ასევე აზნაურს – დასაკრძალავად მონასტერი და მის სახლში არსებულ ეკლესია მღვდლითურთ. მხოლოდ ზემოთქმულისა და ამის საფუძველზე იწოდებოდნენ მთავრებად და აზნაურებად, ამის გარეშე – არა.

## **[27] ჭყონდიდლის შესახებ**

შემდგომ ასევე დაამატეს ჭყონდიდლის წოდება. მის უფლებებში შედიოდნენ ქვრივ-ობლები, დავრდომილები, უსამართლობის მსხვერპლნი, შეწუხებულები და გაჭირვებულები. იგი აუნყებდა მათ შესახებ ყოველივეს მეფეს. იგი იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამეფო მწერლის მწიგნობართუხუცესიც. ის გასცემდა მეფის ყოველ ბრძანებას ეკლესია-მონასტრებისათვის და ლაშქრის მოსაწვევად და მათი საჭიროების მეფისათვის მოსახსენებლად. ლაშქრობის დროს ჯარის წინაშე პატიოსანი ჯვრის მტვირთველი ის იყო და ბრძოლის დროს კი – ჯარის უკან მავალი, ანუ ჩახთაული<sup>41</sup>; ახალ წელს – მეფის მეკვლე.

## **ათაბაგის შესახებ**

ასევე დაამატეს ათაბაგობა, რადგანაც სპასალარს უწოდებდნენ არა სპასალარს, არამედ ათაბაგს.

## **მეფეთა გვარების შესახებ**

მეფეთა გვარები იყო: პირველი ქართლოსიანები, ნებროთიანები და არშაკუნიანები. ესენი მეფობდნენ 566 წელი და იყო 28 მეფე. ამათ შემდგომ იყო ხოსროვანთა გვარი. ესენი მეფობდნენ 454 წელი და იყო

17 მეფე და 3 მთავარი. ამათ შემდგომ – ბაგრატიონები, რომლებიც გამეფდნენ ქრისტეს შობის 575 [წელს] და არიან ამ დრომდე. ივერიაში ამ მეფეებზე ნათქვამი იყო, რომ ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანები ცნობილი არიან გმირობით, ხოსროიანები – გოლიათობით, ახოვნებით, შემართებით, ხოლო ბაგრატიონები – სიბრძნე-ქველმოქმედებითა და ქვეყნისთვის თავდადებით.

### **მთავართა გვარების შესახებ<sup>42</sup>**

ძველი მთავრების გვარებია: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუში<sup>43</sup>, რომელიც იყო ლიპარიტის ძე; მარუშისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, [28] მხარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანიძე, გამრეკელი, მარუშისძე, ძაგანისძე, ასათაძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი, ფარჯანიანი, ნერსიანი, ადარნასიანი, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქიძე, ჩოლოყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქვენაფლაველი, ჯავახიშვილი, ბრუსელი და სხვა მრავალი, რომლებიც ერისთავებად იწერებიან და არა აშკარად, ხელმოწერით დადასტურებულ გვარებად<sup>44</sup> ისევე, როგორც ყუთლულ – არსალი<sup>45</sup> და ყუბასარი – ქართლის ერისთავი გრიგოლი და სურამელი რატი და გრიგოლი; კახეთში ხორნაბუჯის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი და სამცხეში გუზანი და არტანუჯის ერისთავი, კალმახის ერისთავი, წუნის ერისთავი, ხოლო სომხეთში მანკაბერ-სადუნი და არა გვარი მისი. ხოლო იმერეთში ბედიელი, დადიანი და სხვები და არა მათი ხელმოწერით დადასტურებული გვარები. დადიანობა არაა გვარი, არამედ ხელობის წესია. იგი არ იყო ოდიში, არამედ ყარსის მხარეს დადიანობდა. თამარ მეფის შემდგომ გახდა ოდიშის დადიანი და იყვნენ ერისთავები, როგორც ცოტნე დადიანია ცნობილი და არა მისი გვარი. შემდეგი დადიანები ამ ცოტნეს შთამომავლები არიან, როგორც აღვწერეთ.

### **ახალი წლის შესახებ**

ქრისტიანობის დროს დაამატეს ასეთი წესები: რადგანაც ახალ წელს, პირველ იანვარს, ცისკრის ლოცვამდე, ჭყონდიდელი მეკვლეობს მეფეს ჯვრითა და ხატით (ჯვარსა და ხატს მეკვლედ მიაბრძანებდა მეფესთან), მეფესა და დედოფალს სამკაულსა და შაქრის საამო საჭმელს [მართმევს], ხოლო წირვის შემდგომ ყველა ერისთავი, დიდმოხელე და დარბაისელი<sup>46</sup> – თავისი მოვალეობების შესაბამისად; ესაა: ბაზიერთუხუცესი

– შევარდენ-ქორსა და ველურის ეშვის ოქროს თავს; მეჯინი-ბეთუხუცესი ცხენს ოქროთი მოჭედილი აღკაზმულობით, სხვა მოხელეები [29] კი – თავიანთ შესატყვისს; ხოლო ერისთავები – ცხენს უკეთურისთვის, ესენიცა და სხვებიც უკეთურ ცხენებს ყოველი სახეობის ისრებს და წყევლით შეაჩვენებენ მეფის ორგულს სიტყვებით: „მრავალჟამიერი ყოს ღმერთმა თქვენი მეფობა მრავალ წელს და ეს ისარი გულში ჩაესოს თქვენი მეფობის ორგულს.“ მთელი ჯარის მილოცვის შემდგომ გადაიხდიდა დიდ წვეულებას ლხინითა და ხმაშენყობილი საკრავებით. ხოლო ერისთავთა მიერ მორთმეულ ცხენებს ბაზიერი გაიყვანს მეფის სანადირო შემოღობილ ადგილზე მეფის საცხოვრებლის ახლოს და იქ, იმ შემოღობილში, სალამო ჟამს დახოცავს იმ ცხენებს. იმ ღამეს გაივსება ის შემოღობილი მელით, ტურითა და მგლით. დილით მისი მცველი დახურავს კარებებს და დაამწყვდევს [ნადირს]. მეორე დღეს ამხედრდება მეფე წარჩინებულთან ერთად და ადრიანად გაემართება იქ. მაშინ გამოუშვებენ მხეცებს და დაუწყებდნენ ისრის სროლასა და ხოცვას. ასეთ მეკვლეობას აღასრულებენ და მხიარულები შებრუნდებიან სანადიმოდ.

### **აღდგომის შესახებ**

აღდგომის წესი იყო გარიჟრაჟზე წირვა და წირვის შემდგომ ხორცის მცირე სანოვაგით პირს გაიხსნილებდნენ მეფე და დიდებულები. შემდგომ მეფე, ყველა წარჩინებული და ქვემდგომები გამოდიან მოედანზე და სამეფო ოქროს თასს შემოდგამენ ყაბახზე<sup>47</sup> და ის რაინდები და ახალგაზრდები თასს ესვრიან ისარს. ვინც ჩამოაგდება, თასს მას გადასცემენ. ამის შემდგომ დაინყება ბურთის თამაში და რომელი მხარეც აჯობებს, ამ მხარეს მიაკუთვნებენ სამეფო ჯილდოს, თითოეულს ცალცალკე (ასევე ქორწილისა და დიდი [30] ალღუმის დღესაც აწყობენ მოედანზე მსგავს შეჯიბრს); შემდგომ ბრუნდებიან მეფესთან და აწყობენ დიდ ნადიმსა და პურობას მგოსნებითა და დამკვრელებით. ხოლო ვიდრე კათალიკოსი და ეპისკოპოსები იქნებიან იქ, არ უკრავენ სიმებიან საკრავებს, არამედ გალობენ. მათი წასვლის შემდგომ იწყება მგოსნების, მომღერლებისა და ყოველგვარი ხმაშენყობილი გუნდის [გამოსვლა].

### **დროშების შესახებ**

ამ წესების თანახმად, მთელი ივერია. ანუ გიორგია ოთხ სადროშოდ იყო დაყოფილი, რადგანაც წინამძღოლები იყვნენ თორელები, ციხის-

ჯვარელები, ახალციხელები და მათი მიმყოლი სრულიად მესხები და კლარჯელები და [მოსახლეობა] სომხეთისა, რომელსაც განაგებდნენ. მარჯვენა ფრთა მიმსვლელ-მცემელი იყო. სრულიად ლიხს იქითა აფხაზეთ-ჯიქეთი; მარცხენა ფრთა – სრულიად ჰერეთ-კახეთი; ხოლო სამეფო აღმის მპყრობელები – ქართლები და დაქირავებული სამეფო ლაშქარი. ხოლო ზოგჯერ სამ შენაერთად ან სხვაგვარად მიჰყავდათ, როგორც მეფე ან სპასალარი ამჯობინებდნენ.

### **შერეული წესების შესახებ**

ეს ზოგიერთი წესი თათართა ყაენის ბატონობის დროს შეცდომით შეერიათ, როგორც, მაგალითად, დაბლა ნოხზე ჯდომა, ეკლესიაში ქუდის მოუხდელობა, გარდა საუფლო ლოცვისა, რომლის დროსაც იხდიდნენ, სხვა შემთხვევაში კი – არა. არც ბოდიშს იხდიდნენ ქუდის მოხდით. და სხვა მრავალი უმსგავსოებაც [შემოიღეს], როგორც ნათქვამია: ორცოლიანობა, სამცოლიანობა, მეფის წინააღმდეგობა და მისგან განდგომა. ხოლო შემდგომ ბრწყინვალე მეფე გიორგიმ კვლავ მოაბრუნა ძველ წესზე და მისმა შემდგომმა მეფეებმაც, შიხ<sup>48</sup> სპარსელთა მეფის გამოჩენამდე.

### **[31] სამეფოებად დაშლის შესახებ**

დაყოფისა და განხეთქილების შემდგომ ამ სამეფოებს სათითაოდ ჰქონდათ იგივე წესები, მხოლოდ ერისთავთა ცვლილება – აღარ. მთავრები აღარ იწოდებოდნენ მთავრებად, არამედ თავადებად. აღარ არსებობდა სამეფო დაქირავებული ჯარი. ქვეშევრდომი აზნაურები და მსახური გლეხები ხეობებიდან იცავდნენ მეფეს, უმეტესად მოხვევე-მთიულები, ვიდრე მას დაიპყრობდნენ საერისთავოდ. იმერეთის [მეფეებს] იცავდა რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახეთისას – ქიზიყი. ლაშქრობის დროს გამოჰყავდათ ერისთავებსა და მთავრებზე მიწერილი [გლეხები]. მაგრამ კვლავ ოთხი სადროშო იყო, როგორც აღვწერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი. და ასე დაადგინეს მეფეებმა, ვინაიდან აღარ ჰქონდათ ისეთი შემოსავალი, რომ დაპირისპირებოდნენ ან გამკლავებოდნენ მტერს, ამიტომაც დააკისრეს ერისთავებს, მთავრებსა და აზნაურებს, რამდენიც იყვნენ სახლში, წასულიყვნენ ლაშქარში, ხოლო გლეხებს – შეწერილის<sup>49</sup> მიხედვით. როსტომამდე ეს ასე იყო.

## **ახლანდელი წესის შესახებ**

არა მხოლოდ სამცხესა და კახეთს შემოერიათ – იმათ ურუმებისა<sup>50</sup> და ამათ ყიზილბაშებისაგან – ზოგიერთი წესი, არამედ ქართლელებიცა და იმერლებიც ამავე ზნეს მისდევდნენ. ხოლო ახლანდელ დროშიც აქეთ იგივე წესები და ყიზილბაშებისაგან შემორეული ასეთი: ნოხებზე სხედან უსკამოდ, ჭამენ ხელით. სანოვავე ქართლელებსა და კახელებს უმეტესად ყიზილბაშური აქეთ, მესხებს – ურუმებისა და იმერლებს – ურუმულთან შერეული. სასახლეებიც მათსავე ყაიდაზეა ნაგები და აღარაა ქართული, გარდა დარბაზისა. მესხებისაც ურუმთა სახისაა. და ერისთავთა [წოდება] აღარ იცვლება, დადგენილს მიჰყვება. ძველ დროში ასეთი წესი იყო: როდესაც წარჩინებული ერისთავი ან მთავარი, ან მოხელე, ან [32] აზნაური მოკვდებოდა, მეფეს მოართმევდნენ იმ გარდაცვლილის ხმალს, ცხენს და [წარუდგენდნენ] მის უფროს შვილს. ხოლო მეფე ღირსების შესაბამისად, ვისაც სურდა, მას უბოძებდა ერისთავობისა და მოხელეობის ტიტულს, ზოგჯერ მემკვიდრესაც, თუ მას შეეძლო პატრონობა-მეურნეობა. ცხენს წაიყვანდნენ სამეფოდ, ხოლო ხმალს მსახურთუხუცესი მეფის წინაშე შემოარტყამდა გარდაცვლილის მემკვიდრეს და დაადგენდნენ სატაძრო და სხვა სამეფო სამსახურისათვის ღირსების შესაბამისად. ახლანდელ დროს მოხელეებსაც ასევე დაადგენენ, როგორც ზემოთ ითქვა, ცხენსა და ხმალსაც [ასევე განაწესებენ], მაგრამ ერისთავობასა და მთავრობას – აღარ; და ზოგი სარდალიც შვილსა და ოჯახის წევრს (სახლიკაცს) მიანიჭებს სარდლობას; ასევე მთავრებსაც.

## **ახლანდელ მოხელეთა შეცვლილი სახელწოდებების შესახებ**

როსტომმა მოხელეებს უწოდა: მსახურთუხუცესს – ყორჩიბაში, მონათუხუცესს – ყულარალასი, სპასპეტს – სარდალი, მეჭურჭლეთუხუცესს – მოლარეთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი აღარ [ჰქვია], არც – ადრინდელი მოლარეთუხუცესი; ჩუნჩერახს<sup>51</sup> – უფრაჩი, ჩაჩნაგირს<sup>52</sup> – სუფრაქემი, მანდატურთუხუცესს – ეშიყალასი, მანდატურს – სოჰბათიასაული, ბოქაულს – ელიადაჯი, მსაჯულთუხუცესს – მდივანბეგი, ეზოსმოძღვარს – ნაზირი, მესტუმრეთუხუცესს – მეჰმანდარი, მწერალს – მუშრიბი, ხუროთმოძღვარს – სარაიდარი და ეჯიბი – აღარ, არამედ მისი მსგავსი მეითარი. ხოლო სხვა მოხელეები ასევე არიან. ხოლო კვლავ ყიზილბაშთა მსგავსებით დაამატა ვეზირი, მუსტოფი და მუნში; ხოლო მეკარეს ეწოდა ყაფიჩი და ასისტავს – უზბაში. კახელებ-

მაც ასევე დაანესეს, ხოლო იმერეთში მეფე გიორგი ალექსანდრეს ძემდე ასეთივე წესი იყო და მის შემდგომ – აღარ. [33] მთავრები თავთავიანთი ჯარით იკრიბებიან და არც მეფის მოხელეები არსებობენ. ხოლო სამცხეში იმავე წეს-ჩვეულებებს მისდევენ, როგორც ოსმალეთში.

### **ახლანდელი მთავრების გვარების შესახებ**

ახლანდელ მთავართა და წარჩინებულთა გვარებია: ბარათაშვილები, რომლებიც ფლობენ გაჩიანისა და გარდაბნის საერისთავოებს თბილისის სამხრეთით, ლორე-ფანავრამდე<sup>53</sup>, მეფის სამფლობელოებისა და ეკლესიათა შეწირულობების გარდა. ესენი ამბობენ, რომ არიან ქაჩიბაძის შთამომავლები, როგორც ამას ადასტურებს მეფეთა მიერ მათთვის გაცემული წყალობის სიგელ-გუჯრები. ასევე ყაფლანისშვილი და აბაშისშვილი – სამი ძმის შვილობას. ყაფლანისშვილი ამბობს, რომ ამ გვარისა და ასევე ორბელიანის გვარისაა. მაგრამ ორბელიანი სხვა გვარი იყო და ქაჩიბაძე – სხვა, არამედ როდესაც გაიყარნენ ძმები, ბარათიანები მოდიან ბარათასგან, რომლის მიერაც ადგილებს ეწოდა საბარათიანო, ხოლო აბაშისაგან – აბაშისშვილები და ასევე სხვები, რომლებიც ასევე არიან ბარათიანები. საფიქრებელია, რომ ყაფლანიანთა მესამე ძმას ეწოდა ორბელი და მისგან იწოდნენ ორბელიანები, თორემ ადრეთქმული არ გამართლდება. ბარათაშვილების გუჯარში, რომელიც ბეთანიაშია, წერია: მეფე ალექსანდრემ<sup>54</sup>, გიორგი მეფის ძემ, გაყარა სამი ძმა – აბაში, გუგუნა და დავითი. აბაშისაგან აბაშისშვილები, გუგუნასაგან ბარათიანები და დავითისაგან ყაფლანისშვილები არიან. ხოლო სომხეთის მედიქი გვარი არ არის, არამედ ვილაც სომეხს პატივი სცა შაჰ-აბასმა გამაჰმადიანებისათვის. არლუთაშვილი ახლა აზნაურია, მაგრამ [34] მხარგრძელები არიან. ხოლო ზურაბიშვილს, იარალიშვილსა და სოლალაშვილს არ მიაკუთვნებენ ბარათიანებს, მაგრამ მათი მამულები და სასაფლაოები ადასტურებენ იმავე წარმომავლობას. ხოლო დოლენჯიშვილები ჩამოსულები არიან მესხეთიდან. ყარაბუღალიშვილი მოვიდა მარიამ-ჯვრის კახეთიდან. მცხეთის დასავლეთითა და მტკვრის სამხრეთით არის ციციშვილი, რომელიც ძველადვე მოვიდა ფანასკეტიდან, ჯავახიშვილი; ხოლო მოურავისშვილი არის სააკაძე და მეფემ გაამთავრა; როჭიკაშვილი არის შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან. ხოლო შიდა ქართლის ამილახ-

ორი არ არის გვარი, არამედ მეჯინიბეთუხუცესობის წესია, როგორც უნოდებენ სპარსელები; გვარია ზედგენიძე და მეფისგანაა პატივცემული მთავრის ტიტულით, როგორც ადასტურებს მათი გუჯრები. აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი – ამათ ერთად ჰქონდათ მამულები იმერეთსა და ქართლში და სამეფოს დაშლის შემდეგ ერთი ძმა იქით და ერთი აქეთ დარჩნენ, როგორც ადასტურებენ მათი მამულები და სიგელები. ავალისშვილი, ქართლის მეფეს რომ დარჩა ხეობა, ერთი ძმა დარჩა აქ და მეორე სამცხეში. მაჩაბელი ამბობს, რომ ანჩაფიძეა, აფხაზეთიდან მოსული, მაგრამ ახალია. ხერხეულიძე იყო სამცხეში და ამბობს, რომ ოსია. მაგრამ იგი მოვიდა გაყრის შემდგომ. ფავლენიშვილი ამბობს მხარგრძელობას; ხოლო მესხი ამილახორიშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქიშვილი თათრობის შემდგომ ჩამოვიდნენ სამცხიდან; ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდან; ხოლო რამაზიშვილი და დავითისშვილი არიან ავგიორგის ძმის, დიმიტრისაგან, რომელიც დატოვა მეფემ და იმ დროიდან არიან აქ. ხოლო იალბუზის კალთების ქსნის ერისთავი არა ქვენაფლაველის, არამედ ბიბილურის [შთამომავლობას] ირქმევს. ხოლო არაგვის ერისთავი, და აღვწერე კიდეც, როგორც არიან, გვარად სიდამონობას ირქმევს. ხოლო მუხრანის ბატონი და გოჩაშვილი, ახლა მთავრები, მეფე ბაგრატიონთა გვარისანი არიან, როგორაცაა აღწერილი.

### [35] წარჩინებულთა შესახებ

და ამ დროის მთავართა შორის იყვნენ უწარჩინებულესნი და შეძლების მქონენი და ჰქონდათ დაუშლელი სახლი: პირველი – მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციციშვილი, ვიდრე არ იყო გაყოფილი, და სომხეთის მელიქი. ხოლო აზნაურები მრავალნი არიან, [ჩამონათვალის] სიგრძის გამო დავდუმდით, ზოგიერთნი – ძველი გვარისა, როგორც აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, არღუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნასიძე, ღაზნელი. გააზნაურიშვილებულები: როგორც რატისშვილები, ქსნის ერისთავის განაყოფი, რაც დასტურდება მამულით, ახლა კი დამცირებულები. ხოლო ზედგენიძე, სააკაძე, ელიოზისშვილი, ამათგან გამთავრებულები ზოგნი ამალღებულან და ზოგნი დამდაბლებულან დროის ცვლილების წყალობით ან ძმათა გაყრის გამო.

## **კახელების შესახებ**

ხოლო კახეთში ჩოლაყაშვილი და მაყაშვილი იტყვიან ირუფაქი-ძობას, ენდრონიკასშვილი ამბობს, რომ მოდის ანდრონიკესგან, რომელიც პირველი მოვიდა კეისართა გვარისა. ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ვახვახიშვილი, რუსისშვილი, ჯანდიერისშვილი, ავალისშ-ვილი და ჩერქეზი; ეს ორი მოსულია დაშლის შემდგომ. გურამისშვილი და ტუსისშვილი – ზედგენიძეები, რომელთაც წარმოაჩენს მღვიმეში დღესაც [არსებული] მათი სასაფლაო და უფრო მცირე აზნაურებიც.

## **სამცხის შესახებ**

ხოლო სამცხეში: ჯაყელი ესაა ახლა ახალციხის ათაბაგი და ფაშა<sup>55</sup>; შალიკაშვილი, თადგირიძე, დიასამიძე, ქობულისძე, გოგობაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგორისშვილი [36], თუხარელი, ლალანიძე და სხვანი აღარ იწოდებიან გვართ, არამედ ფაშად, ბეგად<sup>56</sup> და სანჯახად<sup>57</sup>; და აზნაურებიც მრავლად არიან; ამ-დენად აღარ გავაგრძელებთ (დავდუმდით).

## **იმერთა შესახებ**

ხოლო იმერეთში: არგვეთში აბაშიძე, ფხეიძე, წერეთელი და ჩხეიძე (ამავე ჩხეიძის გვარია ახლანდელი რაჭის ერისთავი და რაჭის სპასპე-ტი), ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და ლოლობერიძე, აზნაურები და მეფის მიერ მთავრის წოდებით პატივცემულნი. ხოლო რაჭაში წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხიშვილი; ხოლო სვანეთში გელო-ვანი და სხვა არავინაა სვანებზე ასეთი ძალისა და უფლების მქონე.

ასევე ვაკეში ჭილაძე, მიქელაძე და ჩიჯავაძე. ხოლო მრავლად არიან აზნაურები, დაჯილდოვებულნი აზნაურთა ყოველგვარი ზნით (როგორც ადრე იყო ნათქვამი ივერიაში, დარბაისელი მესხი, თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა) და მათი სიის სიგრძის გამო აღარ აღვწერეთ. თუმცა უწარჩინებულესი და დიდი შეძლების მქონე იყვნენ ახლანდელ დროშიც რაჭის ერისთავი და აბაშიძე.

## **ოდიშის შესახებ**

ხოლო ოდიშში იყო დადიანი, დაშლის შემდგომ ოდიშის საკუთრივ მფლობელი. ხოლო ახლა არის ჩიქოვანი, რომელმაც ამოწყვიტა დადი-ანები და ოდიშის მთავრები და მცირე აზნაურობიდან იქცა დადიანად

აღწერილის მიხედვით. ასევე არიან ეს მთავრები: გოშაძე, ფალავა, ჯაიანი, ჩიჩუა და სხვები; და მრავალი აზნაური.

### **აფხაზეთის შესახებ**

ხოლო აფხაზეთში [არის] იგივე შერვაშიძე, თავად მფლობელი აფხაზეთისა და უმდაბლესი ანჩაფაძე.

### **[37] გურიის შესახებ**

ხოლო გურიას გურიელი თავად ფლობს და ამბობს, რომ ვარდანის მემკვიდრეა. სხვები კი, მისი ქვეშევრდომები არიან ესენი: თადგირიძე და ამილახორი – ჩავიდნენ სამცხიდან, შარვაშიძე მივიდა აფხაზეთიდან, ბერიძე, კვერღელისძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხვები, ასევე აზნაურებიც.

### **მეფეთა წარწერილის<sup>58</sup> შესახებ**

ხოლო მეფეები ამათ ყველას წაუნერდნენ ასე: „ჩვენი ბრძანება არის, მესტუმრეო და მანდატურო, ასე გადაეცი“ და შემდგომ, რაც საჭირო იყო; ხოლო სიგელსა და გუჯარში: „ჩვენ, მეფეთმეფემ, ღვთის წყალობით ცხებულმა, თვითმპყრობელმა და თავად ხელმწიფემ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონმა, შვიდივე სამეფოს მპყრობელმა [სახელი] გინყალობეთ“. ხოლო ახლანდელ დროში: „მესტუმრეო, ჩვენ მაგიერ ჩვენს დიდს იმედს დარბაზბატონს [სახელი] ასე გადაეცი“ და მდაბალთა შესახებ: „ჩვენი ბრძანება არის“. ხოლო გუჯრებსა და სიგელებში: „ჩვენ, მეფემ, ღვთის კურთხევით გვირგვინოსანმა, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონმა, [სახელი] გინყალობეთ“. ასევე [წაანერდნენ] იმერლები და კახელები, და ქართლის მეფე მეფეთმეფობით აწერდა ადრინდელი ჩვეულების თანახმად.

### **ეპისკოპოსთა სალაშქროდ წასვლის შესახებ**

ეპისკოპოსთა სალაშქროდ, სანადიროდ და საბრძოლველად სიარული ამის შემდეგ იქცა ჩვეულებად: როდესაც მაჰმადიანებმა დაუწყეს დავით მე-80 მეფის<sup>59</sup> შემდგომ დაუსრულებელი ბრძოლა და დამონება და ქვეყნის ეპისკოპოსებმა დაინახეს ქვეყნის უთავობა-უღონობა, [38] მაშინ მათ თქვეს: „ნუ მოდუნდებით, ნუ დასუსტდებით მათთან ბრძოლისათვის და ნუ მიატოვებთ სარწმუნოებას, რჯულსა და თქვენს

ჩვეულებას. და ჩვენ გაგიძღვებით ბრძოლაში.“ და ასეც აკეთებდნენ (როგორც მარაბდის ბრძოლაში, მროველმა ავალიშვილმა რომ გაიღო ზიარება, უთხრეს: „თუ დღეს აიღებ მახვილს საბრძოლველად, უბრძანე, რომ სხვამ გვაზიაროს და თუ არა, უმჯობესია შენგან [მივილოთ იგი]“. ხოლო ის ეუბნებოდა: „დღეს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნების ბრძოლაა და არა მხოლოდ ჩემ წინააღმდეგ. ამიტომაც არ ვიზამ, თუ თქვენზე ადრე არ დავღვრი საკუთარ სისხლს, მახვილის ამღები“. ხოლო მეორე მიზეზია: რადგანაც ლაშქარი [იკრიბებოდა ბეგარით] და ეპისკოპოსებს ჰყავდათ აზნაურები, მსახურები და შეწერილი გლეხები ბრძოლაში წასასვლელად, ამიტომაც მათ საპატრონოდ მოვალენი იყვნენ თავადაც წასულიყვნენ და იმ დროიდან აქამდე ასეა. ხოლო ამის გარდა სხვას წარმოაჩენს ქვემოთ ქარტაზე<sup>60</sup> აღწერილი ცხოვრება, ანუ მატიანე ამ ყველაფრისა. და ეს ყველაფერი ასე იყო აქამდე. ხოლო წაღმართი [საქმე] ღმერთმა უწყის და როგორც ნებავს, ისე იქნება.

**რის გამო ეწოდა სახელი**

ეს ქვეყანა სამი სახელით იწოდება: პირველი – საქართველო, მეორე – ივერია, მესამე – გიორგია. საქართველო ეწოდა ქართლოსის გამო, რომელსაც წილად ერგო ეს ქვეყანა და, სადაც დამკვიდრდა, თავისი სახელის საფუძველზე უწოდა ქართლი. ამიტომაც მის ქვეშევრდომ, ანუ წილხვედრ ქვეყანას ეწოდა საქართველო. ქართლოსის შემდგომაც, რადგანაც მისი მემკვიდრეები და მის მემკვიდრეთა მემკვიდრეები მის საფლავს იფიცებდნენ, მათ სამფლობელოებსაც ეწოდა საქართველო.

ხოლო მეორე სახელი – ივერია ქართული ენის წყალობით მიეცა, რადგანაც „იი“ არის შორისდებული, რომელიც სასიხარული შეძახილს აღნიშნავს, ხოლო „ვერიე“ – „მოვერიეს“. ამიტომაც „ივერია“ შეწყობითაა წარმოებულია, რადგანაც როდესაც მე-10 მეფე ადერკმა თავისი უძლეველობით მოკლა არშაკი<sup>61</sup>, ქარლის მეფე, მაშინ შესძახა თავის ლაშქარს: „იი, ვერიე!“ და გავარადა ეს შეძახილი და ყველა იმეორებდა მისი მამაცობის [სადიდებლად]. სასიხარულო შეძახილის შერქმევა მოასწავებდა დიდ სიხარულს, რადგანაც ადერკის მეფობის პირველივე წელს იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ეს შეძახილი ასევე მოასწავებდა სახარების ხარებასა და სასუფეველის სიხარულს, ხოლო „ვერიე“ – კერპებზე ჯვრის ძალის ძლევასა და საქართველოს ხსნას ეშმაკისაგან.

ასევე „გიორგიაც“ ჭირთა მოთმენით ქართველთა მამაცური შრომისათვის ეწოდა (რადგანაც „გიორგი“ მშრომელად ითარგმნება). როგორც კი შეიმეცნეს სამება ერთარსება, ღმერთი ჭეშმარიტი წმ. ნინოს წყალობით, რომლის მამა იყო ზაბილონი და ეს [40] ზაბილონი იყო კაბადოკიელი, შთამომავალი წმინდა დიდმოწამე გიორგისა, ამიტომ იმ დროიდან მთელ ივერიაში უმეტესი ნიში და სასწაული მთავარმოწამე გიორგის ეკუთვნის, რადგანაც არ არის ბორცვი ან მაღალი გორაკი, რომელზეც არ იყოს აგებული წმინდა გიორგის ეკლესია. და ამის გამოც ეწოდა „გიორგია“. ევროპელები და ბერძნები ეძახდნენ ჯოჯიანს, რუსები – გრუზს და მაჰმადიანები, მათი ორთოგრაფიის გამო – გურჯის, რაც იგივე გიორგიაა.

ამ ქვეყნის სიგრძეა 80 ეჯი<sup>62</sup>, ხოლო სიგანე სპერის ზღვიდან – 60 ეჯი, შუა ადგილი – 32 ეჯი, ხოლო ბოლო მხარე – 35 ეჯი. მდებარეობს

კასპიისა და პონტოს ზღვას შორის<sup>63</sup> და არის ყოველად მშვენიერი და ნაყოფიერი ქვეყანა, ღვთის მიერ და არა ადამიანთა ოსტატობის წყალობით, რადგანაც ხარობს კაცთა საზრდო ყოველი მარცვლეული: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი<sup>64</sup>, სიმინდი, ღომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი<sup>65</sup>, ძაძა<sup>66</sup>, მაშა<sup>67</sup>, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვა.

### **აბრეშუმის შესახებ**

ასევე აწარმოებდნენ აბრეშუმს, მაგრამ ქუხილის გამო ბევრს ვერა, რადგანაც სასტიკად ქუხს და ამ მიზეზით ჭია წყდება. თესენ ბამბას; სხვა ქვეყნისა განა უკეთესია, უბრალოდ იქ უხვად ხარობს.

### **ხილის შესახებ**

ბალის მრავალი ხილია: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბრონეული, ყურძენი, ატამი, ვაშლატამა, ყაისი<sup>68</sup>, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთია, ხართუთია, ბუსტულო<sup>69</sup>, მრავალგვარი ქლიავი, ლელვი, ბალი, ალუბალი, მსხალი და მრავალგვარი ვაშლი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ნესვი, მელსაპეპონი<sup>70</sup>, პუმპულა<sup>71</sup>, კიტრი. ტყის ჯიშებია: თხილი, ტყემალი, ზღმარტლი, ფშატი, ხურმა, ნაბლი, კრიკინა<sup>72</sup>, ალუბალი, ბალამნარა, ბალლოჯი<sup>73</sup>, მაჟაველი<sup>74</sup>, პანტა, კუნელი, ძახველი, მჭანავი<sup>75</sup>, ნიფელი, დათვისმსხალა<sup>76</sup>, დათვის-ბაბა<sup>77</sup>, დათვისთხილა<sup>78</sup>, კონახური, მრავალგვარი მაცყალი, ნიგოზი და სხვა. მთის ჯიშებია: მოცხარი, კლდის მერსენი, ჟოლო, უელი<sup>79</sup>, მოცვი და სხვა მრავალი.

### **ბალნართა შესახებ**

ბალნარის მრავალი ყვავილია: ვარდი წითელი, ყვითელი და თეთრი, მიხაკი, სუნბული<sup>80</sup>, ნარგიზი, ზამბახი, მრავალგვარი ყაყაჩო და სხვა მრავალი სახეობისა და ფერის ყვავილი. ხოლო მინდვრისა: ია, ყოჩივარდა, ნეგო, მიხაკი, შროშანი და სხვა მრავალი, ას ფერამდე და ას სახეობამდე.

### **ბოსტნეულის შესახებ**

ბოსტნებში: ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვი, პრასი, ბოლოკი, მაკინდოლი, სტაფილო, ქინძიჯორა,

ოხრახუმი, კობოსტო, ლახანა<sup>81</sup>, ყრდელი<sup>82</sup> და სხვა. ხოლო ტყეებსა და ველებზე არის მრავალი სურნელოვანი ზამთრისათვის მოსახმარი ბალახი, ფხალად ნოდებული, და თესლოვანი, როგორც სატაცური, ისპანახი და სხვა, ასევე როგორც კვლიავი, ტყიურა და სხვა მსგავსი.

### **პირუტყვისა და ფრინველის შესახებ**

მრავალი პირუტყვია, როგორც: აქლემი, ცხენი, ჯორი, ვირი, ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა, ღორი. ტყისა და ველის ნადირია: [42] ირემი, ქურციკი, ჯიხვი, შველი, არჩვი, თხა, კურდღელი, ვეფხვი, დათვი, მგელი, აფთარი, ფოცხვერი, ღორი, მელა, მაჩვი, წავი<sup>83</sup>, თახვი, ზღარბი და სხვა. ფრინველია: ქათამი, ბატი, იხვი, ინდაური, ქათამი, მტრედი – ეს შინაური ფრინველია. ხოლო ველებსა და ტყეში ბინადრობს: წერო, ყარახილა, ბატი, შავი ბატი, იხვი, აკაური, ვარხვი, ღაღა, ლიანა. ესენი ზამთარშიც აქ არიან; ზოგი კი მხოლოდ გაზაფხულ-შემოდგომაზეა აქ: ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, გნოლი, როჭო, შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კიოტი, ტყის ქათამი, გარიელი, სავათი, მრავალგვარი მტრედი, გვრიტი, გუგული, ოფოფო, შაშვი, ჩხართვი, შროშანი, ტარბი, კოლინბური<sup>84</sup>, ბულბული, ყაზალახი, მოლაღური, მრავალი ჩიტი და ფრინველი, მშვენივრად ჭრელი და მომღერალი. ხოლო ხორცისმჭამელნი არიან: ყაჯირი<sup>85</sup>, სვავი, ორბი, არწივი, შავარდენი, გავაზი, ქორი თეთრი და წითელი, მიმინო, მარჯანი, თვალშავი, ალალი, კირკიტა, ძერა, ბაბაყველი, ბოლობეჭედა, ჭარო<sup>86</sup>, ყორანი, მახარა, შავი ყვავი, მალრანი, ყვავი, ბუ, ზარნაშო, ჭოტი, ჭკა, ჭილყვავი, ყაპყაპი<sup>87</sup>, კაჭკაჭი, ჩხიკვი, კოდალა, ოყარი<sup>88</sup>, ლაკლაკი, ყარაულა და სხვა.

### **მთათა შესახებ**

არის მთები და ტყეები, მრავალი ყვავილით, ბალახითა და სურნელით სავსე; ჭალებსა და მთებში სხვადასხვა მშვენიერი ხით სავსე ტყეებია. ასევე არის მაღალი მთები, რადგანაც ჩრდილოეთით შავი ზღვიდან კასპიამდე აკრავს კავკასიონი, რომლის სიმაღლეც ერთი დღის სავალია; ყინულოვანი მწვერვალებით, რომელთა ყინულის სისქე 20-30 მხარია<sup>89</sup>. [43] ზაფხულში გასკდება და იქ რომ ჩატოვო ადამიანი, მცირე დროითაც ვერ გაუძლებს სიცივეს. მის ქვემოდან გამოდის მდინარეები. ყინული სიძველის გამო მწვანე და წითელია კლდესავით. ამ მთიდან<sup>90</sup> იმერ და ამერ მოედინება მრავალი მდინარე. მთიდან

მოშორებით ცხოვრობენ ადამიანები. სამხრეთით სხვა მთაა, რომელიც არზრუმისა და ბასიანის გავლით გადაჭიმულია ბარდა-აზარამდე. ისიც ყინულოვანი და მაღალია; თოვლი უდნობად დევს მუდამ, მხოლოდ ადგილ-ადგილ დნება. აქედანაც გამოდიან იმერ და ამერ მდინარეები. მთათა შორის დიდი და მცირე მთები, საშინელი და მშვენიერებით აღმატებული კლდეებია. თავის ადგილზე აღინერება. მდინარეებისა და ტბების შესახებ მრავალი მდინარეა და დიდი წყაროები, ცივი, გემრიელი, შესარგები და სამკურნალო. არის დიდი და მცირე ტბები, ზოგი გემრიელი თევზითაა სავსე და ზოგიც – უსარგებლო.

### **თევზების შესახებ**

წყლებში არის თევზი: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, წვერა, კალმახი, ფიჩხული და მრავალი წვრილი თევზი და სხვა.

### **ქვენარმავალთა შესახებ**

არის მავნე ქვენარმავლები: მკბენარი გველები, შხამიანი მორიელები, გველხოკერა, ჯოჯო, ფსვენი<sup>91</sup>, ხვლიკი, კუ, თავი და სხვა.

### **[44] მწერთა შესახებ**

მწერებია: კოლო, ბუზი, ბორა, კრაზანა – ადამიანისა და პირუტყვისათვის მავნე და მრავალი სხვა დიდი და მცირე. სარგებლობის მომცემია ფუტკარი, რომლის თაფლიც, ზოგიერთი ადგილიდან, შაქარივით კრისტალური და თეთრია. სანთელიცა და თაფლიც უხვადაა. თაფლი გამშვენიერებულია მთისა და ბარის წყალობით, რადგანაც არ არის ადგილი, რომლის მთა-ბარიც არ იყოს ისეთი, რომ ორ, სამ, ექვს საათზე ფუტკარი მთიდან ბარში და ბარიდან მთაში არ გადაადგილდებოდეს. ხოლო მთაში, როგორც აღვნიშნეთ, ხარობს ხორბალი, ქრთილი, შვრია და ხილი – მთის ჯიშები, სხვა არაფერი მოდის; ბარში კი – ყოველივე ზემოჩამოთვლილი.

### **ადამიანთა შესახებ**

ამ ქვეყნის მკვიდრნი სარწმუნოებით ქრისტიანები არიან, რომელთაც რომიდან მიიღეს რწმენა კოსტანტინე დიდის დროს და მტკიცედ იცავენ სილიბისტროს<sup>92</sup> წესებსა და ბასილი კაბადუკიელისა

და შვიდი კრების ბრძენთა ძველ წესსა და რიგს. მაგრამ თუ ვინმე ძალადობის გამო განუდგება რჯულს, როგორც კი დროს იხელთებს, კვლავ მონანიებით მოიქცევა ქრისტიანად. ხოლო აღნაგობით კაციცა და ქალიც მშვენიერია, ჰაეროვანი, შავთვალწარბიანი, მოვარდისფრო<sup>93</sup>, შიგადაშიგ – შავგვრემანი და ქერა, შიგადაშიგ – თვალჭრელი და თაფლისფერთვალეა, წითური ან თეთრი. ქალებს თმა დაბლა ჩაშვებული და დაწნული აქვთ, ხოლო მამაკაცებს – ყურს ზემოთ შეჭრილი; ტანწვრილები არიან, უმეტესად ქალები, შიგადაშიგ – სქელნიც; შეუპოვარი მშრომელები, ჭირთა მომთმენნი, გაბედული ცხენოსნები დამოლაშქრენი, მკვირცხლები, სწრაფები, რადგანაც ზოგი 33 ეჯს 14 საათში გაირბენს. არიან ლაშქრობა-ბრძოლაში უშიშრები, იარაღის მოყვარულნი, ამაცები, ლალები; სახელის მოყვარულნი იმდენად, რომ საკუთარი სახელისთვის არ ერიდებიან არც ქვეყანასა და არც თავიანთ მეფეს. სტუმრისა და უცხოს მოყვარენი; ხელგამლილები – არც თავისას და [45] არც სხვისას არ ინახავენ. სიმდიდრეს არ იხვეჭენ; გონიერები, სწრაფად მოაზროვნეები, ტრახახის მოყვარულნი, სწავლის მოყვარულნი. გარკვეული დროა, რაც აღარ ეამაყებათ ცოდნა, გარდა წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედრო საქმისა. და ჰგონიათ, რომ ესაა დიდი განათლება. არიან ერთმანეთის ამყოლები, სიკეთის შემთვისებლები და გამლებნი, სირცხვილის მდევნნი, სიკეთისა და ბოროტებისკენ სწრაფად მიდრეკილნი, თავხედები, დიდების მოყვარულნი, პირმოთნეებია ანუ მლიქვნელები და ფხუკიანები. ხოლო ვინც მთაში ცხოვრობს, ნადირთა მსგავსია, მაგრამ გონიერი.

ქართლები და კახელები შემოსილნი არიან ერთნაირად: თავზე ახურავთ მაუდის ან შალის გრძელ-წვრილი ქუდი, ბენვიანი, ჩაკეცილი; ტანთ აცვიათ კაბა ფარჩისა, მაუდისა ან ჩოხისა, მუხლს ქვემომდე; ზედ – სარტყელი, შიგნით – ბამბის საგულე, კაბაზე მოკლე; პერანგი – აბრეშუმისა, ბამბისა ან ტილოსი, კაბაზე გრძელი და კისერამოღებული; ქვედა საცვალი – აბრეშუმის, ბამბის ან ტილოსი. ცხენზე ჯდომისას აცვიათ სანწერთული<sup>94</sup> ან წალები, ამათ გარეშე არ ამხედრდებიან. ფეხებზე – პაიჭი და წულეები<sup>95</sup> ტყავისა ან მაუდის, ხოლო მაშია<sup>96</sup> – სპარსული. დაბალ ნოდებასაცვიაჩუსტი და ქალამანი. ასევე იცვამენ კაბაზე მოკლე ტყავაკაბას და ზამთარში-ქურქს (მაგრამ პირველი ერთმეფობის დროს სცმიათ სხვაგვარად: თავზე – გრძელი ქუდი, რომლის ბენვიანი კიდე ბეჭამდე

სცემდათ, პერანგი – ბერული, უხეში ტილოსი, საგულე და კაბა – უღილო, გრძელი კოჭებამდე, მასზე ფორებიანი სარტყელი, ვინროსახელოიანი და ფეხზე – ნალები, როგორც ნახატებიდან ვიგებთ). ქალებსაც აცვიათ მსგავსად, მაგრამ სარტყლის [46] წვერი აქვთ ჩაშვებული; ზემოდან აქვთ ამოჭრილი კაბა-ახალუხი და პერანგის გარდა არაფერი ფარავთ. პერანგი გამჭვირვალეა, ჩანს სხეული; ქვედა საცვალი პაიჭის გარეშეა და ფეხებზე აცვიათ ნულა-მაშია. ქალწულთა ვარსცნილობა და თავი ასე გამოიყურება: ღანვებამდე ჩამოჩვებული თმის კავები და ქუდი ან ლენაქი; ხოლო ქმრიანებს კავებს ზემოთ გარდიგარდმო ადევთ ნანწავი, სახის ირგვლივ შემოყოლებული აქვთ მარგალიტის წნული, რომელსაც კეფაზე იკრავენ. ამაზე კი ახურავთ ლენაქი. აქვთ მრავალი სამკაული, ზოგი მათი – ეროვნული და ზოგი – სპარსული. ზამთარში კაცსა და ქალს აცვიათ ბენვეული, ტყავი და ბენვიანი ფართე სამოსელი – ტოლომა. ქალებს კაბა და ქურქი მიწამდე დაჰყვებათ.

იმერთა ჩაცმულობა მცირედ სხვაობს: პატარა ზომის ნაჭრის ქუდი, რომელიც თავს კი არ უბურავთ, არამედ კეფაზე ადევთ. და ზამთარში აცვიათ ოსმალური ტოლომა-ბენვიანი ფართო სამოსი.

მესხ დიდებულებს აცვიათ როგორც ოსმალებს, ხოლო გლეხებს – ზოგს ბერძნებსავით და ზოგს ქართველ გლეხთა მსგავსად.

### **[47] წარმომავლობისა და წილად მიღებული სამფლობელოების შესახებ**

ქართლოსი იყო ნოეს ძის, იაფეტის, შთამომავალი, რამეთუ იაფეტმა შვა ავანანი, ავანანმა შვა თარში, თარშმა შვა თარგამოსი, თარგამოსმა შვა რვა გმირი: ჰაოსი, ქართლოსი, მოვაკანი, ლეკანი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი. როდესაც გაიყვნენ ნოეს ძეები, დასაბამიდან 1758-ს, ბერძნულით 2785-ს, ქართულით 221-ს<sup>97</sup>, მაშინ თარგამოსს წილად ერგო ქვეყანა ამ საზღვრებში: აღმოსავლეთით – გურგანის ზღვა, დასავლეთით – პონტოს ზღვა, სამხრეთით ორეთის ანუ ქურთის მთა, ჩრდილოეთით – კავკასიონის მთა<sup>98</sup>. და ემორჩილებოდნენ ნებროთს. ხოლო შემდგომ, გაუყო რა თარგამოსმა თავისი წილი ქვეყანა თავის მემკვიდრეებს და მისცა მათ მათი წილი, ამ რვა ძმამ საკუთარი გმირობის წყალობით აღარ ისურვა ნებროთის დამორჩილება (რადგანაც იყვნენ გამორჩეული გმირები). ამის გამგონე ნებროთი განრისხდა, მიეჭრა და მრავალი დღე იბრძოდნენ; შემდგომ ნებროთი

მოკვდაჰაოსის ისრით არარატის მთაზე დასაბამიდან 1829, ბერძნულით 2856, ქართულით 292 წელს და გათავისუფლდნენ მონობისაგან. ხოლო რაც გათავისუფლებისთანავე გაუყო თარგამოსმა თავის ძეებს, ესაა იმ რვა ძმის სამფლობელოები და მათი წილის საზღვრები.

### **ჰაოსისი წილის შესახებ**

ჰაოსს მისცა აღმოსავლეთის საზღვრად კასპიის ზღვა, სამხრეთით ორეთის მთა, ჩრდილოეთით მთა, რომელიც იწყება პონტოს ზღვიდან, გამოივლის ბასიანის კარსა და მივა ბარდა არაზამდე, [48] და დასავლეთით – პონტოს ზღვა. ხოლო მისი სხვა წილი ესაა: აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, სამხრეთით არაზი და ზემოხსენებული მთა, რომლიდანაც მოედინება აქეთკენ მტკვრისა და პონტოს ზღვის შენაკადი მდინარეები და იქით – რასხისა; ჩრდილოეთით – კავკასიის დიდი მთა, სამხრეთის ჩრდილოეთ მხრიდან და დასავლეთით – პონტოს ზღვა. ამ ორი მთიდან რომელი მდინარეებიც გამოედინება და შეერთვის ამ ზღვებს, გაუყო თავის შვიდ ძეს.

### **ქართლოსის წილის შესახებ**

ქართლოსის საზღვარია: აღმოსავლეთით ბერდუჯის მდინარის მცირე მთა და გასწვრივ ხუნანის მთა კავკასიონს მიბჯენილ გუ-გულა ტყე-ტბამდე; სამხრეთით, ზემოხსენებული მთა, რომელიც გადაჭიმულია არაზიდან პონტოს ზღვამდე და საიდანაც გამოსული მდინარეები ერთვიან მტკვარსა და შავ ზღვას; ჩრდილოეთით კავკასიის მთა და ლადოს მთა სპერის ზღვამდე; და დასავლეთით მცირე ლიხის მთა და მთა, რომელიც გადაჭიმულია ტაოსა და კლარჯეთს შუა და ზღვამდე მიდის. იგივე პონტოს ზღვა და [ამ მთებს] შორის მოქცეული ტერიტორია ქართლოსის წილია.

### **ბარდოსის წილის შესახებ**

ხოლო ბარდოსის წილია: აღმოსავლეთით მდინარე რახსი, სამხრეთით წინათ ნახსენები მთა, რომლიდანაც გამოდიან მდინარეები და ერთვიან მტკვარს, დასავლეთით ბერდუჯის მდინარის მცირე მთა და ჩრდილოეთით მდინარე მტკვარი.

### **მოვაკანის წილის შესახებ**

ხოლო მოვაკანის წილია: აღმოსავლეთით გურგანის ზღვა, სამხრეთით მტკვარი ჩრდილოეთით კავკასიის მთა და დასავლეთით კი – ტერიტორია მცირე და დიდი ალაზნის შესართავიდან მტკვარამდე, გასწვრივ კავკასიონამდე.

### **[49] ჰეროსის წილის შესახებ**

ხოლო ჰეროსის წილია: სამხრეთით მოვაკანის საზღვარი, დასავლეთით მტკვარი, აღმოსავლეთით კავკასიონი და ჩრდილოეთით ხუნანის გავლით გულგულა ტყე-ტბა კავკასიონამდე.

### **ეგროსისი წილის შესახებ**

ხოლო ეგროსისი წილია: აღმოსავლეთით მცირე ლიხის მთა, სამხრეთით ლადოს მთა, ჩრდილოეთით კავკასია, დასავლეთით შავი, ანუ პონტოს ზღვა.

### **ლეკანის წილის შესახებ**

ხოლო ლეკანის წილია: აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, სამხრეთით და დასავლეთით კავკასიის მთა და კავკასოსის საზღვარი, ჩრდილოეთით დიდი ხაზარეთის მდინარე.

### **კავკასოსის წილის შესახებ**

ხოლო კავკასოსის წილია: კავკასიის ქედის ჩრდილოეთი მხარე, ლეკანის საზღვრიდან პონტოს, ანუ შავ ზღვამდე.

### **დამკვიდრებისა და კვლავ გაყოფის შესახებ**

ხოლო როცა ეს შვიდი ძმა მივიდა თავ-თავის წილხვედრ სამფლობელოსთან, დაიწყო დამკვიდრება. ქართლოსი, უხუცესი და მათი მთავარი, მოვიდა, სადაც მტკვარს ერთვის არაგვი და ამის დასავლეთით, სადაც სამხრეთიდან მტკვარს ერთვის მცირე მდინარე. ამ მდინარის ორ მთას შორის ააგო ქალაქი და უწოდა თავისი სახელი ქართლოს (რის გამოც ამ ქვეყანას ეწოდა ქართლი). და დაიკავა წილხვედრი სამფლობელო ბურდუჯის ტყე-ტბიდან სპერის ზღვამდე. ხოლო ქართლოსის შვილებს შორის გამოჩნდა ხუთი გმირი: მცხეთოსი, გაჩიოსი, გარდაბნოსი, კახოსი და კუხოსი. გმირობით გამორჩეული და უხუცესი

[50] იყო მცხეთოსი. ქართლოსის სიკვდილის შემდგომ მათმა დედამ ქართლოსის წილი ხუთ ძმას გაუყო და მისცა გარდაბნოსს ხუნანი და გარდაბანი; გაჩიოსს მისცა ობის<sup>99</sup> ციხე და გარდაბანში სკვირეთს ზემოთ მხარე აბოცის მთამდე და ფანავარამდე;<sup>100</sup> და კახოსს მისცა კახეთი და კუხოსს – კუხეთი. ხოლო მცხეთოსს, უწარჩინებულეს ძეს, მისცა თბილისი და არაგვის დასავლეთი ლიხის ქედამდე და სპერის ზღვამდე, ასევე ქართლოსის საზღვარი ტაო-კლარჯეთს შორისი მთა ზღვამდე და მთა, რომლიდანაც გამოედინებინ მდინარეები და ერთიან შავ ზღვასა და მტკვარს. ამის შემდგომ მცხეთოსის ძეთა შორის უფრო წარჩინებული იყო ეს სამი გმირი: პირველი – უფლოსი, მეორე – ოძრახოსი და მესამე – ჯავახოსი, რომელთაც მცხეთოსმავე გაუყო სამფლობელო და თავისივე შთამომავლები. უფლოსს მისცა თბილის-არაგვის მდინარის დასავლეთი ტაშისკარ-ლიხის მთამდე და თრიალეთი ფანავარამდე. ხოლო ოძრახოსს მისცა ტაშისკარის ზემოთა და მტკვრის დასავლეთი პონტოს ზღვამდე და კლდოვანი ადგილი ქართლოსის საზღვრამდე. ჯავახოსს მისცა მტკვრის აღმოსავლეთი ფანავარამდე და მტკვრის სათავემდე. ხოლო უფლოსს დარჩა მამამისის სამკვიდრო მცხეთაში. და ემორჩილებოდა ქართლოსის ყოველი შთამომავალი ამ დრომდე. მაგრამ შემდგომ, მოკვდა რა მცხეთოსი, აღარ დაემორჩილენ უფლოსს, დაიწყეს შფოთი და თავდასხმა ერთმანეთზე და იმდენად გაძლიერდა მათ შორის ასეთი შური და თავდასხმები, რომ მათი დამბადებელი ღმერთი მიივიწყეს და ემსახურებოდნენ მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს. უმეტესად კი მათი საფიცარი იყო ქართლოსის საფლავი; ეს იყო დასაბამიდან 2267, ქართულით 198 წელს. მაგრამ როდესაც დაზავდებოდნენ, კვლავ მათ შორის უწარჩინებულესი და ბატონი იყო მცხეთის ქალაქში მჯდომი, რადგანაც განდიდებული იყო ძლიერ მცხეთა; ოღონდ იქ მჯდომს უწოდებდნენ არა მეფეს, არც [51] მთავარს, არამედ მამასახლისს, თუმც კი ყველა მას ემორჩილებოდა; ხოლო თუ კვლავ შფოთსა და თავდასხმას დაიწყებდნენ, თავ-თავიანთ მთავრებს დასვამდნენ და იყვნენ ასე გარკვეული დროის განმავლობაში.

ამის შემდგომ გაძლიერდნენ ხაზარები და ებრძოდნენ კავკასოსის ძეებს. და კავკასოსის შთამომავალთა შორის სხვებზე უწარჩინებულესი იყო ძურძუკოს ტინენის ძე. ის მოეთათბირა ექვს ნათესავ ძმას (რადგანაც მაშინ ერთმანეთის მიმართ სიყვარულით იყვნენ განწყობილნი და ემორჩილებოდნენ მცხეთელ მამასახლისს), რომ

ერთმანეთს დაეხმარებოდნენ. მაშინ ამ შვიდმა ნათესავმა პირი შეკრა, შეიკრიბა და გადაიარეს კავკასიის ქედი, ამოჟლიტეს და დაატყვევეს ხაზარეთი. და ააგეს ხაზარეთის პირას ციხე (ბერძნულთ 3861-ში, ხაზარეთის მდინარეა დონის წყალი; ხაზარეთი კი მოიცავს დონის წყლიდან დნესტრამდე შავის ზღვის ნაპირს, ვიდრე ლიტოვამდე და რუსეთამდე) და წამოვიდნენ თავ-თავისთვის დასაბამიდან 2302, ქართულით 232 წელს. ამის შემდგომ ხაზარებმა მიიწვიეს<sup>101</sup> მეფე, შეიკრიბნენ მისი ხელისუფლების ქვეშ და გამოიარეს დარუბანდის გზა. ამას წინ ვერ აღუდგნენ თარგამოსიანელები; ხაზარები შემოვიდნენ, ააოხრეს და დაატყვევეს თარგამოსის შთამომავლები დასაბამიდან 2310, ქართულით 241 წელს; აითვისეს დარუბანდისა და არაგვის გზა და ხშირად ესხმოდნენ თარგამოსიანელებს, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში მათი მოხარკეები იყვნენ.

### **სპარსთა მეფე აფრიდონი**

ამის შემდგომ გაძლიერდნენ სპარსელები და სპარსეთის მეფე აფრიდონმა გამოგზავნა თავისი ერისთავი არდამი. მან გადაკეტა ზღვის გზა და ეწოდა დარუბანდი, ანუ „დახშოკარი“. მანვე შემოავლო მცხეთას გალავანი დასაბამიდან 2342, ქართულით 273 წელს. და დაიპყრო მან, არადამმა, ეს შვიდივე მემკვიდრე. ხოლო შემდგომ, როდესაც გაიყვნენ სპარსეთის მეფე აფრიდონის ძეები [52] და დაიწყეს ერთმანეთში ბრძოლა, მაშინ შვიდივემ მოითათბრა, ამოხოცა სპარსელთა ერისთავები და დაემორჩილა მცხეთელ მამასახლისს. ხოლო ეგრის-წყლის იქით მყოფნი მიუერთდნენ ბერძნებს, რადგანაც მათი მეშვეობით სძლიეს სპარსელებს და აღარ ერჩოდნენ მცხეთელ მამასახლისს. ასევე რანი და მოვაკანი დარჩათ სპარსელებს და დანარჩენი კი დარჩა მცხეთელი მამასახლისის მორჩილებაში.

### **ქექეოს სპარსთა მეფე**

შემდეგ გაძლიერდნენ სპარსელები და მოვიდა სპარსელთა მეფე ქექეოსი ლეკეთში და ვერ შევიდა, რადგანაც დააბრმავა ვილაც ლეკმა. ამანაც ქართლი მოხარკედ გაიხადა და წავიდა დასაბამიდან 2434, ქართულით 365 წელს.

## **ისრაელელთა გამოსვლა ზღვიდან**

ამის შემდგომ მოვიდა ამბავი, რომ ისრაელელებმა გამოიარეს ზღვა დასაბამიდან 2454, ქართულით 385 წელს; და ყოველმა წარმართმა აქო ღმერთი ისრაელელებისა. ამის შემდგომ ვერ მოიცალეს სპარსელებმა, დრო იხელთეს ქართველებმა, განუდგნენ და ემორჩილებოდნენ მცხეთელ მამასახლისს.

## **ფარემუზ სპარსთა მეფე**

ამის გამგონე სპარსეთის მეფე ფარმოტმა გამოგზავნა თავისი ძე თარგამოსიანთა დასამორჩილებლად; მაგრამ ესენი შეიკრობნენ ადრაბაგანში<sup>102</sup>. იქ შეებრძოლნენ, განდევენეს სპარსელები და უამრავი ამოჟლიტეს დასაბამიდან 2482, ქართულით 413-ს. დაბრუნდნენ შინ გამარჯვებულები.

## **ქაიხოსრო სპარსთა მეფე**

შემდგომ ისევ გამოგზავნა თავისი ძე სპარსთა მეფე ხოსრომ; შემოვიდნენ, შემუსრეს, დაანგრიეს ციხე-ქალაქები და ააოხრეს, მოხარკედ გაიხადეს და წავიდნენ დასაბამიდან 2490, ქართულით 421-ში. [53] კვლავ ვერ მოიცალეს სპარსელებმა თურქების გამო და დასაბამიდან 2525, ქართულით 456 წელს გათავისუფლდნენ ქართველები სპარსელთა მოხარკეობისგან და მცხეთელ მამასახლისს ემორჩილებოდნენ მრავალი წლის განმავლობაში.

ხოლო ამ დროს შემოვიდა სპარსელთაგან ლტოლვილი თურქული საგვარეულო სახლების 2800 კაცი. მცხეთელმა მამასახლისმა მიუჩინა ადგილები და დაასახლა. ასევე ამ დროში ვინც კი მოდიოდა – ასურელები, ბერძნები, ხაზარები – ქართველები სპარსელთა შიშით ყველას ემეგობრებოდნენ და იღებდნენ თავიანთ ქვეყანაში და სპარსელთა მოლოდინში ამაგრებდნენ ციხე-ქალაქებს.

## **ნაბუქოდონოსორ სპარსთა მეფე**

შემდგომ კვლავ მოვიდნენ ნაბუქოდონოსორისგან ლტოლვილი ებრაელები<sup>103</sup> დასაბამიდან 3363, ქართულით 230 წელს. დაასახლა ისინი მცხეთელმა მამასახლისმა ხერკში,<sup>104</sup> არაგვის ჩრდილოეთ მხარეს. ამ დრომდე საქართველოს ენა იყო სომხური და იმდენი შთამომავლის წყალობით დაინყეს ქართულ ენაზე ლაპარაკი. რჯულიც ყველაზე

უბოროტესი ჰქონდათ, რადგანაც არ იცოდნენ არც ნათესავი, არც ცოლ-ქმრობა, ყოველგვარ სულიერს, ბილნსაც კი, ჭამდნენ, მკვდარი კაცის ჩათვლით.

### **გოსტასაბ სპარსთა მეფე**

და შემდგომ კვლავ მოიცალეს სპარსელებმა და გოსტასაბ მეფემ გამოაგზავნა თავისი ძე სპანდიერ რვალი, რომელიც ადრაბაგანში; ამას შეუშინდნენ ქართველები და ამაგრებდნენ ციხე-ქალაქებს, რადგანაც არ შეეძლოთ წინააღმდეგობა. [54] ამ ამბავმა მიაღწია სპარსთა მეფის ძის, სპანდიერის, ყურამდე, გაბრუნდა სპარსეთშივე დასაბამიდან 3407, ბერძნულით 4966, ქართულით 274 წელს და დარჩნენ ქართველები მშვიდობით. შემდგომ კვლავ გაძლიერდნენ სპარსელები და სპარსელთა მეფე ბაამანმა ბერძნები და რომაელები მოხარკედ გაიხადა; ასევე ამ ყოველ ტომსაც დაადო ხარკი დასაბამიდან 3419, ქართულით 286-ში. ამდენი ტომის წყალობით ქართლში იყო ექვსი სასაუბრო ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ბერძნული, ებრაული. ამ ენებზე ლაპარაკობდნენ კაცებიცა და ქალებიც.

### **ალექსანდრე მაკედონელი**

ხოლო როდესაც გამოჩნდა ალექსანდრე ბრძენი მაკედონელი და დაიპყრო დასავლეთი, შემდგომ დაიპყრო ეგვიპტე და შევიდა აღმოსავლეთში, სძლია სპარსელებს და მათ მეფეს.<sup>105</sup> შემდეგ შემოვიდა ქართლში დასაბამიდან 3623, ქართულით 490-ში. ნახა წარმართთა ეს უბოროტესი ტომები და ამოჟლიტა ალექსანდრემ ყოველი შერეული ტომი, გარდა ქართლოსიანებისა და ებრაელებისა, დაიპყრო საქართველო, ჩააყენა 100000-იანი ლაშქარი და მათ მთავრად დაადგინა მაკედონელი აზონ ძე იარედისა, ასევე აღმოფხვრა მკვდრის ჭამა და რჯულად დაუდგინა დამბადებელი ერთი ღმერთის თაყვანისცემა და მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა პატივისცემა; თვითონ კი წავიდა.

ხოლო ეს აზონი იყო სისხლისმღვრელი და მტრობისმოყვარე კაცი. და თუკი ვინმე კარგი აღნაგობისა გამოჩნდებოდა ქართლში, კლავდა. ასევე ექცეოდა საკუთარ ლაშქარს. ამიტომაც აზონის გამო საქართველოში დიდი გასაჭირი იყო. ხოლო როდესაც მოკვდა ალექსანდრე მაკედონელი და მისმა [55] მთავრებმა სამფლობელოები გაიყვეს, აზონი დარჩათ ბერძნებს. აზონმა მიატოვა ალექსანდრეს

რჯული და შექმნა დიდი კერპები – გაცი ოქროსი და გაიმი ვერცხლისა და ემსახურებოდა მცირე აზიის მეფეს. ამ აზონის დროს დაიწყო ქართველებმა თავიანთი შვილების კერპებისთვის შეწირვა და არ შეუჩერებია აზონს, არამედ თვითონაც კლავდა.

### **ფარნაოზის ამბავი**

ამ დროს იყო ჭაბუკი, სახელად ფარნაოზი, შთამომავლობით ქართლოსიანი. ფარნაოზის ბიძა, სახელად სამარა, ალექსანდრე მაკედონელის მოსვლის დროს მცხეთის მამასახლისი იყო. სამარა და ფარნაოზის მამა, სამარას ძმა, ალექსანდრემ დახოცა, ხოლო სამი წლის ფარნაოზი დედამისმა, რომელიც წარმოშობით სპარსელი იყო, გააპარა კავკასიაში და იქ აღზარდა, ხოლო შემდგომ კვლავ ჩამოვიდა მცხეთაში. ფარნაოზი იყო მამაცი, ძლიერი და წარმოსადეგი, მონადირე, მარდი, სწრაფი. მას დედამისი აზონისგან მალავდა და უპირებდა სპარსეთში გაგზავნას. მაგრამ ფარნაოზს ძნელად ესახებოდა მამულის დატოვება. ხოლო ერთ დღეს იხილა ფარნაოზმა სიზმარი, რომ უნდა გასულიყო სახლიდან და ვერ შეძლო. მაშინ სარკმელიდან მზე მოადგა, წელზე შემოერთყა, გასწია და გაიყვანა გარეთ და დაინახა, მზე მის ფეხებთან იყო. მოსწმინდა ფარნაოზმა ცვარი მზეს და პირზე იცხო. როდესაც გამოფხიზლდა, იფიქრა: „წავალ სპარსეთში და იქ მოვიპოვებ სიკეთეს.“ ამის შემდგომ ჩვეულებისამებრ წავიდა სანადიროდ დიღმის მიდამოებში, სტყორცნა ისარი ირემს და დაჭრილი ირემი გაიქცა თბილისის მხარეს, მისდია მას და დაენია. როდესაც წაქცეულ ირემს კლავდა, ფარნაოზს ბინდი და ძლიერი წვიმა შემოესწრო და ეძებდა თავშესაფარს. მაშინ იპოვა გამოქვაბული, რომლის კარიც ამოქოლილი იყო. გააძრო ჩულგული<sup>106</sup> და გამოკვეთა კარი. იქ შესულმა კი ნახა ოქროსა და ვერცხლის დიდი განძი და [56] ძალზე გაიხარა. დილით ამოქოლა კარი და წამოვიდა მცხეთაში. ღამით დაიწყო განძის გამოტანა და დაფლა თავისი წარმატებისთვის. ამ დროშივე იყო ქართლოსის შთამომავალი, სახელად ქუჯი. ფარნაოზმა მასთან კაცი წარგზავნა, რომ დახმარებოდა ამ განძით და ემტროთ აზონისათვის. ამას (ქუჯის) ძალზე გაუხარდა და თავისთან მიიყვანა ფარნაოზი. მათ შეკრიბეს ოსები და ლეკები, რადგანაც აზონი ბოროტების გამო მათაც სძულდათ და არ სურდათ ხარკის მიცემა. ყველანი გაერთიანებულნი წამოვიდნენ აზონის წინააღმდეგ. ეს რომ გაიგო აზონმა, მანაც შეკრიბა მათ

წინააღმდეგ ლაშქარი. მაგრამ რომელი ათასი მხედარიც<sup>107</sup> განუდგა აზონს და შეუერთდა ფარნაოზს. ამის მნახველი აზონი საკუთარ ლაშქარსაც შეუშინდა, წავიდა და კლარჯეთი გაამაგრა.

### **1. მეფე ფარნავაზი. 65 წელი იმეფა**

ფარნაოზმა დაიპყრო მთელი საქართველო დასაბამიდან 3647, ქართულით 513, ბერძნულით 5206 წელს; შემოვიდა მცხეთაში, გახდა მეფე და დაემორჩილნენ სრულიად საქართველოს მკვიდრნი. წარგზავნა დესპანი ასურეთის მეფესთან და აღუთქვა მორჩილება, რათა ის დახმარებოდა აზონის წინააღმდეგ. ხოლო იმან გამოუგზავნა სამეფო გვირგვინი, უწოდა თავისი ძე და მისწერა სომხეთის ერისთავებს, რომ აზონის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდნენ ფარნაოზს. ორი წლის შემდგომ აზონმა მოიკრიბა ძალა ბერძნებისაგან და გამოემართა საბრძოლველად. მაშინ ფარნაოზმა შემოიკრიბა საქართველოს მკვიდრნი და შეიერთა სომხეთის ერისთავებიც. შეებრძოლა აზონს ერუშეთის ნაქალაქართან. ძლიერი ბრძოლის შემდგომ გაიქცა აზონის ბანაკი, აზონიც მოკვდა და მისი ლაშქარიც ამოწყდა. მაშინ ფარნაოზმა დაიპყრო კლარჯეთი, იქიდან შევიდა და დაარბია საბერძნეთის საზღვარი – ანძიდორი და ეკლესია, შეიმატა აზონის განძი და ქონება და [57] გაძლიერდა სიმდიდრით. მოზრუნებული ფარნაოზი შემოვიდა მცხეთაში და მართა თავისი სამფლობელო; ძურძუკეთიდან მოიყვანა ქალი, ცოლად შეირთო და საქართველოში ცხრა საერისთავო ჩამოაყალიბა.

### **საერისთავოთა შესახებ**

პირველს ქუჯის მისცა სამფლობელო რიონის დასავლეთი ზღვამდე და ეგრისის წყლამდე სვანეთითურთ და თავისი და შერთო ცოლად; ეგრისს იქითა ბერძნებმა არ მოისურვეს აჯანყება. ხოლო მეორე და მისცა ცოლად ოსთა მეფეს. მეორე ერისთავი დასვა მარგვეთის<sup>108</sup> შორაპანში და მისცა სამფლობელოდ მცირე ლიხიდან ზღვამდე ლაღოს მთასა და რიონს შუა ტერიტორია. მესამე დასვა კახეთში, კუხეთსა და ჰერეთში. მეოთხე დასვა ხუნანში; მისცა ბერდუჯსა და მტკვარს შუა ტერიტორია თბილისამდე. მეხუთე დასვა სამშვილდეში და მისცა სკვირეთის მდინარიდან გაზიანის ზემოთა ადგილები ფანავრამდე აბოცის ჩათვლით. მეექვსე დასვა წუნდაში და მისცა მტკვრის აღმოსავლეთი სანაპირო ფანავრამდე და მტკვრის სათავემდე; მეშვიდე –

ოძრახოსში და მისცა ტაშირისკარი ზემოთა მხარე პონტოს ზღვასა და ქოროხამდე; მერვე – კლარჯეთში და მისცა ადგილები, რომლებიც თვითონ დაიპყრო საზღვრითურთ პონტოს ზღვამდე; მეცხრე დაადგინა შიდა ქართლში და მისცა ყველა ერისთავისა და ლაშქრის სარდლობა. და იგი კრეფდა ხარკს ამათგან. ხოლო ის ათასი რომაელი გაანაწილა სხვადასხვა ადგილსა და ხეობაში; დასვა და უწოდა აზნაურები. ფარნაოზი იყო ქართლის პირველი მეფე. მან ააშენა და აავსო თავისი სამფლობელო, შემოზღუდა ქალაქები და ციხეები გაამაგრა; და შექმნა ქართული წიგნი და გაავრცელა ქართული ენა; და ბრძანა, რომ აღარ ელაპარაკათ ქართულის გარდა სხვა ენაზე. და თავის [58] სახელზე აღმართა დიდი კერპი არმაზი (რადგანაც თავდაპირველად ფარნაოზს არმაზი ეწოდებოდა), რომელიც დადგა ქართლოსის საზღვარზე, გაცისა და გაიმის კერპებს შორის. ფარნაოზი 27 წლისა გამეფდა და 65 წელი მშვიდობითა და უშფოთველად იმეფა. შემდგომ მოკვდა დასაბამიდან 3712, ბერძნულით 5271, ქართულით 47 წელს. დაკრძალეს იგი არმაზის, მისივე კერპის, წინ მთაზე – ქართლში.

## **2. მეფე საურმაგი. 75 წელი იმეფა**

მის შემდგომ დაჯდა მეფედ მისი ძე საურმაგი. მაგრამ მისი მეფობა არ მოსწონდათ ქართველებს. რომ არ დამორჩილებოდნენ თავიანთ მონათესავეს, ამიტომაც შეთანხმდნენ საურმაგის მოსაკლავად. შეიტყუო ეს საურმაგმა და გაიქცა ძურძუკეთში, თავის დედულებში. ხოლო რომაელები ფარნავაზის საკეთილდღეოდ მიჰყვებოდნენ საურმაგს. შემოიკრიბა საურმაგმა ძურძუკები<sup>109</sup> და ოსები, ჩამოვიდა და კვლავ დაიკავა საქართველო. ამის გამო დაამდაბლა ქართველები და აღაზვეა თავისი დედის მონათესავენი და რომაელი აზნაურები. ძურძუკეთი ვერ იტევდა მოსახლეობას, საურმაგმა აჰყარა ისინი კავკასიიდან და ჩაასახლა დიდოეთსა და სვანეთში ეგრისამდე. და დაიპყრო ეს ადგილები დასანდობად. მან მცხეთის გზაზე აღმართა კერპები – ანიანი და დანიანი. საურმაგს არ ჰყავდა მემკვიდრე, ამიტომაც მოიყვანა ცოლის დეიდაშვილის შვილი, სახელად მირვანი, თავისი სამეფოს მემკვიდრედ და მისცა გაჩიანი და საერისთავოდ – სამშვილდე; ხოლო თავისი ასული ცოლად შერთო; მეორე ასული კი მისცა ქუჯის ძეს. შემდგომ მოკვდა საურმაგი დასაბამიდან 3787, ქართულით 122 წელს.

### **3. მეფე მირვანი. იმეფა 50 წელი**

დაჯდა მის ნაცვლად მირვანი, მისი სიძე და შვილობილი. მცირე დროის შემდგომ ძურძუკებმა დაივიწყეს ფარნაოზის სიყვარული, გადმოვიდნენ და აიკლეს კახეთი და ბაზალეთი [59] და გაბრუნდნენ ნადავლით. მაშინ შეკრიბა მირვანმა ლაშქარი, მივიდა და დაესხა ძურძუკეთს, რადგანაც იყო გმირი და გოლიათი, რომელსაც ვერ კვებდა ძურძუკთა მახვილი, როგორც მყარ კლდეც; მან სძლია, ამოწყვიტა და დაატყვევა ძურძუკები და გამარჯვებული დაბრუნდა მცხეთაში. შემდგომ მოეთათბირა სომეხთა მეფე არშაკს და მის ვაჟს, ასევე არშაკს მისცა თავისი ასული. ხოლო იყო მირვანი ნებროთის შთამომავალი, უხვი და კეთილი; და ქართველებმაც შეიყვარეს იგი მისი სიკეთისათვის და სიკეთითვე მეფობდა. მოკვდა დასაბამიდან 3856, ხოლო ქართულით 192 წელს.

### **4. მეფე ფარნაჯომი. 19 წელი იმეფა**

გამეფდა ძე მისი ფარნაჯომი. მან შეიყვარა სპარსთა რჯული<sup>110</sup> და შეიძულა ქართველთა კერპები. ააგო მცხეთაში საცეცხლე. ამის გამო შეიძულეს იგი ქართველებმა, რადგანაც საკუთარი კერპების დიდი იმედი ჰქონდათ და მოეთათბირნენ ქართველები სომეხთა მეფეს, რომ გამოეგზავნა თავისი ძე, რომელსაც ცოლად მირვანის ასული ჰყავდა. სომეხთა მეფემ გამოაგზავნა თავისი ძე და ლაშქარი. ამის გამგონე ფარნაჯომმა შეიერთა სპარსთა ძალა და შეებრძოლნენ ერთმანეთს ტაშირში. მაშინ დამარცხდა ფარნაჯომი და მახვილით ამოწყდა მისი ლაშქარი; თვით ფარნაჯომ მეფეც მოკლეს დასაბამიდან 3856 წელს, ქართულით 191 წელს.

### **5. მეფე არშაკი. 12 წელი იმეფა**

მოიყვანეს და სრულიად საქართველოს მეფედ დასვეს სომეხთა მეფის ძე არშაკ არშაკუნიანი, ხოლო ფარნაჯომის მემკვიდრე ერთი წლისა წაიყვანეს სპარსეთში. ამ არშაკმა იმეფა უშფოთველად და შეჰმატა ციხე, ქალაქი და სიმაგრე სრულიად საქართველოს; შემდგომ მოკვდა დასაბამიდან 3868, ქართულით 203 [წელს].

## **[60] 6. არტაგ მეფე. 15 წელი იმეფა**

მის შემდგომ მეფედ დაჯდა მისი ძე არტაგი. არტაგის მეფობის ორი წლის შემდგომ მოვიდნენ სპარსელები თავიანთი ლაშქრის სისხლის ასაღებად. მათ ვერ გაუწია წინააღმდეგობა არტაგმა და გაამაგრა ციხე-ქალაქები. სპარსელებმა ააოხრეს ქართლი, ციხე-ქალაქებიცა და გაბრუნდნენ. მეფობის რამდენიმე ხნის შემდგომ მოკვდა არტაგი დასაბამიდან 3883, ქართულით 218 [წელს].

## **7. მეფე ბარტომი. 33 წელი იმეფა**

გამეფდა მისი ძე ბარტომი, რომელმაც ცოლად შეირთო არშაკუნიანი ქალი. მან საქართველოს შემატა ციხე-სიმაგრეები. მაგრამ მას არ ჰყავდა მემკვიდრე, ამიტომაც მოიყვინეს ქუჯის ძის შვილი ქართამი, რომელიც ასევე იყო საურმაგ მეფის ასულის შვილი; და მისცა ბარტომმა მას ცოლად თავისი ასული და სამეფო მემკვიდრედ იშვილა. (ასე იმიტომ მოიქცა, რომ ქართველებს თავიანთ მეფედ არავინ უნდოდათ, გარდა ფარნავაზიანელებისა. ამის შემდგომ ფარნავაზიანობა გაგრძელდა ქუჯის ცოლისა და საურმაგის ასულის შტოსგან). ხოლო, როდესაც სპარსეთში მყოფი მირვან ფარნაჯომის ძე გაიზარდა, რადგანაც იყო გმირი და გოლიათი, გამოცდილი ბრძოლასა და ლაშქრობაში, მან შეკრიბა სპარსეთის ლაშქარი, მოვიდა და მიუგზავნა ქართველებს: „მამაჩემი სამართლიანად მოკლეს ურჯულიებისათვის, მე კი თქვენს რჯულს ვაღიარებ და თქვენ მეფეთა შვილი ვარ. მაშ, მოდით ჩემთან და მიიღეთ ჩემგან დიდძალი განძი.“ მაგრამ იგი არ ინდომეს ქართველებმა, რადგანაც ბარტომ მეფის ერთგულნი იყვნენ; მხოლოდ მცირერიცხოვანი არანარჩინებულები მიემხრნენ მირვანს. მაშინ ბარტომმა შემოიკრიბა ლაშქარი, შეიერთა ძალა სომხეთიდანაც, დაბანაკდა ხუნანში და ზურგის გასამაგრებლად ციხე დაიკავა. ორივე ლაშქარში გამოჩნდნენ გოლიათები და იბრძოდნენ ერთი თვის განმავლობაში. მირვანმა თვითონ მოკლა თორმეტი ბუმბერაზი და აღარავინ იყო მასთან შემბრძოლებელი (თვით ბარტომ მეფეც ვერ შეედრებოდა გოლიათობით). შემდგომ, მეორე დილას, ბარტომი მთელი ლაშქრით დაესხა მირვანს და დაიწყო [61] დიდი ბრძოლა, დამარცხდა ბარტომ მეფე, ამოიხოცა მისი ლაშქარი და თავად ბარტომიც მოკვდა. იმავე ბრძოლაში ასევე მოკვდა მისი შვილობილი ქართამი დასაბამიდან 3916-ს, ქართულით 251 [წელს].

## 8. მეფე მირვანი. 10 წელი იმეფა

მაშინ შემოვიდა მირვანი და დაიპყრო საქართველო, ფიცით მიიწოდა, გაიერთგულა ყოველი ქართველი და გამეფდა. შემდგომ გამოიყვანა სამშვილდიდან ბარტომის ცოლი და შეირთო (ხოლო ქართამის ცოლი ფეხმძიმე ნაიყვანეს სომხეთში და იქ შვა ძე ადერკი). მირიანმა გარკვეული დრო იმეფა წარმატებით, შემდგომ მოკვდა დასაბამიდან 3927-ს, ქართულით 262 [წელს].

## 9. მეფე არშაკი. 20 წელი იმეფა

გამეფდა მისი ძე არშაკი. და იყო იგი წარმოსადეგი, ახოვანი, ძლიერი და მხნე. ხოლო როდესაც გაიზარდა ადერკი სომხეთში, შემოიკრიბა სომხეთის ლაშქარი, რადგანაც იყო ბრწყინვალე, წარმოსადეგი, გმირი, ახოვანი, მოკლული ჰყავდა ბევრი სპარსელი, ბერძენი, არაბი გმირი და ბრძოლის დიდი გამიცდილება ჰქონდა. არშაკის მეფობის მე-6 წელს მოვიდა იგი თრიალეთში. გაიგო რა ეს არშაკმა, შეკრიბა ლაშქარი, შეიმატა სპარსელთა ძალა და ესეც იქ მივიდა. მაშინ ადერკმა ბრძოლაში გაიხმო არშაკი, რათა ის გამეფებულიყო, ვინც გაიმარჯვებდა. გაიხარა არშაკმა, აღიჭურვა და გაეშურა; ადერკიც მივიდა. ეკვეთნენ ერთმანეთს და სასტიკად იბრძოდნენ შუბით, ლახტით, ხმლითა და ჩუგლუგით. მაგრამ იმ დღეს ვერც ერთმა ვერ სძლია მეორეს და სალამოს დაიხიეს უკან. მეორე დღეს კვლავ გამოვიდნენ შეიარაღებულები და ერთმანეთს დაუშინეს ისრები. გაფიცხდა ადერკი და არშაკს მკერდში ჰკრა ისარი, ვერ დაიფარა აღჭურვილობამ და გაიარა მასში. არშაკი ჩამოვარდა ცხენიდან და მოკვდა. მაშინ ადერკმა შეჰყვილა: „იი, ვერიე“, შებრუნდა თავისი ლაშქრისკენ და შეევედრა, [62] არ აღემართათ მახვილი ქართველებზე. შემდგომ შემობრუნდა და უთხრა ქართველებს: „მე ვარ თქვენი მეფის ძე; აი, არ შემოვუშვი სომეხთა ლაშქარი თქვენს ამოსახოცად“. მაშინ ქართველებმა გამოიტანეს არშაკის გვირგვინი და ყველამ ერთად დაადგა ადერკს თავზე და გაამეფეს დასაბამიდან რომაულით 3947-ს, ბერძნულით 5506-ს, ქართულით 282 [წელს], პირველ ინდიქტიონში<sup>110</sup>.

## 10. მეფე ადერკი. იმეფა 57 წელი

დაიპყრო ადერკმა მთელი საქართველო და შეირთო ცოლად სომეხთა მეფის ასული. მისი მეფობის პირველ წელს იშვა უფალი ჩვენი იესო

ქრისტე. მოვიდა ამბავი, რომ შევიდნენ სპარსელები იერუსალიმის ასაკლებად და შეწუხდნენ მცხეთელი ებრაელები. მაგრამ კვლავ მოვიდა ამბავი, რომ შევიდნენ სპარსელები არა ასაკლებად, არამედ ახალშობილი ყრმისათვის თაყვანის საცემად. ოცდაათი წლის შემდგომ გამოიკითხეს მცხეთელმა ებრაელებმა იერუსალიმიდან იესო ქრისტეს ჯვარცმისა და განკითხვის ამბავი. ხოლო ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი ებრაელები წავიდნენ და ჩამოიტანეს უფლის კვართი მცხეთაში. ხოლო შემდგომ, 35 წელს, მოვიდნენ მოციქულები ანდრია პირველწოდებული და სვიმეონ კანანელი. ანდრიამ მოაქცია მეგრელები და წავიდა; ხოლო სვიმეონი მოკვდა იქ და დაკრძალეს ნიკოფსიაში. ეს რომ გაიგო ადერკმა, შერისხა მეგრელები და დამალეს ხატები და ჯვრები. ასევე შერისხა კლარჯეთის ერისთავი ანდრიას მშვიდობიანად გაშვების გამო. ამავე პერიოდში სპარსეთში მეფობა დაიწყო აჟლანმა (რადგანაც მას შემდგომ, რაც სპარსეთში შესული იყო ალექსანდრე დიდი, აღარ არსებობდა სპარსთა მეფობა) და ემორჩილებოდნენ სომხები და ქართველები. ხოლო ადერკს ჰყავდა ორი ძე – ბარტომი და ქართამი. ამათ გაუყო სამეფო: ბარტომს [63] მისცა მცხეთა და ჰერეთის ჩრდილოეთი მხარე ეგრისის ზღვამდე; ხოლო ქართამს – არმაზი და სამხრეთი მხარე ბერდუჯიდან პონტოს ზღვამდე. ადერკის მეფობამდე რამდენი მემკვიდრეც არ უნდა ყოფილიყო, ერთი მეფე ჰყავდათ, ხოლო ამან ასე გაყო. თავად გამეფდა 30 წლისა და წარმატებითა და ნებიერად იმეფა 57 წელი; შემდეგ მოკვდა დასაბამიდან 4004, ქრისტეშობის შემდგომ 55, ქართულით 339 [წელს].

### **11. მეფეები ბარტომი და ქართამი. 17 წელი იმეფეს**

და გამეფდნენ ადერკის ძეები: მცხეთაში – ბარტომი, ხოლო არმაზში – ქართამი. ამათი მეფობის დროს ტიტევესპასიანემა იაკლო იერუსალიმი და მოვიდნენ ლტოლვილი ებრაელები, რომელთაც თან მოჰყვა ძე ბარაბასი, რომელიც უფლის ჯვარცმის დროს გაათავისუფლეს. და მოსულები დამკვიდრდნენ სხვა ებრაელებთან ერთად. ხოლო ბარტომმა და ქართამმა ერთმანეთის სიყვარულით იმეფეს, შემდეგ დაიხოცნენ დასაბამიდან 4021, ქრისტეშობის 72, ქართულით 356 [წელს].

## **12. მეფეები კაოსი და ფარსმანი. 15 წელი იმეფეს**

მათ შემდგომ დასხდნენ მათი ძეები, ბარტომის ძე კაოსი – მცხეთაში და ქართამის ძე ფარსმანი – არმაზში. და ზემოხსენებულ მეფეებს უყვარდათ სომხები. ხოლო მირვან სომეხთა მეფემ დაივიწყა მათი სიყვარული და ქართლს ნაჰგლიჯა სასაზღვრო ადგილები – ნუნა და არტანი მტკვრამდე. ნუნას უწოდა ქაჯთა-ტუნი (რომელიც ნიშნავს დევთა სახლს). მაგრამ ამ მეფეებმა ვერ აღადგინეს თავიანთი საზღვრები და შემდგომ დამწუხრებულები დაიხოცნენ დასაბამიდან 4036, ქრისტესით 87, ქართულით 371 [წელს].

## **[64] 13. მეფეები არმაზელი და აზორკი. 16 წელი იმეფეს**

გამეფდნენ: მცხეთაში – კაოსის ძე არმაზელი და არმაზში – ფარსმანის ძე აზორკი. ესენი იყვნენ მამაცი და მარჯვე მეომრები. გადაწყვიტეს ქართლის საზღვრის აღდგენა და მოიყვანეს ოსეთის მეფე ორი ძმა – ბაზუკი და ამბაზუკი ლაშქრითურთ და ასევე ლეკები. შევიდნენ და აიკლეს სომხეთი ისე, რომ თავად არ დაზიანებულან. გამოიარეს მტკვარი და შევიდნენ კამბეჩოვანში. ხოლო ამ ამბის შემტყობი სუმბატი ვრიტიანი უკან გამოუდგათ მცირე ლაშქრითურთ და აცნობა მეფეებს, რომ უკან დაებრუნებინათ ტყვეები, ნადავლი თქვენი იყოს და უკან გავბრუნდებოდით. ხოლო ჩრდილოელებმა მიუგეს: „შენ გეძებდით და ვერ გიპოვეთ. ახლა გამოდი, რათა მალევე მოკვდე ჩვენი ხელით.“ ეს რომ გაიგო, შეიარაღდა სუმბატი და გამოვიდა. აქედან გაუხტა ბაზუკი. სცა შუბი სუმბატმა ბაზუკს და მეორე მხარეს გაუტარა, აიღო უნაგირიდან, ძირს დასცა და მოკლა. დაინახა ეს ამბაზუკმა და თავს დაესხა. ხოლო სუმბატი მისწვდა ბაზუკის შუბს, სცა ამბაზუკს, აიღო ისიც და მიწას დაანარცხა, მოკლა და შესძახა: „ეს სომხთა სისხლისთვის“. მაშინ ყველა ჩრდილოელმა ერთიანად შეუტია და ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი იყო. დამარცხდნენ ჩრდილოელები, შემოაფარეს თავი მცხეთას და არმაზს და ციხე-ქალაქები გაამაგრეს. ხოლო სუმბატი შემოვიდა ქართლში და აიკლო; მაგრამ მზად არ იყო ციხეთა ასაღებად და დემოთში – სამცხეში დატოვა ლაშქრი წუნის საშველად და ოძრახოსზე საზრუნველად, თავად კი გაბრუნდა. მაგრამ მეფეები არ შეშინდნენ სიმამაცის გამო და მათ ოსებიც დაუმეგობრდნენ დახოცილ მეფეთა სისხლის ასაღებად. და მუდამ არბევდნენ სომხეთს, რადგანაც კლარჯეთისა და ოძრახეს ერისთავები მტკიცედ იცავდნენ არმაზელის ერთგულებას. მათ ეგრისელებიც დაეხმარნენ და ებრძოდნენ

[65] სომხეთს. შემდგომ მოვიდა სომეხთა მეფე არტაშანი და მასთან – სუმბატიც. ქართველები წინ ვერ აღუდგნენ, მაგრამ გაამაგრეს ციხე-ქალაქები. შემოერთდა მცხეთას ოთხი თვის განმავლობაში. შეწუხდნენ ქართველები, დადეს ზავი და წავიდნენ სომხები. შემდგომ სომხებმა დაიწყეს ბრძოლა სპარსელებთან, ქართველებმა დრო იხელთეს და დაიწყეს სომხეთის დარბევა. მაშინ სომეხთა მეფემ გამოგზავნა თავისი შვილი ზარდე ლაშქრით; დაირაზმნენ ქართველები და ოსები, გააძევეს ზარდეს ლაშქარი და შეიპყრეს ზარდეც. ოსები ცდილობდნენ მოეკლათ სისხლის საზღაურად, მაგრამ ქართველებმა არ დართეს ნება და დაატყვევეს დარიელაში. სამი წლის შემდეგ მობრუნდნენ სპარსელებზე გამარჯვებული სომხები. ამის გამგონე ქართველებმა გაამაგრეს ციხე-ქალაქები. მაშინ მოვიდნენ სომეხი მეფის ორი ძე და სუმბატიც თრიალეთში მოციქულებად. შემდგომ დაზავდნენ და სომხებმა დააბრუნეს ქართლის სასაზღვრო ტერიტორია. ქართველებმა კი მისცეს მეფის ძე ზარდე, აღუთქვეს მათი მტრების მტრობა და სომეხთა მეფის გამოსახულებით ფულიც მოვჭრათო. წავიდნენ სომხები. ხოლო ეს მეფეები ხარობდნენ ქართლის საზღვრის საკუთარი სიძამაციტ დაბრუნების გამო. არმაზელმა დაიწყო უფლის კვართის ძებნა, მაგრამ ვერ შეძლო პოვნა, რადგანაც ის არ უნდა შეერყვნათ წარმართებს. შემგომ ამ მეფეებმა იმეფეს მშვიდობიანად და დაიხოცნენ დასაბამიდან 4052, ქრისტესით 103, ქართულით 387 წელს.

#### **14. მეფეები ამზასპი და დეროკი. 10 წელი იმეფეს**

და გამეფდნენ: მცხეთაში – არმაზელის ძე ამზასპი და არმაზში – აზორკის ძე დეროკი. ესენი უშფოთველად მეფობდნენ და დაიხოცნენ დასაბამიდან 4062, ქრისტესით 113, წართულით 397 [წლებში].

#### **15. მეფეები მირდატი და ფარსმანი. 16 წელი იმეფეს**

შემდგომ გამეფდნენ: მცხეთაში – ამაზის ძე მირდატი, ხოლო არმაზში – დეროკის ძე ფარსმანი. მარდატსა და ფარსმანამდე ზემოხსენებულ მეფეთა შორის ურთიერთსიყვარული სუფევდა. მაგრამ მირდატმა დაიწყო ფარსმანის მტრობა, რადგანაც მირდატი იყო შურისმაძიებელი და ბოროტი, ხოლო ფარსმანი – ქველი<sup>12</sup>, გონიერი, უშიშარი და უძლეველი. ერთ დღეს მირდატმა ფარსმანი სანადიმოდ მიიწვია, რათა ღალატით მოეკლა. მაგრამ ფარსმანის

სიკეთის გამო ვილაცამ გააფრთხილა იგი, რადგანაც ქართველებს ის უყვარდათ, ხოლო მირდატი სძულდათ. მიხვდა რა ფარსმანი, აღარ მივიდა და მათ შორის მტრობა დაიწყო. მაშინ განუდგნენ მირდატს და შეუერთდნენ ფარსმანს. შემდგომ მირდატი სპარსეთში გაიქცა, რადგანაც სპარსთა მეფის მონათესავე ცოლი ჰყავდა. იქ მირდატმა შეკრიბა სპარსელთა დიდი ლაშქარი და მოვიდა რკინის ხევში. ხოლო ფარსმანი გაეგება ქართველთა ლაშქართა და სომეხთა თანადგომით. შეიბნენ ბუმბერაზები. ფარსმანმა მოკლა ჩვიდმეტი ბუმბერაზი, ხოლო მისმა სარდალმა ფარნავაზმა, რომელიც იყო ფარსმანის ძეძუმტე, ამ ბრძოლაში – ოცდასამი. შემდგომ მუქარით გამოვიდა სპარსელი ბუმბერაზი ჯუანშერი, რომელიც ლომს ხელით იპყრობდა, და ეძებდა ფარსმანს. ფარსმანი სიხარულით გავიდა, როგორც კი ეკვეთა, მოკლა სპარსელი ფარსმანმა და უკარ აღარ შებრუნებულა, შეუძახა თავის ლაშქარს და მიეჭრნენ, სძლიეს, გააქციეს და მრავალი ამოჟლიტეს. დევნილი მირდატი კი კვლავ სპარსეთში წავიდა. მესამე წელს კვლავ მივიდა მირდატი მრავალრიცხოვანი ლაშქრით და დაბანაკდა ჯაჭვში. ხოლო ფარსმანმა, რომელსაც არ ჰყავდა იმდენივე ლაშქარი, დაიწყო ბუმბერაზებთან ბრძოლა და მოკლა თორმეტი ბუმბერაზი, ხოლო მისმა სპასპეტმა – თექვსმეტი. შემდეგ დაესხა ფარსმანი, ამოხოცა და განდევნა მირდატის სპარსთა ლაშქარი. თავად მირდატი კვლავ სპარსეთში წავიდა. იმ დროიდან ველარ გაბედეს სპარსელებმა ფარსმანისთვის ვნება. მაშინ განითქვა<sup>113</sup> ფარსმანის მამაცობა და დაიწყო ფარსმანმა სპარსელთა მრავალგზის აკლება და აოხრება; ამიტომაც სპარსელებმა მოისყიდეს მზარეული, რათა მომსახურებოდა ფარსმანს და სანამღავით მოეკლა იგი. მზარეულიც ასე მოიქცა და მოკლა [67] ფარსმან ქველი დასაბამიდან 4001, ქრისტესით 122, ქართულით 406 წელს. მაშინ ფარნავაზ სარდალმა ფარსმანის ცოლი და ძე სომხეთში გახიზნა. მირდატი მოიყვანეს სპარსელებმა და ფარსმანის წილი ქართლი მათ დაიპყრეს, ხოლო მირდატს დაუბრუნეს მისი წილი. შემდგომ, როდესაც წამოიზარდა და სრულწლოვანებას მიაღწია, ფარსმანის ძე ადამმა შეიერთა სომხები და ბერძნები და ჩამოვიდა ქართლში. აქედან დაუხვდა მირდატი ქართლისა და სპარსელთა ლაშქრით და შეიბნენ რეხში. დამარცხდა მირდატი, ამოიჟლიტა მისი ლაშქარი და მირდატიც მოკლეს დასაბამიდან 4008, ქრისტესით 129, ქართულით 413 [წელს].

## 16. მეფე ადამი

მაშინ მთელი ივერია, ორივე მეფისა, დაიკავა ფარსმან ქველის ძე ადამმა და მშვიდობიანად იმეფა სამი წელი, მოკვდა და დატოვა ერთი წლის ძე, სახელად ფარსმანი. ვიდრე ის წამოიზრდებოდა, მეფობდა ფარსმან ქველის ცოლი, სახელად ლადანი. ხოლო სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ გამეფდა ფარსმანი, ადამის ძე, დასაბამიდან 4095, ქრისტესით 146, ქართულით 440 [წელს].

## 17. მეფე ფარსმანი. 46 წელი იმეფა

ამ ფარსმანმა მთელ ივერიაში იმეფა მშვიდობით და უშფოთველად. შემდგომ მოკვდა დასაბამიდან 4141, ქრისტესით 182, ქართულით 466 [წელს].

## 18. მეფე ამზასპი. 4 წელი იმეფა

მეფედ დაჯდა ფარსმანის ძე ამზასპი. ის იყო მამაცი, უშიშარი და უძლეველი, როგორც ფარსმან ქველი. მისი მეფობის დროს ყოველგვარი გრძნეულების გარეშე გადმოვიდნენ ოსები დვალეთის გზიდან და დაბანეკდნენ შიდა ქართლში მცხეთის დასარბევად. ამზასპმა გაამაგრა ქალაქი და თვითონ საფურცლეში გავიდა. მაშინ ბრძოლაში [68] შორიდან ისრით კლავდა ამზასპი, რადგანაც ასე ძნელი შესამჩნევი იყო. იმ დღეს მოკლა ოსთა თხუთმეტი ბუმბერაზი და შემოვიდა მცხეთაში. მეორე დღესაც გავიდა ამზასპი და გასვლისთანავე მიენია ოსი ბუმბერაზი, სახელად ხუხუ. როგორც კი ეკვეთნენ ერთმანთს, ამზასპმა ხუხუს სცა შუბი, რომელმაც მეორე მხარეს გაატანა, და მოკლა. შემდეგ მიეჭრა ამზასპი და მოკლა ოსთა სხვა ორი ბუმბერაზი და შემობრუნდა მცხეთაში. მეორე დღეს გამოიყვანა თავისი ლაშქარი და დაესხა ოსებს, ამოწყვიტა, გააქცია, მოკლა მათი მეფე და გამარჯვებით დაბრუნდა მცხეთაში. მეორე წელს შემოიკრიბა ლაშქარი ამზასპმა, გადაიარა კავკასიონი და შევიდა ოსეთში. ხოლო ისინი წინ ვერ აღუდგნენ. ამან ააოხრა, ამოჟლიტა და ნადავლით სავსე დაბრუნდა მცხეთაში. ამის შემდეგ ამზასპი გალალდა, ამოხოცა საქართველოს მრავალი წარჩინებული და შეიყვარა სპარსელები. ამიტომაც განუდგნენ ოძრახის, კლარჯეთისა და ეგრისის ერისთავები და მოეთათბირნენ სომხეთის მეფეს, რათა მიეცა მეფედ თავისი ძე რევი, რომელიც იყო ამზასპის დისწული. იმანაც მისცა თავისი ძე და გაერთიანდნენ სომხები და ზემოთქმული ერისთავები და

უხმეს ოსებსაც. ოსებმა კი, რადგანაც ამზაპის მოსისხლე მტრები იყვნენ, სიხარულით გამოიარეს თავკერის გზა და მათ შეუერთდნენ. ეს რომ შეიტყო, ამზასპმა შეკრიბა ლაშქარი და შეიმატა ძალა სპარსეთიდან, მივიდა გუთის ხევში და ისინიც იქ მივიდნენ. და რადგანაც ამ ლაშქართა შორის არავინ იყო ამზასპთან პირისპირ მებრძოლი, ეთმანეთს ეკვეთნენ. სასტიკი ბრძოლის შემდგომ დამარცხდა ამზასპის ლაშქარი, გაქცევისას მოკლეს თავად ამზასპი და მისი ლაშქარი ამოჟლიტეს დასაბამიდან 4145, ქრისტესით 186, ქართულით 470 [წელს].

### **19. მეფე რევი. 27 წელი იმეფა**

მაშინ მოიყვანეს სომეხთა მეფის ძე რევი და გაამეფეს არშაკუნიანი. მან ცოლად მოიყვანა საბერძნეთიდან ლოლოთელის ასული, სახელად სეფორა. რევი იყო მოწყალე და გაჭირვებულთა ნუგეშისმცემელი [69], რადგანაც მცირედ სმენოდა ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, სახარება. ხოლო როდესაც ალექსანდრე დიდმა ამოაკვეთინა მკვდრის ქაშა, იმ დროიდან ქართველები თავიანთ კერპებს შესაწირად დაუკლავდნენ თავიანთ ძეებსა და ასულებს და რევა აღარ მისცა შვილების დაკვლის უფლება, არამედ მათ ნაცვლად ძროხა-ცხვრის შეწირვა უბრძანა. ამიტომაც ეწოდა რევ მართალი. და იმეფა მთელ ივერიაში მშვიდობით და უშფოთველად; შემდგომ მოკვდა დასაბამიდან 4162, ქრისტესით 213, ქართულით 497 [წელს].

### **20. მეფე ვაჩე. 18 წელი იმეფა**

შემდგომ გამეფდა მისი ძე ვაჩე. ამანაც იმეფა მთელ ივერიაში მშვიდობით და უშფოთველად, მერე მოკვდა დასაბამიდან 4180, ქრისტესით 241, ქართულით 515 [წელს].

### **21. მეფე ბაკური. იმეფა 15 წელი**

გამეფდა ვაჩეს ძე ბაკური და მეფობდა მთელ ივერიაში, როგორც მამამისი. შემდეგ მოკვდა დასაბამიდან 4195, ქრისტესით 246, ქართულით 540 [წელს].

### **22. მირდატ მეფე. იმეფა 16 წელი**

გამეფდა ბაკურის ძე მირდატი, დაიპყრო მთელი ივერია, სიმშვიდეში იმეფა და მოკვდა დასაბამიდან 4211, ქრისტესით 262, ქართულით 14 წელს<sup>114</sup>.

### 23. მეფე ასფარუგი. იმეფა 3 წელი

გამეფდა მირდატის ძე ასფარუგი. ამ ასფარუგის დროს სპარსთა მეფე გაანადგურა ქასრე სასანიანმა და თავად გამეფდა. ხოლო სომხებზე გამეფდა კოსორი. კოსორ მეფემ დაუწყო ბრძოლა [70] ქასრე მეფეს და მას მხარს უჭერდა ასფარუგი. ასფარუგმა გახსნა დარიელას კარები და გადმოიყვანა ოსები და ლეკები; შეიკრიბნენ სომხებთან ერთად, შეებრძოლნენ სპარსელებს, განდევნეს და ამოწყვიტეს უმრავლესი. ამის შემდგომ წინ ველარ აღუდგნენ სპერსელები და მუდმივად აოხრებდნენ და ებრძოდნენ სპარსეთს. ამით დამწუხრებული ქასრე მოეთათბირა თავის წარჩინებულებს. მაშინ იქ იყო სომეხთა მეფის შთამომავალი, დევნილი ანაკი. მან საიდუმლოდ აცნობა ქასრეს: „მე წავალ განდგომილი შენგან და კოსორს ვთხოვ შეწყალებას, შენს სვებედზე გამოვძებნი დროს და მოვკლავ მას.“ ძალზე გაიხარა ქასრემ და დიდძალი განძი აღუთქვა მას. ასე წამოვიდა ანაკი, შეწყალებულმა მოკლა მეფე კოსორი ნადირობის დროს და გაიქცა, მაგრამ დაენიენ სომხები და ანაკიც მოკლეს. ხოლო კოსორ მეფის ძე, ყრმა თრდატი, გახიზნეს საბერძნეთში. გაიგორა ეს სპარსთამეფე ქასრემ, შემოიკრიბა ურიცხვი ლაშქარი და მივიდა სომხეთში. ამის გამო ასფარუგ მეფემ გაამაგრა ციხე-ქალაქები და წავიდა ოსეთში, რათა გაემრავლებინა ლაშქარი. მაგრამ ენია სიკვდილი და მოკვდა დასაბამიდან 4214, ქრისტესით 265, ქართულით 17 წელს. და არ დაუტოვებია ძე, არამედ ერთადერთი ასული, სახელად აბეშურა. ამით დამწუხრებული ქართველები შეიკრიბნენ მცხეთაში და ბჭობდნენ, რა ექნათ. მაშინ მათ შორის წამოდგა მაიჟან სარდალი და თქვა; „თუ დაგვიდგინეს ჩვენმა მეფეებმა მემკვიდრე, ამოვწყდეთ და არ ვერჩოდეთ სხვას; როგორც ჩვენი მამები ჭამდნენ მკვდრებს, ჩვენც ასე მოვიქცეთ. მაგრამ არ გვყავს ძე, არამედ ასული და ისიც მცირეწლოვანი. ამიტომაც ასე ვფიქრობ: მსმენია, რომ სპარსთა მეფეს ჰყავს ძე. წარგვზავნოთ დესპანი და ვთხოვოთ მისი ძე ჩვენს მეფედ, შევრთოთ მას ჩვენი მეფის ასული. და თუ არ გაგვიბატონებს სპარსელებს და არც ჩვენს რჯულსა და კერპებს მოშლის, კარგია; ხოლო თუ ასე არ გააკეთებს, ამოვწყდეთ და ნუ დავემორჩილებით“. ყველა მსმენელს მოეწონა ეს გადაწყვეტილება და აცნობეს [71] ქასრე მეფეს.<sup>115</sup> მან კარგად მიიღო და ფიცით აუსრულა მათ თხოვნა, მოვიდა მცხეთაში, შერთო თავის ძეს აბეშურა და თავისი ძის მცველად დაუტოვა 7000 სპარსელი მხედარი, რადგანაც მირვანი

იყო 7 წლის ყრმა, მხევლისგან ნაშობი. ასევე დატოვა 33000 მხედარი სომხეთში, რანში, მოვაკანში მირვანის დამხმარედ და საშველად; დაიპყრო კავკასიელებიც და გაბრუნდა სპარსეთში ქასრე მეფე.

### **მეფე მირიანი. იმეფა 77 წელი**

გამეფდა მირვანი,<sup>116</sup> რომელსაც ეწოდა მირიანი, დასაბამიდან 4214, ბერძნულით 5773, ქრისტესით 265, ქართულით 17 წელს, მე-13 მოქცევისას ივერიაში, რანში, მოვაკანსა და სომხეთში. როდესაც შესრულდა 15 წლის, მოკვდა აბეშურა და ამოწყდა შთამომასლობა თარგამოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანებისა. მაგრამ მირიანი შეიყვარეს ქართველებმა და უფრო მეტად კი მირიანმა ქართველები. შემდეგ მირიანმა პონტოდან მოიყვანა ულიოტორის ასული, სახელად ნანა, და შეირთო ცოლად. და მუდამ ებრძოდა ხაზარებს, რადგანაც ხაზარები იბრძოდნენ დარუბანდისთვის, რომ სათავისოდ დაეპყროთ და ეომებოდნენ სპარსეთს, ამიტომაც მირიანი ებრძოდა და მუდამ სძლევდა. როდესაც მირიანი 40 წლის შესრულდა, მოკვდა მამამისი ქასრე და სპარსელებმა გაამეფეს მისი ძე ბარტომი. გაიგო რა ეს მირიანმა, შეკრიბა ლაშქარი და გაემართა, რომ თავად გამეფებულიყო. მაშინ ბარტომიც მოვიდა ლაშქრით ნასიბის ხევში. მაგრამ უხუცეს სპარსელთა მეშვეობით მათ შორის შედგა ბჭობა და არა ბრძოლა. მირიანი ამბობდა: „მე ვარ პირველი ძე, ამიტომაც მეკუთვნის ტახტი, რადგანაც მრავალგზის ჩემი სიმამაცით დამიცავს სპარსეთი ხაზარებისგან.“ ხოლო ბარტომი ამბობდა: „არა თუ პირველი ძე ხარ, არამედ მხევლისგან ხარ ნაშობი დამე კი – ინდოეთის მეფის ასულისგან; [72] და თავად მამაჩემმა დამადგა თავზე გვირგვინი“. მაშინ განსაჯეს უხუცესმა სპარსელებმა და დაუმტკიცეს ბარტომს სპარსთა მეფობა და მირიანს – რაც ეპყრა, ზედ დაუმატეს შამი, ჯაზირა და ადრაბაგანი, დააზავეს ძმები და გაბრუნდა თითოეული თავისთან. მირიანის იქ ყოფნის დროს გადმოვიდნენ ოსები, ააოხრეს ქართლი და წავიდნენ. მცხეთაში დაბრუნებულმა მირიანმა შემოიკრიბა ლაშქარი და გადავიდა ოსეთში. ოსებმა ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა; ამოჟლიტა, ააოხრა და გავიდა ხაზარეთამდე, შემოუარა დარუბანდის გზას და ჩამოვიდა მცხეთაში გამარჯვებული. შემდგომ მოვიდნენ ხაზარები დარუბანდის მისატაცებლად და მირიანი გაემართა [დარუბანდელთა] საშველად. იმ ბრძოლის დროს სომხეთში ბერძნული ლაშქრით მოვიდა კოსორის

ძე თრდატი და დაიპყრო სომხეთი (რადგანაც ამ თრდატმა თავისი გოლიათობით მოკლა კეისრის მოწინააღმდეგე გუთების მეფე და ამიტომაც მისცა კეისარმა ლაშქარი). გაიგო რა ეს მირიანმა, მიატოვა ხაზართა წინააღმდეგ ბრძოლა და სპარსეთიდან მოიყვანა მეფეთა გვარის ფეროზი, მისცა მას თავისი ასული და რანის ერისთავობა; შემდგომ შეიერთა სპარსელთაგან სხვა ძალაც და მუდამ ეომებოდა თრდატს. თუ თრდატი შეიმატებდა ძალას საბერძნეთიდან, სძლევდა მირიანს და, თუ მირიანი შეიმატებდა სპარსელთა ძალას, სძლევდა თრდატს. და არავინ იყო თრდატთან პირისპირ შემბმელი და იყო მუდმივი ბრძოლა მათ შორის.

სწორედამ დროს მოვიდა წმინდანინო მცხეთაში ქრისტეს სახარების საქადაგებლად დასაბამიდან 4263, ბერძნულით 5822, ქრისტესით 314, ქართულით 66 [წელს], აგვისტოს მე-5 დღეს. როდესაც დიდი მთავარ-მონამე გიორგი კაბადოკიაში ეწამა ქრისტესთვის, კაბადოკიაში იყო კაცი, ნათესავი წმინდა გიორგისა, მთავარი და ღვთის მონა ზაბილონი. ის წავიდა რომში მაქსიმიანე კეისართან განძის [73] მისაღებად. ასევე ქალაქ კოსტრაში იყო ერთი კაცი და მას ჰყავდა ძე, სახელად იობენალი, და ასული, სახელად სოსანა. როდესაც მათი მშობლები აღესრულნენ, ესენი დაობლდნენ. შემდგომ და-ძმა წავიდა იერუსალიმში, მისადმი სასოებით და იქ იობენალმა მიიღო დევტალარობა,<sup>117</sup> ხოლო მისი და ემ-სახურებოდა ნიაფორ<sup>118</sup> სარა ბეთლემელს. ხოლო ზაბილონი კეისარმა დააჯილდოვა, ხოლო ბრანჯები<sup>119</sup> განუდგნენ კეისარს. მაშინ მათ დასაშოშმინებლად გაგზავნილმა ზაბულონმა სძლია მათ პატალონიის ველზე, შეიპყრო მათი მეფე მთავრებითურთ და კეისარს წარუდგინა.<sup>120</sup> მათმა გამომამკარავებელმა კეისარმა მათ სიკვდილი მიუსაჯა. მაშინ ატირდნენ ბრანჯები და ევედრებოდნენ ზაბულონს, რომ მოენათლა და მიეცა მათთვის ქრისტეს სჯული და შემდგომ დახოცილიყვნენ. შეებრალა ზაბულონს და აცნობა პატრიარქს; მან მონათლა და აზიარა სისხლსა და ხორცს უფლისა, დამოძღვრა და განამტკიცა სარწმუნოებაში. ღვთის მადლობელი ბრანჯები სიხარულით წავიდნენ სასაკლაოზე და ღალატდებდნენ: „მოვა ჯალათი და მოგვკვეთს თავებს.“ ამის შემყურე ზაბულონი შევიდა კეისართან და იზრუნა მათზე. ხოლო კეისარმა ისინი ზაბულონს გადასცა და მან კი გაუშვა. მაშინ ვედრებით წაიყვანეს ზაბულონი, რომ მათი სამფლობელოებისთვისაც ეცა ნათელი. ერთი დღის სავალზე მიახლოვებულეს შეეგება ყველა

ბრანჯი, რადგანაც გაიგეს, რომ მეფე და მთავრები ცოცხლები არიან. მაშინ ზაბილონმამონათლა ისინი ღრმანყალში და დაუდგინა მღვდელი; ასე გახდა ბრანჯთა განმანათლებელი და თავად წამოვიდა რომშიც. შემდგომ გაყიდა მთელი თავისი ქონება, [74] დაურიგა გლახაკებს და თვითონ იქიდან წამოსული მივიდა იერუსალიმში.

ამ დროს ის დევტალარი პატრიარქი გამხდარიყო და ძალზე დამეგობრდნენ პატრიარქი და ზაბილონი. მხევალი სარა ნიაფორი პატრიარქს უამბობდა ზაბილონის საქმეებსა და სიკეთეს და ურჩევდა, ცოლად მიეცა მისთვის თავისი და სოსანა. ეს მოეწონა პატრიარქს, დააქორწინა და ზაბილონი კვლავ კოსტრაში წავიდა. წმინდა ნინო სწორედ ამათგან იშვა და დედამ გლახაკთა მსახურებაში აღზარდა. შემდგომ, შესრულდა რა ნინო 12 წლისა, მისმა მშობლებმა გაყიდეს მთელი ქონება და მივიდნენ იერუსალიმში. ზაბილონი განდგა ცხოვრებისგან<sup>121</sup>, იგიაკურთხა პატრიარქმა და ღმერთსა და პატრიარქს წუხილითა და დიდი ტირილით მიაბარა თავისი ასული; თვითონ წავიდა იორდანეში და მისი აღსასრული მხოლოდ უფალმა უწყის. ხოლო მისი ცოლი სოსანა პატრიარქმა გლახაკ დედათა მსახურებისთვის განაწესა. წმინდა ნინო კი ემსახურებოდა დვინელ სომეხ ნიაფორს ორი წელი, ეკითხებოდა და სწავლობდა სარწმუნოებას, ქრისტეს საქმეებსა და მისი ვნების ამბავს. როდესაც გაიგო, რომ უფლის კვართი მცხეთელმა ებრაელებმა წაიღეს, გამოჰკითხა: „სადაა მცხეთა?“ ნიაფორმა უთხრა: „ჩრდილოეთით არის წარმართული მთაგორიანი ქვეყანა, რომელიც ამ დროში იქცა უჟიკთა სახელმწიფოდ“.<sup>122</sup> ჩაიბეჭდა რა ეს გულში, წმინდა ნინო ღმერთს მადლობას სწირავდა. ამ დროს ეფესოდან წმინდა ადგილების თაყვანის საცემად მოვიდა ერთი ქალი, რომელსაც ჰკითხა ნიაფორმა: „ჯერ კიდევ სიცრუეში (შეცდომაში) იმყოფება დედოფალი ელენე?“ ხოლო მან უპასუხა: „მათი მხევალი ვარ და ვიცი, რომ ძლიერ მიიღტვის ქრისტეს სარწმუნოებისაკენ.“ ამის გამგონე ნინომ უთხრა ნიაფორს: „წარმგზავნე ელენე დედოფალთან, ეგებ შევხვდე ქრისტეს შესახებ პასუხის გასაცემად.“

ნიაფორმა ეს აუწყა პატრიარქს, ხოლო პატრიარქმა იხმო თავისი დისწული ნინო და დააყენა საკურთხეველის წინ, [75] ხელი დაასხა,<sup>123</sup> ღვთისადმი მადლობის აღმკლენელმა ცრემლით აკურთხა და უთხრა: „გაგზავნი შენ, როგორც ცხვარს, ქრისტეს მიერ წარვლინებულთა მსგავსად, მგელთა შორის.“ შემდგომ დაამშვიდობა დედასთან და

გააგზავნა. მაშინ წამოჰყვა წმინდა ნინო იმ ქალს და მივიდნენ რომში ეფესელი ქალის სახლში. და იქ ნახეს მეფეთა შთამომავალი დედოფალი რიფსიმე და მისი გამზრდელი გაიანე, რომლებიც იერუსალიმიდან ნათლისღების მოლოდინში იმყოფებოდნენ ქალწულთა სავანე მონასტერში. მას აუწყა ქალმა ნინოს საქმეთა შესახებ და რიფსიმემ სიყვარულით მიიღო ნინო და იმავე წელს წმინდა ნინოს ხელით მოინათლნენ რიფსიმე და გაიანე და მათი ოჯახის წევრები, რიცხვით 50 სული. წმინდა ნინომ იქ დაყო ორი წელი.

იმ დროს კეისარს<sup>124</sup> გამოეგზავნა ხალხი, რათა მისთვის საცოლედ ეპოვნათ მშვენიერი, კეთილშობილი ქალი. წარგზავნილები მივიდნენ იმ მონასტერში. ხოლო როდესაც ნახეს რიფსიმე, გამოიკითხეს მისი წარმომავლობა და გაიგეს მისი სამეფო ნათესაობა, მოიხიბლნენ მისი მშვენიერებით, დახატეს მისი სურათი და მიათვეს კეისარს, რომელმაც ნახა, შეუყვარდა და დაადგინა ქორწილი. განჭვრიტა რა მტრის სივერაგე, რიფსიმე წუხდა და ღმერთს ევედრებოდა გაცლას. შემდგომ გაიხიზნა 53 ადამიანის თანხლებით და მოვიდნენ სომხეთის ახალ ქალაქ დვინში, სომეხთა მეფეების სამყოფელში. შევიდნენ საწინახლის საჩრდილობელში და იქ ფარულად იკვებებოდნენ საკუთარი ხელსაქმის – გარჯის წყალობით [76].

ხოლო კეისარმა რომ ველარ აისრულა თავისი სურვილი, ყველგან გაგზავნა მძებრები და მისწერა თრდატს: „ქრისტიანები, რომელთაც ჯვარცმულის იმედი აქვთ, ჩვენ ღმერთებსა და მეფობას გმობენ; ერთი მათგანი ქალი ვისურვე ცოლად, მაგრამ მან შეურაცხმყო და გამექცა. ახლა ძმურად მომიძებნე და როდესაც იპოვი რიფსიმეს, გამომიგზავნე და, თუ ისურვებ, შენ შეირთე, რადგანაც ვერ იპოვი მის მსგავსს ბერძენთა ქვეყანაში. მშვიდობით იყავი.“ ამის გაგებისთანავე თრდატმა დაუწყო ძებნა და იპოვა ისინი საწინახელში. და მისგან ეწამნენ რიფსიმე და გაიანე ახლობლებითურთ, როგორც მოგვითხრობს სომეხთა ცხოვრება.<sup>125</sup> მაშინ წმინდა ნინომ, დამალულმა ეკალთა შორის ვარდისა, რომელსაც ჯერ არ გამოელო ყვავილი, ზეცას აღაპყრო თვალევი და იხილა გადმომავალი ანგელოზი, რომელიც უხვად აკმევდა საკმეველს, რომელსაც წმინდა მონამეთა სულები ზეცად აჰყავდა, ამის გამო ამოიოხრა: „რად მიმატოვებ, უფალო, ასპიტა და ვასილისკოთა<sup>126</sup> შორის?“ და მოესმა ხმა ზევიდან: „შენც წახვალ სასუფეველში. მაგრამ ადექი და წადი ჩრდილოეთის მხარეს, სადაც სამკალი ბევრია, ხოლო

მუშაკი – არა.“ წამოსული მოვიდა ორბში, სომხეთის საზღვარზე და იქ დაიზამთრა; შემდგომ ივნისის თვეში მოვიდა ჯავახეთში ფანავრის ტბაზე და დაინახა ჩრდილოეთით ყინულით დაფარული მთები, შენუხდა და თქვა: „უფალო, მიიბარე სული ჩემი.“ მაგრამ ორი დღე იქ ყოფნის დროს ტბის მეთევზეებს სთხოვა საკვები. იქვე მწყემსავდნენ ფარანახირს და არმაზი ესახებოდათ შემწედ და ზადენი კი ღმერთად; [77] და აღუთქვამდნენ შესანიშნავს მშვიდობისათვის; ზოგნი ლაპარაკობდნენ სომხურად, რომელიც მცირედ ესწავლა ნინოს ნიაფორისგან და გამოჰკითხა მათ სადაურობა. და უთხრეს, რომ იყვნენ საფურცლიდან, ქინძარიდან და ქალაქ მცხეთიდან, სადაც ღმერთები ღმერთობენ და მეფეები მეფობენ. მიუგო ნინომ: „სად არის მცხეთა?“ „ამ ტბიდან გამომდინარე წყალი მიედინება ქალაქ მცხეთაში.“ წმინდანი შეაწუხა გზის სიგრძემ და სიმკაცრემ და ტბის შესართავთან ოხვრით დადო ლოდი და ჩასთვლინა. მაშინ ჩვენებაში გამოეცხადა კაცი, მისცა წერილი ნინოს და უთხრა: „ეს მთავრი მეფეს მცხეთაში“. უთხრა ნინომ: „უფალო, მე, ქალი, როგორ მივიდა უცხო თემსა და ქვეყანაში?“ ამიტომ კაცმა გადაუშალა ის წერილი, რომელიც რომაულად იყო ნაწერი, და მისცა ნინოს წასაკითხად; მასში იყო ეს 10 მცნება:

### **წმინდა ნინოს მიერ მოცემული 10 მცნება**

1. სადაც იქადაგებს ამ სახარებას, იქ იხსენიებოდეს ეს ქალი.
2. არც მამაკაცობა, არც დედაკაცობა, არამედ თქვენ ყველანი ერთნი ხართ.
3. წადით და დაიმონაფეთ ყველა წარმართი და გაანათლეთ – ნათელი ეცით მათ მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით.
4. ნათელი გამობრწყინდეს წარმართებზე და აღიდოს ერი შენი ისრაელი.
5. სადაც იქადაგებს სასუფევლის ამ სახარებას, იქ მოიხსენიებოდეს ეს ქალი ყოველ ცხოვრებაში.
6. რომელიც თქვენ მიგიღებთ, მე მიმილო და რომელმაც მე მიმილო, მიილო ჩემი მომავლინებელი.
7. რამეთუ ძალიან უყვარდა მარიამი უფალს, რადგანაც მარად ისმენდა მის ჭეშმარიტ სიტყვას.
- [78] 8. ნუ გეშინიათ მათი, რომელთაც მოკლეს ხორცი, მაგრამ სულის მოკვლა არ ძალუძთ.

9. უთხრა მარიამ მაგდალინელს იესომ: ნადი, დედაკაცო, და ახარე ჩემს ძმებს.

10. სადაც იქადაგებთ მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით.“

ამის წამკითხველმა წმინდა ნინომ შეიცნო, რომ ეს ზეციური საქმე იყო და ღმერთს შეწევნა სთხოვა, მიჰყვა იმ მდინარეს გზის სიმკაცრით შეწუხებული და მხეცთაგან შეშინებული და მივიდა ქალაქ ურბნისში. იქ ნახა ხალხი, რომელიც აღმერთებდა და ემსახურებოდა ქვეებს, ხეებსა და ცეცხლს. ამით შეწუხებული შევიდა ებრაელთა უბანში, სადაც დაყო ერთი თვე, და ესაუბრებოდა მათ ებრაულად. შემდგომ ურბნისის მოსახლეობა გაემართა სავაჭროდ და არმაზისა და ზადენისთვის მსხვერპლის შესანირად და ნავიდნენ მცხეთაში. მათ თან გაყვა წმინდა ნინოც. მცხეთაში მისულმა ნახა მაცდუნებლები და მათი ცეცხლმსახურება. დასტიროდა მათ დალუპვას და იგლოვდა საკუთარ უცხოობას.<sup>127</sup> ხოლო მეორე დღეს ატყდა საყვირთა ხმაური და დიდი გუგუნი; გზები და ქუჩები შეამკეს, როგორც ყვავილოვანი ველი, და გამოეფინა ხალხი. შემდგომ გამოვიდა ნანა დედოფალი, მერე – მირიან მეფე დიდებით და ყველა მეფეს აქებდა. მაშინ ნინომ ჰკითხა ერთ ებრაელს: „ეს რა არის?“ უპასუხა: „მათი ღმერთები უხმობენ თაყვანის საცემად.“ ამის გამგონე ნინომ იჩქარა, შეასწრო არმაზის ციხეში, შევიდა გალავნის ნაპრალში და შეხედა რა კერპს, რომელიც იყო სპილენძისა, ოქროს ჯავშანში, ხელთ ეპყრა შორს მიმართული მახვილი და აქეთ და იქით – გაიმი და გაცი, ოქროსა და ვერცხლისა. მოვიდნენ მეფე და ერი, რომელნიც შიშით თაყვანს სცემდნენ და კრძალვით ევედრებოდნენ; ამოიოხრა წმინდანმა და გაახსენდა თავისი დედის ძმის ნათქვამი, როდესაც უთხრა: „გაგზავნი შენ სრულყოფილ მამაცს და მიხვალ უცხო და [79] ღვთის მეტრძოლ და მონინააღმდეგე ქვეყანაში; სწრაფად აღავლინე ღვთისადმი ვედრება, რათა დაიხსნას ის ქვეყანა და შემუსროს კერპები“.

### **ნინოს მიერ კერპების შემუსვრა**

ლოცვისთანავე მოხერა მყრალმა, ბნელმა და მძაფრმა ქარმა აგვისტოს ექვსს, ქრისტესით 314, ქართულით 66 [ნელს]. მეფეცა და ერიც ქალაქისა და დაბებისაკენ გაიქცა. მაშინ წამოვიდა ორი ხელით ძნელად გადასადგები სეტყვა, შემუსრა კერპები, დააქუცმაცა და სიღრმეში შთანთქა. მეორე დღეს გამოვიდა მირიანი თავისი კერპების მოსაძიებლად,

ვერაფერი იპოვეს და თქვეს: „ქალდეველური ღმერთი და არმაზი მტრები იყვნენ. ოდესღაც ამან ზღვაში მოაქცია იგი, ხოლო ახლა იმან გააკეთა ეს.“ ხოლო იმ დროიდან ქრისტეს დიდება დაუფარავად სუფევდა ქართლში და ღვთის მადლმა დაიწყო მოფენა.<sup>128</sup> ხოლო ნინო გამოვიდა ნაპრალიდან და იპოვა ბივრიტის თვალი,<sup>129</sup> რომელიც იჯდა არმაზზე. აიღო და მოვიდა იქვე ახლოს ბრინჯის<sup>130</sup> ხის ქვეშ, რომელიც იყო ბარტომ მეფის საგრილობელი. გამოსახა ხეს ჯვარი და ექვსი დღე იქ ევედრებოდა, რათა მოეხედა და ეხსნა ერი ეშმაკისაგან. ხოლო იმ ხის ქვეშ მოვიდა სეფექალი შროშანა და ჰკითხა ვინაობა. წმინდანმა უთხრა ყოველივე გარდა თავისი მშობლებისა და დაიბრალა ტყვეობა. მაშინ შროშანა აიძულებდა, რომ წაჰყოლოდა მეფესთან სასახლეში. მაგრამ არ მოინდომა წმინდანმა და წავიდა შროშანა. სამი დღის შემდგომ ნინომ გადავლო მტკვარი და მივიდა სამეფო ბაღნარში, სადაც არის სვეტიცხოველი და შევიდა ბაღნარის მცირე სახლში, რომლის [მეთვალყურის] ცოლმა ანასტასიამ მოწყალედ მიიღო [80] და დაბანა ფეხები, აცხო ზეთი, გაუშალა პური და ღვინო და მოასვენა; და დაჰყო მასთან [წმინდანმა] ცხრა თვე. მეზღვეები უშვილობით დამწუხრებულნი იყვნენ; ამის გამო წმინდანმა ჩვენებაში იხილა ნათლით მოსილი კაცი, რომელმაც უთხრა: „შედი ბაღნარში და იპოვი ნაძვის ქვეშ ცოტა სურნალოვან მადლარს;<sup>131</sup> აიღე მისი მინა, აჭამე მეუღლეებს და შეეძინებათ შვილები“. წმინდანმაც წამოიღო, შეულოცა და შეაჭამა მათ. შვეს შვილები, ირწმუნეს ქრისტე და დაემონაფნენ ნინოს. შემდგომ წმინდანმა გალაგნის გარეთ იპოვა ეკლიანი გაბარდული ბურჭი, სადაც ახლა ღვთის განგებით არის ზემო ეკლესიის<sup>132</sup> საკურთხეველი, შევიდა შიგ და დაასვენა ჯვარი, რომელიც გამოეკვეთა ვაზის ნასხლავისაგან. და იმყოფებოდა იქ ლოცვითა და ღვთის ვედრებით ღამე და დღე; გაკვირვებული მეზღვეები ემსახურებოდნენ მას მისი ღვანლის გამო. და იქ მყოფი მრავალჯერ შედიოდა ებრაელთა უბანში, რათა გამოეძიებინა უფლის კვართის ამბავი, რის შესახებაც შეიტყო ნიაფორისაგან, რომ მცხეთაშია წალებული.

იპოვა აბიათარი – ებრაელი მღვდელი და მისი ასული სიდონია, რომლებსაც უქადაგა სახარება და დაიმონაფა ისინი და მათთან ერთად ექვსი სხვა ებრაელი ქალი, ნათლისცემის გარეშე ქრისტეს მრწმუნებელნი. რადგანაც იმ დროში არ იყო მღვდელი, წმინდა ნინო ახდენდა სასწაულებს და განკურნავდა მრავალ სენს. იგი სამი წელი ცხოვრობდა მცხეთაში.

## აბიათარის ამბავი

მაშინ ჰყვებოდა აბათარი: „იმ წელს, როდესაც წმინდა ნინო მოვიდა მცხეთაში, მე ვიყავი წილის ყრით არჩეული. იმავე დროს ანტიოქიიდან ებრაელთა მღვდლებისგან<sup>133</sup> მოვიდა წერილი, თუ როგორ გააპო უფალმა ებრაელთა მეფობა და იმ დროიდან მოყოლებული, რაც მათმა მამებმა მოკლეს და ჯვარს აცვეს ქრისტე, აღარ მიანიჭა მათ ძალა-უფლება. ხოლო მათი სამკვიდრო დაიპყრეს რომაელებმა და ებრაელები დაამდაბლეს. [81] მე ამ ყოველივეს ვეკითხებოდი წმინდა ნინოს და იგი ზეპირად მომითხრობდა ჩვენ წიგნებს დასაწყიდან, მაცნობებდა ყოველივეს ქრისტეს შესახებ, განმიმარტავდა ნათლისცემასა და ზიარებას, რისი ღირსიც გავხდი მე და რასაც ელტვოდა წინასწარმეტყველი დავითი; მარწმუნებინა ჭეშმარიტი ძე ღვთისა და ვუყურებდი წმინდა ნინოს მრავალ სასწაულსა და განკურნებას. ახლა მე, აბიათარი, მოგიხსენებ, რაც მეუწყა მამაჩემის დედისგან და რაც ვიცი წიგნებიდან; მათაც პაპებისა და მშობლებისგან მოთხრობილ-მოსმენილი იცოდნენ. როდესაც იერუსალიმში მეფობდა ჰეროდე, მცხეთაში მოვიდა ამბავი, რომ სპარსელები შევიდნენ იერუსალიმის დასარბევად. და აქედან გაემართნენ მგლოვიარე ებრაელები საშველად. მაგრამ შემდგომ მოვიდა ამბავი არა აოხრების შესახებ, არამედ, რომ დავითის ტომის ახალშობილი ყრმისთვის ძღვენის შესანიშნავად იყვნენ მისულები სპარსელები, რომლებმაც ბეთლებში უცხოობაში შობილს მიართვეს ოქრო<sup>134</sup>, გუნდრუკი<sup>135</sup> და მური და თაყვანი სცეს მას. ეს რომ გაიგეს, ებრაელებმა ქართლში დიდი მხიარულება გამართეს. ხოლო 30 წლის შემდგომ იერუსალიმიდან ანნა მღვდელს<sup>136</sup> მოეწერა პაპაჩემ ელიოზისთვის: „ვისთანაც სპარსელები ძღვენით მოვიდნენ, ის აღიზარდა და საკუთარ თავს ღვთის ძედ აცხადებს. მაშ, მოდით მის მისაკლავად, რათა აღვასრულოთ მოსეს მცნება.“ ამიტომ წავიდნენ პაპაჩემი ელიოზი, რომელსაც ჰყავდა დედა ელი მღვდლის ტომიდან, და ერთი და. მაშინ ელიოზს ევედრებოდა დედამისი: „წადი, მაგრამ ნუ შეუერთდები განზრახვას, რომელზეც ისინი ფიქრობენ, რადგანაც წინასწარმეტყველის მიერაა თქმული [მის შესახებ]: „წარმართთა მოლოდინი – საუკუნო ცხოვრება.“ ასე წავიდა ლონგინოზ კარსნელი. როდესაც ჯვარს აცვეს და სცეს სამსჭუალი<sup>137</sup> უფალს, ელიოზის დედას მოესმა ხმა, უმალ შეჰკვივლა და თქვა: „მშვიდობით, ებრაელთა მეფობავ, რადგანაც მოკალით თქვენი მეუფე. ვაი, მე! ნეტავ გაგონებისთანავე

მოვმკვდარიყავი“ და მოკვდა. ხოლო უფლის კვართი წილად ხვდათ ელიოზსა და ლონგინოზს და მოვიდნენ მცხეთაში. [82] მიეგება ელიოზს მისი და და მოეხვია ყელზე, გამოართვა კვართი, ჩაიკრა მკერდში და უმალ სული განუტევა სამი ტკივილის – 1. ქრისტეს ჯვარცმის, 2. დედის სიკვდილისა და 3. საკუთარი ძმის ქრისტეს უარყოფელბთან შეერთების – გამო. ამიტომ მცხეთაში დიდი შფოთი დაიწყო, რადგან გაოცდა დიდიმეფე ადერკი და მოინდომის კვართი. მაგრამ საოცრების წყალობით ვერ შებედა გამორთმევა, რადგანაც ქალს მაგრად და სურვილით მიეკრა მკერდზე და ელიოზმა კვართითვე დაკრძალა თავისი და ადგილას, რომელიც უფალმა უწყის. ესეც ვიცით, რომ იმ ადგილას არის ასევე ელიას ხალენი.<sup>138</sup> ესეც გავიგე მამაჩენისგან, რომ ის ადგილი ლიბანის ნაძვის სიახლოვესაა.<sup>139</sup> ამის გამო მრავალგზის მიბიძგებდა მე წმინდა ნინო, რომ გამომეკითხა მამაჩემისგან [მისი მდებარეობა]. მაგრამ მამაჩემმა მაინც იგივე მითხრა, რომ არის იმ ადგილას და იაკობის კიბის მსგავსად ზეცამდეა აზიდული. ამის შემდეგ ადერკის შვილიშვილმა, მეფე არმაზელმა, დაიწყო ებრაელთა შორის მისი ძებნა და ვერ შეძლო კვართის პოვნა, რადგანაც მასაც იმ ნაძვის სიახლოვეს უთითებდნენ.

### **ნინოს ჩვენება ხის შესახებ**

ამ დროის განმავლობაში წმინდა ნინომ ძილში სამ-ოთხჯერ იხილა ჩვენება: მოდიან შავი ფრინველები, მტკვარში ჩასულები იბანენ, თეთრ-დებიან და შესხდებიან იმ მაღლარზე, მოკრეფენ ნაყოფს, მიუტანენ წმინდა ნინოს და მშვენიერი ჟრიაშულით მის გარშემო იკრიბებიან. წმინდანმა ეს უამბო აზიათარის დას, სიდონიას, რომელმაც უთხრა; „შენ, ტყვეო, ტყვეთა მხსნელო, შენზე აღსრულდება ეს ჩვენება და შენი მეშვეობით შეიცვლება ამ ქვეყნის რჯული და შეიცნობენ ჭეშმარიტ გზას. ჰოი, იერუსალიმ! როგორ გაგიშლია ფრთები და ყველას შემოიკრებ. და აქაც მივიდა ეს დედაკაცი, რომელიც შეცვლის ყოველ წესს“.

### **[83] მირიანის შესვლა საბერძნეთში**

ამ დროს სპარსეთში მოკვდა ბარტომ მეფე, მირიანის ძმა, და მის ნაცვლად გამეფდა მისი ძე. მან შეატყობინა მირიანს, რომ შეკრებილიყვნენ და შესულიყვნენ საბერძნეთში. ამის გამგონე მირიანი სიხარულით

გაემართა და ერთად შეიკრიბნენ ორივენი, რომლებსაც ახლდათ ხის ფოთოლივით მრავალი სპარსელი. მათ წინ ვერ აღუდგათ თრდატი, მაგრამ ციხე-ქალაქები მაინც გაამაგრა. ამათ კი გადაიარეს სომხეთი და საბერძნეთში შევიდნენ. ამდროს დიდ კოსტანტინეს<sup>140</sup> ელიარებინა ქრისტე და ქრისტიანი იყო. საბრძოლველად გამოსულმა კოსტანტინემ წინ ჯვარი წაიმძღვარა, მცირე ლაშქარი ახლდა და შეტაკებისთანავე განდევნა და ამოჟლიტა სპარსელებიცა და მირიანის ლაშქარიც. სპარსელთა უმრავლესობა სპარსეთისკენ გაიქცა, ხოლო მირიანი – მცხეთაში. გამოუდგა კოსტანტინე. შეუშინდა მირიანი, მოეთათბირა, მისცა მძევლად თავისი ძე ბაქარი და დაუზავდა. მაშინ კოსტანტინემ დაამოყვრა მირიანი და თრდატი და თრდატმა თავისი ასული მირიანის ძეს, რევს, მისცა ცოლად; და დაუდგინა საზღვრად მთა, რომლიდანაც იმიერ გამოსული და არაზში ჩამდინარე მდინარეები თრდატს მიაკუთვნა, ხოლო მტკვრის ამიერ შენაკადები – მირიანს; დააზავა ისინი და თავად კი წავიდა. მაშინ მირიანის მოქცევას ხმამაღლა ქადაგებდა ნინო, გამოაჩინა ვაზის ჯვარი და მისი შეხებით კურნავდა მრავალს. ასევე მისი მოწაფეები – სიდონია, ის ექვსი ებრაელი ქალი და ახალი პავლე – აბიათარი დაუღალავად ქადაგებდნენ. ამიტომაც ამხედრდნენ ებრაელები აბიათარის წინააღმდეგ, რომ ქვით ჩაექოლათ. მაგრამ მეფემ წარავლინა მსახურები და გამოსტაცა მათ აბიათარი, რადგანაც მირიანს საბერძნეთიდან და სომხეთიდან ბევრი სმენოდა ქრისტეს მიერისასწაულების შესახებ და ხელს არ უშლიდა ნინოსა და მის მოწაფეებს. მაგრამ მას ებრძოდა მტერი იგი<sup>141</sup> და ვერ ელიარებინა ქრისტე. ნანა დედოფალიც დიდად მტრობდა ქრისტეს რჯულს. ხოლო წმინდა ნინო ლოცვით იმყოფებოდა [84] თავის სავანეში; წარმართებს უკვირდათ მისი შრომა-ღვანლი და კითხვებით მიმართავდნენ მას. ხოლო იგი განუმარტავდა და ქრისტეს სიყვარულს თესდა მათ გულებში. და ამ სამი წლის განმავლობაში ბევრი დაიმონაფა.

### **ნინოს სასწაულები**

იყო ერთი მძიმე სენით შეპყრობილი ვაჟი და დედამისი განკურნების მიზნით ყველგან დაატარებდა. ის იყო ქრისტიანობის ყოველმხრივ მოძულე. როდესაც მკურნალთაგან იმედი გადაეწურა, ვედრებით მივიდა ნინოსთან. ხოლო წმინდანმა დაანვინა თავის ტყავის საფენზე<sup>142</sup>, მისთვის ილოცა, განკურნა და დედასვე გადასცა. ამის გამო დედა-შვილმა ქრისტე აღიარა და ღმერთს მადლობა შესწირა.

## ნანა დედოფლის განკურნება

შემდგომ დასწავლდა ნანა დედოფალი და რადგანაც მკურნალებმა ვერაფერი არგეს, უთხრეს მას წმინდა ნინოს შესახებ. დედოფალმა უმაღლვე მოიხმო, მაგრამ წმინდანმა არ ინება მისვლა, არამედ თავად დედოფალი იხმო თავისთან. და მიიყვანეს ნანა საკაცით და დაანვინეს ნინოს ტყავის საფენზე. მაშინ ნინომ შეახო ჯვარი თავზე, ფეხებსა და მხრებზე, ილოცა მისთვის და ააყენა ცოცხალი. იმ დროიდან ნანა ნინოს მეგობარი გახდა, ქრისტეს სარწმუნოების შესახებ ეკითხებოდა და გულმოდგინედ სწავლობდა; მეფემაც გამოიკითხა ნანას განკურნების ამბავი, ხოლო მან, დედოფალმა, ყველაფერი აუწყა. გაუკვირდა მირიანს და დაიწყო ქრისტეს რჯულის გამოძიება, ძველი და ახალი რჯულის წიგნებიდან კითხვებით მუდამ აზიარს მიმართავდა და თავადაც ჰქონდა მეფე ნებროთის<sup>143</sup> წიგნი, რომელსაც ხშირად იმონებდა: გოდლის აგების დროს ესმა ნებროთს: „მე ვარ მიქაელი, ღვთის მიერ აღმოსავლეთის მთავრად დადგენილი. გადი ამ ქალაქიდან, რადგანაც მას ღმერთი დაიფარავს. ხოლო ბოლოს მოვა ცის მეუფე, რომლის ხილვაც შენ გსურს, პატივყარილი ადამიანთა მიერ; [85] და მისი შიში გააქრობს ამ ცხოვრების სიტკბოებას. ის გიხსნის შენ შენი გასაჭირისგან.“ ამიტომაც უფრო ირწმუნა მეფემ ნინოსი და გაუჩნდა ლტოლვა ქრისტიანობისადმი, მაგრამ მტერი თესდა მასში კერპებისა და ცეცხლის სიყვარულს, რის საწინააღმდეგოდაც დედოფალი ევედრებოდა ქრისტიანობისათვის მიეპყრო გულისყური. მაშინ მთავარი მოგვი, სნეული ხვარა, მეფის ნათესავი, უკეთური სულით ტანჯული განწირული იყო სწრაფი სიკვდილისათვის. ამიტომაც ევედრებოდნენ მეფე და დედოფალი ნინოს, განეკურნა იგი. ხოლო მეფემ უთხრა: „ვიცი, რომ ხარ არმაზის ასული და ზადენის შვილი და ამიტომაც შეგიძლია განკურნება. ამიტომაც იყავი შენ, როგორც ერთი იმათგანი, ვისაც მე ვმფარველობ, და პატივს მოგაგებ. მაგრამ იქადაგე არა რომაელთა რჯული, არამედ ცხოვრების მპყრობელების – არმაზისა და ზადენის, გაცისა და გაიმის, ჩვენი მამების, რომელთაგანაც აღმოცენდნენ მნათობები და ყოველი ნაყოფი. თუ განკურნებ ამ მთავარს, გაგხდი შენ მცხეთის მკვიდრად და დაგადგენ არმაზის მსახურად. ეს საკმარისი იქნება შენთვის.“ მაშინ მიუგო წმინდანმა: „ვევედრები უფალ იესოს და მის დედას, რომ გაცნობოს თავისი ღმერთობა და ის, რაც ქმნა მან, და რადგანაც მოუვლენია შენთვის თავისი მადლის მცირე ნაპერწკალი,

რომელიც მხოლოდ ზეცაში არის – ღმერთი უხილავი, რომელიც გამოჩნდა ქვეყანაზე, აღასრულა ყველაფერი და ავიდა მამასთან, მისგან ახლოსაა შენი ღმერთთან მიახლოება, რადგანაც მისი კვართი და ელიას ხალენი ამ ქალაქშია, რის გამოც მრავალი სასწაული აღესრულება. ხოლო მე შენს მთავარს განვკურმებ მისი ძლიერებითა და მისი ჯვრით, როგორც დედოფალი ნანა, რათა გაბრწყინდეთ სულით.“ მაშინ მიჰგვარეს ის მთავარი ბალნარში იმ ნაძვის ქვეშ; და დააყენა ის აღმოსავლეთისკენ ხელაპყრობილი და სამჯერ ათქმევინა: „გავმორდები ეშმაკსა და შევუდგები ქრისტეს!“ და ტიროდნენ ნინო და დედოფალი; და სწრაფად გავიდა მისგან ის ბოროტი სული, დაემონაფა ნინოს და ადიდებდა ღმერთს.

[86] მაშინ მირიანი ივნისის 20-ში, შაბათ დღეს, წავიდა სანადიროდ მუხრანის მხარეს, გულში ბოროტება შეეპარა და უთხრა თავის ოთხ წარჩინებულს: „ღირსი ვარ, რომ ჩვენი ღმერთების კერპებმა ბოროტება შემამთხვიონ, რადგანაც დავტოვეთ ისინი და ვუსმენდით იმ რომაელ დედაკაცს, რომელიც ქადაგებს ჯვარცმულს. ახლა მსურს, რომ ვანამო ისიცა და დედოფალი ნანაც, თუ არ დატოვებენ რომაელთა რჯულს.“ ხოლო მათაც სურვილით დაუდასტურეს მეფეს მისი გადაწყვეტილება. მოიარეს და ავიდნენ თხოთის მთაზე, რომ დაეთვალეირებინათ კასპი; მაშინ სასწრაფოდ შემოეხვია ნისლი და ჩამონვა საშინელი წყვიადი. და მოსწყდა მეფეს მთელი ლაშქარი, ხოლო თვითონ მარტო დაბრ-მავებული ევედრებოდა თავის კერპებს რამდენიმე ხნით თვალის ახელასა და გზის ჩვენებას. მაგრამ ვერ ნახა შვება და ვერც წასვლა შეძლო. შემდგომ მოეგო გონს და თქვა: „შევევედრები იმ დედაკაცის ღმერთს და თუკი მეშველება რამე, ვაღიარებ მას.“ და თქვა: „ღმერთო ნინოსო! გამინათე ბნელი, თუკი ხარ ჭეშმარიტი ღმერთი და გაღიარებ შენ.“ სწრაფად, მისი სატყვებისთანავე განათდა მთელი ქვეყანა და მეფეს თვალეპიც აეხილა. მაშინ გარბოდა მეფე ძახილით: „დიდია ნინოს ღმერთი.“ და გამოეგება საფურცლეში ნანა დედოფალი ერთთურთ. ხოლო მეფე მივიდა ნინოს ქოჩთან,<sup>144</sup> ჩამოვიდა ცხენიდან და თაყვანი სცა ნინოს ვაზის ჯვარს. და აღიარეს ქრისტე – ღმერთი ჩვენი მან და მისმა ერმა დასაბამიდან 4266, ბერძნულით 5825, ქართულით 69, ქრისტესით 317 [წელს].

[87] მაშინ მირიანმა კოსტანტინე დიდთან წარგზავნა დესპანი<sup>145</sup> და მოითხოვა ეპისკოპოსები და მღვდლები. შემდეგ გაკაფა თავისი ბალ-

ნარი ეკლესიის ასაგებად; მაგრამ იმ ლიბანის ნაძვიდან გამოკვეთილი ერთი სვეტის აღმართვა ვერ შეძლეს. სალამოს დაღლილები წავიდნენ სახლებში, ხოლო ნინო, ღამის იქ მთეველი, ლოცულობდა. შუალამისას წამოიქცნენ მთები არმაზი და ზადენი და დადგა მდინარეები; გადმოხეთქა მტკვარმა ქალაქისკენ და არაგვმა ციხისკენ და დაიწყო ტირილი, გოდება, ხმამალალი ზარი. ამიტომ ნინოს მოწაფეები ძალზე შეშინდნენ. ხოლო ის ეუბნებოდა: „ნუ გეშინიათ. მთებიც იქვეა და წყლებიც ისევე მიედინება და ხალხს კი სძინავს. მთის დარღვევა ურწმუნოების დარღვევაა, მდინარის დადგომა – კერპებისთვის შეწირული ბავშვების სისხლის ღვრის შეჩერება; და ისმის გოდების ხმა – ეშმაკები იგლოვენ [88] თავიანთ თავს, რადგანაც აქედან ქრისტეს ჯვრით განიდევნებიან“. შემდეგ ლოცვით დააწყნარა ის მოჩვენება და მამალს ნაყივლიც არ ჰქონდა, რომ ქალაქს სამივე კარიბჭიდან შემოესია ლაშქარი, დაიწყეს ყვირილი და ხოცვა-ყლეტა და ამბობდნენ: „სპარელსთა მეფე ხოსრო და ხვარან ხოსრო<sup>146</sup> ბრძანებს: ებრაელები გაარიდეთ და სხვები ამოწყვიტეთ.“ ასევე ამბობდნენ, მირიან მეფე შეიპყრესო. ამის გამგონე ნინოს მოწაფეები გარბოდნენ, რადგანაც მხედრები უახლოვ-დებოდნენ. მიჰხედა წმინდანმა და ანუგეშა ისინი: „ეს მათი დაღუპვისა და ქართლის ხსნის ნიშანია.“ შემდეგ მიბრუნდა და უთხრა მათ [მტარვალებს]: „აჰა, მოვიდა ის, ვისაც თქვენ გაურბიხართ.“ ჯვრის მსგავსად გაშალა ხელები და შერისხა ისინი. სწრაფად დადუმდა ყოველივე და ყველა გაქრა. ასევე ევედრებოდა ღმერთს, რომ არ დასრულებულიყო ეს წარმატებული საქმე.

ხოლო განთიადზე ზეციიდან გადმოვიდა ანგელოზი, მალლა აიტანა ის სვეტი; და სვეტი ნელა დაეშვა თავისი მოკვეთის ადგილზე და გამობრწყინდა დიდი ნათელი. ამის მხილველი მეფე და ერი გამობრბოდნენ და თავყანს სცემდნენ მას. დაეშვა და დადგა მოკვეთის ადგილას. პირველად მოვიდა დაბადებით ბრმა ებრაელი, შეეხო სვეტს და უმალ აეხილა თვალი და ადიდებდა ღმერთს; შემდგომ სამეფო კართან დაახლოებული ოჯახის რვა წლის ლოგინად ჩავარდნილი ბავშვი მოიყვანა დედამ, დაანვინა სვეტის წინ და ევედრებოდა ნინოს. ხოლო ნინომ ხელი შეახო სვეტს და შემდგომ დაადო ბავშვს და განკურნა; და ადიდებდნენ ღმერთს. ასეთი მრავალი სასწაული მოხდა, ვიდრე მეფემ არ არ შეუქმნა საბურველი<sup>147</sup> და დაასრულა ბაღნარში ეკლესია. ეს რომ გაიგო, კოსტანტინე დიდმა დიდად გაიხარა, რადგანაც

მის ხელში მიეფინა ღვთის მადლი ყოველ ადგილს და ასევე მირიანი ჩამოშორდა სპარსელებს და კოსტანტინეს სიყვარულისკენ მობრუნდა. გამოუგზავნა ჯვარი და მაცხოვრის ხატი, ეპისკოპოსი იოვანე, ორი მღვდელი და სამი დიაკვანი; და კოსტანტინემ მირიანს მოსწერა ძმობის წერილი, ხოლო ელენე დედოფალმა – ლოცვისა და სიყვარულისა.

### **[89] ქართველების მონათვლა**

მათი [სასულიერო პირთა] მოსვლისთანავე მეფე, დედოფალი და ყოველი ივერიელი მათი ხელით მონათლნენ მტკვარში, ხოლო ფეროზი და მისი ხალხი, ასევე ებრაელები და კავკასიელები – არა. ეს მოხდა ქრისტეშობიდან 318 წელს, ქართულით 70-ში.

ამის შემდგომ მეფემ კვლავ წარგზავნა იოვანე ეპისკოპოსი და ერთი თავისი დიდებული კოსტანტინე კეისართან და ითხოვა ნაწილი იმ ცხოველმყოფელი ძელისა ანუ ჯვრისა, რომელიც იმ დროს მოევლინა ელენე დედოფალს<sup>148</sup>, ასევე მღვდლები და ეკლესიის მშენებლები, რომ ივერიაში გაეგრძელებინა ქრისტიანული სარწმუნოება. მაშინ კეისარმა გამოუგზავნა უფლის ფეხის ფიცარი<sup>149</sup> და სამსჭუალი, მღვდლები და ეკლესიის მრავალი მშენებელი. მაგრამ მეფე შეწუხდა, რადგანაც ფეხის ფიცარი და სამსჭუალი მცხეთაში კი არ ჩამოიტანეს, არამედ დაასვენეს ერუშეთსა და მანგლისში. ამის გამო წმინდა ნინომ ანუგეშა: „უფლის კვართი ამ ქალაქში არის. ხოლო ისინი იქ იყვნენ, რათა უფლის მადლი მოეფინოს ყოველ ადგილს.“ შემდეგ მეფემ მოიყვანა აბიათარ მღვდელი და ბევრი ებრაელი და გამოიკითხა მათგან კვართის ადგილმდებარეობა. ხოლო ისინი იმასვე უპასუხებდნენ, რაც ზემოთ დაიწერა. ამის მსმენელი მეფე ადიდებდა ღმერთს და ნინო, უფლის მადიდებელი, ანუგეშებდა მას.

### **ჯვრის აღმართვის შესახებ**

კლდეზე იმ წყაროს ზემოთ იყო ერთი ფრიად მშვენიერი, სურნელოვანი ალვის მსგავსი ნაძვი, რომლის წინვებსა და თესლს თუ შეჭამდა ისრით სასიკვდილოდ დაჭრილი [90] ნადირი, მყისვე განიკურნებოდა. ეს აოცებდათ წარმართებს და უამბეს იოანე ეპისკოპოსს, ხოლო ის, ღვთის მადლიერი, ეუბნებოდა მათ, რომ ღმერთს უნებებია უპირველესად ამ ადგილი-სათვის მადლის მოფენა. ამოტომაც საჭირო იყო იმ ხისგან ჯვრის გაკეთება. მაშინ წავიდნენ მეფის ძე რევი და იოანე ეპისკოპოსი

და მარტის 25-ში, პარასკევს, მოკვეთეს და ათასმა ათასეულმა კაცმა წამოიღო ზეაღმართული, მოიტანა ეკლესიის კართან და იქ დადგა. ამ მოკვეთილი ხის ფურცელი 37 დღე არ დამჭკნარა. ამის შემდეგ პირველ და შვიდ მაისს გაამზადეს ჯვარი და მეფის ხელდასხმით<sup>150</sup> აღმართეს იმ ეკლესიაში. და იყო საკვირველი ხილვა, რადგანაც ყოველ ღამე ზეციდან გადმოდიოდა ნათლის გვირგვინი და დაადგებოდა ეკლესიას, რასაც ხედავდა ყველა თემი და ადამიანი; გარიჟრაჟზე ამოდიოდა ვარსკვლავები; ერთი მიდიოდა აღმოსავლეთით და ერთი – დასავლეთით; ხოლო ის გვირგვინი გადიოდა არაგვისკენ და დგებოდა იმ ბორცვზე, იმ წყაროს ზემოთ, რომელიც წმინდა ნინოს ცრემლმა აღმოაცენა, და იქიდან კვლავ ზეცაში ამაღლდებოდა. ამის შესახებ ეკითხებოდნენ წმინდა ნინოს, რა ექნათ. ხოლო წმინდანი ეუბნებოდა: „გაგზავნეთ კაცები, რათა ნახონ სად დგებიან ის ვარსკვლავები“. მაშინ ამის მხილველმა კაცებმა უთხრეს: „ერთი დაადგა თხოთის მთას, ხოლო მეორე – კუხეთს.“

მოისმინა რა ეს, წმინდა ნინომ უბრძანა ორი ჯვრის წაღება და იმ ადგილებში აღმართვა, ხოლო ქრისტეს მხევალმა სალომემ, რევის ცოლმა, რომელსაც მეფემ მისცა კახეთი საერისთავოდ და იყვნენ უჯარმაში, წაიღო ის ჯვარი და უჯარმაში აღმართა, რომ ბოდა<sup>151</sup> არ აღდგომოდა მეფეთა ქალაქს; მეორე კი აღმართეს თხოთის მთაზე. ხოლო ის პირველი ჯვარი – მცხეთის სასწაული ხელთ აღიპყრეს და იმ წყაროსთან მივიდნენ; ყოველმა ცრემლით მლოცველმა ღამე გაათია და მეორე დღეს [91] ავიდა იმ კლდეზე. ნინოს ნათქვამის საფუძველზე ეპისკოპოსმა იოვანემ აკურთხა ის ადგილი, აღმართეს ჯვარი, თაყვანი სცეს და ადიდეს ყველასთვის ცხოვრების მომნიჭებელი ღვთის ძე.

ხოლო დიდი მთავრები არ შორდებოდნენ იმ ცოცხალ სვეტს და ყვებოდნენ მის მიერ აღსრულებულ სასწაულებს. ამიტომაც მეფემ ჯვრის მსახურება დაადგინა აღდგომის დღესასწაულზე, კვირას. ხოლო სულიწმინდის მოფენის დღის შემდგომ ოთხშაბათ დღეს ყველამ იხილა დიდი სასწაული – ჯვარს დაადგა ცეცხლის ჯვარი თორმეტი ვარსკვლავის გვირგვინით და ის ბორცვი სურნელს აკმევდა. ამის მნახველი მრავალი სული მოინათლა და ადიდებდა ღმერთს. შემდგომ კვლავ იხილეს ცეცხლის სასწაული, რომელიც დაადგა ჯვარს, შვიდჯერ მზეზე უფრო ნათელი და მისგან ზეცად ამაველი და მასზე ჩამოსული ანგელოზები; და ის ბორცვი ძლიერად ირყეოდა. როდესაც

დამშვიდდა ყოველივე, გაოცებამ შეიპყრო მთელი ერი და წლიდან წლამდე საკვირველი სასწაულის მხილველები თაყვანს სცემდნენ ჯვარს და გამრავლდნენ ქრისტე ღმერთის მადიდებლები.

იმ დროს მეფე რევს ჰყავდა სნეული, სიკვდილის პირას მყოფი ძე; წამოიყვანა რევმა თავისი ძე და დაანვინა ჯვრის წინ, ცრემლით ევედრებოდა მის განკურნებას და აღთქმას დებდა, რომ ჯვარს გაუკეთებდა საჩრდილობელს. მცირე ხნის შემდგომ ყრმა სწრაფად განიკურნა და რევმა თავისი ძე ცოცხალი წაიყვანა სახლში. შემდგომ დაბრუნდა რევი და აღასრულა რა საკუთარი აღთქმა, ჯვარს გაუკეთა საჩრდილობელი. ამის მხილველი უძლური სნეულები უფრო მეტად მოდიოდნენ და იკურნებოდნენ, ქრისტეს ჯვრის მადიდებლები. იყო ასევე ერთი დაბრმავებული ახალგაზრდა კაცი; მოვიდა და ჯვრის წინ იჯდა შვიდი დღის განმავლობაში; ამის შემდგომ აეხილა თვალები და ადიდებდა ღმერთს. იყო ასევე ბოროტი სულისგან ტანჯული ქალი, რომელიც ტანზე იხევდა ტანსაცმელს. ის მიიყვანეს ჯვრის წინ და თორმეტი დღის შემდგომ შეახეს ჯვარს; [92] სასწრაფოდ განიკურნა და ადიდებდა ჯვარცმულს. ასევე ვიღაც ბავშვი დაეცა და მოკვდა, ხოლო დედამისმა, დილიდან საღამომდე ლოცვითა და ცრემლით მავედრებელმა, ჯვრის წინ მიიყვანა და დაასვენა იგი. სხვა მნახველები განურისხდნენ ქალს, რადგანაც ყრმა მკვდარი იყო და უნდა დაემარხა. მაგრამ ქალი არ კარგავდა იმედს და უფრო მეტად ტირილით ევედრებოდა ჯვარს. საღამო ჟამს კი სული ჩაუდგა და გაცოცხლდა ბავშვი, აიყვანა დედამ, ადიდებდა ღმერთს და წაიყვანა სახლში. მაშინ ამ სასწაულის მრავალი მხილველი ითხოვდა შვილს და ეძლეოდა კიდეც შვილი; და ბევრი სენისგან ტანჯული იკურნებოდა არა თუ მის წინაშე მისვლით, არამედ შორიდან თხოვნითაც კი უსრულდებოდა წადილი; ხოლო მტრისაგან ძლეულები თავად ძლევდნენ მტერს; და მრავალი უმწეო და გასაჭირში ჩავარდნილი შემწედ უხმობდა ჯვარს და თავს აღწევდა ყოველივეს, შემდგომ მიდიონენ და სწირავდნენ შესაწირავს, ინათლებოდნენ და ადიდებდნენ მამას, ძესა და სულიწმიდას.

ამის შემდგომ მოვიდა გამოგზავნილი ბრანჯი დიაკვანი. მას ჰქონდა წერილი, რომელშიც რომის წმინდა პატრიარქი მეფესა და საქართველოს ქებას ასხამდა და აკურთხებდა, ასევე ითხოვდა ნეტარი ნინოსგან დალოცვას და მის მადლთან თანაზიარობას. დიაკვანს ჰქონდა ასევე წმინდა ნინოსადმი ბრანჯთა მეფის წერილი, რადგანაც მეფეცა და მისი ხალხიც წმინდა ნინოს მამის მონათლულნი იყვნენ. და მათ სმენოდათ,

რომ საქართველოს იერუსალიმიდან და კოსტანტინეპოლიდან მოეფინა მზე სიმართლისა და სვეტისა და [93] ცოცხალი ანუ ცხოველი ჯვრის სასწაულის გაგებაც სურდათ. მაშინ ბრანჯმა დიაკვანმა შეიტყო ყოველივე აქ აღწერილი, თან ნაილო წმინდა ნინოსა და ქართველთა მეფის წერილები და უკან გაემართა ქრისტეშობიდან 326, ქართულით 78 [წელს].

შემდგომ მოისურვა მეფემ მთიელთა მახვილით მოქცევა და აცნობა წმინდა ნინოსა და ეპისკოპოსს. მაგრამ წმინდანმა არ დართო ნება, რადგანა ღვთისაგან ნაბრძანებია არა მახვილი, არამედ ქადაგება; და ეუბნებოდა მეფეს; „მე ნავალ იქ საქადაგებლად“. იქ მისულმა იქადაგა ქრისტეს სახარება. ხოლო უმრავლესმა ნაწილმა არც მოუსმინა და არც მიიღო; მაშინ მეფემ მთიელებს ხარკზე ხარკი დაუმატა, ხოლო მეფის ერისთავმა მცირედ აღმართა მახვილი და შემუსრა მათი კერპები. ამიტომაც ფხოველები გადაიხვეწნენ თუშეთში და ერწო-თიანელები მოინათლნენ.

შემდგომ წმინდა ნინო ფეროზის მოსაქცევად გაემართა რანში და მივიდა დაბა ბოდაში. იქ მიდიოდნენ ირგვლივ მცხოვრებნი; წმინდანი ასწავლიდა და არწმუნებდა მრავალს. მაშინ იქ მყოფი წმინდა ნინო დასწულდა და როგორც კი ეს შეიტყეს მეფის ძე რევმა და დედოფალმა სალომემ, აცნობეს მეფეს. ხოლო მეფემ გააგზავნა ეპისკოპოსი იოანე, რათა წმინდანი წამოეყვანათ მცხეთაში. წმინდა ნინომ არ ინება, რომ მცხეთაში წასულიყო. ამის გამგონე მირიან მეფე, ნანა დედოფალი, მთავრები უამრავი ერთი მივიდნენ ბოდაში და იხილეს წმინდა ნინო ანგელოზივით გაბრწყინებული, შემოეხვივნენ საამბოროდ და სამოსლის კიდიდან ახვედნენ [ნაკუნებს], მწარედ ტიროდნენ მასთან განშორების გამო.

მაშინ ირგვლივ მსხდომი მტირალი დედოფალი სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნელი<sup>152</sup> ეუბნებოდნენ წმინდა ნინოს: „შენ, ტყვეო, ტყვეთა მხსნელო! გვითხარი ვინ ხარ, ან საიდან მოგვფინე ჭეშმარიტების ეს ნათელი.“ ხოლო წმინდა ნინომ ისმინა მათი ვედრება [94] და მიუგო: „აიღეთ კალამი და დაწერეთ, რასაც გეტყვით თქვენ, რათა იცოდნენ თქვენმა შვილებმა და შთამომავლებმა, როგორ მოგცათ და მოგფინათ თავისი მადლი ერთადერთმა ღმერთმა“. მაშინ ნინო ამბობდა ყოველივეს და ისინი იწერდნენ ასე, როგორც ზემოთ აღვწერეთ.

ამის შემდგომ ეპისკოპოსმა იოანემ შესწირა უსისხლო მსხვერპლი<sup>153</sup> და აზიარა წმინდა ნინო, და წმინდანმა შეავედრა თავისი სული ზეცის მეუფეს ქრისტეშობიდან 329, ქართულით 81 [წელს].

ხოლო მეფემ ინება მისი გადასვენება მცხეთაში. და როგორც თავმდაბლობით თქვა (დაიბარა) წმინდა ნინომ, დაკრძალეს იგი ჰერეთის დაბა ბოდაში.<sup>154</sup>

ამის შემდგომ კოსტანტინედიდმა მირიან მეფეს გამოუფხავნა მისი ძე ბაქარი და შემოუთვალა: „რადგანაც აღიარე ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტი, აღარ მჭირდება შენგან მძევალი; და იყოს ქრისტი ჩვენ შუა მდგომი.“ და მირიანმა ფრიად გაიხარა. შემდგომ მოკვდა მირიანის ძე რევი, რომლისთვისაც მიეცა მირიანს მეფობა და ამიტომაც ამ მწუხარებაში ამავე წელს სარწმუნოებითა და მაღლით სავსე გარდაიცვალა მირიან მეფე, რომელმაც მონათლა ყველა ივერიელი. და რადგანაც მოკვდა უფროსი ძე რევი, ამიტომ მირიანმა მეფობა მისცა თავის უმცროს ძეს ბაქარს, ხოლო რევის შვილებს – კახეთი საერისთავოდ დასაბამიდან 4290, ბერძნულთ 5850, ქრისტესით 542, ქართულთ 94 [წელს]; ხოლო მომდევნო წელს გარდაიცვალა ნანა დედოფალიც.

#### **[95] 25. მეფე ბაქარი. 24 წელი იმეფა**

დაჯდა მეფედ ბაქარი, ძე მირიანისა. იგი იყო მორწმუნე, როგორც მისი მამა მირიანი და მან მოაქცია უმეტესი [ნაწილი] მთიელთა, რომელნიც ვერ გაექრისტიანებინა მამამისს. მაგრამ დაიწყო მოშურნეობა მასსა და სომეხთა შორის, რადგანაც სომეხები ცდილობდნენ რევის ძე თრდატის გამეფებას, ვინაიდან იგი სომეხთა მეფე თრდატის შვილიშვილი იყო. ამის გამო ბაქარი დაუმოყვრდა სპარსთა მეფეს, მამამისის ძმისწულს, და გაუცვალა სამფლობელო ფეროზს, საკუთარი დის ქმარს, რომელსაც მირიანისგან [ნაბოძები] ჰქონდა რანი და [ბაქარმა კი] მისცა სამშვილდე აბოცის თავამდე, მონათლა და გააქრისტიანა ერითურთ. [და ისიც] ებრძოდა სომეხებს. შემდგომ შეკრებილი სომეხები მოვიდნენ თრიალეთში, ხოლო ბაქარს ხოსროიანთაგან შემოემატა ძალა. მოეწყვნენ [საომრად] და თრიალეთში დიდი ბრძოლა გაიმართა. სძლია ბაქარის ლაშქარმა და ამოწყვიტა განდევნილი სომეხები. ამის შემდგომ სპარსელებისა და ბერძნების შუამავლობით დაზავდნენ იმ პირობით, რომ, რადგანაც ბაქარს ენათესავებოდნენ, არ ეცადათ რევის ძეებს მეფობა. ხოლო რევის ძეებმა მისცეს [ბაქარს] ჰერეთი და კახეთი საერისთავოდ და მშვიდობამ დაისადგურა. ამ მეფე ბაქარის დროს მოკვდა ეპისკოპოსი იოანე და მეფემ დასვა იაკობი, ააგო ეკლესიები, შეჰმაცა ქრისტიანობას და კეთილად მეფობდა. შემდგომ გარდაიცვალა ქრისტესით 364, ქართულთ 116 [წელს].

## 26. მეფე მირდატი. 65 წელი იმეფა

მის ნაცვლად დაჯდა მეფედ ძე მისი მირდატი. ამან იმეფა ყოველ მხრივ კეთილად, ქრისტეს დიდი რწმენით. ამის დროს ქმნიდნენ ქართველები იმ ცხოველი სვეტისგან ჯვრებს, რადგანაც მრავალი სასანაული ხდებოდა, როგორც კი ინება ეპისკოპოსმა იაკობმა და განეფინა მთელ საქართველოში ცხოველი სვეტის ნაწილები [ქართველთა] განსაკურნებლად. ამ დროის შემდეგ მოკვდა ჭეშმარიტი კათალიკოსი იაკობი და მეფემ დასვა იობ სომეხი, დიაკვანი ნერსე კათალიკოსისა. შემდგომ გარდაიცვალა მეფე მირდატი ქრისტესით 379, ქართულით 131 [წელს].

## [96] 27. მეფე ვარზა-ბაქარი<sup>155</sup>. 14 წელი იმეფა

გამეფდა ძე მისი ვარზა-ბაქარი. მან შეირთო ცოლად რევის ძის, თრდატის, ასული და ანგელოზის ხარებით შეეძინა ძე. უწოდეს მურვანოსი (რომელსაც ეწოდა პეტრე და გახდა მაიმონის<sup>156</sup> ეპისკოპოსი, რომლის ცხოვრებასაც მოგვითხრობს მისი მეტაფრასი<sup>157</sup>); მაგრამ ვარზა-ბაქარმა შეირთო მეორე ცოლი, ფეროზის ძის ასული; და [მან] შეიყვარა ნუთისოფელი, რადგანაც იყო ურწმუნო და მოძულე რჯულისა. მაგრამ ქართველთა შიშით ვერ აცხადებდა ამას, ვინაიდან [ისინი] იყვნენ დიდად მორწმუნენი და მტკიცედ მისდევდნენ ქრისტეს. ხოლო შემდეგ, შესრულდა რა მურვანოსი, ძე ვარზა-ბაქარისა, 12 წლისა, თეოდოსი კეისარმა მოითხოვა მძევლად მურვანოსი, რათა ვარზა-ბაქარი არ შეერთებოდა სპარსელებს. [მეფემ] მისცა [თავისი ძე] და წაიყვანეს [იგი] კონსტინეპოლში.<sup>158</sup> ამის გაგების შემდგომ სპარსელებმა სომხეთსა და საქართველოში<sup>159</sup> გამოაგზავნეს ლაშქარი, რათა მოხარკედ ექციათ [ისინი]. ამიტომაც სომხებმა პირი შეკრეს ვარზა-ბაქართან, რათა გაერთიანებულიყვნენ და შებმოდნენ სპარსელებს. ამასვე ურჩევდნენ მისი დიდებულებიც, რომ გამოეყვანა ოსები და ლეკები და შებრძოლებოდა სპარსეთს სომხებთან ერთად. მაგრამ [ეს] არ ისურვა ვარზა-ბაქარმა, რადგანაც იყო მხდალი და გულდელაღი და დაიხია კახეთის ხევისკენ. მაშინ შემოვიდა სპარსთა ერისთავი, დაარბია სომხეთი, ააოხრა და შემოვიდა ქართლში, აოხრებდა და ატყვევებდა. და ააგო ციხე თბილისში. ღონეგამოცლილი და შეშინებული ეახლა სპარსეთის ერისთავს მოაჯე<sup>160</sup> ვარზა-ბაქარი, რომ [ერისთავს] დაენესებინა მისთვის ხარკი და დაეტოვებინა ქვეყანა მშვიდად. ამის გამო ერი-

სთავმა წაართვა რანი და მოვაკანი, რადგანაც სპარსთა მეფის წილია და ვინაიდან თქვენ მხევლის ძეები ხართ, ქართლიც გეყოფათო. და დაუბრუნა თბილისი ვარზა-ბაქარსვე, მოხარკე გახადა, წავიდა და წაიყვანა ფეროზი ნათესავებითურთ ვარზა-ბაქარის გულდედლობის გამო. [97] ამის შემხედვარე კლარჯელები განუდგნენ ვარზა-ბაქარს და შეუერთდნენ ბერძნებს. საქართველოს დარჩენილ ნაწილზე მეფობდა ვარზა-ბაქარი. შემდეგ მოკვდა ქრისტესით 393, ქართულით 157 [წელს] და დატოვა მცირეწლოვანი და მეფობის ვერშემძლე სამი ძე: ფარსმანი – ფეროზის ძის ასულისგან, ხოლო მირდატი და თრდატი – რევის ძის თრდატის ასულისგან.

### **28. მეფე თრდატი. 12 წელი იმეფა**

ამის გამო მოიყვანეს რევის მოხუცებული ძე თრდატი და დასვეს მეფედ. ის იყო ქრიტიანობის ფრიად მორწმუნე, ბრძენი და გონიერი. მან თავისი ცოდნით მოაღბო სპარსელები და გამოაჩინა ხატები და ჯვრები და შეამკო ყოველი ეკლესია ივერიაში. მის დროს მოკვდა ეპისკოპოსი იობ სომეხი და ამან დასვა ელია და უხდოდა სპარსელებს ხარკს და მეფობდა კეთილგონივრულად. შემდეგ გარდაიცვალა ქრისტესით 405, ქართულით 157 [წელს].

### **29. მეფე ფარსმანი. იმეფა 3 წელი**

მის შემდგომ მეფედ დასვეს ვარზა-ბაქარის ძე ფარსმანი, აღზრდილი სამშვილდის ერისთავის მიერ, რომელიც ფეროზის ძის შვილი იყო, მირიან მეფის ასულთან [შეძენილი]. ეს ფარსმანი იყო მამაცი, ძლიერი, გაბედული ბრძოლა-შებმაში და ქრისტეს მცნების ფრიად მორწმუნე. მან ბერძნებს სთხოვა დახმარება, მათაც აღუთქვეს. ამიტომაც აღარ გადაუხადა ხარკი სპარსელებს და განაახლა ეკლესიები. მის დროს მოკვდა ელია ეპისკოპოსი და მეფემ დასვა სვიმონი ეპისკოპოსად და სიკეთით მეფობდა. გარდაიცვალა ქრისტესით 408, ქართულით 160 [წელს].

### **30. მეფე მირდატი. იმეფა 2 წელი**

და გამეფდა ძმა ფარსმანისა და ძე ვარზა-ბაქარისა მირდატი, თრდატ მეფის მიერ აღზრდილი და თრდატ მეფისავე ასულის ვაჟი; მაგრამ იგი იყო ურწმუნო, მოურიდებელი, თავხედი, მაგრამ მამაცი, უშიშარი [97] და ძლიერი. იგი არ ემსახურა ღმერთს, არც შეჰმატა [არაფერი] ეკლე-

სიას, არამედ თავხედობით ცდილობდა ბერძენთაგან კლარჯეთის [დაბრუნებას] და სპარსელებსაც არ აძლევდა ხარკს. ამის გამო გამოაგზავნა სპარსთა მეფემ თავისი ერისთავი, სახელად უზარაბი, დიდი ლაშქრით. მაშინ მირდატი არ მოერიდა მათ სიმრავლეს და მცირერიცხოვანი ლაშქრით შეუტია. სძლიეს სპარსელებმა, ამოჟლიტეს მისი ლაშქარი, გაქცეული მირდატი შეიპყრეს, მიიყვანეს ბაღდადში და იქ მოკვდა ტყვეობაში. ხოლო სპარსელები შემოვიდნენ და დაიპყრეს ქართლი და მცხეთაში დადგეს საცეცხლე<sup>161</sup> და მირდატის მემკვიდრეები დარჩნენ კახეთის ხევში ქრიტესით 410, ქართულით 162 [წელს].

### **31. მეფე არჩილი. იმეფა 24 წელი**

სამი წლის შემდეგ ქართველებმა მოიყვანეს მეფე მირდატის ძე, თრდატ დატყვევებული მეფის ასულის ძე, სახელად არჩილი და გაამეფეს. არჩილი იყო ფრიად მორწმუნე და ეკლესიათა გამამრავლებელი. მან საბერძნეთიდან ცოლად მოიყვანა ივბიმინოს მეფის ასული, სახელად მარიამი. [მან] გამოუცხადე მტრობა სპარსელებს, განდევნა ცეცხლმსახურები და ჩააქრო მათი საცეცხლეები; [არჩილმა] დაიწყო ბრძოლა სპარსელებთან და შეამკო ყველა ეკლესია. შეიტყო რა ეს სპარსთა ერისთავმა (რომელიც ერისთავობდა რანსა და მოვაკანში; მისივე განსაგებელი იყო ქართლიც), და რადგანაც სპარსთა მეფე მოუცლელი იყო, ამის გამო მან [ერისთავმა] შემოიკრიბა მისდამი დაქვემდებარებულნი ადრაბადაგანიურთ და მივიდა მდინერე ბერდუჯთან. ხოლო არჩილი, ღმერთს მინდობილი და ჯვრის მსასობელი, შეეგება თავისი შეკრებილი ლაშქრით და შედგა ძლიერი და სასტიკი ბრძოლა; შემდგომ განდევნა სპარსელები და უმეტესი ამოჟლიტა. შემდეგ შევიდა რანში, ააოხრა და დაარბია და გადაწვა ციხეთა ჩათვლით და დაბრუნდა დიდძალი ალაფით გამარჯვებული მცხეთაში. და იმ დროიდან ველარ [99] აღუდგა წინ ერისთავი რანისა და მუდამ არბევდა არჩილი რანსა და მოვაკანს მრავალი დღის განმავლობაში. ამის შემდგომ მოესწრო არჩილს მისი ძე მირდატი. და მირდატი იყო უშიშარი, მამაცი და ძლიერ მარჯვე. მან დაიწყო შესვლა რანსა და მოვაკანში და მრავალჯერ ატყვევებდა და არბევდა მუდმივად. ხოლო რანის ერისთავს ჰყავდა ასული მშვენიერი სახისა. და უამბეს მირდატს მისი სილამაზის შესახებ. მაშინ მირდატი გაუმიჯნურდა ამ ქალს და ურჩია მამას რანის ერისთავთან დაზავების მიზნით ქალის მოთხოვნა [მირდატის]

საცოლედ; თან ამბობდა: „მართალია, ამჟამად ჩვენ ვართ სპარსთა მძლეველები, მაგრამ როდესაც მოიცლიან სპარსელები, ველარ შევძლებთ შეწინააღმდეგებას.“ (მაგრამ ამ ყველაფერს ამბობდა ქალის სიყვარულის გამო). მაგრამ არჩილს ეს ნარჩევი არ სურდა; თუმცა, რადგანაც მრავალგზის აიძულებდა მისი ძე, დართო ნება და მოითხოვეს რანის ერისთავის ასული. ამის გამგონე [ერისთავმა] ფრიად გაიხარა და მისცა [ქალი] დიდძალი მზითვით; მირდატმა იქორწინა მასზე დიდი სიხარულით, დაადგინეს მშვიდობა და მტკიცე ზავი სიყვარულის საფუძველზე. არჩილის დროს გარდაიცვალა სამი ეპისკოპოსი: იოანე, გრიგოლი და ბასილი. მან დასვა მობიდა;<sup>162</sup> ხოლო ეს მობიდა იყო მოგვი<sup>163</sup> სპარსი და იჩემებდა [ქრისტიანულ] სარწმუნოებას. მაგრამ ფარულად წერდა ბოროტ წიგნებს, რომლებიც მის შემდგომ დაწვა მიქაელ ეპისკოპოსმა. არჩილმა იმეფა სიკეთით, დიდი რწმენით და გაამრავლა ეკლესიები და საეკლესიო წესები. შემდეგ გარდაიცვალა ქრისტესით 434, ქართულით 186 [წელს].<sup>164</sup>

### **34. მეფე მირდატი. 12 წელი იმეფა**

გამეფდა მისი ძე მირდატი. მაგრამ მას არ ჰყავდა არც ძე, არც ასული. შემდგომ ღვთის ვედრებით შეეძინა ასული ხუარანძე, ხოლო ოთხი წლის შემდგომ მიეცა ვახტანგი. ამის გამო ლოცვა აღავლინეს [100], მხიარულობდნენ და ღმერთს ვახტანგის გაზრდას ევედრებოდნენ. ეს ითხოვა საურმაგ სპასპეტმა (რადგანაც წესი იყო – მეფის ძეებს აღზრდიდნენ დიდებულები) და მისცეს მას. ექვსი წლის შემდგომ კვლავ შეეძინათ ასული მირანდუხტი და მისცეს აღსაზრდელად კასპის სპასპეტს. მირდატმა იმეფა დიდი რწმენით კეთილად; გარდაიცვალა ქრისტესით 446, ქართულით 198 წელს.

### **35. მეფე ვახტანგი. 53 წელი იმეფა**

გამეფეს მირდატის ძე ყრმა<sup>165</sup> ვახტანგი, 7 წლისა. მაგრამ შეშინდნენ ერისთავები და დედოფალი სარანდუხტი, რანის ერისთავს შურისძიებით არ მოეოხრებინა [ქვეყანა] და შეერყვნა ეკლესიები, ვინაიდან სარანდუხტსაც უარეყო სპარსთა რჯული და ქრისტიანი იყო. ამიტომაც მოეთათბირა დედოფალი დიდებულებს, რომ წავიდოდა თავის მამასთან, ხოლო მათაც დაუდასტურეს და წავიდა. მისულმა ამოიყარა ძუძუები და ფეხებში ჩაუვარდა მამას დასაცავად ივერიისა და ეკლესიე-

ბისა და არა რჯულის მოსაპოვებლად, რადგანაც ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტეა. შეებრალა მამას, უსმინა და მისცა ყოველი სათხოვარი; მაგრამ გამოაგზავნა ცეცხლის მსახურები მცხეთაში და მათი ეპისკოპოსი ბინაქარი,<sup>166</sup> რათა, რომელ ქართველსაც მოუნდებოდა ცეცხლის მსახურება, იძულებით არ შეეკავებინათ. მოვიდნენ ცეცხლის მსახურები და დასხდნენ მოგვთა ადგილას, ხოლო დაბრუნებული დედოფალი განაგებდა სამეფოს. მაგრამ ურისხდებოდნენ ცეცხლის მსახურები, რადგან ვერ გადაიბირეს დიდებულები, [მიიმხრეს] მხოლოდ წვრილი ერიდან ზოგიერთი. მაშინ დედოფალმა მოიყვანა ჭეშმარიტი მღვდელი მიქელი<sup>167</sup> და დასვა ეპისკოპოსად (რადგანაც მობიდანნი გარდაიცვალა).<sup>168</sup> ეს მიქელი აღუდგა ბინქარანს უშიშრად და ასწავლიდა ერს ქრისტეს ჭეშმარიტებას და მოძღვრავდა [101] ვახტანგს საღვთო წერილით. ხოლო ვახტანგი სწავლობდა გულმოდგინედ ყოველივეს.<sup>169</sup> და შემდეგ, შესრულდა რა ვახტანგ 10 წლისა, გადმოვიდნენ ოსები ქართლში და აიკლეს ციხე-ქალაქთა ჩათვლით; და დაარბიეს კასპი, გამოიყვანეს და მეფისა მირანდუხტი, ჩაიარეს რანი და მოვაკანი, დაარბიეს და გაიარეს დარუბანდი, რადგანაც გზა მისცეს დარუბენდელებმა და მივიდნენ ოსეთში მშვიდობით. ასევე გამოგზავნა ბერძენთა მეფე მარკიანემ ლაშქარი და მიიტაცა ეგრისის ციხე-გოჯამდე ზღვისპირეთი. მაშინ იყო დიდი ნუხილი ივერიაში, რადგანაც მოსტაცეს მათი საზღვრები და არ ჰყავდათ წინამძღოლი, რომ რამე ელონათ. ხოლო ვახტანგი იყო საღვთო-სამხედრო [საქმეების] სწავლას მოწყურებული. როდესაც შესრულდა 15 წლისა, მოუხმო დიდებულებს, დაჯდა ტახტზე და დაიწყო ლაპარაკი: „ეჰა, დიდებულებო, მოინია ჩვენზე ძლიერი მწუხარება, რადგანაც წაგვართვეს ჩვენ ჩვენი საზღვრები და მოგვეერიენ მტრები ჩვენს ცოდვათა გამო, რადგანაც ვცოდეთ ღმერთს და არ დავიცავით მისი მცნებები; მაგრამ გამოგვანართო, როგორც მამამ ძე. ახლა მიიღეთ ჩემგან განძი ჩემს მამა-პაპაზე უმეტესი და ვიძიოთ შური ოსებზე, რადგანაც მაქვს იმედი ჯვარცმულისა ჯვრის მოტანით, რომ მოვერევით ჩვენს მტერს“. მაშინ წამოდგა ჯუანშერ სპასპეტი და თქვა: „მეფეო! ჩვენი თემების ცოდვათა გამო იქმნა ეს ჭირი, რადგანაც გადავუხვიეთ მის [უფლის] გზას. მაგრამ გვაქვს სასოება ღვთის მიმართ, რადგანაც მოგვცა ასეთი მეფე, როგორც შენ [ხარ] და ვძლევთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს. [102] ხარ თუმცა ყოველმხრივ სრულყოფილი, მაგრამ ჯერ ხარ ასაკით არასრული. გამოარჩიე შენ წარჩინებ-

ულთა შორის [ერთი] და მას დაგვამორჩილე ჩვენ ყველანი; გაგზავნე და ვძლიოთ მტერს ჯარის წინამძროლით; და თუ დავმარცხდით, შენ უვნებელი იქნები, რადგანაც მთელი ქვეყანაც არ არის შენი მაგიერი.“ და ყველა დიდებულმა დაადასტურა ჯუანშერის გადანყვებილება. მაგრამ მეფემ უთხრა: „მადლიერი ვარ ერთგულებითვის, რომელიც გაქვთ ჩვენ მიმართ. მაგრამ მე თავად მინდა წასვლა არა ჩემი, არამედ ჯვარცმულის ძალით.“ ყველა მსმენელი შენუხდა და უარს ეუბნებოდნენ. მაგრამ შემდგომ მეფის იძულების გამო დაუდასტურეს მათაც. და ბრძანა ლაშქრის შეკაზმვა და აცნობა თავის დედის ძმას და მან გაიხარა და გამოუგზავნა 12 000 მხედარი დამხმარედ; მაშინ შეიკრიბნენ ვახტანგის მეომრები მუხრანსა და ხერკში; და იყო 100 000 მხედარი და მკვირცხლი 60 000.<sup>170</sup> გაემართა მეფე და დატოვა წერილობითი ანდერძი: „თუ მოკვდი, შეირთოს და ჩემი ხვარანძე მირიანმა ცოლად და ის გახდეს მეფე“ (რომელიც იყო რევისგან ვახტანგის მამის ძმისწული). თვითონ მივიდა თიანეთში 172.000-იანი ლაშქრით და იქ შეუერთდნენ კავკასიის მეფეები 40.000 მხედრით. იქიდან წამოვიდა, გაიარა დარიელა და დაიბანაკა არაგვის ნაპირებზე ქრისტესით 454, ქართულით 206 [წელს]. ეს რომ შეიტყვეს, ოსებმა დაიხმარეს ხაზარები, მოვიდნენ ლაშქრით და დაიბანაკეს არაგვის გაღმა ნაპირზე და დადგნენ შვიდ დღეს დაცულნი ყარაულით.<sup>171</sup> და შედგა ბუმბერაზთა<sup>172</sup> ბრძოლები, ზოგჯერ ისინი სჯობდნენ და ზოგჯერ – ესენი. ხოლო იყო ხაზართა ბუმბერაზი, სახელად თარხანი. ის გამოვიდა და ითხოვა შებრძოლება ვახტანგის ლაშქარში უძლიერეს ბუმბერაზთან. ხოლო იყო ლაშქარში რანიდან გოლიათი ფარსმან ფარუხი, რომელსაც მრავალი გოლიათი მოეკლა და ლომს ხელით შეიპყრობდა. ეს გავიდა, ეკვეთნენ [ერთმანეთს] და იბრძოდნენ მძლავრად; ხაზარმა ჰხეთქა ჩაბალახში [103] ხმლით და გაუპო თავი ბეჭამდე. და მოკვდა რანელი. მაშინ დაღონდნენ ვახტანგის მეომრები, რადგანაც აღარავინ იყო [ფარუხის] მსგავსი. ხოლო მეორე დღეს კვლავ გამოვიდა თარხანი და იგივე სიტყვა თქვა. მაგრამ ვახტანგის მეომრებიდან ვერვინ გაბედა გასვლა; მიმოიხედა ვახტანგმა და, რაკი ველარავინ დაინახა გამსვლელი, თავად გავიდა. მაშინ აჩერებდნენ დიდებულები ახალგაზრდობის გამო და ევედრებოდნენ, მაგრამ იგი ეუბნებოდა: „არა ჩემი ძალით, არამედ ჯვარცმულის ძალით დაიძლევა ჩემ მიერ.“ მეფემ ჩაიარა ნაპირი და სწრაფად ეკვეთნენ [ერთმანეთს]. პირველსავე მისვლაზე სცა შუბი ვახტანგმა თარხ-

ანს სარტყელზე, გაიარა იქით, [მეორე მხარეს], ჩამოაგდო და მოკვდა [თარხანი]. ჩემოქვეითდა ცხენიდან მეფე, თაყვანი სცა ღმერთს, მერე მოჰკვეთა თავი [თარხანს] და მოვიდა თავის ლაშქართან. ხოლო მეორე დღეს გამოვიდა სხვა, წინაზე დიდი გოლიათი, სახელად ბაყათარ ოსი, რომლის მშვილდის სიგრძე 12 მტკაველი<sup>173</sup> [იყო] და ექვსი ისარი [ჰქონდა]; შეჰყვირა: „ვახტანგ! ნუ გალადდები, რადგანაც არ ითვლებოდა თარხანი გოლიათთა შორის. თუ ახლა გამოხვალ, მოგხვდება ჩემგან სასტიკი ნაკრავი; და თუ არა, სხვა ვინმე გამოვიდეს შენი ლაშქრიდან. მაშინ ვახტანგმა მქუხარედ გასცა პასუხი და გავიდა და გამოიწვია ოსი მდინარის გამოღმა ნაპირას: „რადგანაც ხარ მონა და მე – მეფე, ამიტომ არ გადმოვალ, არამედ გადმოდი შენ.“ მოუსმინა ბაყათარმა და გადმოვიდა გაბედულად. და დაუშინეს ისრები ერთმანეთს, მაგრამ მეფე აზნევედა ცხენის სისწრაფითა და საკუთარი სიმკვირცხლით; უახლოვდებოდა ბაყათარს. ჰკრა ბაყათარმა ისარი ცხენს ვახტანგისა ფერდში და გააგდო იქით; მაგრამ ვახტანგი უმაღვე ცხენის სიფიცხის [წყალობით] მიეჭრა, ჰკრა ბაყათარს მხარში, ჩაკვეთა გულამდე და მოკლა; შეჯდა თავის ცხენზე და აღარ მობრუნდა, არამედ შეუძახა თავის ლაშქარს. მიეჭრნენ და დაიწყო ძლიერი ბრძოლა, რადგანაც დაუშინეს ოსებმა ისრები კბოდიდან<sup>174</sup>. მაშინ მეფე ზურგიდან შეუძახებდა ლაშქარს და ამხნევებდა. როდესაც ავიდნენ ველზე, უსასტიკესად ეკვეთნენ. [104] შემდგომ დამარცხდნენ ოსები და ხაზარები; დამარცხებულებს ხოცავდნენ და სრავდნენ ურიცხვი [რაოდენობით]. მერე შევიდა ვახტანგი ოსეთში, მოსრა ციხე-ქალაქები, დაარბია და ააოხრა; ასევე დაარბია პაჭანიგები და ჯიქეთი და მოადგა კვლავ ოსეთს. მაშინ დაატყვევა ოსები 760000 და თავისი დისთვის მისცა 30000 ქართველი ტყვეების დასაბრუნებლად – 30000 და დარჩენილები გამოაგზავნა ქართლში და რანის ნაშოვნი ლაშქარიც; თვითონ კი დაუზავდა ოსეთს.

ასე წამოვიდა და შემოიარა კავკასია, მოვიდა აფხაზეთში და წაართვა ბერძნებს აფხაზეთი და ეგრისის სამი წლის განმავლობაში ციხე-გოჯამდე მიტაცებული [წაწილი] ციხეებითურთ; შემდგომ დაბრუნდა მცხეთაში გამარჯვებული ქრისტესით 458, ქართულით 210 [წელს]; და გაუგზავნა არმალანად<sup>175</sup> თავის დედის ძმას მონები და საჯდომი და ჭაკი ცხენები ათას-ათასი და სპარსეთის მეფეს – მონები და საჯდომი და ჭაკი ცხენები ათას-ათასი მათი ეპისკოპოსის, ბინაქარის, ხელით და მოითხოვა მისი ასული ცოლად [რადგანაც ქართლის საზ-

ღვარი დაეპროთ ბერძნებს]. ხოლო სპარსთა მეფემ სიხარულით მისცა თავისი ასული ცოლად, სომხეთი და კავკასიის მეფეები – მზითვად და მოსწერა ბერძნებთან შებრძოლება. მაშინ გადაიხადა ვახტანგმა ჯეროვანი ქორწილი. შემდეგ იხმო თავისი ლაშქარი და შეიკრიბა 200000 ვახტანგისა; ასევე შემოუერთდა დედის ძმა მისი ვარზა-ბაკური 200000-იანი ლაშქრით. როდესაც შევიდა ვახტანგი საბერძნეთში, იყო 20 წლისა; ირემს ქვეითი შეიპყრობდა და აბჯარასხმულს აბჯრიანი ცხენით მხრით მიჰქონდა მცხეთიდან არმაზში.

### **შესვლა საბერძნეთში**

ხოლო წავიდა საბერძნეთში ქრისტესით 460, ქართულით 214 წელს; გაიარა გზა სომხეთისა და იქ შეუერთდნენ სომხეთის ერისთავები და [105] იქიდან მიადგა კარნუ-ქალაქს<sup>176</sup>, მაგრამ ვერ დაიპყრეს და დატოვეს ორი ერისთავი 24000 კაცით, თვითონ წამოსულები შემოერთდნენ პონტოს ქალაქს ოთხი თვე. მარბიელმა [ლაშქარმა] გასწია კოსტანტინეპოლისში. მარბიელი ლაშქარი ხოცავდა ყველა ეკლესიის მსახურს. ეს რომ ნახა, ვახტანგი საღვთო სწრაფვით [აღსავსე] შეაწუხა ხოცვამ და ამცნო ყველა მეომარს, რომელიც მას ახლდა, რომ არ შეიძლებოდა ასეთი ხოცვა; და უამბო ღვთის ძის მოწმობა ნებროთის წიგნიდან, რომელიც ადრე ვთქვით, და ხოსრო მეფისა და მირიანის გაქცევა საბერძნეთიდან და საქმეები თრდატისა და გრიგოლ პართეველისა და საქმე ივლიანესი და ისბიმიანესი, რადგანაც ამ მიზეზით მოხდა ყოველივე.

ამიტომაც უბრძანა, აღარ დაეხოცათ ეკლესიის მოწესეები, გაემვათ ტყვეები და გაეთავი-სუფლებინათ ეკლესიის მსახურები; და ასე რომ მოხდა, პონტოს ქალაქიდან გამოვიდნენ ყოველი მოწესე და მათთან ერთად ორი კაცი<sup>177</sup> – მონაზონი სამოელი და მღვდელი პეტრე მეფის სამადლობლოდ. ხოლო მეფემ მიიწვია ისინი სერზე, შემდეგ საიდუმლოდ უთხრა: „ესიამოვნება კი ღმერთს ეს საქმე, რომელიც გავაკეთე? და მათ ასწავლეს მეფეს და მიუთითეს ღვთისთვის სათნოეყო<sup>178</sup>, მეფემ კი უთხრა:

– თუ ასეა, მანახეთ ჩვენებით, [როგორ] ვასიამოვნო ღმერთს.

მაშინ დაპირდნენ, წავიდნენ და მლოცველ ვახტანგს მიეთვლიმა. მივიდა ნინო და ეუბნებოდა ვახტანგს: „წამოდექი, რადგანაც ორი მეფე, ზეცისა და ქვეყნისა, მოდის შენთან.“ მისულმა იხილა ორი ტახტი, ერთზე მჯდომარე შეიარაღებული ჭაბუკი გვირგვინოსანი და მეორეზე – მოხ-

უცებული თეთრი ზენრიტა და ნათელი გვირგვინით და მის ფეხთით მჯდომერე ნინო. ხოლო ვახტანგის ხელები ეკავათ პეტრე მღვდელსა [106] და სამოელ მონაზონს, რომლებიც ეუბნებოდნენ: „ფეხებში ჩაუვარდი დიდ მთავარს ზეცისა, გრიგოლის<sup>179</sup> „და თაყვანი სცა ვახტანგმა. მიუგო გრიგოლიმ: „რა ჰქენი, ბოროტო, რადგანაც ააოხრე მხეცთა შესაჭმელად სამწყსო ჩემი? ნუთუ ეგენი, რომლებიც დგანან, და ნინო, რომელიც მუდამ იღნვის ღვთის წინაშე თქვენთვის, არ იყვენ აქ. მომეზლო, როგორც შენს მამებს, რომლებიც ემსახურებოდნენ ცეცხლს და არა ღმერთს.“ გამოუწოდა ხელი [გრიგოლიმ] და ეამბორა ვახტანგი; შემდგომ მისცა გვირგვინი და უთხრა: „დაახურე პეტრეს“, შემდგომ ნაკლები [ხარისხისა] მისცა პეტრეს და უთხრა: „დაახურე სამოელს“. შემდგომ უთხრა ნინომ ვახტანგს: „ახლა მიდი მეფესთან და მიიღე შენი განძი.“ მისულს ეამბორა და დაისვა თავის ტახტზე, ხელთ მისცა თავისი ხელის ბეჭედი და უთხრა [ნინომ]: „თუ გსურს გვირგვინი, აღუთქვი, რომ ებრძვი მის მტრებს.“ გაიხედა ვახტანგმა და დაინახა ჯვარი და გვირგვინი მის მკლავზე. და ჯვრის ხილვით შეძრწუნდა ვახტანგი. მაშინ ადგა ნინო, შეჰხედა პეტრესა და სამოელს და ერთობლივად თავდებად დაუდგნენ ვახტანგს. შემდგომ კეისარმა ჯვრიდან ჩემოხსნა გვირგვინი და დაადგა ვახტანგს და წამოვიდნენ. ხოლო გრიგოლიმ სამჯერ დაუძახა ვახტანგს სახელით და უთხრა: „შენს ყოველ ნათესავზე მეტად მორწმუნე იყავი და შენ მიერ აშენდებოდა ეკლესიები და დადგინდებოდა ეპისკოპოსები და მთავარი მათი; და მიიღებ კიდევ მონამეობათა გვირგვინს.“

ხოლო ვახტანგმა ძილშივე უხმო პეტრესა და სამოელს და უამბო ეს ჩვენება და მათ განუმარტეს ასე: „მოხუცებული იყო გრიგოლი პატრიარქი, რომელმაც მომცა გვირგვინი, მომცა ეპოსკოპოსთა მთავრობა და ძე, რომელიც მივეცი სამოელს – ჩემ მიერ გახდა იგი ეპისკოპოსი. ხოლო შეიარაღებული რომელიც იყო – კოსტანტინე, და ბეჭედი – ასული კეისრისა, რომელიც მოგცემს ასულს და ქართლის ყველა საზღვარს; ხოლო გვირგვინი ჯვრისგან – დიდი ღვანლი უნდა აღასრულო; და სამჯერ დაძახება – სამი განძი [107] გაქვს ღვთისგან: რადგან ჩემგან დამტკიცდება საქართველოში კათალიკოს-ეპისკოპოსთა ჭეშმარიტება; და დაძლეე შენს მტრებს და არ ჩაუვარდები ხელში მათ, ხოლო გარდაცვალებისას მიიღებ მონამეობის გვირგვინს.“

და როდესაც დილას გამოფხიზლდა, მეფემ იხმო პეტრე და სამოელი და უამბეს მთელი ის ჩვენება ვახტანგის ნათქვამის გარეშე; ეს ირწმუნა

მეფემ და გაგზავნა ისინი კეისართან მშვიდობისათვის. ამის გამგონე კეისარმა ძალიან გაიხარა და ესიამოვნა, რადგანაც ადრევე გამოეგზავნა ლაშქარი და მასთან ერთად პოლიკარპოს ძლიერი კეისარი.

### **პოლიკარპოსის მოსვლა**

საბაბად გამოიყენა ვახტანგმა სპარსელებთან ერთად მოსვლა ბერძნებისა და ფარული მშვიდობის [გამო] და გაეცალა პონტოს ხუთი დღის სავალზე. მაშინ მოვიდა ზღვიდან პოლიკარპოსი. მეფეს არ სურდა ბრძოლა კეისართან გაგზავნილებისათვის, ამიტომაც განრისხდა რანის ერისთავი და აგინებდა ჯვარცმულს და ეუბნებოდა მეფეს: „გძლია [მხარემ] მამაშენის დედისა, რომელიც ბერძენი იყო, და ამიტომაც არ გინდა ბრძოლა.“ ხოლო მეფემ მიუგო: „აი, შენ და ბერძნები და ნახავ ძალას ჯვარცმულისა“.

მაშინ შედგა ბერძენთა და სპარსთა შორის ძლიერი ბრძოლა და დამარცხდნენ სპარსელები და თავად პოლიკარპოსმა მოკლა ერისთავი რანისა და ამოჟლიტა ლაშქარი მისი. მაგრამ არც მეფეს მოერიდა და გამოილაშქრა მასზე. ამიტომაც მეფემ მოატანინა ჯვარი, რათა თაყვანი ეცა მისთვის ყველა მეომარს; ხოლო [ჯვარს] არ სცა თაყვანი ბარუხ მოვაკანელმა მთავარმა და ჯვრის წინ მოკლა იგი ჯუანშერ სპასპეტმა. ამის მხილველმა ყველამ თაყვანი სცა [ჯვარს]. მაგრამ გინებით მოდიოდა პოლიკარპოსი და არ შეჩერდა ჯვარის მხილველი. ეს რომ ნახა მეფემ, ჰკითხა თავის ლაშქარს: „ვინ შეებრძოლება მას?“ და ვერავინ გაბედა გასვლა. ამის მნახველმა მეფემ შეახო ჯვარს [108] მახვილი და გავიდა. წამიერად ეკვეთნენ [ერთმანეთს] სასტიკად; პოლიკარპოსმა შუბი სცა მეფე ვახტანგის ვიგრის<sup>180</sup> ტყავის ფარს, რომელმაც ერთ წყრთაზე გაიარა. შეუტია ვახტანგმა, თავში ხმალი ჩასცხო და თავის ნახევარი მოიტანა ჯვრის წინაშე; სასწრაფოდ დამარცხდნენ ბერძნები და ამოწყდნენ მათ გარდა, ვინც გაერიდა ზღვის ნავებით. შემდეგ ამისა გაათავისუფლა თავისი მეომრებისგან მეფემ ტყვეები – 780000 ბერძენი მეომარი და თავისი ერისთავი ნასრე გაგზავნა კეისართან, რათა შეხვედროდნენ ერთმანეთს და მათი საქმეები იქიდან განეგო, რადგან მოსული იყო კეისარიც პონტოში. მაშინ კეისარი ნავებით გამოვიდა ზღვის ნაპირზე და ვახტანგიც იქ მივიდა. აასრულეს პირობა და დანათესავდნენ, რადგანაც მისცა ლეონმა თავისი ასული [ელენე] ცოლად ვახტანგს (რადგანაც ამ დროს, დაჩის გაჩენისას, მომკვდარიყო ვახტანგის ცოლი, სპარსთა მე-

ფის ასული). ასევე აღუთქვა კეისარმა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა გამოგზავნა და დაუბრუნა კლარჯეთი, თუმცა ბერძენთა საზღვრისათვის წაართვა ეგრისწყალს იქითა [მხარე], (რომელიც ვახტანგს მოეპოვებინა საკუთარი მკლავით) და ფიცით აღუთქვა, როდესაც წაიყვან ჩემს ასულს, მას მივცემ მზითვადო. შემდეგ უძღვნეს ერთმანეთს ურიცხვი [საბოძვარი] და წავიდა კეისარი. ხოლო ვახტანგმა გაუშვა სპარსელები უთქმელად, თავად გამოიარა კლარჯეთის გზა და მოვიდა მცხეთაში; მაგრამ ველარ მოიცალა მეფემ ცოლის მოსაყვანად, რადგანაც ელოდა სპარსელებს და ამავრებდა ციხე-ქალაქებს; ამიტომაც გააძევა ცეცხლის მსახურები და ეპისკოპოსი მათი ბინაქარი შეაგდო საპყრობილეში; დასვა სხვა ჭეშმარიტი ეპისკოპოსი, ღირსი მიქაელი.

### **სპარსთა მეფის შემოსვლა**

სამი წლის შემდგომ გამოემართა სპარსთა მეფე, რადგანაც მოკვდა ხუასრო და გამეფდა მისი ძე. გაიგო რა ეს, ვახტანგმა წარავლინა კეისართან მაცნე: „აი, რაც აღვითქვი, მოვიდნენ [109] სპარსელები მარჯვედ; მოდი და ამოვჟლიტოთ ყველანი“. ხოლო სპარსთა მეფე მოვიდა 300000 მეომრით და დაიბანაკა ცხენისტერფის დაბლა ქრისტესით 464, ქართულით 216 [წელს]. ვახტანგის ლაშქრის 100000 მხედარმა და 100000 ქვეითმა დაიბანაკა დიღმიდან ქართლის კარამდე; და ოთხი თვის [განმავლობაში] მათ შორის მუდმივად იყო ბრძოლა და გოლიათთა შერკინება: ზოგჯერ ისინი დაძლევენ და ზოგჯერ – ესენი. ხოლო ვახტანგს მუზარადის თავზე გაეკეთებინა წინ მგელი და უკან – ლომი გამოძერწილი; და სადაც იყო სასტიკი ბრძოლა, მიეჭრებოდა ვახტანგი და დაფხრენდა [მტერს], ამიტომაც სპარსელები ეძახდნენ ერთმანეთს: „მოერიდეთ გორგ-ასლანს“ (რომელიც მგელ-ლომად ითარგმნება) და იმ დროიდან ეწოდა გორგ-ასლანი.

ამ დროს შეიპყრეს ვახტანგის ცოლის მამამძუძე რაჟდენი, რომელმაც დახოცა მრავალი გოლიათი და მამაცურად იბრძოდა. მას აიძულებდნენ, უარეყო ქრისტე, რადგანაც ცეცხლმსახურებისგან იყო მოქცეული. მაგრამ მან არ უარყო ქრისტე და მათგან ეწამა ქრისტესთვის.

შემდეგ ჩამოვიდა კეისრის დესპანი და შემოეთვალა [კეისარს]: „მე შევბრუნდი ხაზარებთან საბრძოლველად და შენ გიგზავნი ლეონ პატრიკს 80000 მხედრით და თუ სხვებიც გინდა, აი მთელი აღმოსავლეთი შენ წინაშეა.“

ეს რომ გაიგო სპარსთა მეფემ, გამოიჩინა ცბიერება და შემოუთვალა ვახტანგს: „თუ ჩვენი ღმერთები ღმერთები არიან, თავიანთ თავს მოუვლიან; ხოლო ჩვენ ვართ ძმები, რისთვის ვიხოცებით? დავამყაროთ მშვიდობა.“ ესიამოვნა ეს ვახტანგსა და უმეტესად – მის დიდებულებს, თვით ლეონ პატრიქსაც კი ძლიერ [ეამა] და დაზავდნენ.

მაშინ მიიწვია სპარსთა მეფემ ვახტანგი და დიდძალი ძღვენი უბოძა; მერე თქვა: „რაც გასურს ჩემგან, ითხოვე“. ხოლო ვახტანგმა ლეონ პატრიქის გადაწყვეტილებით ითხოვა მშვიდობა ბერძენთათვის. ეს ეძნელა სპარსთა მეფეს და უთხრა: „იმისთვის დავამყარე შენთან მშვიდობა, რომ [110] შევიდეთ საბერძნეთში, რადგანაც აქ არის ამისთვის ჩემთან დესპანი ხაზართა მეფისა. ახლა შემისრულებია ივზიმიანოსის დადგენით.“

შემდგომ მოუგზავნა სპარსთა მეფემ ვახტანგს: „გავაკეთე ყველაფერი შენთვის სასიამოვნო და ახლა ვითხოვ, რომ მომცე შენი და ცოლად და შენ თვითონ წამოხვიდე ჩემ დასახმარებლად ინდოეთში, სინდეთსა და აბაშთა [წინააღმდეგ], რადგანაც მათგანაა დამცირებული ჩემი მეფობა“. ამის გამგონე ვახტანგს ეძნელებოდა [ეს], მაგრამ აიძულებდა ამის გაკეთებას ლეონი, ამიტომაც დართო ვახტანგს ნება წასულიყო 10000 მხედრით, ხოლო ლეონმა დაუტოვა 10000 მხედარი და თავად წავიდა კეისართან და ვახტანგმა გაუგზავნა კეისარს ძღვნად არმაღნები, სპარსთა მეფისგან მოძღვნილი: ალვა სამასი, ამბარი და მუშკი<sup>181</sup> ხუთას-ხუთასი ლიტრა; ხოლო გვირგვინი და ფარჩა თავისთვის დაიტოვა [ვახტანგმა].

### **წასვლა ვახტანგისა ინდოეთში**

მაშინ ვახტანგმა მეფედ დასვა თავისი ძე დაჩი, ხუთი წლისა, და თავისი და მირანდუხტი მისცა ცოლად სპარსთა მეფეს, გაიყოლა თან სამი ერისთავი: კალრჯეთისა, ოძრახესი, წუნისა და თავისი ეჯიბი; ხოლო დაჩის დაუტოვა შვიდი [ერისთავი]: ქართლისა, ხუნანისა, სამშვილდისა, ჰერეთისა, არგვეთისა და ეგრისასა; თავისი დედა და და ხუარანძე წაიყვანა იერუსალიმის მოსალოცად. თავდაპირველად მივიდნენ ბაღდადში, სადაც შეუერთდათ ლეონ პატრიქი 10000 მხედრით. სპარსეთის მეფემ ბაღდადში გადაიხადა ჯეროვანი ქორწილი; იქიდან ჩავიდნენ ჯორჯანეთში, ამოხოცეს სრულად და მათ ადგილას დასვეს სპარსელები, ელამელები; იქიდან მივიდნენ ინდოეთში, სადაც ვახტანგმა თვითონ მოკლა 15 ძლიერი [111] ბუმბერაზი, რომელთაც დაეხოცათ მრავალი სპარსელი ორთამბრ-

ძოლი; დაარბიეს ინდოეთი, გარდა ციხე-ქალაქებისა; სამი წლის განმავლობაში იქ მყოფებმა წამოიღეს დიდი ნადავლი და ჩავიდნენ სინდეთში. მაგრამ სინდთა მეფე იყო გმირი და მამაცი. მან ციხე-ქალაქები გაავსო ლაშქრით; ესხმოდნენ სპარსელებს და ჟლეტდნენ მრავალს. ხოლო ვახტანგის [მეომრები] არ დამარცხებულან. მაგრამ ამ ბრძოლაში ამოხოცა ბევრი სპარსელი ორთამბრძოლი სინდთა მეფემ და ვერც ერთხელ ვერ შეხვდნენ ვახტანგი და სინდი ერთმანეთს. ხოლო სინდმა ღამით მოაწყო სამალავი და გაგზავნა ორთამბრძოლი ვახტანგის გამოსაწვევად, რადგანაც გორგასალს წილად ხვდა ქალაქის კარის დაცვა. მაშინ საურმაგ ეჯიბმა შესძახა [მისულს]: „არ ხარ მეფის თანასწორი, არამედ მონა ხარ; და მეც მონა გამოვალ შენთან [საბრძოლველად]“. ეკვეთნენ ერთმანეთს და სინდი დაიქცა; დაენია საურმაგი, ჰკრა ოროლი ზურგში და მოკლა; და გამოვიდა სამალავიდან 12 მხედარი და მოკლეს საურმაგი (ეს გააკეთეს ვახტანგისთვის, მაგრამ ღმერთმა [იგი] გაარიდა [ხიფათს]).

### **ვახტანგისა და სინდ მეფის ბრძოლა და განზრახვა**

ნაწყენ-განრისხებულმა ვახტანგმა შეუტია, მაგრამ მათ თავი შეაფარეს ქალაქს. მაშინ სინდმა შესძახა ვახტანგს: „უფუნურო, ჰგავხარ ყვავს, რომელმაც იპოვა დაჭრილი ქორი, მიიყვანა თავის ბუდეში და განკურნა; ხოლო ქორმა მოიკრიბა ძალა და ფრთები [გაიმაგრა], შეიპყრო ყვავი ბახლებითურთ, დახოცა, შეჭამა და უფრო გაძლიერდა. ყვავს მოწყალების გამო ვერ აქებ, ვინაიდან არ მოიქცა ჯიშის შესატყვისად და ქორს ვერ აძაგებ, რადგანაც ჯიშის შესაფერი საქმე გააკეთა. არც შენ შეგეფერება, რადგანაც არიან სპარსელები შენი მტრები და გაძლიერებულები შენს ისევე გიზამენ.“

უპასუხა ვახტანგმა: „ცოფიანო! ჰგავხარ თხუნელას, რომელმაც არ იცის ბრწყინვალეობა მზისა, დაძვრება მიწაში; [112] მე ახლანდელი დიდება კი არ მსურს, არამედ სამომავლო, რადგანაც ჩემი მოსვლით გადამირჩენია მრავალი ქრისტიანი და მაქვს სასოება<sup>182</sup> ჯვარცმული-სა, რომ მასთან ვივლი.“ უპასუხა სინდმა: „რადგანაც იმედი გაქვს მკვდრისა და სიკვდილის შემდგომ მასთან სასუფეველს [ნატრობ], საჭიროა, იჩქარო. ხვალ გამოდი და გაგგზავნი შენ, როგორც გაგგზავნე წარჩინებული შენი შენ წინამორბედად.“

მეორე დღეს გამოვიდა სინდთა მეფე და აქედან გავიდა ვახტანგი და ორივეს ჰქონდა ოროლი; ერთმანეთს [გარს] ურბენდნენ, რათა მოხ-

ერსებულად ეკრათ [მონინააღმდეგისთვის]. მაშინ დრო იხელთა სინდ-  
მა, რომ ეკრა ვახტანგისთვის, მაგრამ ვახტანგმა სიმარდით აიცილა  
მისი ოროლი და თავად შემოუარა, ჰკრა სინდს მარცხენა ბეჭში; ერთი  
წყრთის [სილრმეზე] გაუარა [ოროლმა] და გადმოვარდა სინდთა მეფე.  
ხელი ჩაჰყო ვახტანგმა, ფეხში წაავლო და თრევეთ წამოიყვანა სპარსთა  
მეფესთან. ყველამ შეასხა დიდი ქება ვახტანგს, ხოლო სპარსთა მეფემ  
[თავს] დააყენა მკურნალები, განკურნა სინდთა მეფე და მოსთხოვა მას  
ციხე-ქალაქები.

რადგანაც მის ძეს ეპყრა [ქვეყანა] მამის შეპყრობის შემდგომ,  
ამიტომაც ურჩია ვახტანგმა სპარსთა მეფეს, აეღო ხარკი და [აეყვან-  
ნა] მძევლები, ხოლო მეფე მშვიდობიანად გაეშვა. მოენონა ეს [აზრი]  
სპარსთა მეფეს და დადეს სამშვიდობო ზავი. ამიტომაც დაუმეგობრდა  
სინდთა მეფე ვახტანგს, უპირველესად, რადგანაც არ მოკლა და, მეო-  
რეც, მისი წყალობით გათავისუფლდა; და მიართვა ვახტანგს ურიცხვი  
[საბოძვარი]. შემდგომ იქიდან წამოსულები მივიდნენ აბაშეთში და  
მოთმინებით იბრძოდნენ, რადგანაც [აბაშებმა] გადმოაგდეს ჩალა-  
თა წყალი და მხოლოდ დაშრობის შემდგომ შევიდნენ, ამოჟლიტეს,  
დაატყვევეს, დაარბიეს და წამოვიდნენ გამარჯვებულები. ხოლო ვახ-  
ტანგი ანტიოქიდან ჩავიდა ქალაქ ურაში<sup>183</sup> და იქ დახვდნენ დედა და  
მისი და, გამოემართნენ და ჩამოვიდნენ სომხეთში. იქიდან [ვახტანგმა]  
გამოუშვა ლეონ პატრიკი და ბერძებთა ლაშქარი და გაგზავნა თავისი  
[113] დესპანი ცოლის, კათალიკოსისა და 12 ეპისკოპოსის ჩამოსაყვან-  
ნად (რადგანაც ეუბნებოდა სპარსთა მეფე, მისი და შეერთო ცოლად  
ვახტანგს. მაგრამ ვახტანგმა აცნობა, რომ ცოლი ჰყავდა, რამაც შეა-  
წუხა სპარსთა მეფე).

### **ჩამოსვლა ვახტანგისა**

ხოლო მცხეთის ეპისკოპოსმა შეიტყო<sup>184</sup> კათალიკოსის ჩამოყვანის  
[ამბავი] და ამ მიზეზით მეფეს დასწამა ქრისტეს აურყოფა და დაწ-  
ყველა იგი ლაშქრითურთ. ნახა მეფემ და თქვა: „თუმცა მართალი ვარ,  
მაგრამ საჭიროა თავმდაბლობა“ და მიუახლოვდა, რათა ფეხთ მთხ-  
ვეოდა. ხოლო მან მოიქნია ფეხი და ფანდაკით<sup>185</sup> ჩაუმსხვრია კბილები  
ქრისტესით 472, ქართულით 224 [წელს]. უთხრა მეფემ: „შურით გაა-  
კეთე ასე, რადგანაც მოვა შენზე უფროსი და ამ გზითაც [გინდა] აღმაშ-  
ფოთო, მაგრამ მე არაფერს გიზამ იმის გარდა, რომ გაგზავნი კოსტან-

ტინეპოლში“. ხოლო კოსტანტინეპოლში გაასამართლეს იგი და მრისხანებით სისხლის დაღვრის გამო განკვეთეს, რომ ველარ [აღესრულებინა] წირვა, ხოლო მეფის შეურაცხყოფისათვის [დაუდგინეს] სიკვდილი და გაგზავნეს მღვიძარების მონასტერში, სამუდამო ექსორიობაში.<sup>186</sup>

შემდეგ ჩამოვიდნენ ვახტანგის ცოლი, კათალიკოსი და ეპისკოპოსები ქრისტესით 473, ქართულით 225 [წელს]. მიეგება მეფე, ჩამოიყვანა მცხეთაში და გადაიხადა ქორწილი, თავისი [ადრინდელ ქორწინებების] მსგავსი. კეისარს მზითვად მოეცა ეგრისწყლის იქითა მიწები. მეფემ კათალიკოსად პერტე დაადგინა მცხეთაში და სამოელი კი – ზემო ეკლესიის ეპისკოპოსად. სხვა ეპისკოპოსები კი დასვა:

1. კლარჯეთში
2. ერუშეთში
3. წუნში
4. მანგლისში
5. ბოლნისში
6. რუსთავში
- [114] 7. ნინოწმინდაში
8. ჭერამში
9. ჩელეთში
10. ხორნაბუჯში
11. აგარაკში
12. ნიქოზში

შემდეგ გაუჩინა ვახტანგს ელენემ ორი ძე და ორი ასული. ვახტანგმა დაჩის, თავსი ძეს, მისცა, ქალაქები ჭერამი, ნეკრესი და ხორნაბუჯი, მთელი მტკვრის აღმოსავლეთი და თვითონ კი დაჯდა უჯარმაში, გაამაგრა იგი და მრავალი წლის განმავლობაში ამაგრებდა ივერიის ციხე-ქალაქებს.

### **სპარსელების შემოსვლა**

შემდეგ მოკვდა სპარსთა მეფე და მის ნაცვლად გამეფდა ხოსრო, ძე მისი. იგი გამოემართა ბერძნებთან საბრძოლველად და აცნობა ვახტანგს: „ასე მირჩიეს ჩემმა უხუცესებმა, რომ ჩამოვიდე შენთან და შენ შემიძღვე საბერძნეთში.“ ეს რომ შეიტყო ვახტანგმა, თქვა: „გაღესე, მჭედელო, მახვილი, რათა სწრაფად [შენვე] გაგერჭოს.“ სპარსელებს კი აცნობა: „თავდაპირველად ჩემთან საბრძოლველად გაემზადე და

შემდეგ შედი საბერძნეთში“; ასევე წარგზავნა [მაცნე] კეისართან და ყოველივე შეატყობინა; თვითონ კი დადგა უჯარმაში, გაამაგრა ივერიის ციხე-ქალაქები, ბარის მცხოვრებთ უბრძანა შეჭვარებოდნენ კავკასიას, მთებსა და სიმაგრეებს.

მოვიდნენ სპარსელები და დაარბიეს ჰერეთის ციხე-ქალაქები და დაიბანაკეს იორზე 740000-იანი ლაშქრით ქრისტესით 499, ქართულით 251 [წელს]. სამი დღის განმავლობაში იყო შეუწყვეტელი ბრძოლა და ორივე მხრიდან უამრავი [მებრძოლი] დაეცა. მაშინ ვახტანგმა გაყო თავისი ლაშქარი, 20000 ქვეითი მიავლინა მთებისკენ, სპასალარი 20000 მხედრით – ერთ მხარეს და თავად 100000 მეომრით თავს დაესხა განთიადზე, შეიჭრა ვახტანგი და დაეცა ხოსრო მეფეს. ხოლო ხოსრო გაიქცა და [ვახტანგმა] მოკლა მისი ძე. მაგრამ იმ ბრძოლაში ვილაც სპარსელმა [115] ვახტანგს მკერდში სცა ისარი. თუმც კი შუადღემდე იყო ბრძოლა, დამარცხდნენ სპარსელები და ამოწყდა მათი 130000, ხოლო ვახტანგისა – 28000 [მებრძოლი] და წამოიყვანეს ურიცხვი ტყვე.

სპარსელები ლაშქრის სიმრავლის გამო ჩადგნენ რუსთავში, რადგანაც დაჭრეს მეფე და ველარ დევნიდნენ მათ [ქართველები]. ჭრილობის გამო დამძიმდა ვახტანგი, რადგან ისარი ფილტვამდე ჰქონდა გასული. ამის გამგონე სპარსელებმა აიკლეს ქართლი, მაგრამ ვერც ერთი ციხე-ქალაქი ვერ დაარბიეს. ეს რომ შეიტყო, კეისარი დიდი ლაშქრით გამოემართა ვახტანგის საშველად.

გაიგეს სპარსელებმა კეისრის მოსვლა და დახვდნენ კარნიფორაში. ამ ბრძოლაში ორივე მხრიდან ურიცხვი ლაშქარი დაიხოცა, რადგანაც სისხლის მდინარე დიოდა. ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა და გაბრუნდნენ თავ-თავიანთ მხარეს. ხოლო ვახტანგი სასიკვდილოდ დამძიმდა. მაშინ მისცა თავის ძე დაჩის მეფობა და კეისრის ასულისგან შობილებს – ტაშისკრის ზედა მხრიდან ზღვამდე საერისთავოდ, დაუბარა სიყვარული და ერთგულება ბერძნეთა. შემდეგ გარდაიცვალა მამაცი და მონამეობის ღირსი გორგასალი ქრისტესით 499, ქართულით 251 [წელს].

### **34. მეფე დაჩი. 15 წელი იმეფა**

დაჯდა მეფედ დაჩი, ძე მისი, და დაიწყო აოხრებულის აშენება. ამ დროს მოკვდა კათალიკოსი პეტრე და დასვა [დაჩიმ] სამოელი. მეფემ უბრძანა კახეთის მთიელებს გაქრისტიანება, ხოლო მათ არ ისურვეს და განდგნენ ტომთა მთავრები. შემდეგ მოკვდა ვახტანგის ძე ლეონი

და დარჩა ძმა მისი მირდატი. მირდატს [116] გაუცვალა დაჩიმ ჯავახეთის ტერიტორია და დაიბრუნა ეგრისწყლის ქვედა მიწები, მირდატის დედულეთი. მირდატი დაჩის მორჩილებაში ერისთავობდა ტაშისკრიდან ზღვამდე. დაჩიმ იმეფა კეთილად, შემდგომ გარდაიცვალა ქრისტესით 514, ქართულით 266 [წელს].

### **35. მეფე ბაკური. 13 წელი იმეფა**

გამეფდა ძე მისი ბაკური და მეფობდა კეთილად და უშფოთველად, რადგანაც არსაიდან არ გამოუჩნდა მტერი მეფობის დროს. შემდგომ გარდაიცვალა ქრისტესით 528, ქართულით 280 [წელს].

### **36. მეფე ფარსმანი. 14 წელი იმეფა**

გამეფდა მისი ძე ფარსმანი და დაიპყრო მთელი გიორგია<sup>187</sup>. მის დროს მოკვდა კათალიკოსი სამოელი, დასვა თავფეჩაგი. ისიც მოკვდა, დასვა ჩიგირმანი. აქამდე იყო მშვიდობა და ემორჩილებოდნენ მირდატის ძეები ფარსმანს. შემდგომ მოვიდა სპარსთა მეფე ქრისტესით 536, ქართულით 228 [წელს] და ააოხრა ქართლი. მაშინ ფარსმანმა ითხოვა მშვიდობა და აღუთქვა მორჩილება. ხოლო მან მოუსმიდა და დაიცვა ეკლესიები ხელუხლებლად და წავიდა. იმ დროიდან გაიყვნენ გორგასლის შთამომავლები: ფარსმანი ერჩოდა სპარსელებს, ხოლო მირდატის ძეები – ბერძნებს. შემდგომ ამისა გარდაიცვალა ფარსმან მეფე ქრისტესით 542, ქართულით 294 [წელს].

### **37. მეფე ფარსმანი. 15 წელი იმეფა**

მის შემდგომ დაჯდა ძმისწული ფარსმან მეფისა, ფარსმანივე სახელად, მეფედ. და იყო ძლიერ მორწმუნე და შეჰმატა ეკლესიებს. მის ზეობაში მოკვდა კათალიკოსი ჩიგირმანი. დასვა საბა. [117] ამ დროიდან აღარ მოჰყავდათ კათალიკოსი საბერძნეთიდან<sup>188</sup>, არამედ სვამდნენ წარჩინებულ დიდებულთა ძეებს. მოკვდა კათალიკოსი საბა; მანვე დასვა ევლავიოზი. მის ზეობაში მოვიდა 13 მამა შუამდინარეთიდან. მიეგება ევლავიოზ კათალიკოსი და მოიკითხა ასურულ ენაზე, ხოლო მათ ქართულად უპასუხეს, რადგანაც არ იცოდნენ ერთმანეთს [რომელ ენაზე დალაპარაკებოდნენ].<sup>189</sup> მათი სახელებია:

1. იოანე ზედაზნელი
2. დავით გარეჯელი

3. სტეფანე ხირსელი
4. იოსებ ალავერდელი
5. ზენონ იყალთოელი
6. ანტონი მარტომყოფელი
7. ისე წილკნელი
8. თათე მამებელი
9. შიო მღვიმელი
10. ისიდორე სამთავნელი
11. აბიბოს ნეკრესელი
12. მიქელ ულუმბოელი
13. პიროს ბრეთელი
14. და ელია დიაკვანი

განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ქართლის ეკლესია-მონასტრებისა. შემდეგ იმეფა ფარსმანმა კეთილად და გარდაიცვალა ქრისტესით 557, ქართულით 309 [წელს].

### **38. მეფე ბაკური. 13 წელი იმეფა**

მის ნაცვლად ძე მისი ბაკური გამეფდა. მან განმინდა გიორგია ურნ-მუნოებისაგან, [118] გაამრავლა მღვდლები და დიაკვნები. მოკვდა კათალიკოსი ევლავიოზი და დასვა [ბაკურმა] მაკარი. ამ დროს იყო სომხეთის მთავარი, სახელად ვასქენი<sup>190</sup>. იგი წავიდა სპარსეთის მეფის წინაშე, უარყო ქრისტე და გახდა ცეცხლის მსახური. ხოლო სპარსთა მეფემ მისცა რანის ერისთავობა და გამოაგზავნა. ამ ვასქენს ჰყავდა ცოლი შუშანიკი და აიძულებდა ქრისტეს უარყოფას, მაგრამ შუშანიკმა არ ისურვა და მან [ვასქენმა] მოკლა იგი საშინელი ტანჯვით. ეს რომ შეიტყო, ბაკურმა შეკრიბა თავისი ლაშქარი და წავიდა მოულოდნელად. ხოლო ვასქენი იდგა ველზე მტკვრის ნაპირას, სადაც უერთდება ანაკერტის მდინარე. იქ დაესხა ბაკურ მეფე, შეიპყრო ვასქენი და დაჭერილი ძელზე ჩამოჰკიდა, ხოლო შუშანიკის გვამი წამოიღო და დაასვენა ცურტავში. შემდეგ გაგზავნა დესპანი სპარსთა მეფესთან და ითხოვა შენდობა. სპარსთა მეფეს არ სურდა [ბაკურ] მეფის შეერთება ბერძენთა მეფესთან, ამიტომაც გმო ვასქენი და დაჰპირდა ბაკურს სიკეთის ქმნას, ხოლო რანში სხვა ერისთავი გაგზავნა. მერე მოკვდა კათალიკოსი მაკარი და [ბაქარმა] დასვა სიმონი. შემდეგ მოკვდა ბაკურ მეფეც ქრისტესით 570, ქართულით 322 [წელს].

### **შემოსვლა ქასრესი. გუარამ კურაპალატი<sup>191</sup> (575-600)**

ხოლო ბაკურ მეფის შვილები ვერ აიღებდნენ [ხელთ] მეფობას მცირეწლოვნობოს გამო და დარჩნენ კახეთში. მაშინ სპარსთა მეფემ გამოაგზავნა თავისი ძე ქასრე ერისთავად რანისა და მოვაკანისა. ქასრემ გადაიბირა საქართველოს ერისთავები, მანვე მისცა საერისთავოები სამკვიდროდ და დიდძალი განძი. ცალ-ცალკე განდგნენ ქართლის ერისთავები და ხარკს უხდიდნენ ქასრეს. ბაკურ მეფის ძეები იყვნენ მთიულეთში და მირდატის ძეები კლარჯეთში. სხვა მთელი ქართლი და სომხეთი დაიპყრეს სპარსელებმა და ებრძოდნენ ბერძნებს. [119] შემდგომ ამისა ატყდა შფოთი სპარსეთში<sup>192</sup> და წავიდა ქასრე მამის საშველად. არ ეცალათ სპარსელებს. მაშინ ივერიის ყველა ერისთავი შეიკრიბა და ითხოვა თავისთვის ბერძენთა კეისრისგან მეფედ თავისივე მეფეების შთამომავალი. ეს იყო დრო, როცა მართავდნენ აზნაურები და მოაკლდათ მმართველობა იმ ბოროტთაგან.

ამავე დროს მცხეთა თხელდებოდა და თბილისი შენდებოდა, არმაზი მცირდებოდა და კალა<sup>193</sup> მდიდრდებოდა. ხოლო კეისარმა მისცა მეფედ გუარამი, ვახტანგ გორგასლის ასულის ძეთაგანი მირდატის დისგან და თავად ბაგრატიონი. და მისცა კეისარმა გუარამს კურაპალატობა და პატივი მიაგო. შეიკრნენ ყველა ერისთავი და ივერიის მხედართმთავრები, სვიმონ კათალოკოსი და ეპისკოპოსები და აკურთხეს მეფედ გიორგიისა გუარამი დასაბამიდან 4524, ბერძნულით 6083, ქრისტესით 575, ქართულით 327 [წელს], მე-8 ინდიქტიონს<sup>194</sup>.

### **[120] ბაგრატიონთა გამეფება<sup>195</sup>**

ეს გუარამი იყო ფრიად მორწმუნე და ეკლესიათა მაშენებელი მეფე. მისი ზეობის დროს მოკვდა კათალიკოსი სვიმეონი და [გუარამმა] დასვა სამოელი. ხოლო ბაკურის შვილებმა დაიპყრეს კახეთი და ჰერეთი და ერისთავობდნენ იქ გუარამ მეფე კურაპალატის მორჩილებაში. შემდგომ კეისარმა დიდძალი განძი გამოუგზავნა გუარამს, რათა გამოეყვანა ჩრდილოელების ლაშქარი და შებრძოლებოდა სპარსელებს.<sup>196</sup> ხოლო გუარამმა გამოიყვანა ოსები, ძურძუკები და დიდოელები, საქართველოს ლაშქრით წარუძღვა; არბევდა და აოხრებდა ადრახაგანს მრავალი ხნის განმავლობაში. მაგრამ, როდესაც ბარამ ჩუბინმა მოკლა თურქთა მეფე და განდევნა თურქები, ამით მოიცალეს სპარსელებმა. გაიგეს რა ეს ბერძნებმა და ქართველებმა, უკანვე გამო-

ბრუნდნენ. გუარამი ამაგრებდა ციხე-ქალაქებს, რადგანაც ელოდა სპარსელებს. მაგრამ წყალობა ჰყო ღმერთმა, შეიპყრო ბარამ ჩუბინ-მა სპარსთა მეფე ორმუზდი ცოლის ძმითურთ, დაუნვა თვალები და ქასრე, ძე მისი, ბრძოლით განდევნა. ხოლო ლტოლვილი ქასრე მივიდა მავრიკ კეისართან. ამ ქასრეს მავრიკ კეისარმა მისცა ცოლად თავისი ასული და ძლიერი ლაშქარი [121] (და სთხოვა კეისარმა, რომ შური არ ეძიებინა ქართლზე და ყოფილიყო ჩვენთან თავისუფლად. ხოლო ქასრემ აღთქმით დაუდასტურა და გათავისუფლდა ივერია). მოვიდა და დაიპყრო სპარსეთი ქასრემ. ხოლო გუარამ კურაპალატი მეფობდა კეთილად, მაგრამ ერისთავები ვერ შეცვალა, რადგან გუჯრით ჰქონდათ [მინიჭებული მფლობელობა] კეისრისა და სპარსთა მეფისგან, თუმცა გუარამის მორჩილებაში იყვნენ. მოკვდა კათალიკოსი სამოელი და დასვა [გუარამმა] სამოელივე. შემდგომ თავადაც გარდაიცვალა ქრისტესით 600, ქართულით 352 [წელს].

#### **40. მთავარი სტეფანოზი. 19 წელი იმთავრა**

დაჯდა ძე გუარამ კურაპალატისა სტეფანოზი. მაგრამ ამან ვერ გაბედა მეფედ ნოდებუიყო, სპარსელებისა და ბერძნების მორიდებით. მხოლოდ ერისთავთ-მთავრად მიიჩნევდნენ. ხოლო იყო ეს სტეფანოზი ურწმუნო და ღვთის უშიშარი<sup>197</sup>. მის ზეობაში მოკვდა კათალიკოსი სამოელი და ამან დასვა ბართლომე. კვლავ ატყდა არეულობა საბერძნეთში, რადგანაც ფოკა მხედარმა შეიპყრო მავრიკ კეისარი და მის თვალწინ ამოხოცა მისი ძეები, მერე მოკლა მავრიკიც და თავად გახდა კეისარი. მაშინ ქასრემ დაიწყო თავისი სიმამრის სისხლის აღება და სტეფანოზ მთავარი განუდგა ბერძნებს და შეუერთდა სპარსელებს. ხოლო ქასრემ, რომელიცაა ხოსრო, აიკლო და გადაწვა საბერძნეთი და იერუსალიმიდან წამოიღო ძელი ცხოვრებისა და შებრუნდა სპარსეთში.

#### **ერეკლე კეისრის მოსვლა**

შემდეგ ადგა ერეკლე და შეიპყრო ფოკა კეისარი, ცეცხლზე დაწვა იგი და თვითონ გაკეისრდა. შეკრიბა დიდი ლაშქარი და წამოვიდა ძელიცხოვლის საძებნელად და პირველად მოვიდა ქართლში. ხოლო სტეფანოზმა არ ისურვა განდგომა სპარსთაგან, გაამაგრა ციხე-ქალაქები და იბრძოდა თბილისიდან (რადგანაც [121] იყო უშიშარი, მამაცი, ძლიერი და საკუთარ თავს მინდობილი და ხოცავდა ბერძნებს

მრავალი დღის განმავლობაში).

შემდეგ ბრძოლაში ჩამოაგდეს და მოკლეს სტეფანოზი ქრისტესით 619, ქართულით 381 [წელს]. მაგრამ ციხისთავმა არ მისცა კალის ციხე, ლანძღა კიდეც კეისარი ერეკლე ასე: „რომელსაც გაბია ვაძის წვერი და კისერი თხისა“. ამის მსმენელი კეისარი ამბობდა: „ეს ნათქვამი არაა ცუდი“. მოატანინა წიგნი დანიელისა, იქ ნახა: „გამოვიდეს ვაცი დასავლეთისა და შემუსროს რქა აღმოსავლეთის ვერძისა.“ გაიხარა ამ ნიშანსწარმეტყველების გამო და წავიდა სპარსეთში, ხოლო თბილისში დატოვა თავისი ერისთავი ჯიბლუ და ქართლის მთავრად – ადარნესე, ძე ბაკურ მეფისა, რათა შებძოლებოდნენ ციხეს. მათ მცირე ხანში წაართვეს კალის ციხე და გამოიყვანეს ციხისთავი, გამოუტენეს პირი დრაჰკანით<sup>198</sup> კეისარისთვის წინასწარმეტყველების გამო; შემდეგ გააძრეს ტყავი კეისარისთვის უშვერი [სიტყვის] კადრებისათვის და დაანიეს კეისარს მისი ტყავი. მაშინ კვლავ წაართვეს ბერძნებმა ქართლის საზღვარი – სპერი და კლარჯეთის ბოლო, ზღვის ნაპირი და ეგრისწყლის იქითა [მხარე]; ხოლო სტეფანოზ მთავრის შვილები დარჩნენ კლარჯეთში და იქ იზრდებოდნენ, დანარჩენი ივერია კი დაიპყრო ადარნესემ, ბაკურ მეფის ძემ<sup>199</sup>.

#### **41. მთავარი ადარნესე. 20 წელი იმეფა**

ხოლო მთავრობდა ადარნესე ივერიაზე, ერისთავები კი იყვნენ თავთავიანთთვის საერისთავოების შეუცვლელად და ემორჩილებოდნენ ადარნესეს. მის ზეობაში მოკვდა კათალიკოსი ბართლომე და ამან დასვა იოვანე. ადარნესეს მთავრობის მესამე წლის შემდგომ გამოჩნდა მაჰმადი, მოძღვარი სარკინოზთა. ასევე მოკვდა კათალიკოსი იოვანეც და დასვა [ადარნესემ] ბაბილა. ხოლო კეისარმა [123] ააოხრა სპარსეთი, მოკლა ქასრე და წამოიღო ჯვარი პატიოსანი და კვლავ მოვიდა ქართლში, დაგზავნა ქადაგები, რომ ყოველი ქრისტიანი შესულიყო ეკლესიებში და სხვა ურწმუნოები გარეთ გამწყდარიყვნენ. მაგრამ ურწმუნოებიც შეერივნენ ქრისტიანებს და არ ისურვეს გაქრისტიანება. მაშინ მოავლინა კეისარმა მახვილი და ამოჟღიტა, რადგანაც ეკლესიებიდან სისხლის მდინარეები დიოდა და განმინდა რჯული ურწმუნოთაგან. შევიდა და წაიღო მანგლისიდან ფეხის ფიცარი უფლისა და ერუშეთიდან – სამსჭვალა. ამიტომ ევედრა ადარნესე მთავარი, არ წაიღო ეს საგანძური, მაგრამ არ მოუსმინა [კეისარმა] და წაართვა.

შემდეგ მოკვდა კათალიკოსი ბაბილა; ამანვე დასვა თაბორი. შემდეგ მოკვდა ადარნესე ქრისტესით 639, ქართულით 391 [წელს].

#### **42. მთავარი სტეფანოზი. 24 წელი იმთავრა**

დაჯდა ძე მისი სტეფანოზი მთავრად და ვერც ამან გაბედა მეფის სახელის დარქმევა, მაგრამ იყო მორწმუნე და ეკლესიათა მაშენებელი და რჯულის გამწმენდი. ხოლო გამოჩენილი იყო მოძღვარი სარკინოზთა მაჰმადი ქრისტესით 622, ქართულით 374 [წელს] და დაეპყრო არაბეთი და იამანეთი. მოკვდა იგი და მის ნაცვლად დაჯდა აზუბექი<sup>200</sup>. ეს შევიდა ბაღდადში და დაატოვებინა სპარსელებს იძულებით ცეცხლის მსახურება და აქცია სარკინოზებად (რადგანაც ერეკლე კეისრის შესვლიდან გაავებულები იყვნენ სპარსელები და წინ ველარ აღუდგნენ). მოკვდა აზუბექი და დაჯდა ომარი. ეს უფრო გაძლიერდა, ამიტომაც გამოვიდა კეისარი ერეკლე მასთან შესაბრძოლებლად პალესტინაში; მაგრამ აცნობა ვილაც მონაზონმა, რომ „მისცაო ღმერთმა აგარიანებს აღმოსავლეთი; გაბრუნდი“. კეისრის გაბრუნებისას ბერძნებმა დაფლეს საგანძური. ხოლო სტეფანოზს ჰყავდა ორი ძე – მირი და არჩილი. [124] ამ დროს გაყო თავისი საგანძური სტეფანოზმა, ნახევარი მისცა მირს და ნახევარი – არჩილს. ასევე ქართლის ეკლესიის საგანძურიც დაფლეს მცხეთის საჩრდილობელში. შემდეგ სტეფანოზი და მირი წავიდნენ ეგრისში, ხოლო არჩილმა საგანძური დაფლა უჯარმის ხევში და ქართლის საგანძური – გორში, რაც კეისარ ერეკლესვე განენესებინა. ამის შემდეგ არჩილიც შევიდა ეგრისში და იქ ყოფნისას მოკვდა სტეფანოზ მთავარი ქრისტესით 663, ქართულით 415 [წელს].

#### **43. მეფე მირი. 5 წელი იმეფა**

შემდეგ გამეფდა ძე სტეფანოზისა, მირი. მისი მეფობის დროს, ეგრისში თაბორის კათალიკოსობისას, მოვიდა მურვა ყრუ, დისწული მაჰმადისა, ურიცხვი ლაშქრით; ვერვინ აღუდგა წინ. დაარბია სომხეთი, ქართლი, რანი და მთელი კავკასია. როდესაც შეიტყო მეფის ეგრისში ყოფნის [ამბავი], ჩავიდა არგვეთში და იქ შეებრძოლნენ იქაური მთავრები დავითი და კოსტანტინე და მისი მრავალი მეომარი ამოხოცეს. შემდეგ [სარკინოზებმა] შეიპყრეს მებრძოლები და მიჰგვარეს მურვან ყრუს. ხოლო ის აიძულებდა ქრისტეს უარყოფას, მაგრამ მათ არ ისურვეს და ტანჯვით დახოცა.

მაშინ იყვნენ მირი და არჩილი ანაკოფიის ციხეში, სადაც არის ღვთის დედის ხელთუქმნელი ხატი. მივიდა მურვან ყრუ და ალყა შემოარტყა. იმ დროს სარკინოზთა შორის მოხდა სასწაული, რადგანაც აირივნენ და მეფეებს ზევიდან ესმათ ხმა: „გადით საბრძოლველად“. გავიდნენ და ამოჟლიტეს მრავალი მცირერიცხოვნებმა. დაიჭრა მირი და სარკინოზები, დევნილები, გაიქცნენ; გაიარეს გურიის გზა და ჩავიდნენ ბაღდადში; ხოლო მეფეებმა გაგზავნეს დესპანი კეისარ კოსტანტინესთან და ეს ყოველივე აცნობეს. ამის სანაცვლოდ კეისარმა გამოუგზავნა გვირგვინი და დიდი ქება: „რადგანაც [125] თქვენი დაბრკოლების წყალობით უკან გაბრუნდნენ სარკინოზები“. ასევე ლეონისთვის ებოძებინა მკვიდრად აფხაზთა ერისთავობა მეფეთა სამსახურის გამო (რადგანაც ეს ლეონი იყო კეისრისგან [დანიშნული] პირველი ერისთავი). მაგრამ შემდგომ დამძიმდა ჭრილობა მირ მეფისა. ამიტომაც უთხრა არჩილს მთელი საგანძურის [შესახებ ყველაფერი] და შეავედრა სამეფო და თავისი შვიდი ასული; უთხრა ასულების შესახებ: „შენც იცი, არ შეგვირთავს ჩვენი ასულები ერისთავებისთვის, არამედ [მიგვიცია] ჩვენი წრის მეფეებისთვის; ხოლო ახლა მიეცი საქართველოს ერისთავებს.“ ასევე აუნყა დაფლული განძის შესახებ და შემდგომ მცირე ხნისა გარდაიცვალა მირ მეფე ქრისტესით 668, ქართულით 420 [წელს].

#### **44. მეფე არჩილი. 50 წელი იმეფა**

გამეფდა ძმა მისი არჩილი.<sup>201</sup> მისცა მირის ერთი ასული გუარამ კურაპალატის მამის ძმისწულის ძეს და სხვები – ქართლის ერისთავებს, როგორც უთხრა მირ მეფემ. ხოლო ლეონი ევედრა, მისთვისაც მიეცათ [ცოლად] მირის ასული და საუკუნო მორჩილება-მსახურებაში იქნებოდა. მისცა [ასულიცა] და კოსტანტინე კეისრის მიერ გამოგზავნილი გვირგვინიც მასპინძლობისას [განუელი] კარგი სამსახურისა და საუკუნო მორჩილების გამო. შემდეგ წამოვიდა და განაგო ეგრისი, რადგანაც მურვან ყრუს შემოსვლის შემდგომ არ დარჩა ქართლში ნაგებობა. გადმოვიდა ხიდრის ნაციხარში; იქ მასთან მივიდა ადარნესე ბაგრატიონი, ძმისწული ადარნესე ბრმისა, ითხოვა მამულის ყმობა<sup>202</sup>. და მისცა არჩილმა შულავერი და არტანი; შემდგომ მივიდა კახეთში და თავის ტაძრეულს<sup>203</sup> უბოძა კახეთი და გაააზნაურა; შემდგომ ცოლად შეირთო ასული გუარამ კურაპალატის ძეთაგან [ერთ-ერთისა], რომელიც იყო შთამომავალი ვახტანგ [126] გორგასლის ასულთა შვილებისგან [ერთ-ერთისა]. თუშეთს,

ხუნძახსა და მთის წარმართებს კვლავ განაგებდა აბუხოსრო; და არ ისურვა არჩილმა მისთვის წუქეთის მიცემა, ვინაიდან იქ ნახა მთავარი, რომლისთვისაც ვახტანგს ებოდებინა წუქეთი. ასევე მრავალი ტომის ბელადი ამოეხოცა მურვან ყრუს და არჩილმა ისინი იძულებით მონათლა. შემდგომ მოუყვანა ადარნესე ბრმის ძმისწულები და დასვა ისინი შაკიხში და დამკვიდრდნენ ისინი გულგულამდე და მისცა აბუხოსროს ქვრივი და წუქეთი ციხე-კარიტურთ. ამავე დროში ნახევარი პიტიახშთა, რომლებიც არ შეუშვეს კლარჯეთში, წავიდა ტაოში, ააშენა კალმახის ციხე და დაიკავა იგი. ხოლო არჩილს შეეძინა ორი ძე – იოანე და ჯუანშერი და ოთხი ასული. 50 წლის გასვლის შემდგომ, მართალია, იყო მშვიდობა, მაგრამ თავის კვალს დამდგარი არ იყო გიორგია, რადგანაც წაებლნა იგი ყრუს, თუმც კი ბევრი დრო გასულიყო. მაშინ მოვიდა მაჰმადის ნათესავი ჭუმჭუასიმი და ვერვინ აღუდგა წინ. შემოვიდა, დაარბია ქართლი და დაიწყო კახეთში შესვლა (მის გამო დიდ შიშს შეეპყრო მეფეები და მთავრები) ქრისტესით 718, ქართულით 470 [წელს]. ხოლო არჩილმა გადაწყვიტა მისვლა მასთან და თავი განირა ქვეყნის დაცავად. მისულ არჩილს შეეგება ასიმი და შეიყვარა სიმამაცისა და წარმოსადეგობის გამო და დიდად სცა პატივი. შემდეგ აიძულებდა ქრისტეს უარყოფას, მაგრამ არჩილმა აირჩია წარმავლის სანაცვლოდ მარადიული სუფევა და ეწამა ტანჯგვა-გვემით. შემდეგ აღესრულა თავის მოკვეთით და ახლა იხარებს ქრისტეს წინაშე. ხოლო ამის მაქნისი ასიმი გაბრუნდა და წავიდა.

#### **45. მთავრები იოანე და ჯუანშერი. 19 წელი იმთავრეს**

შემდგომ ამისა არჩილის ძეები – იოვანე წავიდა ეგრისში, წაიყვანა დედა და თავისი ორი და, ხოლო ჯუანშერი დარჩა ქართლ-კახეთში. და იყო მათი უმცროსი და [127] მშვენიერი [გარეგნობისა]. ეს ესმა ხაზართა მეფეს და მან მოითხოვა ცოლად და აღუთქვა შველა სარკინოზების [წინააღმდეგ]. მაგრამ ამათ არ ინებეს თავიანთი დის შეურაცხყოფა წარმართისაგან. ეს რომ შეიტყო, ხაზართა მეფემ გამოაგზავნა თავისი სარდალი ბულჩანი. გადმოიარეს ლეკეთის გზა და მოადგნენ ადგილს, სადაც ციხეში [გამაგრებული] იყო ჯუანშერი. მცირე დროში გამოიყვანეს და დაარბიეს თბილისი საფუძვლითურთ ქრისტესით 731, ქართულით 483 [წელს]. გაიარეს დარიელას გზა. მაგრამ შუშანმა არჩია სიკვდილი წარმართისაგან შეურაცხყოფას. ჰქონდა ბეჭედში სანამლავი, გამოწოვა და მოკვდა. სარდალმა წაიღო მისი გვამი და ჯუანშერის წაიყვანა.

და მივიდნენ ხაზარეთში. ხოლო მეფე გაბრაზდა შუშანის სიკვდილისა და სარდლის გაუფრთხილებლობის გამო, მოაბმევინა სარდალი ცხენის ძუაზე და ჭებებით გაგლიჯეს. ხოლო ჯუანშერი მასთან იყო შვიდ წელს, შემდეგ გამოაგზავნა დიდძალი საგანძურით და დაბრუნდა ქართლში ქრისტესით 738, ქართულით 490 [წელს]. ამ ხნის განმავლობაში გაირყვნა ქვეყანა. ვინც კი გამოჩნდა მეფობის ღირსი ხოსროიანი, აგარიანებმა შეავიწროვეს, რადგანაც გაიზარდა სარკინოზთა ძალა და დაიპყრეს ქართლი და თბილისი და გამრავლდნენ მთავრები. დაიწყო განდგომა, ერთმანეთის რბევა და კვლა. ხოლო ჯუანშერმა შეირთო ადარნესეს, სტეფანოზის შვილთაშვილის, ასული<sup>204</sup> ლატავარი, რადგანაც ისინი განაგებდნენ კლარჯეთს. ამ დროს მოვიდა აგარიანი ამირა, სახელად ხუასრო და მთავრობდა სომხეთში, ქართლსა და ჰერეთში. ამან ააშენა ხაზარებისგან აოხრებული თბილისი. ბერძნებიც დაუძღურებულები იყვნენ ხაზართაგან, რადგანაც წაართვეს ზღვისპირეთის მომიჯნავე მხარე.<sup>205</sup> მაშინ ძმისწულმა ლეონ აფხაზთა ერისთავისა, მეორე ლეონმა, დაიკავა მთელი ეგრისი და იწოდა აფხაზთა მეფედ, რადგანაც მოკვდა იოანე ერისთავი ქრისტესით 786, ქართულით 6 [წელს]. და ჯუანშერიც დაბერდა და მოკვდა ისიც ქრისტესით 787, ქართულით 7<sup>206</sup> [წელს]. ასევე გადავა გრიგოლ მთავარი და მან დაიპყრო კახეთი.

#### **[128] 46. მეფე აშოტ კურაპალატი. 39 წელი იმეფა<sup>207</sup>**

ხოლო ამ დროს გააფართოვა ღმერთმა მეფობა აშოტ კურაპალატი-სა ბაგრატიონისა, რადგანაც სახლად ჰქონდა თბილისი და ბარდავი და გარშემო მიწები. მაშინ მივიდა მასლამი საბერძნეთში და უკანვე გაიქცა განზილებული; და დასუსტდნენ სარკინოზები, ხოლო თბილისში აღარავინ დარჩა სარკინოზი, გარდა ალიშუაბის ძისა. ამავე დრის შემოიკრიბა აშოტ კურაპალატმა ლაშქარი და მოვიდა ქართლში. მას ეხმარებოდა თეოდოსი, აფხაზთა მეფე, რადგანაც ლეონი გარდაცვლილი იყო. და ეს თეოდოსი იყო სიძე აშოტ კურაპალატისა; ხოლო გრიგოლ კახთა მთავარი მოვიდა და მას უშველეს მთიულებმა და თბილისის ამირამ.<sup>208</sup> შეებრძოლნენ ქსანზე; ბრძოლის შემდეგ დამარცხდა გრიგოლი და დაიკავა აშოტმა ქსნიდან კლარჯეთამდე [ტერიტორია]. შემდგომ მოვიდა ხალილ იაზითის ძე არაბი ქრისტესით 791, ქართულით 13 [წელს]; დაიპყრო სომხეთი, ქართლი, ჰერეთი და წინ ვერ აღუდგა აშოტ კურაპალატი და ეძებდნენ აშოტს. ხოლო წასული აშოტი დაბანაკე-

ბულიყო ფანავარის ტბის პირას ოჯახითურთ; როდესაც ჭამეს პური, მცირედ ჩათვლიმეს. მძინარეებს დაესხათ ლაშქარი სარკინოზებისა. მაშინ შეენია აშოტს ღმერთი და მცირერიცხოვანი ლაშქრით ამოხოცა ურიცხვი სარკინოზი და წინ გაირეკა ყველანი. შემდეგ წავიდა შავშეთში, რადგანაც შავშეთი იყო დანგრეული ყრუს შემდგომ, ხოლო ვინც კი დარჩენილიყო, მიეგება აშოტს და ფრიად შეიყვარა. აშოტმა ააშენა და გამოისყიდა დაბები, [129] გაამრავლა სოფლები და კვლავ ახელმწიფა ღმერთმა შავშეთზე. და მრავალჯერ მისცა ღმერთმა სარკინოზებზე ძლიერი გამარჯვება და ბერძენთა ნებით დაიკავა ქვეყანა. ისევ გამოვიდა აშოტი, რათა შეეკრიბა ლაშქარი. მაგრამ ლაშქრის შეკრებამდე დაესხნენ სარკინოზები და გაიქცა აშოტი ნიგალის მხარეს, რათა მოეძებნა თავისი ლაშქარი. სარკინოზები კვალში ჩაუდგნენ, ხოლო აშოტი შეეფარა არტანუჯის ციხეს; შეჰყვნენ სარკინოზები არტანუჯის ციხეში, მაგრამ აშოტი შევიდა პეტრე-პავლეს ეკლესიაში. შეუცვივდნენ სარკინოზები და დაკლეს საკურთხეველზე აშოტ კურაპალატი, ქრისტესით 826, ქართულით 46 [წელს]. ამის გამგონე აშოტ კურაპალატის ერი დაენია სარკინოზებს და ამოჟლიტა, ერთმაც ვერ დააღწია თავი. ხოლო აშოტ კურაპალატის შემდგომ წაართვეს მის ძეებს გარშემო ქვეყნები, ისინი იზრდებოდნენ შავშეთში, კლარჯეთსა და არტანუჯის ციხეში. ხოლო როდესაც წამოიზრდნენ, კვლავ დაიპყრეს თავიანთი მამის ნაქონები [ტერიტორია] და ხარკს უხდიდნენ სარკინოზებს.

მაშინ თბილისში იყო ალი შუაბის ძე, რომელიც ხალილს დაედგინა ამირად. ამ დროს გადგნენ გარდაბნელები და დასვეს ქორიკოზი<sup>209</sup> დაჩი, ძე იოანე ქობულისძისა. მოკვდა დაჩი და დასვეს სამოელ დონაური. შემდეგ მოვიდა ხალილ არაბი. შეებრძოლნენ გარდაბნელები, განდევნეს და ამოხოცეს უამრავი სარკინოზი და დაჯდა თბილისში ამირა ისააკ ისმაილის ძე. კვლავ მესამედ შემოვიდა ხალილი და მოკლეს ჯავახეთში. შემდეგ მოვიდა ქართლში მომედი, ძე ხალილისა. ამას მოჰყვა ბაგრატი, ძე აშოტ კურაპალატისა; მისცა ქართლი და გაამეფა. ხოლო სააკი გამოვიდა თბილისიდან და დადგა რეხში. მივიდნენ მომედი და ბაგრატი და იქ შეიბზნენ. ვერც მან სძლია და ვერც – ამათ; და წავიდა მომედი ბარდავში ქრისტესით 841, ქართლით 61 [წელს].

#### 47. მეფე ბაგრატე. 35 წელი იმეფა

ბაგრატე ძე აშოტ კურაპალატისა ამ ქორონიკონს გამეფდა და მის გამეფებამდე მაჰმადის [130] გამოჩენიდან გასული იყო 269 წელი. შემდგომ მოვიდა ბულა თურქი,<sup>210</sup> ბაღდადიდან გამოგზავნილი ამირ-მუმლის მიერ, დაარბია სომხეთი, დაატყვევა მათი მთავრები, მოვიდა და მოადგა თბილისს. შეუერთდა მას ბაგრატე მეფეც, დაარბია თბილისი, გამოიყვანა სააკი და მოკლა, რადგანაც არ ემორჩილებოდა მას.

ამ დროს გამოვიდა საბრძოლველად თეოდოსე, მეფე აფხაზთა, ხოლო ბულამ გაგზავნა თავისი სპასალარი ზირაქი და ბაგრატე მეფე. შეიბნენ, განდევნეს თეოდოსე მეფე და გაიქცა დვალეთის გზით; მაგრამ უკან მობრუნებულ ბულას გადაუდგნენ გარდაბნელები ჯვრის ბოლოს და დიდად დააზარალებს მისი ლაშქარი. ხოლო ბულა მივიდა და დაბანაკდა ქართალეთში და ცდილობდა ოსეთში შესვლას, მაგრამ შეიპირეს მთიულები აბუბაზ სომხეთის ერისთავმა და გუარამ მამფალმა, არ გაეშვათ ბულა. ამ მიზნით გაიმეტეს მთიულებმა მძევლები და დაუდგნენ სიმაგრეს. შემოესწროთ თოვლიც და მრავალი [მებრძოლი] ბულასი დაიხოცა. ასევე მათი ცხენები დაჟლიტა იელმა. შემობრუნდა [ბულა] და დაიზამთრა ბარდავში. შეიპყრო ვილაც ხუცის ძე, რომელიც მთავარი იყო გარდაბანში; გახსნა დარუბანდის კარი, გამოიყვანა ხაზარების სამასი ოჯახი და დასხა შამქორში; ასევე დარიალიდან გამოიყვანა ოსების სამი ათასი ოჯახი და დასხა დმანისში და სურდა ოსეთში შესვლა. ამის გამგონე ამირა მუმლმა, რომ ბულა იპირებს ხაზარებს, ნაიყვანა ბაღდადში და მის ნაცვლად დაადგინა მომედ ხალილის ძე. შემდგომ გადააყენეს მომედი და დაადგინეს ისე შიხის ძე; კახეთში ქორეკოზი იყო გაბრიელ დონაური. კვლავ გადაყენეს ისე და დაადგინეს ამირა აბრაამი. შემდგომ მოვიდა იგივე მომედი და უფრო დიდი სურვილით დაიპყრო სომხეთი, ქართლი და რანი და წავიდა. მის ნაცვლად დადგა ამირად [131] სააკის ნათესავთაგანი კაცი გაბუცი და ძლიერ გაგულისდა. ეს გაბუცი შეიპყრო გურამმა, მეფე ბაგრატე კურაპალატის ძმამ, და გაგზავნა საბერძნეთში. ამ გურამმავე დაიპყრო ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი და მუდამ ებრძოდა სარკინოზებს: ზოგჯერ ისინი სძლევდნენ და უმეტესად, მრავალჯერ – ეს [სძლევდა]. ამანვე გაუყო ქვეყანა თავის ძმებსა და სომხეთის მეფეს, თავის ცოლისძმას. შემდეგ მოკვდა ბაგრატე ქრისტესით 876, ქართულით 96 წელს.

#### 48. მეფე დავითი. 5 წელი იმეფა

გამეფდა ძე ბაგრატისა დავითი. ამ დროს მოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრო ქართლი და დატოვა ერისთავად ჩიხაშ ტინენი, ძე დიმიტრისა. ხოლო შემდგომ, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, მისმა ცოლმა მოკლა ტინენი ძე დიმიტრისა და იცრუა იოანე მთავართანაც და გადააგდეს ზღვაში დიმიტრისავე ძე ბაგრატი. მაგრამ ღმერთმა იხსნა იგი და მივიდა კონსტანტინეპოლში. ხოლო მეფე იოანემ თავის ძეს ცოლად მოუყვანა ასული გუარამისა, აშოტ კურაპალატის ძისა. შემდგომ მოკვდა იოანე და დაჯდა ძე მისი ადარნესე მეფედ აფხაზთა. მაშინ ეკავა ლიპარიტს თრიალეთი. ამან მოიყვანა და იპატრონა მეფე დავითი, ძე ბაგრატ კურაპალატისა. მაგრამ ამ დავითს მტრად აღუდგა ნარსე, ძე გუარამ მამფლისა, რადგანაც ეს ნარსე და გუარამი იყვნენ აფხაზთა მხრიდან. ხოლო მეფე დავითსა და ლიპარიტს შველოდნენ სომხები და იბრძოდნენ ქართლისთვის. ერთ დღეს მოატყუა ნარსემ მეფე დავითი და მოკლა იგი ღალატით ქრისტესით 881, ქართულით 101 [წელს].

#### 49. მეფე ადარნესე. 42 წელი იმეფა

გამეფდა ძე დავითისა ადარნესე. შეიკრიბნენ სომხები და ქართველები და აშოტი, ძმა დავით მეფისა, და სარკინოზები [132] ადარნესესთან ერთად,<sup>211</sup> შეებრძოლნენ ნარსეს. განდევნეს და წაართვეს ციხე და წავიდა ნარსე კოსტანტინეპოლში. მაშინ კოსტანტინეპოლში შესულ დიმიტრის ძეს ბაგრატს მისცა კეისარმა ლაშქარი, მოვიდა ზღვით და დაიპყრო აფხაზეთი, მოკლა ადარნესე, ძე იოანესი და შეირთო ცოლი მისი, ასული გუარამ მამფლისა. ამ ბაგრატმა გამოიყვანა ნარსე, თავისი ცოლის ძმა, მისცა ლაშქარი და შეაშველა ოსები; გადმოვიდნენ სამცხეში და დაიპყრეს ციხეები ოძრახე, ჯვარისციხე და ლომსიათი; იქ შეკრიბა ნარსემ ლაშქარი და გამოემართა ადარნესესკენ. ხოლო ადარნესეს უშველეს გუარამმა და სომხებმა; შეიბნენ მტკვარზე. ბრძოლაში დამარცხდნენ ნარსე და ბაყათარ ოსი. შეიპყრეს ნარსე და მოკლეს ასპინძის ხევში და აღიგავა მისი შთამომავლობა.

ხოლო გურგენ კურაპალატი, აშოტ დიდის შვილიშვილი, წავიდა ტაოკალმახიდან და ცხოვრობდა შავშეთსა და არტანში. შემდეგ ერთმანეთს გადაემტერნენ გურგენი და ადარნესე მეფე და უშველა ადარნესეს ბაგრატ არტანუჯელმა. შეიბნენ არტანის ხევში, ბრძოლაში დაჭრეს გურგენი, შეიპყრეს და მოკვდა იმ ჭრილობებისგან. და დაიპყრო ადარნ-

სემ მისი ნაქონები. შემდეგ გაძლიერდა ფადალა ქორიკოზი და დაიმორჩილა გარდაბანი. მის შემდგომ დაჯდა კვირიკე და ქართლი ეპყრათ აზნაურებს. ამ დროს მოვიდა კოსტანტინე აფხაზთა მეფე და დაიპყრო ქართლი. მას გადაემტერა სომხთა მეფე სუმბატი, მოვიდა და დაარბია უფლისციხე. მაგრამ დაზავდნენ და გახდნენ მძახლები კოსტანტინე და სუმბატი. დაუბრუნა უფლისციხე კოსტანტინეს და გაბრუნდა სუმბატი.

ამის შემდგომ მოვიდა არაბი ამირ კასიმის ძე აგარიანი. ვერ გაუშკლავდა სომხთა მეფე სუმბატი და ნავიდა აფხაზეთის მთაში. ხოლო ამირმა დაარბია მთელი სომხეთი და მოვიდა თბილისში. იქ იყო ჯაფარ ალის ძე. [133] თბილისიდან მოადგა უჯარმას, რადგანაც ციხეში იყო სამასიოდე კაცი და [ისინი] მრავალი დღის განმავლობაში ებრძოდნენ [მას]. შემდეგ მეციხოვნეებმა დატოვეს ციხე და ნავიდნენ. ეს რომ ბოჭორმელებმა ნახეს, მათაც დატოვეს ციხე და ნავიდნენ. სარკინოზები, რომელთაც ნახეს ბოჭორმა, ამბობდნენ: „რომელი [ნაწილიც] იყო შემოზღუდული, [იქ] სასტიკად შეგვებნენ; ხოლო ციხეში არავინაა“. მაშინ კვირიკე ქორიკოზი ფიცით მოვიდა ამირის წინაშე, ხოლო ამირი ეუბნებოდა: „ვინ გიხმო ჩემთან მოსასვლელად?“ უპასუხა კვირიკემ: „დედაჩემმა“. უთხრა ამირმა: „თუკი დედამ გიბიძგა, არ ვატყენ გულს.“ და გაუშვა. მაგრამ ბოჭორმა თავად დაიკავა, გამობრუნდა, ააოხრა ქართლი და შევიდა სამცხეში; დაარბია ჯავახეთი და მოადგა თმოგვს, ვერ დაიპყრო და მოადგა ყუელს.

მაშინ ციხეში იყო მამაცი ჭაბუკი, სახელად გობრონი. იგი ყოველ დღე დიდი ხნის განმავლობაში თავისი ახლობლებით ებრძოდა და დიდად ვნებდა [ამირს]. შემდეგ დაარბიეს ყველისციხე, შეიპყრეს გობრონი ახლობლებითურთ და აიძულებდნენ ქრისტეს უარყოფას; არ შეისმინეს [შეპყრობილებმა] და გობრონი ახლობლებითურთ მოკვდა მათი ხელით და მიიღეს წამების გვირგვინი. ხოლო იქიდან [ამირი] ჩავიდა დვინში. იქ გაიგო, რომ სომხთა მეფე სუმბატი იყო კაპოეტის ციხეში. სწრაფად შემოარტყა ალყა. ცოტა ხანში გამოიყვანა დედა-შვილიანად და სუმბატი ჩამოჰკიდა ძელზე დვინში.

ამის შემდგომ გარკვეული ხნის განმავლობაში აშენდა ქვეყანა. მაშინ კვირიკე ქორიკოზმა უხმო კოსტანტინე აფხაზთა მეფეს. მივიდნენ ჰერეთში და მიადგნენ ვეჯინს. მივიდა ადარნესე პატრიკი, გადასცა ჯვარი, მისცა კოსტანტინეს არეში, გავაზი და კვირიკეს – ბოჭორმა; დაზავდნენ და ნამოვიდა კოსტანტინე.

შემდეგ მოკვდა კოსტანტინე აფხაზთა მეფე, დატოვა ძეები გიორგი და ბაგრატი. მაგრამ ესენი მუდამ ებრძოდნენ [134] ერთმანეთს. ხოლო ბაგრატს ეშველებოდა ბაგრატი ერისთავთ-ერისთავი (რადგანაც სიძე იყო გუარამისა). და ვიდრე არ მოკვდა ბაგრატი, არ იყო მათ შორის მშვიდობა.

როდესაც მოკვდა ბაგრატი, დაიპყრო გიორგიმ აფხაზეთი. ამ დროშივე გარდაიცვალა ქორეკოზი კვირიკე და დაჯდა ძე მისი ფადალა. ამავე დროში მოვიდნენ სარკინოზები, რომელთაც უწოდებდნენ საჯებს. დაწვეს ჯვარი და მცხეთა გაბრუნდნენ და თან წაიღეს დაჭრილი ჯვარი. მაგრამ გზაში შეეყარათ სენი და ამოიხოცა მრავალი. მიხვდნენ, ჯვრისაგან [სჭირდათ ეს] და დააბრუნეს ქართლშივე. ხოლო იშხანიკის დრომდე ჰერეთი მწვალებელი იყო. იშხანიკი იყო დისწული გუარამ ერისთავთ-ერისთავისა და დედოფალმა დინარმა, გურგენის დამ, მოაქცია მართლმადიდებლობაზე. მაშინ სალარებს დაეპყროთ ბარდავი და ადრაბადაგანი; და მოკვდა ადარნესე მეფე კურაპალატიც 923 წელს, ქირთულით 143-ს.

## **50. მეფე სუმბატი. 75 წელი იმეფა**

ხოლო მის შემდგომ გახდა მეფე ქართველთა ძე მისი სუმბატი. ამ დროს გადმოვიდა გიორგი, მეფე აფხაზთა, და მისცა ქართლი კოსტანტინეს, თავის ძეს (ხოლო ეს ქართველთა მეფეები – ბაგრატიონები სხდებოდნენ ქართლის მეფეებად და როდესაც მტერი ამარცხებდათ, განაგებდნენ სამცხეს, რომელიც არის ზემო ქართლი, ტაოს, ჯავახეთს, თრიალეთს, სამშვილდეს, ხუნანის საერისთავოებს, გარდა გარდაბნისა, კლარჯეთის კუთვნილ ციხე-ადგილებს, სომხეთსა და შიდა ქართლსაც). კოსტანტინე აფხაზთა მეფის ძემ იმეფა ქართლში სამ წელს, შემდგომ დაიწყო მტრობა თავისი მამისა. გაიგო გიორგი მეფემ, მოვიდა და მას წინ ველარ აღუდგა მისი ძე, რადგანაც მოიწვია [გიორგიმ] ყველა ტაოელი მეფე და ყველა დაეხმარა [135] კოსტანტინეს ბოროტების გამო. ხოლო კომსტანტინემ გაამაგრა უფლისციხე და ალყის შემომრტყემლმა გიორგი მეფემ ვერ დაარბია ციხე. შემდგომ მიიმხრო აზნაურები კოსტანტინეს გამოსატყუებლად და უთხრეს კოსტანტინეს: „რადგანაც არის მეფე აფხაზეთს, გარეთ გამოდი, შენ გაგამეფებთ იქ.“ ხოლო მან ირწმუნა და გამოვიდა ტივით და დაესივნენ შესაპყრობად. გაიქცა კოსტანტინე და დაიმალა კლდის ნაპრალში;

იპოვეს და მიჰგვარეს გიორგი მეფეს (ხოლო მან დაასაჭურისა, რათა [აღარ ჰყოლოდა შთამომავლობა] და შემდეგ მოკვდა კოსტანტინე) აილო ციხე [გიორგიმ] და წავიდა.

მოკვდა ქორიკოზი ფადალა და დაჯდა კვირიკე. შემდეგ განდგნენ გარდაბნელები, მოიწვიეს გიორგი მეფე. მოსული ჩავიდა კახეთში, დახოცა და გადანვა და გაბრუნდა თავის ქვეყანაში. შემდეგ კახეთში შესავლელად ატენში მოვიდა გიორგი. მეფის ძე ლეონი კი იყო ქართლის ერისთავი. მიხვდა კვირიკე, რომ გაუნევდა წინააღმდეგობას, მივიდა გიორგი მეფესთან და კვლავ მზაკვრობით ცდილობდა გაპარვას. მივიდა მეფე, შეიპყრო კვირიკე და წავიდა კახეთში, რომ აეკრიფა [კვირიკეს ოჯახი] დედაბუდიანად.

გაიგეს ეს ქართველმა აზნაურებმა, შეატყობინეს [კვირიკესიანებს] და [ისინიც] გადაიხვეწნენ. მაგრამ შეუერთდა [გიორგის] კვირიკეს ძმა შურტა და გადასცა [მეფეს] უჯარმა და კახეთის სხვა ციხეებიც, გარდა ნახჭევან-ბოჭორმისა და ლორწობნისა; თუმცა ლორწობანში ააშენა შურის-ციხე და ირგვლივ დაუყენა ლაშქარი. [გიორგი] მოადგა მარილისს, დაარბია, გამოიყვანა არსის ძე და გადაასახლა ჯიქეთში. მაგრამ ნახჭევანი გამაგრდა და როდესაც გაიგო კვირიკემ, რომ სხვა გზა აღარ იყო, ითხოვა გაშვება და გადაულოცა გიორგი მეფეს კახეთი. ლეონ მეფის ძე არ ფიქრობდა [კვირიკეს] გაშვებას, მაგრამ აილო მეფემ ნახჭევანი და გაუშვა კვირიკე; ხოლო მეფე წავიდა აფხაზეთში. შემდეგ შეუთანხმდნენ აზნაურები კვირიკეს და [მან] მიიტაცა კახეთის ყველა ციხე და კვლავ დაეუფლა საკუთარ მამულს.

გაიგო ეს გიორგი მეფემ, ეწყინა კახეთის წართმევა, დააბრალა მათ, ვინც კვირიკეს გათავისუფლებას ურჩევდა. ზამთარში [136] გაგზავნა თავისი ძე ლეონი. ის შევიდა და გადანვა კახეთი. იქ შეატყობინეს ლეონს მამის სიკვდილის ამბავი. მაშინ იხმო კვირიკე ბაზალეთის ტბაზე, დაზავდნენ და გახდნენ მძახლები. ხოლო ლეონი შემობრუნდა და გამეფდა აფხაზეთში. ცოტა ხნის შენდეგ მოკვდა ლეონის ასული, რომელიც ცოლად მიეცათ კვირიკეს ძისთვის და კვლავ დაიწყეს მტრობა ლეონმა და კვირიკემ. გამოვიდა ლეონი, ააოხრა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი. იქ დასნეულდა, უკან გაბრუნდა და მოკვდა ლეონ მეფე აფხაზეთში და დაჯდა [მეფედ] მისი ძე დიმიტრი. ამავე დროს მოკვდა ქართლის მეფე სუმბატი ქორონიკონსა 958, ქართულით 178-ს.

## 52. მეფე ბაგრატ, ანუ დავით რეგვენი. 33 წელი იმეფა

ქართლის მეფედ დაჯდა ძე სუმბატისა, დავითი; დიმიტრი მეფემ კი მოანყო თავისი სამეფო აფხაზეთი, თუმცა შემდგომ აფხაზეთის მთავრებმა მიიწვიეს თეოდოსი, ძმა დიმიტრისა, კოსტანტინელოპოლიდან (რადგანაც მამასვე გაეგზავნა ორი ძე ძმებს შორის მშვიდობის [უზრუნველსაყოფად]). გამოვიდა თეოდოსი და მივიდა სამცხეში, აგროვებდა ლაშქარს. ამის გამგონე დიმიტრიმ შეაგროვა ლაშქარი და უეცრად დაესხა თავს თეოდოსის; გაიქცა {თეოდოსი} და მივიდა ძელელ მთავართან. მან შეიყვანა ძამის ციხეში და იქიდან ცდილობდა [თეოდოსი საკუთარი სურვილის ასრულებას]. კვლავ გამოაგზავნა დიმიტრიმ ლაშქარი; მოადგნენ ძამის ციხეს და იბრძოდნენ სამ თვეს. მაგრამ გაუჭირდათ რა მეციხოვნეებს, დაზავდნენ ფიცით და გაუშვეს თეოდოსი მშვიდობით. [ის] მივიდა დავით კურაპალატთან (ეს დავით მეფე იყო ძე ადარნესესი და ადარნესე იყო ძე მეფე სუმბატ კურაპალატისა). ხოლო დავითი იყო სრულყოფილი ყოველგვარი სიკეთით, საღვთოთი და სამხედროთი. იგი განაგებდა ბასიანს, ტაოსა და მის მიმდებარე [ტერიტორიებს].

[137] ორი წლის შემდეგ წამოვიდა თეოდოსი დავითისგან და მოვიდა კახეთში. მაშინ მიუგზავნა დიმიტრიმ კვირიკეს, რათა მოერიგებინა ძმები; ხოლო კვირიკემ კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა წინაშე ფიცით შეარიგა დიმიტრის თეოდოსი. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ დაივიწყა დიმიტრიმ ფიცი ღვთისა, შეიპყრო თავისი ძმა თეოდოსი და დაუნვა თვალები<sup>212</sup>. მაშინ აფხაზებმა მოინდომეს მეფედ ჩალა, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგანაც იყო დიმიტრი მამაცი და ძლიერი.

ხოლო შემდეგ, მოკვდა რა დიმიტრი მეფე და არ დარჩა მემკვიდრე, გამოიყვანეს თეოდოსი და დასვეს მეფედ აფხაზთა. ამ დროს მოადგნენ კახელები უფლისციხეს. მაშინ იყო ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე. მან მოიწვია დავით კურაპალატი ტაოდან, რათა მას აეღო ქართლი, ან თავად განეგო, ან მიეცა ბაგრატისთვის, გურგენის ძისთვის, მეფე ბაგრატ რეგვენის შვილიშვილისთვის (რომელიც აღეზარდა ამავე დავითს თავის ძედ). ხოლო ეს ბაგრატი იყო გიორგი აფხაზთა მეფის ასულის შვილი და ეკუთვნოდა აფხაზეთი დედის [მხრიდან]. ამის გამგონე დავით კურაპალატი გამოემართა თავისი ძალით და მოვიდა ქართლში. ამის მნახველმა კახელებმა დატოვეს უფლისციხე და წავიდნენ. ხოლო დავითმა დაადგინა მეფედ ბაგრატი ქრისტესით 980, ქართულით 200<sup>213</sup> [წელს].

#### 54. მეფე ბაგრატი.<sup>214</sup> 34 წელი იმეფა

მაგრამ ეს ბაგრატი ჯერ არ იყო სრულწლოვანი, ამიტომ დაუდგინა (დავითმა) [მეურვედ] მამამისი გურგენი და ამცნო ქართველებს, დამორჩილებოდნენ ბაგრატს, თვითონ კი წავიდა ტაოში. რამდენიმე ხნის [138] შემდგომ შეთქმულება [მოაწყეს] ქართველმა აზნაურებმა (როგორცაა მათი ჩვევა) და გამოიყვანეს კახელები, გასცეს უფლისციხე, შეიპყრეს გურგენი და მისი ძე და ბაგრატის დედა გურანდუხტი და წაიყვანეს კახეთში. ეს რომ გაიგო ბაგრატ კურაპალატმა, შეკრიბა მთელი თავისი ძალა და მოიზიდა სომხები; მივიდა რა თრიალეთში კახეთში შესასვლელად, გაუგზავნა კახელებს დაზავების [წინადადება] და გაუშვეს გურგენი, მეფე ბაგრატი და გურანდუხტი, დედა ბაგრატისა, და დაუბრუნეს უფლისციხე. მაგრამ წირქვალი და გრუვი თვითონ დაიკავეს. დავითი გაბრუნდა თავისკენ და გურანდუხტი განაგებდა უფლისციხეს.

როდესაც გავიდა სამი წელი და მეფობდა აფხაზეთში თეოდოსი მწუხარე და გაირყვნა აფხაზთა ყოველგვარი წესი, მაშინ ამანვე, მარუშისძე იოვანემ, და ქართლისა და აფხაზეთის ყველა დიდებულმა მოითხოვეს დავითისგან მეფედ აფხაზთა ბაგრატი და აკურთხეს მეფედ აფხაზთა ქორონიკონს 985-ს, ქართულით 205-ს.

მაშინ დაჯდა ბაგრატი აფხაზთა და ქართველთა მეფედ და რადგანაც სრულწლოვანი იყო, დაემორჩილა ყველა აფხაზი და ორი წლის შემდგომ დაიწყო სამეფის მართვა მსგავსად თავისი პაპისა, გიორგისა, ან დავითისა, თავისი აღმზრდელისა. და გაგზავნა თეოდოსი დავით კურაპალატის წინაშე, რადგანაც უმჯობესად მიიჩნია. შემდეგ გადმოვიდა ქართლში, რათა განეგო იქაური დაშლილი საქმეები. მაგრამ ქართლელებმა არ ისურვეს, განდგნენ ცალ-ცალკე, წინამძღვრად დაიყენეს ქავთარ ტბელი და დაუხვდნენ მულრისში ბაგრატს. მაშინ მეფემ შეუძახა თავის ლაშქარს და ბრძოლისას გაიქცნენ ქართლელები; დახოცეს და უმეტესი შეიპყრეს და მიჰგვარეს ბაგრატს. აილო მეფემ უფლისციხე და იქ დაჰყო მცხე ხანი, მართა [139] იქაურები როგორც ხელოვანმა ხომალდის უფროსმა, წამოიყვანა თავისი დედა და შვიდა აფხაზეთში.

რამდენიმე წლის შემდგომ შეკრიბა ბაგრატმა თავისი ლაშქარი და მოვიდა ქართლში (რადგანაც იყო კლდეკარის ერისთავი რატი; იგი ფლობდა თრიალეთს, მანგლისის ხევს, სკვითეთს და არ ემორჩილებოდა ბაგრატს), რათა შეეერთებინა რატი. მაგრამ აცნობეს დავით

კურაპალატს, შენ მოსაკლავად წამოვიდა ბაგრატიო. ამის გამგონე დავითმა შეკრიბა ლაშქარი, იხმო სომხები და მას წამოჰყვა ბაგრატი რეგენი, ბაგრატის პაპა, რადგანაც ეშინოდა, თავისი ძის, გურგენისგან, მეფობის წაართმევისა. ხოლო გურგენმა, ბაგრატი რეგენის ძემ, შეკრიბა ლაშქარი და მოვიდა შავშეთის დასაწყისში. შეებრძოლნენ დავითი და ის თხრილის პირას. დამარცხდა გურგენი და შეიკეტა წეფთის ციხეში. ბაგრატი მეფე კი მოსული იყო თრიალეთში; მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა ძალით დამარცხება დავით კურაპალატისა, დატოვა ლაშქარი და მარტო მივიდა დავითთან და უთხრა: „სხვა არაფრისთვის გამოვსულვარ, თუ არა დასამორჩილებლად რატისა.“ დავითმა კი მიუგო: „მითხრეს, რომ გამოხვედი ჩემ მოსაკლავად; რადგანაც ახლა მართალი ხარ, გამითავისუფლებიხარ რატისგანაც“. წავიდა ბაგრატი აფხაზეთში. შემდეგ გარდაიცვალა ბაგრატი რეგენი ქრისტესით 994, ქართულით 213 [წელს].

### **53. მეფეთ-მეფე გურგენი. 14 წელი იმეფა**

გამეფდა თავისი მამის, დავითის, ნაცვლად გურგენი, მამა ბაგრატი აფხაზეთა მეფისა (ამ გურგენს იმიტომ ეწოდა მეფეთ-მეფე, რომ მისი ძე ბაგრატი ადრევე მეფე გახდა). შემდეგ, დადგა რა ზამთარი, წამოვიდა ბაგრატი აფხაზეთიდან მთელი თავისი ძალით და მოადგა რატის; მაგრამ რატიმ გამოიყვანა თავისი შვილი ლიპარიტი და გადასცა იგი და თავისი ცხენიც ბაგრატს, ხოლო თავად წავიდა და დაჯდა არგვეთში.

### **[140] გამოსვლა ბასილი კეისრისა**

გარდაიცვალა რა დავით კურაპალატი, ქრისტესით 1001, ქართულით 221 [წელს], მაშინ გამოვიდა ბასილი კეისარი და მისცა მას ციხეები დავით კურაპალატისა, მისი აზნაურებისა. მაშინ მივიდნენ მასთან გურგენ და ბაგრატი მეფეები. მაგრამ იმზაკვრა მამა-შვილს შორის და მისცა ბაგრატს კურაპალატობა და გურგენს – მაგისტროსობა,<sup>215</sup> რადგანაც ვერ გაუძლო, ვინაიდან გურგენი ჭეშმარიტი კაცი იყო და გაბრუნდა ბასილი კეისარი. შემდგომ მოკვდა გურგენ მეფეთ-მეფე ქრისტესით 1008, ქართულით 228 [წელს]

#### 54. მეფე ბაგრატი აფხაზთა და ქართველთა, ანუ სრულიად გიორგისა. 34 წელი იმეფა

ხოლო შემდგომად მამისა ხელთ იპყო ბაგრატი აფხაზთა მეფემ ნაქონები თავისი მამისა და მამობილ დავითისა.<sup>216</sup> განაგო აფხაზეთი და დაადგინა მისი ბრძანების მორჩილები. მოვიდა ქართლში, მიუგზავნა კახეთს [მაცნე], რომ გადმოეცათ ციხეები. მაგრამ დავით ქორიკოზმა შემოუთვალა: „თუკი გნებავს ციხეები, ჩვენ დაგვარწმუნოს ხმალმა“. ამის გამგონე მეფე ბაგრატი განყრა და უხმო აფხაზებს, ტაოელებს, მესხებს და ქართლელებს<sup>217</sup> (რადგანაც მას ეპყრა ეს ყველა [მხარე]). გაიარა მცხეთის ხიდი და იქ შეუერთდა მისი ლაშქარი; მივიდა და დაბანაკდა თიანეთში. წინ ვერ აღუდგა დავითი. მეფემ დაიწყო ბრძოლა ციხეებისთვის, აიღო ჰერეთი და დაიჭირა დედოფალი დინარი; ორ წელში აიღო კახეთიც და შეამწყვდია კვირიკე [141] ბოჭორმაში; აიღო ციხე და დაიპყრო კახეთი და ჰერეთი. ხოლო კვირიკე მიიყვანა თავისსავე კარზე.

ამ დროში გაითქვა სახელი განძის ამირა ფადლონმა და დაიწყო წვალება კახეთ-ჰერეთისა მეკობრეობითა და ქურდობით. ნახა რა ბაგრატი მისი თავხედობა, აცნობა სომხთა მეფე გაგიკ შაჰან-შას, რომ შური ეძიათ ფადლონზე. გაგიკმა გაიხარა და სწრაფად მოვიდა ბაგრატის წინაშე ზორტაკეთში და ნავიდნენ ფადლონის წინააღმდეგ. ხოლო ფადლონი შეშინდა და შეიკეტა სიმაგრეებში. მაშინ მეფემ დაარბია რანი და გარს შემოერტყა შამქორს, დაუღენა გალავნები. ფადლონმა ღამით გამოაგზავნა [მაცნე] მეფესთან და ითხოვა ზავი. [ბაგრატი] დაუდგინა ხარკი და ლაშქრობა მასთან ერთად. შეიწყალა ბაგრატი და მისცა ზავი ამ პირობით. გამოვიდა ფადლონი, ურიცხვი [განძეული] უძღვნა მეფეს.

შემდეგ მობრუნდა ბაგრატი გამარჯვებული (ამ ბაგრატის ზეობაში იყვნენ ეფთვიმე ქართველი, მთარგმნელი ჩვენი წიგნებისა, და ესენიც: იოანე გრელისძე, არსენ ნინოწმინდელი, იოანე ხახულელი<sup>218</sup> ოქროპირი, ზაქარია მირდატის ძე ანუ შარიტისძე).

ამ ბაგრატი დაიპყრო ყველა კავკასიელი ჯიქეთიდან გურგანის ზღვამდე; ადრაბაგანი და შარვანი მოხარკედ გაიხადა. სპართა მეფე ერთგულად უსმენდა და ბერძენთა მეფეებსაც ემინოდათ, რადგანაც იყო ყოველგვარი სათნოებით ღვთისმოსიში. რამდენიმე მეფე კურაპალატი ბაგრატიონი, ზემოთ ნახსენები, [142] ზოგი ქართლსა და სამცხეში და ტაო-კლარჯეთში მეფობდა ბაგრატიამდე. ამის დროში აღარა-

ვინ იყო სუმბატისა და მისი ძე გურგენის გარდა, რომლებიც მეფობდნენ კლარჯეთში. ხოლო ბაგრატიმა მიიწვია ისინი ფანასკერტის ციხეში, შეიპყრო და დააპატიმრა. მათი შვილები წავიდნენ ბასილი კეისართან და ისინი იქ დაიხოცნენ. და დაიპყრო ბაგრატიმა მთელი ივერია თავისი სიბრძნე-ძლიერების [წყალობით]. შემდეგ მოიარა მთელი თავის სამეფო და კვლავ მივიდა ფანასკერტის ციხეში და იქ გარდაიცვალა მაისის 7-ს, ქრისტესით 1014, ქართულთ 234 [ წელს ].

### **55. მეფე გიორგი. 13 წელი იმეფა**

დაჯდა მეფედ მისი ძე გიორგი 18 წლისა. მან დაიკავა თავისი მამის სამეფო აფხაზეთი, ქართლი, ჰერ-კახეთი, ტაო, სამცხე, კლარჯეთი. მცირე ხნის შემდგომ გაუდგნენ კახელები და გამოაძევეს გიორგი მეფის ერისთავები და პატრონად [დასვეს] თავიანთი პირველი ბატონი. გიორგის მეფობის მე-7 წელს გამოვიდა ბასილი კეისარი გიორგი მეფის წინააღმდეგ.

მაშინ გიორგი მეფემ შეკრიბა ლაშქარი, მივიდა ბასიანში და დაიბანაკა ორივემ იქ. მაგრამ არ შებრძოლებიან ერთმანეთს მრავალი დღის განმავლობაში. გამობრუნდა გიორგი მეფე და მას კვალში ჩაუდგა ბევრი. გიორგი მეფის უკან მომყოლები და ბასილი კეისრის მწინავეები შეიკრიბნენ შირიმის დაბაში. დაიწყო ცხარე ბრძოლა. ორივე მხრიდან დაიხოცა ბევრი [მეომარი] და წარჩინებულიც. მიბრუნდა გიორგი მეფეც და სწაფად გამოემართა კეისარიც. მაშინ გაჩაღდა უსასტიკესი ბრძოლა, რადგანაც უკუაქციეს ქართველებმა ბერძნები და აიღეს დიდი ალაფი, მაგრამ სულსწრაფობა გამოიჩინეს და დამარცხდნენ გიორგიელები; ხოლო გიორგი მეფე წამოვიდა ნიგალიდან. დაედევნა კეისარი, აიკლო ქვეყანა და მოადგა თრიალეთს. ამიტომ გიორგი მეფემ [საბრძოლველად] გამოიყვანა წანარები და შეავსო ლაშქარი. ამის მნახველი კეისარი უკან გაბრუნდა და უფრო მეტად დაარბია ქვეყანა და დაიზამთრა ტრაპიზონის მახლობლად. კეისარსა და გიორგის შორის დადიოდა დესპანი მშვიდობის [მისაღწევად]. ხოლო კეისარს აუფხანყდნენ ბერძნები, ხელთ ჩაიგდო ისინი და გადაასახლა.

გაზაფხულზე კვლავ წამოვიდა [კეისარი] გიორგი მეფის წინააღმდეგ. გიორგიმ გაგზავნა ზვიად ერისთავი დასაზავებლად და თავადაც წარუდგა დიდი ლაშქრით და უთხრა: „თუკი დაადგენ მშვიდობას, კარგია; თუ – არა, ვიბრძოლებ.“ ხოლო ვისაც არ სურდა მშვიდობა, იბრძო-

და და განდევნეს კეისრის ლაშქარი. მაშინ კეისარმა წერილი გამოუგზავნა გიორგის, ააცვა შუბის წვერზე, ჯვარი პატიოსანი მანდილით დადო მინაზე და თქვა: „თაყვანს აღარ გცემ, თუკი მტრის ხელში ჩამაგდებ.“ შემდგომ შეუძახა ლაშქარს და დაიწყო სასტიკი ბრძოლა. და რადგანაც გიორგი მეფე არ იყო მისული ძლიერი მებრძოლების [თანხლებით], დამარცხდნენ გიორგიელები და დაიხოცა ყველა, ვისაც არ სურდა მშვიდობა. მობრუნდა კეისარი და ააოხრა ქვეყანა. კვლავ დაადგინეს ზავი (რადგანაც ემინოდა კეისარს ბერძენთა განდგომისა) და მისცა გიორგი მეფემ მძევლად თავისი ძე ბაგრათი კეისარს და გუარამ კურაპალატის ციხეები, რომლებიც ადრევე ეპყრა ბაგრატ მეფეს; და წავიდა კეისარი, მაგრამ დაჰპირდა სამი წლის შემდგომ მეფის ძის გამოგზავნას.

ხოლო პაემანზე გამოგზავნა ბასილი კეისარმა მეფის ძე, მაგრამ, როდესაც ტაოში მოვიდა, თავის მამულში, დაენია კატაბანს<sup>219</sup> მეფის წერილი, უკანვე დაებრუნებინა ბაგრათი (რადგანაც ბასილი მომკვდარიყო და კოსტანტინე გამხდარიყო კეისარი). კატაბანს აღარ შეეძლო მისი შებრუნება და თავად გაბრუნდა ხელცარიელი. ხოლო ბაგრათი მოვიდა მამასთან. შეიქნა დიდი სიხარული, უფრო მეტად საოცრების გამო, თუ როგორ იხსნა ღმერთმა ბაგრათი. ორი წლის შემდგომ გარადიცვალა მეფე გიორგი, ყოველგვარი სიკეთე-სიამამაცით აღმატებულად სრულყოფილი, ქრისტესით 1027-ს, აგვისტოს თვის 16, თრიალეთში, ცივ ადგილას.

#### [144] 56. მეფე ბაგრათი. 45 წელი იმეფა

მის შემდგომ 9 წლისა გამეფდა გიორგის ძე ბაგრათი<sup>220</sup>. მაშინ განდგნენ ტაოელები: ვაჩე კარიჭისძე, ბანელი იოანე, მათთან ერთად ციხეთა მფლობელი და უციხო აზნაურები და წავიდნენ კოსტანტინეპოლში. ხოლო კეისარმა კოსტანტინემ მისცათ უფრო მეტი ლაშქარი, ვიდრე ბასილიმ და მოვიდნენ და ააოხრეს იგივე მიწები. შემდეგ მოადგნენ კლდეკარს, მაგრამ ლიპარიტი მძლავრად შეებრძოლა და უკანვე გაიქცნენ, დაიპყრეს გარელობისა და წეფის ციხეები. მტბევარმა საბამ ააგო ციხე და დაიკავა შავშეთი და ბაგრატის მხარეს ერთგულად დადგადა, არ მისცა არც ციხე და არც ქვეყანა გარემომდგარ ბერძენებს, მიუხედავად მათი ძლიერი შემოტევისა. მაგრამ ღმერთმა შური იძია კეისარზე ბაგრატის ქვეყნის აოხრების გამო. და იხმო დაავადებულმა [კეისარმა] თავისი

ლაშქარი. როდესაც [მეომრები] მივიდნენ, მოკვდა კოსტანტინე. მან დასვა რომანოზი კეისრად და მისცა ცოლად თავისი ასული ზოია.

სამი წლის შემდგომ წავიდა დედოფალი, ბაგრატის დედა ელენე,<sup>221</sup> ასული არშაკუნიანებისა, რომანოზთან<sup>222</sup> მშვიდობის, მძახლობისა და კურაპალატობისათვის. კეისარმა შეუსრულა სათხოვარი, მისცა ბაგრატს თავისი ასული ელენე ცოლად, უფლის სამსჭვალე, ოქონის ხატი და დადძალი სიმდიდრე მზითვად (ამ დროის მთარგმნელები იყვნენ: ბერი გრძელი, ახალი აბრამი, არსენი, ანტონი მნათე, ბასილი ბაგრატის ძე; ეფთვიმესაც და მთანმინდელსაც მოესწრნენ). როდესაც ჩამოვიდა ტაოში დედოფალი, მიეგება ბაგრატ მეფე, მოიყვანა და გადაიხადა ქორწილი შესაფერისი. რამდენიმე ხნის შემდგომ მოკვდა ელენე, ცოლი ბაგრატისა, ქუთაისში; ხოლო მეფემ შეირთო ოსთა მეფის [145] ასული ბორენა და შემდეგ დაეუფლა ბაგრატი ყველა ზემოქვემო სამეფოს და გახდა ძლევაშისილი.

ამ დროს ფადლონ განძელი ცუდად ექცეოდა ამ სამეფოს. შეიკრიბნენ ბაგრატ მეფესთან ლიპარიტი, იოვანე აბაზაძე, კვირიკე მეფე კახთა და ჰერთა, სომხთა მეფე დავითი და თბილისის ამირა; მიუხტნენ ფადლონს ეკლესიაში, გამართეს ბრძოლა. გაიქცა ფადლონი; ამოხოცეს მისი ლაშქარი, დაარბიეს რანი და წამოიღეს ალაფი. ამის შემდეგ ველარ გაბედა ფადლონმა [ველარაფერი ამათი] სანყენი. (ამ დროის მთარგმნელები იყვნენ: იოანე ანუ ილარიონ თუალელი, მოძღვარი გიორგი მთანმინდლისა, გიორგი შეყენებული, გიორგისავე მოძღვარი გიორგი და გიორგი ოლთისელი).

შემდგომ ლიპარიტმა და იოანე აბაზაძემ გამოიტყუეს მუხათგვერდში თბილისის ამირა ჯაფარი, შეიპყრეს, რამდენიმე ხნით დააპატიმრეს და წაართვეს ბირთვისი. მაგრამ ბაგრატ მეფემ შეინყალა ჯაფარი და გაუშვა თბილისშივე. ამიტომაც დაიწყო მტრობა ჯაფარსა და ლიპარიტს შორის; ხოლო გიორგი მეფეს ჰყავდა სხვა ძე ოსთა მეფის ასულისგან, [სახელად] დიმიტრი, და ის იყო ანაკოფიაში. ამ მთავრებმა მისი გამეფება მოისურვეს; ვერ გაბედეს და ვერც ბაგრატმა გამოიყვანა თავისი ძმა თავსითან. ეს წავიდა შემდგომ კოსტანტინეპოლისკენ და წაიღო ანაკოფიაც.

ამ დროს ლიპარიტი მოეთათბირა ბაგრატს, წაერთმიათ თბილისი [მტრისთვის] და მოადგნენ თბილისს; დაეხმარნენ ჰერ-კახელები და ისინიც მოადგნენ, რადგანაც ამ დროს დიდი კვირიკე მოეკლა ვილაც ოს მეფის, რომელიც კვირიკესთან ბრძოლაში მომკვდარიყო, სისხ-

ლის [აღების გამო]. მაშინ იყო კახთა მეფე გაგიკი, ძე სომხთა მეფისა, სამშვილდელისა; ძალიან შეავინროვა თბილისი, ვირის ხორცი ერთი ლიტრა ხუთი დრამა ღირდა, რადგანაც ორი წლის განმავლობაში ალყა ჰქონდათ შემორტყმული და არბევდნენ ბაგრატის მეომრები ორბეთისა და ფარცხისი ციხეებს. შემდგომ დაპირდნენ თბილისელე-ბი ქალაქის მიცემას, ამიტომაც ამირამ გააკეთა ტივი და ნავი თავისი ლაშქრითურთ ღამით განძაში წასასვლელად; მაგრამ ზოგიერთებმა ურჩიეს მეფეს, რომ არ განდიდებულყო ლიპარიტი, თბილისშივე დარჩენილიყო ამირა. [146] და ბაგრატმაც დაამტკიცა ამირა თბილისშივე და გადაიბირა მეფე ბაგრატმა მარილელი და ხახელ-გურთა მთავარი, სიძე კვირიკესი, აშოტი; შემოერთა თბილისს და გადაემტერა კახეთს (და გახდა ლიპარიტი ბაგრატისთვის ავის მზრახველი).

მაშინ ბაგრატმა დაიწყო კახელებთან ბრძოლა მიქაელის მთაზე, დაამარცხა და შეიპყრო სტეფანოზ პანკისის ერისთავი, ვაჩე ხორნაბუჯის ერისთავი, დაჯე მაჭის ერისთავი და გადავიდა თიანეთში, დანვა კვირიკეს განთქმული დარბაზი. ეს ერისთავები ვედრებით აძლევდნენ ციხეებს მეფეს; ხოლო ლიპარიტი განდგა, ამიტომაც ველარ შევიდა მეფე პანკისში და უკან მოზრუნდა. მაშინ გამოიყვანა [საბრძოლველად] ლიპარიტმა დიმიტრი, ძმა ბაგრატისა, ბერძენთა ლაშქრითურთ და შეუერთდნენ [მათ] ზოგი აზნაური და კახელები, გადმოვიდნენ აქა-იქ, მოადგნენ ატენს, მაგრამ ციხე ვერ აიღეს. ხოლო ბაგრატ მეფე მივიდა ჯავახეთში, გაამაგრა ახალქალაქი. გაზრუნდა ლიპარიტი, წავიდნენ ბერძენები და წაიყვანეს დიმიტრიც.

შემდეგ გაძლიერდა ბაგრატ მეფე, შეუერთდა ვესტი<sup>223</sup> ცხრა ციხით და ანისი მისცეს ბაგრატის დედას. გაზაფხულზე მეფე ბაგრატი შემოერთა ანაკოფიას და თითქმის აიღო; მაშინ მოკვდა თბილისის ამირა, ანაკოფიაში მივიდნენ თბილისელები და მიიწვიეს მეფე. იქ დატოვა ანაკოფიას გარშემორტყმული ლაშქარი, თავად ქუთაისში ჩავიდა, შემოართყა ლაშქარი და ფალეკონები.<sup>224</sup> იქიდან თვითონ ჩამოვიდა თბილისში. შეეგებნენ თბილისელები, მართვეს კლიტეები, შევიდა და დაჯდა საამირო სახლში და დაიკავა კალა-თბილისი,<sup>225</sup> მაგრამ ისანი არ მისცეს და სასტიკად შეებრძოლნენ.

მაშინ ბაგრატთან სადარბაზოდ მოვიდნენ კახთა მეფე გაკი და ყველა კახელი. გავიდა ბაგრატი ისნის ველზე, დაიმორჩილა ისინი და მშვიდობით გაუშვა. მაგრამ გაზაფხულზე ლიპარიტმა კვლავ დაიწყო

[147] საზიანო ქმედება, გამოიტყუა დედოფლისგან ანისი და შეიპყრო აბუსერი – არტანუჯის ერისთავი, ხიხა ციხისჯვარელი, იოანე ერისთავი, იოვანე დადიანი, გურამ ბეჭისციხისა და აწყურის ციხის პატრონი. ამის გამგონე ბაგრატმა დატოვა თბილისი და მივიდა ჯავახეთში, მეფეს შეუერთდა მანყვერელი მესხეთიდან; ხოლო ლიპარიტი კახელებითურთ მივიდა ფოკაში და შეუერთდა ლიპარიტს მანყვერელიც. ამის მნახველმა ბაგრატმა გადაიარა შავშეთი ძლიერ ქარბუქში და ჩავიდა ქართლში. მაშინ ლიპარიტმა კვლავ გამოიყვანა დიმიტრი და მათ შეუერთდათ ზოგი ბაგრატის მხრიდან. მაგრამ ჰყავდა მძევლად ბაგრატს ლიპარიტის ძე. ითხოვა ლიპარიტმა და გაუშვა აბუსერი ციხითურთ და მიიღო [თავისი] ძე. ხოლო ბაგრატს შეუერთდა სამი ათასი შეძლებული. წამოიყვანა ბაგრატმა 700 მათგანი და შიდაქართლელები, მხოლოდ მესხებს ვეღარ მოუცადა, ხოლო ლიპარიტი მოვიდა კახელებისა და სომხთა მეფე დავითის თანხლებით. შეიბნენ სასირეთის ქალაში; დამარცხდნენ ბაგრატის მომხრეები და კვლავ შეიპყრეს აბუსერი და სხვა დიდებულები და შეძლებულებმა ვეღარ შეძლეს ბრძოლა. მისცა ლიპარისტმა მსახურები; მათ გადაიარეს ლიხი. მაგრამ ამ ბრძოლის წინ მომკვდარიყო დიმიტრი, და გაქცევისა და სამეფოს დაშლის გამო შეშინდა ბაგრატ მეფე, წავიდა ლიპარიტთან. მაგრამ ლიპარიტი არ შეხვდა, გაერიდა, უკან გაბრუნდა ბაგრატი აფხაზეთში.

შემდეგ კალმახის ერისთავმა და გრიგოლი ერისთავმა მიიწვიეს ბაგრატი. ბაგრატმა ლაშქრით გადაიარა რკინისჯვრის გზა. შეიკრიბნენ არყის ციხეში. ეს რომ შეიტყო, ლიპარიტმა შეკრიბა ლაშქარი, თავისი დამხმარე კახელები, სომხები და ბერძნები; დაესხა მეფეს და გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ისევ დამარცხდა მეფე. შეიპყრო ლიპარიტმა სულა, მოსთხოვა კალმახი. მან არ მისცა, ხოლო გრიგოლიმ [148] მისცა არტანუჯი. შემდგომ დაულაშქრა ლიპარიტმა ბერძნებს დვინი და დაბრუნდა იქიდან. ერთი წლის თავზე გამოჩნდნენ თურქები ბასიანში. მოვიდნენ ბერძნები, იხმეს ლიპარიტი, შეებრძოლნენ თურქებს უკუმიას ქვევით, დამარცხდნენ თურქებისგან და შეიპყრეს ლიპარიტი და წაიყვანეს ხორასანში. მაშინ დიდებულებმა და ლიპარიტის ძეებმა გამოიყვანეს მეფე ბაგრატი. კვლავ აღზევდა [იგი] და დაიქვემდებარა ყველაფერი. ხოლო განძას მოადგნენ თურქები და თითქმის წაიღეს. მივიდნენ ბერძნები საშველად; მიიწვიეს ბაგრატ მეფეც და უშველა მეფემ. ამათი მისვლისას უკან დაიხიეს თურქებმა განძიდან და გადარჩა [იგი] მშვიდობით.

იქიდან დაბრუნებულ ბაგრატ მეფეს მისცეს თბილისი, შევიდა და დაიკავა ციხე-ქალაქი. შემდეგ დაეხსნა ლიპარიტი თურქებს, მოვიდა და დაიპყრო თავისი ყველაფერი. როცა გაიგო ბაგრატ მეფის გაძლიერება, წავიდა კოსტანტინეპოლში, რადგანაც მათი სამსახურის გამო ჩავარდა ტყვედ. იქიდან მოიკრიბა ძალა ლაშქრით; ვერ გაუმკლავდა [მას] ბაგრატ მეფე, დატოვა თავისი ძე გიორგი აფხაზთა მეფედ ქუთაისში და თვითონ წავიდა კოსტანტინეპოლში, მაგრამ კეისარმა ლიპარიტის სასიამოვნოდ აღარ გამოუშვა სამი წლის განმავლობაში კოსტანტინე მონომახისგან დიდ დიდებაში მყოფი<sup>226</sup>.

იქ ყოფნისას მეფესთან იყო გიორგი მთაწმინდელი. ხოლო ლიპარიტიცა მოითხოვა ბაგრატის ძე გიორგი მეფედ. მისცეს აფხაზეთის დიდებულებმა და რუისში აკურთხა მეფედ და დაუყენა გამზრდელად ბაგრატის და გურანდუხტი. შემდეგ გურანდუხტიცა გამოითხოვა ბაგრატი კეისრისგან და იმან გამოაგზავნა დიდი დიდებითა და საგანძურით. მოვიდა [ბაგრატი] ზღვით, შემოვიდა ქუთაისში, მეფობდა ლიხს იქით; ხოლო მის ძეს სამეფოდ ზრდიდა ლიპარიტი.

შემდეგ მობეზრდათ მთავრებს ლიპარიტის ძალაუფლება. გაერთიანდნენ სულა კალმახელი და მესხები; შეიპყრეს ლიპარიტი და მისი ძე იოვანე ქრისტესით 1059, ქართულით 279 [წელს]. (ამავე წელს მეფის მოწვევით [149] მოვიდა გიორგი მთაწმინდელი ქართლში); ხოლო ნიანია მიმართა კლდეკარს, არ შეუშვეს მამის მეციხოვნეებმა და წავიდა საბერძნეთში. ეს აუწყეს ბაგრატ მეფეს. წასულს ახალქალაქში დაენიენ და და მისი ძე გიორგი, იქ მიჰგვარეს ლიპარიტიცა და მისი ძე იოანეც (ამის სანაცვლოდ სულას უბოძა მეფემ დიდი მამულები). შემდეგ დაუბრუნეს მეფეს არტანუჯი და ლიპარიტის მთელი [სამფლობელი] და მოადგნენ კლდეკარს, ძელზე გასვეს ლიპარიტი და იოანე; ამ გზით მისცეს [ბაგრატს] კლდეკარი და გამოიტანა ლიპარიტის საგანძური. ამის შემხედვარე ლიპარიტიცა შეჰფიცა მეფეს [მორჩილება] და შეიმოსა ბერის სამოსელი, ხოლო იოანეს უბოძა მათემ არგვეთი. შემდეგ გაიპარნენ მამა-ძეები და ჩავიდნენ კოსტანტინეპოლში და ნიანია მოკვდა ანისში ბერძნებთან. ხოლო იოანე კვლავ გამოიყვანა მეფემ, მისცა არგვეთი და ჩართო თავის დიდებულთა [რიცხვში]; ლიპარიტი მოკვდა კოსტანტინეპოლში, წამოასვენეს მისმა აღზრდილებმა და დაკრძალეს მათ სამარხში კაცხში.

ამის შემდგომ წამოვიდა სპარსთა მეფე უეცარი თავდასხმის სახით ქრისტესით 1064, ქართულით 284 [წელს]. შემოიარა კანგარი, თრია-

ლეთი და ერთ დღეს მოვიდა მისი მარბიელი [ლაშქარი] ყველისყურში, ტაოში, შავშეთში, კლარჯეთში, თორსა და ღვიისხევში; თავად კი დადგა თრიალეთში.

ხოლო მეფე დედის, დისა და ძე გიორგის თანხლებით ტაოდან მომავალი იყო აყრილ ხერკებულში. დაენია სპარსთა ლაშქარი, მაგრამ მეფემ შეასწრო ქართლში და გაბრუნდა ლაშქარი, შემუსრა ახალქალაქი, ამოხოცა იქ მყოფები ისე, რომ შეიღება მდინარე სისხლით. მაშინ ითხოვა სპართა მეფემ ბაგრატისგან ზავი და მძახლობა. შეუსრულა ეს ბაგრატმა და გაბრუნდა სულთანი, დაარბია ანი და მისცა მანუჩარს. მაგრამ ბაგრატის დისწული, რომელსაც ითხოვდა სულთანი, იყო ძმისწული სომხთა მეფე კვირიკესი და არ მისცა ის [კვირიკემ] ბაგრატს. ამის გამო შეიპირა კაცები ბაგრატმა და [150] შეიპყრეს სამშვილდეში შემომავალი კვირიკე და მისი ძმა სუმბატი, მიჰგვარეს ბაგრატ მეფეს. მოადგა მეფე სამშვილდეს; გადასცეს სამშვილდე, ოფრეთი და სხვა ციხეებიც. მაგრამ ბაგრატმა შეინყალა კვირიკე, მისცა ყოველივე, გარდა სიმშვილდისა, რადგან ის დაიკავა თავის სახლად. შემდგომ მისცა ცოლად თავისი ასული მარიამი<sup>227</sup> ბერძენთა მეფეს ქრისტესით 165, ქართულით 285 [წელს] და დისწული მისცა ცოლად სპარსთა მეფეს (ამავე წელს წავიდა გიორგი მთანმინდელი მთანმინდაზე<sup>228</sup>).

სამი წლის შემდგომ მოვიდა სულთანი, დაარბია რანი. მაშინ ჰერკახელები ერთგულად ედგნენ ბაგრატ მეფეს და ბაგრატის მეომრები იქ იდგნენ ზოგიერთ ციხის დასაცავად, რადგანაც თავადაც შესვლას აპირებდა. გაიგეს რა სულთნის მოსვლა, მობრუნდნენ და აუნყეს ბაგრატს. მაშინ მეფეც ქართლში გამობრუნდა. ხოლო აღსართანი მივიდა სულთანთან, გახდა სარკინოზი<sup>229</sup> და წინადაცვითა. ამიტომაც მისცა სულთანმა ჰერკახეთის ციხეები, ბაგრატის კუთვნილი. შემდეგ მოვიდა სულთანი ჯაჭვში და გაუშვა იქიდან მარბიელი [ლაშქარი], ცისკრიდან საღამომდე აივსო მთელი ქართლი და გადავიდნენ არგვეთში, ჩავიდნენ სვერამდე ქრისტესით 1069, ქართულით 289 [წელს] დეკემბრის 10-ს, ოთხშაბათს. და ამოიხოცა ურიცხვი ქრისტიანი და დაბნელდა დღე, როგორც წყვდიადი და [დიოდა] სისხლის წვიმა. ასევე იყო სასტიკი ზამთარი, რადგანაც, ვინც კი გადარჩა, მოკვდა ყინვისგან.

მაშინ მიაგზავნა ბაგრატმა ლიპარიტის ძე იოანე სულთანთან მშვიდობის ზავისათვის; ხოლო მან ითხოვა ხარკი და ყინვის გამო ველარ გაჩერდა, უკან გაბრუნდა, დაარბია თბილისი და მისცა განძის პატრონს (ეს

ბაგრატიან მტრობის გამო არ გაუკეთებია სულთანს, არამედ იყო ვერაგი, რადგანაც სიკეთეს ბოროტებით უპასუხებდა უღმრთოობის გამო. და ამ ლაშქრობაში მისი ლაშქარი შეადგენდა 500000-ს) და წავიდა სპარსეთში.

[151] ასევე გაზაფხულზე დაიწყო ისეთი წყალუხვობა, რომ მდინარეები ჩადინებული წყლებისგან გადმოვიდა და წაიღო ბევრი სულიერი, რომლებიც შემორჩნენ სულთანს. ამ დროს გაძლიერდა ფადლონი, შემოვიდა თბილისში, გამოიყვანა ხელოსნები. ხოლო მეფე ბაგრატი იდგა დიდგორზე, არ მოერიდა ფადლონი მეფეს და დაიბანაკა ისნის ველზე 30000 მეომრით. იქ დატოვა კარგები, შემოიარა მუხრანი ქართლის დასარბევად. აქედან ბაგრატი გაგზავნა თავისი მესხი ყმები; ველარ გაასწრეს ფადლონს, გადავიდნენ ნილკნის გორაზე და მოვიდა ფადლონის ლაშქარი. ეკვეთნენ და ხმლის პირველი მოქნევისთანავე გააქციეს ფადლონის მეომრები, გაჰყვნენ ხერკის მთამდე, ამოხოცეს ისე, რომ ხევები აივსო მათი მძორით. ფადლონი ხუთი ცხენოსნით გაიქცა კახეთში და საკუთარი თავი ფადლონის დესპანად გამოაცხადა. ნახა იგი ნიანიამ, წაიყვანა და მიჰგვარა ისააკს. ისააკი არ გვიხსენებია, რადგანაც იყო მესხი აზნაური, მოყვანილი თავისი მემკვიდრისგან ბაგრატი მეფესთან. მიჰგვარა აღსართანს თელავში, ხოლო აღსართანმა წაართვა ხორნაბუჯი და არადეთი. ეს ემძიმა ბაგრატს, ბოჭორმა და უჯარმა მისცა კახელებს, რათა არ გაეშვათ ფადლონი. მაშინ მეფეს გადმოსცეს ფადლონი, გასვეს ძელზე და დაუბრუნეს [ბაგრატს] თბილისი. მეფემ თვითონ არ დაიკავა, არამედ მისცა სითლარბს და თავად აიღო რუსთავი, ფარცხისი, აგარა, გრიგოლწმიდა, ქავაზანი, 44000 დრაჰკანი და მძევლები განძელ თავადთაგან (ამ დროის მთარგმნელები იყვნენ: იოვანე პატრიკ-ყოფილი, პეტრინი ფილოსოფოსი და სტეფანე).

შემდეგ გაგზავნა სულთანმა სარანგი<sup>230</sup> ფადლონის შუამდგომლობისთვის, გაუშვა ფადლონი და კვლავ აიღო გაკი ბაგრატი მეფემ. შემდეგ დაარღვია ფადლონმა ფიცი, მიიტაცა ქავაზანი, მოადგა აგარებს, გასცა ციხისთავმა და დაიკავა ფადლონმა. ამის გამგები [152] ბაგრატი გამოვიდა, წაართვა აგარები, გამოიყვანა დურღულელი ოსთა მეფე 400000 მხედრით, წაუძღვარა თავისი ძე გიორგი, დაარბიეს განძა, აიყვანეს ტყვეები და ალაფი, დაბრუნდნენ გამარჯვებულები. შემდეგ გაბრუნდნენ ოსები თავისთან. შემდეგ მოვიდა ბაგრატიან ოსთა მეფე სადარბაზოდ და თავისი ასულის სანახავად. გაეგება ბაგრატი მეფე ნაჭარმაგევში მყოფს, ისტუმრა 12 დღეს, უძღვნა მრავალი საბოძ-

ვარი] და გაუშვა. და აგზავნიდა სულთანი მეფესთან ძღვენსა და ხარკს ითხოვდა. ბაგრატიც ძღვენს უგზავნიდა და ხარკს არ უხდიდა.

შემდეგ დასწულდა სამშვილდის დაბლობში მდგომი მეფე და წამოიყვანეს ქართლში ჰორღეთი.<sup>231</sup> მოვიდნენ მისი ცოლი, დედა და და. უთხრა დედას: „დედაო, მებრალეები, რადგანაც წაიქცნენ შენგან შობილები ჩენზე ადრე და შემდეგ მოკვდები შენ.“ და გარდაიცვალა ქრისტესით 1072, ქართულით 292 [წელს]. და ვერ შეიტყეს დიდმა სულთანმა და ბაგრატიმ ერთმანეთის სიკვდილი, რადგანაც ის, შესული სამარყანდში 700000 მეომრით, მოკვდა კარავში ვილაც თურქის ხელით.

ეს ბაგრატი თავდაპირველად იყო კურაპალატი, შემდეგ ნოველისიმოსი, შემდგომ სევასტოსი<sup>232</sup> და ყველა კაცზე უმშვენიერესი, სიბრძნით ფილოსოფოსი, ენით მადლიანი, აფხაზეთის მეფეთა შორის უმდიდრესი, მოწყალე, უხვი, დამნაშავეთა შემნდობი; მაგრამ მის დროში ქვეყანას არ ჰქონდა სიწყნარე. ეკლესიებს, საწყალ აზნაურებს მოცლა არ ჰქონდათ.

### **57. მეფე გიორგი. 17 წელი იმეფა**

მის შემდგომ გამეფდა მისი ძე გიორგი. შვიდმა თვემ მშვიდობით განვლო. შემდეგ განდგნენ ერისთავები: იოვანე ლიპარიტის ძემ მიიხზრო კახელები და დადგა ქსნის პირას, ნიანიამ წაიღო ქუთაისი და საგანძური; ვარდანმა განალაგა სვანები და ამონყვიტა [153] ეგრი-სი. მაშინ მეფე გიორგიმ თავისი სიმამაცითა და სიმხნით სძლია ყველას და წაართვა ყველაფერი, მაგრამ არ მიუზღო ბოროტებისთვის, არამედ მისცა სიმდიდრე და სამფლობელო, და ერთგულ-ორგულები წყალობით აავსო და სრულიად დაიმორჩილა. კვლავ განდგა იოვანე ლიპარიტის ძე. დაეცა მეფე გიორგი, მესხეთიდან დაბრუნებული, და აღსართანი წამოიყვანა კახეთიდან. ველარ შეენინაალმდეგა იოვანე და გაიქცა სომხეთში. მეფემ აღსართანს წაართვა ლორწობანი. შემდეგ მივიდა მეფე სამშვილდეში, იოვანე ჩამოიყვანა ჯავახეთში, დააფიცა ერთგულება, ისევ მისცა სამშვილდე და კლდეკარი. ისევ განდგა იოვანე, წაიღო გაგი და მიჰყიდა ფადლონ განძელს.

შემდეგ მოვიდა სულთანი მალიქ-შა ყველა ქრისტიანის მტრად. მიეგება იოვანე. ცოტა ხნის შემდეგ გამოეპარა სულთანს და შევიდა სამშვილდეში. მოადგა სულთანი, აიღო, გამოიყვანა იოვანე ცოლშვილიანად და აზნაურები ოჯახებით დაატყვევა. იქიდან დაარბია ქართლი,

გაბრუნდა, აილო განძა და იქ დატოვა სარანგი 48.000 კაცით ამ ტერიტორიების დასალაშქრად. ხოლო ფადლონი დააპატიმრა და წავიდა.

მოიკრიბა სარანგი და გამოემართა გიორგი მეფისკენ. ხოლო გიორგი მთელი ლაშქრით მიეგება და შეიერთა აღსართან კახთა მეფეც. შეიბნენ ფარცხისში, ჯვრის ძალით სძლია გიორგი მეფემ და ამოხოცა სარანგის ურიცხვი მეომარი. მხოლოდ მცირედი ნაშთი გადაარჩინა ღამემ. შემდეგ გიორგიმ წაართვა ბერძნებს ანაკოფია, ასევე კლარჯეთი, შავშეთი, ჯავახეთი, არტანუჯი და აილო ქალაქები კარი, ვანანდი, ანი და განდევნა თავისი ქვეყნიდან თურქები ღვთის შეწევნით.

შემდგომ კვლავ მოვიდა სულთანი მალიქ-შა, დაარბია სამშვილდე, ისევ დაატყვევა იოანე ლიპარიტის ძე, ააოხრა სომხეთი და წავიდა. ამავე წელს კვლავ მოვიდა სარანგი სულთნის ძალით და ჩამოდგა სამშვილდის ბარში; დაეცნენ [154] გიორგი მეფის მეომრები, ეკვეთნენ, განდევნეს სარანგი დიდი გამარჯვებით და ამოხოცეს მისი ლაშქარი.

შემდგომ წავიდა მეფე გიორგი ტაოში, იქ შეუერთდა გრიგოლ ბაკურიანისძე, რომელიც ფლობდა ოლთისს და კარნუ-ქალაქს, მისცა მეფეს კარი და მისი მიდამოები და წავიდა. მაშინ მეფემ კარში დატოვა შავშელი აზნაურები და თავად წამოვიდა.

### **დიდი თურქობა**

ამ დროს გაძლიერდნენ თურქები, რადგანაც ტოვებდნენ ბერძნები აღმოსავლეთს და მიდიოდნენ. ხოლო თურქები იპყრობდნენ მათ ნაქონებ ქვეყნებს. ამათ დაიწყეს ქრისტიანთა რბევა ჩვენი ცოდვების გამო. მხოლოდ ქრისტიანთა ღალატით დაეცა მეფეს, ყველში მდგომს, თავისი ლაშქრით აჰმად ამირი, რომელსაც იმ დროს აელო კარიც. და განდევნეს მეფე გიორგი და აჭარის გზით წავიდა აფხაზეთში. ხოლო თურქებმა წაიღეს დიდძალი სიმდიდრე, ბაგრატიონთა მონახმარი. უკან დაბრუნებულებს შეხვდნენ სხვა თურქები, რომლებიც მოდიოდნენ საბერძნეთში, სახელად იასი და ბუჟრობა. ამათ რა ნახეს სიმდიდრე და მეფის გაქცევა, უთხრეს: „აჰა ქართლი გაუკაცრიელებული და ასეთი [სიმდიდრით] სავსე. რატომ მიდიხართ საბერძნეთში?“ და სწრაფად შემობრუნდნენ ისინი და მოვიდნენ ქრისტესით 1080, ქართულით 300 [წელს], ივნისის 24-ს. და აივსო მთელი გიორგია. ამავე დღეს გადანვეს ქუთაისი, არტანი, კლარჯეთის უდაბნოები, ჭყონდიდი და ქართლი. და დაყვეს ზამთარიც, გააპარტახეს ქვეყანა, გადაჭამეს და წავიდნენ.

ეს იყო დიდი თურქობა და თუ ვინმე გადარჩა კლდეთა გამოქვაბულებში, მთებსა და სიმაგრეებში, ისინიც დაიხოცნენ ზამთარისგან. გაძლიერდა ეს ჭირი, რადგანაც ზაფხულში შემობრუნდებოდნენ [თურქები] და იმასვე ჩადიდოდნენ. გატყეურდა ქვეყანა, აღარ იყო მუშაობა, რადგანაც წმინდა [155] ეკლესიებიც პირუტყვებს დარჩათ და არსაიდან იყო მცდელობა, რადგანაც ბერძნებსაც გამოჰლეოდათ ძალა. ამიტომაც გადაწყვიტა გიორგი მეფემ წასვლა სულთანთან, რათა თავი გაეწიროს ერისთვის. და მივიდა ასპანაში. ხოლო სულთანმა ტკბილად მიიღო და დიდი პატივი სცა, რადგანაც იყო სულთანი სიკეთით სრულყოფილი კაცი და ყველას მიმართ უბოროტოდ იყო [განწყობილი]. აუსრულა მეფეს ყველა სათხოვარი, გაათავისუფლა ქვეყნითურთ, დაუბრუნა ჰერეთი და კახეთი და ლაშქარი, რათა შეეერთონ ჰერკახელები. ასევე [მისცა] დიდი საბოძვარი და გამოაგზავნა, მაგრამ ხარკი ითხოვა. მოვიდა მეფე სულთნის ლაშქრით, მოადგა ვეჯინის ციხეს. მაშინ ალყის დროს მოვიდა თოვლი. გაახსენდა მეფეს აჯამეთის ნადირობა, გაუშვა ლაშქარი საბოძვრით და მისცა ივრის პირი სადგომად და თავად მოვიდა აჯამეთში.

ამის მხილველი აღსართანი წავიდა მალიქ-შასთან, უარყო ქრისტე და გახდა სარკინოზი. ამიტომ მასვე დაუბრუნა [სულთანმა] კახეთი და ჰერეთი. მაგრამ აღარ დაცხრა ღვთის რისხვა ჩვენი ცოდვების გამო და აღდგომის დღეს ისე შეიძრა ქვეყანა, დაირღვა კლდეები, ქალაქები, ციხეები, ნაგებობები და მრავალი დაიხოცა ქრისტესით 1088, ქართულით 308 [წელს], რომ არა თქვან, რომ აოხრება ცხოვრების ცვლილებებისგანა და არა ჩვენ ცოდვათა გამო, რადგანაც გაირყვნა ქვეყანა. და იყო ასეთი მინისძვრა ერთი წლის განმავლობაში. შემდეგ გარდაიცვალა მეფე გიორგი ქრისტესით 1089, ქართულით 309 [წელს].

### **[155] 58-ე მეფე დავითი. 41 წელი იმეფა (დავით აღმაშენებელი)**

მეფედ დაჯდა დავითი, გიორგის ძე, 16 წლისა. ხოლო საქართველო მოოხრებულ იყო: მთებში და კლდეებში, გარდა ციხეებისა, არ მოიძებნებოდა კაცი, [156] რადგან წარჩინებულნიც მუდმივად მეფის წინაშე იყვნენ. მეფის სადგომი წალკის თავი იყო. ხოლო ნადირთა სიმრავლე იმდენად დიდი იყო, რომ, როდესაც მეფე ინებებდა ნადირობას ნაჭარმაგევს, ან სხვა ადგილებში, გაგზავნიდნენ მათ დასაფრთხობად მხედრებს და შემდგომ თვითონ [მეფე] ნადირობდა.

ხოლო გავიდა რა ოთხი წელიწადი, მოკვდა სულთანი მელიქ-შა. ისევ გააგრძელა ლიპარიტმა მამაპაპისეულ კვალზე სიარული. მეფემ დაატყვევა იგი, დასაჯა და გაუშვა, მაგრამ კვლავ მიუბრუნდა ძალის თავის ნარწყევს, რადგან, როგორც ძალის კუდი არ გასწორდება, ასევე გული ბაღვაშთა<sup>233</sup> მეფეთა მიმართ. ამიტომ მეფემ კვლავ შეიპყრო იგი და გააგზავნა კოსტანტინეპოლს და იქ გარდაიცვალა. [ხოლო] მისი მამული მეფემ მიიღო. ამასობაში მოსახლეობა მომრავლდა და მეფემ გაამრავლა მხედრობა და აღარ მისცა სპარსელებს ხარკი. ამის შემდეგ გამოჩნდნენ ფრანგები და აიღეს იერუსალიმი, ქორონიკონსა<sup>234</sup> 1101-ს, ქართულით – 321(780+321=1101)-ს.

იმავე ქორონიკონს მეფემ წაართვა ზედაზნის ციხე კვირიკე მეფეს. ხოლო კვირიკე იყო ყოველივე სიკეთით სრულყოფილი და ჭეშმარიტი ქრისტიანი. ერთი წლის შემდეგ კვირიკე მიიცვალა და [მეფემ] დასვეს მისი ძმისწული აღსართანი, კაცი უმსგავსო და აყვია. მაშინ ნახა მეფემ, რომ ღვთის სახლები ავაზაკთა<sup>235</sup> ბუნაგად ქცეულიყვნენ, ხოლო მწყემსები – მგლებად.

ამიტომ [მეფემ] შეკრიბა კათალიკოს-ეპისკოპოსნი და სამღვდლოება თავისი ქვეყნისა და სხვა მხრისანიც, მოინვია კრება<sup>236</sup>, ქორონიკონსა 1103-ს, ქართულით – 323 (780+323=1103)-ს და თვითონაც იქ იჯდა, არა როგორც მეფე, არამედ – როგორც მონა [ღვთისა].

[მათ] განამტკიცეს თორმეტ კრებათა მიერ დამტკიცებული ჭეშმარიტი სარწმუნოება, უღირსნი განკვეთეს და განანესეს საეროდ, ხოლო მათ ნაცვლად ღირსეულნი დაადგინეს ტახტზე.

ამ დროს ჰერეთ-კახეთის წარჩინებულებმა შეიპყრეს აღსართანი და გადმოსცეს დავით მეფეს და მეფემაც თავისუფლად დაიპყრო ჰერეთ-კახეთი. მაგრამ ზოგიერთებმა არ ისურვეს, [157] შეიკრიბნენ და სულთანის მხედრობასთან და განძელ ათაბაგთან ერთად და სხვათა დახმარებით შეეხნენ მეფეს ერწუხს. მაგრამ მცირერიცხოვანი ლაშქრით მეფემ გაანადგურა მათი სიმრავლე თავისი მამაცობით და გოლიათობით (რადგან, როდესაც გაიხადა აბჯარი, დიდძალი შედედებული<sup>237</sup> სისხლი გადმოიღვარა მისი უბიდან, მისი ხმლის ღარიდან ჩეხვის დროს ჩამოდენილი სხვისი სისხლი, რაც ჩვენ მისი საკუთარი გვეგონა). მაშინ უფრო ადვილად დაიპყრო [მეფემ] ჰერ-კახნი, მაგრამ ამ ხანებში თბილისი, რუსთავი, სომხითი, სამშვილდე და ყოველი მინა-წყალი ეპყრათ თურქებს, ხოლო თრიალეთს ფლობდა ჭყონდიდელის დისწული თეოდორე. მაგრამ როდესაც

მეფე გადავიდა იმერეთს, ცოტა შიში ჰქონდათ მეციხოვნეებს. როცა მეფე იყო აფხაზეთს, შეიკრიბნენ გიორგი ჭყონდიდელთან თეოდორე აბულელი და იოვანე ორბელი და მოხერხებით მალულად აიღეს სამშვილდე და ძერანა, ქორონიკონსა 1110-ს, ქართულით – 330-ს. მაშინ თურქებმა დატოვეს სხვა ციხეებიც და ღამე გაიპარნენ, ხოლო ჩვენებმა ისინიც დაიპყრეს.

ამ დროს დამკვიდრდნენ თურქები დედაბუდიანად მტკვრისა და იორის პირას დილმიდან განძამდე (რადგან ეს ადგილები არის ზამთარში ბალახიან-ტყიანი და ნადირით სავსე) და ნებივრობდნენ, ხოლო ზაფხულში არარატსა და აბოცს იყვნენ. შემდეგ სულთანის თურქობა თრიალეთს მოვიდა 200 000-იანი ლაშქრის ოდენობით, ქორონიკონსა 1115-ს, ქართულით – 335-ს. შეიტყო ნაჭარმაგვეს მყოფმა მეფემ, 1500 ტაძრეული<sup>238</sup> ლაშქრით შეეგება მათ და პირველსავე ბრძოლაში უკუიქცნენ თურქები, მაგრამ მეფე და ერი, რომელთაც თავიდან ვერ ირწმუნეს მათი გაქცევა, არ დადევნებიათ დროულად, ხოლო, როდესაც სინამდვილე შეიტყვეს, დაედევნენ, დაენივნენ, უამრავი მოსპეს და გაჟლიტეს და დიდი ნადავლი მოიპოვეს.

გიორგი ჭყონდიდელმა კვლავ აიღო რუსთავი, რითაც თურქები შეძრწუნებული იყვნენ. მაშინ მეფეც მოიხელთებდა თურქებს, რომლებიც მტკვრისა და იორის ნაპირებზე იყვნენ ჩამოსახლებულნი [158] და თავს ესხმოდა და უმრავლესობას ანადგურებდა არა ერთგვის, არამედ – მრავალჯერ. შემდეგ თურქები ტაოში ჩამოდგნენ, მინდობილნი სიმაგრეებს, ზამთარსა და თოვლს. ხოლო ქუთაისში მყოფმა მეფემ შეიპირა თავისი მხედრობა, მოხერხებულად განვლო ჭოროხის ნაპირი, შეუერთდნენ მას მისი მეომრები და თავს დაესხა ტაოში თურქებს, გაჟლიტა დედანწულიანად ბასიან-კარნიფორამდე, წამოიღო ნადავლი, რომლითაც აავსო ყოველი საქართველო ქორონიკონსა 1116-ს, ქართულით – 335-ს, თებერვალში.

ამავე წელს [მეფემ] შერთო თავის ასული კატა ბერძენთა მეფეს, ხოლო მეორე ასული თამარი გაათხოვა შარვანს (ამ დროს იყვნენ მთარგმნელები: ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენ იყალთოელი და იოანე ტარიჭის ძე).

კვლავ შემოიმტკიცა მეფემ ასამ გრიგოლის ძე და შოთა, ქორონიკონსა 1117-ს, ქართულით – 337-ს, შემდეგ აიღო გიმი. შემდეგ გაგზავნა თავისი ძე დიმიტრი შირვანს, რომელმაც ძლიერი ბრძოლა გამართა და აიღო ქალაძორი და გამარჯვებული დაბრუნდა მამასთან დიდი ნადავლით.

შემდეგ მეფე ლანუხიდან რახის პირას მოვიდა და ზატიკი<sup>239</sup> გადაიხადა ნახიდურს, მაგრამ იქ მოახსენეს ბეშქენ ჯაყელის თურქთაგან მოკვლის ამბავი თრიალეთს. დიდებულები უშლიდნენ ნასვლას, მაგრამ მეფე წავიდა და დაესხა თურქებს რახის პირას, გაჟლიტა მათი სიმრავლე და წამოიყვანა ტყვეები და დიდი ნადავლი.

შემდეგ [მან] აიღო ციხე ლორე და სოფლები („აგარანი“). შემდეგ მოკვდა მელიქ-შას ძე მელიქ-სულთანი და ბერძენთა მეფე ალექსანდრე და ვერ შეიტყვეს ერთმანეთის ამბავი, ქორონიკონსა 1118-ს, ქართულით – 338-ს.

მაშინ დაფიქრდა მეფე, რომ მას არ ეყოფოდა მეომრები ამდენი ციხისა და ქვეყნის დასაპყრობად, გონიერად გადაწყვიტა და წავიდა ოსეთში, რათა ჩამოეყვანა მათი სიმრავლე, რადგან მას ცოლად და საქართველოს დედოფლად მოყვანილი ჰყავდა ყივჩაღთა მეფის ასული [159] გურანდუხტი. მისულ [მეფეს] მიეგება ოსეთის ყველა მეფე. მეფემ აიყვანა მათი მძევლები, [გაამაგრა] კარი დარიალისა, შეაერთა ყივჩაღები და ოსები, წამოიყვანა მათი სიმრავლე, თავისი სიმამრი, ცოლისძმა და შექმნა გზა მშვიდობისა. მაგრამ [მეფის] იქ ყოფნაში გარდაიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, მეფის გამზრდელი. იგლოვეს, ვიდრე არ იშვა ვახტანგი<sup>240</sup> და ამით დამთავრდა გლოვა. ყივჩაღების თითოეულ რაზმს დაუდგინა სპასალარ-მეთაურები და მრავალი მათგანი შემატებოდა ქრისტიანობას. ნამდვილად ცუდად არ იშრომა, რადგან მათი [შემწეობით] მოსრა თურქთა სიმრავლე. მეფეს ჰქონდა ერთი ჩვეულება: გადავიდოდა აფხაზეთს, გამოიტყუებდა თურქებს თავიანთი სადგომებიდან, უეცრად მოვიდოდა და ჟლეტდა მათ. ერთხელ გადავიდა მეფე გეგუთში და იქიდან ხობში. გაიგეს თურქებმა მეფის მოშორებით ყოფნა და ჩამოვიდნენ საზამთროდ სამყოფელად 14 თებერვალს. შეუმჩნევლად გადმოფრინდა<sup>241</sup> მეფე და თავს დაესხა თურქებს. ვინც დროულად შეიტყო, გაიქცა, სხვანი ყველანი გაანადგურა და დაატყვევა, ქორონიკონსა 1120-ს, ქართულით – 340-ს.

ამასთანავე პირმარხვას<sup>242</sup> აიღო ქალაქი ყაბალა და მოვიდა ქართლს ნადავლით სავსე. კვლავ მაისის თვეში დალაშქრა შირვანი, ქურდევანი შიმშატამდე და დაბრუნდა ქართლში. ამავე დროს შეიბნენ შირვან-დარუბანდელნი, მოკლეს აფრიდონ და გაჟლიტეს შირვანელები. ხოლო ნოემბერში მეფე წავიდა აშორანს, თავს დაესხა თურქებს და გაჟლიტა ყველა მათგანი. გზად ჩამოვლო, თავს დაესხა თურქებს სევგე-

ლამენჯში და არავინ დატოვა მათ კარვებში მათზე მოტირალი. იმავე ზამთარში მეფე ჩავიდა ბიჭვინთას, განსაჯა იქაურები, ვინც შესცოდა – დასაჯა და ერთგულებს პატივი მიაგო. გაიგეს თურქებმა მეფის შორს ყოფნა და მოადგნენ მტკვრისა და იორის ნაპირებს. მაშინ გათხარა მეფემ ლიხის მთაზე დადებული სამი მხრის<sup>243</sup> სიმაღლის თოვლი, [160] დაესხა თავს თურქებს და ისე განწყვიტა ისინი, რომ აღარავინ დარჩა მათგან ამბის მომთხრობელი ერთიც კი, ხოლო ლაშქარი აავსო ნადავლით, ქორონიკონსა 1121-ს, ქართულით – 341-ს.

კვლავ გაზაფხულზე, ადიდდა რა მდინარე, კალაპოტში (ანა-დიდებთა) აღარ ეტეოდა. ჩამოდგნენ თურქები ბარდას დაიმედებულნი. მეფემ ალიონზე გასცურა მტკვარი და თავს დაესხა თურქებს, გაჟლიტა, ამონყვიტა ყველანი, დაარბია ბარდა და დაყო იქ ორი დღე. იყო ივნისის თვე და დაბრუნდა შინ გამარჯვებული. ხოლო ამ ჭირში მყოფმა განძელმა, თბილისელმა და ბანელმა თურქებმა შეიღებეს<sup>244</sup> სახე და ხელები, ჩაიცვეს შავები, წავიდნენ და აუწყეს სულთანს. ამის გამო სულთანმა მოიწვია არაბთა მეფე დურბეზი და მან წარმოუვლინა თავისი ძე მელიქი თავის ყოველგვარი ძლევაგამოსილებით. ხოლო სულთანმა დაადგინა მხედარმთავრად იელლუზი, ძე არდუხისა, კაცი ვერაგი. ამას დაუმორჩილა მთელი დამასკოს, ალაბისა და სხვათა ძლიერი თურქობა, განძის ათაბაგი და სომხეთის ამირები. ესენი შეიკრიბნენ და 18 აგვისტოს მოვიდნენ [სიმრავლით], როგორც ზღვის ქვიშა, თრიალეთს, მანგლისს, დიდგორს და თითქმის აღარ ეტეოდნენ ამ ადგილებში.

ხოლო დავით მეფე თავისი ლაშქრით თუ როგორ უშიშრად და გონივრულად და როგორ მშვენიერად შეერკინა და შეიქმნა ბრძოლა, ამას თვით სარკინოზებიც აღიარებდნენ: რომ წმინდა მთავარმონამე გიორგი იბრძოდა მეფის ჯარის წინ, რომელიც იხილა ყველამ ცხადად; რომ გაქცეულები სამი დღის განმავლობაში მოჰყავდათ ძეძვებიდან, [კლდის] ნაპრალებიდან და ტყეებიდან. უნდა გენახათ, როდესაც ჩვენ გლახებს არაბთა და სპარსთა მთავრები მოჰყავდათ დავით მეფის წინაშე. ხოლო ნადავლთა აურაცხელობის შესახებ ვდუმვარ, რადგან გლახებიც კი ოქრო-ვერცხლის გარდა, [161] სხვას არაფერს იღებდნენ, ქორონიკონსა 1126-ს, ქართულით – 343-ს. შემდეგ [დავითმა] აიღო ქალაქი თბილისი, 400 წელი არაბთა ნაქონები და დაუმკვიდრა თავის ძეებს (ვაჟებს), ქორონიკონსა 1125-ს, ქართულით – 345-ს.

## სულთნის მოსვლა

ხოლო ამის შემდეგ მეორე წელს მოვიდა სულთანი შირვანს, შეიპყრო შარვან-შა, აიღო შამახია და შემოუთვალა დავით მეფეს: „შენ ტყვეთა მეფე ხარ, ან გამომიგზავნე საკადრისი ძღვენი, ან გამოდი ჩემ სანახავად“. ამის მსმენელმა მეფემ მოიხმო მხედრობა და იმნამსვე შემოიკრიბა. მარტო ყივჩაღი, ქართველთა გარდა, 50000 იყო, და გაემართნენ სულთნისაკენ. შეიტყო რა სულთანმა მეფის მისვლა და ჯარის სიმრავლე, შეშინდა და გაერიდა შემახიას, სადაც ერთ მხარეს ქალაქის ზღუდით და მეორე მხარეს თხრილით შემოვლებული დადგა შეძრწუნებული. შეიტყო რა დავითმა ეს, აღარ შეებრძოლა, არამედ დავარდა მინაზე და ღმერთს მადლობა შესწირა და იქვე დადგა. ხოლო სულთანი სულთანური სიამაყით ძღვენს კი აღარ ითხოვდა, არამედ ხვეწნით აცნობა დავითს, რომ მისთვის გზა მიეცა და გაეშვა, რადგან ძალიან გაუჭირდა დიდხანს საზრდოს გარეშე ყოფნა. ხოლო ამავე დღეს სულთანთან ერთად მომავალი რანის ათაბაგი მრავალრიცხოვანი ლაშქრით შეეყარა მეფის მცირერიცხოვან მხედრობას. გაჩაღდა ბრძოლა და ჩვენებურებმა მოსპეს მტრის 4000 კაცი, ხოლო შეშინებული და გაქცეული ათაბაგი მივიდა სულთანთან. ამის მხილველი და შეძრწუნებული სულთანი იმავე ღამეს გაიპარა სპარსეთში, ხოლო ძღვევაშემოსილი დავითი დაბრუნდა, ცოტა შეისვენა, ხოლო შემდეგ კვლავ წავიდა შირვანს ივნისში და აიღო გულისტანი, შარვანის სახლი და აავსო ლაშქარი სიკეთით. რთველის დროს გადავიდა გეგუთს და მოანესრიგა იქაური საქმეები. მარტში წამოვიდა და აიღო ქალაქი დმანისი; აპრილში თავს დაესხა ბაბურს<sup>245</sup> დარუბანდს და მოსპო ქურდნი, ლეკები და დარუბანდის ყივჩაღები; აიღო ციხე [162] ღისანნი, ხოზაონდი და მისი მიმდებარე მიწები; მაისში არწივივით ისწრაფა<sup>246</sup> და აიღო სომხეთის ციხეები: გაგი, ტერნაკალი, ქავაზანი, ნორბედი, მანასგომი და ტალინჯაქარი; ივნისში გადავლო ჯავახეთი, კოლა, კანდაფორა, ბასიანი სპერანდე და დაატყვევა, სადაც კი იპოვა თურქობა. იქიდან ჩამოიარა ბუიანთყური, გადანვა ოლთისი და მოვიდა თრიალეთს გამარჯვებული.

20 აგვისტოს, როდესაც მეფე ბოჟანოს იდგა, მოხდა ქალაქ ანისის გადმოცემა. მეფემ სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და თვითონაც გაემართა, რადგან 60000 მხედარი სამეფო კარზე ჰყავდა მუდმივად. ანისს მისულმა სამ დღეში ადვილად აიღო ქალაქი, ციხე და დასახლებანი, შეიპყრო ალფასარიანელები, რომელთაც ანისის ეკლესია მიზგითად<sup>247</sup>

ექციათ და მოსპო (ეკლესია ააშენა ბერძენთა მეფის ასულმა, დედოფალმა კატრონიკემ, რომელიც იქ იყო დასაფლავებული). შემოიკრიბა მეფემ კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და განაახლა კურთხევა. მაშინ მეფემ შესძახა კატრონიკეს საფლავს: „გიხაროდენ დედოფალო, რადგან იხსნა ღმერთმან ეკლესია შენი აგარიანთაგან“, ხოლო საფლავიდან მან უპასუხა: „მადლობა ღმერთსა“. მსმენელნი განცვიფრებულნი იყვნენ, ქორონიკონსა 1129-ს, ხოლო ქართულით – 349-ს. [მეფემ] დატოვა ანისში აზნაურნი, წამოიყვანა ბუღასვარი 8 ძით, რძლებით, მხევლებით და გაგზავნა აფხაზეთს, ხოლო თვითონ მეფე წავიდა შირვანს, აიღო შამახია, ციხე ბივრიტი და მთლიანად შირვანი და დატოვა იქ ჰერეთელნი და კახნი (ჰერ-კახნი), დაუდგინა მათ ზედამხედველად მწიგნობართუხუცესი სვიმონ ჭყონდიდელი, დააწყნარა ქურდნი, ლეკნი, თარასნი და მოვიდა ქართლს. მაშინ მიუჩინა ყივჩაღებს საზამთრო ადგილები და ჩაასახლა ისინი.

[163] ხოლო დავით მეფეს იმიტომ ეწოდა აღმაშენებელი, რომ, როდესაც მეფე გახდა, ეს ქვეყანა იყო სრულიად მოოხრებული; მან აავსო და ააშენა ისე, რომ აღარ ეტეოდა [ქონება]; [იგი] იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მონყალე, სწეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, თავშესაფართა მაშენებელი, სამღვდელოების პატივისმცემელი, საღვთო წერილთა მოყვარე, რადგან ჯორ-აქლემთა შვიდეული და წიგნის მკითხველები ყოველთვის ეზიდებოდნენ წიგნებს, როდესაც მეფე ლაშქრობაში და სანადიროდ მიდიოდა და, როცა დროს იხელთებდა, მისცემდნენ წიგნს, რომელსაც დაენაფებოდა და სანადელს აისრულებდა. ერთი წლის განმავლობაში, სხვა წიგნებთან ერთად, მარტო სამოციქულო 24-ჯერ წაეკითხა. ერთი ამბავი ვთქვათ: ჯერ თბილისი არ ჰქონდა აღებული და ავჭალას დატოვა სამასი მეომარი და თბილისის დასაზვერად თან წაიყვანა 12 მხედარი. მან მხედრები გაგზავნა თბილისიდან ნახირის წამოსაყვანად, ხოლო თვითონ ღვთისმეტყველს კითხულობდა. გაგზავნილ მხედრებს თავს დაესხა 100 თბილისელი [თურქი], დაუხოცეს ცხენები და ქვეითად ებრძოდნენ მტერს. ხოლო მეფეს, რომელიც გართული იყო წიგნის კითხვით, მოესმა ძახილის ხმა, დაკეცა წიგნი და თავს დაადგა ფიცხლად მებრძოლ მეომრებს, შეუტია, დახოცა და აჰკიდა [მათ] თორმეტ ცხენს, დაიფრინა ისინი და მიჰყვნენ ქალაქის კარიბჭემდე. ნახეთ! დავითის მაშინდელი ხმალი იმდენად დაიდვლარჭნა ბრძოლაში, რომ ქარქაში უსარგებლო გამოდგა. აი, სიმამაცე!

ხოლო ჰქონდა ღვთისგან ბოძებული ნიჭი, რომ შეეტყო, ბოროტს თუ კეთილს ამბობდნენ მის შესახებ ლაშქარში, ან სამღვდელთა ნესიერება თუ უნესურობანი.

ამ ხანებში სომხებმა ისურვეს შეერთებოდნენ ქართველთა სარწმუნოებას და შეიკრიბნენ: ქართლის კათალიკოსი იოვანე, ეპისკოპოსნი და მეუდაბნენი და სომხები ყველა თავისიანი და იწყეს ბჭობა [ცისკრიდან] მეცხრე ჟამამდე, რადგან შეტოპავდნენ საკამათო საკითხების მორევში და თავს ძნელად აღწევდნენ მას. [164] როდესაც მეფემ იხილა ყოველივე, რჩევა მისცა მათ და გააჩუმა ისინი, ხოლო ისინი ეტყოდნენ: „მეფეო! გვეგონა, რომ შენ ამათი მოწაფე იყავი, მაგრამ ვხედავთ, რომ შენ ხარ მათი მოძღვარი“.

ღმერთმა ისე განადიდა [დავითი], რომ სულთანი შიშით ძღვენს უკრეფდა, რომ მშვიდობა ყოფილიყო, კეისარი კეთილად მეგობრობდა, არაბნი გააქცია, ისმაიტელნი მოაოხრა, სპარსელები მტვრად აქცია, ხელმწიფენი მონებად დაიყენა, აავსო ქვეყნები და გაამდიდრა ეკლესიები, არა მარტო თავისი, არამედ მრავალი საბერძნეთის ეკლესიამონასტერიც გადაარჩინა და განაშენა.

ზოგნი აბრალებენ მეფეს, რომ ის არ აცლიდა დასვენებას თავის ჯარს, რომ აწინაურებდა მდაბიოებს და ამდაბლებდა დიდებულებს, მაგრამ, რადგან ქართველთა მოდგმა ორგული ბუნებისა არის თავიდანვე თავიანთი ბატონებისა, რადგან, როცა გადიდკაცდებიან, გასუქდებიან და თავისუფლებას იგრძნობენ, იწყებენ ბოროტ ზრახვებს, როგორც მოგვითხრობს ძველი და ახალი მათიანე ქართლისა, ამიტომ დავით მეფე არ აძლევდა თავის მხედრობას დასვენების საშუალებას, ხოლო აღზევება – დამდაბლების შესახებ არ იცი, უგნურო!, რომ ღმერთიც თავის სათნოთა მისცემს უფლობას, ხოლო ურჩებს – ჯოჯოხეთს. მას [დავითს] რომ ასე არ ექნა, რომელსაც არ ჰყავდა ლაშქარი, გარდა აფხაზთა მცირე რაზმისა და ისიც ძალზე დაუძღურებული, უცხენო-უსაჭურვლო და თურქთა ჯარის ძალიან მოშიში, როგორ მოემძღავრებინა დაუძღურებული ქვეყანა და გაემხნევებინა თავისი ლაშქარი? ამიტომ დაუხშო პირი ღმერთზე ბოროტად მზრახველებს.

მეფეს ენება გაზაფხულზე უდიდესი ლაშქრობის მოწყობა, მაგრამ მასაც მოუწია ბუნებისათვის ვალის გადახდა. რამდენ ბრძოლას, განსაცდელს და ჭირსა და ყვიჩაღთაგან ლალატს და სხვათა გადაურჩა, როგორც, მაგალითად, მუხრანს ირემზე ნადირობისას წაექცა ცხენი და სამი დღის

[165] განმავლობაში უსულოდ იდვა მანამ, სანამ არ წამოანთხია ნაკვეთ-ნაკვეთად შედედებული სისხლი და გადარჩა; კვლად ციხესთან მიმდგარი თავის კარვის წინ იდგა პერანგით და სტყორცნეს ციხიდან ისარი, რომელიც განგებით მოხვდა მის ყელზე ჩამოკიდებულ ხატს და უვნებლად გადარჩა ამ [განსაცდელს] და მრავალ სხვას ღვთის მადლით. ხოლო ან გარდაიცვალა დასაბამითგან 5079-ს, ბერძნულით 1130 (6638-5508=1130)-ს, ქორონიკონს – 1130-ს, ქართულით – 350 (350+780=1130)-ს, 24 იანვარს, შაბათ დღეს და იხარებს წმინდა სამების წინაშე, 8 ინდიქტიონს.

### **51-ე მეფე დიმიტრი. 20 წელი იმეფა**

[დავითის შემდეგ] მეფე გახდა მისი ძე დიმიტრი და იმავე წელს მოადგა მეფე დიმიტრი დბანისს და აიღო იგი ციხითურთ და მოაოხრა ყარასუნლულიანნი. ამის შემდეგ სალდუხ ყაენი თავს დაესხა ქალაქ ანისს და ალყა შემოარტყა მას. ამის შემტყობი დიმიტრი მეფე თავს დაესხა [მომხდურს] თავისი მხედრობით და ძლიერი ბრძოლის შემდეგ უკუაქცია სალდუხი და მისი ლაშქარი და უმრავლესი მათგანი მახვილით გაანადგურა, ხელთ იგდო მათი ნადავლი და დაბრუნდა გამარჯვებული. დიმიტრი მეფე ყველაფრით მიემსგავსა თავის მამას და მეფობდა კეთილად. შემდეგ თავისი ძე დავითი დასვა მეფედ და თვითონ მონაზონი გახდა, ქორონიკონსა – 1150-ს, ქართულით – 310-ს.

### **მე 60-ე მეფე დავითი. 6 თვე იმეფა**

ხოლო დიმიტრი მეფის ძემ, დავითმა იმეფა ექვსი თვე თავის ნებაზე და უშფოთველად, ხოლო შემდეგ მოკვდა, ქორონიკონსა 1150-ს, ქართულით – 370-ს. ამავე ქორონიკონს მიიცვალა დიმიტრი, შემონაზონებული მეფეც და მისი და თამარი. თიღვას ეკლესიის აღმაშენებელი, და კატა, მათივე და, ბერძენთა მეფის ცოლი.

### **61-ე მეფე გიორგი. 24 წელი იმეფა**

გამეფდა დავით მეფის ძმა და დიმიტრი მეფის ძე გიორგი (რადგან დავით მეფის ძე დიმიტრი მცირეწლოვანი ყრმა იყო). [166] იყო გიორგი მშვიდი, უხვი, მონყალე, ქერივ-ობოლთა შემბრალებელი, ეკლესიათა მამულებელი, მამაცი, ახოვანი, უბადლო მოისარ-მონადირე. მამამისმა სიცოცხლეშივე მოუყვანა მას ცოლად ოვსთა მეფის ქალიშვილი ბურდუხანი, სახის კეკლუც-მშვენიერებით უჩინებულესი.

ხოლო გიორგიმ დაიმკვიდრა რა თავისი სამეფო სპერის ზღვიდან კასპიის ზღვამდე, შეიარაღდა აგარიანთა (არაბთა) დასახვედრად (მოსვლად). პირველად წყალობა მიაგო ამერ-იმერებს, ზემოთა და ქვემოთა და შემდეგ გაეშურა ქალაქ კათირევანს და მოაოხრა კლდოვანი ხევები და აშორანი, ქალაქი სომხეთის მეფედ წოდებულისა; გაემართა ქალაქისაკენ, რომელიც არარატის ძირში იყო, აიღო ქალაქი ბრძოლით, მოაოხრა, წამოიყვანა ტყვეები და წამოიღო დიდი ნადავლი, რადგან თბილისში ტყვე ერთ დრამად იყიდებოდა. ამის შემდეგ ილხენდა და ნადირობდა, რადგან იყო რჩეული მშვილდოსანი.

შემდეგ გაილაშქრა ანისის კარზე, რადგან იმ დროს იგი შანშე დადიანთან ერთად განდგომილი იყო, მიადგა და ხელთ იგდო ქალაქი შანშე დადიანითურთ, განსაჯა იქაურები და დატოვა იქ იოანე ორბელის ძე და თვითონ თავის სანადირო ადგილებში დაბრუნდა. მის წინააღმდეგ აღდგნენ არაბი მაჰმადიანები და შარიერის სულთანად წოდებული იასი. მან უხმო შამს (დამასკო), ჯაზირას (მესოპოტამია) დიარბექირს გარმიანელ თურქებთან ერთად და დიდთა ამპარიანთა ფაშაბაშთა სპარსელებთან ერთად. ამათ ყველამ ერთად აილესეს კბილები, წარმოემართნენ და მოადგნენ ანისს. გაიგო რა ნაჭარმაგევს მდგომმა მეფე გიორგიმ, იხმო მხედრობის ცალკეული რაზმები, აღარ დაელოდა ლაშქრის იმერთა ლომჭაბუკებს და გამოემართა შირაკისაკენ. იოვანე მწიგნობართუხუცესმა, რომელმაც დაზვერა აგარიანნი, და სუმბატმა, რომელიც სვიმონი გახდა, მოახსენეს მეფეს, რომ საკუთარი მხედრობის [166] სიმცირის გამო არ შეზმოდა ისმაილიტელებს. ამის მსმენელი მეფე გადმოხტა ცხენიდან და ცრემლით ევედრა ღმერთს, შემდეგ ამხედრდა და გაამხნევა თავისი ლაშქარი მხიარული პირით. შემდეგ გაყო ჯარი, სუმბატ ამილახორსა და ბეშქენ სურამელს მისცა სამ-სამი ათასი მხედარი, ხოლო დანარჩენი დაიტოვა და მიმართა მათ: „ჩვენ სამთაგან, რომელიც პირველად დაარტყამს მათ დროშას, ის იქნება გამარჯვებული“. მაშინვე ამხედრდნენ და ეკვეთნენ სამ წყებად.

მაშინ მეფემ საკუთარი მამაცობით შეიყვანა რაზმები და სცა მედროშეს და დასცა დროშითურთ. დროშის დაცემისთანავე ამის მხილველი აგარიანნი წამსვე გარბოდნენ, ხოლო ქართველები ჟღეტდნენ მახვილით და მზის ჩასვლამდე სდევნიდნენ. შემდეგ შემობრუნდნენ აგარიანთა კარვებში, რომლებიც სავსე იყო ოქრო-ვერცხლით, თვალმარგალიტით და ძვირფასი ფარჩა-ქსოვილებით, ლარითა და სხვა მამ-

ინდელ ნადავლს აღარ მოვიხსენიებ. ხოლო მეფე, ღვთისადმი მადლობის შემწირველი და არა თავისი მკლავის მოიმედე, შებრუნდა თავის სახლში. აგარიანთა განადგურების ამბავი გავრცელდა ყველგან და შეიტყვეს ხვარასნისა და ერაყის სულთნებმაც, ბაღდადის ხალიფამ და ვარაგ სპარსეთის ათაბაგმა. ყველა მათგანმა მოუწოდა მთელ ის-მაილთა ცრუსჯულობას, შეიკრიბნენ, წარმოემართნენ და მოადგნენ სომხეთს, აიღეს გაგი და მოაოხრეს მისი საზღვრები.

შეიტყო [ეს] გიორგი მეფემ, შეკრიბა თავისი მხედრობა, იმერ-ამერნი, ზემო-ქვემონი, გამოიყვანა დიდძალი ოსი და გადაიარა ბუბაქარის მთა. გაიგეს რა ისმაიტელ-აგარიანთა მეფის მისვლა, შეძრწუნდნენ და თქვეს: „დღეს არ არის ქვეყანაზე კაცი, რომელიც გიორგი მეფეს შეებას, ამიტომ განვერიდოთ“. მათ ჭურჭელი და ქონება დაყარეს, დაიძრნენ გაგიდან და წავიდნენ. უკუქცეულეებს ეკლესიის წყალთან [გიორგი] მეფის ლაშქარი დაენია და აგარიანთა ნაწილი ჩამოჰყარეს [ცხენებიდან] და დახოცეს. [167] ამის მხილველი მეფე გამოუდგა მათ, მაგრამ დიდებულებმა არ გაუშვეს და ეტყოდნენ: „სულთანნი შენი მოსვლით გაიქცა და შენგან უჯეროა მისი დადევნება, რადგან ღვთის წინაშე ამპარტავნება იქნება“. მეფეს არ უნდოდა, მაგრამ ფრიად მაიძულებლებს უსმინა (თუმცა არ იყო რჩევა, არც საქმე გასაკეთებელი) და მობრუნდა მეფე. ხოლო ისმაიტელები ავიდნენ გელაქუნს და იქიდან მიადგნენ ანისის კარს სულთანნი, ათაბაგი და არაბები. ხოლო ანისს ყველა ძალისხმევით იცავდა თორელი. ხოლო მეფე იდგა ტაშირს და მის წინაშე იდგა სულთნის დესპანი მშვიდობის [ძიებისათვის].

მაშინ [ქართველთა] ლაშქრის მნახველმა დესპანმა შეისხა ფრთები, როგორც ეს ბუ-ყვავის არაკშია, „ქილილა და დამანაში“, მივიდა სულთანთან და ეტყოდა: „აი დრო მეფის ხელში ჩაგდებისათვის და ამის გარეშე ფუჭია თქვენი შრომა“. ისინი მაშინვე წარმოემართნენ და თავს დაესხნენ მძინარე მეფეს, რომ ძლივს მოასწრეს იარაღის ასხმა და ცხენებზე შესხდომა. მეფე არც ცდილობდა გაქცევას და ძლიერად იბრძოდა, ამიტომ ეტყოდნენ დიდებულები: „მეფეო, დრო არის გაქცევისა და არა ბრძოლისა“. აი საკვირველება ღვთისა! რადგან ერთი კაციც კი არ დაკლებიათ, გარდა ჯვარის მტვირთველისა, და ჯვარიც წარმოსვენებული იქნა. ხოლო ისმაიტელთა რა იხილეს ამგვარი უვნებლობა მეფისა, მსწრაფლ უკუიქცნენ ანიდან და წარვიდნენ თავისთვის. შემდეგ მეფემ უბოძა ანი თავის მფლობელს და იყმო იგი. მეფის დის, რუსუ-

დანის შუამდგომლობის შემდეგ, რომელიც სულთნის ცოლ-ყოფილი იყო, იქმნა მშვიდობა ათაბაგისა, სულთნისა და გიორგი მეფისა დროებით.

ამ ხანებში მოივლიდა მეფე აფხაზეთს, ალანთა, გურია-სპერამდე, იმერ-ამერთა, ზემო-ქვემოთა, ზღვად პონტო-კასპამდე და ილხენდა და ნადირობდა და განაგებდა იქაურებს.

[169] შემდეგ კვლავ მოითხოვა მეფის მხედრობამ ლაშქრობა. უსმინა მეფემ და ერთ დღეს გადანყვიტა [და უბრძანა] ტაო-კლარჯ-შავშთა ოლთისის დარბევა; მესხებს და თორელებს – კარისა და აშორანისა; ამირსპასალარს [და] სომხითართა – მტკვრის სამხრეთით განძამდე; ჰერ-კახთა – ალაზნის შესართავიდან შარვანამდე, ხოლო თვითონ მეფემ [ილაშქრა] ამერ-იმერთა [და] გელაქუნ-მასისისა [მომართულებით]. და იყო ეს ლაშქრობა ბრძანებისამებრ საუცხოო და ნაშოვნი ურიცხვი ნადავლით გამარჯვებულები მობრუნდნენ და იმავე წამში მეფე გეგუთში იყო.

ამ დროს მოვიდა ანდრონიკე კომნენოსი, მანოელ კეისრის მამის ძმისწული, სახლეურითურთ, რომელსაც ლხინი გაუმართა მეფემ და მისცა ციხეები და დაბები და დაუდგა ტახტი თავის პირისპირ, თავისი დისწულის, ალსართანის ახლოს, რადგან ესეც დარუბანდელებისაგან გადმოხვეწილი იყო. ამ ხანებში წავიდა მეფე, თან წაიყვანა ანდრონიკე და მივიდნენ დარუბანდის კართან, მოაოხრა მუსკური და შაბრანი, აიღო ქალაქი შაბურანი (რომლის კართან [ბრძოლაში] იხილა მეფემ ანდრონიკეს მამაცობა) და მისცა თავისი მამის დისწულსა ეს ქვეყანა. იქიდან წამოსულმა დაარბია ბასიანი, რაც კაცთაგან გასაკვირველი იყო, და მოვიდა გამარჯვებული. დროდადრო გზავნიდა იგი მხედრობას და [მათ] მიუღწევიათ ნახჭევანამდე, კარ-მასისამდე, ლალუამდე, ბარდაბალყუნამდე და დაბრუნებულან გამარჯვებულნი. ამასობაში გამრავლდა საგანძური და შეინახეს უჯარმის ციხეში.

ამ დროისათვის მოიწიფა დავით მეფის ძე დიმიტრი. თუმცა იყო [იგი] სიკეთით სრულყოფილი, მაგრამ ცუდი საქმე დამართეს მას ზოგიერთებმა, რადგან, როგორც მამამისმან თავისი მამისა განდგომილობისათვის, დახოცა მრავალი დიდებულ-აზნაური და რომელიმე გააძევა, ქორონიკონსა – 1144-ს, ქართულით – 364-ს, ასევე ამანაც იგივე გაუკეთა თავის ბიძას, მოეხმარნენ [მას] ორბელიანები, ტაოელნი, სამცხელები, ჰერ-კახნი და იწყეს ქვეყნის რბევა და მოოხრება.

[170] შეიტყო ეს თბილისში მყოფმა გიორგი მეფემ, შეკრიბა მხედრობა, ეკვეთა დიმიტრის და ღვთის სამართალმა გააქცია დიმიტრი და ლტოლვილი შეეხიზნა ლორეს ციხეს, ხოლო მეფემ წაართვა ყველაფერი, რაც [დიმიტრის] დაეპყრო და დადგა აგარაში. აქ მას შეუერთდნენ სარგის მხარგრძელი თავისი ძმისწულით და საყვარელი ორბელი. დიმიტრიმ კვლავ წარავლინა მეჭურჭლეთუხუცესი და შეკრიბა ლაშქარი: ჰერ-კახნი, ლეკნი და კავკასიელი და გამოემართა მეფის [წინააღმდეგ], მაგრამ ზეგარდმო უზენაესი ძალის კვეთებით მეფის მომხრეებმა გააქციეს ისინიც, მოსპეს, გაჟლიტეს და შეიპყრეს მრავალი დიდებული. შემდეგ [მეფე] აიყარა აგარიდან და მოადგა ლორეს ციხეს. მაშინ წარავლინა დიმიტრიმ სუმბატ ერისთავი ლიპარიტის ძე და ქავთარ იოანეს ძე შაერმანისა და ელდიგუზის ძეებთან, რათა დახმარება მიეღო. ისინი დაპირდნენ დახმარებას, მაგრამ ღმერთმა შეუშალა ხელი, რადგან მეციხოვნეები უძლურნი შეიქმნენ და გაუჭირდათ, ამიტომ დიმიტრიმ მოიბა თოკი, გადმოეშვა ციხიდან და გაეშურა ბიძისაკენ, ამის შემდეგ დანარჩენებიც გამოიყვანეს. მეფემ აიღო ციხე და დაისაკუთრა, ხოლო ორბელები გაჟლიტა და დანარჩენი დამნაშავეები გააძევა სხვა ქვეყნებში. დიმიტრი შეამწყვდიეს ციხეში (შემდეგ ამოუწვეს თვალები, მოკვდა და დაასაფლავეს მცხეთაში). ხოლო მეფე მოვიდა ნაჭარმაგვეს.

ამის შემდეგ განეზრახა დედოფალს, რომ თავისი ასული თამარი მეფედ დაესვა. მოიყვანა კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და ყველა დიდბულის სურვილით დასვეს თამარი მეფედ, ქორონიკონსა – 1171-ს, ქართულით – 391-ს, სამეფო ფიცით და აღთქმით აკურთხეს და ამის გამო იყო ზეიმი, ლხინი და სიხარული დიდი.

ერთი წლის შემდეგ მოკვდა დედოფალი, დედა თამარისა, ხოლო ერთი წლის შემდეგ აიხსნა გლოვა. მეფობდა გიორგი კეთილად, რადგან რომაელთა და ბერძენთა მეფენი მეგობრობდნენ [მასთან], ხოლო სპარსნი და არაბნი ძღვენს უძღვნიდნენ და ძრწოდნენ. თუმცა მოკლედ თქვა მისი ქება აღმწერელმა, წმინდა გიორგისთან შედარებით: თუ მან ერთი ვეშაპი მოკლა, ამან ვეშაპთა უბოროტესი რამდენი წარმართი მოსპო? მაგრამ შემდეგ ამ სანუთროს ზეციური არჩია [171] და გარდაიცვალა მსგეფსსა ვნებისასა, წელსა ქორონიკონსა – 1184, ქართულით – 394 (780+394=1184)-ს. მას გლოვობდნენ კათალიკოსი მიქელი, ეპისკოპოსნი და დიდებულნი ყოველნი.

## 62-ე მეფე თამარი. 27 წელი იმეფა

დაჯდა მეფედ გიორგის ასული თამარი. ხოლო, როდესაც დამთავრდა გლოვის დრო, შეიკრიბნენ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი, დიდებულნი და აკურთხეს თამარი მეფედ. მან მისცა საუნჯე ღარიბებს და დავრდომილებს და კვლავ აავსო ლაშქარი საჩუქრებით. ხოლო ყუთლულ-არსლანმა წაართვა სპასალარობა ყუბასარს, რომელიც მეფეთაგან ძალიან განდიდებული იყო, და ავადმყოფობდა ფილენჯისაგან კიდურების წართმევით. ამას ამბობდა [ყუთლულ-არსლანი] და სხვა ნაკლსაც, აგრეთვე იმასაც, რომ იგი მდაბიო წარმოშობისა იყო. თვითონ უნდოდა ამ საქმეს გასძლოლოდა და შემდეგ თამარისთვის მოეხსენებინა, რომ თამარს ნებაავს თუ არა დაამტკიცოს იგი [სპასალარად]. თამარმა არ მოიწონა ეს [საქციელი] და შეიპყრო ყუთლულ-არსლანი და არაფერი ავნო მის მიერ დასმენილებს. ამიტომ მას განუდგნენ ყუთლულ-არსლანის მომხრეები და სხვა დიდებულებიც, თამარისაგან ჩამოქვეითებულნი. მაგრამ თამარმა თავისი სიბრძნით დაამშვიდა და დაიმორჩილა ყველანი. როგორც კი კახაბერის ძეებმა მოკლეს ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა, თამარმა ისინი შეიპყრო და შეამწყვდია ციხეში, შემდეგ წარგზავნა მაკედონიას და იქ დაიხოცნენ ბრძოლაში.

ამის შემდგომად [თამარმა] მოიწვია კრება და ყველა შეცდომა გაასწორეს და მართლმადიდებლობა დაამტკიცეს. ხოლო მოკვდა ყუბასარ სპასალარი და [სპასალარობა] მისცეს სარგის მხარგრძელს.

[172] თამარის მეფობის დასაწყისში ხელისუფალნი ესენი იყვნენ: სპასალარი<sup>248</sup> – სარგის მხარგრძელი, მანდატურთუხუცესი<sup>249</sup> – ჭიაბერი, მეჭურჭლეთუხუცესი<sup>250</sup> – კახაბერ ვარდანის ძე, მსახურთუხუცესი – ვარდან დიდი, ჩუნჩერახი<sup>251</sup> – მარუშის ძე, ამილახორი<sup>252</sup> – თორელი გამრეკელი, ხოლო ერისთავები ესენი: ბარამ ვარდანის ძე – სვანთა; კახაბერ კახაბერის ძე – რაჭისა; დაღათო შარვაშის ძე – აფხაზთა; ამუნელისძე – ცხომისა; ბედიელი – ოდიშისა; ლიხთიმერ-ამერთა – რატი სურამელი; ბაკურ ძაგანის ძე – კახეთისა; გრიგოლ ასანის ძე – ჰერეთისა; ბოცო ჯაყელი – სამცხისა და სპასალარი იქაურ და სხვა ერისთავთა.

მთელი წლის განმავლობაში იყო ლხინი, სიმყუდროვე და არავინ იყო წინააღმდეგი. შეიკრიბნენ სამღვდელონი და დიდებულნი და მოახსენებდნენ, რომ თამარმა იქორწინოს, ხოლო მეფეს არ ნებავდა, რადგან არც არავინ იყო მისი შესაფერისი, თუ არა ალექსი, ნათესავი მანუილ

კეისრისა (რომელიც აქ იმყოფებოდა), – მას ასახელებდნენ, მაგრამ თამარი უბრძანებდა დაცდას. თამარი იყო მშვენიერებით ფრიად ზემადღებულნი და საღვთო ღვანლით წარმატებული, რადგან გარდა ლოცვა-მონყალებისა, საკუთარი ხელითაც შრომობდა. [თამარმა] იხილა სიზმარი – სახლი მშვენიერი და ტახტი შემკული, წავიდა, რომ ტახტზე დამჯდარიყო, მაგრამ შეაჩერეს მსახურებმა. თამარი ეტყოდა მათ: „მე ვარ მეფე, თუ ჩემთვის არ შეიძლება, ვისი არის ტახტი?“ მათ უთხრეს: „შენი ოჯახის წევრისა, რომელმაც 12 მღვდელის წირვისათვის შესამოსელი მოუქსოვა საკუთარი თითებით დართული მატყლისაგან“. გაიღვიძა თამარმა და მოიხმო ოჯახის წერი, რომელმაც დაადასტურა ამ ამბის სინამდვილე. მაშინ თამარმა დაიწყო რთვა [173] და ასევე შემოსა მღვდელნი. ასე იცნობება სათნოება!

ხოლო შეწუხებულ დიდებულებს, რომელთაც ვერ შეუერთეს თამარს საქმრო, წარმოუდგათ თბილისელი ვაჭარი და უთხრა: „მე ვიცი თამარის შესაფერისი საქმრო, რომელიც ყივჩაღეთის ქალაქ სვიაჯაში ცხოვრობს, ძე რუსთა მეფისა, ბიძის ვსევოლოდის მიერ გამოძევებული, როცა ის მცირეწლოვანი იყო, ხოლო ახლა ასაკით სრულყოფილია“. ამის მსმენელებმა სასწრაფოდ გაგზავნეს ეს ვაჭარი და მოიყვანეს იგი. ხოლო იგი იყო შესახედავად მშვენიერი და ახოვანი. იგი ყველას მოეწონა და მოუნოდეს თამარს, ექორწინა, მაგრამ თამარი ამბობდა: „თუ მშვენიერია, ვნახოთ [მისი] შინაგანი მშვენიერებაც“. ხოლო ისინი იმიზეზებდნენ მის უძეობას და ითხოვდნენ მხედრობის წინამძღოლს და აიძულებდნენ ქორწინებას, მაგრამ თამარი ვერ დაითანხმეს. შემდეგ დაიხმარეს რუსუდან დედოფალი, თამარის მამიდა და გამზრდელი, და მას უსმინა თამარმა და გადაიხადეს მათი შესაფერისი ქორწილი, ქორონიკონსა – 1177-ს, ქართულით – 397-ს.

მაშინ იწინამძღვრეს რუსთა მეფე, უფრო კი საქართველოსი, გაილაშქრეს კარისა და კარნიფორიის ქვეყნებზე, დაარბიეს და მოვიდნენ გამარჯვებულნი. მაგრამ ამაზე ადრე მოვიდნენ გელაქუნის თურქები და დაარბიეს პალაკაციოსი, ძალისხევად წოდებული. მათ დაენია გამრეკელი კახას ძე მცირე ჯარით, დახოცა და მოუტანა მეფეს საჩუქარი.

ამ ხანებში მოვიდნენ კარნუქალაქელნი, შამელი თურქ-გარმიანელნი ცხენოსან-ქვეითიანი და აიღეს შავშ-კლარჯეთი. გუზან ტაოელმა შეკრიბა თავისი ქვეყნის ლაშქარი, მას შეუერთდნენ მესხებიც, ისინი

მარბიელ-მოთარეშეებს შეეხებენ, მისვლისთანავე გააქციეს, დახოცეს და მიიტანეს ნადავლი მეფესთან. შემდეგ წავიდა სარგის მხარგრძელის ძე და ილაშქრა [174] დვინზე, მოაოხრა და წამოვიდა ნადავლით. მას დაენია დვინელთა და სურმანელთა ლაშქარი, ესენი მობრუნდნენ და გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა, ისინიც გააქციეს, დახოცეს და მობრუნდნენ გამარჯვებულნი.

კვლავ ლაშქრობდნენ ქვემონი – ქვემოთ და ზემონი – ზემოთ და შუანი – შუათ და ისე ვერავინ ეწინააღმდეგებოდა მათ, რომ არ ეძლიათ ქართველებს.

ამის შემდგომ მეფემ შეკრიბა ლაშქარი და გაემართა დვინს, მოაოხრა პართთა ქვეყანა, დაიპყრო ქალაქები და წამოიღეს დიდი სიმდიდრე და მოვიდნენ წინაშე თამარისა. ხოლო დროდადრო მოივლიდნენ თავის ქვეყანას, იმერ-ამერთა, ზემო-ქვემოთა, ნადირობდნენ და ილხენდნენ.

ამის შემდგომ შეკრიბა მეფემ ლაშქარი და გაემართა გელაქუნს მრავალრიცხოვანი თურქების [წინააღმდეგ], დახოცეს თურქობა და წამოიღეს დიდი ნადავლი. მაგრამ მათ დაენიათ შამელთა მთელი თურქობა როსტომისა და იალღუზ-ალფესის [წინამძღოლობით]. მიბრუნდნენ ქართველები და იბრძოლეს ძლიერად, გააქციეს და დახოცეს მრავალი და დაბრუნდნენ თამარის წინაშე მხიარულნი. შემდეგ გრიგოლ ასათის ძემ მოუწოდა და ვარდან დიდმან, ოთხივე მხარგრძელმა და დიდებულ-აზნაურებმა ლაშქრობა გამართეს განძაზე, ქვემო ბალღუნდს რახსის პირას ზემო მასისამდე და დიდად გამარჯვებულნი და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ.

ეს ყველაფერი ასე! მაგრამ არა დიდი ხნის შემდეგ მოიტანა შედეგი თამარის უარმა, რადგან დაიწყო რუსმა სილოდა<sup>253</sup> და მრავალი უგვანო საქციელი, მამათმავლობაც კი. ამას ითმენდა თამარი ორ-ნახევარი წლის განმავლობაში, ცდილობდა ჩამოეცილებინა რუსი უგვანო საქმეებს, მაგრამ მისი ბოროტი საქმეები გაცხადდა თამარის გარეშე. შეიტყვეს [ეს] სამღვდელოებამ და დიდებულებმა, შეწუხდნენ და შერცხვათ თამარის. [175] თამარი პირდებოდა მათ, რომ ასწავლიდა და უსჯულოებისაგან განარიდებდა, მაგრამ რუსმა არ ინდომა და იყო უკუურნებელი. შემდეგ თამარმა მოიწვია კათალიკოსი, ეპისკოპოსები, დიდებულები და ეტყოდა რუსს მათ წინაშე: „თუ გვიბრძანებთ, რომ არ გავშორდე მეუღლეს, მაშინ ნაბრძანები არის, რომ არ შეიგინოს ხორცის ტაძარი, და როცა გავიგე ეს, აღარ შემიგინებია ტაძარი მაგისაგან, მაგრამ თუ განუდგე-

ბა უსჯულოებას, ვიქნები მასთან, ხოლო თუ არა, აი ფეხის მტვერით მოვიცილო ის“ და წავიდა თამარი. ხოლო რუსმა, რამდენიც არ შეაგონეს მას, არ ინება უგუნურებისაგან ჩამოშორება, არამედ ვერ შეიშნო თამარის მშვენიერება და გააძევეს იგი, მიუსაჯეს სიკვდილი, ქორონიკონსა – 1180-ს, ქართულით – 400-ს, მაგრამ თამარმა შეინყალა, მისცა მრავალი ოქრო, ჩასვეს ნავში, გაუშვეს და ჩავიდა კოსტანტინეპოლს.

ამის შემდეგ კიდევ უფრო წარმატებული იყო ზეგარდმო ძალით თამარის საქმენი. მას საჩუქრებს უგზავნიდნენ აღმოსავლეთ-დასავლეთის მეფენი და მრავალი ეტრფოდა: მოვიდნენ ოსთა მეფენი, ორი ძმა, მშვენიერებითა და ახოვნობით გამოჩენილნი, ჭაბუკობის იმედით და ბედის მცდელნი, თუ ინებებს თამარი და ღირსად ცნობს, არამედ ფუჭი შეიქმნა მათი წადილი და წავიდნენ. ერთი მათგანი მოუთმენელი სურვილის სენით მოკვდა ნიქოზს და დაასაფლავეს იქ ეკლესიაში. ასევე, თვით ევმანოილ კეისრის ძე, ანდრონიკეს რომ არ მოეკლა. ასევე ასურასტანისა, შუამდინარეთისა, ანტიოქიის მეფეთა ძენი და სულთან ყაინდინის ძე, რომელიც მამამ შეიპყრო სჯულის უარყოფისათვის. ასევე სადლუხის ძის ძე მუტაფრადინი – მშობლების ურჩი და მაჰმადის სჯულის სიტკბოს დამტოვებელი, მოვიდა დიდის-დიდებითა მოტრფიალედ თამარისა. [176] [თამარი] გაუმასპინძლდა და შესაფერისი პატივი მიაგო. შემდეგ მტირალმა, რომ ის არ იყო თამარის ღირსი, შეერთო მეფის ხარჭისაგან ნაშობი [ქალი], გადაუხადეს ქორწილი და დიდი საჩუქრებით გაისტუმრეს. ამის შემდეგ მოვიდა დარბაზობაზე მოტრფიალე შარვანელი აღსართანი (რომელიც ენათესავებოდა თამარს დავითის შთამომავლობით) და აპირებდა თავის სჯულის დატოვებას, თუკი ეწეოდა თავის სურვილს, მაგრამ ფუჭი გამოდგა მისი სურვილი, რადგან ურჩიეს არ გაემჟღავნებინა თავისი სურვილი და წავიდა [ისიც] მწუხარე, დიდი საჩუქრებით.

ხოლო აქედან იწყება თამარის საქმენი, რადგან, როგორც ლომი თათებით, ასევე თამარი საქმეებით იცნობა, რომელმაც შემუსრა და მოხარკედ აქცია გარეშემო მეფენი. მაგრამ მისი წარჩინებულები წუხდნენ მის უძეობას. მაშინ იპოვეს ჭაბუკი ეფრემის ძეთაგან ოსთა მეფისა, რომელიც აღეზარდა რუსუდანს – თამარის მამიდას. ეს დავითი იყო გიორგი მეფის ძის დიმიტრისაგან, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, რომ დიმიტრის აფხაზეთის ანაკოფიაში დარჩა ძე, რომელიც ბებიასთან ერთად გაეხიზნა ოსეთს. აქ მან იქორწინა ოსთა მეფის ასულზე

და მისი ძე, ოსეთს მყოფი მამულობით, იწოდა ოსთა მეფედ და ძის ძის ძე დიმიტრისა და ამ დავითის მამა შერთეს რუსუდანს, რომელმაც შეიყვარა ქალწულობა ოთხმოცი წლის განმავლობაში. ეს ნუ გიკვირთ, რადგან ეს ორი რუსუდანი დანი იყვნენ: თამარის გამზრდელი ხვარანსის სულთნის ცოლი იყო, ხოლო მისი და, ასევე რუსუდანი, რომელმაც ქალწულობა შეიყვარა, ოსთა მეფის რძალი იყო. ორივე და იმყოფებოდა თავის სახლებში, ხოლო მის ქმარს სხვა ცოლთან ჰყავდა ძე დავითი, რომელიც წამოიყვანა რუსუდანმა და აღზარდა თავის ძედ. იგი ენათესავებოდა თამარს დედის მხრიდან, რადგან თამარის დედა ოსთა მეფის ასული და დედით მესამე ნათესავი იყო, ხოლო დიმიტრის მხრიდან – მეხუთე. [დავითი] იყო წარმოსადეგი მშვენიერებითა და ახოვნებით, სრულყოფილი საღვთო და სამხედრო [საქმიანობით]. გადანყვიტეს, რომ იგი თამარისათვის შეერთოთ [177] და გაუბედეს რუსუდანს, ხოლო მას [ნამდვილად] მოეწონა და მოახსენეს თამარს: „რომ ღვთის მოსაწონი არ ყოფილიყო, არც ასე მოხდებოდა, რადგან რამდენი [შენზე] მოტრფიალე მოვიდა და არ ინება ღმერთმა.“ ყველაფერი ამის შემტყობმა თამარმა დასტური მისცა და გამართეს დიდუბის სახლში ქორწილი დიდი დიდებულებით, შემდეგ შემოვიდნენ თბილისში და დასხდნენ ტახტზე, ქორონიკონსა – 1181-ს, ქართულით – 401-ს.

ამის შემდეგ მოკვდა კათალიკოსი ქართლისა და ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი მიქელი. დასვეს კათალიკოსად თეოდორე და ჭყონდიდელად ანტონი, რომლისთვისაც მიქელს წაერთმია ჭყონდიდელ-მწიგნობრობა. ეს იყო გარეჯელი, თუმცა ანტონის ქებას არ მოვიხსენიებ, რადგან ეკლესია-მონასტრებზე განუელი ღვანლი ამას მოწმობს.

შემდეგ მოიწია რუსი კარნუ ქალაქს. პირველად შეუერთდა მას კლარჯთა ერისთავი, მერე მესხნი და ლიხთ-იმერნი. მოიყვანეს და დასვეს ქუთაისში. აი, საკვირველება! ვინც კი თამარმა დაანინაურა, მათ ჩაიდინეს ეს. შეიტყო რა თამარმა, იხმო ქართველები: ქართლელეზი, ჰერ-კახელნი, სომხითანნი და მიიღო მათგან მტკიცე ფიცი, რომ არ შეუერთდებოდნენ მათ. კათალიკოსი აფხაზთა და ქუთათელი არ შეუერთდნენ ბოროტ განზრახვას და თამარის წინაშე იყვნენ. წარავლინა ისინი თამარმა და გააფრთხილა, რომ მათ ხელი აეღოთ ბოროტ განზრახვაზე. მაგრამ მათ არ ისმინეს და გადმოვიდნენ, მოაოხრეს ნაჭარმაგევი გორამდე, ხოლო დადიან-ბედიელმა გაიარა რკინის ჯვარი და [178] გადაწვა ოძრხე. [მათ] უნდოდათ, აეღოთ ჯავახეთი,

თრიალეთი, სომხითი და თამართან მოსვლა. მაშინ თამარმა უბრძანა ამირსპასალარ გამრეკელ-თორელს და თავის მხედრობას შეყრილიყვნენ ჯავახეთში და გაამხნევა ისინი ღმერთისადმი შევედრებით.

თამარი წარემართა და მიეგებნენ ისინი ორივე კრებულს მტკვარზე და მათ შეუერთდნენ მესხნი, ვინც თამარის ერთგულნი იყვნენ. შეიბნენ ხიდზე, მაგრამ მათ შუა წყალმა და დაღამებამ გაყარა ისინი. მაგრამ, როცა დაინახეს თამარის მხედრობის მამაცობა [სიმხნევე=მომჭირნეობა], მიბრუნდნენ სიმაგრეებისაკენ, თუმცა მათ არ აცადეს და მიეტევნენ ზეციური განგებით, მაგრამ გაცდნენ რა ხიდს, ველარ დაუდგნენ და მივიდნენ ხინგისის მდინარესთან, ერუშეთსა და თმოგვს შორის. მიედევნენ და იქ გაჩაღდა ბრძოლა, როგორც შეეფერებოდა იმერთ-ამერთა ჭაბუკობას. როგორც ძველმა გოლიათებმა, სძლია თამარის მხედრობამ და მოსპეს და დაატყვევეს მრავალნი. მაგრამ იხილეთ ღვთის შეწევნა! რადგან არც ერთი კაცი არ დაკლებია თამარის ლაშქარს, მხოლოდ დაიჭრა სარგისის ძე იოვანე და აღარ დაედევნენ, რათა არაფერი დაკლებოდა თამარის ბრწყინვალეობას და მიბრუნდნენ მხიარულნი თამარის წინაშე.

ხოლო გაიგეს ეს ჭიაბერმა, ჰერ-კახთა დიდებულებმა და ქართლში მაცხოვრებელმა ყივჩაღ-ოსებმა, რომლებსაც უნდოდათ თამარზე თავდასხმა, ხოლო ამის გამო ველარა გაბედეს, ითხოვეს მოწინააღმდეგეებზე გაელაშქრათ და თამარმაც ნება დართო. ამის შემდეგ უბოძა თავის მხედრობას ურიცხვი საჩუქარი და ღირსეულთ – ქალაქები და ციხეები.

შემდეგ განდგომილნიც მოვიდნენ თამარის წინაშე: ზოგი ყელზე თოკობამულნი, ზოგი მხრებშეკრულნი, ზოგი ბიძა-ძმათა მკვლელი განდგომილების დროს, შენდობას ითხოვდნენ და ფიცს დებდნენ რუსუდანის შუამდგომლობით. თამარმაც შენდობა მისცა მათ და ნაჭარმაგევს მდგომმა მიიღო მათი თაყვანისცემა, ხოლო რუსი კვლავ გაუშვეს.

[179] ამის შემდგომ კვლავ იყო ლხინი, განცხრომა და სიმშვიდე და თუ სადმე ილაშქრებდა დავითი, ყველგან იმარჯვებდა.

მოკვდა ამირსპასალარი გამრეკელი და უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარია მხარგრძელს. ამ დროს აჯანყდა გუზანი, მიიტაცა ტაო, კარი, ვაშლოვანი, მრავალი ციხე და წავიდა შაერმანის ქვეყნად. ამის შემტყობმა თამარმა გაგზავნა სარგის თმოგველი, კახა სამძივარი და აზნ-

აურნი. მისულებს შეეგება ზაქარია ფანასკერტელი და კალმახელიძე, ხოლო გუზანის ლაშქარი მისული იყო მისი ცოლ-შვილის წასაყვანად და ციხის ასაღებად. თუმცა თამარის [გაგზავნილნი] მცირერიცხოვანნი იყვნენ, ხოლო მოწინააღმდეგე 12 დროშოსანნი, მაგრამ თამარის ბედის [იმედით] არ მოერიდნენ და სწრაფად შეუტიეს, მრავალი მოსპეს, გააქციეს და ხელში ჩაიგდეს გუზანის ცოლ-შვილი, ყველა ციხეც დაიპყრეს, კვლავ დაუმტკიცეს სამეფოსავე და მოვიდნენ თამარის წინაშე.

ღვთის ამ წყალობის გამო ილხენდნენ, მაგრამ ნუხდნენ თამარის უნაყოფობას, თუმცა ღმერთმა მოიღო წყალობა, დაორსულდა და შვა ძე – გიორგი, ქორონიკონსა – 1183, ქართულით – 403-ს და მიუმატეს სახელი „ლაშა“ (რომელიც განმანათლებელს ნიშნავს). ღმერთს მიაგეს მადლობა და შეიქმნა გამოუთქმელი სიხარული. ერთი წლის შემდეგ მან შვა ასული რუსუდანი. მაშინ ლაშას ბედის სახელზე გაილაშქრეს პირველად ქალაქ ბარდაზე, მოსპეს რანი. აიღეს ბარდა, აივსნენ ტყვეებითა და სიმდიდრით, თუმცა გაანთავისუფლეს 30 000 ტყვე თამარისა და ლაშას დღეგრძელობისათვის. იქიდან დაბრუნებულებმა სასწრაფოდ გაილაშქრეს არზრუმში, კარნუ ქალაქზე. იქ გაიმართა მრავალი ბრძოლა, ხოლო მათი დამხმარეები იყვნენ სურმანელი, კარელი, სპერელი და ნასრედინ სალდუხის ძე თავისი ორი ძმითურთ. გაჩაღდა ბრძოლა ცისკრიდან დაბინდებამდე, [180] სძლიეს ჩვენებმა და წამოიღეს უამრავი ნადავლი. ქალაქის მკვიდრნი კბილების ღრჭენით ამბობდნენ: „როგორ დავმარცხდით ქრისტიანთაგან, მაჰმადი ხომ დაგვიპირდა ხმალს“. განთიადზე კვლავ გამოვიდნენ ბუკის ცემით და მოისარ-მოშურდულენი ქალაქის გალავანთან დადგნენ. ამის მხილველი მეფე დავითი შეება თავისი ლაშქრით, პირველივე შეტევისას სძლიეს და გააქციეს, ისინი მიაწყდნენ ქალაქის კარიბჭეს და გასრისეს თავიანთი ფეხებით ურიცხვი თავისიანი და დასცინოდნენ მაჰმადს, რომელმაც ალუთქვა მათ, შემდეგ მობრუნდნენ და მოვიდნენ გამარჯვებულნი დიდი ნადავლით თამარის წინაშე. კვლავ შეიკრიბნენ და გავიდნენ გელაქუნს, ჩავლეს ხაჩინი, ჩავიდნენ ყარაყურუმს და მიაღწიეს ბალყუნამდე, დაარბიეს და მოაოხრეს, შემდეგ მობრუნდნენ, დალაშქრეს განძის კარი, იქაც ძლიერი ბრძოლა გამართეს, გააქციეს და გაჟლიტეს. ყარაყურიდან შანქორამდე ექვსი დღის განმავლობაში იყო უწყვეტელი ბრძოლები. ისინიც ყოველთვის იმარჯვებდნენ და ბრუნ-

დებოდნენ გამარჯვებულნი მეფის წინაშე. კვლავ წავიდა ორი ძმა, სარგისის ძენი, ზაქარია და იოვანე, რახსის ნაპირების დასარბევად, მაგრამ აქ მოსულნი იყვნენ დვინელთა, ბიჯნელთა და ამბერდელთა ლაშქარი, ყაჩაღები ქარავანთა სათვალთვალოდ. ამათ შეხვდნენ შუა გზაზე ესენი და ეკვეთნენ ფიცხლად, თუმცა თამარის მცირერიცხოვანმა მხედრობამ განდევნა და დახოცა და ნადავლით სავსე მოვიდა ღვთივდაცულ თამართან. შემდეგ გაუბედა დავითს კაენის ციხის მფლობელმა, რომ მას დაერბია გელაქუნი, სპარსი ბაზირი და გორალაუქი. [ქართველებმა] გაიგეს ეს და მაშინვე მოვიდნენ, დახოცეს და აიყვანეს ტყვეები, მოიხვეჭეს ურიცხვი ქონება და სადაც [მტრის] ლაშქარს გადაეყრებოდნენ, ჟღეტდნენ. საკვირველი იყო, რომ სულთნის მოედანზე იწყეს ასპარეზობა და იქიდან დაბრუნებულნი მოვიდნენ თამარის წინაშე. შემდეგ გაძევებული რუსი კოსტანტინეპოლიდან მოვიდა [181] სპარსეთის ათაბაგის თანხლებით და მისგან მიიღო [სამკვიდრებლად] რანის ქვეყანა, შეკრიბა იქ ლაშქარი, მოვიდა და დაარბია კამბეჩოვანის მინდორი და იშოვნა დიდი ნადავლი. მაშინ ხორნაბუჯელმა საღირმახატლის ძემ თავისი სამი ვაჟიშვილით განირა თავი, დაენია მცირე ჯარით, განდევნა და გაანადგურა მახვილით, დაიბრუნა ყველა ტყვე და ნადავლი, ხოლო საძაგელი რუსი გარბოდა ორ მონასთან ერთად.

ხოლო ამ საქმეებზე უფრო განსაცვიფრებელი იყო ეს: შარვანშას ოდესღაც ლომის ბოკვერი გამოუგზავნია და გაიზარდა იგი ისე დიდი, რომ ველურიც კი არ უნახავს ვინმეს ასეთი დიდი. ლომი, როდესაც თამარს ნახავდა, იწყებდა ტირილს და ისეთი მშვიდი ხდებოდა, როგორც კატა, მივიდოდა, თავს უბეში ჩაუდებდა და ლოკავდა, ხოლო, როდესაც მოაშორებდნენ, კვლავ ტირილს იწყებდა. ამის მხედველნი და მსმენელნი უფრო ძრწოდნენ ასეთი მხეცის მოთვინიერების გამო.

ამ ხანებში მოკლეს ყიზილ-არსლან ათაბაგი და დარჩა რაინდს სამი ძე. მათ განუყო ქვეყანა: უფროსს, სუტლუ ინანჩის მისცა ერაცი, ხვარასანი და ბაბილონი; ბუბაქარს – ადრაბაგანი და სომხითი; ამირმირს – გურგენის ზღვიდან გელაქუნამდე. მაგრამ საშუალომ, ამირბუბაქარმა სძლია და დაჯდა სულთნად. ამირ-მირანი შეესია შირვანს, შეიბნენ და სძლია მანვე. ხოლო ისინი იძულებული გახდნენ და გადამყვიტეს თხოვნით თამართან მისვლა.

ამ დროს მოხდა დიდი მიწისძვრა, დაიქცა ქალაქი შამახია, ამოწყდა მასში ყველა მცხოვრებელი და შარვანის ცოლ-შვილიც. მათ გამოგზა-

ვნეს დესპანი და ითხოვეს თამარის ასული და შველა მტერთან [ბრძოლაში]. მაგრამ თამარმა არ იკადრა სასიძო, თუმცა მისცა დახმარების პირობა, მოიწვია თავისთან და მოუწოდა თავის მხედრობას. შემოკრებილმა ლაშქარმა აავსო ოთხივე მდინარის [ნაპირები]: მტკვარი, ალგეთი, ქცია და ბერდუჯი. შემდეგ მოვიდნენ [182] ამირ-მირანი და აღსართან შარვანი. მათ თავყვანი სცეს თამარს: პირველად აღსართანმა, რომელიც აგარას იდგა, როგორც შინაური, ხოლო მერე ამირ-მირმა. მათ მიაგეს შესაფერისი პატივი, მოუმზადეს პურ-[მარილი], ინადიმეს, უბოძეს ურიცხვი [საჩუქარი] და დაასკვნეს, დაებინავებინათ ისინი შუელის პირზე და იქ იარაღდებოდნენ.

ამავე დროს შეიკრიბა ისმაილობა. შეიმოსნენ შავით და აუწყეს სულთანს თავისი გასაჭირი, ხოლო მან გამოუგზავნა მთელი სპარსეთის სიმდიდრე და შეკრიბა ლაშქარი ინდოეთიდან დარუბანდამდე და მოვიდა ადრბაგანს ხალიფის დროშით. შეიტყო რა თამარმა, უბრძანა ჭყონდიდელს მხედრობის შეკრება, ხოლო მონასტრებს ლოცვისათვის მოცლა. შეიკრიბა ლაშქარი და დაბანაკდა ზემოხსენებულ მდინარესთან. მოინახულა თამარმა, მოიწონა და ამირ-მირს და აღსართანს მისცა მეფის მხედრობის უმეტესი [ნაწილი]. მაშინ ყივჩაღთა მეფის ძმა სევინიჩი თამარის წინაშე იყო მოწვეული დიდი ჯარით. თამარმა ნახა და გაამხნევა თავისი ლაშქარი, წაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ანტონ ჭყონდიდელი, ხოლო თვითონ ფეხშიშველი მოვიდა მეტეხს და მხურვალე ცრემლით ევედრა ღმერთს თავისი მხედრობის გამარჯვებისათვის. ივნისის თვეში მოვიდა დავითი მდინარე ეკლეცთან, იქ შეხვდა მზვერავი, რომელიც ამბობდა: „[მტრის] ლაშქრობა აურაცხელია, რომელსაც დაკავებული აქვს შანქორიდან შოფის მთამდე და ვარდანაშტის განძის კარამდე“. ხოლო მეორე დღეს თენდებოდა პარასკევი დღე (რომელ დღესაც მოკლა სიკვდილი ჩვენმა მხსნელმა), აღიჭურვა და შეჯდა მეფე ზერდაგზე,<sup>254</sup> ბრძანა ჯვარის წინ წამძღვარება და მივიდნენ შანქორს. აქ გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა, მეფე ჩქარობდა ადრიანად მდინარეზე გადასვლას, [183] ხოლო, როცა გადავიდნენ, ძლიერად ეკვეთნენ და გაჩაღდა ბრძოლა. რადგან ბაღებისა და გზების სივიწროვის გამო ისე სწრაფად ვერ გავიდა დავითი, დავითის გასვლამდე მენწინავენი თითქმის მთლიანად ამოწყდნენ, მაგრამ უკან არ გაბრუნდნენ. ამის მხილველი ზაქარია ამირსპასალარი თავის ძმასთან ერთად სწრაფად გაემართა, ამასთანავე მიუსწრო მეფის რაზმმაც, ეკვეთნენ სასტიკად და მაშინვე თავს

დაატყდათ აგარიანებს ღვთის რისხვა და დაიქსაქსა მათი რაზმი და გარბოდნენ, ხოლო თამარისანნი მათ ხოცავდნენ. მდევრებმა მიაღწიეს განძისკარ-გელაქუნამდე, იჭერდნენ დიდ ამირებს, როგორც ქათმებს, ქორონიკონსა – 1193-ს, ქართულით – 413-ს. მაგრამ გადარჩა მხოლოდ ათაბაგი და [დავითის მეომრებმა] აანიოკეს სამი ქალაქი: ათაბაგისა, ათაბაგის ძისა და სათამაზ-ედ-დენის ძისა. მოართვეს სოსლან-დავითს ათაბაგის დროშა და აღივსნენ ოქრო-ვერცხლით, თვალ-მარგალიტით, რითაც დატვირთული იყო ჯორ-აქლემ-ცხენები, რომლისა არა იყო შეგება<sup>255</sup> მოლათა<sup>256</sup> [ყივილის] ნაცვლად შემოკრეს ზარი და მიზგითები ეკლესიებად აქციეს. შანქორელებმა მოართვეს ქალაქის გასაღები და მათ დაიჭირეს იგი. შემდეგ გადმოსცეს განძა, შევიდა სოსლან-დავითი და დაჯდა იგი სულთნის ტახტზე. შეიქმნა დიდი ზარ-ზეიმი და გამართეს პურობა ღორის [ხორციით]. ხოლო ამირ-მირის თხოვნით დავითმა და ზაქარიამ თამარის გარეშე ჩააბარეს მას განჯა. მაგრამ წამოვიდნენ თუ არა, გამოჩნდა გაქცეული და [მინაში] დამალული ბუბაქარ ათაბაგი. გააძევეს ამირ-მირანი, მისცეს მას განჯა და შემდეგ გამოგზავნეს მახარებელი თამართან. ნათქვამია, რომ მეტეხში წირვაზე, როცა მღვდელმა თქუა „შიშითა ღვთისითა“, უთხრა თამარს: „გიხაროდენ მეფეო, რადგან მიანიჭა ღმერთმა გამარჯვება შენს მხედრობას“. მახარებლის მოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ ისინიც [184] ნადავლით სავსე. მაშინ ღმერთს მადლობა შესწირა თამარმა და მიეგება, ხოლო მათ [თამარს] მიუძღვნეს უამრავი საჩუქარი და მანაც მიაგო მათ შესაფერისი [პატივი]. მან ათაბაგის დროშა გაგზავნა ხახულის ღვთისმშობლის [ეკლესიაში], როგორც მისმა პაპამ – ყიასის ძის ყელსაბამი. თამარმა ხალიფაზე გამარჯვების შემდეგ ხახულის ღვთისმშობელს დროშა და ყელსაბამი მიართვა, ხუთმუხლედი იამბიკო ოცდახუთ ლექსად დაანერაო (მოტანილია იამბიკო, 25 სტრიქონი).

[185] ამის შემდგომ იქმნა დიდი სასწაული, რადგან, როდესაც აღასრულა წირვა იოვანე კათალიკოსმა, მოინდომა ზაქარია ამირსპასალარმა სეფისკვერის მიღება, მაგრამ არ მისცა კათალიკოსმა, რადგან იგი სარწმუნოებით სომეხი იყო. შეწუხდა ზაქარია და შეენინა აღმდეგა პატრიარქს, ხოლო იგი საყვედურობდა მას და [ზაქარიამ] ველარ გასცა პასუხი. მოიყვანეს სომხეთის კათალიკოსი და მათი სჯულის მცოდნეები და შეკრებილებმა იკამათეს მრავალი დღე, ხოლო იოვანე კათალიკოსმა გადაწყვიტა და უთხრა [სომხეთის კათალიკოსს]: „ჩავატარ-

ოთ წირვა და მოვიყვანოთ ჩვენ-ჩვენი ძალები სამ დღე ნაშიმშილები, ჩემს საღვთო კრავს მე მიუგედებ შენ ძაღლს, ხოლო შენ მიუგდე ჩემსას და, რომელსაც არ მიეახლება ძაღლი, ის არის ჭეშმარიტება“. ყველა მსმენელი შენუხდა, მაგრამ იოვანემ აიძულა ისინი დათანხმებულიყვნენ. სომხებსაც არ სურდათ, მაგრამ იძულებულნი დათანხმდნენ.

ამის შემდეგ იოვანემ შეასრულა წირვა, მოიტანა კრავი და მიუგდო სომხების ძაღლს, ხოლო ძაღლი მიეტევა და მიახლოებული მაშინვე უკან გაბრუნდა, ნკავნკავებდა, როგორც ნაცემი და გარეთ გავარდა. შემდეგ იოვანე სომხებსაც აიძულებდა და მათაც მიუგდეს სურვილის გარეშე. ძაღლი მაშინვე ეცა, აიღო, შთანთქა და გაიქცა. ამისათვის იოვანე მადლობას შესწირავდა ღმერთს, აიღო კრავი, მოვლო მთელი ლაშქარი ლიტანიობით უკან მიდევნებულ ერთან ერთად, ხოლო სომხები წავიდნენ შერცხვენილები. ზაქარია კი დარჩა ურწმუნოებაზე მეტყველი: „მან გასცეს პასუხი ღმერთს, ვინც ჰყო განყოფა“. მისმა ძმამ იოვანემ კი აღიარა ჭეშმარიტება.

[186] ამ წლებში კარი ჯერ კიდევ თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი. თამარმა წარავლინა ლაშქარი და გაიქცნენ თურქები, ხოლო იქ დაადგინეს იოვანე ახალციხელი, რომელმაც დაიპყრო მიმდებარე ქვეყნები და მოსპო [წინააღმდეგომნი]. მეფემ უბოძა მას კარი და ათაბაგობა.

კვლავ შეიკრიბნენ მაჰმადიანები და მოვიდნენ ხალიფასთან, უკვე არა ამპარტავენებით, არამედ თავმდაბლად ეტყოდნენ, რათა შეევედროს თამარს, რომ მან მათ ხარკი დაადოს და ნულა ხოცავს მათ. ამიტომ ხალიფამ მიუგზავნა დესპანი, დიდი ძღვენი და ეს თხოვნა. უსმინა თამარმა, შეუმცირა ხარკი და შეუსრულა მას თხოვნა. მაგრამ ყოველი აღმოსავლეთის სულთანი, რომელსაც ეპყრა [ქვეყნები] ეგვიპტიდან პონტომდე, ნუქარდინ ჩარასლანის ძე დესპანის ხელით უგზავნიდა თამარს საჩუქრებს. და ასევე იქცეოდა თამარიც, მაგრამ [ნუქარდინი ამას] აკეთებდა ვერაგობით და დაზვერვის [მიზნით]. მან, როდესაც გაიგო მაჰმადიანებზე ხარკის დადების [ამბავი], გახსნა მამა-პაპათა საგანძურნი და გასცა ორმაგი ქირა და შეკრიბა 400000 კაცისანი ლაშქარი და გამოუგზავნა თამარს წერილი, რომ „ღიაცთა უგუნურობით გიბრძანებია ხარკის დადება მაჰმადიანებზე, რაც ნებადართულია [მხოლოდ] ჩვენთვის – მაჰმადიანთათვის. ახლა მოვდივარ მე ღმერთის მსგავსი და თუ უარყოფ ქრისტეს, დაამსხვრევ ჯვარ-ხატებს და ჩემ წინაშე თაყვანს სცემ მაჰმადს, ცოცხალი დარჩები და თუ არა, ყვე-

ლანი მოისპობით“. მოვიდა დესპანი, წარმოდგენენ თამარის წინაშე და ჰკადრეს: „თუ ქრისტეს დაუტევებ, სულთანის ხარჭა გახდები და თუ არა – მოისპობით“. მყის წამოხტა ზაქარია ამირსპასალარი, გაარტყა სახეში დესპანს ისე, რომ იგი დაეცა მიწაზე, როგორც მკვდარი, ხოლო, როცა მოსულიერდა, უთხრა: „ღირსი ხარ სიკვდილის, მაგრამ დესპანის [მოკვლა] არ შეიძლება. წადი და აცნობე სულთანს, შეგხვდებით [187] და გავიგოთ, ვისი ღმერთი არის ძლიერი“. სასწრაფოდ შეკრიბეს თამარის მხედრობა სამცხეს, ხოლო თამარმა უწინამძღვრა მათ დავით-სოსლანი, მუხლმოდრეკილმა აკურთხა ლაშქარი და ღვთისადმი მინდობილნი გაგზავნა, ხოლო თვითონ მოვიდა ოძრხეს თეოდოსი კათალიკოსთან, ეპისკოპოსებთან და მონასტრის წინამძღვრებთან ერთად და შეუსვენებლად ლოცულობდნენ, მღვიძარებდნენ და ევედრებოდნენ ღმერთს.

ბასიანს მისულმა დავითმა იხილა სულთნის ბოლოკერტს დაბანაკებული ლაშქარი. მათი თვალუნვდენელი [ბანაკები] ვერ ეტეოდნენ [არემარეში], მაგრამ ისე ლალობდნენ, რომ არ ეყენათ ყარაულ-დარაჯები. მაშინ დავითმა დაადგინა – ერთ მხარეს ზაქარია მხარგრძელი, შალვა და იოვანე ახალციხელნი და თორელნი, ხოლო მეორე მხარეს – იმერ-აფხაზნი, ამერნი, ჰერ-კახნი და მიუშვეს სწრაფად ცხენები. იხილეს რა მათ ფიცხლად მომავალნი, დასცა ღმერთმან მათ შიში და მიაშურეს მათ სიმაგრეებს. ამის [შემხედვარე] გამხნევდა თამარის მხედრობა, შეუტიეს და დაიხოცა ბრძოლაში უამრავი აქედან და იქიდან. დაუხოცეს ცხენები ზაქარიას, შალვას, იოვანეს, გრიგოლს და სხვებსაც მათთან ერთად. გადმოხტნენ ისინი და იბრძოდნენ ქვეითნი ძლიერად. მაგრამ ბრძოლა ისე გაგრძელდა, რომ ცოტაც და კინალამ გატყდა თამარის მხედრობა. ამის მხილველმა დავითმა და ზაქარია ამირსპასალარმა გაარიდეს ქვეითნი აქეთ-იქით, რომ არ გათელილიყვნენ, და თავს დაესხნენ მათ სიმრავლეს და დასცეს ღვთის რისხვა, გააპეს მათი რაზმები და გაიქცნენ სულთანისიანები. მაშინ შესხდნენ ცხენებზე ქვეითნიც და დაედევნენ, უღეტდნენ, ატყვევებდნენ და იჭერდნენ. ხშირად ერთს ასი მოჰყავდა ქორონიკონსა – 1196-ს, ქართულით – 416-ს. და მობრუნდნენ მათი გვირგვინით, რომლის აღრიცხვა შეუძლებელი იყო, შეიძინეს ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი და სხვა სიმდიდრის შესახებ საუბარი აღარ არის საჭირო მათი სიმრავლის გამო, და წამოიღეს მათივე საპალნეებით. ევლოგი სალოსი წირავდა თამარის

წინაშე. განცვიფრებულმა ტაში შემოჰკრა და დაეცა სამჯერ. შემდეგ წამოხტა და ღმერთს მადლობა შესწირა. შემდეგ [188] იოვანე ჰკითხავდა და ევლოგი გამოუცხადებდა: „როცა დავეცემოდი, თითქმის შედრეკებოდა ჩვენი ლაშქარი, ხოლო, როცა წამოვხტი, მისცა ღმერთმა გამარჯვება ჩვენს მხედრობას“. შემდეგ მოვიდა მახარებელი თამარის წინაშე, მერელა შემოვიდა ოძრხეს ლაშქარი მხიარულად, იქიდან – თბილისს დიდი ლხინი-სიხარულით. ხოლო სულთნის დიდებულები თამარმა გაყიდა ნალის[საფასურად], თავისი სახლის სადიდებლად (ამასთანავე ესეც არის ნათქვამი: „თამარის წინაშე მოყვანილი სულთნის დიდებული დაეცა და იკლაკნებოდა, როგორც გველი დამუნჯებული, ამიტომ გაიყვანეს გარეთ და როცა გონს მოეგო, ეკითხებოდნენ, თუ რა მოუვიდა, ხოლო იგი ამბობდა: „რაც ჰკიდია თამარს თავთან, მან დაგვამარცხა ჩუენ და ახლაც შევშინდი მისგან“. ხოლო იმ დროს თამარის თავთან ჩამოკიდებული იყო მიქაელ მთავარანგელოზის ხატი. ამით შეიტყვეს მისი ქმედება და უფრო დიდი მადლობა შესწირეს ღმერთს.

ხოლო ღვთის წყალობათა [კვალობაზე] თამარიც მწყალობელი იყო არა მარტო თავისი სამფლობელოსათვის, არამედ საბერძნეთშიც მრავალი მონასტერი გაამდიდრა და ქვრივ-ობლებიც აავსო [წყალობით]. მის დროს არავინ დაუსჯიათ სიკვდილით და არც ასოთა მოკვეთით დაუსჯიათ ვინმე, გარდა გუზანისა, რომელიც ყაჩაღობდა კოლის მთაში. ის შეიპყრეს მთიბავებმა და მიართვეს დავით მეფეს, ხოლო მან თვალეზი ამოსწვა მას ქრისტიანთა სისხლის დაღვრისათვის ისე, რომ თამარისთვის არ შეუტყობინებია.

მერმე მოვიდნენ მონაზვნები შავი მთიდან. [თამარმა] მათ უამრავი ოქრო მისცა და გაისტუმრა, მაგრამ ხარბმა და ძმის მკვლელმა ალექსი კეისარმა შეიპყრო ისინი და ოქრო წაართვა. შეიტყო ეს თამარმა და შეუთვალა კეისარს, რომ [წართმეული] უკან დაებრუნებინა, ხოლო მან არ ისურვა. თამარმა კიდევ უფრო მეტი მისცა მონაზვნებს, გაგზავნა იმერნი და წაართვა კეისარს ტრაპიზონი, მისი შემოგარენი და მისცა ალექსი კომნიანოსს, ანდრონიკეს ძეს, რომელიც თამართან იმყოფებოდა. ეს გაიგეს ევროპელებმა, რომ აღმოსავლეთში კეისარმა ძალაუფლება დაკარგა, მოვიდნენ და წაართვეს კოსტანტინეპოლი, ქორონიკონსა – 1198-ს, ქართულით – 418-ს. მოკვდა ალექსი ანგარი სიმდიდრეზე [დახარბებული] შიმშილობაში თავის სიმამრისაგან.

ამ ხანებში მოიკითხა თამარმა კარის საქმეები; თამარის მეფობის 24 წელი სრულდებოდა. მრავალჯერ იბრძოდნენ მხარგრძელები და ვერ აიღეს იგი [კარი]. ამიტომ გაგზავნა სოსლან-დავითი და თვითონ გაჩერდა ჯავახეთს. დავითი მიადგა კარს და იბრძოდა ძლიერად. შემდეგ გაუჭირდათ მეციხოვნეებს და ამბობდნენ: „მოვიდეს თამარი და ჩავბარდებით მას“, რადგან სხვების ეშინოდათ. შეიტყო ეს თამარმა, მოვიდა და ჩააბარეს ციხე, ხოლო თამარმა მისცა [იგი] თავის ძეს, გიორგის, როგორც ამას კარელნი სთხოვდნენ. [თამარმა] დაიპყრო [ქვეყნები] რახსიდან სპერამდე და ძალზე გაძლიერდა მისი სათნოებისათვის. მაგრამ ამ სიხარულის დროს მოკვდა თამარის ქმარი სოსლან-დავითი, ყოველგვარი სიკეთით აღმატებული, ქორონიკონსა – 1199-ს, ქართულით – 419-ს და დატოვა დიდი გლოვა. შემდეგ, ზამთრის ჟამს მეფე იყო გეგუთს. ნააქეზა ეშმაკმა არდავის სულთანი: ბრწყინვალე კვირიაკეს მან [გამოილაშქრა] ქალაქ ანისზე მაშინ, როცა ანელები ემზადებოდნენ განცხრომა-სიხარულით დღესასწაულისათვის. უეცრად შეიჭრა სულთანი გამთენიისას და გაჟლიტა უამრავი ქრისტიანი, გარდა იმათისა, რომლებიც დაიმაღნენ გამოქვაბულებში, კლდეებში, ხვრელებში და გადარჩნენ იქ. მათ 12000 [ადამიანი] გაჟლიტეს და წავიდა სულთანი სავსე ტყვე-ნადავლით. ამის მსმენელი მწუხარე მეფე მუდამ ეძებდა შურისძიების [დროს]. მათი საძაგელი მარხვის შემდეგ, რომელსაც რამაზანი ეწოდება, ამირსპასალარმა ზაქარიამ შეკრიბა ჰერ-კახ-სომხითარნი, ჩავლო გელაქუნი და ფარულად [190] მივიდა ცისკრის ჟამს და როცა ბილნმა მოლამ დაჰკივლა აზანი<sup>257</sup>, როცა თენდებოდა აიდი,<sup>258</sup> მათი აღვსება, შემოერტყა არდაველს, მაგრამ ქალაქი ძლიერად იყო გამაგრებული.

დაინახა რა ეს ზაქარიამ, გადმოხტა ცხენიდან, ასევე მთელი ლაშქარიც მასთან ერთად და იბრძოდნენ ქვეითად, შეიჭრნენ და მათ მისგითში 12000 [მლოცველი] გაჟლიტეს შეუბრალებლად და დახოცეს სულთანი და მისი ცოლ-შვილი და ნათესავები და მოქალაქეებიც, არ დატოვეს არც ერთი ცოცხალი, აივსნენ დიდძალი ნადავლით, წამოვიდნენ და მოვიდნენ თამარის წინაშე გამარჯვებულნი. შემოდგომის მონევის დროს ითხოვა ზაქარიამ ხვარასანზე ლაშქრობის ნებართვა და მეფემაც ნება დართო. მაშინ შემოიკრიბა მთელი საქართველო, გაემართნენ, ჩავლეს მარანდი და იქ ვერავინ ნახეს – ეგონათ, რომ მხედრობა მთაში იყო [დამალული]. ამიტომ ზაქარიამ გაგზავნა 500

მხედარი დასაზვერად; ისინი ავიდნენ მთაზე [ხოლო ჩასაფრებულებმა] იცოტავეს და თავს დაესხნენ და გაჩაღდა ბრძოლა ძლიერი, მაგრამ ჩვენებმა სძლიეს და გაანადგურეს. ხოლო ზაქარიამ არაფერი იცოდა, ავიდა მთაზე და იხილა ნაომარი, სადაც 500 შუბი 500 კაცზე ესო, და შეწუხდა, რადგან [მისიანები] არსად ჩანდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისინი შეეგებნენ მას ნადავლით. იქიდან წამოსულებმა დაიმორჩილეს თავრიზი და მიანა, რადგან ისინი ჩაბარდნენ სულთნითურთ. მაგრამ ზანგანა არ ნებდებოდა გარემოდგომილებს. მესხებმა გამოთხარეს გალავანი, რომელიც ალიზისა იყო, შევიდნენ და სრულიად ამოწყვიტეს. იქიდან მივიდნენ ყაზმინს, არც ისინი ნებდებოდნენ, მაგრამ გაიქცნენ მთაში. დაენივნენ და მოსპეს ისინი და ქალაქი დაიპყრეს. შემდეგ წავიდნენ ხუარასანს, სრულიად მოაოხრეს და აიღეს დიდი ნადავლი, მობრუნდნენ, იგივე გზა გაიარეს და ამდენი ქვეყნიდან ვერავინ აღუდგა წინ. ხოლო, როდესაც მიაღწიეს მიანას, [ნახეს], რომ მათ დაეხოცათ ქართველი მცველები, რაც მათგან ერთმა გადარჩენილმა აუნყა ზაქარიას. ამიტომ მან სრულიად დახოცა მთელი მოსახლეობა სულთნითურთ. იქიდან წამოსულებს ყოველ ქალაქში დიდ-დიდ სიმდიდრეს მოართმევდნენ ძღვენად. ამის შემდეგ მოვიდნენ თბილისს თამარ მეფის წინაშე ისეთი დიდი ნადავლით, რომ ყველა მხილველი გაკვირვებული იყო.

ამის შემდეგ მოკვდა ზაქარია ამირსპასალარი და მეფემ ამირსპასალარობა მისცა მის ძმას, იოვანეს, მაგრამ მან არ ისურვა ამირსპასალარობა და [არჩია] ათაბაგობა.

ამ ხანებში განდგნენ მთიულნი, ფხოელნი, დიდონი და დაინყეს რბევა და მოოხრება. მაშინ გაგზავნა მათ [წინააღმდეგ] თამარმა იოვანე ათაბაგი მხედრობით. ხოლო იოვანე ავიდა ხადის მთაზე, გადაიარა მწვერვალები და დაადგა [თავს] ფხოველებს, დიდოელებს, ძურძუკებს და იწყო [მათი] რბევა, ჟლეტა და დატყვევება. ხოლო ძურძუკნი სრულიად შეუერთდნენ დიდი ძღვენით. იოვანემ იქ დაყო სამი თვე, მრავალი მძევალი აიყვანა, დაიმორჩილა მოხარკედ, მობრუნდა და მოვიდა გამარჯვებული თამარ მეფის წინაშე.

ხოლო ამდენ სიხარულს მოჰყვა მწუხარება, რადგან ნაჭარმაგევს მყოფი თამარი დასნეულდა და ველარ შესძლეს მისი განკურნება, თუმცა ჰაერის ცვლილებისათვის ჩაიყვანეს თბილისს, შემდეგ დასოდ და აგარას, მაგრამ არაფერმა არგო, არამედ გავიდა ამიერიდან და მივიდა

ქრისტეს წინაშე 1201 წელს, ქართულით [192] – 421 (+780=1201)-ს, 18 იანვარს. ხოლო სანატრელსა თამარსა თავის ხელით დაედგა გვირგვინი თავის ძისათვის – გიორგისათვის, ქორონიკონსა – 1196-ს, ქართულით – 416 (+780=1196)-ს [იაშვილი დავით რექტორის 30 მუხლელი].

### **[196] 63-ე მეფე ლაშა-გიორგი. 10 წელი იმეფა**

ხოლო თავისი დედის შემდეგ მეფე გახდა ლაშა-გიორგი, ძე თამარ მეფისა, 18 წლისა. იგი იყო ტანით ძლიერი, ძალით მხნე-ახოვანი, რჩეული მოისარი, მხედრობაში შემართული, ამპარტავანი და ჯიუტი. მან დაიმკვიდრა თავისი დედის სამეფო და ყოველი შემოგარენი მოართმევდა ხარკს. გლოვის შემდეგ იყო იგი შვება-სიხარულში. შემდეგ განდგნენ განძელნი და აღარ იხდიდნენ ხარკს. ამიტომ შემოკრიბა მეფემ წარჩინებულნი, თავისი ლაშქარი და მიმართა მათ: „მიძიმს მათი განდგომილება და ან მიიღეთ ჩემგან, როგორც დედაჩემისაგან [იღებდით], საჩუქარი და ნუ დავინუნებთ მას“. ხოლო მათ გაიხარეს და სრულიად შემოკრებულები გაემართნენ განძისაკენ. განძელები ვერ გაუმკლავდნენ ველზე [ბრძოლაში] და გამაგრდნენ ქალაქში. [197] მეფემ შემოართყა გარშემო ლაშქარი, ერთ მხარეს – მესხნი და მხარგრძელები, მეორე მხარეს – ჰერკახნი, [მესამე მხარეს] – ქართველ-სომხითელ-თორელები, [მეოთხე მხარეს] – ლიხთ-იქითნი დადიან-ბედიელებთან ერთად.

ხოლო ერთ დღეს ინება მეფემ შემოვლა და ქალაქის დათვალიერება. მოქალაქეებმა იხილეს [მოსეირნე] და იცნეს მეფე. მაშინვე გააღეს კარები და რადგან [ამალა] მცირედ მოეჩვენათ, შემოუტიეს მეფეს. მაშინ მხლებელმა მეომრებმა უთხრეს მეფეს: „გავწიროთ ჩვენი თავი და არ შევარცხვინოთ შენი მეფობის პირველი დღე“. შეუტიეს მეფესთან ერთად და შეიქმნა ძლიერი ბრძოლა, შემდეგ წინ გაიგდეს, ჟღეტიდნენ, შეაგროვეს ქალაქის კარებთან და ხოცავდნენ. გარეშემორტყმულ ლაშქარს მოესმა დედათა მოთქმა ქალაქიდან და მიისწრაფეს მეფისაკენ. მეფე გამარჯვებული მოეგება თავის ჯარს. ნუხდნენ დიდებულები და აყვედრიდნენ. მეფემ ეს აიტანა, თითქოს არ გაუგონია და დაამშვიდა ისინი. რამდენიმე დღის შემდეგ გაუჭირდა ქალაქს და ითხოვეს ვედრებით მშვიდობა და აღუთქვეს ხარკი. შეინყალა მეფემ და დაიმორჩილა მოხარკედ და წამოვიდა გამარჯვებული.

რადგან დამორჩილებული ჰყავდა თამარს [გარშემო მდებარე ქვეყნები], აძლევდნენ ხარკს ხლათნი, საჩუქარს უძღვნიდნენ ბერძენნი

და აღარსად იყო მტერი, ამიტომ ილხენდნენ და იხარებდნენ. გადაიხარა მეფე ბოროტებისაკენ და ჩამოიშორა დედის დროინდელი ვეზირები და შეიყვარა მასთან აღზრდილი თანამოსასაკენი და მათი საქმენი: მღერა, ცეკვა, ქალებთან აღრევა. იგი ღამე დადიოდა, რათა ბოროტებით გამძლარიყო. რაინდებმა, რომლებმაც ვერ იცნეს მეფე, შეიპყრეს და ისე სცემეს, რომ მარჯვენა თვალში მხედველობა დააკლდა. მან კვლავ განაგრძო, რადგან არ შეირთო ცოლი, თუმცა აიძულებდნენ წარჩინებულნი, მაინც არ ქნა. ხოლო კახეთში, ველისციხეში მყოფმა მეფემ იხილა დედაკაცი და შეუყვარდა, წაართვა ქმარს და თავისთან მიიყვანა, დაორსულდა იგი და შვა ძე, სახელად დავითი. [198] ამის მხილველნი დიდებულნი, კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი ეუბნებოდნენ, რომ ეს არ ჩაედინა. ჩამოაცილეს მას დავითის დედა, რომ ექორწინა სხვაზე, ან მასზე და თავი დაენებებინა უკეთურებისათვის. მაშინ [გიორგიმ] დაარწმუნა ისინი, რომ მათი რჩევის გარეშე არაფერს გააკეთებდა, მაგრამ ცოლის ყოლაზე და ქორწინებაზე ვერ დაიყოლიეს. უკან დააბრუნეს დავითის დედა და არც მასზე იქორწინა.

### **თათართა შემოსვლა**

ამ ხანებში გამოჩნდა აღმოსავლეთით თათართა გვარის ყაიზდინ თემურჩი, ჩინგის-ყაენად წოდებული. მან დაიპყრო ჩინ-მაჩინი და დიდი სათათრენი 1202 წელს. ამის შემდეგ მანვე გამოგზავნა თავისი ორი მთავარი 12000 მხედრით, რომ დაეზვერათ ქვეყანა. ისინი იყვნენ უცნაური გარეგნობის, უცხო ენაზე მოლაპარაკე და რჯულად დაედვა ჩინგის-სავე ერთი ღმერთის თაყვანისცემა. მათ გამოიარეს თურქეთი, ჯეონი, სპარსეთი, დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე, მოაწიეს ქართლის საზღვარს და აოხრებდნენ სომხითს და გაგს. მეფეს აცნობეს თათართა მოსვლა. მეფემ შეკრიბა 90000 მხედარი და წავიდა მათ წინააღმდეგ. გზაში მას შეუერთდა იოვანე ათაბაგი დიდი ლაშქრით. თათრები იდგნენ მდინარე საგიმთან და შეებნენ ერთმანეთს. თათართა ნახევარი გაიქცა, ხოლო ნახევარი ჩაუსაფრდა, ზურგიდან შემოუტიეს და ეკვეთნენ ქართველებს და იქნა რისხვა ღვთისა, რადგან დავითის დროშა, [199] ამ დრომდე უძღვევლი, იძლია და გარბოდნენ ქართველები მეფითურთ, ხოლო ურიცხვი მამაცურად და ძლიერად მებრძოლნი დაიხოცნენ თათართაგან. უკუქცეულები შევიდნენ თბილისში მწუხარენი და ამბობდნენ: „რადგან შევანუხეთ ღმერთი, ჩვენც შეგვანუხა და შეგვარცხვინა

ჩვენი მტრების წინაშე“. ეს მოხდა ქორონიკონსა – 1210-ს, ქართულით – 429-ს. ხოლო თათარნი მოვიდნენ სამშვილდემდე და გამობრუნდნენ, გაიარეს დარუბანდის კარი, შემოუარეს კასპიის ზღვას და მივიდნენ ჩინგის ყანთან. აი, უცნაურობა! დაუჭედელი ცხენით და მშვილდ-ის-რის გარდა კიდევ სხვა იარაღის არ მქონენი ასე იბრძოდნენ ისინი.

ხოლო ამის შემდეგ კვლავ მშვიდობა დამყარდა და ილხენდნენ და იხარებდნენ. ამ დროს მოითხოვა [ცოლად] მეფის და რუსუდანი ხალ-თის სულთანმა, რომელიც ფლობდა ეგვიპტესაც, მაგრამ არ მისცეს ღვთის წყალობით. რამდენიმე ხნის შემდეგ მოითხოვა [რუსუდანი] შარვან-შამ და მისცეს პირობა. წავიდა მეფე ბაგავს, რომ იქიდან მიეცა [რუსუდანი], მაგრამ აქაც არ დაცხრა ღვთის გულისწყრომა, რადგან დასნეულდა მეფე ლაშა-გიორგი. როდესაც მან იგრძნო სიკვდილის [მოახლოება], შემოიკრიბა ყველა დიდებული, ჩააბარა თავისი და რუსუდანი, ძე დავითი და უბრძანა, რომ მეფედ მისი და რუსუდანი დაესვათ, რადგან ისინი ერთმანეთის დიდი მოყვარულნი იყვნენ და [გიორგის] აღთქმის შესრულების იმედი ჰქონდა. [გიორგიმ] დიდებულების თანხმობით, ფიცით და ღვთის ზრუნვით ამცნო რუსუდანს: „როცა წამოიზრდება ჩემი ძე დავითი, დასვი მეფედ“.

დიდებულებსაც [უთხრა], რომ ეს ასე გაეკეთებინათ. შემდეგ გარდაიცვალა მეფე ლაშა-გიორგი, ქორონიკონსა 1211-ს, ქართულით – 431-ს, 18 იანვარს, ოთხშაბათ დღეს, გადმოსვენეს იგი თბილისში, ხოლო თბილისიდან – გელათს.

#### **64-ე მეფე რუსუდან. 26 წელი იმეფა**

შეიკრიბა ყველა დიდებული, კათალიკოსები და ეპისკოპოსნი ნიკოფ-სიიდან დარუბანდამდე და აკურთხეს რუსუდანი თბილისში და დასვეს მეფედ. ხოლო რუსუდანი იყო შესახედავად მშვენიერი, როგორც დედამისი, სამღვდელთა და დიდებულთა [200] პატივისმცემელი და გულუხვი. მან დაიმკვიდრა მთელი საბრძანებელი თავის დედისა და იყო გართობა, ღვინო და სიმღერა, როგორც მისი ძმის [დროს], მაგრამ რადგან მივატოვეთ ღმერთი, მანაც მიგვატოვა. ზემოხსენებული თათრები, როცა დაბრუნდნენ ჩინგის-ხანთან და [მან] შეიტყო, რომ მის მხედრობას ვერავინ ვერ [გაუწია] წინააღმდეგობა, გაყო თავისი ლაშქარი დედანუ-ლითურთ და გაგზავნა სპარსეთს, რუსეთს და ინდოეთს.

## სულთან ჯალალდინის<sup>259</sup> შემოსვლა

იყო სულთანი ხურასნისსა, რომელსაც ეპყრა ინდოეთიდან სრულიად სპარსეთი ჯეონამდე, სახელად ჯალალდინი. იგი მრავალჯერ შეებრძოლა თათრებს ჯეონს აქეთ და იქით, მაგრამ ყოველთვის მარცხდებოდა. მათგან ძლეულმა განიზრახა დედანულით წამოსულიყო ჩვენ მხარეს. წამოვიდა და მოვიდა ადრაბაგანს<sup>260</sup> 140000-იანი მხედრობით და იწყო სომხითის, გაგის დარბევა და ხოცავდა ჩვილებსაც კი. შეიტყო ეს რუსუდანიმა, შეკრიბა ლაშქარი, დაუდგინა [სარდლად] იოვანე ათაბაგი, მისცა სამეფო დროშა და გაგზავა სულთნის [წინააღმდეგ]. ისინი მივიდნენ დვინს, ხოლო ხურასნელებს დაებანაკათ გარნისს. რაზმი მოემზადა საბრძოლველად და დაადგინეს მენინავედ შალვა და იოვანე ახალციხელები და თორელნი. იქიდან მოვიდა სულთანი ჯალალდინი, რომელიც იყო მამაცი, ახოვანი და ბრძოლაში გამოცდილი. მაგრამ, როცა მიუახლოვდნენ მენინავენი, ათაბაგი არ მიეშველა მათ, ხოლო შალვა და იოვანე უგზავნიდნენ შუამავლებს და დახმარებას სთხოვდნენ, რადგან [მტერთან] მიახლოებულნი იყვნენ. არ ინება ათაბაგმა დახმარება და ეს გააკეთა შურით და არა შიშით. რადგან სხვა საშველი აღარ იყო, შეუტიეს შალვამ და იოვანემ, გაჩაღდა ბრძოლა და დაიხოცნენ ურიცხვი ორივე [მხრიდან]. კვლავ არ მიეშველა ათაბაგი. ჰოი, შური ბოროტი! რადგან თავის მონათესავეების დახოცვას უცქერდა და არაფერი იღონა, არამედ იდგა უძრავად. შემდეგ უკუიქცნენ რა მენინავენი, შეიპყრეს შალვა, მამაცურად მებრძოლი, რადგან ხმალი მტრის ჩაბალახზე [201] გადატეხოდა, ხოლო იოვანე [ახალციხელი], ქვეითად კლდეში შელტოლვილი, ქვით მოკლეს, ხოლო ათაბაგი სასწრაფოდ ჯარითურთ უვნებელი წამოვიდა, ქორონიკონსა – 1213-ს, ქართულით – 433-ს. სულთანიც გაბრუნდა, მაგრამ სპობდა და აოხრებდა ქართლის საზღვრებს და არავინ იყო დამხმარე. სულთანი დატყვევებულ შალვას აიძულებდა, ქრისტიანობა დაეტოვებინა, მაგრამ იგი არ თანხმდებოდა. მამაცობა-ახოვნებისათვის შეიყვარა იგი [სულთანმა], ეფერებოდა და მრავალ საჩუქარს [აღუთქვამდა], მაგრამ [შალვა] არ დაემორჩილა და მოკლა იგი [სულთანმა] სასტიკი ტანჯვით. [შალვა] შეირაცხა წმიდა მონამეთა შორის. შემდეგ მოკვდა იოვანე ათაბაგი, ფარულად შემონაზვნებული და [ბოროტი] საქმის ჩამდენი, ქორონიკონსა – 1214-ს, ქართულით – 434-ს.

ამავე წელს იქორწინა რუსუდანიმა ტულრულის ძეზე, რომელიც მას მძევლად ჰყავდა. [იგი მოიხიბლა] მისი სიმშვენიერ-ჰაეროვნებითა და

მამაცობა-ახოვანობით. [რუსუდანნი] დაორსულდა და შვა ასული თამარი, შემდეგ [კიდევე] დაორსულდა და შვა ძე დავითი.

ამის შემდეგ მოხდა უდიდესი ბოროტება, რადგან მოვიდა იგივე სულთანი, დაანგრია და მოაოხრა საქართველო და უნდოდა აქ მეფედ [დაჯდომა]. იგი აოხრებდა დვინს, ანისს და მათ გარშემო, ხოლო რუსუდანმა ბოროტებას ბოროტება დაუმატა და აღარ გაიხსენა ანდერძი და აღთქმა თავისი ძმისა და როდესაც მისი ძე, დავითი გახდა ექვსი წლის, ისურვა მისი მეფობა. [მან] შემოიკრიბა იმერნი, კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი, წარჩინებულნი და აკურთხა მეფედ, ქორონიკონსა – 1222-ს, ქართულით – 412-ს. მაგრამ მოუცლელობის გამო იქ არავინ იყო ამერთა დიდებულთაგან, არ შეშინდა, რომ ბოროტებისათვის მოუშვა ღმერთმა სულთანი. წამოიზარდა რა თამარი, მოითხოვა სულთანმა ყიასდინმა ცოლად და აღთქმა დადო, რომ მას არ შეაცვლევინებდა ქრისტეს რჯულს. ამ პირობით მისცა რუსუდანმა თავისი ასული და მზითვად აწყვერი, ქორონიკონსა – 1228-ს, ქართულით – 448-ს.

[202] ცოტა ხნის შემდეგ [რუსუდანმა] გაუგზავნა ძე ლაშასი დავითი თავის სიძეს, სულთანს, რათა მოეკლა იგი, მაგრამ მან კეთილად [ისტუმრა] იგი. სულთანმა ჯალალდინმა შეიტყო ავაგ ათაბაგის მეფის ვეზირად გახდომა, მოუწოდა [შეხვედრისათვის]. აღიჭურვნენ ორივენი: იქიდან მოადგა ხევის-პირს სულთანი ერთი მონის [თანხლებით], ხოლო აქედან – ავაგი ასევე. მაშინ ეტყოდა სულთანი ავაგს: „მე თქვენთან სამტროდ მოვსულვარ, მაგრამ [თქვენ] სასტიკად შემებრძოლეთ. ახლა, ვინაიდან გამოჩნდნენ თათარნი და ვერავინ წინ ვერ აღვუდექით, მოვედი მე, რომ შემართოთ თქვენი მეფე, რადგან ის ქალია და შევერთდეთ ორივენი და ვსძლიოთ ჩვენ თათრებს, რადგან არ შეგიძლიათ მარტო იბრძოლოთ და არც მე. ხოლო თუ ასე არ გავაკეთებთ, პირველად მოგაოხრებთ თქვენ და მერმე შევებრძოლები თათრებს“. ავაგმა ყველაფერი ამცნო რუსუდანს, მაგრამ რუსუდანმა მოსმენაც კი არ ინება. ხოლო სულთანმა შეიტყო რა ავაგისაგან, შემოვიდა სომხითს, ისე მოსპო იგი, რომ არ დატოვა [ცოცხალი] მამაკაცი და იქიდან მოადგა თბილისს. რადგან რუსუდანი ადრევე წასული იყო ქუთაისს, თბილისისათვის მცველები დაედგინა. თბილისის მცველებმა ძლიერი ბრძოლა უჩვენეს სულთანს ისე, რომ [ქალაქის] აღება უიმედო შეიქნა. მაგრამ თბილისსავე მყოფმა სპარსელებმა გასცეს და, როცა მემნას [ბოცოს ძე] ქალაქის კარიდან საბრძოლველად გასვლისას თავში დაარტყეს

მახვილი და მოკლეს და გააღეს კარები, მაშინ მოინია ღვთის რისხვამ: შემოვიდნენ და ააოხრეს [თბილისი], ქორონიკონსა – 1228-ს, ქართულით – 448-ს.

სულთანმა მოარღვია სიონის გუმბათი, დადგა ტახტი, დაჯდა მასზე და იქიდან ხოცავდა ისე, რომ სისხლის მდინარე დიოდა. ბოცომ თავიდანვე დატოვა კალისა და ისნის ციხეები და წამოვიდა რუსუდანის ნებართვით. სულთანმა მოიტანა სიონის ყოვლადწმიდა [ღვთისმშობლის] ხატი, დაასვენა ხიდზე და ვინც არ შეაფურთხებდა, ჰკლავდნენ. მაშინ მრავალმა მონამეობრივი გვირგვინი მოიპოვა ქრისტიანული აღიარებით. [203] დახოცილი თბილისელების [რიცხვმა] 100000 მიაღწია. შემდეგ სულთანმა დაარბია და მოაოხრა ქართლი, კახეთი, ჰერეთი, ჯავახეთი, ტაო, არტაანი, სამცხე, ანი, კარნიფორი და გაგრძელდა ასეთი რბევა ხუთი წლის განმავლობაში. ასეთ ჭირსა და შევიწროებაში მყოფმა რუსუდანმა არ ახსენა ღმერთი და არ შეშინდა. როდესაც მან შეიტყო, რომ არ მოკლა სულთანმა დავითი ლაშას ძე, ჰოი, სოფლის მოყვარება ბოროტი! მისწერა სულთანს: „ასული ჩემი მრუშობს დავითთან და ამიტომ ექცევა კეთილად“. „ამის მსმენელმა სულთანმა შეიპყრო თამარი, მწარედ სცემა, დაუღენა ხატები და ჯვრები მის თვალწინ და დაატოვებინა ქრისტე, ხოლო დავითი ჩააგდო ზღვაში. იგი ღმერთმა გადაარჩინა: ვინმე ვაჭარმა იპოვა იგი ზღვის ნაპირზე და მიიყვანა თავის სახლში. ეს შეიტყო სულთანმა, წაართვა იგი ვაჭარს და ჩააგდო იგი ორმოში, გესლიან გველებთან. ერთმა გველმა უკბინა, ხოლო გველებმა შეჭამეს ის გველი და დავითს გამოსწოვეს ნაკბენის გესლი და განკურნეს ის, რომელსა ჰქონდა ყოვლადწმიდა ღვთის დედის ხატი თავის იმედად და, რომლისაგან დაცული იმყოფებოდა შვიდი წლის განმავლობაში განსაცდელში, მავედრებელი ღვთისა. ერთი მონა მიართმევდა მას ყოველდღე მოთხოვნილ პურს და წყალს.

ხოლო [ზემო] ნახსენებმა თათრებმა გამოიარეს ჯეონი და ადვილად იგდეს ხელთ სასულთნო. ისინი ხოცავდნენ ურჩებს, ხოლო მათზე მინდობილებს კეთილად ექცეოდნენ. ეს შეიტყო ჯალალდინმა, აიყარა თბილისიდან, ქორონიკონს – 1233-ს, ქართულით – 433-ს და მივიდა ადრაბაგანს, იქიდან გაუგზავნა დესპანი ბაღდადის ხალიფასა და სულთან ხალადინს, რომ დახმარებოდნენ თათართა წინააღმდეგ, მაგრამ მათ არ ისურვეს.

## [204] ჯალალდინის მეორე შემოსვლა

დახმარებაზე უარის მოსმენამ და თათრების მოახლოებამ უიმედობაში ჩააგდო ჯალალდინი და კვლავ თბილისისაკენ გამოემართა. მაშინ რუსუდანმა შეკრიბა იმერ-ამერნი, ზემო-ქვემონი, გამოიყვანა ოსები და მთიულები და ყველა ესენი შეკრიბა ნაჭარმაგვეს, ხოლო სულთანი დაბანაკებული იყო ბოლნისს. მოვიდნენ ქართველები და ეკვეთნენ მათ. პირველ ბრძოლაში დაამარცხეს და გააქციეს სულთნის ლაშქარი, მაგრამ კვლავ რისხვა დაატეხა ღმერთმა [ქართველებს] ჩვენი ცოდვებისათვის: უკან დაბრუნდნენ, დახოცეს ივერიელი და შემოვიდა სულთანი თბილისში, ქორონიკონსა – 1234-ს, ქართულით – 454-ს და აოხრებდა ქრისტიანებს.

[ამასობაში] მოვიდნენ თათრებიც და მათი მეთაური ოთხი ნოინი: ჭარმაღანი, ჭაღატარი, იოსერი და ბიჩვისი. მათ გამოვლეს მთელი სპარსეთი და გადმოვიდნენ რახზე და მოადგნენ განძას 40 000 მხედრითა და თავიანთი დედანულით. მესამე დღეს ხელთ იგდეს განძა და დახოცეს ყველა, რადგან მათ სძულდათ მაჰმადის რჯული, ქორონიკონსა 1234-ს, ქართულით – 454-ს. როცა ეს შეიტყო ჯალალდინმა, სასწრაფოდ აიყარა თბილისიდან და წავიდა საბერძნეთს. ეს შეიტყვეს თათრებმა, დაედევნენ, დაეწვივნენ ბასიანს, ხოლო ჯალალდინს გაეფანტა ჯარი და დარჩა მარტო. იგი მძინარე ნახა ვინმე მეცხვარემ, მოკლა და წაიღო მისი და მისი ცხენის სამკაული, რომელიც ძვირფასი იყო. ეს შეიტყო სულთანმა ყიასდინმა, შეიპყრო მეცხვარე და მოატანინა სამკაული. ყიასდინმა იხილა და გაუკვირდა თვალ-მარგალიტის სიმშვენიერე, ხოლო ის კაცი დანვა ჯალალდინის უპატივცემულობისათვის.

თათარნი დაბრუნდნენ, მოაოხრეს ხალათი, ვალაშკერტი და მოვიდნენ თავრიჟს და დაიპყრეს ისიც. [205] მეორე წელს მოვიდნენ ბარდას და დაინყეს სომხითის, ქართლის, დარუბანდის, რანის, ჰერეთ-კახეთის და დვინის მოოხრება. როცა თათრების მოახლოება შეიტყო რუსუდანმა, დატოვა თბილისი და წავიდა ქუთაისს და დაუბარა მხარგრძელ გოჭას, თუ თათარნი მოვიდოდნენ, გადაენვათ თბილისი, რომ მათ არ გამოეყენებინათ იგი დასაბინავებლად. როცა თათარნი მოვიდნენ, გოჭამ გადაწვა თბილისი და მოოხრდა იგი დროებით.

შემოვიდნენ თათარნი მთელ საქართველოში, გარდა იმერეთისა, და სომხითში, მოეფინენ, როგორც კალიები და ხოცავდნენ [ხალხს] შეუბრალებლად. დიდებულები დაიმაღნენ სიმაგრეებში, მთებში და

ციხეებში, ხოლო ჰერ-კახნი და ქართველნი კავკას-მთიულეთში. გაგრძელდა რა ასეთი მოოხრება და აღარ იყო არავითარი საშველი და არც არავის დახმარება, ყველა წარჩინებული – ამერნი და ზემო-ქვემონი მიენდვნენ მათ რუსუდანის ნებართვით, რადგან მინდობილებს [თათარნი] არაფერს ავნიებდნენ. [ხოლო მინდობის წესი ასეთი იყო]: გამოდნობილ ოქროს წყალს გაავლებდნენ და შესვამდნენ, ასეთი ფიცი ჰქონდათ. [მინდობილებს შეინყნარებდნენ და ამ ფიცს] არ ლალატობდნენ და ტყუილი არ ამოვიდოდა მათი პირიდან.

ოთხმა ნოინმა გაიყო მთელი ქვეყანა და იღებდნენ ხარკს. რუსუდანი დარწმუნდა რა თათართა პირობის სიმტკიცეში, გაუგზავნა დესპანი თავისი ძის, დავითის მინდობისათვის, რათა დაადგინონ მეფედ. ამის მოსმენამ ნოინები გაახარა და აღუთქვეს ყველაფერი. ისინი ზამთარში ბარში იდგნენ და ზაფხულში – მთაში და ვერავინ ეწინააღმდეგებოდა მათ.

ამ ხანებში ინდომეს [თათრებმა] სულთან ყიასდინის წინააღმდეგ გალაშქრება და თან მთელი ქართველობაც წაიყვანეს. სულთანმა, როცა მათი მოსვლა შეიტყო, შეკრიბა [206] 400000 კაცი და გამოემართა. ამის მსმენელი ბიჩვის ნოინი მოვიდა ქართველებთან და შეატყობინა: „ვარ მახარობელი და [ეს] არის ჩემთვის საჩუქარი, რადგან მოდის სულთანი 400000 მხედრით“. ხოლო სარგისი ეტყოდა: „ვიცი თქვენი სიმამაცე, მაგრამ მათი სიმრავლისათვის არ გმართებთ სიხარული. “ მაშინ ბიჩვისმა უპასუხა: „თურმე [თქვენ] არაფერი იცით ჩვენ – მონღოლთა შესახებ, რადგან, მას შემდეგ, რაც მოგვცა ღმერთმა გამარჯვება, რამდენადაც სხვანი უფრო ბევრნი არიან, ეს უკეთესია ჩვენთვის, რადგანაც უფრო მეტად ავივსებით სიმდიდრე-ქონებითა. “ და ასე თავხედურად უყურებდნენ ყველაფერ ამას. მეორე დღეს ეკვეთნენ სულთანს და პირველსავე შეტევისას იწყეს: „ალა, ალა, ალა! სამჯერ და შეუტის მარცხნიდან, გაარღვიეს მათი რაზმი და გააქციეს, დახოცეს და მოსპეს ისინი ამ ბრძოლაში. რადგან ქართველები მამაცურად იბრძოდნენ, მოეწონათ მათი შემართება და ძალიან შეიყვარეს [ისინი]. შემდეგ შემოერთყვნენ სულთნის ქალაქს და იბრძოდნენ ძლიერად. გაუჭირდა ყიასდინს, დაზავდა და აღუთქვა მორჩილება და ხარკი. იქიდან წამოსულებს მოეგება ხალათის სულთანი და აღუთქვა ხარკი და უძღვნა ურიცხვი [საჩუქარი]. მას დაუდგინეს ქალაქის მცველნი, წამოვიდნენ და მივიდნენ გელაქუნს ნადავლით ავსებულნი.

მაშინ გაგზავნეს რუსუდანთან, რათა დაიდოს მათ შორის ზავი. როცა მათ დაიპყრეს ყოველივე, აცნობეს ყაენს. რადგან მომკვდარიყო ჩინგიზი,

[აგრეთვე] მისი ძე ოქროფა და ოქროფას ძე ქუქი, ხოლო ახლა [ყაენად] იჯდა მანგუ, მას აცნობეს ქართველთა სიკეთე და მამაცობა ბრძოლებში და სპარსთა გადამეტებული სიბოროტე. ამიტომ უბრძანა ქართველების პატივისცემა და მათი ბრძოლებში თან ყოლა, ხოლო სპარსთა სრულიად მოსპობა და [მათი] წარჩინებულების მასთან გაგზავნა.

ამავე დროს გაგზავნეს იოვანე ათაბაგის ძე ავაგ ათაბაგი ყაენთან. მისი მხლებელი დავით მსახურთუხუცესი ეტყოდა ავაგს: „მე ვიქნები პატრონი და შენ მონა, რადგან უცხო ქვეყანაში ვართ და თუ მოინდომებენ პატრონის სიკვდილს, მე მომკლავენ და შენ ცოცხალი დარჩები“. ავაგიც ასე მოიქცა. შემდეგ მოვიდნენ მანგუ ყაენთან. [207] მან წყალობა უყო და პატივი სცა.

ერთ დღეს მას უხმეს მანგუსთან. ავაგი წინ მიდიოდა და დავითი მის უკან, განრისხდა მანგუ-ყაენი: „როგორ შეიძლება, რომ პატრონი შენი შენ უკან დგას?“ წარდგა დავითი და აუნყა ყაენს, როგორც იყო. ხოლო ყაენი განცვიფრდა და უთხრა: „რადგან ხართ ქართველების მოდგმა ასეთი კეთილი, ვბრძანებ, რომ ყველა ხალხზე [უპირატესი] თქვენ იყოს ჩვენ წინაშე“.

ხოლო რუსუდანი, რომელსაც სურდა ზავი, მოვიდა თბილისს, გაგზავნა თავისი ძე დავითი ნოინებთან და გაჰყვა [მას] ყველა წარჩინებული ამერნი, იმერნი, ზემო-ქვემონი. ნოინებმა კეთილად მიიღეს მისული დავითი, პატივი სცეს და უწოდეს „ნარინი“ (ეს არის მოსული), მაგრამ ვერ დაუმტკიცეს მეფობა და გაგზავნეს ბათუ ყაენთან, ქორონიკონსა 1237-ს, ქართულით – 457-ს.

### **დავითი წავიდა ყარაყურუმს**

როგორც რუსუდანი უყო დავითს, ასევე მიეზლო, რადგან მისი ძეც გაგზავნეს უცხო ქვეყანაში, როგორც გაძევებული. ხოლო დავითი მცირე ამალით წავიდა ავაგის კვალდაკვალ, ასევე ხალათის სულთანი, რომელიც ნოინებს გაეგზავნათ, და სხვანი მივიდნენ ბათუ-ყაენთან. მან პატივით მიიღო და დაიტოვა იგი ორი წელიწადი, მერე გაგზავნა ყარაყურუმს მანგუ-ყაენთან და იგიც კეთილად ექცეოდა.

ოთხმა ნოინმა ინდომეს გალაშქრება ალმუთელებზე და აუნყეს რუსუდანს, რომ გაუგზავნოს ქართველთა ლაშქარი. მაგრამ რუსუდანი მაშინ თავისი ძის დარდით დნებოდა, დასნეულდა და მოკვდა თბილისში, ქორონიკონსა 1237-ს, ქართულით – 457-ს. რადგან აღარავინ დარჩა

მეფეთა მოდგმისაგან, რადგან ერთი დავითი დაკარგული იყო და მეორე, რომელიც გაგზავნეს თათრებმა, ყარაყუმს იყო, ამიტომ ნოინებმა გაიყვეს [სამეფო] [208] ოთხად და მთელი ივერია დაიყო სამთავროებად: [თითოეული ჩააბარეს „ათიათასის თავს“]. ევარსლან ბაკურციხელს ჩააბარეს ჰერ-კახთა ლაშქარი თბილისიდან შამახიის მთამდე; შანშეს – თავისი მამული და ავაგისიცი; ვარამ გაგელს – მთელი სომხითი; გრიგოლ სურამელს – ქართლი; თორელ გამრეკელს – ჯავახეთი; სამცხე კარნუ ქალაქამდე – ცოტნე დადიანს, ხოლო რაჭის ერისთავს – მთელი ლიხთიმერეთი და ნაიყვანეს ალმუთს და იქ იმყოფებოდნენ ნახევარი მათგანი ერთი წლის [განმავლობაში] და ნახევარნი – მეორე წელს.

ამ ოთხი ნოინის ალმუთში ყოფნისას მოისყიდეს გოლიათი კაცი, რომელსაც ერთი ნოინთაგანი უნდა მოეკლა. ის შევიდა ფარულად ჩალატარ ნოინის კარავში, შეურჭო გულში ლახვარი და მოკლა. ხოლო დილით მსახურებმა როცა იხილეს, მოთქმა-ტირილით მისი სიკვდილი ქართველებს დააბრალეს, რადგან [ქართველები] დიდ გასაჭირში იყვნენ ამ ლაშქრობაში. მათ უნდოდათ ქართველების დახოცვა, მაგრამ სხვა ნოინები აჩერებდნენ, ხოლო ისინი არ უსმენდნენ და გაემართნენ ქართველებისაკენ. ქართველები გაოცდნენ და ზოგი შებრძოლებას აპირებდა, ზოგი კი აჩერებდა მათ. გრიგოლ სურამელი ამბობდა: „ძმანო, არ არის ბრძოლის დრო, რადგან ვართ ცოტანი, მაგრამ მგონია [ჯობს, რომ] ჩვენ, მთავარნი დაგვხოცონ და არა მთელი მხედრობა, მაგრამ დროა ღმერთსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ვევედროთ“. უბრძანა ყველას სამჯერ მუხლის მოდრეკა სავედრებელთურთ. ხოლო, როცა ეს აღასრულეს, გაიხედეს და დაინახეს, რომ ლერწმიანიდან გამოვიდა კაცი, რომელსაც ხელში ლახვარი ეჭირა და ასე იძახდა: „მან ქუშტემ ჩალატარ“, რაც ნიშნავს: „მე მოვკალ ჩალატარ“. ხოლო განცვიფრებულმა თათრებმა შეიპყრეს და ეკითხებოდნენ მიზეზს, ხოლო იგი ამბობდა: „დამალული ვიყავი ლერწმომოვანში, მოვიდა ბრწყინვალე დედაკაცი და მითხრა: შენ გამო ამდენი სული დაიხოცება. ახლა გამომეყვი და თქვი: „მე მოვკალ ჩალატარ“. განცვიფრდნენ თათრები და მოკლეს იგი, [209] ხოლო ქართველებს პატივი სცეს. ასე იხსნა ღმერთმა და ღვთისმშობელმა თავისი ხალხი.

გაგრძელდა ლაშქრობა ალმუთელებზე შვიდი წელი. გაამპარტავნდა ევარსლან და თითქმის მეფედ იწოდებოდა, რადგან იყო მამაცი, ახოვანი და მას მორჩილებდა ყველა მთავარი.

თურქებმა, როგორც კი შეიტყვეს უმეფობა და ქართველთა აღმუთს ლაშქრობა, შეიკრიბა 60000 კაცი ყარახანისა და წამოვიდნენ საქართველოს მოსაოხრებლად და მოვიდნენ ვალაშკერტ-რახსს იქით სურამამდე, რომელიც მაშინ ეკავა შანშე მანდატურთუხუცესს. [მან] შეკრიბა თავისი და ავაგ ათაბაგის 30000 მხედარი, გაიარეს რახსი და მივიდნენ ვალაშკერტს, შეებრძოლნენ იქ და შეიქნა ძლიერი ბრძოლა. [ქართველებმა] ჯვრის ძალით გააქციეს და დახოცეს ხალათამდე, აიღეს ურიცხვი ნადავლი და დაბრუნდნენ გამარჯვებულნი.

კვლავ დაიდრნენ თურქნი საბერძნეთიდან და სხვა ქალაქებიდან საქართველოს დასარბევად. გაიგეს ეს შავშელებმა, კლარჯებმა, ტაოელებმა, კოლაარტანელებმა, კარნიფორელებმა და შეატყობინეს ყვარყვარე ციხისჯვარელს, რომ დახმარებოდა. ხოლო მან მოუწოდა მესხებს, შეკრიბა 10000 მხედარი და გაეშურა. თურქები მოსდგომოდნენ ბანას, ოლთისს და აოხრებდნენ ტაოს. თურქებმა შეიტყვეს მათი მოსვლა, შეიარაღდნენ და შეებრძოლნენ ივნისის ვაკეზე. მიანიჭა ღმერთმა გამარჯვება ივერიელებს და უკუაქციეს, დახოცეს და ურიცხვი ნადავლი იშოვნეს. ყვარყვარემ გაგზავნა პაპა და მისი ძმა სარგისი და მათ აიღეს ოლთისი, ბულათ-ყური და დაბრუნდნენ გამარჯვებულნი.

გასაჭირში მყოფი სამეფოს წარჩინებულები შეიკრიბნენ კოხტისთავს და წუხდნენ უმეფობას და სხვა საზრუნავზე. [მათ] გადანყვიტეს თათართაგან განდგომა და წავიდნენ იმერნი პირობის შესასრულებლად, ხოლო ამერნი [მათ] უცდიდნენ ადგილზე. ეს შეიტყვეს თათრებმა – ბიაჩუსმა და ანგუგმა, თავს დაესხნენ კოხტასთავს მყოფთ, [210] ყველა წარჩინებული შეიპყრეს და წაიყვანეს ანისს, შირაკუანს და მიიყვანეს ქარმაღანთან, ხოლო მან მხარგაკრულები გააშიშვლა, წაუსვა თაფლი და დაყარა მზის ქვეშ, სიცხეში.

ხოლო ცოტნე დადიანი, როცა კოხტას მოვიდა პაემანზე, ვერავინ იხილა და შეიტყო, რაც მოხდა. თვითონაც წავიდა ანისს, მისულმა ნახა ქართველები ამ დღეში, მანაც გაიხადა ტანსაცმელი, წაისვა თაფლი შიშველ ტანზე და დაჯდა მათთან, ხოლო თათარმა დარაჯებმა შეატყობინეს ნოინებს. როცა მათ ეს მოისმინეს, გაუკვირდათ, მოიხმეს ცოტნე და ჰკითხეს მიზეზი. ის კი ეუბნებოდა: „თქვენთან განდგომისათვის კი არ ჩავიდინეთ ეს, არამედ რომ მოგვეგვარებინა თქვენი საქმეები და ხარჯი“ და რადგან სხვებსაც იგივე უთქვამთ,

გაანთავისუფლეს ისინი პატივისცემით, აქეს მათი კეთილ-განზრახვა და უფრო სანდოდ მიიჩნიეს [ისინი].

### **დავით ლაშას ძის ძებნა**

დიდებულებს სამარცხვინოდ მიაჩნდათ ეგარსლანის უფროსობა, შეიკრიბნენ სამეფოს წარჩინებულნი, იმერთა გარდა, დაიწყეს დავით ლაშას ძის ძებნა და შეიტყვეს ვაჭართაგან, რომ [იგი] ცოცხალია და ორმოში არის გველებთან ერთად. ყველანი მივიდნენ ნოინებთან და აუწყეს, რომ უმეფობის გამო აღარ იყო ურთიეთმორჩილება, რომ დავით წარინი აღარ დაბრუნებულა, [სთხოვეს] დავით ლაშას ძის სიცოცხლე და მოითხოვეს იგი მეფედ. ამის მსმენელ თათრებს გაუკვირდათ რუსუდანის საქციელი და სასწრაფოდ გაგზავნეს ანგური, გაატანეს ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი, მისწერეს სულთანს და შეატყობინეს, მიეცა და სასწრაფოდ გამოეგზავნა დავითი. როცა ჩასულებმა უთხრეს სულთანს, რომ იგი უარს ამბობდა, რადგან აღარ ეგონა, რომ ცოცხალი იყო, მაგრამ ისინი უმტკიცებდნენ, რომ ცოცხალი არის. იმ დროს აქ ჩამოვიდა დავითის მონა სოსანა, რომელიც მიაერთმევედა [დავითს] [211] პურსა და წყალს, და მან დაადასტურა მისი სიცოცხლე. ნება დართო სულთანმა და ამოიყვანეს ცოცხალ-მკვდარი დავითი, რომელიც 5 წლის განმავლობაში გველებთან იმყოფებოდა. [დავითი] დაამშვიდეს, დაბანეს და ჩააცვეს სამეფო სამოსელი ქორონიკონსა 1240-ს, ქართულით – 460-ს. სულთანმა უძღვნა [დავითს] ურიცხვი [სიმდიდრე] და სთხოვდა, რომ აღარ ეთქვა მის შესახებ ცუდი.

დაბრუნებულ [დავითს] მიეგებნენ ქართლის საზღვართან სრულიად საქართველოს დიდებულები. დავითი მივიდა ნოინებთან და მათ კეთილად მიიღეს და პატივი სცეს, თუმცა მასაც ვერ დაუმტკიცეს მეფობა და გაგზავნეს ისიც ბიჩოსთან. მას თავისი დიდებულები ნაჰყვნენ. ბიჩოს წინაშე მისული დავითი [მან] დიდი პატივით მიიღო, მაგრამ მეფობა ვერც მან დაუმტკიცა და გაგზავნა მანგუ-ყაენთან. მანაც პატივით მიიღო და იქ დახვდა დავით რუსუდანის ძე. [ორივენი] იმყოფებოდნენ იქ რამდენიმე ხანს.

ნოინებმა კვლავ უხმეს სულთან ყიასდინს, რომელმაც ვერ გაბედა ურჩობა, და ისიც გაგზავნეს ყარაყურუმს, რადგან ყველას იქ გზავნიდნენ, ხოლო ბითუ-ყაენი გზავნიდა მანგუ-ყაენთან. [ქართველი] მეფეები ჯერ-ჯერობით იქ დარჩნენ. მანგუ-ყაენმა გაგზავნა თავისი

ქენი:ერთი ინდოეთს – სახელად ყუბულ და მეორე ბაღდადს – სახელად ულუ. ულუმ გამოიარა ჯეონი, ხვარასანი და შემოვიდა ალმუთს. ამ დროს მოკვდა მანგუ-ყაენი და დასვეს ყაენად მისი ძე ყუბულ. ხოლო ულუ მოვიდა ადრაბაგანს 60000 ჯარით. მოეგებნენ [მას] ოთხივე ნოინი და საქართველოს წარჩინებულნი. ყაენმა ივერიელებს პატივი სცა შეუფერებელი<sup>261</sup> პატივისცემით: ზოგს [უბოძა] მემამიობა<sup>262</sup>, ზოგს – მშვილდისმტვირთველობა და ასე ყველას. შემდეგ მოვიდა ალტაშს და დაჯდა ტახტზე და დალოცა ყველა მისმა მორჩილმა, რადგან თავიდან თუ ოთხი ნოინი განაგებდა საბერძნეთიდან ინდოეთამდე, ახლა ულუ-ყაენი თვითონ განაგებდა.

[212] ამ დროს არავინ იცავდა ეკლესიებს. მოიფიქრა ნიკოლოზ კათალიკოსმა და წავიდა ყაენთან ეკლესიების დაცვის [თხოვნით]. ულუ-ყაენმა კეთილად მიიღო [კათალიკოსი], მისცა წყალობის წიგნი, ჯვარი და კვერთხი ოქროსი. [კათალიკოსი] გაკვირვებული იყო ასეთი მოპყრობით და წამოვიდა შეწყალებული.

ხოლო მეფენი იყვნენ ყუბულ-ყაენთან და ერთმანეთს ეცილებოდნენ მეფობისათვის. დავითისნი ამბობდნენ “არ შეიძლება, რომ მეფობა ეპყრას დედაკაცის ძეს და არა თვითმპყრობელი მეფის ძეს“, ხოლო დავით ნარინის [მომხრენი] იტყოდნენ: „მართალია, დედაკაცი იყო, მაგრამ რუსუდანი მეფე იყო და ძე მეფისა არის ნარინ-დავით, ამიტომ კანონიერია მისი მეფობა“.

როცა გაგრძელდა მათ შორის ცილობა, გამოაგზავნეს ავაგ ათაბაგი და დიდი ზეიმით შერთეს ცოლად მეფეთა ნათესავი, სახელით ესომ და მოვიდა ულუ-ყაენთან.

მან იგი პატივით გაგზავნა თავის მამულში. მიეგებნენ ქართველნი, ხოლო ეგარსლანი არ ჩამოხტა ცხენიდან, რადგან ძალიან გაამპარტავნებული იყო. განრისხდა ავაგი და მათრახი გადაჰკრა თავზე ეგარსლანს, გადმოაგდო ცხენიდან, ავაგის მსახურებმა გახადეს, აბუჩად აიგდეს და ამ დროიდან გახდა დასაცინი.

ხოლო ყაენმა ხალათის სულთანი და ყიასდინიც გამოუშვა, ხოლო მეფენი იქ დარჩნენ. შემდეგ ინება ყუბულ-ყაენმა და გამოგზავნა ორივე მეფე თავის ძმასთან, ულუ-ყაენთან და შეუთვალა, რომ რომელსაც აირჩევს, მას მისცეს მეფობა, ან ორივეს მისცეს. ისინი მოვიდნენ ულუ-ყაენთან, ხოლო მან დიდი პატივი სცა, დაუმტკიცა ორივეს მეფობა და წარმოგზავნა ქართლს. მოეგებნენ [მათ] საქართველოს

ყველა წარჩინებული, შემოვიდნენ თბილისში, მეტეხის ეკლესიაში და დასხდნენ ორივენი ტახტზე, ქორონიკონსა 1244-ს, ქართულით – 464-ს და იკურთხნენ იქვე, თბილისს მეფეებად.

**[213] 65-ე მეფენი დავითი და დავითი. ლაშას ძემ  
იმეფა 25 წელი, ნარინ დავითმა იმეფა 49 წელი.**

მეფობდა ეს ორი დავითი [ერთმანეთის] სიყვარულით და წყალობა თუ სიგელი ორივეს ხელმოწერით გაიცემოდა, მაგრამ მეტი პატივი ჰქონდა დავითს ლაშას ძეობის გამო და ასაკითაც უფროსი იყო. დავით ლაშას ძე იყო ტანადი და წარმოსადეგი, მამაცი მოისარი, ძლიერი მშვილდით, უნაკლო, მართალი, ადვილად დამარწმუნებელი და შემნდობი. ხოლო ძე რუსუდანისა იყო საშუალო ტანისა, ფერმკრთალი, ტკბილად ენაწყლიანი, მშვიდი, მამაცი მხედარი, ფეხმარდი და დამჯერი.

როდესაც გაგრძელდა აღმუთელებზე ლაშქრობა, წარავლინა ულუყაენმა ლაშქარი და მათთან ერთად წავიდა დავით ლაშას ძე. ხოლო შეიტყვეს აღმუთელებმა და დედაბუდიანად, ქონებითურთ წავიდნენ ეგვიპტეს. ულუყაენმა ხელთ იგდო მთელი ხუარასანი, თვითონაც ილაშქრა და სადაც მივიდა, გაანადგურა ურჩინი ისე, რომ 12 დღე ვერ გაჩერდა მძორთა სიმყრალის [გამო]. განსაკუთრებით სპარსელებს ხოცავდნენ, რადგან სიბილწედ მიაჩნდათ მაჰმადის რჯული.

დავითი და დავით ნარინი მუდმივად იმყოფებოდნენ ულუყაენის წინაშე, ხოლო იგი ლაშას ძის მოყვარული იყო და რუსუდანის ძის მოძულე. როცა [ისინი] იყვნენ აღტაშს, შეიპყრო ულუყაენმა ნარინ-დავითი და გაგზავნა ბარდავს, მაგრამ, როცა ნახჭევანს მიაღწია, გაიქცა დავითი აფხაზეთში, ხოლო დავით ლაშას ძე იყო თბილისში. დავითმა მიაღწია ავაგის ქვეყანას და წაიყვანა [იგი] სუმბატ ორბელიანმა თავის სახლში. ევედრა მას დავითი, რომ არ გაეცა და აჩუქა ძვირფასი ქვა. [სუმბატმა] გაგზავნა იგი აფხაზეთს და [დავითი] მივიდა ლიპარიტ თორელთან. ლიპარიტმა უძღვნა ცხენი და შესამოსელი და წაიყვანა ქუთაისს. მისი მოსვლის გამო ძალიან გაიხარეს იმერთა, [214] ყველანი შეიკრიბნენ და აკურთხეს მეფედ. ამ დროიდან გაიყო საქართველო ორ სამეფოდ, რადგან ამერნი დარჩა ლაშას ძეს და იმერნი – ნარინ-დავითს და იწოდა იმერთა და არა აფხაზთა [მეფედ], ქორონიკონსა 1246-ს, ქართულით – 466-ს.

ამ ხანებში ბითუ ყაენმა, რომელსაც ეჭირა ხატაეთი დარუბანდამდე და რუსეთი სერბიამდე, იხმო დავით ლაშას ძე თავისთან, ხოლო დავითი წავიდა და დატოვა ჯიგრა-ხათუნ დედოფალი და მმართველად ჯიქური. ჯიქური იყო კაცი კეთილი, მის დროს არ მოიძებნებოდა [ქვეყანაში] ქურდი და ავაზაკი. ასევე მიანდო ქვეყნის მხარეები თავ-თავიანთ მთავრებს, რომ ემსახურონ დედოფალსა და მორჩილებდნენ ჯიქურს.

იყო რა მეფე ბითუსთან, ეგონა პანკისის ერისთავს თორღულს, რომ მეფე ველარ დაბრუნდებოდა, განდგა და აღარ მორჩილებდა ჯიქურს. ხოლო როდესაც წყალობა უყო ყაენმა დავით მეფეს, მისცა სურგუჯი, რომელიც არის „მაჩრდილობელი“, რომელსაც გარდა ყაენთაგანისა, ვერავინ იქონიებდა, და შემოუთვალა ულუ-ყაენს, რომ პატივი სცეს დავითს [უფრო] მეტად, ვიდრე ყველა ნოინს. დავითი მოვიდა, მიეგებნენ ყველა წარჩინებული (არ მოვიდა თორღული შიშის გამო) და შემოვიდა დავითი თბილისს, ქორონიკონსა – 1247-ს, ქართულით – 467-ს. შეიტყო რა მეფემ, მრავალჯერ იხმო თორღული, მაგრამ მან არ ისურვა მოსვლა, ამიტომ ჯიქურმა გაგზავნა ხორნაბუჯელი. მან ალავერდის წმინდა გიორგის წინაშე ფიცით აღუთქვა და მოიყვანა ტაბახმელას მეფის წინაშე. მაგრამ ჯიქურმა დედოფლის სურვილით, მეფის გარეშე, არად ჩააგდო ფიცი, წაიყვანეს თორღული და გადააგდეს კლდეკარზე. [215] ნახე! ხორნაბუჯელი ერთი წლის განმავლობაში თავის ორი ძმით მოკვდა წმინდა გიორგის შურისძიებით. ხოლო მეფემ მოაგვარა ყოველგვარი უნესრიგობა და წავიდა ულუ-ყაენთან დიდი ძღვნით. მან პატივით მიიღო და ყველა ნოინზე მალლა დააყენა.

ამ ხანებში გაილაშქრა ულუ-ყაენმა ბაბილონის ხალიფაზე, ხოლო ხალიფა ვერ შეენინა აღმდეგა, და შევიდა ქალაქში. ქალაქის ერთი მხრიდან მოადგა ულუ-ყაენი, ხოლო მეორე მხრიდან – ენგონ ნოინი, მესამე მხრიდან – დავით მეფე საქართველოს მხედრობით. მაშინ დავითმა უბრძანა თავის ლაშქარს გალავნის მოთხრა. ასე გააკეთეს ქართველებმა და მეთორმეტე დღეს შევიდნენ, დახოცეს შიგ მყოფნი და გაარღვიეს კარები, ხოლო შემდეგ შევიდნენ თათარნი. ხალიფა აპირებდა ნავით გაქცევას, მაგრამ, რომ შეიტყო, ვერ წავიდოდა, კვლავ თავისსავე სასახლეში შებრუნდა. თათრებმა ეს დიდი ქალაქი მოაოხრეს, ქუჩები და გზები მკვდრებით იყო სავსე. გამოიყვანეს ხალიფაც სახლეულითურთ და მოიყვანეს ყაენთან თაყვანის საცემად, მაგრამ რამდენჯერაც დახრიდნენ, იგი გულალმა ეცემოდა: „თუ გამიმ-

ვებს, თაყვანს ვცემ, და თუ არა-არა“. გაიყვანეს [ხალიფა] გარეთ და უთხრეს: „შეგინყალა ყაენმა“, ხოლო იგი ეკითხებოდა – „როგორ“? და მიუგეს: „შენ მოგკლავს თვით ყაენი, ხოლო შენს ძეს – მისი ძე“. მან მიუგო: „თუ მომკლავს, გინდა მან, გინდა ძალღმა მომკლას“. შემდეგ დახოცეს ისინიც და მოქალაქენიც, ხოლო თათარნი და ქართველნი აივსნენ ნადავლით და ოქროს, ვერცხლის და ძვირფასი ქვების გარდა არაფერს იღებდნენ. შემდეგ ბაბილონელთა დარჩენილი ნაწილი დაინდეს, ხოცვა-ჟლეტვა შეწყვიტეს, თავისიანები ჩააყენეს და ნამოვიდა ულუ-ყაენი, ხოლო მეფე ყაენის ნებართვით ჩამოვიდა თბილისს, ქორონიკონსა 1248-ს, ქართულით – 468-ს.

ამავე წელს მოვიდა ქვეყნის აღსაწერად არღუნი, რომელიც [216] ბითუ ყაენს გამოეგზავნა. მან აღწერა მთელი საბრძანებელი ყაენისა და მოვიდა ულუ ყაენთან. მან გამოგზავნა ქართლს ყველაფრის აღსაწერად. მოვიდა არღუნი და აღწერა მინა, ვენახი, საქონელი, ბოსტნები, ბაღები და ნისქვილები, ათ კომლ გლეხზე მეთათე მოლაშქრედ წამსვლელი და მოვიდა ულუ ყაენთან. გამოვიდა, რომ დავითის სამეფოდან 400000 უნდა წასულიყო მოლაშქრედ. შეიქნა დიდი გასაჭირი საქართველოში, ხოლო სამღვდლოება გაანთავისუფლა [ამ ვალდებულებათაგან] და სხვათა სჯულის მოთავენიც. [ამის შემდეგ არღუნი] წავიდა საბერძნეთს.

ამის შემდეგ ყაენი მისრეთს წავიდა და წაიყვანა დავით მეფე თავისი ლაშქრით. მისულებმა იწყეს შუამდინარეთისა და შამის მოოხრება. მათ მოეგება ეგვიპტის სულთანი მდინარე ევფრატთან. თათრებმა გაიარეს ევფრატი, ხოლო წინამბრძოლნი იყვნენ მეფე და ქართველები. შეიბნენ და დახოცეს ურიცხვნი და გარბოდნენ ეგვიპტელები. ულუ-ყაენი დარჩა იქ, სადაც იყო მცირე ქალაქი, გამაგრებული უკან კლდით და წინ მდინარით. როცა ყაენი უძღური შეიქნა ბრძოლისათვის, ბრძანა: დილაადრიან მთელი ჯარი ამხედრებულიყო, ქალაქს შემორტყმოდნენ და ძაღლებივით ყმუილი დაეწყოთ. როდესაც ასე გააკეთეს, გასკდა კლდე და ნახევარი ქალაქი წყალმა წაიღო, დარჩენილს შეესივნენ თათარნი, დახოცეს ურჩნი და დაიპყრეს. შემდეგ წამოვიდა შამს და შუამდინარეს შემოეგებნენ მას ყველანი დიდი ძღვენით. მაშინ დავითი ევედრა ყაენს, რომ გაეშვა თავის სამეფოში. ნება დართო ყაენმა და [იგი] მოვიდა თბილისს დიდი ნადავლით, ქორონიკონსა 1249-ს, ქართულით – 469-ს.

მწუხარე იყო ყველა წარჩინებული, რადგან ჯიგრა-ხათუნმა არ უშვა მეფეს შვილი, ამიტომ მეფემ მოიყვანა ოსთა მეფის ასული, კეთილ-სახ-

იანი და დადო პირობა, რომ როდესაც შობს ძეს, [217] აღარ გაიზიაროს სარეცელი მასთან. ქორნილის შემდეგ ოსთა მეფის ასულმა – ალთუნმა შვა გიორგი, ქორნიკონსა 1250-ს, ქართულით-470-ს.

გიორგი მოიყვანა ჯიგრა-ხათუნმა თავის შვილად და ზრდიდა მას. კვლავ უშვა ალთუნმა მეფეს ასული თამარი და იმ დროიდან განეშორა ალთუნს მეფე. შემდეგ მოკვდა დედოფალი ჯიგრა-ხათუნი, მერე წავიდა მეფე ყაენთან და დაყო იქ რამოდენიმე ხანი. მერე უბრძანა ყაენმა მეფეს, გაემზადებინა მისი ჯარი მისრელებზე [სალაშქროდ]. წამოვიდა მეფე და მოვიდა ავაგ სპასალარის სახლში, რადგან მომკვდარიყო ავაგი და არ დარჩა ძე, არამედ ასული ხუაშაგ. ავაგის დამტირებელმა მეფემ იხილა ავაგის ცოლი გვანცა და გაუმიჯნურდა მას, შემდეგ [კი] მოიყვანა და იქორწინა. ხოლო ავაგის ასული და ავაგის სახლი ჩააბარა სადუნ მანკაბერს. მეფემ დააორსულა გვანცა და მან უშვა ძე დიმიტრი, ქორნიკონსა 1256-ს, ქართულით – 476-ს.

ჯიქურს აუტანლად მიაჩნდა გვანცას დედოფლობა. ამიტომ იგი დაასმინეს მეფესთან სუმბატ ორბელიანის მცდელობით. დავითმა აღარ გამოიკითხა და, რადგან მალემრწმენი იყო, გადააგდო ჯიქური ისნიდან მტკვარში. დილით ნახეს [იგი] რიყეზე მდებარე. ხალხი გაკვირვებული იყო და მოითხოვეს ღარიბებმა [მისი] დასაფლავება, რადგან არავინ ჰყავდა მათ გარდა და მათთვის მას მრავალი სიკეთე გაეკეთებინა. მისცა მეფემ იგი მათ და დაასაფლავეს ღარიბებმა.

ულუ-ყაენმა როდესაც მისრეთს ლაშქრობა მოისურვა, მოსწერა დავით მეფეს. იყო დიდი წუხილი ლაშქრობათა და ხარკის [გამო], რომელიც დაენესებინა არღუნს და დაედგინა ხოჯა აზიზი, რომელიც მეფის სამზარეულოდანაც კი იღებდა ხარკს. ამიტომ შეწუხებული მეფე მოვიდა ჯავახეთს და გადაწყვიტა განდგომა [218] ყაენისაგან: წავიდეს თუ არა. ხოლო დიდებულთა ნაწილმა ურჩიეა წასვლა, ხოლო ზოგმა – განდგომა. მეფემ ნება მისცა დიდებულებს, ვისაც სურდა, წასულიყო ყაენთან, ხოლო, რომელთაც სურდათ, მასთან დარჩენილიყვნენ.

მობრუნდა მეფე და მოვიდა სარგის ჯაყელ-ციხისჯვარელთან, ხოლო დანარჩენი ქართველობა წავიდა ყაენთან. იმყოფებოდა მეფე სამცხეს და მასპინძლობდა მას სარგისი.

გაზაფხულზე ყაენი დაბრუნდა მისრეთიდან გამარჯვებული, სადაც მამაცურად იბრძოდნენ იქ მყოფი ქართველნი. იკითხა ყაენმა დავით მეფის ამბავი და შეიტყო [მისი] განდგომილება. წარმოავლინა არღუნი

20000 მხედრით და იქ მასთან მყოფი ქართველებიც. ხოლო მეფემ შეკრიბა მესხნი და შავშ-კლარჯნი 8000 მხედარი, გამოგზავნა და დადგნენ მტკვრის ხეობაში. არლუნმა გაგზავნა 6000 მხედარი და შეებრძოლნენ მესხნი 500 მხედრით შოლის პირას, გააქციეს მესხებმა თათრები და დახოცეს. ხოლო დარჩენილმა ნაწილმა შეაფარა თავი შანდარას, არლუნის მხედრებს. შეიტყო სარგისმა, ისწრაფა და იხილა რა არლუნმა, დააპირა გაქცევა, მაგრამ მასთან მყოფი ქართველები აკავებდნენ და ეუბნებოდნენ: „ჩვენ ვიცით მათი ბრძოლა“, მობრუნდნენ და გამართეს ბრძოლა. კვლავ გაიქცნენ თათრები, მაგრამ გული გაუტყდათ მესხებს სიმცირის გამო, ხოლო თათარნი მათი ჩვეულებისამებრ უკან დაბრუნდნენ, დახოცეს მესხები და სარგისი მცირე ჯარით მოვიდა მეფესთან. არლუნი წავიდა გამარჯვებული სასტიკი ზამთრისაგან, რადგან იყო დეკემბერი.

შემდეგ მეფე წავიდა შავშეთ-კლარჯეთში და იქ იმყოფებოდა. კვლავ მოვიდა არლუნი ივნისში, მოაოხრა სამცხე და მიადგა ციხისჯვარს. დიდი ზიანი მიაყენეს თათრებს ციხიდან, მაგრამ ვერ გაანადგურეს, მოუსწრო მათ ყაენის ამბავმა, გაბრუნდნენ და დაიხსნა ღმერთმა მესხები აოხრებისაგან.

[219] ხოლო მაშინ ურჩია მეფეს სარგის ჯაყელმა ასე: „რადგან ორივესია იმერეთის სამეფო, მოვიდეს იქ“. დავით ნარინმა კარგად მიიღო სტუმრად მისული დავითი. თუმცა იქ დავითი პატივისცემაში იყო, მაგრამ თავს მაინც უცხოვად გრძნობდა. ამიტომ იმერნი გაიყვნენ: ზოგმა დავითი ისურვა მეფედ და ზოგმა – ნარინ-დავითი. შეიქნა არეულობა მცირე დროით და არც გასამრჯელო ეძლეოდა ლაშქარს. ბედიელი<sup>263</sup> დარჩა ნარინ-დავითის ერთგულად. იგი იყო კაცი კეთილი, მის დროს ოდიშში ვერ იპოვიდით მპარავ-ავაზაკს. ამიტომ მეფეებმა გაიყვეს ქვეყნები და ქალაქები – ქუთაისი და თბილისი – ორად, სამეფო ორად, საგანძური – ორად, მაგრამ ხვამლის<sup>264</sup> გამოქვაბულში რაც იყო, მცირედი გაიყვეს და სხვა იქვე დატოვეს. ხოლო სადღესასწაულო აბჯარი, თვალი პატიოსანი და ფასდაუდებელი მარგალიტი დარჩა ნარინ-დავითს. ასე გაიყო ორ სამეფოდ [საქართველო], ქორონიკონსა 1259-ს, ქართულით – 479-ს. ამერნი დარჩნენ უმეფოდ.

შენყდა ლაშქრობა და მსახურობა თათართა. ამიტომ ინება ყაენმა ზავი მეფესთან, რადგან დედოფალი გვანცა თავისი ძით – დიმიტრით ურდოში იყო წაყვანილი ტყვედ. ნოინის ცოლს კალთაში ჩაესვა ყრმა დიმიტრი და მყის გაღებოდა საშო ორსულს და ეშვა ძე. რადგან ის

დედაკაცი უშვილო ყოფილა და შვილიერი იქმნა, ამიტომ დიდ პატივს მიაგებდა გვანცას და დიმიტრის. ყაენმა უბრძანა ამ ნოინს, რომ მეფეს გაუგზავნოს ზავის პირობა; გამოგზავნილი მოვიდა მეფის წინაშე, ხოლო [მეფემ] ამცნო: „ჩემი განდგომის მიზეზი იყო ხოჯა აზიზი. ახლა მომეცით იგი, გამოგზავნი ყაენის წინაშე [220] ჩემ ძეს გიორგის და იგი ყოს ყაენმა მეფედ, ასევე მომეცით გვანცა და დიმიტრიც, ჩემი ძე“. მოისმინა ყაენმა და ფიცით დაუმტკიცა: „თუ მეფე მოვა, მივცემ ხოჯა აზიზს“ და შუამავლად ყაენმა დანიშნა ენუქარქუნი, რომელიც იყო კაცი კეთილი და ქრისტიანი. ის მივიდა მეფესთან და აღუთქვა ფიცით და წაიყვანა მეფის ძე გიორგი. თბილისში ჩასულებს მიეგებნენ ამერთა ყველა წარჩინებული და ბადინი<sup>265</sup>, რომელსაც არღუნმა ჩააბარა თბილისი და თითქმის მეფობა. მან მიაერთა გიორგის ურიცხვი [სარქუარი]. შემდეგ მივიდნენ ურდოში ტონლულ-ხათუნთან, რომელიც იყო კეისრის ასული. მან გიორგი შეიყვარა და პატივი სცა, შემდეგ შეიყვანა ყაენის წინაშე. ყაენმაც პატივი სცა, მისცა მეფობა [ყაენმა] და კვლავ გაგზავნა [კაცი], რომ მეფეც მოსულიყო [მასთან], მაგრამ მეფე იმიზეზებდა ხოჯა აზიზს. განყრა ყაენი არღუნის ჩაგონებით, რადგან მას უმძიმდა ხოჯა აზიზის მიცემა და ბრძანა გიორგის მოკვლა. შეიტყო ეს ენუქარქუნმა და სასწრაფოდ შევიდა ტონლულ-ხათუნთან და აუწყა ეს [ამბავი], ხოლო იგი მყის წარდგა ყაენის წინაშე და მოახსენა: „რა არის დიდო ყაენო, რომ სტევ ფიცს ერთი სპარსელისა გამო და აღძრავ შფოთს? არ იცი, წინასწარმეტყველები, რომელთაც ღმერთი ესაუბრებოდა, ბაგრატიონთა ნათესავნი არიან და შენ სიკვდილი გიბრძანებია? იცოდე, რომ დიდი ბათოს დესპანი დავით მეფის წინაშე არიან და სთხოვს დარიელას გზას და თუ მეფე ამას იზამს, ატყდება დიდი შფოთი“.

მაშინ ყაენმა მოიყვანა გიორგი, მისცა მეფობა და ჩააბარა ტონლულ-ხათუნს და უთხრა: „გაგზავნე გიორგი, დიმიტრი, გვანცა, მოიყვანეთ დავით მეფე, მიეცით ხოჯა აზიზიც და ფიცით დაარწმუნეთ მეფის უვნებლობა“. ენუქარქუნმა წამოიყვანა ორივე ძე მეფისა და მოვიდა ქვიშხეთის ბოლოს, მიაერთა დავით მეფეს ძენი და ხოჯა აზიზიც, რომელსაც მეფემ იმ წამსვე თავი მოჰკვეთა, გაგზავნა თბილისს და იქ დაჰკიდეს ძელზე. მეფე წაჰყვა ენუქარქუნს და [221] მოეგებნენ მას მისი დიდებულები. ხოლო სარგის ჯაყელს ებრძანა, რომ ყაენს არ ნდობოდა. სარგისი ამბობდა: „მეფეს რომ რაიმე ევნოს, ჩემი ბრალი იქნება“ და დაუმატა: „რადგან სარგისმა ქმნა განდგომა, ახლა ვიტანჯო მასთან

ერთად და დავრჩები მასთან“ და გაჰყვა მეფეს. მეფე მაღლიერი იყო და უბოძა [მას] ქუბლოვანი და ტბეთის ეკლესია. შემდეგ მივიდნენ ბარდას ყაენის წინაშე. მისულ მეფეს ყაენმა მისცა ღვინით სავსე თასი (რადგან მათი წესი იყო) და ჰკითხა განდგომილების მიზეზი, მაგრამ მეფე ენა-ბლუ იყო, შეხედა სარგისს ხოლო სარგისი წამოდგა და უშიშრად მოახსენებდა განდგომის მიზეზს. ყაენმა ჰკითხა: „შენ ხარ პაპა, სარგის?“ და მან მიუგო „მე ვარ, დიდო ყაენო“. და როცა ფიქრობდნენ და არ იცოდნენ, თუ რა დაემართებოდათ, იხსნა ღმერთმან თავისი ერი, რადგან შემოვიდა შიკრიკი და თქვა: „არ არის დრო ფიქრისა, რადგან გამოვიდა დიდძალი ულუსი და მიდის ყაენი ბერქა დარუბანდის გზით“. ამის მსმენელმა ულუ-ყაენმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი ჯარი, წავიდა და თან წაიყვანა დავით მეფე ქართველებითურთ. მეფემ ითხოვა და წინა რიგებში ჩადგა, ხოლო სარგისი ყაენმა დაიტოვა. როცა რაზმი გაემზადა და გაემართა, რაზმის წინ გამოხტა კურდღელი, მოკლა [იგი იარაღით] სარგისმა, კვლავ გამოხტა მელა და ისიც მოკლა სარგისმა, შემდეგ გამოხტა შველი [ისიც] მოკლა სარგისმავე. გაუკვირდა ყაენს და შეიყვარა სარგისი ძლიერ.

ხოლო, როდესაც რაზმები მიუახლოვდნენ ერთმანეთს, იქიდან ერთი საშინლად დიდი კაცი გამოვიდა, რომელმაც მეფის მხედრობა შეაშინა. მეფემ გაანაპირა ცხენი, სტყორცნა ისარი ამ კაცს, ჰკრა [შუბი?] მის ცხენს მკერდში და დაეცა ცხენი. გამხნევებულმა ქართველებმა შეუტიეს და გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა და დაიხოცნენ უამრავნი ორივე მხრიდან. ხოლო, სადაც სარგისი იბრძოდა შეუპოვრად ყაენთან ერთად, გარბოდნენ ბექას მემომრები და დაედევნა მათ ყაენი მხოლოდ ოთხი კაციით. ულუ-ყაენს თავს დაესხა მტრის შვიდი შეიარაღებული [მეომარი]. შეუტია სარგისმა სამი მონით, ოთხი მოკლა, ხოლო სამი გაექცა. [222] ამას უცქერდა თვით ყაენი.

ხოლო გაქცეულ ბერქას ლაშქარს სამი დღე სდიეს, გაიარეს დარუბანდი და უამრავი დახოცეს, შემდეგ შემობრუნდნენ და მოვიდნენ ბარდას. ყაენმა მეფეს და მის მხედრობას დიდი პატივი სცა და დაასაჩუქრა, ხოლო სარგისს მისცა კარნუ-ქალაქი [თავის] შემოგარენით. ეს შეშურდათ სხვებს და უთხრეს მეფეს: „ალარ იქნება შენი მორჩილი სარგისი“. ირწმუნა მეფემ, რადგან გულუბრყვილო იყო და უთხრა ენგინ ნოინს: „თუ მისცემს ყაენი სარგისს კარნუს, მისცეს მეფობაც“. გაუკვირდა ენგინ ნოინს და ეტყოდა: „შენი მსახურებისათვის მისცა და, თუ გნებავს,

აღარ მისცემს“. ყაენს მოახსენეს და აღარ აჩუქა სარგისს კარნუ, ხოლო, როდესაც აუწყა ეს სარგისს, გულნატკენი იქმნა მეფეზე. შემდეგ წამოვიდა მეფე თავის მხედრობით და მოვიდა თავის სახლში.

ამ დროს ყაენს განუდგა ზაქარია შანშეს ძე და წავიდა ნარინ-და-ვიტის წინაშე, შემდეგ გადმოიბირა ზაქარია და მოკლა ზაქარია. შემდეგ მოკვდა შანშეც მწუხარებითა და გვანცა დედოფალიც მოკვდა – თათრებში თავის ასულმა ხვაშაქმა მოწამლა. ხოლო მეფემ იქორწინა დიდი ნოინის, წორმალის ასულ ესუქანზე თბილისში დიდი ზეიმით, ქორონიკონსა 1263-ს, ქართულით – 489-ს.

ამ ხანებში გადმოვიდა ბერქასაგან გამოქცეული უცნაური დედაკაცი [შვილებით და დიდებულებით] და მოვიდა დავითის წინაშე. ხოლო მეფემ პატივით შეინწყნარა და გაგზავნა ულუ-ყაენის წინაშე, მანაც პატივი სცა და კვლავ გამოგზავნა მეფესთანვე. ხოლო მეფემ გაყო და დაასახლა დბანისს და ჟინვანს, ქართლს.

[223] შემდგომ, როდესაც რთველის [დრო დადგა], ყაენი წავიდა შირვანს, თეთრი წყლის პირას, შეკრა ღობე – სიბა<sup>266</sup> და ელოდნენ ბერქა ყაენის შემოსევას. ამ დროიდან დადგნენ სიბაზე და გაზაფხულზე მოდიოდნენ გელაქუნს. მაშინ ულუ-ყაენმა შეიპყრო ყაენის სამი ძე და დახოცა ისინი. შეიტყო რა საბერძნეთს მყოფმა მისმა ლაშქარმა, შეიკრიბნენ, გამოიარეს საბერძნეთი, ბასიანი, ტაო, არტაანი, სამცხე, ჯავახეთი, ქართლი, სომხითი, რანი და შევიდნენ ღუნზუსს, გაიარეს იგიც და მივიდნენ ბერქა ყაენის წინაშე. ამდენი ქვეყნის [გავლისას] ყველანი ყველგან იბრძოდა [და] მუდამ ყველას ამარცხებდნენ. ხოლო გამზადებულებმა გაიგეს ბერქა ყაენის გამოსვლა, მაგრამ ამათ შეკრეს ღობე (სიბა) თეთრ წყალზე ულუ-ყაენის ბრძანებით.

ამ დროს აღზევდა ჭყონდიდელი ბასილი და დაანესა გადასახადი, როგორც მეფემ და ესუქან დედოფლის საყვარელი გახდა. იგი დაასმინეს მეფესთან და მყის მოიკლა მისგან და ჩამოკიდეს ძელზე შუა ქალაქში, რადგან მეფე მართალი იყო. რთველის შემდეგ წავიდა მეფე სიბას. იქიდან გაზაფხულზე გელაქუნს მივიდა და სთხოვა ულუ-ყაენის ძეს, თანგუშს, რომ თბილისში გაეშვა [მას]. ნება დართეს და წამოვიდა მეფე თბილისს.

მაშინ მოკვდა ულუ-ყაენი და დასვეს ყაენად აბალა. იგი იყო ფრიად კეთილი. ის ამბობდა, რომ „ღმერთმა ქვეყნის მპყრობელად დამადგინა, რასაც ვინმეს არ მივცემ, არცა რას მოვაკლებ“. მან საგანძურის

მრავალ მპარავს შეუნდო. აბალამ დაიმორჩილა მამამისის ყველა საბრ-  
ძანებელი და დავით მეფეც ეახლა მას, ხოლო მან პატივით მიიღო.

ამ დროს გამოემართა ბერქა ყაენი დარუბანდის გზით. შეიტყო ეს  
აბალა ყაენმა, შემოიკრიბა თავისი მხედრობის სიმრავლე და გაამაგრა  
მტკვრისა და არაზის ნაპირები მცხეთამდე. მოვიდა ბერქა, მოაოხრა  
მოვაკანი და [224] ჰერეთი თბილისამდე, ხოლო თვითონ დადგა გარე-  
ჯის მთაზე. შეინყალა ღმერთმა [ჩუენი] ქვეყანა და მოკვდა ყაენი,  
ნაიღეს იგი მისმა მხედრობამ და ნავიდნენ.

მოვიდა რა შემოდგომა, მეფე სიბაზე იხმეს. მეფის დაძახებაზე სარ-  
გის ჯაყელიც მოვიდა თბილისს. მეფეს ეგონა, რომ სარგისი განუდგა,  
შეიპყრო იგი და აღარ გაიხსენა მისი მსახურება და კეთილი საქმენი.  
ხოლო სარგისის აღზრდილები გაიქცნენ ყაენთან. ყაენმა მეფეს აცნო-  
ბა, რომ სარგისი გაენთავისუფლებინა და [მანაც] გაუშვა. ამ დროიდან  
დაიწყო მესხთა განდგომილება მეფე გიორგი ბრწყინვალის [გამეფე-  
ბამდე].

მეფე ჯერ არ იყო სიბას წასული, რომ დასნეულდა მისი ძე გიორ-  
გი, იგი სულთმობრძავი იდგა, როგორც მკვდარი. მაშინ გაახსენდა  
მეფეს დბანისის ღვთისმშობლის ხატი, ნავიდა ფეხშიშველი და მოაბრ-  
ძანა ხატი, დაადგა თავის ძეს. მყის განიკურნა [გიორგი] და წამოდგა.  
ფრიად გაკვირვებულნი იყვნენ ამის მხილველნი. მერე [მეფე] ნავიდა  
სიბას და როცა დაბრუნდა იქიდან, თვითონ მეფე დასნეულდა მუცლის  
სენით. რადგან მკურნალნი უიმედონი იქნენ, მოაყვანიდა მარტყოფის  
ხელთუქმნელი ხატი და შეხებისთანავე განიკურნა მეფე და მოვიდა  
თბილისს, იხარებდა და მეფობდა ყველაზე კეთილად, თუმცა საქართ-  
ველოს იმ ერისთავებს ვერ სცვლიდა, [რომლებიც] ყაენს მოსწონდა:  
ნათქვამია, რომ განდგა დავით, როგორც წერია, სოლომონის სიბერის  
დროს, რადგან მიჰყო ხელი ეკლესიების მამულებისა და შეწირულო-  
ბათა მოშლას, ამიტომ მხილებულ იქნა ღვთის მიერ, რადგან კვლავ  
დასნეულდა მისი ძე გიორგი მეფის სიბას ყოფნაში და [225] მოკვდა,  
ქორონიკონსა 1268-ს, ქართულით – 488-ს. ხოლო სიბიდან დაბრუნებ-  
ული მეფე ძლიერ მწუხარე შეიქმნა თავისი ძის გამო და ამ დროიდან  
იგი მუდამ ავადმყოფობდა.

ამავე ხანებში განხეთქილება დაიწყო თათართა [შორის], რადგან  
თენგუთარს შეშურდა აბალას ყაენობა და მისწერა თავის ძმას – ბარხ-  
ას, რომელიც იყო თურანს, რომ წამოვიდეს და მოსპოს აბალა ყაენი.

მან წერილი ჩადო ისრის თავში და გაგზავნა, ხოლო ბარხამ შეხვედრა დაუთქვა (მოუწერა), მაგრამ მწერალს შეცდომა მოუვიდა სამი თვით. თენგუთარ გავიდა თავისი ლაშქრით მცდარ პაემანზე. მოვიდა და დადგა სამცხის მთაზე. იქიდან გამოაგზავნა 12000 მხედარი, რომ მოესპოთ და მოეოხრებინათ იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, რადგან ეგონათ, რომ [იშოვნიდნენ] ურიცხვ სიმდიდრეს. მაშინ მოუვლინა მათ წინამორბედმა სქელი სიბნელე, ამასთანავე სეტყვა და მძაფრი წვიმა, ხევი აავსო წყლით და გაიტაცა მხედრები და ყველანი ზღვაში [ჩაიტანა]. მაცნედ მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა, რომელმაც აუწყა თენგუთარს, რომ ადგილი ღვთის არისო და არა შესაბრძოლებელი.

ხოლო აბალა ყაენმა წარმოავლინა ლაშქარი და სირმონ ნოინი მის მხედართმთავრად. მოვიდა იგი თენგუთარზე და იბრძოდა ძლიერად. ველარ გაუმკლავდა თენგუთარი სირმონს, წავიდა და განვლო ჭოროხი და აჭარის მთაზე გაუსკდა მთა და 1000-მდე მხედარი ოჯახებიანად ჩაინთქა. თენგუთარი შევიდა აფხაზეთს, მოეგება ნარინ-დავითი, ისტუმრა კეთილად და ნადიმზე დაუდვა 500 ძროხა, გარდა ღორებისა და ცხვრებისა და ლაშქრის საჭმელად მისცა 600 ცხენი, 1500 ძროხა, 1000 ცხვარი, 1000 ღორი, ხოლო ღვინო უამრავი ჭურებით და ურმებით, რაც უკვირდათ თათრებს. დავით მეფის ცოლმა, რომელიც იყო [226] კეისარ მიხეილ პოლეოლოგის ასული, თენგუთარის ცოლს უმასპინძლა.

შემდეგ აბალა ყაენმა შეიტყო ბარხა-ყაენის მოსვლა ხვარასანს. [აბალა] წავიდა და წაიყვანა დავით მეფე თავისი მხედრობით. შეებრძოლენ ერთმანეთს ორი ლაშქარი, სადაც მეფე თავისი მხედრობით წინამბრძოლი იყო. გააქციეს ბარხა-ყაენი და დახოცეს მისი ურიცხვი მეომარი და შემობრუნდნენ გამარჯვებულნი. მაგრამ ბარხა-ყაენის იქ ყოფნაში გადმოვიდა თენგუთარი და დადგა ლომისის თავს, ლადოზე და არბევდა სამცხესა და ქართლს. შეიკრიბნენ მარბეველთა წინააღმდეგ მესხნი და თორეღნი, მაგრამ გააქციეს მესხები და დახოცეს მრავალი და მოვიდნენ თენგუთართან. ამიტომ მოსული აბალა-ყაენი ევედრა ნარინ-დავითს და დიდ საჩუქრებსაც დაპირდა, რომ აღარ შეუშვას თენგუთარი აფხაზეთში. ხოლო დავითმა აღუთქვა ყაენს და ჩახერგა გზები. მაშინ აბალამ გამოგზავნა იგივე სირმონ ნოინი. იგი მოვიდა და შეებრძოლა თენგუთარს, მრავალჯერ სძლია და რადგან სხვა გზა აღარ ჰქონდა თენგუთარს, მოვიდა სირმონ ნოინთან და მან მიიყვანა აბალა-ყაენის წინაშე. [მან] არაფერი ავნო და გაგზავნა პატიმრად, [თუმცა] პატივით, ხოლო ნარინ-დავითს

უბოძა ურიცხვი საჩუქარი. შემდეგ წავიდა აბალა სიბას და წაიყვანა მეფე ლაშქრითურთ და ზაფხულის ბოლოს წამოსულ დავით მეფეს გზაში შეეყარამუცლის ავადმყოფობა და მკურნალებმა ვერ შეძლეს მისი განკურნება. ხოლო მეფემ კვლავ მოითხოვა მარტყოფის ხატი, მაგრამ აღარ ჰყო შვება იმიტომ, რომ დააკლო დავითმა მსახურება ღმერთს და გარდაიცვალა დავით მეფე, ქორონიკონსა 1269-ს, ქართულით – 489-ს. ამბობენ, რომ დედოფალმა ესუქანმა მოწამლაო ბასილისათვის შურისძიების გამო. დარჩა [227] მეფედ დავითის ძე დიმიტრი თბილისში. მაშინ ალალური და რაჭის ერისთავი კახაბერი შეითქვენენ, განუდგნენ ნარინ-დავითს და მივიდნენ ალიყან ბაადურთან, რომელიც იდგა ჯავახეთის მთაზე. ალიყანმა აცნობა ყაენს და მიიყვანა ისინი ყაენის წინაშე, ხოლო ყაენმა პატივით მიიღო. შემდეგ შეჰკადრეს ალალურმა და კახაბერმა ყაენს: „ჩვენ ვიციტ გზა, მოგვეცი კარი და ხელში ჩაგიგდებთ ნარინ-დავითს“. მოხარულმა ყაენმა გამოატანა მათ სირმონ ნოინი 30000 მხედრით.

მათ გამოიარეს ჯავახეთი, გადმოიარეს ლიხის მთა და მოულოდნელად თავს დაესხნენ ქუთაისში ნარინ-დავითს, რომელიც ამ დროს აბანოში იმყოფებოდა, მაგრამ მეფემ მოასწრო ცხენზე შეჯდომა და გაიქცა. ხოლო თათრებმა მოახრეს ეკლესიები და მრავალი დაატყვევეს, სხვები დახოცეს და უვნებლად დაბრუნდნენ ყაენთან, ხოლო ნარინ-დავითი ძლივს გადარჩა საკვირველებითა ღვთისა. კვლავ, მეორე წელს კახაბერმა დაზვერა ნარინ-დავითი, იხმო სირმონ ნოინი თავდასასხმელად და მოულოდნელად მივიდნენ ქუთაისში. მეფე გაერიდა და აგროვებდა ჯარს. როცა თათრებმა შეიტყვეს მეფის მათზე თავდასხმის [განზრახვა], იმავე დღეს გაეცალნენ ტყვეებით და ნადავლით.

ამ ხანებში ყაენისა და მეფისაგან ყველა წარჩინებულზე მეტად აღზევებული იყო კახაბერ სადუნი. სადუნმა შეკრიბა ყველა დიდებული, წაიყვანეს დავით მეფის ძე დიმიტრი ყაენის წინაშე, იზრუნეს და ითხოვეს მეფედ, ხოლო ყაენმა დაუმტკიცა მეფობა და მთელი საქართველო, გარდა სარგის ჯაყელისა, და გამოატანა სადუნი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ავაგ ათაბაგის ასული ხვაშაგი. ამიტომ დაწინაურებული იყო და ყაენმა ჩააბარა ყველაფერი, ხოლო ავაგის საბდივანი<sup>267</sup> მას უკვე ჰქონდა. მან გაახერხა და მეფეებმა მისცეს მას კარი და მიმდებარე მიწები და ახალციხელის ასული ცოლად მოიყვანა, ამიტომ დიმიტრიმაც მისცა ათაბაგობა. ეს ის სადუნი არის, რომელმაც ჰკადრა ყაენს ურდოში [ყოფნისას]: [228] „აი, აქ ამდენი მხედრობაა და ვინ შემერკინება,

ან დამეჭიდება, ან ვინ სტყორცნის ისარს?“ და ვერავინ გამოჩნდა მისი დარი, ამისთვის სცა პატივი ყაენმა.

დაბრუნებულებთან ერთად თბილისში შეიკრიბნენ: კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულები სომხითარ-ქართველნი, ჰერ-კახნი, ჯავახ-ტაოელ-კლარჯნი და არ იყო სარგის ჯაყელი მესხებით და აკურთხეს მეფედ დიმიტრი, ქორონიკონსა 1272-ს, ხოლო ქართულით – 492-ს.

### **66-ე მეფე დიმიტრი. 17 წელი იმეფა**

დიმიტრი მეფე იყო მამაცი, ახოვანი, მშვენიერი, მხედრობით სრულყოფილი, ღვთისმსახური, მლოცველი და მოწყალე: ღამით თვითონ დადიოდა და თავის ხელით აძლევდა მოწყალებას ღარიბებს, მაგრამ იყო სადუნის გავლენის ქვეშ. სადუნი კეთილად განაგებდა საქართველოს საქმეებს, რადგან მის დროს აღარ იყო თათართა რაიმე ძალმომრეობა; მოშენდა და გამდიდრდა საქართველო. აბალა ყაენმა ინება ეგვიპტეზე გალაშქრება, წაიყვანა ლაშქარი და თან გაიყოლა ქართველები და შეატყობინა საბერძნეთის სულთანს – ფარსმანს (ყიასდინის მონას, ვისაც მისი სიკვდილის შემდეგ მიეტაცა სულთნობა და ასული რუსუდანი – თამარი ცოლად შეერთო), რომ ის მის ლაშქარს დახმარებოდა. როცა ევფრატს მიაღწიეს, ეგვიპტელი სულთნის მიერ შეკრებილი მხედრობა თავს დაესხა თათრებს, მუსრი გაავლო უმრავლესობას და გააქცია. ქართველები მამაცურად იბრძოდნენ იქაც, მაგრამ დაიღუპნენ [მტრის] სიმრავლის გამო. დააბეზლეს ფარსმანი ყაენთან, დამარცხებაში მას დასდვეს ბრალი, შეიპყრო ყაენმა და მოკლა ფარსმანი, ხოლო სულთნობა მისცა ერინჯი ნოინს, რომელიც იყო ონხან ყაენის გვარისა. აწყური მისცეს სარგისს და მის ძეს – ბექას.

[229] ამ დროიდან იწყო დიმიტრი მეფემ სიბას სიარული და აღდგა მოოხრებული ქვეყანაც. ხოლო სიბას მყოფ მეფეს სთხოვეს [თათართა] სადუნის კარნახით დიდი თანხა. მაშინ სადუნმა მოსთხოვა მეფეს ღბანისი და მისცა ის თანხა. მეფემ მისცა ღბანისი და სადუნმა გადაიხადა ის თანხა და კიდევ უფრო გაძლიერდა.

სადუნმა გაათავისუფლა გარეჯის უდაბნონი და სხვაც [გადასახადებისაგან] და მსახურებდა დიმიტრი მეფეს სრული მორჩილებით.

ამ დროსვე გაძლიერდა სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი და მისი ძე ბექა და დაიპყრო ტაშისკარიდან კარნუ ქალაქამდე. [იგი] იყო

ყოველმხრივ ღვთისმსახური, მაგრამ ემსახურებოდა ყაენს და მორჩილებდა დიმიტრი მეფეს.

დიმიტრი მეფემ ცოლად მოიყვანა ტრაპიზონის მეფის ასული და იქორწინა, იგი დაფეხმძიმდა და შვა ძე – დავითი, ქორონიკონსა 1277, ქართულით – 497-ს.

შემდეგ მოვიდა ისევ არღუნ აღმწერელი, რომ გაეგო, მოშენდა თუ არა მოოხრებული ქვეყანა, მაგრამ შეიტყო, რომ ძალიან მოოხრებულია და განსაკუთრებით ჰერეთი (რადგან მოოხრებული იყო ბერქა ყაენის შემოსვლის გამო).

არღუნმა მოითხოვა დიმიტრი მეფის და – თამარი თავისი ძისათვის, რომელსაც დაპირებოდა [ჯერ კიდევ] დავით მეფე. დიმიტრის ეძნელა წარმართისათვის დის წასაბილწად [მიცემა], მაგრამ სხვა რაიმე ღონე არ იყო და მისცა მეფემაც და გადაიხადეს შესაფერისი ქორწილი. ხოლო დიმიტრი მეფეს კვლავ უშვა დედოფალმა ძე ვახტანგი, ქორონიკონსა 1278-ს, ქართულით – 498-ს.

ამ ხანებში ნარინ-დავითმა დაალაგა იმერეთი. რაჭის ერისთავი იმყოფებოდა ატენს, პატივყრილი ყაენისა და მეფისაგან. [იგი] ევედრა ნარინ-დავითს, მან შეინყალა და მისცა რაჭა – მამული მისივე. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ იგი კვლად მიუბრუნდა წუმპეს და მისწერა ალიყანს, რათა მივიდეს და [მან] ადვილად ჩაუგდოს ხელში დავით მეფე. მაგრამ ფუჭი შეიქმნა მისი განზრახვა, როგორც აქიტობელისა<sup>268</sup>. ეს შეიტყო ნარინ-დავითმა, შეიპყრო კახაბერი და თვალები დასთხარა, მერე მოჰკვეთა ხელები და ფეხები, [230] ხოლო მისი ორი ძე კოსტანტინეპოლში გააძევა. მოკვდა [კახაბერი] და ამოიშალა მისი სახსენებელი. ხოლო ყაენმა თავისი ლაშქარი გაგზავნა გილაანს და თან გააყოლა ქართველები დიმიტრი მეფის გარეშე. მისულმა ლაშქარმა ბრძოლა გაუმართა გილანელებს და გააქცია ისინი. შეიტყვეს თათრებმა, რომ ვერ დაიპყრობდნენ მათ სიმაგრეებს, რადგან ისინი ტყით და ჭაობით იყვნენ დაცულნი, მობრუნდნენ და მივიდნენ ყაენის წინაშე გამარჯვებულნი.

ამ ხანებში, როცა ქვეყანა დამშვიდდა და საზრდელი უხვად და იაფად [იმოვნებოდა], იწყეს საქართველოში ლხინი, განცხრომა და საეკლესიო შეწირულობათა მოშლა, განსაკუთრებით [კი] მესხებმა. ამიტომ ამხილებდა მათ ნიკოლოზ კათალიკოსი მანყვერელი და არავინ უსმენდა მათ. გამრავლდა სიბოროტე, რადგან მეფემ მოიყვანა სამი ცოლი და ასევე საღუნმაც. ამის გამო მოიწია ღვთის სამართალი. არ-

ლუნი წამოვიდა სარგისის სანახავად და დაიკავა ქვეყანა არა მოოხრებით, არამედ საზრდელით, და მოვიდა აწყურს. მოეგება [მას] სარგისი და ძე მისი ბექა. არლუნს გაუკვირდა ორივე [მათგანის] მოსვლა მასთან, წამოიყვანა სარგისი და ბექა დატოვა.

არლუნი როცა სომხითს მოვიდა, იძრა მიწა ვნების ხუთშაბათს ჩვენი ცოდვების მხილებისათვის, ასევე პარასკევსა და შაბათს, მაგრამ არავინ იცოდა, როგორ აღეძრა ღმერთი მონყალეზად. აღდგომის დღეს ისე იძრა, რომ დაინგრა ეკლესიები, მონასტრები, მთები, კლდეები და ციხე-ქალაქები, ზოგან კუპრმაც ამოხეთქა. აწყურში ლიტანიობის შემდეგ შუა ეკლესიაში დაასვენეს აწყურის ხატი; ჩამოვარდა გუმბათი და დაეხურა ხატს, როგორც ქუდი, დაუმსხვრევლად, ქორონიკონსა 1283-ს, ქართულით – 506-ს. ამგვარი მიწისძვრა იყო [მხოლოდ] სამცხეში და არსად სხვაგან, მხოლოდ მცხეთა დაინგრა. ხოლო, როცა არლუნი მივიდა ყაენის წინაშე, მოკვდა. მისი ძე დიდადი მოვიდა და თავისი ცოლი თამარი დატოვა მეფესთან, ხოლო [231] თამარი გაიქცა მთიულეთს, რადგან სძულდა წარმართი ქმარი. ეს შეიტყო სადუნმა და წავიდა ყაენთან და სთხოვა თამარი, რათა მიეცა ცოლად, რადგან მას აღარ სურდა არლუნის ძე დიდადი ქმრად. ყაენმა ნება დართო, შემდეგ მეფემაც და იქორწინა სადუნმა თამარზე და უმეტესად გაძლიერდა. ამის გამო დასწყევლა კათალიკოსმა, რადგან მას [უკვე] ჰყავდა სამი ცოლი და არაფერს უჯერებდა კათალიკოსს.

ამავე დროს სარგის ჯაყელი რალაც საქმის [გამო] განუდგა თათრებს. მის წინააღმდეგ გამოგზავნა აბალა-ყაენმა ბულას ძმა არუხი 20000-იანი მხედრობით სამცხის მოსაოხრებლად, ხოლო სარგისი გაერიდა გურიის მთებში, ხოლო ხიზნები შეეხიზნენ სამცხის სიმაგრეებს. მოვიდნენ თათარნი და ვერაფერი იპოვეს, გაბრუნდნენ და წავიდნენ. შემდეგ მოკვდა სარგისი ფეხის ტკივილით და დაიჭირა სამცხე მისმა ძემ ბექამ. აბალა-ყაენმა უხმო დიმიტრი მეფეს თავისი ლაშქრით. ამათ დაუდგინა [მეთაურად] თავისი ძმა მანგუ-დემური და [უბრძანა] წასულიყვნენ ეგვიპტეს და ან დაეპყროთ, ან მოხარკე გაეხადათ [იგი].

მანგუ-დემურმა იხმო ბექაც, მაგრამ ბექა ეტყოდა, რომ შიშის გამო ვერ მივიდოდა. ხოლო მან ფიცით დაუმტკიცა, რომ არას ავნებდა და [ისიც] მივიდა მინდობილი თავისი სამცხის ჯარით. მანგუ-დემურმა ბექა შეახვედრა აბალა-ყაენსაც, ხოლო მან პატივით მიიღო ბექა. შემდეგ წავიდნენ და მივიდნენ ეგვიპტეს. ქალაქ რუბაკიდან გამოვიდნენ [მეომრები] და შეიქნა

ძლიერი ბრძოლა, სადაც ბექამ და მესხებმა ძლიერად იბრძოლეს, და ისევ შეყარეს ქალაქში. ამის გამო მანგუ-დემურმა დიდი პატივი სცა ბექას და მის ლაშქარს. შემდეგ მივიდნენ ამასიას. იქ ბრძოლა გაუმართა ეგვიპტის სულთანმა ნასრმა, ხოლო წინამბრძოლნი იყვნენ ქართველთა მეფე [და მისი მხედრები]. ნასრ-სულთანმა 12000 მხედარი თავისი მხედართმთავრობით დაიტოვა, რათა ბრძოლის გაგრძელების [შემთხვევაში] შეეცა ქართველებისთვის. ხოლო შეიქნა რა ძლიერი ბრძოლა და მრავალი დაიხოცა ორივე მხარეს, ნასრ-სულთანმა შეუტია მეფეს [232] და მის მხედრობას და გამძაფრდა ბრძოლა. მოუკლეს მეფეს ცხენი, ამის მხილველი ქართველები ერთბაშად ყველა ჩამოქვეითდა და იბრძოდა მამაცურად. ხოლო მეფე მისმა მცველმა თავის ცხენზე შესვა და ქართველებიც ამხედრდნენ, კვლავ ძლიერად ეკვეთნენ და დახოცეს ეგვიპტელთა მხედართმთავარი და მხედრობა. ხოლო თათრები ეგვიპტელთა სხვა რაზმმა გააქცია და მათთან ერთად მანგუ-დემურიც. ამის მხილველი ქართველები იძულებულნი იყვნენ წამოსულიყვნენ დამარცხებულნი, ხოლო ღვთის ძალით მეფე დაცული იქნა. შემდეგ მოვიდნენ აბაღას წინაშე და პოეტი ვინმე თათარი იტყოდა მეფისა და ქართველების ქებას ბრძოლისათვის და ამას ისმენდა ყაენი. ამიტომ უბოძა [მან] მეფესა და ქართველებს ურიცხვი [საჩუქარი] და გამოგზავნა თბილისს.

კვლავ ფიქრობდა აბაღა ყაენი, შური ეძია ეგვიპტეზე, მაგრამ მოკვდა მისი ძმა მანგუ-დემური, ხოლო აქ სადუნ ათაბაგი მოკვდა და მეფემ მის ძეს, ხუტლუ-შაჰს მისცა მამამისის თანამდებობა. შემდეგ მოკვდა აბაღა-ყაენიც და დასვეს ყაენად ძმა აბაღა-ყაენისა – აჰმადი. ნავიდა დიმიტრი მეფე მის წინაშე, ხოლო მან პატივი მიაგო, დაუმტკიცა მეფობა და გამოგზავნა. მეფემ მისცა თავისი ასული რუსუდანი დიდი ბუღას შვილიშვილის შვილს, რისთვისაც განრისხდა კათალიკოსი ნიკოლოზი წარმართისათვის [ასულის] მიცემის გამო და ემუქრებოდა ღმერთით.

დიმიტრი აქამდე კეთილად წარმართავდა სკიპტრას, ხოლო შემდეგ განდგა და ისწავლა წარმართთა წესი, შეაცდინეს დედაკაცებმა და ესვა სამი ცოლი. კვლავ ამხილა კათალიკოსმა ნიკოლოზმა, ხოლო მეფე არ უსმენდა. შემდეგ ნიკოლოზმა დატოვა კათალიკოსობა და აკურთხა ჯვარის მტვირთველი აბრაამი კათალიკოსად, ხოლო თვითონ ნავიდა უდაბნოში და მიიცვალა იქ მოღვაწეობით.

მეფის ურდოში ყოფნის დროს აჰმად-ყაენმა ჩაიდინა ბოროტება: მოკლა თავისი ძმა ყონლარდი. ურდოდან დაბრუნებული მეფისაგან

[233] ბასილი, ევფეზოს კათალიკოსის ბიძა, მოითხოვდა, რომ იგი გან- შორებოდა თავის ცოლებს და აფრთხილებდა: „თუ მეფე განუდგება [ბოროტებას], მისი მეფობა კეთილად წარემართება და თუ არა, დაგირ- ღვიოს [მეფობა] და გაიფანტოს შენი ძენი“. მაგრამ არ უსმინა მეფემ. ასევე ჰიმენ სალოსი გარეჯელი ამხილებდა და არც მას უსმენდა. ხოლო ნონინთა იხილეს რა აჰმად-ყაენის ურიგოდ ქცევა, დასვეს ყაენად აბალა-ყაენის ძე არლუნი ხვარასანს. ეს რომ აჰმადმა შეიტყო, მოიხმო თავისი მხედრები და მეფე ქართველებითურთ. მოსულებს არლუნი ვერ შეენინა აღმდეგა და შევიდა ციხეში. აჰმადი მიადგა [ციხეს] და არ- ღლუნი უმწეო შეიქნა და ფიცით მიენდო აჰმადს. იმ ხანებში აჰმად-ყაენს მიელო მაჰმადის სჯული, შეიკრიბნენ უვარგისი კაცები და ჰკლავდნენ ფარულად ქართველებს ქრისტიანობისათვის. ეს შეიტყო რატი სურა- მელმა, ბექას ძემ, წავიდა სამოციოდე კაცით და [თავს] დაესხა სამასკა- ციან რაზმს, დახოცა ყველა და მოვიდა მეფესთან, ხოლო დიმიტრიმ უბოძა ღირსეული საჩუქარი. მერმე იქიდან წამოსული აჰმად-ყაენი მადლობას [უხდოდა] მეფეს და დაუმტკიცა ყოველი საქართველო. აჰ- მადმა არლუნი დატოვა ჰერეთს ნონინებთან ერთად, რათა მოეკლათ არლუნი, მაგრამ ნონინებმა აბალას ძე არლუნი [ისევ] ყაენად დასვეს და გამოემართნენ აჰმადის წინააღმდეგ. გამარჯვებული აჰმადი, როცა თავის ცოლებთან იმყოფებოდა, შეიპყრეს და დაახრჩეს, ხოლო მეფეს უფრო ადრე აცნობეს, რომ გასცლოდა აჰმადს. მაშინ მობრუნდა მეფე და მივიდა არლუნ-ყაენის წინაშე. მან კეთილად მიიღო და დაუმტკიცა მეფობა და ავაგ ათაბაგის მამული მისცა, რადგან ყაენი ბუღას ხე- ლქვეითი იყო, ხოლო ბუღა – მძახალი მეფისა.

თბილისში მოსულმა მეფემ თავისი ძე დავითი ავაგ ათაბაგის სახლ- ში გაგზავნა, თითქოს საუფლისწულოდ მისცა და იქ [234] იზრდებოდა. დიმიტრის მეფობა მტკიცდებოდა და აბრაამ კათალიკოსიც კეთილად მართავდა საქეს.

დიმიტრი მეფეს ტრაპიზონის მეფის ასულისაგან ჰყავდა ძენი: და- ვით, ვახტანგ და მანუელი და ასული რუსუდან, ხოლო თათრის ასუ- ლისაგან – ბაადურ, იედიგარ და ასული ჯიგდა, ბექას ასულისაგან – მხოლოდ გიორგი, როგორც მარტორქა, რომლის დიდებულება ქვემოთ ითქმება.

ამის შემდეგ ყაენს დარუბანდელნი განუდგნენ, [ყაენი] წავიდა და უხმო დიმიტრი მეფეს. მისულნი მიადგნენ დარუბანდს, რადგან ველზე

[მათ] წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. გაგრძელდა ბრძოლა და ვერ აიღეს ციხე. მაშინ უბრძანა ყაენმა მეფეს, თავისი მხედრობით აიღოს ციხე.

მყის შეიარაღდა მეფე მხედრობითურთ და შეიჭრნენ დარუბანდში. პირველად შეუტია ციხეს ბექა სურამელის ძემ – რატიმ. დახოცეს დედანულიანად და აიღეს ციხე და დიდი ნადავლი, რასაც თვითონ ყაენიც უყურებდა. მაგრამ არლუნ-ყაენს შეშურდა მეფის, ამიტომ მაშინ სთხოვა მას აბჯარი, რომელიც სახელგანთქმული იყო. იმ წამსვე გაიხადა მეფემ და მისცა [მას] და წამოვიდნენ ცალ-ცალკე გამარჯვებულნი.

მრავალი დროის შემდეგ, ერთი წლის თავზე, 15 მარტს გაგზავნა არლუნ ყაენმა [მხედრობა], შეიპყრო ბულა და ამოხოცა განურჩევლად ყველა მისი სახლეული და ნათესავი. შემდეგ გაგზავნა [ლაშქარი] საბერძნეთს, შამს, ხვარასანს და იქაც დახოცა მრავალი ნოინი და შეიქნა ნოინთა ასეთი ჟღერა.

შემდეგ გამოუგზავნა დესპანი დიმიტრი მეფეს და მიიწვია ურდოში. ხოლო მეფე, ბულას სიკვდილი რომ შეიტყო, ძალიან შეწუხდა, შემოიკრიბა თავისი კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულ-წარჩინებულნი, დაჯდა ტახტზე და დასხდნენ [235] წარჩინებულნი წესისამებრ.

მაშინ მეფემ დაიწყო საუბარი: „ღმერთმა და მისმა უბინოდ მშობელმა, რომლის წილხვდომილებიც ვართ, წარმართა ჩემი მეფობა და აქამდე მომალწევინა მშვიდობით. ხოლო ახლახან შევიტყვეთ, რომ დაუხოცავს ყაენს ყველა ნოინი და მიხმობს მეც. თუ წავალ, მომკლავს მეც, და თუ არ [წავალ], მოოხრდება ეკლესიანი და ჩემი ქვეყანა. [თქვენც] იცით, რომ ძალით არ შეუძლია ჩემი შეპყრობა და მგონია, თუ მივალ, მომკლავს მე და გადარჩება ქვეყანა უვნებლად“. მაშინ ყველამ ერთბაშად მიმართა მეფეს: „ჩვენ შენი მტკიცე ერთგულები ვართ. არ არის ქვეყანა შენი სანაცვლო და თუ გაჭირდება [საქმე], გაერიდე მთიულეთს ან აფხაზეთს, როგორც მამაშენმა გააკეთა“. მიუგო მათ მეფემ: „თქვენ [ამას] ჩემდამი ერთგულებისათვის ამბობთ, მაგრამ თუ დავრჩი მე და მრავალი დაიხოცება, ეს იქნება ჩემთვის ტვირთი, რადგან ეს საწუთრო არ არის ნაცვალის მერმისისა, რადგან წარმავალია, ხოლო იგი წარუვალი. ახლა წავალ, თუ გადავრჩი, კეთილი, თუ არა, დავდებ ჩემს სულს ჩემი ერისათვის, როგორც მან დადვა ჩემთვის“.

ხოლო ესმა რა კათალიკოს-ეპისკოპოსებს, მოძღვრებს და წარჩინებულებს, ეტყოდნენ მეფეს: „ჩვენ გიშუამდგომლებთ მეუფე ქრისტეს წინაშე, რომ შეგინდოს ყველა შენი შეცოდება და მოგანიჭოს თავის სა-

სუფეველში საუკუნო ცხოვრება“. ამის მსმენელი მეფე დიდი სიხარულით გაემზადა წასასვლელად და თავისი ძენი გაგზავნა ზოგი კახეთს, ზოგი მთიულეთს, ხოლო მცირე ყრმა გიორგი – იშხანის ციხეში.

შემდეგ [დიმიტრი] წავიდა ურდოში დიდი ზარ-ზეიმით და სიმდიდრით და წაჰყვა მას კათალიკოსი აბრაამი და მცირე ამალა. ყაენს ეგონა, რომ მეფე არ მივიდოდა და გამოეგზავნა სიუქოლ-ნოინი, რომ მეფე მიეყვანა. ხოლო ნოინი გზაში შეხვდა მეფეს, აიღო მეფის ყველა სიმდიდრე, [236] ხოლო თვით მეფე შეიპყრო და მიიყვანა ყაენის წინაშე, მანაც დაატყვევა მეფე. ყაენი ფიქრობდა: თუ მოკლავს, აღარავინ არის მეფობის ღირსი და, თუ გაუშვას, [ის ხომ] ბულა [ყაენის] მომხრე და მოყვარე იყო? წამოდგა ხუტლუ-ბულა და მოახსენა: „მე მოგიყვან ნარინ-დავითის ძეს და შევეერთოთ ორივე სამეფო ამერნი და იმერნი და ჰყავ იგი მეფედ“. უსმინა ყაენმა და აღწერა დიმიტრი მეფის ქონება ხვასტაგითურთ და ნახირით ხუტლუ-ბულამ, მოვიდა ნარინ-დავითთან და სთხოვა ძე, ხოლო დავითმა აღუთქვა მას თავისი ძის მიცემა. შემდეგ მოვიდა ხუტლუ-ბულა ყაენის წინაშე და ჩამოართვა მთელი სიმდიდრე დიმიტრი მეფეს, რომლის ოდენობამ განაკვირვა თვით ყაენიც და აღარ უნდოდა მეფის სიკვდილი. ხოლო მსახურნი ეტყოდნენ მეფეს: „აჰა, თავისუფალი ხარ, გავიქცეთ“. მაგრამ მეფე მიუგებდა: „იცი, [რომ] არავის შეეძლო ჩემი შეპყრობა, მაგრამ დავდევი ჩემი სული ჩემი ერისათვის და ან თუ წავიდე, კვლავ დაიხოცებიან უდანაშაულონი“. შემდეგ კვლავ მოვიდა ხუტლუ-ბულა და მოახსენა ყაენს ნარინ-დავითის მიერ თავისი ძის მეფედ მოცემის ამბავი. ბრძანა ყაენმა მეფის გაჯობვა და გვემეს რა, აღარ ეგონათ მეფეს თუ მოკლავდნენ, რადგან რომელსაც გვემდნენ, აღარ ჰკლავდნენ, მაგრამ არ დაცხრა ბოროტების გულისწყრომა და მოვიდნენ ჯალათნი, რათა მეფისათვის თავი მოეკვეთათ. ამისი დამნახავი მეფე ეზიარა ჩვენი მხსნელის ხორცსა და სისხლს აბრაამ კათალიკოსის ხელით, შემდეგ შესვს ცხენზე და გაიყვანეს ერთი უტევანის (125 ნაბიჯი) მანძილზე და ხანმოკლე ლოცვის შემდეგ ამ ბილწებმა მეფეს თავი მოჰკვეთეს, ქორონიკონსა 1279-ს, ქართულით – 609-ს, იყო 10 საათი, შაბათი დღე, მარხვის მესამე თვე, მარტის 12. ამიტომ [დიმიტრის] ეწოდა თავდადებული. [237] აი, საკვირველება, რადგან დაბნელდა მზე საღამომდე, რამაც ყველა წარმართი განაკვირვა, რომ საცნაური გამხდარიყო, რომ უფლის წინაშე პატიოსანი არის უფლის ცხებული. მაგრამ განაგრძეს სიბოროტე და გარს შემოერტყნენ დიმიტრი მეფის

ძეს დავითს, რომელიც მეფემ ჩაიყვანა უფრო მეტი ნდობისათვის, რომ მოეკლათ ისიც. მაშინ ფარულად მივიდა მღვდელი მოსე ტაჩარ ნოინთან და აუწყა დავითის სიკვდილი, ხოლო იგი შევიდა ყაენის წინაშე და ევედრა და ყაენმაც აჩუქა ტაჩარს დავითი და იგი ზრდიდა რამდენიმე ხანს. დიმიტრი მეფის გვამს მრავალი დღე იცავდნენ, შემდეგ კათალიკოსმა და მოსე მღვდელმა მოისყიდეს კაცი და მოიპარეს მეფის გვამი, იპოვეს ზენა განგებით თბილისელი მეთევზე, ჩადეს ურემში და გამოგზავნეს თბილისს. დავითი დარჩა ტაჩარ ნოინთან, ხოლო სხვა ცოლ-შვილი მიმოიბნინენ (მანუელ და ვახტანგ!), ხოლო სორღალი წავიდა მამამისის სახლში და თან წაიყვანა თავისი ძენიც – ბაადურ და იედიგარ. ასე ასრულდა ბასილის ნათქვამი, რაც მეფეს უწინასწარმეტყველა.

შემდეგ მოუხმო ყაენმა ხუტლუ-ბულას და ეტყოდა: „აი, გავანადგურე ჩემი მტრები და შენი მტერი მეფეც. ახლა მოიყვანე დავითის ძე ვახტანგი და განაგე ქართლი, როგორც გენებოს“. წამოვიდა ხუტლუ-ბულა, ხოლო ნარინ-დავითი მოვიდა ქვიშხეთის მინდორზე და იქ მიეგებნენ ნოინი და ქართლის ყველა დიდებული, დადეს ფიცი და შემდეგ გაგზავნა თავისი ძე ვახტანგი და გააყოლა სრულიად იმერი და ქართველი დიდებულები. ყაენთან მისული ვახტანგი ძლიერ შეიყვარა მან მისი მშვენიერება-ახოვნებისათვის და მისცა თავისი და – ოლჯათი ცოლად და საქართველო – სამეფოდ, წარმოგზავნა და მოვიდა თბილისს. შეიკრიბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულნი, აკურთხეს მეფედ და დასვეს ტახტზე, ქორონიკონსა 1279-ს, ქართულით – 609-ს.

### **[238] 67-ე მეფე ვახტანგი. 3 წელი იმეფა**

ვახტანგმა დაიპყრო კარნიფორიდან დარუბანდამდე, გარდა ბექა ჯაყელის [სამთავროსი]. ვახტანგი იყო ყოველგვარი სათნოებით სავსე – საღვთო-სამხედროთი და ქართველებმა შეიყვარეს თავიანთი მეფეების მსგავსებისათვის. მან აიყვანა ხუტლუ-ბულა ათაბაგობის პატივში. ხოლო დავითი, დიმიტრის ძე, დარჩა თათრებში, ხოლო დავითის დედა – სკვირეთს და დიმიტრის სხვა ძენი მიმოიბნინენ, ხოლო გიორგის ზრდიდა თავისი პაპა, ბექა ჯაყელი.

ერთი წლის შემდეგ შეეყარა სენი არღუნ-ყაენს და დავრდომილი შეიქნა. ყაენმა და ნოინებმა ინებეს დავით დიმიტრის ძის გამეფება ქართლში, მაგრამ ეს არ დაუშვეს ქართველებმა ვახტანგის ერთგულების გამო, რადგან ძლიერ უყვარდათ [იგი]. მერმე მისცეს დავითს

სოფლები სხვადასხვა ადგილას. გაგრძელდა რა არღუნ-ყაენის კუტობა, მობეზრდათ ნოინებს და დაახრჩეს არღუნ-ყაენი წელიწადის იმავე დღეს, რომელ დღესაც მან დიმიტრი მეფე მოკლა და არღუნ-ყაენის ძმა ქელთუქონი დასვეს [ტახტზე]. კვლავ დახოცეს წლის განმავლობაში ყველა შეთქმულნი, რომელნიც გარეული იყვნენ დიმიტრი მეფის სიკვდილში. ქელთუქონ-ყაენმა შეიყვარა ვახტანგ მეფე, მან მიიჩნია არღუნ-ყაენის კუტობა დიმიტრი მეფის მოკვლის [საზღაურად]. მაგრამ სამი წლის მეფობის შემდეგ ვახტანგ მეფეს შეეყარა სენი და მოკვდა, ქორონიკონსა 1292-ს, ქართულით – 512-ს. ხოლო, როცა დავით-ნარინმა შეიტყო თავისი ძის სიკვდილი, ძლიერ შეწუხდა და იმ დღიდან დასწეულდა, შემდეგ კი მოკვდა, ქორონიკონსა 1293-ს, ქართულით – 513-ს.

ნარინ-დავითის შემდეგ მეფობა მისმა უფროსმა ძემ – კოსტანტინემ მიიღო, მაგრამ მას დაუპირისპირდა მისი უმცროსი ძმა [239] მიქაელი. დაიპყრო მიქაელმა რაჭა, არგუეთი და მუდამდღე იყო არეულობა, შფოთი და არასდროს ყოფილა მშვიდობა. როდესაც ქელთუქონი ყაენად დაჯდა, საბერძნეთში განდგა [ქალაქი] ტონლუზალო, რადგან ეგონათ, რომ ყაენი [მათთვის] ვერ მოიცილიდა. ამის მსმენელმა ქელთუქონ-ყაენმა უხმო თავის ლაშქარს და დიმიტრი მეფის ძეს – დავითს და ქართლის დიდებულებს, ხოლო ტახტი და ცოლშვილნი ჩააბარა ელგინ-ნოინსა და ხუტლუ-ბუღას, დატოვა იქ, მათთან, ქართველნიც, რადგან ეჭვობდა ბექას ლაშქრობას, ხოლო თვითონ წავიდა მხედრობით და დავითიც მასთან [იყო], ჩავიდნენ ტონლუზალოს, მიადგნენ ქალაქს და ებრძოდნენ ოთხი თვე. შემდეგ დავითი და მასთან მყოფი ქართველთა მცირე [რაზმი] შეიჭრა და დაიპყრო ქალაქი. იქ მყოფი ქრისტიანები მაშინ მიყუყული იყვნენ ქალაქის ერთ კუთხეში და ევედრებოდნენ დავითს. დავითმა დაუდგინა მათ მცველნი, ხოლო თვითონ უშუამდგომლა ყაენის წინაშე და გაანთავისუფლა ისინი, ხოლო სხვათაგან აიღეს დიდი ნადავლი, საგანძური, ხარკი და წამოვიდნენ.

ფარეჯან ოსთა მეფის ძის იქ ყოფნაში ოსებმა იწყეს ქართლის მოოხრება და რბევა. მოაოხრეს ქალაქი გორი და დაიპყრეს კიდეც. შეიკრიბა ყველა ერისთავი აჰმადის ძის, ბექას წინაშე და მიადგნენ გორს და მრავალი ოსი და ქართველი დაიხოცა. ქართველებმა დაწვეს გორი. ოსებს გაუჭირდათ და ციხიდან გაგზავნეს კაცი მუხრანში მდგომ თათრებთან, რათა დახმარებოდნენ. მაშინ თათართა შუამავლობით

დადეს ზავი. ამ დროიდან ჩამოვარდა მტრობა ოსთა და ქართველთა შორის გიორგი ბრწყინვალის [დრომდე], რომელმაც გაყარა [ისინი].

მოსულმა ქელთუქონ-ყაენმა იხმო დავითი და მისცა მეფობა და ქართლი მისი სამსახურისათვის, წარმოავლინა [240] თბილისს და დაუმორჩილა საქართველოს ყველა დიდებული, რომელიც კი მამამისს, დიმიტრი მეფეს ჰყავდა. [თბილისს] მოსულმა დავითმა მოიხმო ბექა სამცხიდან, მაგრამ ის ძალიან გაამპარტავნებული იყო, არ მიდიოდა ყაენის წინაშე და არც მეფესთან, არამედ გამოუგზავნა თავისი უფროსი ძე, სარგისი და დიმიტრი მეფის მთელი საგანძური და ის ძვირფასი სარტყელიც და დიდძალი ძღვენი. შემდეგ შეიკრიბნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსნი, დიდებულ-ნარჩინებულნი და აკურთხეს მეფედ დავითი თბილისში, ქორონიკონსა 1296-ს, ქართულით – 614-ს.

### **68-ე მეფე დავითი. 16 წელი იმეფა**

დავითმა მიიღო საქართველო, ყველაფერი თავისი მამის ნაქონები, გარდა ბექა ჯაყელის [სამთავროსი], თუმცა ბექა საჩუქრებითა და მსახურებით პატივს სცემდა. კვლავ მისცა ყაენმა დავით მეფეს თავისი და – ოლჯათი ცოლად, რომელიც ვახტანგ მეფეს ჰყავდა [ადრე] ცოლად. თუმცა, ამ ხანებში ემორჩილებოდა ფარეჯან ოსთა მთავარი დავით მეფეს, მაგრამ მტრობა ჰქონდათ ოსებსა და ქართველებს. მაშინ მოვიდნენ თბილისს სავაჭროდ ოსები: სახელად სათხისი და უზურბეგი, ხოლო მობრუნებულებმა მისცეს დრამა მათხოვარს, რათა ის ევედროს ღმერთს, რომ რატი სურამელისა და მათი ხმლები დღეს შეხვდეს ბრძოლაში. [მათ] როცა გაიარეს მცირე [მანძილი], შეეყარა შეუიარაღებელი რატი და დაუდგა [მათ] წყლის სივინროვეში. შეუტია რატის სათხისმა, ხოლო რატიმ დაარტყა მის მუზარადს, გაუპო თავი ორად და ჩამოვარდა სათხისი. ამის მხილველი უზურბეგი მიუხტა რატისვე, ჰკრა მასცა რატიმ შეჯავშნულ მხარში და მოჰკვეთა მხარი. სხვები გაიქცნენ, მაგრამ რატის მონებმა დახოცეს და ასე დაამხო ღმერთმა ოსების ამპარტავნება.

[241] ხოლო აჰმად-ყაენის ძემ, თუქალმა მოკლა ქელთუქონ-ყაენი და მასთან ერთად მრავალი ნოინი, თვითონ დაჯდა ყაენად და დაიპყრო მთელი საყაენოები. მან უხმო დავით მეფეს და წავიდა დავითი. მისული დავით მეფე ძლიერ შეიყვარა თუქალ ყაენმა და ორთავემ დადვა სიყვარულის ფიცი და აღთქმა.

შემდეგ გამოუშვა დავითი და მისცა დბანისი, რომელსაც ფლობდა მანგასარის ძე. მცირე ხნის შემდეგ თუქალ-ყაენისგან გამოქცეული ნოინები, დიდი არღუნის ძე ნავროზი და ალყანის ძე ყურუმჩი, რომლის მამა თუქალ-ყაენს მოეკლა, მოვიდნენ ხუარასანს არღუნ-ყაენის ძესთან – ყაზანთან, რომელიც ფლობდა ხვარასანს, რათა მოეკლათ თუქალ-ყაენი და ყაზანი დაესვათ ყაენად. ესენი წამოვიდნენ თუქალ-ყაენის ძმის, ბაადოსის წინააღმდეგ. ბაადოსმა შეკრიბა მხედრობა და თუქალ-ყაენიც წამოვიდა სწრაფად. დავით მეფე არ გასარჯეს და დაცივა ღმერთმა ამ შოფოთისაგან. ისინი ზეგანს შეხვდნენ და გაიმართა ძლიერი ბრძოლა და ვერც ერთმა ვერ აჯობა, რადგან ყაზანი იქ არ იყო, ხოლო ნავროზი შეიპყრეს და მიუყვანეს თუქალ-ყაენს, რომ გაემკვინა და ფიცით აღუთქვა, რომ შეკრულ ყაზანს გამოუგზავნიდა. ეს ირწმუნა თუქალმა და გაუშვა ნავროზი, ხოლო ყაზანის წინაშე მისულმა ნავროზმა თოკებით შეკრა ქვაბი და გამოუგზავნა თუქალ-ყაენს, რადგან „ყაზანი“ ქვაბს ეწოდება თურქულად, და ფიცი შეასრულა. ძალიან შეანუხა თუქალ-ყაენი ნავროზის ასეთმა ვერაგობამ.

[242] შემდეგ კვლავ გამოემართა ყაზანი, თავს დაესხა უეცრად უჟანში ბაადოს, შეიპყრო იგი და მოახრჩო და მრავალი ნოინი მასთან ერთად. თავისი ძმის, ბაადოსის სიკვდილის შემტყობი თუქალ-ყაენი გამოიქცა და მოვიდა სამცხეს ბექასთან და შვილები გაგზავნა დავით მეფესთან. მოვიდა ყაზანი თავრიზს, აცნობა დავით მეფეს და ბექას, რომ მისცენ თუქალ-ყაენი. ეს მრავალჯერ ამცნო ყაზანმა, მაგრამ მათ არ მისცეს და უშუამდგომლეს, რათა შეუნდოს, ხოლო ყაზანმა მისცა ფიცი ბეჭდით და ამით გადასცეს თუქალ-ყაენი. შეიტყო ეს ყურუმჩიმ, ნახიდურთან თავს დაესხა დესპანს, რომელსაც თუქალი მიჰყავდა, წაართვა თუქალ-ყაენი და მოკლა იგი მისი ძმის, ბაადურის მოკვლისთვის. დავით მეფემ მისცა თუქალ-ყაენის შვილები ყაზანს და საგანძურიც, რომელიც მიბარებული ჰქონდა ფარეჯან ოსთა მეფეს ატენის ციხისათვის. ყაზან-ყაენი ამით დიდად მადლიერი იყო. მაგრამ მეფე არ იყო დამშვიდებული, რომ წასულიყო მასთან თუქალ-ყაენის სიყვარულის გამო. ასევე სხვა შიშიც ჰქონდა ნავროზისა, რომელიც იყო მტერი ყველა ქრისტიანისა და დაატოვებინებდა ჭეშმარიტ სჯულს ყაზან-ყაენის გარეშე, ამიტომაც ბოროტადაც დაიღუპა. ეს ნავროზი ძალიან გაამპარტავნდა და იწყო ქრისტიანთა მტრობა და ანგრევდა თავრიზის ეკლესიებს. მან მოიყვანა ნესტორიანელი მარალის ეპისკოპოსი, რო-

მელიც იყო კეთილ-სათნობიანი და აიძულებდა რჯულის დატოვებას. ხოლო იგი მხნედ ეწინააღმდეგებოდა და ყოველგვარი სატანჯველი მოითმინა, ხოლო ამის შემდეგ ექსორია უყო. იგი ძალიან მოხუცებული იყო და ადრინდელი ყაენებისაგან მამად წოდებული. კვლავ გამოგზავნა ნავროზმა, რათა პირველად ვარძია მოეხრებინათ, ხოლო შემდეგ საქართველოს ყველა ეკლესია, მათი სამკაულები გამოეტანათ, რადგან მრავალ სიმდიდრეს ელოდა. [243] გამოგზავნილი მოვიდა რა ნახჭევანს, შური მიაგო ვარძიის ღვთისმშობელმა, დაეცა მას მეხი და დაფერფლა ისე, რომ მისი ვერაფერი იპოვეს. შემდეგ რისხვა ღვთისა მოიწია ნავროზზე და განურისხდა ყაზან-ყაენი უსამართლობისათვის, ვინაიდან ყაზან-ყაენი იყო ფრიად სამართლიანი და სიმართლის მოყვარე: მას ეჟვანასხმული თოკი გაება თავისთან ახლოს, ხოლო თოკის წვერი ზღუდის გარეთ [დაედო]. ყოველი გაჭირვებული მას არხევდა, [ხოლო] ყაენი მაშინვე გამოდიოდა, უსმენდა, უსრულებდა საჭირო [თხოვნას]. ნავროზი ხვარასანში გაიქცა, მიენია მას ხუტლუ-ბულა, დახოცა შვილიან-სახლეულობით და მოსპო მისი სახსენებელი. შემდეგ ყაზან-ყაენმა უხმო დავით მეფეს ურდოში. ამის მსმენელი დავითი სასწრაფოდ გაემზადა წასასვლელად და მივიდა ჰერეთს. შეიკრიბნენ იქ ჰერ-კახნი და ყველა სხვა დიდებული. დავითი განსჯიდა: წასულიყო ურდოში, თუ განმდგარიყო. ყველა მოთათბირემ გადაუნყვიტეს [დავითს] ურდოში წასვლა, მაგრამ მეფემ არ ინება, არც მოუსმინა და უკან გამობრუნდა, რადგან თათრების დიდად ეშინოდა. [მან] შეკრა ჟინვანს სიბა, თვითონ მეფე მთიულეთს გადავიდა და გაგზავნა თავისი ძმა, ვახტანგი ბათოყაენის შვილიშვილთან ერთად, ხოლო მან ვახტანგი კეთილად შეინყნარა და დაპირდა ქვეყანას და სიმდიდრეს. როგორც კი ყაზან-ყაენმა დავით მეფის განდგომა გაიგო, გამოაგზავნა ხუტლუ-ბულა დიდი მხედრობით თბილისს. მოვიდა ხუტლუ-ბულა და მიაგზავნა [კაცი] დავით მეფესთან და ზავი შესთავაზა, რათა იყოს ყაზან-ყაენის ერთგული და არ მიემხროს მტრებს. ხოლო მეფემ გაუგზავნა კათალიკოსი აბრაამი, ბურსელი იოანე, თბილისის ყადი [244] და ითხოვა ფიცი და მძევალი. ხუტლუ-ბულამ ისმინა და მისცა ფიცი, ყაენის ბეჭედი და მძევლად თავისი შვილი და სხვა ნოინები მეფის უწებლობის [დასტურად]. ამის შემდეგ მოვიდა დავით მეფე, შეხვდა და აღუთქვა მათ ყაენის წინაშე წასვლა. ხუტლუ-ბულამ პატივი სცა მეფეს და გაუშვა. მაგრამ მეფე მივიდა რა ჟინვანს, გამოუშვა მძევალნი დიდი საჩუქრებით. დადგა

გაზაფხული და კვლავ იხმეს დავით მეფე, მაგრამ [მან] არ ინება ყაზან-ყაენთან წასვლა და კვლავ გაგზავნა თავისი ძმა ბაადური ორხან-ყაენის წინაშე და ითხოვა დახმარება. შეიტყო ეს ყაზან-ყაენმა და გამოგზავნა იგივე ხუტლუ-ბულა დიდი ლაშქრით. იგი მოვიდა სომხითს და მიიხმო დავით მეფე, ხოლო მეფემ გააგზავნა კათალიკოსი, ბურსელი და ყადი. შეიტყვეს თათრებმა, რომ ფრთხილობს დავით მეფე და არ მოვა ჩვენთანო, წამოვიდნენ და გაემართნენ მთიულეთს, მოაოხრეს სომხითი, ქართლი, ერწო-თიანეთი და დაბანაკდნენ მუხრანს, ხერკს, ერწო-თიანეთს, ბაზალეთს და ხოცავდნენ, სადაც კი ვინმეს მოიხელთებდნენ ამ ადგილებში, ჩვენი ცოდვებისათვის.

იმ ხანებში გამოჩნდა კუდიანი<sup>269</sup> ვარსკვლავი, ლახვრის ფორმისა, რომელიც ჩრდილოეთ მხარეს ოთხი თვის განმავლობაში [ჩანდა], ამბობდნენ, რომ ლახვრის მომასწავებელიაო, ქორონიკონსა 1998-ს, ქართულით – 518-ს.

ისევ მოინდომეს თათრებმა ზავის დადება, რათა დავით მეფეს არ მიეცა გზა ორხან-ყაენისათვის. დავით მეფემაც გაგზავნა ამ პირობაზე თავისი დედა-დედოფალი, თავისი ცოლი ოლჯათი, თავისი ძმა მანოელი და კათალიკოსი აბრაამი, რათა მოეგვარებინათ მისი საქმე. მაშინ მათ ზავი დადეს და მისცეს მეფეს თბილისი, მისი სამეფო და წავიდნენ თათარნი.

[245] ხოლო გაზაფხულზე კვლავ გამოგზავნა ყაზან-ყაენმა მაცნე, რომ დარწმუნებულიყო დავით მეფის ერთგულებაში. შეიტყო [მოვლინებულმა] კაცმა, რომ დავით მეფეს გაეგზავნა თავისი ძმა ბაადური ორხან-ყაენის წინაშე, წავიდა და აუწყა ყაზან-ყაენს. ყაზანმა გამოგზავნა ყურუმჩი, ალინჯი და შანშე მხარგრძელი, ხოლო მათ უხმეს მცირე გიორგის, დავით მეფის ძმას, რომელსაც ზრდიდა სამცხელი ბექა. ბექას ეჭირა ტამისკარის ზევით სპერის ზღვამდე. მისთვის [სამფლობელოდ] მიეცა კეისარ მიხაილ კომნინს ტრაპიზონამდე, რადგან მას ცოლად ჰყავდა ბექას ასული. ბექა ხარკსა და ლაშქარს აძლევდა ყაენს და დროდადრო ემსახურებოდა დავით მეფესაც. მან მისცა მცირე გიორგი, დიმიტრი მეფის ძე და ის აკურთხეს მეფედ თბილისში. თუმცა იგი პატარა იყო, მაგრამ უწინასწარმეტყველებდნენ ძლიერ მეფობას, ქორონიკონსა 1299-ს, ქართულით – 519-ს.

შემდეგ, კვლავ როცა დადგა გაზაფხული, გამოგზავნა ყაზან-ყაენმა იგივე ხუტლუ-ბულა და მრავალი ნოინი მასთან ერთად. ისინი მოვ-

იდნენ და მოაოხრეს ზემოხსენებული ქვეყნები, განსაკუთრებული სისასტიკით – ქართლი. მაშინ ქუენაფლაველი შალვა, რომელიც დავით მეფემ აავსო საჩუქრებით, წამოვიდა და მოვიდა თათრებთან. მათ სიხარულით პატივი სცეს და დაადგინეს წინამძღოლად და დაადგნენ ხვარაზმის ხევის გზას და გავიდნენ ცხაოტისა და ცხრაზმის მთებს შორის, რომელიც არის ლომისა. როცა დავით მეფემ ქუენაფლაველის ორგულობა შეიტყო, შევიდა ციკარას. ხუტლუ-ბულა გადავიდა ხადას და იქიდან ხევს და გაემართა გელათს, რადგან იქ ეგულებოდათ მეფე. მიადგნენ თათრები სტეფანწმიდას [246] და ვერ აიღეს. [მათ] ითხოვეს საზრდო და სტეფანწმიდელებმა ცოტაოდენი მისცეს. იქიდან გამობრუნდნენ თათარნი და მოვიდნენ ხადასვე; მათ წინამძღოლებად ჰყავდათ ქუენაფლაველი და ოსთა მთავარი ბაყათარ. მაშინ ციკარას მდგომ დავით მეფეს დიდი ერთგულება უჩვენეს ჭილა აბაზაძემ, აჰმად სურამელმა, ქართველმა და სომხითარმა აზნაურებმა. ხუტლუ-ბულამ გაყო ლაშქარი და ქვემოდან ცხაოტს შემომავალთ თავს დაესხა დავით მეფის მცირე მხედრობა და დახოცეს ურიცხვი. კვლავ სივინროვეში შემოსული ხუთასიოდე [მეომრიდან] ზოგი დახოცეს, ხოლო სხვანი მეფეს წარუდგინეს. შემდეგ ხადისთავს გორაზე გამოხტნენ და შეიქნა ფიცხელი ბრძოლა და დაიხოცნენ თათარნი, რადგან დიდი ზიანი მიაყენეს [მათ] ფეხმარდმა მთიულებმა. ძალიან ეხმარებოდნენ მესხები, რომლებიც გამოეგზავნა ბექას მეფისათვის. მწუხრისას უშველა ღმერთმა მეფეს და ცხაოტს შესული თათრები გაიქცნენ და ხუტლუ-ბულა დიდად დაზარალდა. როცა გაიგო, რომ [ლაშქარი] სიმაგრეში ვერ შევიდა, აიყარა ღამით და თავს დაესხა ქართლს და დახოცეს, სადაც კი ვინმე მოიხელთეს და დაატყვევეს. დაბრუნდა ხუტლუ-ბულა ყაზან-ყაენის წინაშე.

შემდეგ კვლავ მოვიდა გაზაფხულზე იგივე ხუტლუ-ბულა. ეს შეიტყვეს, შეშინდა ამ ქვეყნის ყველა [მკვიდრი] და მეფესთან შეიკრიბნენ ქართველნი და ჰერ-კახნი და ურჩიეს, რომ [იგი] წავიდეს ყაენის წინაშე, რადგან „სანდო კაცი არის ხუტლუ-ბულა და ვიცით, რომ მისგან არაფერი დაგიშავდება“. მოუსმინა მეფემ მათ და გადაწყვიტა თათრებთან წასვლა და იყო მისი შუამავალი ხუტლუ-ბულასთან ბურსელი იოვანე. ხუტლუ-ბულას გაეხარდა და ფიცით აღუთქვა მეფის უვნებლობა და ქვეყნის დაცვა. მაგრამ კვლავ არ წავიდა მეფე, რადგან დიდი შიში ჰქონდა [247] თათრებისა და ნება დართო წარჩინებულებს

წასულიყვნენ თათრებთან, უმრავლესობა მივიდა კიდეც და თათრებმაც პატივით მიიღეს ისინი. მაგრამ კვლავ მოაოხრეს ზემონახსენები იგივე ქვეყნები მთიულეთამდე და წავიდნენ თათრები. მეფე დავითი რთველზე ჩამოვიდა ცხატოს და აოხრებდა ქუენიფლეველის მამულს. ამის მხილველი და ულონოქმნილი ქუენაფლაველი შეევედრა ქართლის ერისთავს, აჰმადს, რომ ეშუამდგომლა მეფესთან. მან მოახსენა მეფეს, მან კი აჩუქა მასვე აჰმადს ქუენაფლაველი. მაშინ შალვა ქუენაფლაველმა დაიყარა თავზე ნაცარი და ასე იტყოდა: „ასეთი არის სანაცვლო მეფეებისა ორგულობისათვის“. ამიტომ მიუტევა მეფემაც შეცოდებანი. ხოლო დავით მეფემ შეიპყრო თავისი ძმა ვახტანგი მცირე რაღაცის გამო და დაპატიმრებული ჰყავდა ჟინვანის ციხეში. იგი გაიქცა და მივიდა ბურსელთან, შეევედრა, რომ ეშუამდგომლა მეფესთან [მისი] უვნებლობისა და მცირე საზრდელის მიცემისათვის და თუ მეფემ შეუსრულოს ეს [თხოვნა], აღარ წავა ურდოში. ბურსელმა აცნობა ეს მეფეს, ხოლო მეფემ გაიხარა და ფიცით აღუთქვა უვნებლობა და სარჩო. ამ პირობებით მივიდა ვახტანგი, მაგრამ არცთუ კეთილად მოეპყრო დავით მეფე, რადგან ვახტანგს ცოლად ჰყავდა შაბურის ძმის ასული. ამის გამო შეურაცხყოფდა მეფე.

ამის მხილველი უიმედო ვახტანგი წამოვიდა კვლავ დავით მეფისაგან და ყაზან-ყაენის წინაშე მივიდა. მან პატივი მიაგო და გამოაყოლა ხუტლუ-ბულა, მისცა ვახტანგს მეფობა. მოვიდნენ თათარნი, ქართველნი და სამცხელი ბექას ძე თბილისს. ეს რომ დავით მეფემ შეიტყო, კვლავ გამოგზავნა ბურსელი ზავისათვის და თუ ფიცს მისცემდნენ, ურდოში წავიდოდა. ხუტლუ-ბულამ ფიცი აღუთქვა. გამოგზავნა მეფემ თავისი ცოლი ოლჯათი, კათალიკოსი, ბურსელი და ფიცით აღუთქვა ურდოში მისვლა. მოეგება ხუტლუ-ბულა ოლჯათს და [248] პატივი მიაგო, როგორც ყაენს, კვლავ გამოუგზავნა დავითს ფიცი და ხელმანდილი ყაენისა, რაც წესად ჰქონდათ მინდობის [მოპოვებისათვის], ხოლო ოლჯათი აღარ [დააბრუნა]. დავით მეფემ მოიმიზეზა ოლჯათის დაუბრუნებლობა და აცნობა: „თუ მომცემთ ოლჯათს, მოვალ ურდოში“. განრისხდა ხუტლუ-ბულა ასეთი ცბიერების გამო, შეიპყრო ბურსელი და უთხრა: „კაცო, მოტყუება რა არის? მე ფიცით დაგიმტკიცეთ და არ ინებეთ“ და მოჰკვეთა თავი ბურსელს, ხოლო ოლჯათი წაიყვანეს თათრებმა. ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა, ქორონიკონს 1310-ს, ქართულით – 521-ს და შემოვიდნენ მთიულეთს.

დავით მეფე იყო გელათს, ხოლო თათრებს დიდ ზიანს აყენებდნენ მთიულეები, მაგრამ მათ სიმრავლის გამო არაფერი აკლდებოდა. შემდეგ სუსხისა და ქვეყნის სიმარგრეების გამო გაბრუნდნენ თათარნი და ხოცავდნენ მრავალ თათარს, განსაკუთრებით ბევრი დახოცეს ზანდუკლის ხევში. [თათრებმა] ჩამოვლეს ქართლი, ნავიდნენ და მიჰგვარეს ოლჯათი ყაენს.

ამდენ არეულობაში აღარ იყო თესვა და მკა და გლეხობის უმეტესობა იხოცებოდა შიმშილით. [ისინი] მიდიოდნენ სამცხეს, რადგან იქ იპოვებოდა მცირედი საზრდელი, რომელსაც მისცემდნენ მათ ბექა და მისი მეუღლე ვახახი.

### **69-ე მეფე ვახტანგი. 3 წელი იმეფა**

როდესაც ვახტანგი, დიმიტრის ძე, მეფედ დაჯდა, მას დაუმტკიცეს მთელი საქართველო, მაგრამ არ ებრძოდა თავის ძმას – დავით მეფეს, რადგან იყო ღვთისმოსიში, სამღვდელითა პატივისმცემელი, მონყალე, ყოველგვარი სიკეთით სრულყოფილი და არა შურისმაძიებელი. ამ ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა ბექა, სამცხის ამირსპასალარი. დავით მეფემ ნახა, რომ [მას] აღარ დაუბრუნებდნენ თათრები ოლჯათს, [249] მოიყვანა აჰმადის ასული, გარეგნულად ფრიად მშვენიერ-სახოვანი, კეთილი და მასზე იქორწინა, ქორონიკონსა 1302-ს, ქართულით – 522-ს.

ამ დროს გამოჩნდნენ თურქნი, რომელთა მთავარი იყო აზატ-მოსე. ისინი ზაფხულობით პარხლის მთაზე ჩერდებოდნენ, ხოლო ზამთარში – პონტოში. ეს აზატ-მოსე წამოვიდა მთელი საქართველოს მოსაოხრებლად, მოინია ბასიანს და ტაოს და იწყო სასტიკი ანიოკება [ისეთი, რომ] დედის ძუძუთა ჩვილებსაც ხოცავდნენ, ხოლო სხვებს [რა თქმა უნდა] უფრო ჭლებდნენ. მათ ამონყვიტეს ტაო, რადგან ტაოელნი არ მოელოდნენ მათ მოსვლას და ადგილიდან არ დაძრულან. ისინი ჩავიდნენ მულრისს და ნიგლისის-ხევს, სადაც მოსპეს აზნაური ხერხეულიძეები, ხოლო ტაოს ერისთავი თაყა ფანასკერტელი შეებრძოლა მათ თორთომის ციხისძირს მცირე მხედრობით და დიდად ავნო [მათ], მაგრამ თურქთა სიმრავლის გამო ვერ გააძევა ისინი. ეს შეიტყო ბექამ, შეკრიბა ლაშქარი და ნავიდა, მაგრამ ვერ დაენია, რადგან თურქნი ნასულნი იყვნენ, ბექა შეწუხდა და დაბრუნდა უკან. [მან] შეკრიბა შავშნი, კლარჯნი, მესხნი, მისი ხელქვეითნი და მიმართა: „ერთსჯულნო და

ერთპირნო, ისმინეთ, რომ სკიპტრის მპყრობელმა დავით მეფემ დიდი ხნის წინ გააძევა თურქნი საქართველოს საზღვრებიდან და აღარავის გვიხილავს ამ დრომდე. [ისინი] ახლა ჩვენი ცოდვებისათვის გამოჩნდნენ და მოსპეს ტაო. რადგან აღარავინ არის ჩვენი მეფე თათართა ძალადობის [გამო], რომ ჩვენ გაგვიძღვეს და მარტო ვართ დარჩენილი, რადგან საქართველოს მთავარნიც და ქვეყანანი თავ-თავისთვის არიან განდგომილნი, ახლა ამიტომ მნებავს, რომ შევიკრიბოთ და ღმერთიც შეგვეწევა და შური ვიძიოთ ჩვენ მტრებზე ჯვარის ძალით“.

მაშინ ამის მსმენელმა მესხებმა გაიხარეს და აღუთქვეს მზადყოფნა. მერმე დადგა ზაფხული და მოვიდნენ თურქნი. მაშინ მოუწოდა [250] ბექამ [ყველას] ტაშისკარიდან ბასიანამდე და შეკრიბა 12000 მხედარი და გაემართა თურქებზე. თურქები ამოსული იყვნენ პარხალის მთაზე და გამოეგზავნათ მხედარნი ვაშლოვანის მოსაოხრებლად და თვითონ აპირებდნენ სამცხეში მისვლას. 10000 მხედარი მოვიდა ვაშლოვანს და შეებრძოლა მათ ბექას 500 მხედარი, სიმაგრეებში მყოფი, იბრძოლეს ძლიერად და გააქციეს თურქნი. ხოლო აზაგ-მოსემ, რომელმაც არაფერი იცოდა ბექას [მიახლოვებაზე], გამოარჩია 30000 მხედარი, წამოვიდა ვაშლოვანს და დარჩენილ მხედრობას ეტყოდა: „თქვენ წადით ტაოს და იქ დარჩენილები დახოცეთ, ხოლო მე მოვალ ბანას გამარჯვებული. მერმე იქიდან წამოვიდეთ ქართლს“, რადგან მრისხანებდა თავისი მხედრობის ვაშლოვანს დახოცვის [გამო].

ბექას მეწინავენი [გზაში] გადაეყარნენ ოთხ თურქს, შეიპყრეს ისინი და წარუდგინეს ბექას და ეკითხებოდნენ [თურქთა] ამბავს, ხოლო მათ მოუთხრეს აზაგ-მოსეს ზემოთქმული სამზადისი. შეიტყო რა ეს, ბექამ გაყო თავისი ლაშქარი, [მათგან] რჩეული მისცა თავის პირმშო ძეს – სარგისს და გაგზავნა ვაშლოვანს, ხოლო თვითონ წავიდა იქვე მყოფ თურქებზე. ვაშლოვანს მისულმა თურქებმა, როცა [ქართველთა] მცირერიცხოვანი ლაშქარი იხილეს, მსწრაფლ შეუტიეს და შეიქნა ძლიერი ბრძოლა. სარგისის 500 [მხედარმა] თავდაპირველად ლაშქრიდან 500 თურქი მხედარი ჩამოაგდო და დამარცხდნენ თურქნი და გაქცეულები თელავდნენ ფეხით ერთმანეთს. სარგისი მამაცურად იბრძოდა, თავისი გვარისა და მოდგმის [შესაფერისად]. ხოლო აქეთ თურქებმა იხილეს თუ არა ბექა მომავალი, სასწრაფოდ გარბოდნენ დედანულიანად მთებში, კლდეებში და ხრამებში. [მათ] დაყარეს თავისი ყოველგვარი ქონება და ბექას მხედრებმა ურიცხვი [მათგანი]

დახოცეს, ხოლო დანარჩენი თურქობა შეცვივდა [251] სპერის ციხეში და ქალაქში და ნორ-ქალაქში. ბექას ლაშქარმა შეამწყვდია ისინი ვინრო [ადგილას] და ცხვრებივით ხოცავდნენ და კლავდნენ. სარგისისგან გამოქცეული თურქნიც წამოეწივნენ ბექას მხედრობას, ისინი მიუბრუნდნენ [მათ] და დახოცეს ისინიც, შემდეგ შემოერთყნენ ქალაქ სპერს, მცირე დროის შემდეგ აიღეს ქალაქი, გარდა ციხისა და აივსნენ ნადავლით – ოქრო-ვერცხლით, ცხენებით, ჯორებით, აქლემებით და წამოვიდნენ ბექა და მისი ძე სარგისი გამარჯვებულები. ამ დროიდან ველარ გაბედეს თურქებმა შემოსვლა.

ხოლო შემდეგ მოკვდა ყაზან-ყაენი და დაჯდა მისი ძე ხარბადი ყაენად და მან მოინდომა გილანში შესვლა და მისი დაპყრობა, მოიხმო ვახტანგ მეფე ქართველებითურთ და ბექა სამცხის [მხედრობითურთ]. ბექამ გაგზავნა თავისი ლაშქარი და თვითონ არ წავიდა. ვახტანგი [შეუერთდა მათ] და გაემართნენ გილანს. იქ ყაენმა თავისი ლაშქარი გაყო ოთხად: ვახტანგ მეფე დაიტოვა თან, ერთ მხარეს გაგზავნა ხუტლუ-ბულა და ბექას ლაშქარი, მეორე მხარეს – ჩოვან ნოინი და ნაწილი ვახტანგ მეფის ლაშქრისა და მესამე მხარეს უსენ-ნოინი და ოსები. მაგრამ გილანელებმაც ასევე ოთხად განალაგეს, შეკრეს ზღუდე ოთხრიგად და დადგნენ სიმაგრეებთან: ერქაბაზი დაუპირისპირდა ყაენს და შეიქმნა სასტიკი ბრძოლა, რადგან ვახტანგი იყო წინამძღოლი, მაგრამ ტყეში, ლამში და ვინრო [გზის] გამო ძლივს მიდიოდნენ და ხარბად-ყაენი თვითონ უყურებდა, როგორ მამაცურად იბრძოდნენ ვახტანგი და მისი ლაშქარი, რადგან ათიდან ორი ძლივს თუ გადარჩებოდა და დაიხოცა მრავალი აზნაური და უმემკვიდრო იქნენ, მაგრამ არ დაიხია უკან ვახტანგმა და მსუბუქად მცირედ დაიჭრა ბარძაყში, ხოლო, როცა ყაენმა იხილა სიმაგრე, აიყარა ღამით და წამოვიდა. გილანელები დაენიენ და დიდად ავნეს. კვლავ, მეორე მთავარმა უბაშიმ შეკრა ზღუდე და დაუპირისპირდა ხუტლუ-ბულას. მაშინ ჩამოხტა ცხენიდან ხუტლუ-ბულა, [252] დადგა სკამი, დაჯდა ზედ და უბრძანა ბექას ლაშქარს შეტევა. შეუტიეს მესხებმა და ხოცავდნენ გილანელებს. მოხვდა ისარი ხუტლუ-ბულას შიშველ თავში, ჩამოვარდა სკამიდან და მოკვდა. ამის მხილველი მისი ძე გაიქცა და მასთან ერთად მისი მხედრებიც, ხოლო მესხები დარჩნენ ზღუდეში და უმეტესი [მათგანი] დაიხოცა, რადგან გილანელებს ნაბრინჯალში წყალი მიეშვათ და ველარ მიდიოდა ვერც ცხენი და ვერც კაცი.

ასევე, ჩოფანს დაუპირისპირდა ვაკეზე როსტომ მელიქი, სძლია მას ჩოფანმა და აღარ შეჰყვია მას სიმაგრეში. თავის ლაშქარს მან უკან მავალად მიუჩინა ჯავახიშვილი, სადაც მამაცურად იბრძოდა ჯავახიშვილი და გამოვიდა [იქიდან] მშვიდობით, ხოლო უსენს და ოსებს შეება ისხანი და სრული გამარჯვება მოიპოვა და იგიც გამოქცეული დაბრუნდა – ყველა მათგანი შეიკრიბნენ უჟანს ხარბად-ყაენის წინაშე. ყაენმა დაადგინა ჩოფან ნოინი ხუტლუ-ბუღას ნაცვლად, ხოლო ვახტანგ მეფეს და მის ლაშქარს დიდი პატივი სცა ყაენმა მათი მამაცობისათვის, მისცა საჩუქრები და ჯილდოები და გამოისტუმრა ქართლს.

ამ ხანებში შემოესივნენ ხარბად-ყაენს სარკინოზები (არაბები), ქრისტიანთა მტერნი და ეტყოდნენ: „თუ არ დაატოვებინებ ქრისტიანებს სჯულს არ გაამაჰმადიანებ და არ დაანგრევ მათ ეკლესიებს, ვერასდროს გაიმარჯვებ შენ მტრებზე და ვერც შენი ხელმწიფება იქნება გამარჯვებული. ეს მაცდუნებლობა ირწმუნა ყაენმა და გამოაგზავნა ერთი ნოინი, რათა დაატოვებინოს ქართველებს ქრისტე და დაანგრეოს ეკლესიანი. ნოინმა დაიწყო ეკლესიების ნგრევა და იგი ნახიჭევანს დაენია ვახტანგ მეფეს ლაშქრითურთ. ეს რომ ვახტანგმა გაიგო, არ შეშინდა, არამედ უფრო გამხნედა და თავის მხედრებსაც ამხნეებდა და ასხენებდა [მათ] ქრისტეს მცნებებს, ალთქმას და მონამეთა სიმტკიცეს [და ურჩევდა], რომ წასულიყვნენ ყაენთან, იქ აღიარონ ქრისტე და მოკვდნენ მისთვის. ლაშქარმა მხიარულად უსმინა და წავიდნენ. [253] როცა ყაენთან მივიდნენ, გაუკვირდა ყაენს მეფის მისვლა. ვახტანგ მეფე შეეწინააღმდეგა ქრისტეს დატევებას და ეკლესიათა ნგრევას.

ასევე, საქართველომაც დაემო მოგზავნილი ნოინი. ამიტომ ყაენმა ვახტანგ მეფე მოკლა ტანჯვით, ანუ გადაასახლა მხედრობითურთ და იქ მოკლა. შემდეგ ღვთის რისხვით აშკარა შეიქნა ხარბად-ყაენის ბოროტი სენი, რომ აიძულებდა ქრისტიანებს. ამიტომ დაბრუნდა გაგზავნილი ნოინი და ვახტანგთან ერთად გადასახლებულნი გაუშვა. შემდეგ იმავე სენით ცოტა ხანში მოკვდა ხარბად-ყაენი და ამის გამო შეწყვიტა ღმერთმა შფოთი ეკლესიებზე. დაჯდა ყაენად უჯლათ-სულთანნი. უჯლათ-სულთანმა გამოგზავნა ჩოფან-ნოინი ურიცხვი ლაშქრით სამცხეს ბექასთან, რომ კვლავ დაესვა მეფედ ვინმე, ვინაიდან ქართლი უმეფოდ იყო, რადგან დავით მეფე განმდგარი იყო. ჩოფანი მოვიდა არსიანის მთამდე და უხმო ბექას, მაგრამ ბექა არ მივიდა და გაგზავნა თავისი უმცროსი ძე შალვა

და ასევე დიმიტრი მეფის ძე გიორგი, რომელიც ადრე მეფედ დაადგინეს, რომ ახლა დაუმტკიცონ მეფობა. როცა ესენი მივიდნენ, გაბრუნდა ჩოფანი სომხეთში და დარჩა ბექას ქვეყანა მშვიდობიანად. ხოლო ჩოფანმა მიიყვანა გიორგი ყაენის წინაშე და ყაენმა მიიღო და პატივი სცა, მაგრამ მეფობა არ მისცა, რადგან დავით მეფე იყო განმდგარი და სთხოვა ყაენმა დავით მეფეს ძე და მან გამოგზავნა თავისი მცირეწლოვანი ძე ურდოში.

### **70-ე მეფე გიორგი, დავით მეფის ძე, იმეფა 10 წელი**

მისცა ყაენმა ამ მცირე გიორგის მეფობა და თბილისი დამიუჩინა [მას] გამზრდელად და მზრუნველად დიმიტრი მეფის ძე გიორგი. [254] ისინი წამოვიდნენ და მოვიდნენ თბილისს. ქორონიკონსა 1308-ს, ქართულით – 528-ს. ამავე წელს მოკვდა სამცხის მთავარი ბექა, საღმრთო-საერო სათნოებით და მოწყალეობით გადამეტებული და მისი მეუღლე ვახახი, უმეტესად ყოველივე კეთილით [შემკული] და დატოვეს სამი ძე: სარგის, ყვარყვარე და შალვა და სამი [ძმა] ფლობდა სამცხეს.

ამ ამბებიდან მესამე წელს მოკვდა დავით მეფე, მწარე სენით გატანჯული, ქორონიკონსა 1310-ს, ქართულით – 530-ს და დატოვა თავისი ორი წლის ძე გამეფებული.

შემდეგ ისურვა ყაენმა შამს, რაბაშანის ციხეზე გალაშქრება, რომელსაც ფლობდა მისრის სულთანნი. მივიდა და მიადგა თავისი მთელი ძალებით და ხუთი თვის [განმავლობაში] ვერაფერი დააკლო მას. მერე გამობრუნდა და გზად ჰყავდა ექვსი [საბრძოლველად] დაგეშილი არწივი. ასეთი დიდი იყო მისი ძალა. [იგი] მოვიდა შინ და ამ დღიდან მისი ყაენად ყოფნის 13 წლის [განმავლობაში] აღარსად ულაშქრია.

ამის შემდეგ ულჯათ-სულთანმა კვლავ გამოგზავნა იგივე მცირე გიორგი, დავით მეფის ძე, მეფედ, [მასთან ერთად] ზაალ მელიქი ხვარასნელი და ხარუნჩი, ბიძა ჩოფან-ნოინისა, რათა მთელი საქართველო შეეკრიბათ გიორგის მეფობის ქვეშ. ამათ მიიწვიეს შანშე მხარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის, ხვაშაგის ნაშობი. ესენი მოვიდნენ კობტისთავს და მოიწვიეს სარგის და ყვარყვარე, მაგრამ მათ არ ისურვეს მოსვლა.

ამავე დროს აჯანყდა საბერძნეთში დიდი ქალაქი კომსი და ფარსმანის შვილი. ეს შეიტყო ყაენმა, გაგზავნა ჩოფანი, გაატანა მას ქართველები და წაჰყვა დიმიტრი მეფის ძე გიორგიც, ხოლო გოზალ მელიქი, შანშე და ზაქარია არ გაჰყვნენ და შევიდნენ თბილისში. მაშინ ჩოფანმა

მისცა ყველა მასთან მყოფი ქართველი გიორგის, დიმიტრი მეფის ძეს, ჯავახნი და თორელნი და, სადაც გიორგიმ თავისი ლაშქრით ბრძოლა გამართა, ყველგან გაიმარჯვა. ჩოფანმა [255] ერთი წლის განმავლობაში დაიმორჩილა ურჩები, ხოლო შემდეგ გამობრუნდა რთველის დროს, მოვიდა ყაენის წინაშე და დაჰყო რა ერთი თვე, მოკვდა ყაენი ულჯათ-სულთანს. მას დარჩა ძე მუსაითი შვიდი წლისა და დასვეს იგი ყაენად. ეს რომ გიორგიმ, დიმიტრი მეფის ძემ, გაიგო, წავიდა ყაენის წინაშე. ურდოში მისული იხილა ჩოფან-ნოინმა, ძლიერ გაიხარა და შეიტკბო შვილივით და მიაკუთვნა მთელი საქართველო და ყველა მთავარი საქართველოსი, დავით მეფის შვილები და ბექა სამცხელის ძენი, მესხნი და წარმოგზავნა თბილისს. გიორგი მოვიდა და შემოიკრიბნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და დიდებულნი, წარჩინებულნი და ბექას ძენი სამცხე-ტაო-კლარჯ-შავშეთითურთ და აკურთხეს მეფედ თბილისს, ქორონიკონსა 1318-ს, ქართულით – [1312+6=1318]-ს.

### **71-ე მეფე გიორგი. 28 წელი იმეფა**

დაჯდა მეფედ გიორგი, მეფე დიმიტრი თავდადებულის ძე და დაიწყო მთიებმა<sup>270</sup> აღმობრწყინება. ჩემს ენას არ შეუძლია საკვირველებათა და საშინელებათა თქმა, თუ როგორ მშვენივრად და გონივრად განაგებდა [ქვეყანას] და [როგორ] ლაშქრობდა და იბრძოდა ან [რამდენი] სამეფო და ქვეყანა შემატა, მაგრამ, რაც შეგვიძლია, მოკლედ ვიტყვით. ბრწყინვალე გიორგიმ დაიმკვიდრა მთელი საქართველო (საქართველონი): სომხითი, ჰერ-კახნი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშ-კლარჯნი და სპერამდე და ზღვამდე. თუმცა ბექას ძენი ფრიად გაძლიერებულ იყვნენ და ფლობდნენ სრულიად სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ რადგან ყაენმა ისინი მეფეს დაუმორჩილა, [256] ველარ ეურჩებოდნენ [მას] ბექას ძენი, ამასთანავე მეფის ბიძის ძენი ადრეც ცდილობდნენ მის გაძლიერებას და სიხარულით შეუერთდნენ და მორჩილებდნენ მონური მსახურებით, ხოლო ურჩობით [ვერას გახდებოდნენ] ჩოფან-ნოინის გამო, რომელიც შემწედ ჰყავდა [გიორგის] და [მაინც] მოერეოდა და სიბრძნე-გონიერებითა და თავისი ძლიერებით დაიმორჩილებდა.

ამ დროს კათალიკოსად იჯდა ეფთვიმე, მაგრამ დიდებულნი და ერისთავნი ვერ შესცვალა [გარკვეულ] დრომდე ყაენის რიდით. ოსები ძალადობდნენ ქართლში და ადგილ-ადგილ დაეპყრათ [კიდეც] დაბები და ციხეები. გიორგი მეფემ თავისი ძალისხმევით გაყარა [ისინი]

და წართვა ციხეები და დაბეები. მერმე შევიდა და მოსპო კავკასში მყოფნი, ურჩნი დახოცა, [სხვანი] დაიმორჩილა და ყველანი მოხარკედ გაიხადა, დაანყნარა ქართლი ოსებისაგან, რადგან ყველა გზა თვითონ დაიჭირა.

ჩოფან-ნოინის სიკვდილის შემდეგ რალაც დააკლდათ ნოინებს მუსაით-ყაენისაგან, მისი სიყრმის [გამო], რადგან მოკლეს მუსაით-ყაენი და განდგნენ ნოინები თავ-თავისთვის და ზოგმა დაიპყრო სპარსეთი, ზოგმა ხვარასანი, ზოგმა ერაყი, ზოგმა ადრაბაგანი და ზოგმა – საბერძნეთი.

იდროვა გიორგი ბრწყინვალემაც და გაყარა თათარნი საქართველოდან, ზოგი გონიერებით, ზოგი ბრძოლით და ძალით და მოაცილა ყველანი თავის საზღვარს. მერმე მოიყვანა ამ ქვეყნის ყველა ერისთავი და წარჩინებული, ვითომ დარბაზობად ჰყრეთში, ცივზე და დახოცა იქ მისი მეფობის მონინააღმდეგენი და დაადგინა ყველგან თავისი მორჩილი ერისთავები და დაიმორჩილა ამით ყოველნი. უბოძა სარგის ჯაყელს ათაბაგობა და ამირსპასალარობა. კვლავ შეკრიბა ლაშქარი და შევიდა რანში. [მას] ვერავინ აღუდგა წინ და იქიდან შევიდა შირვანს, [257] ისინიც დაიმორჩილა და მოხარკედ გაიხადა დარუბანდამდე ქურდის ლეკებითურთ. შემდეგ მობრუნდა თბილისში ძლევაგამოსილი.

ხოლო იმერეთში, როგორც აღვწერეთ, ნარინ-დავით მეფის შემდეგ იყო შფოთი ძმათა შორის მრავალი წლის [განმავლობაში] და ამ მიზეზით ამ ქვეყანაში გაამპარტავდნენ მთავარნი და გაძლიერდნენ ერისთავნი. შემდეგ მოკვდა კოსტანტინეც და არ დარჩა [მას] ძე, არც ასული და მის ნაცვლად დაჯდა მეფედ მისი ძმა მიქაელი. მოკვდა მიქაელიც და დარჩა მას ყრმა ძე ბაგრატი. ბაგრატმა თავისი სიყრმისა და მთავართა დაუმორჩილებლობის გამო ვერ გაბედა მეფობა, რადგან ერისთავებმა მხარი არ დაუჭირეს.

იხილა იმერლების ასეთი ვითარება ბრწყინვალე გიორგი მეფემ, მოეთათბირა იმერლებს, ხოლო მათ მოიწონეს მისი მეფობა, რადგან წარემატებოდა. შემდეგ [მან] შეკრიბა თავისი ძლიერი ლაშქარი, გადაიარა ლიხის მთა და ამის მხილველი ყველა იმერელი სიხარულით შეუერთდა [მათ].

ხოლო მიქაელ მეფის ძე ბაგრატი მისმა აღმზრდელებმა და ერთგულებმა შეიყვანეს ქუთაისში და გაამაგრეს ციხე. [ეს] რომ მეფე გიორგიმ შეიტყო, მოადგა ქუთაისს. ბაგრატი ველარ შეენინააღმდეგა [მას] და შევიწროებული რამდენიმე ხანს ევედრა გიორგი მეფეს, რომ

არაფერი ავნოს მას სიკვდილით და პატიმრობით, მისცეს მას მეფემ სარჩო იმერეთშივე, ხოლო იგი მივა მეფესთან და გადასცემს მას იმერეთის ყველა ციხეს, რადგან მისცა მას ღმერთმა გამარჯვება. ამის მსმენელმა მეფემ გაიხარა და აღუთქვა ყველა თხოვნის შესრულება. ამ პირობის მოსმენის [შემდეგ] ბაგრატი გამოვიდა და მოვიდა გიორგი მეფის წინაშე და მისცა იმერეთის ყველა ციხე-ქალაქი და სიმაგრენი. ხოლო მეფემ პატივი სცა, როგორც თავის ნათესავს და შეინყნარა იგი დიდი სიყვარულით და მიიღო იმერეთის ყოველი ციხე, ქალაქი და სიმაგრე გიორგი ბრწყინვალე მეფემ, ქორონიკონსა 1330-ს, ქართულით – 18-ს და [258] დასვა თავისი ერისთავები, ხოლო ბაგრატს მისცა შორაპნის საერისთავო და დაადგინა იქ ერისთავად.

ამის მხილველნი – დადიანი მამია, გურიელი, სვანთა ერისთავი და აფხაზეთის [ერისთავი] შარვაშიძე შემოუერთდნენ დიდი საჩუქრებით და დაულოცეს იმერეთისა და მთელი საქართველოს მეფობა. მერმე [გიორგი] ჩავიდა ოდიშს, იქიდან – აფხაზეთს, მონაწესრიგა იქაურობა, დაიკავა ციხეები, ჩააბარა სოხუმის საერისთავო ბედიელს, როგორც იყო ადრევე, გამობრუნდა, შემოიარა გურია, მონაწესრიგა იქაც [ყველაფერი] და მოვიდა სამცხეს.

სამცხეში მეფის ყოფნისას მოკვდა სარგის ათაბაგი, ქორონიკონსა 1334-ს, ქართულით – 22-ს (1312+22=1334), ხოლო მეფემ უბოძა ათაბაგობა მის ძეს ყვარყვარეს და დაადგინა თავისი ერისთავები კლარჯეთს, სპერს, კალამახს, არტანუჯს და სამცხეში – არტანს და წუნდას. და ამ საერისთავოთაგან ზოგი უბოძა ყვარვარე ათაბაგის ბიძებსა და ბიძის ძეებს და იყვნენ ისინი ათაბაგის მორჩილებაში. [გიორგიმ] იქაც მონაწესრიგა ყველაფერი, როგორც კეთილმა ხუროთმოძღვარმა, წამოვიდა და მოვიდა თბილისს. შემდეგ კვლავ განიხილა მეფემ მთიელთა და კავკასიის საქმეები, რადგან მრავალი უმსგავსოება ხდებოდა. ამიტომ შემოიკრიბა ლაშქარი, შევიდა და დაიმორჩილა ყველა, უფრო მეტი, ვიდრე ადრე ჰყავდა კავკასიაში. ხოლო იქიდან ჩამოიარა ცხრაზმაზე, მოვიდა მუხრანს და ჩამოიყვანა იქ, რაც კი კავკასიაში ქრისტიანები იყვნენ, მათი მოთავენი და ხევისბერნი. შემოვიდა თბილისს და თან შემოიყვანა ისინიც და გაუჩინა მათ სამართალი და ჩამოუყალიბა წესები წერილობით, რათა ასე სწორად ესარგებლათ.

შემდეგ მოკვდა კათალიკოსი ეფთვიმე და დასვეს ბასილი. [ამ დროს], რომელიღაც ნოინთაგანმა დაიპყრო ადრაბაგანი, მანვე დაიწყო სომხ-

ითის, რანისა და მოვაკანის დაპყრობა და მოვიდა განჯას, რათა დაემორჩილებინა გიორგი მეფეც. ეს შეიტყო მეფემ და თავისი ლაშქრით შეეგება, შეება და გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა, მაგრამ ღვთის ძალით [259] მეფემ მოსპო მათი ბანაკები და გაიქცნენ [ისინი], ხოლო მეფის ლაშქარი ხოცავდა მახვილით და მობრუნდნენ გამარჯვებულნი დიდი ნადავლით. ასევე, საბერძნეთის სულთანმა ორხანმა მოინდომა, რომ დაეპყრო კლარჯეთი და მისი მიმდებარე [ადგილები]. აცნობეს გიორგი მეფეს და მან გაუგზავნა მას ზავის პირობა, ხოლო მან არ ისურვა. მეფე შეკრებილი ლაშქრით შეებრძოლა სულთანს [და] მოსცა ღმერთმან გამარჯვება და დახოცეს ურიცხვი თურქი და გარბოდნენ [ისინი] სულთნითურთ, ხოლო მხიარული მეფე ნადავლით სავსე დაბრუნდა გამარჯვებული და მოვიდა კვლავ თბილისს. ამის შემდეგ უფრო მტკიცედ დაიმორჩილა მან რანი, მოვაკანი, სომხითი და მუდმივად იხდიდნენ ხარკს და აღარც კი იყვნენ თათარნი მის საბრძანებელში. ხოლო [მან] დაიმორჩილა და დაიმონა მთელი საქართველო თავის ნებაზე და კავკასიელებიც მის მორჩილებაში იყვნენ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, აგრეთვე რანი, მოვაკანი და შირვანი მოხარკედ ჰყავდა და აღარავინ იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი. შემოკრიბა კათალიკოსი და ეპისკოპოსნი ივერიისანი და განაახლეს საეკლესიო წესი და რიგი, სამღვდელთა განსაჯეს და მოწესენი დაადგინეს თავის წესზე და უწესონი განკვეთეს. მის მეფობაში მოკვდა მამია დადიანი და უბოძა გიორგი მეფემ დადიანობა მისსავე ძეს – გიორგის, ქორონიკონსა 1345-ს, ხოლო ქართულით – 33 (1312+33=1345)-ს.

ხოლო გიორგი მეფეს იმისთვის ეწოდა გიორგი ბრწყინვალე, რადგან იგი იყო სილამაზით, მშვენიერებით და მამაცობით შეუდარებელი, მონყალე, გულუხვი, ობოლთა, ქვრივთა და დავრდომილთა მწყალობელი. მეორეც – რადგან ივერია დაშლილი, სამთავროებად და სამეფოებად დაყოფილი იყო, მეფემ თავისი სიბრძნე-გონიერებითა და ძალისხმევით კვლავ შემოიკრიბა [ერი] და განიზრახა, როგორც აღმაშენებელმა, [260] აავსო და დაასახლა ქვეყნები, გაამშვენიერა სჯული და სამოქალაქო წესები, ააშენა დანგრეული და მოოხრებული ეკლესიები, განაახლა და ნათლით აავსო [ისინი]. ხოლო რანი, შირვანი და მოვაკანი მოხარკედ ჰყავდა. სძლია ყველას, სადაც საჭიროდ ჩათვალა ბრძოლითა და მხედრობით, სადაც საჭირო იყო – სიბრძნე-გონიერებით და თავისი ცოდნით, დაამშვიდა [ურჩნი]. [იგი] მეფობდა კეთილი მეფობით

ივერიაზე 28 წელი. შემდეგ [კი] გარდაიცვალა ყოველგვარი სიკეთით და ღვთისმსახურებით სავსე თბილისს, ქორონიკონსა 1346-ს, ქართულით – 34 (1312+ 34=1346)-ს.

### **72-ე მეფე დავითი. 14 წელი იმეფა**

გიორგი მეფის შემდეგ დაჯდა მეფედ მისი ძე დავითი. შეიკრიბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსიიდან სპერიტურთ დარუბანდამდე და აკურთხეს მეფედ. დავით მეფემ დაიმკვიდრა მამამისის ყველა საბრძანებელი და კიდევ უფრო უმატა ეკლესიათა და ციხესიმაგრეთა შენებას, რომელიც დანგრეული იყო და დარჩა მეფე გიორგი ბრწყინვალეს [ალუდგენელი], რადგან ღმერთმა დაამყარა მშვიდობიანი დრო. ამ ხანებში მოკვდა კათალიკოსი ბასილი და [მეფემ] დასვა კათალიკოსად დოროთეოსი. ამავე წელს, ქორონიკონსა 1357-ს, ქართულით – 45-ს (1312+45=1357) დაბნელდა მზე. ამავე დავით მეფის ნებით ბაგრატი ერისთავმა, მიქელ მეფის ძემ, შეირთო ყვარყვარე ათაბაგის ასული.

დავით მეფემ თავისი დღეები კეთილად იმეფა, მშვიდობით და ღვთისმსახურებით, რადგან გიორგი მეფემ დაიმორჩილა და დაანყნარა ყველანი, ხოლო დავით მეფე შემოივლიდა თავის სამეფოს – ზემო-ქვემოთა, ამერ-იმერთა და [261] განაგებდა, ნადიმობდა და ილხენდა, მაგრამ გეგუთში ყოფნისას გარდაიცვალა, ქორონიკონსა 1360-ს, ქართულით – 48-ს (1312+48=1360)-ს და დარჩა [მას] დედოფალი, თავისი ცოლი – სინდუხტარ და ძე ბაგრატი. [დავით მეფე] წაასვენეს და დაასაფლავეს გელათში.

### **73-ე მეფე ბაგრატი. 35 წელი იმეფა**

დავით მეფის შემდეგ გამეფდა მისი ძე ბაგრატი. შეიკრიბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი, დიდებულნი, წარჩინებულნი და აკურთხეს [იგი] ქუთაისში. მან თავის საბრძანებლად დაიმკვიდრა მთელი ივერია, რადგან იყო მამაცი, ბრგე, ძლიერი, ბრწყინვალე მშვენიერებით, შეუცდომელი მოისარი, მხედრობაში სრულყოფილი, სამღვდელთა პატივისმცემელი, მშვიდი, მოწყალე და [შემმართველი ძლიერი]. მისი მეფობის მეორე წელს დაბნელდა მზე. განდგნენ სვანები, გადმოვიდნენ, დაარბიეს ქუთაისი და გადაწვეს. როდესაც ეს ბაგრატი მეფემ შეიტყო, სასწრაფოდ მოვიდა ქუთაისს, იქ შემოიკრიბა მთელი საქართველოს და ჰერეთ-კახთა ლაშქარი, წაუძღვარა მათ რაჭველები და უბრძანა მათ

მისვლა რაჭას. დადიანი, გურიელი აფხაზები და სომხთარნი გამოგზავნა ოდიშიდან ეცერზე, ხოლო თვითონ წაიყვანა ლეჩხუმელნი, მიაყოლა მესხნი, კლარჯნი და იმერ-ამერით მიჰყვა თვითონაც და ასე შევიდა [სვანეთში]. სვანები, მისი ძლიერების მხილველნი, ველარ შეეწინააღმდეგნენ. მაშინ მეფემ თავისი ურჩნი და დამნაშავენი დახოცა, დაარბია და დაიმორჩილა თავის ნებაზე, აიღო მათი ციხეები და სიმაგრეები და ადრინდელზე უფრო მეტად დაიმორჩილა. ამბობენ, რომ მაშინდელი ერისთავი სვანთა ვარდანისძე შეიპყრო მეფემ და დააპატიმრა. რამდენიმე ხნის შემდეგ შეებრალა და მისცა გურია საერისთავოდ, ხოლო სვანებს სხვა ერისთავი დაუსვა (ამბობენ – გელოვანი) მოხარკედ, თავისი სახლის მსახურად და მობრუნდა გამარჯვებული ქუთაისს.

[262] ამ დროს დაერთო ამბავი, რომ თურქებმა დაარბიეს სამცხე. მეფემ შეიტყო და სასწრაფოდ წავიდა 12000 რჩეული მხედრით, გადაიარა ფერსათი და სამი დღე-ღამის მსვლელობის შემდეგ მივიდა რახხსს. ხოლო თურქებმა ტყვისაგან შეიტყვეს, რომ მეფე და მისი ლაშქარი [ჯერ კიდევ] შორს არისო და მიდიოდნენ უშიშრად, მაგრამ, როცა იხილეს, რომ ლაშქარი მათ დაენია, მობრუნდნენ და ფიცხლად ეკვეთნენ. შეიქნა ძლიერი ბრძოლა. ღვთის ძალით სძლია ბაგრატ მეფემ, მოსპო ისე, რომ [მხოლოდ] მცირედმა [მოასწრო] გადახვენა. [ბაგრატმა] წამოიყვანა ტყვეები, [წამოიღო] მათი ნადავლი და მოვიდა სამცხეს.

ამ წელს მოკვდა ათაბაგი ყვარყვარე და უბოძა ბაგრატ მეფემ ათაბაგობა მის ძეს – ბექას, რომელიც იყო თავიდან მანდატურთუხუცესი. შემდეგ ბაგრატ მეფე მოვიდა თბილისს. როცა იხილეს მეფის სიმამაცე და მომჭირნეობა, დამშვიდდა ქვეყანა მისი შიშით და აღარავინ იპოვებოდა მავნებელი, შენდებოდა და მრავლდებოდა ქვეყანა. მაგრამ ასეთი მშვიდობიანობის დროს გაჩნდა შავი ჭირი, ძლიერი სიკვდილიანობა და ხოცვა. დაიხოცა ურიცხვი სულიერი და მოკვდა ბაგრატ მეფის ცოლი, დედოფალი ელენე და დატოვა ძენი – გიორგი და დავით, ქორონიკონსა 1366-ს, ქართულით – 54-ს (1312-+54=1366), ამის შემდეგ კვლავ დაბნელდა მზე, ქორონიკონსა 1372-ს, ქართულით – 60-ს (1312+60=1372). მზის ასეთი დაბნელება მოასწავებდა საქართველოზე [მოსულ] ბოროტებას, რომელიც ქვემოთ ითქმება.

ამავე წელს მოკვდა იმერთა ერისთავი ბაგრატი, ხოლო მის ნაცვლად ბაგრატ მეფემ ერისთავად დაადგინა მისივე ძე ალექსანდრე. ამის შემდეგ ჰქონდა მეფეს მშვიდობიანობა 14 წელი და მთელ საქართველოში

იყო შენება, ლხინი, ნადიმობა და ნადირობა. მეფე მოივლიდა თავის საბრძანებელს, [263] თავ-თავის დროს [ყოველ] ქვეყანას, თუმცა ვინც წინააღმდეგი იქნებოდა, ცოტაოდენი შერისხვით დაიმორჩილებდა. მას მოხარკედ ჰყავდა რანი, მოვაკანი და დვინი. მოკვდა კათალიკოსი დოროთეოს და მეფემ დასვა [კათალიკოსად] გიორგი.

შემდეგ წელსა, ქორონიკონსა 1375-ს, ქართულით – 63-ს (1312 + 63 = 1375) გაანადგურა ლანგ-თემურმა თურქთა მეფე და დაიპყრო მთელი თურქეთი. ეს თემური იყო ჩინგიზისავე გვარისა და ტომისა. მან გაამრავლა ლაშქარი, დაიპყრო თურქეთი, ინდოეთი, სპარსეთი. როცა ცხადი გახდა მისი ძლიერება, იწყო ბაგრატ მეფემ ციხეების, ქალაქებისა და სიმაგრეების გამაგრება და ლაშქრის გამრავლება. მოკვდა გიორგი დადიანი და მეფემ დასვა [დადიანად] ვამიყი. ხოლო თემურმა, როცა მთელი სპარსეთი დაიპყრო, გამოემართა ჩვენი მხრისაკენ და შემოვიდა სომხეთს, მოსპო, დახოცა, დაანგრია და მოაოხრა სიმაგრეები. მერმე ნოემბერში მოადგა კარს, დაანგრია ისიც და იმ ზამთარს იქ დადგა, რადგან იყო ძლიერი ყინვები და ძალიან დიდი თოვლი. ბაგრატ მეფემ ჰაერის სისასტიკისა და თემურის ლაშქრის სიმრავლის გამო ველარ გაბედა საზღვრების გარეთ ბრძოლა, თუმცა ამაგრებდა ქვეყნებს და ხიზნავდა თემებს, რომ გაზაფხულზე ბრძოლისათვის მზად ყოფილიყვნენ. ბექა ათაბაგმა იხილა რა თემურის ძლიერება, შეშინდა, უარყო თავისი მეფე და მივიდა თემურის წინაშე. მან პატივისცემით მიიღო, მისცა საჩუქრები და გაუშვა, რომ მესხები არ შეერთებოდნენ ბაგრატ მეფეს. ამის მსმენელი მეფე ფრიად შეწუხდა, მაგრამ გაგზავნა თავისი ძე გიორგი იმერეთს, რომ იქაც არ ყოფილიყო განდგომილება.

თვითონ შემოიკრიბა იმერთა, ამერთა, ჰერ-კახთა და მესხთა ნაწილის მხედრობა, გაამაგრა და განამტკიცა თბილისი, აავსო მხედრებით და იქ დადგა თვითონაც.

[264] შეიტყო ლანგ-თემურმა, რომ მეფე გამაგრდა და ბრძოლისათვის ემზადება, განრისხდა და გაზაფხულზე გამოემართა, გამოვლო აბოცი და გზადაგზა სპობდა და აოხრებდა ყველაფერს გარშემო, მოვიდა და მოადგა თბილისს. მაშინ მეფე გამოუვარდებოდა [ხოლმე] ძირითადად ქალაქისა და ციხის დამცველთა მხედრობით. გაგრძელდა ძლიერი ბრძოლები ექვსი თვის განმავლობაში ყოველდღიურად და ხოცავდნენ თემურის უამრავ [მომარს], ხოლო ქართველები მუდამ გამარჯვებული და გახარებული ბრუნდებოდნენ.

გაუჭირდა თემურს ასეთ ვითარებაში და რომ ვერაფერი იღონა ბრძოლით, მოიგონა მზაკვრობა: მისი ბრძანებით გააკეთეს მრავალი რკინის ჩელტი, მეომრებმა ისინი წინ წაიმძღვარეს და შეუტყეს. ამის მხილველი ბაგრატის მეომრები გაბედულად ეკვეთნენ, მაგრამ ჩელტის გამოველარ შეძლეს თემურის მეომრებთან მიახლოება. თემურის მხედრები უმოწყალოდ ხოცავდნენ ქართველებს, გააქციეს, მოსდევდნენ და ველარ დაუდგნენ მათ სიმრავლეს, შემოვიდნენ ქალაქში, მრავალი დახოცეს და [ყველაფერი] ააოხრეს. მეომართაგან ზოგი გარბოდა, როგორც გაიქცა იმერთა ერისთავი ალექსანდრე. შემდეგ მოადგნენ ციხეს და ცოტა ხანში გამოიყვანეს ბაგრატ მეფე და დედოფალი ანა, ქორონიკონსა 1387-ს, ქართულით – 75-ს ( $1312+75=1387$ ). თემურმა დაატყვევა მეფე და დედოფალი, ჩაყარა ციხეში, დაუყენა მცველად თავისი გუშაგები, თვითონ წავიდა, ინადირა ყარაიაში და მივიდა ბარდავს. იგი აიძულებდა მეფე ბაგრატს – ქრისტეს რჯულის დატოვებას და მაჰმადის რჯულის მიღებას, რადგან თვითონ იყო სუნიტი<sup>271</sup>. მან შეიყვარა მეფე მისი მშვენიერებისა და სიმამაცისათვის და არ უნდოდა მისთვის ბოროტის ყოფა, მაგრამ აშინებდა, რომ მაჰმადიანი გამხდარიყო, ემუქრებოდა ტანჯვით და უპატიო ყოფით, ხოლო თუ მის სურვილს შეასრულებდა, დიდ საჩუქრებს, თავისუფლებას და [265] სამეფოს [დაბრუნებას] ჰპირდებოდა, მაგრამ მეფემ არ ინება და არც ემორჩილებოდა.

შემდეგ თემური ბარდავიდან გადავიდა შირვანს, დაიპყრო იგი და შემუსრა ლეკები და დაასახლა მთისძირა ადგილებში და ფერდობებზე მდინარე თერგამდე მაჰმადიანი ელთა [ტომის ხალხები], დაბრუნდა იქიდან, ჩაიარა და დაიპყრო გილანი, მაზანდარანი და თან ჰყავდა ბაგრატ მეფე.

ხოლო ბაგრატ მეფის ძე გიორგი ძლიერ შენუხდა ამგვარი ამბებით, წამოვიდა იმერეთიდან და მოვიდა ქართლს, [მაგრამ] ვერ შეებრძოლა თბილისს, რადგან ეშინოდა, რომ არაფერი ევნოთ მამამისისათვის. [მან] მოანესრიგა და განამტკიცა იქაურობა. [შემდეგ] შემოიკრიბა ლაშქარი, რათა მივიდეს და კვლავ შემოიმტკიცოს ბექა ათაბაგი, მაგრამ, როცა ალექსანდრემ იხილა გიორგის წასვლა იმერეთიდან და [შექმნილი] მდგომარეობა, განდგა თვითონაც, ეკურთხა იმერთა მეფედ და ებრძოდა ბაგრატ მეფის ციხეებს და რადგან არ მიემხრნენ დადიანი, გურიელი, აფხაზთა და სვანთა ერისთავები, ვერ აიღო ქუთაისი, მაგრამ სხვა რამდენიმე ციხე აიღო.

შემდეგ მოკვდა ალექსანდრე და მის ნაცვლად დაჯდა მეფედ მისი ძმა გიორგი, ხოლო ბაგრატ მეფის ძე გიორგი ვერ ეკურთხა, რადგან მას მამა ტყვეობაში ჰყავდა, ვერ ებრძოდა თავის მტრებს და განდგომილებს და ეჭირა დანარჩენი ქვეყნები. ამიტომ სთხოვდა, რომ არ განმდგარიყვნენ, რადგან „მტერი ძლიერია და მძვინვარე და თუ არ შევერთდებით, ყველანი მოვისპობით“. შემდეგ მოკვდა ბექა ათაბაგი, ქორონიკონსა 1391-ს, ქართულით – 79-ს ( $1312+79=1391$ ) და მეფის ძის გიორგის ნებით ათაბაგად დაჯდა ძე ბექასი – იოანე. მაგრამ გიორგი იმერთა მეფეს არ მიემხრნენ მეგრელები ბაგრატ მეფის ერთგულების გამო, ამიტომ გიორგიმ შეკრიბა ლაშქარი და მიუვარდა ოდიშს. შეებრძოლა მას დადიანი აფხაზთა დახმარებით და მეგრელებმა მოკლეს გიორგი მეფე, ხოლო მისი მხედრები გააქციეს.

მაშინ წარმართა დადიანმა გიორგი, ბაგრატ მეფის ძე, იმერეთს, ხოლო გიორგი გაემართა ლაშქრით და დაიპყრო იმერეთი მთლიანად. [266] შემდეგ მოკვდა კათალიკოსი გიორგი და გიორგი მეფემ კათალიკოსად დასვა ელიოზი. ხოლო ბაგრატ მეფე ჰყავდა თემურს და მუდმივად აიძულებდა, გამაჰმადიანებულყო. მაშინ იძულებულმა ბაგრატმა სხვა ვერაფერი იღონა და რადგანაც დედოფალიც იქ ჰყავდა, ჩაიდინა ეს ბოროტება და გახდა მაჰმადიანი, რათა თავი დაეღწია თემურისაგან და [შემდეგ] შური ეძია ამისათვის. ძალიან გაიხარა თემურმა და პატივი სცა, როგორც თავის ძეს და უბოძა დიდი საჩუქრები, გაიხარა თავის მრჩევლად და სანდოდ. შემდეგ უთხრა ბაგრატმა თემურს: „რადგან შევიცან შენი სჯულის სიკეთე, ახლა მინდა, რომ მომცე შენი მხედრები, წავიდე და მთელი ჩემი სამეფო გავამაჰმადიანო“.

ძალიან მოეწონა ეს თემურს და ბაგრატის მადლიერი იყო. [მან] აავსო [ბაგრატი] დიდი საჩუქრებით, მისცა დედოფალი, ყველა ქართველი ტყვე, თავისი 12000 მხედარი და წარმოავლინა ქართლს, თვითონ კი გაბრუნდა და წავიდა სპარსეთში.

ბაგრატ მეფე მოვიდა რა მდინარე არეზთან, აცნობა თავის ძეს გიორგის: „მომყავს თემურის ლაშქარი და ყველა ქართველი ტყვე. ახლავე შეკრიბე ლაშქარი და ჩაგვისაფრდი, რათა მოვისპოთ ყველანი“. იმერეთს მყოფმა გიორგიმ, როცა ეს შეიტყო, შეკრიბა იმერთა ლაშქარი, გადმოიარა ლიხი, სადაც შეუერთდა იოანე ათაბაგი სამცხის ლაშქრით (რომელსაც არ ეგონა, თუ თემურის ლაშქრის წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდა, არამედ ბაგრატ მეფის გასაძლიერებლად),

აგრეთვე ქართველები და ჰერ-კახნი. ხოლო ბაგრატი მოვიდა და დადგა ხუნანის პირისპირ ბერდუჯის აღმოსავლეთით, განაპირას. გამთენიისას გიორგი საქართველოს მხედრობით გარს შემოერტყა [მათ], ხოლო ბაგრატი შიგნიდან იბრძოდა სასტიკად და გაჟლიტეს ყველანი ისე, რომ ვერ გადარჩა ერთი შემტყობინებელი; [ბაგრატმა] აიღო მათი ნადავლი, მოვიდა გამარჯვებული და მიადგა თბილისს ქორონიკონსა 1393-ს, ქართულით – 81-ს ( $1312+81=1393$ ) და მცირე დროში აიღო ციხე, მოსპო თათარნი და თვითონ დაიპყრო. ასე იძია შური ბაგრატ მეფემ თემურზე, მაგრამ იწყო ციხე-სიმაგრეთა გამაგრება და ყველა მაცხოვრებლის გახიზვნა, რადგან ელოდა თემურის [შემოსევას].

გაიგო რა თემურმა თავისი ლაშქრის მოსპობა, განრისხებული მივიდა ბარდავს, იქ დატოვა მძიმე ტვირთი და გამოემართა ბაგრატისკენ, გადო ხიდი და გამოვლო მტკვარი. ხოლო ბაგრატი დაბანაკდა მარტყოფიდან ავჭალამდე იმერ-ამერთა, მესხ-კლარჯთა, ჰერ-კახთა და სომხითართა ლაშქრით, რადგან ეგონა, თემური თბილისს მოადგებოდა. მაგრამ თემური პირდაპირ ბაგრატს მოადგა. მაშინ ბაგრატი შეეგება მთელი თავისი ძალებით და შეეტაკენ [ერთმანეთს] ომანის ხევს ზემოთ.

და გაჩაღდა ძლიერი და სასტიკი ბრძოლა ქორონიკონსა 1394-ს, ქართულით – 82-ს ( $1312+82=1394$ ) შუადღემდე და მზის გადახრისას ქართველებმა სძლიეს და გაანადგურეს თემურის მრავალი რაზმი და წყობა, ხოლო სხვა უამრავი გარბოდა.

იხილა რა თემურმა თავისი დამარცხება, გამძვინვარებულმა შემოუარა საკუთარი ლაშქრით და შეუტია ქართველებს მარცხენა მხრიდან, დახოცა ფეხოსნები და შემოუტია მხედრებსაც გვერდიდან. კვლავ მოვიდა ზეციური რისხვა ქართველებზე, დამარცხდნენ და გაიქცნენ. უმეტესი [მათგანი] გადარჩა და თავი დააღწია მათ ტყეების, ხრამებისა და სიმაგრეების სიახლოვით და ბაგრატ მეფე წამოვიდა ზემოთვე. ხოლო თემურმა შემოუსია ლაშქარი, დაანგრია მცხეთა და ყველა ეკლესია, ციხე და სიმაგრე ქართლისა და სომხითისა, ზოგი კი გადასწვეს, როგორც ამას დღესაც აჩვენებს ქვათახევის ეკლესიის იატაკი, მაგრამ ადამიანებს ხოცვითა და ტყვეობით იმდენად ვერ ავნეს, რადგან ისინი მზად იყვნენ საბრძოლველად.

[268] ამის ჩამდენი ლანგ თემური დაბრუნდა, ჩაიარა ჰერეთ-კახეთი, ისინიც მოაოხრა, [დაანგრია] ყოველგვარი შენობა, შემდეგ კვლავ შევიდა

და დაიმორჩილა დაღესტანი, უფრო მტკიცედ, ვიდრე თავდაპირველად. ამბობენ, რომ ამ დროიდან მის მიერ დასახლებული ელებისაგან გაჩნდა მაჰმადიანობა, რადგან თავდაპირველად [აქ] ქრისტიანები იყვნენ შერეული, როგორც სხვა კავკასიელები. აქედან [თემური] წავიდა სპარსეთს.

ხოლო ბაგრატი მეფემ კვლავ დაიწყო დანგრეული ციხეებისა და სიმაგრეების აღდგენა და გამაგრება, აგრეთვე ახლის აგება. [ბაგრატი] გაგზავნიდა თავის ლაშქარს და ზოგჯერ თვითონაც მოჰყვებოდა და ხოცავდა თემურის მიერ ჩასახლებულ თათრებს საზღვრის შიგნით და გარეთ. ამის შემდეგ გარდაიცვალა დიდი მეფე ბაგრატი, ქორონიკონსა 1385-ს, ქართულით – 83 (1312+83=1395)-ს. ხოლო მას დიდი მეფე ბაგრატი იმიტომ ეწოდა, რადგან იყო მძლეველი და გამარჯვებული თავის მონიანალმდეგეებზე, გარდა თემურისა, რადგან 200 მხედრით არ ერიდებოდა ათასებს და მეტსაც და ამარცხებდა კიდეც. [იგი] არ დაემორჩილა მოძალადეს და იღვანა თავისი ქვეყნისათვის, არ დაუშვა თავისი სამეფოს დაშლა, თუმცა ცოტაოდენ ამის მცდელობა იყო, მაგრამ მისი შიშით დარჩნენ მის მორჩილებაში. ასევე, იტყვიან, ვინაიდან ბაგრატიც მიქელ მეფის ძე, მეფეთა შთამომავალი იყო, ამის გამო ეწოდა ბაგრატი მეფეს „დიდი“.

#### **74-ე მეფე გიორგი. 12 წელი იმეფა**

ბაგრატის შემდეგ მის ნაცვლად მეფე გახდა მისი ძე გიორგი. შეიკრიბნენ დიდებულები, კათალიკოსი, ეპისკოპოსები და აკურთხეს [იგი]. გიორგიმ თავდაპირველად შემოიმტკიცა თავისი მორჩილების ქვეშ მამამისის ყველა საბრძანებელი. მისი [269] მეფობის მეორე წელს მოკვდა ვამიყ დადიანი და მეფემ დასვა დადიანად მამია. მეფემვე უბოძა მამია დადიანს ცხომის საერისთავო მისი ერთგულებისათვის, რადგან არ ემორჩილებოდა [იგი] ბაგრატის ძეებს. შემდეგ მოკვდა კათალიკოსი ელიოზი და ამავე მეფემ დასვა კათალიკოსად მიქელი.

ხოლო როდესაც თემურმა შეიტყო გიორგის გამეფება მის გარეშე, შეწუხდა ძალიან და გამოგზავნა თავისი სპასპეტი ყარალათი, ხოლო შემდეგ ისიც გაყვა მის კვალს და მოვიდა რანს, ახლა ყარაბახად წოდებულს. [მან] გიორგი მეფეს გაუგზავნა დესპანი და აცნობა: „მე დავიპყარი აღმოსავლეთი და მისი მეფეები და ვარ შენი მეფეც. ახლა მოვედი და დამემორჩილე, მოგცემ დიდ სიმდიდრეს და შენ ქვეყანასაც უვნებლად. თუ არ შეასრულებ, მოვსპობ შენი ქვეყნის ყველა მკვიდრს

და დავატყვევებ შენთან ერთად“. გიორგი მეფემ მიუგო: „თუმც მეფე ხარ, მაინც წარმავალი, დღეს ხარ და ხვალ აღარ იქნები, ხოლო მე ვარ [აქ] დამკვიდრებული. ამიტომ პატივს გცემ, მოგცემ ხარკს, რომ იყოს ქვეყანა მშვიდობით და მე არ მოვალ შენ წინაშე. [თუ] ინებებ, ასე არის, თუ არა, გააკეთე, რაც შეგიძლია და გნებავს“. ამის მსმენელი თემური განრისხდა და მოვიდა შიდა ქართლს. გიორგი მეფემ თავდაპირველად დარიალიდან გამოიყვანა დიდძალი ოსი და კავკასიელები და დახვდა თემურს თავისი შეკრებილი ლაშქრით. ეკვეთნენ ერთმანეთს ქორონიკონსა 1386-ს, ქართულით – 84 (1312+84=1396)-ს. გამაგრდნენ ქართველები, რომელთაც თემურის ლაშქრის მტვერი პირში ეყრებოდათ, და გაგრძელდა ბრძოლა მნუხრამდე. გატეხეს ქართველებმა, სძლიეს და გააქციეს მრავალი. თემურმა იხილა რა თავისი ლაშქარი [ამ დღეში], ასე შესძახა მასთან მყოფ მეომრებს: „აჰა, დღე სიკვდილისა ჩემისა“ და [შეუტია], როგორც გრიგალმა, დაღლილ ქართველებს. მაშინ კვლავ რისხვით გადმოიხედა ღმერთმა ჩვენი ცოდვებისათვის და პირი იბრუნეს ქართველებმა და გარბოდნენ სიმაგრეებისაკენ, რადგან მოუსწრო ლამემ. უფრო [მეტი] [270] გადარჩა, ვიდრე დაიხოცა. გაბრუნდა თემური, მოადგა თბილისს, ვერ გაუძლო, აიღო იგი და დააყენა მცველებად ხვარასნელები. იქიდან მოვიდა, დადგა მუხრანს და დანარჩენი მოაოხრა. აქ თემურს შეუერთდა ზოგიერთი ქართველი და წარჩინებული ჯანდიერი. ძალიან ცდილობდა თემური გიორგი მეფის შეპყრობას და ავალებდა ყველას, მაგრამ ვერ შეძლო [მისი] შეპყრობა. ამიტომ თვითონ მობრუნდა ყარაბაღსკე და იქიდან გამოგზავნა ხოჯა შიხი და ამირჯანი – თავისი სპასპეტები დიდი ლაშქრით ურჩთა და განდგომილთა დასარბევად, დაპირდა დიდ საჩუქარს, თუ ვინმე შეიპყრობდა გიორგი მეფეს. ისინი შემოვიდნენ და დახოცეს, თუ სადმე ვინმე იპოვეს ქვეყანაში. შემდეგ გაბრუნებულნი მივიდნენ თემურის წინაშე, ხოლო თემური დამწუხრდა, რადგან ვერ მოგვარეს შეპყრობილი გიორგი მეფე.

ამ ხანებში განდგა კვლავ ბაგრატიისავე ძე კოსტანტინე, დაიპყრო იმერეთი და იწოდა მეფედ, ხოლო გიორგი მეფემ ყურადღებაც არ მიაქცია მას, არამედ კვლავ გამოიყვანა ოსები, კავკასიელები და ძურძუკები, წაუძღვა თავის შეკრებილ ლაშქარს და მიუხტა ალაჯანის ციხეს, აიღო იგი და გამოიყვანა თირი, ჯალადის სულთანი, პატიმარქმნილი თემურისაგან, მოაოხრა და მოწყვიტა იმ არემარის მაჰმადიანები, აიღო დიდძალი ნადავლი და მივიდა შინ გამარჯვებული და გაუშვა ოსები,

კავკასიელები და ძურძუკელები მათი ნაშოვნი დიდძალი ნადავლით.

შემდგომად ამისა განსაჯა გიორგი მეფემ კვლავ განდგომა იმერთა და ასეთი აოხრებისაგან თავისი ქვეყნის ცუდ დღეში [ყოფნა]. ითათბირა თავის დიდებულებთან, რომ ზავი დადოს თემურთან, ხოლო დიდებულებმა დიდი სიხარულით დაუდასტურეს.

ხოლო თირი, სულთანი ჯალადისა, რომელიც მეფეს პატივში ჰყავდა, ზავის წინააღმდეგი იყო, მაგრამ არ უსმინეს სულთანს და გაგზავნა მეფემ ვინმე, სახელით [271] ისმაილი, მაჰმადიანი, თემურის წინაშე და აღუთქვა მორჩილების პირობა და ხარკის მიცემა, რომ აღარ ყოფილიყო ქვეყნის აოხრება. ამის მსმენელმა თემურმა გაიხარა და აცნობა მეფეს: „თუ მოხვალ ჩემთან, პატივი და საჩუქრები მოგიძღვნა და დავიცვა შენი ქვეყანა უვნებლად“, მაგრამ განრისხდა ალაჯანის ციხის დანგრევის გამო და ამბობდა: „მატყუებს გიორგი მეფე, რომ ჩემ წინაშე მოვა“ და ამიტომ გამოემართა იოანე ათაბაგისაკენ, რომელიც მტკიცედ ერთგულებდა მეფეს, რათა გაანადგუროს იგი, და დადგა სამცხეში, მოაოხრა ქვეყანა და ყველა ეკლესია, ხატები და ჯვრები, სადაც კი იპოვა და გაანადგურა, მოვიდა მანგლისს და დარჩა იქ ორი თვე.

აქ ქართლის მოსაზღვრე მაჰმადიანები, რომელთაც აოხრებდნენ ქართველები, ევედრებოდნენ თემურს, რომ [ისინი], როცა იდროვებდნენ, [მათ] არბევდნენ და ძარცვავდნენ, მოუსმინა მათ თემურმა და მისცა მხედრობა, ისინი წავიდნენ და კვლავ მოაოხრეს ქართლი.

მანგლისში ყოფნისას თემურს მოუყვანეს კეისრის ძე. მან პატივით მიიღო, მისცა საჩუქარი და გაუშვა თავისთვის მშვიდობიანად.

შემდგომ გამოემართა თემური მთიულეთისაკენ, რადგან გიორგი მეფეს იქიდან გამოჰყავდა დამხმარეები და ახლაც იქ ეგულებოდა მეფე. მიუხტა არაგვს, დალენა სიმაგრეები და მოაოხრა, მაგრამ დიდად ავნეს მთიულებმა და იქ მყოფმა მეფის მხედრობამ თემურის ლაშქარს, რომელმაც ვერც ვერავინ დაატყვევა და გამობრუნდა.

კვლავ გაგზავნა თემურმა თავისი ძენი – სულთანი უსეინი, ფირმაჰ-მადი, ამირ-შიხი, აბუბექირი და სხვა სპასპეტები. ისინი მიადგნენ ერიჯანს, რომელიც გიორგი მეფეს ეპყრა. მცირე დროში აიღეს ციხე და ციხის მცველნი თემურს წარუდგინეს მანგლისშივე. მაშინ მეფემ შუამავლებად მიუგზავნა თემურს მისივე ძეები. [272] თემურმა მოუსმინა მათ ერთხანს. და წარავლინა თავისი ძეები ბაღდადს და დაიპყრო ბაღდადი. თვითონ თემური მივიდა თავრიზს ალაჯანის ციხის სანახავად.

შემდეგ წავიდა გელაქუნს და იქ ყოფნისას მეფემ წარუვლინა თემურს თავისი ძმა კოსტანტინე დიდი ძღვნით, ითხოვა შენდობა და აღუთქვა მორჩილება. მოინონა თემურმა და მიიღო ძღვენი, პატივი სცა კოსტანტინეს ძეს და გამოისტუმრა საჩუქრებით და შემოუთვალა მეფეს: „იყავ მშვიდობით, ნულარაფერს ავნებ მაჰმადიანებს“, ხოლო თვითონ თემური მოვიდა ბარდავს და იქიდან გაგზავნა თავისი ლაშქარი ოსეთში. ლაშქარმა გაიარა დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოსეთს, დახოცეს, დაატყვევეს და დაბრუნდნენ თემურის წინაშე. ეს ჩაიდინა თემურმა, რადგან იცოდა, რომ მეფეს ძალა მოეცემოდა იქიდან. ხოლო ასევე იტყვიან: ამ დროიდან ეწოდა [ოსეთს] ჩერქეზი და გაჩნდა მათ შორის მაჰმადიანობა.

ერთი წლის თავზე ისევ მოვიდა თემური მანგლისს, რათა შეეტყო, მეფის აღქმამ მტკიცე არის, თუ არა. ხოლო იქ იყო ერთი წარჩინებული ვინმე, სახელით იესე, რომელსაც პირობა დაედო, რომ თემურთან მივიდოდა და აღარ მისულა. მაშინ იძულებულმა იესემ წაიღო დიდი ძღვენი, თავისი ასული, ლამაზი და მშვენიერი, და მივიდა თემურის ძე აბუბეჩირთან და მიართვა ყველაფერი. ხოლო აბუბეჩირმა ძალიან შეიყვარა ის ქალი და უშუამდგომლა მამასთან და თემურმაც შეინყნარა. ეს როცა იოვანე ათაბაგმა იხილა, ისიც მივიდა ძღვნით თემურის წინაშე. მან პატივით მიიღო ისიც. ამისი მხილველი სომხითარ-ქართველნი შეუერთდნენ თემურს. მეფემ კვლავ გაგზავნა თავისი ძმა კოსტანტინე თემურის წინაშე და ევედრა მას მშვიდობიანობა. უსმინა თემურმა, გაბრუნდა და დაიპყრო ქურთისტანი. [273] მაგრამ კვლავ არ განელდა [მისი] გულისწყრომა, რადგან სურდა საქართველოს მოოხრება და გამაჰმადიანება. გამოაგზავნა შიხ-ბარამ შირვანშა, რათა გაეგო გლეხების მდგომარეობა და მეფის შემოსავალი. თვითონ თემური მოვიდა კარს. ამის მხილველმა მეფემ მიუგზავნა მთავარი იესე სომხითარი ვედრებით, რომ არ მოაოხროს ქვეყანა, რომ, რასაც იგი მოითხოვს, აღვასრულებთ. განრისხდა თემური და აღარ მიიღო ძღვენი და თქუა: „აიღებს მოსავალს და მიენდობიან სიმაგრეებს“. ამიტომ აცნობა მეფეს: „თუ ისურვებ, რომ მაჰმადიანი გახდე, მაშინ მოგცემ ქვეყნებს და გაგათავისუფლებ, თუ არ შეასრულებ, გაჩვენო ჩემი ლაშქრისა და ჩემი შენზე ძლიერება, მოვაოხრო შენი ქვეყანა და დავატყვევო ყველა შენი სახლეული და შენცა, ხოლო თუ მოხვალ ჩემთან და ყველაფერს შეასრულებ, ვფიცავ მაჰმადს, პატივში მყოფები შენი ქვეყნიანად,

როგორც გავათავისუფლე კეისრის ძე“. გამოუგზავნა მეფეს [მუქარა] და თვითონაც უკან მიჰყვა. ხოლო მეფემ ბრძანა საზრდოს შემოზიდვა, მომკა და ყველაფრის გადამალვა.

მაშინ მოვიდა თემური და დადგა შიდა ქართლს, მაგრამ, როცა ვერაფერი იპოვა, გაბრუნდა დამოადგა ბირთვისის ციხეს. აქიდგამრავალი წარჩინებული და აზნაური დედანულითურთ, [რომელთაც] მრავალჯერ გაეწყვიტათ თემურის ლაშქარი, როგორც ლომებს თხები. ციხიდან [მათ] შემოუტიეს თემურის ლაშქარს, დახოცეს მრავალი და აიძულეს, გაქცეულიყვნენ. მაგრამ აქ ჩასაფრებულიყო თემური და როცა მეციხოვნეები [მისი] ლაშქრის ხოცვით მიუახლოვდნენ, შემოუტია თემურმა. გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა, მაგრამ თემურმა გააქცია მეციხოვნეები, მრავალი დახოცა, ხოლო დარჩენილები შევიდნენ ციხეში და გაამაგრეს ციხე. შეხედა თემურმა ციხეს, ნახა მისი სიმტკიცე და ბრძანა ციხიდან გაბრუნება. [274] მაშინ გამოჩნდა ვინმე მისრელი კაცი, სახელით ბეგიჯანი, რომელიც ამბობდა, რომ ციხის აღება შეიძლება. გახარებულმა თემურმა მას დიდი საჩუქარი აღუთქვა. კაცმა გააკეთა თოკის კიბე და იპოვა კლდეზე ასასვლელი, ავიდა ღამით კლდეზე და აიყვანა ერთი თხა, მიაბა კიბის წვერები კლდეზე და თხას სამჯერ დააძახებინა, შემდეგ დაკლა თხა. კიკინის გამგონე თემურის მეომრები ავიდნენ კიბეზე, ხოლო სისხლის მხილველ მეციხოვნეებს ეგონათ, რომ იქ მყოფი მეციხოვნეები დახოცეს და ცდილობდნენ თავის გამაგრებას. როცა ციხე აივსო თემურის მეომრებით, ქვემო-მეციხოვნეებმა გაუმართეს ბრძოლა, ხოცავდნენ მათ მეციხოვნეები, მაგრამ შემდეგ სიმრავლით სძლიეს, გააღეს ციხის ქვემო კარიც და შემოცვივდა უამრავი [მათი] მეომარი, დახოცეს და მოაოხრეს მეციხოვნეები, ხოლო ციხისთავი ნაზარი დედანულიანად წარუდგინეს თემურს, აგრეთვე მრავალი მთავარი და აზნაური. თემურმა ყველა მათგანს თავი მოჰკვეთა, ხოლო ნაზარის ცოლი მისცა შირვანის მჰყრობელს, ხოლო თავისი ლაშქარი ჩააყენა ბირთვისის ციხეში. [მან] ციხისთავ აჰმადს უბრძანა ყველა გარშემო არსებული ეკლესიებისა და მიწების მოოხრება და თვითონ წავიდა. ლანგ-თემურმა ბრძოლაში შეიპყრო სულთანი ბაიეზითი, ჩასვა რკინის გალიაში და დაჰყავდა, სადაც მიდიოდა.

ხოლო ეს ბაიეზითი იყო შვილიშვილის ძე ოთმანისა, ხოლო ეს ოთმანი იყო, როგორც თვითონ იტყვიან, ჩინგისთა ტომისა, მგონი, ერინჯი-ნოინისაგან ყაენ ორხანის გვარისა, რომელმაც მოიხვეჭა ყიას-

დინის სულთნობა. ოთმანმა დაიპყრო აღმოსავლეთი ქორონიკონსა 1303-ს და შემდეგ მოკვდა ქორონიკონსა 1327-ს და დაჯდა მისი ძე ორხანი. ის ძალიან [275] გაძლიერდა და აიღო ტარსუ. შემდგომ მოკვდა ქორონიკონსა 1368-ს და დაჯდა მისი ძე მურადი. ის ბერძნების ნებით წავიდა კალიოპოლისს და აიღო ანდრიანე და ფილიპეპოლე. შემდგომ მოკვდა ქორონიკონსა 1379-ს და დაჯდა მისი ძე ბაიეზითი. ის მოადგა კოსტანტინეპოლს და იქ გაიგო მან თემურის მიერ აღმოსავლეთის აღების [ამბავი], დატოვა კოსტანტინეპოლი, მოვიდა და შეებრძოლა თემურს, დამარცხდა და შეიპყრო ბაიეზითი თემურმა, ქორონიკონს 1391-ს. ლანგ-თემურმა დაიპყრო მთელი აღმოსავლეთი და წავიდა სამარყანდს, რათა შესულიყო ჩინეთში, მაგრამ სამარყანდშივე მოკვდა.

ხოლო თემურის წასვლის შემდეგ გიორგი მეფემ დაიპყრო ქართლი, სომხითი, ჰერ-კახნი და დაიწყო აღდგენა მოოხრებულისა და ებრძოდა მეციხოვნეებს. ამის შემდეგ მოკლეს მეფე კოსტანტინე იმერეთში და არ დარჩა ძე, [არამედ] მხოლოდ ძმისწული დიმიტრი. მეფე გიორგი ჩავიდა ლაშქრით და დაიპყრო მთელი იმერეთი. [მორჩილად] წარმოუდგა ყოველი წარჩინებული: დადიანი მამია, გურიელი, შარვაშიძე და სვანები. გადასცეს მეფეს დიმიტრი, ძე ალექსანდრე მეფისა, მეტისმეტი თავდადებისა და ერთგულების [დასამტკიცებლად], მაგრამ მეფემ არაფერი ავნო მას, გამოგზავნა ქართლის სომხითში და გაუჩინა საზრდო და ყველა საჭირო საქმე.

შემდგომ გიორგი მეფემ დაამყარა წესრიგი იმერეთში, მისი სრული მორჩილებით, იქიდან გადმოიარა ლომისი და მოვიდა სამცხეში. მიეგება [მას] იოვანე ათაბაგი და ყველა მესხი და კლარჯი, მოაწესრიგა იქაური [საქმეები], როგორც დაედგინა ბრწყინვალე მეფე გიორგის და ბრძანა მოოხრებული ეკლესიების, ციხეების, ქალაქებისა და სიმაგრეების აღდგენა. შემდეგ მოვიდა ქართლს და შეებრძოლა მეფე ქართლის ციხეებს და განსაკუთრებით თბილისს, რადგან თემურის სიკვდილის შემდეგ მისი ძეები ერთმანეთს ებრძოდნენ და გადარჩა ქვეყანა და მეფეც მათგან მშვიდობიანად. მეფემ [276] გაყარა თათრები და აიღო ქართლ-სომხითის ყველა ციხე, ჩავიდა კახეთში და ჰერეთში, აღადგინა იქაური მოოხრებულიც და დაამყარა ყველგან მშვიდობა და [დაიწყო] აღმშენებლობა.

თემურის წასვლის შემდეგ დამყარდა ქვეყანაში მშვიდობა ექვსი წლის განმავლობაში, მეფე შემოივლიდა [ქვეყანას] და ყრიდა თავის საზღვრე-

ბიდან თათრებს, სპობდა მათ და მოიხვეჭდა მათგან დიდ ნადავლს.

მოკვდა კათალიკოსი მიქელი, მეფემ კათალიკოსად დასვა დავითი, გიორგი მეფისგან დიდი გასაჭირი ადგა გარშემო მყოფ მაჰმადიანებს რახსის ნაპირამდე, განადგურებისა და ნადავლის გამო, ამიტომ შეიკრიბა თურქთა დიდძალი ლაშქარი და რადგან არ ესვათ ყაენი, მათი ბილნი რჯულის მხურვალეებით გამოემართნენ ქართლზე. შეიტყო რა მეფემ მათი მოსვლა, როგორც მას მრავალჯერ გაემარჯვა მათზე, სიჩქარისათვის აღარ დაელოდა თავის სხვა ლაშქარს, [დასჯერდა], რაც თავისთან ჰყავდა, შეეგება მათ და გაჩაღდა ძლიერი და სასტიკი ბრძოლა, დაიხოცა თურქთა უმრავლესობა, მაგრამ ძლიერ ბრძოლაში მოკლეს თურქებმა გიორგი მეფე, ქორონიკონსა 1407-ს, ქართულით – 95 (1312+95=1407)-ს და სრულიად გაანადგურეს მისი ლაშქარი, შევიდნენ და მოაოხრეს ქართლი, დაარბიეს და წავიდნენ, რადგან ნახეს მცირე ლაშქრის მამაცური ბრძოლა და არც მეფის სიკვდილი იცოდნენ, რომ არ დასწოდა მათ სხვა, უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

### **[277] 75-ე მეფე კოსტანტინე. 7 წელი იმეფა**

გიორგი მეფის შემდგომ დაჯდა მეფედ მისი ძმა კოსტანტინე და განაგო მთელი საქართველო. მან მოიტანა (მიიღო) გიორგი მეფის ცხედარი (გვამი) და დაასაფლავა მცხეთაში. მან კვლავ უფრო სასტიკად განაახლა ბრძოლა და მაჰმადიანების ხოცვა, ციხეების, ქალაქების, სიმაგრეების და ქვეყნების გამაგრება, ეკლესიების შენება. მაგრამ, როგორც კი მან გაახშირა მაჰმადიანების ხოცვა და მათი ნადავლის მოპოვება და მათი შეკრებილი დიდ-დიდი ლაშქრების მრავალგზის ძლევა და განადგურება, წავიდნენ და აუწყეს ანატოლიის ვეზირს, ანუ ბეგლარ-ბეგს. მან მისწერა სულთან მუსას, რომელიც იყო ბაიეზითის ძის ძე. ხოლო ბაიეზითის ძე სულეიმანი, ანუ კალეპინი მეფობას შეუდგა მამამისის შემდეგ ქორონიკონსა 1403-ს და დაიპყრო ედრენა, ფილიპეპოლი და ყოველი აღმოსავლეთი, რომელიც ეყურა მამამისს. მოკვდა კალეპინი, ქორონიკონსა 1410-ს და დაჯდა მის ნაცვლად მისი ძე მუსა. ის გაძლიერდა და დაიპყრო თესალონიკე. მან მოსწერა ბეგლარ-ბეგს, რომ წავიდეს ძლიერი ლაშქრით და დაიპყროს მთელი საქართველო. კოსტანტინე მეფემ შეიტყო რა ეს, გაამაგრა ციხე-სიმაგრეები და შეკრიბა მთელი საქართველოს მხედრობა და მიეგება მას საბრძოლველად. ეკვეთნენ ერთმანეთს და დაიხოცნენ ერთავე მხარეს, უმეტესად თურქთა უმრავლესობა. თურქები გაქცევის პირას იყვნენ და

მეფე სასტიკი გულადობით შეიჭრა მათ რაზმში და ხოცავდა შეუბრალებლად, მაგრამ იგი თურქებმა მოკლეს ამ ბრძოლაში, ქორონიკონსა 1414-ს, ქართულით – 102 (1312+102=1414)-ს და დამარცხდა საქართველოს ლაშქარი, დაედევნენ თურქები, შემოვიდნენ კლარჯეთს, ვერ იპოვეს გახიზნულები და დაარბიეს ქვეყნები, მაგრამ ციხეები ვერ აიღეს, [278] რადგან გამაგრებული იყო და გაბრუნდნენ და წავიდნენ გულდამძიმებულნი, რადგან ბრძოლა-რბევაში მრავალი მათგანი დაიხოცა.

### **76-ე მეფე ალექსანდრე. 28 წელი იმეფა**

კოსტანტინე მეფის ნაცვლად მეფედ დაჯდა მისი ძმისწული და გიორგი მეფის ძე ალექსანდრე. მან გადმოასვენა კოსტანტინეს ცხედარი და დაასაფლავა ვარძიაში. როცა მამია დადიანმა ნახა ვითარება, მოინდომა აფხაზეთის დამორჩილება, იმავე წელს შეკრიბა ოდიშელი მეგრელების მხედრობა, წავიდა და აფხაზეთს მისულს შეებრძოლა შარვაშიძე, რომელსაც აფხაზეთი გამაგრებული ჰქონდა. დახოცეს მეგრელები და მოკლეს მამია დადიანი, დანარჩენი მხედრობა გააქციეს და ლტოლვილები მოვიდნენ ოდიშს.

გაიგო ეს ალექსანდრე მეფემ, შეკრიბა თავისი მხედრობა და წავიდა, ხოლო ოდიშს ჩასულ მეფეს მოეგება მამია დადიანის ძე ლიპარიტი და ითხოვდა შენდობას, რადგან სცოდა მისმა მამამ. მეფემაც შეუწოდო, რადგან იყო [იგი] ტკბილი და მონყალე და არავის ავნო არაფერი, ხოლო ლიპარიტი მამამისის პატივში აიყვანა. შემდგომ წავიდა [მეფე] აფხაზეთში და წაიყვანა ლიპარიტი დადიანიც, შეეგება შარვაშიძე და დაემორჩილა მის ბრძანებას ისე, როგორც ადრინდელ მეფეებს [ემორჩილებოდა]. მოაწესრიგა იქაურობა, დაამშვიდა ისინი და მოვიდა ქუთაისს და იქ შეკრებილ ამერ-იმერთა დიდებულთა, კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა მიერ იკურთხა მეფედ. ათაბაგი, რომელიც მიზეზობდა თურქთა ძალადობას, ვედარ მოვიდა. მეფემ მოაგვარა იმერეთის საქმეები, მოიყვანა ალექსანდრეს ძე დიმიტრი და მისცა იმერეთის ერისთავობა, რადგან ამ დიმიტრის და – თამარი თავისი ბიძის – კოსტანტინეს სიცოცხლეში ცოლად მოეყვანა [279] ალექსანდრეს, გადაეხადა ქორწილი და ამით დაამშვიდა [მან] იმერნი და დიმიტრი ერისთავობდა ალექსანდრეს მორჩილებით.

შემდეგ [ალექსანდრემ] შეკრიბა იმერთა ლაშქარი, წამოვიდა და ქართლში [მას] შეუერთდნენ ქართლები, სომხითარნი და ჰერ-კახ-

ნი, მივიდა და დადგა კოხტის-თავს. მეფემ აცნობა ათაბაგს, რომ არ გაებედა განდგომილება, მაგრამ ათაბაგმა არ უსმინა, შეკრიბა თავისი მომხრე მხედრობა და შეებრძოლა მეფეს კოხტის-თავს. სასტიკ ბრძოლაში დამარცხდა ათაბაგი და დაიხოცნენ მისი მეომრები, იოვანე ათაბაგი შეიპყრეს და წარუდგინეს მეფეს, ქორონიკონსა 1415-ს, ქართულით – 103 (1312+103=1415)-ს, ხოლო მეფემ დააპატიმრა ათაბაგი, შევიდა სამცხეში და დაიპყრო ყველა ციხე, გააძევა ურჩები და ზოგი მათგანი ააოხრა და თავისი ერისთავები დაადგინა. შემდეგ შეევედრა ათაბაგი თავის შეცოდებათა პატიებას, [და აღუთქვა, [რომ] სამუდამოდ მის მონობაში იქნებოდა, ხოლო მეფემ, რადგან იყო მოწყალე და შემნდობელი, მისი წინააღმდეგი ერთგულებისათვის დააფიცა მონურ ერთგულებაზე და ისევ ათაბაგად დაადგინა, დამოძღვრა და დაამშვიდა თავისი სიბრძნე-მეცნიერებით იქაურები და მოვიდა თბილისს.

როდესაც ყველაფერი დაამშვიდა თავის ქვეყნებში, [მეფემ] შემოიკრიბა კათალიკოს-ეპისკოპოსნი, ყველა დიდებული და წარჩინებული, ერისთავთ-ერისთავნი და მათთან ერთად მოითათბირა მცხეთაში საკათედრო ეკლესიისა და სხვა ზოგიერთი, მოოხრებული ეკლესიის აღდგენა-აშენება, რადგან მთავრებს [ისინი ცალ-ცალკე] მფლობელობაში ჰქონდათ, როგორებიც [მაგალითად] იყვნენ: ათაბაგი, დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანები [მთავარისა]. თუ მათ შეცვლიდნენ ხოლმე და მეფეთა მორჩილების ქვეშ იყვნენ, [მათსავე] ნათესავეებს ეძლეოდათ მათი პატივი. [280] ხოლო მთავრებს ესმათ რა მეფის ბრძანება, ყველას გაუხარდა და შეაწერა თითოეულმა მათგანმა თავის საბრძანებელში გადასახადი, გარდა სამეფო გამოსაღებისა, გლეხის ყოველ კომლზე სამი კირმანაული<sup>272</sup>, რაც არის ახლანდელი ექვსი შაური, და შეკრებდნენ ამას ყოველ წელს და ამით დაიწყო მცხეთის, რუისის ღვთაების ეკლესიის და სხვა ეკლესიების შენება. ამასთანავე მოეცა მას ღვთისაგან მშვიდობა თხუთმეტი წლის განმავლობაში და შეასრულა თავისი ჩანაფიქრი.

ამ ხანებში გარდაიცვალა კიდევ სამი კათალიკოსი: დავითი, ელიოზი და თეოდოსი და მეფემ დასვა შიო. ხოლო წელსა ქორონიკონსა 1430-ს, ქართულით – 118 (1312+118=1430)-ს იმყოფებოდა მეფე იმერეთს. მოვიდნენ სარკინოზები და უეცარი მოულოდნელობით აიღეს ლორე და დაიპყრეს, დაარბიეს სომხითის [მინა – წყალი] სამცხემდე, გაბრუნდნენ და წავიდნენ, მაგრამ დიდად ავნეს ქართველებს. აცნობეს მეფეს,

წარმოემართა მეფე და მოვიდა ქართლს წელსა, ქორონიკონსა 1431-ს, ქართულით – 119 (1312+119=1431)-ს, შემდეგ შემოიკრიბა მეფემ მხედრობა და მოვიდა ამბერდს, მოანესრიგა იქაურობა და დაიმორჩილა კვლავ. წელსა ქორონიკონსა 1432-ს, ქართულით – 120 (1312+120=1432)-ს მოადგა მეფე ლორეს, აიღო იგი, გაანადგურა სარკინოზები და დაიპყრო ლორე, კვლავ მოხარკე გაიხადა რანი, მოვაკანი და შარვანი, მოიარა თავისი სამეფო და კვლავ მოვიდა თბილისში.

აქამდე სპარსეთი იყო უმეფოდ და მრავალ ნაწილად დაყოფილი, მაგრამ წელს, ქორონიკონსა 1430-ს, ქართულით – 118-ს გამოჩნდა კაცი შარუხი, რომელმაც დაიპყრო სპარსეთის ნაწილი, მოვიდა და დაიპყრო ადრიბეჟანიცა<sup>273</sup> და შემოვიდა სომხითს. ამიტომ ალექსანდრე მეფემ ითათბირა შემოკრებილ თავის დიდებულებთან, [281] რა ჰყონ: ბრძოლა თუ ზავი. გადანყვიტეს თავიდან ზავი, ხოლო თუ არ ინებებს, მერე „ვებრძოლოთ ღვთის შეწევნით“. ამიტომ გაამზადა მეფემ დიდი ძღვენი და თავისი ძე დიმიტრი გაგზავნა ქორონიკონსა 1435-ს, ქართულით – 123-ს და მოითხოვა მშვიდობა. შარუხმა სიხარულით მიიღო და პატივი სცა დიმიტრის, როგორც [საკუთარ] შვილს, შემდეგ დაასაჩუქრა დიდ-დიდი საჩუქრებით, დაუბრუნა მამასვე, დადეს მშვიდობიანი ზავი და თვითონ შარუხი გაბრუნდა და წავიდა.

მაგრამ, როცა განძელებმა და შირვანელებმა იხილეს სპარსეთის მეფობა, აღარ ისურვეს მიეცათ ალექსანდრე მეფისათვის ხარკი. განრისხდა ალექსანდრე მეფე, შეკრიბა თავისი რჩეული მხედრობა და ჩავიდა ყარაბაღს ქორონიკონსა 1437-ს, ქართულით – 125-ს. მას ვერ შეეწინააღმდეგენ განძელები, ურჩები მოსპო და კვლავ გაიხადა მოხარკეებად. ამის მხილველი შირვანელები და დარუბანდელები შეშინდნენ მისი ძლიერებისაგან და შეუერთდნენ ყარაბაღს დიდი ძღვენით. ხოლო მეფემ დაამშვიდა [ისინი] და დაუნესა მათ ხარკი და ყველანი დაიმორჩილა, მერე გამობრუნდა და მოვიდა თბილისს გამარჯვებული. იმიტომ გაამარჯვებინა მას ღმერთმა, რომ [იგი] იყო მშვიდი, მოწყალე, შემნდობელი, მიმტევებელი, ქვრივთა, ობოლთა და დავრდომილთა შემწყნარებელი, სამღვდელთა პატივისმცემელი, ეკლესიათა მამუნებელი და შემამკობელი, მამაცი, ახოვანი, შემართული, მშვენიერ-ბრწყინვალე. ალექსანდრე მეფე მოივლიდა ხოლმე მთელ თავის სამეფოს: ზამთარში – იმერეთს, ზაფხულში – სამცხეს, კლარჯეთს და თრიალეთს, შემოდგომა-გაზაფხულზე – სომხითს, ქართლს, ჰერ-კახეთს და იყო ნადირობა-ნადიმობაში და ქვეყნის მოვლა

პატრონობაში, მაგრამ შემდეგ მოკვდა ალექსანდრე მეფე ქორონიკონსა 1442-ს, ქართულით – 130-ს და დაასაფლავეს მცხეთაში.

### **[282] 77-ე მეფე ვახტანგი. 3 წელი იმეფა**

ალექსანდრე მეფის ნაცვლად გამეფდა მისი ძე ვახტანგი. კათალიკოს – ეპისკოპოსთა და დიდებულ-წარჩინებულთა [კრებულის თანდასწრებით] ეკურთხა იგი მეფედ და დაიმტკიცა თავისი მამის ყოველი საბრძანებელი. [იგი] იყო ძლიერი, ახოვანი ტანით, შემართული, ბრწყინვალე-მშვენიერი, სამინელი მრისხანე, უხვი, მდაბალი [თავმდაბალი] და სამხედრო [განსწავლულობით] სრული. მეფეს მოახსენეს მშვენიერება და სიკეკლუცე ფანასკერტელის ასულ სითი-ხათუნისა. ეტრფილა მეფე და მოიყვანა ცოლად, გადაიხადა მასთან შესაფერისი ქორწილი და ძალიან შეიყვარა.

ხოლო სპარსეთში მოკვდა შარუხი და დაჯდა მის ნაცვლად ჯაან შაჰი ქორონიკონსა 1440-ს, ქართულით – 128-ს. ეს ჯაან-შა ცდილობდა სრულიად სპარსეთისა და გარშემო [ქვეყნების] დაპყრობას. იგი წამოვიდა, უეცრად მოვიდა სამცხეს, შეუტია ახალციხეს და ებრძოდა ძლიერად ქორონიკონსა 1444-ს, ქართულით – 132-ს. როცა ვახტანგ მეფემ მოისმინა, სასწრაფოდ შეკრიბა იმერ-ამერთა, ჰერ-კახთა, სომხითართა მხედრობა, მივიდა სამცხეს და იქ მათ შეუერთდა მთელი მესხობა, შეება ჯაან-შას და გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა დილიდან საღამომდე, ორივე მხრიდან მრავალი დაიხოცა, მაგრამ უმეტესად ჯაან-შას [მხრიდან], თუმცა ბრძოლა თანაბარი იყო და ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა და დაღამების გამო შეწყვიტეს ბრძოლა და ორივე სახვალიოდ იმუქრებოდა. მაგრამ იმავე ღამეს აიშალა ჯაან-შა ყანი თავისი ლაშქრით ისე ჩუმად, რომ ვერავინ გაიგო და წავიდა სწრაფად. ხოლო დილით როცა მეფემ ნახა, მოინდომა მისი დევნა, მაგრამ დიდებულები არ ურჩევდნენ და ეტყოდნენ: „ახლა საჭიროა, მადლობა [უთხრათ] ღმერთს, რადგან არაფერი მიაქვს ჩვენი, არამედ თავისი დატოვა და გარბის“. უსმინა მეფემ და მობრუნდნენ გამარჯვებულნი. მცირე ხნის შემდეგ, [283] ამავე ქორონიკონზე მოკვდა იოვანე ათაბაგი და მეფემ მისი ძე აღბულა აიყვანა ათაბაგობის პატივში. ასევე, ამავე წელს მოკვდა დედოფალი სითი-ხათუნი და დაასაფლავეს ბანას. ამის შემდეგ იმეფა ერთი წელი მეფემ მწუხარებით თავისი ცოლის გამო. [იგი] მეფობდა და კეთილად განაგებდა ქვეყანას, შემდეგ გარდაიცვალა ქორონიკონ-

სა 1445-ს, ქართულით – 133-ს და არ დარჩენია არც ძე და არც ასული და დაასაფლავეს ბანას, თავის ცოლთან.

### **78-ე მეფე გიორგი. 24 წელი იმეფა**

დაჯდამეფედ ვახტანგ მეფის ძმა და ძე ალექსანდრე მეფისა – გიორგი და შეკრებილმა კათალიკოს-ეპისკოპოსებმა და დიდებულებმა აკუთრთხეს იგი მეფედ. ხოლო იყო გიორგი მეფე ყოველგვარი სიკეთითა და საღვთო-სამხედრო [საქმეებით] სრულყოფილი შემკული, მეფობის დასაწყისში ბედნიერი, წარმატებული და გამარჯვებული, მაგრამ შემდგომ ბრძოლის ბრწყინვალე ბედმა უშუბთლა და გაიყო მის დროს სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. როცა გიორგი მეფედ დაჯდა, მან დაიმკვიდრა თავისი მამისა და ძმის ყოველი საბრძანებელი და მართავდა კეთილად. მას ხარკს უხდიდნენ შარვანდი, რანი და შირვანი. ხოლო ათაბაგი აღბულა იყო კაცი მშვიდი და უშფოთველი და სამართლის მოქმედი, როგორც გვაუნყებს მის მიერ დაწერილი სამართლის წიგნი, რომელიც მან მესხებს განუწესა მეფის ბრძანებით. მის ბიძას, ყვარყვარეს ჰქონდა გულში ბოროტი ზრახვა, რომელსაც ქვემოთ განვაცხადებთ. ყვარყვარემ იხილა რა აღბულას ასეთი მოქმედებანი, იწყო მესხთა გადაბირება. მიხვდა ამას აღბულა და მივიდა, რათა ყვარყვარე [284] შეეპყრო. მაშინ ყვარყვარე შეებრძოლა [მას] ძლიერად ქორონიკონსა 1447-ს, ქართულით – 135-ს და დამარცხდა აღბულა ათაბაგი და მივიდა გიორგი მეფესთან. განრისხდა მეფე, წავიდა და მივიდა სამცხეს, ხოლო ყვარყვარე მოეგება მეფეს და უმტკიცებდა თავის უცოდველობას, მაგრამ მეფემ კვლავ აღბულა აიყვანა ათაბაგობის პატივში, ხოლო ყვარყვარე დაიტოვა თავის კარზე. ამიტომ ამიერიდან ყვარყვარე გახდა მეფის მტერი.

შემდგომში, ქორონიკონსა 1451-ს, ქართულით – 139-ს შემოვიდა 50 კატარღა სავსე მურად სულთან მაჰმადის ძის მეომრებით და ააოხრეს და დაანგრის ცხომი, აფხაზეთი და ზღვისპირი, გაბრუნდნენ და წავიდნენ. ეს შეიტყო მეფე გიორგიმ, სასწრაფოდ წავიდა, მაგრამ ველარ მიუსწრო. მოსახლეობა დააბინავა, შეუქმნა სიმაგრენი, მოაწესრიგა იქაურობა და მოვიდა გეგუთს.

იმავე წელს მოკვდა ათაბაგი აღბულა და მის შემდეგ მეფემ ათაბაგობა უბოძა, მის ბიძას – ყვარყვარეს, ვეზირების მხარდაჭერით. შემდეგ, ნადირობის დროს დიმიტრი, ძე ალექსანდრე მეფისა და ძმა გიორგი მეფისა, მოკლა ცხენმა ქორონიკონსა 1453-ს, ქართულით

– 141-ს. კვლავ განდგნენ შირვანელები და აღარ იძლეოდნენ ხარკს. მეფემ შეკრიბა მხედრობა და მივიდა ყაბალას, გაგზავნა, ლაშქარი და გაანადგურა ურჩები და დაანყნარა სხვანი, დაუდგინა ხარკი და მოვიდა შინ. ამ ხანებში კვლავ განრისხდა ღმერთი ქრისტიანებზე, ჩვენი – ქრისტიანთა ცოდვების გამო და აიღო სულთანმა მაჰმადმა კოსტანტინეპოლი ქორონიკონსა 1453-ს, ქართულით – 141-ს. მოკვდა კალეპინი ქორონიკონსა 1410-ს და დაჯდა მისი ძე მუსა. მოკლა მუსა თავისივე ძმამ – მაჰმადმა ქორონიკონსა 1413-ს და დაჯდა თვითონ მაჰმადი. მოკვდა მაჰმადი ქორონიკონსა 1422-ს, [285] და დაჯდა მისი ძე მურადი, რომლის კატარღებმა მოაოხრეს ზღვისპირი. მოკვდა მურადი ქორონიკონსა 1451-ს და დაჯდა მის შემდგომ მისი ძე მაჰმადი. მაჰმადმა თავისი მეფობის მეორე წელს მიიტაცა სამეფო ქალაქი და ეს მიტაცება მოასწავებდა საქართველოსთვის დიდ ბოროტებას, რომელიც ქვემოთ წარმოჩინდება. ხოლო მოკვდა იმერთა ერისთავი დემეტრე და მეფემ დასვა ბაგრატი, მისი ძე, ამასთანავე გიორგის მეფობის დროს გარდაიცვალა კათალიკოსი შიო და მეფემ დასვა კათალიკოსად დავითი.

ხოლო წელსა, ქორონიკონსა 1462-ს, ქართულით – 150-ს, ყვარყვარე ათაბაგის შეგუღიანებით იმერთა ერისთავმა ბაგრატმა, დიმიტრის ძემ, დაიწყო ზრუნვა [იმაზე], რომ იგი – ბაგრატი, მეფედ დაესვათ და აღუთქვა თავისუფლება დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და სვანებს. მოეწონათ მთავრებს საქმის ასე მოგვარება, მისცეს მას მტკიცე პირობა და დასვეს იმერთა მეფედ. ეს რომ გიორგი მეფემ შეიტყო, ძალიან შეწუხდა და შეკრიბა ქართლ-სომხეთისა და ჰერ-კახთა ლაშქარი და უბრძანა ათაბაგს, რომ ჩამოსულიყო სამცხის მხედრობით ფერსათიდან იმერეთში. გიორგი მეფე ჩავიდა იმერეთში თავისი მხედრობით, ხოლო ათაბაგი, რომელიც ხედავდა ვითარებას, თუ რა მოხდებოდა, აღარ მოვიდა. არც დადიანი, გურიელი, აფხაზები და სვანები დაეხმარნენ ბაგრატს. ხოლო გიორგი მეფე და ბაგრატი შეებრძოლნენ ერთმანეთს ჩხორს და ძლიერ ბრძოლაში დაიხოცა მრავალი იმერნი და ამერნი. ბოლოს დამარცხდა გიორგი მეფე და გაიქცა ქართლს.

მაშინ ბაგრატმა დაიპყრო იმერეთი, აიღო ქუთაისი და იქ ეკურთხა მეფედ. მცირე ხნის შემდეგ შემოიკრიბა გიორგი მეფემ მხედრობა და მოვიდა სამცხეში, რომ შური ეძია ათაბაგზე. ყვარყვარე ათაბაგი ვეღარ შეეწინააღმდეგა იქაური ერისთავების [გიორგისადმი] ერთგულების გამო, წავიდა ლტოლვილი იმერეთში ბაგრატთან. [286] სამ-

ცხეში ყოფნისას ცდილობდა გიორგი მეფე, თუ როგორ გამოეყენებინა იქაურები თავისი [ძალაუფლების] განსამტკიცებლად.

ამ ხანებში მომკვდარიყო ჯაან-შა ყაენი და სპარსეთს იჯდა ყაენად ასანბეგი. ასანბეგმა გამოგზავნა ლაშქარი და სპასპეტი ქართლში. გიორგი მეფის სამცხეში ყოფნისას ამას კიდეც დაერთო ამბავი, რომ „მოვიდა თავრიჟ გილაქი და თემური, თავს დაესხნენ ქართლს და აოხრებენ სომხითსაც“. ამის მსმენელი მეფე გამობრუნდა სამცხიდან და შეებრძოლა მათ ძლიერად, მაგრამ დამარცხდა გიორგი მეფე მათთან ჩვენი ცოდვებისათვის და მისი მხედრობის უმეტესი დაიხოცა ქორონიკონსა 1463-ს, ქართულით – 151-ს, ხოლო თავრიჟ გილაქმა და თემურმა მოაოხრეს ქართლი, [ნაილეს] მეფის საგანძური, გაბრუნდნენ და წავიდნენ. ამის მხილველი აღარ იძლეოდნენ ხარკს რანი, მოვაკანი და შარვანი. ასევე ამის მხილველი ბაგრატი დაეხმარა ყვარყვარე ათაბაგს, მოვიდნენ და კვლავ დაიპყრო ყვარყვარემ სამცხე. ყვარყვარემ მიიტაცა აჭარა და ჭანეთის ნაწილი [და მისცა] კახაბერ გურიელს, რათა [იგი] დახმარებოდა სამცხისა და კლარჯეთის ერისთავებს. ხოლო კახაბერ გურიელმა სიხარულით მიიღო ქვეყნები და წამოჰყვა ყვარყვარეს ლაშქრით. სპობდნენ და აძევებდნენ გიორგი მეფის ერისთავებს, ხოლო ზოგს იმორჩილებდნენ და ჰყავდა [ყვარყვარეს] ბაგრატი შემწედ მუღამ.

ამის შემდეგ შემოიკრიბა გიორგი მეფემ ქართველთა, სომხითართა და ჰერ-კახთა მხედრობა, მივიდა და დადგა ფანავარს, რათა დაემორჩილებინა სამცხე ყვარყვარე ათაბაგითურთ ქორონიკონსა 1465-ს, ქართულით – 153-ს. აქ დგომის დროს მეფისაგან განდგომილებმა გიორგი მეფეს შეუჩინეს მოლალატეები, რომ ის მოეკლათ თავის ტაძრეულთან [287] ერთად. ეს გაიგო იოთამ ზედგენიძემ და ამცნო მეფეს ყველაფერი, მაგრამ მეფემ არ დაიჯერა, რადგან არ ეგონა მათგან მეფის ღალატი. მაშინ იოთამი ეტყოდა მეფეს: „თუ ვცდები და არ არის ჭეშმარიტი ჩემი სიტყვა, გვედრები, რათა არ მოაკვლევინო თავი ცუდად, არამედ ამ ღამით მე დავწვები შენ საწოლში და თუ მე ვეგონე მათ მეფე და მომკლან, ნუ დაივინყებ ჩემს ძეებს“.

უსმინა მეფემ და ისე გააკეთეს, როგორც იოთამი ამბობდა, ხოლო იმ ღამით შემოვიდნენ შეთქმულნი, მოკლეს იოთამი და გადარჩა მათგან მეფე. დილით შეიპყრო მეფემ თავისი მტრები და ყველანი დახოცა. ამ შფოთსა და გამოძიებაში თავს დაესხა ყვარყვარე ათაბაგი თავის ყველა დამხმარეთი გიორგი მეფეს, გააქცია მეფის ლაშქარი და შეიპყრო

გიორგი მეფე, წაიყვანა სამცხეს და ჰყავდა პატიმრად დიდი პატივით.

ამის შემდეგ მოკვდა ყვარყვარე ათაბაგი ქორონიკონსა 1454-ს, იანვარში და დაჯდა მისი ძე ბაადური [ათაბაგად]. ამავე ქორონიკონს, იხილა რა გიორგი მეფის შეპყრობა ბაგრატ იმერეთის მეფემ, შეკრიბა თავისი ლაშქარი, გადმოიარა ლიხი და დაიპყრო ქართლი თებერვალში. ამის მხილველი განდგა დავითიც ჰერ-კახთა მოთხოვნით, რომ ბაგრატს ჰერ-კახნიც არ დაეპყრო და იწოდა დავითი კახთა მეფედ.

ამ [ამბების] მხილველი ბაადურ ათაბაგი ფიქრობდა, თუ ბაგრატმა ქართლი დაიპყრო, კვლავ მოინდომებს სამცხის დაპყრობას და დამორჩილებას. ამიტომ მოელაპარაკა გიორგი მეფეს, რომ არ გაიხსენოს შუარისძიება [ბაგრატზე] და არ შეეცილოს სამცხის ათაბაგს, ხოლო მეფემ დაიპყროს ქართლი, [288] სომხითი, ჰერ-კახნი, გაუშვას და თან მიჰყვეს თვით ათაბაგიც ამ [ქვეყნების] დასაპყრობად. იძულებულმა მეფემ აღუთქვა ყველაფერი მისი ნებისამებრ და მეფისგან დაიმედებულმა ბაადურ ათაბაგმა შეკრიბა სამცხისა და კლარჯეთის ლაშქარი სრულად და ჩამოიყვანა გიორგი მეფე სომხითს. აქ შეუერთდა მეფეს ყველა სომხითარ-ქართველი. ხოლო ეს რომ იხილა ბაგრატ მეფემ, აღარ ინდომა ბრძოლა და წავიდა იმერეთს. გიორგი მეფემ დაიპყრო ქართლი და სომხითი, მერე გავიდა კახეთს და მიჰყვა [მას] ბაადურ ათაბაგიც. ამის მხილველი ჰერ-კახნიც შეუერთდნენ გიორგი მეფეს, ხოლო დავითი ვერ შეენინა აღმდეგა და მეფის შიშით გაიქცა დედანულიანად დიდოეთს და გიორგი მეფემ კვლავ დაიპყრო კახეთი და ჰერეთი და, როგორც ადრე იყო ერისთავთა მიერ, ისე განაგო. შემდეგ მოელაპარაკა დიდოელებს, რომ გადმოსცენ დავითი და მიიღონ დიდი საჩუქარი, მაგრამ მათ არ ინებეს მეფისათვის დავითის გადმოცემა. ხოლო მეფემ ველარ გაბედა დიდოელების შერისხვა, რათა მათ სიმაგრეებში უფრო დიდი ბოროტება არ მომხდარიყო, ამიტომ დაამტკიცა ჰერ-კახნი თავის ერთგულებაზე და დაარიგა იქაურები და მოვიდა თბილისს, ხოლო ბაადურ ათაბაგი წავიდა სამცხეში.

ამის შემდეგ ეპყრა და განაგებდა გიორგი მეფე ქართლს, სომხითს და ჰერ-კახთა. [მან] მოიყვანა იოთამის ძე და მამამისის მსახურებისათვის უბოძა მას ციხეები, მამული და ქართლის სასპეტობა, გორის მოურავობა, სასაფლაო სამთავისი და თავისი კარის ამილახვრობა, როგორც ამას უჩვენებენ მათი გუჯრები. მაგრამ გიორგი მეფე, ამათი მყოფელი და დარჩენილი ქვეყნების განმგებელი, იყო ძალიან დამნუხრებული

სამეფოს ამგვარი დანაწილების გამო. [იგი] კვლავ ცდილობდა შეერთებ-  
ბას და საქართველოს ისე დატოვებდა, მაგრამ ყველა საშუალების მაძ-  
იებელი და ვერ მპოვნელი გარდაიცვალა გიორგი მეფე წელს ქორონ-  
იკონსა 1469-ს, ქართულით – 157-ს და დაასაფლავეს მცხეთას.

ხოლო გიორგი მეფის ძის, კოსტანტინესა და მის მომდევნო მეფეთა  
საქმიანობის [შესახებ] წერას ვიწყებთ თავთავის ადგილას, რადგან  
მოხდა დანაწილება.

## საქართველოს ახალი ისტორია XIV-XVIII ს. შემდგომად ბანყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ

### [291] უწყებულება მკითხველთათვის

იცოდეთ, რომ მეფე გიორგი ბრწყინვალისა და მისი მომდევნო მეფეების „ცხოვრება“ აღარ მოიპოვება. მაგრამ სავარაუდოა, რომ [საქართველოს] დაყოფის [დრომდე] არსებობდა მისი და სხვა მეფეთა „ცხოვრებანი“. [ამის დასტურია], რომ [ქართლის] „ცხოვრებაში“ სწერია, თუ რამდენად გონივრულად წარმართა გიორგი ბრწყინვალემ ბრძოლები და განავრცო სამეფო.

კვლავ ნათქვამია: „განდგა სარგის ჯაყელი და აღარ მოხერხდა მესხების შემოერთება გიორგი ბრწყინვალის დრომდე, და მან დაიპყრო მესხეთი“. ასევე ნათქვამია კავკასიელებისა და ოსების გაძევებასა და დამორჩილებაზე. ამიტომ, თუ არ არსებობდა „ცხოვრება“, არც შეეძლოთ მის მიერ აღრინდელ მოქმედებათა აღწერა. ამიტომ ეს აღწერა მის შემდეგაც უნდა არსებულებოდა, მაგრამ იყო და დაიკარგა, [ისევე], როგორც ნაკლებია ვახტანგ მეფისა და ბექას მიერ თურქებზე [მოპოვებული] გამარჯვებები და ყაენების [სურვილების] შეუსრულებლობანი. [შეიძლება], გვართა შორის შურის გამო განყოფის შემდეგ დამალეს. ამიტომ საჭირო გახდა მის შემდგომ მეფეთა [„ცხოვრებათა“] აღწერა. მაგრამ ერთმეფობას და მთელი საქართველოს ქართლის მეფის მორჩილებაში ყოფნას ადასტურებს სამი თვალსაჩინო რამ: პირველი, რომ ჰკითხო ვინმე ქართველს, ან იმერელს, მესხს და ჰერ-კახს: რა რჯული ხარ? ნამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორე, ყველა მათი წიგნი და ენა ერთი და იგივეა, შექმნილი მეფე ფარნავაზ პირველის მეფობიდან და რომ ჰკითხო ზემოჩამოთვლილებს: „რა ენა და წიგნი იცი?“ – მოგიგებს მამინვე: „ქართული“, რადგან არ იტყვის იმერლების ან მესხებისა და ჰერ-კახელების არც [292] სჯულს, ენას და წიგნს, არამედ ქართულს. მესამე, ვერსად ვნახავთ ვერც დიდ შენობებსა და ეკლესია-მონასტრებს, ან ძვირფას ხატებს და ჯვრებს, რომელზეც [იყო სხვა მეფეების სახელები, გარდა „ჩუენ, საქართველოს ან ქართლის, ან აფხაზეთის მეფემ“, რომელიც წარწერილია ქვებზე, ხატებზე და ჯვრებზე. ამის ნიშნებია [ისიც], რომ ქართლის მეფის მფლობელობაშია: ჰერ-კახთა – ყარაია და ლილო; იმერთა – ლიხის მთის იქითა [მხარე]; სამცხის – ტაშისკარის ზემო [ნაწილი] ტბისყურ-ფანავრისამდე; სომხითის – აბოცი და სხვანი,

რომელნიც შიხის ძეებს წაართვეს. ესენიც საკმარისია დასამტკიცებლად. უნიგნურმა გლეხებმაც იციან გორგასალის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ძლიერება, მაგრამ ურთიერთ შურისა და გარე მტერთაგანაცა მოხდა განყოფა, [დანყებული] დავითისა და ნარინ-დავითისაგან და მათ შემდგომთაგანაც. ამიტომ ნათელია, რომ ამ მიზეზით მწერლებს შემდგომი მეფეების „ცხოვრებათა“ აღწერა აღარ მოუწადინებიათ. თუმცა გუჯრებში, სიგელებსა და საეკლესიო წიგნებში ვპოულობთ მათ მოღვაწეობის ქრონოლოგიას, რომელიც აღუწერიათ გიორგი ბრწყინვალის [დროიდან] ჩვენამდე ყველა მეფეთა და მთავართა შესახებ, ხოლო სხვას შევიტყობთ გადმოცემა-მოთხრობებიდან და მათ ცხოვრებათა [შესახებ] დანერილ მცირე [ცნობათაგან].

„ცხოვრება“ აღუწერიათ მეფე ვახტანგ ლევანის ძის სახელით, მაგრამ არ არის სავარაუდებელი, [რომ მას დაენეროს], თუმცა მისი ბრძანებით [კი] დანერილა, მაგრამ [ჩანს, რომ] იგი თვითონ აღარ გასცნობია მის შინაარსს, რადგან აღწერს ბაგრატიონთა ნათესაობა-შთამომავლობის სხვა ქრონოლოგიას, [ისეთს, როგორსაც] აქ ჩვენ მიერ დანერილი ქორონიკონები [გვიჩვენებენ]. „ცხოვრებაში“ წერია, [რომ] გიორგი ბრწყინვალე [დიმიტრი] თავდადებულის ძეა, ხოლო გიორგის ძეა – ბაგრატი და ამ ბაგრატის დროს ასახელებს თემურის შემოსევას და ამ ქორონიკონს უწერს: ქრისტეს აქეთ 1393-ს, ქართულით – 91-ს. ამ ბაგრატის ძედ გიორგის [ასახელებს] და ამ გიორგის სიკვდილს [დებს] – ქრისტეს აქეთ 1355-ს, ქართულით 43-ს. [ხოლო] „ნათესაობასა შინა“ ამავე ქორონიკონში ამ გიორგის ძის – დავითის მეფობას ასახელებს და ამ მეფეთა ქორონიკონისა და ცხოვრების [შესახებ] აღარაფერს წერს, რადგან ვერაფერი უპოვნიათ, როგორც იქვე წერს: „ვერ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგის ცხოვრება“. ხოლო გიორგის ძედ დავითს [ასახელებს] და ამ დავითის სიკვდილს – ქორონიკონს 1362-ს, [ხოლო] ამ დავითის ძედ – ალექსანდრეს. „ნათესაობასა შინა“ ამ ალექსანდრეს მეფობას უთითებს ქრისტეს აქეთ 1372-ს, ქართულით – 60-ს, „ცხოვრებასა შინა“ ამ ალექსანდრეს სიკვდილის [თარიღად] – 1343-ს და მის ძედ [ასახელებს] გიორგის და ამ გიორგის მეფობას „ნათესაობასა შინა“ – ქრისტეს აქეთ 1395-ს, ქართულით – 93-ს.

მაგრამ იხილე, როგორ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან, [ეს თარიღები], რადგან ამბობს „ნათესაობასა შინა“, რომ რუსუდანთან გიორგი ბაგრატის ძემდე გავიდა 124 წელი და რუსუდანის მეფობას იქვე

უთითებს – ქრისტეს აქეთ 1283-ს. ამას რომ 124 დავამატოთ იქნება 1407 წელი, რომელიც სცილდება ალექსანდრეს სიკვდილის [თარიღს] – 1393-ს და გიორგის მეფობას – 1395-ს, ქართულით – 83-ს. ამიტომ ამათ წინა მეფეების მეფობის თარიღები შეცდომით არის [მითითებული]: თუ რუსუდანის სიკვდილის [თარიღს] 124 წელს დავუმატებთ, იქნება ქრისტესით 1361, ქართულით – 49, ეს მიაღწევს დავითის მეფობის წელს - 1355-ს, ქართულით – 43-ს [და] გადააცილებს ექვსი წლით. ასევე, რუსუდანის მეფობის წლებიდან დავითის გამეფებამდე დარჩება 72 წელი. [სულ] ხუთი მეფეა; ეს რომ გავყოთ, თითოეულს მოუწევს 14 წელი. დაუჯერებელია, რომ ამ [ასაკში] მათ ძეები ჰყოლოდათ, რადგან [ისინი] ერთმანეთის ძენი არიან. იგივე ქორონიკონი აქ დაწერილ ქორონიკონს მიაღწევს – ბაგრატ დიდისაგან სუანთა ამოხოცვისა და თურქთაგან სამცხის დარბევის [ქორონიკონს].

ბაგრატის ქორონიკონი თემურის შემოსვლისა და ალექსანდრეს სიკვდილის [ქორონიკონი] ქრისტეს აქეთ 1393-ს, წინააღმდეგობაში არიან, რადგან ან [294] ბაგრატის [ქორონიკონად უნდა ჩავთვალოთ], ან ალექსანდრეს [ქორონიკონად], რადგან პაპის მამისა და ძის-ძის-ძის მეფობის ქორონიკონი ერთდროულად დაუჯერებელია და მათ ქორონიკონებსაც ეწინააღმდეგებიან, რადგან [გამოდის, რომ] ძეები პაპაზე ადრე არსებულან. ამიტომ 1393 ქორონიკონი ყველა მემატიანის მოწმობით თემურისა და ბაგრატ დიდის არის. ბაგრატ დიდის მამა დავითი იყო, რასაც მოწმობს ბარათიანთა ბეთანიის გუჯარი, [ხოლო] დავითის მამა – გიორგი ბრწყინვალე, [დიმიტრი] თავდადებულის ძე, რასაც მოწმობს „ნათესაობის“ 124 წელი. რუსუდანის გამეფებას რომ მივუმატოთ [124 წ.], იქნება ქრისტესით 1335 წელი და გიორგი ბრწყინვალის მეფობა.

ეს ალექსანდრე მიქელ მეფის ძის – ბაგრატის ძეა და ამიტომ ვერ განურჩევიათ, რადგან ორი ბაგრატი ერთდროულად ცხოვრობდა. „ნათესაობის“ ქორონიკონი – 1372, ქართულით – 60 ამ ალექსანდრეს მეფობის [თარიღიც] რომ არის, მიქელ მეფის ძის ბაგრატის სიკვდილისა და ალექსანდრეს გაერისთავების [თარიღი] არის, რაც იმერეთთან [დაკავშირებით] აღვწერეთ, და ბაგრატ დიდის მეფობის დრო არის, ხოლო ბაგრატ დიდის ძე არის გიორგი და არა ალექსანდრე, [ხოლო] გიორგი მათ ალექსანდრეს ძედ დაუწერიათ. ამ გიორგის სიკვდილის ქორონიკონი „ცხოვრებაში“ ქრისტეს აქეთ 1412 [წელი ამავე დროს] ალექსანდრეს გამეფებისა [წელიც არის]. სინამდვილეში ეს ქორონ-

იკონი არც გიორგისა და არც ალექსანდრესი არის, არამედ გიორგი მეფის ძმის – კოსტანტინესი, ბაგრატ დიდის ძისა. წერია, [რომ] „ნათესაობაში“: 1414, ქართულით – 102 ალექსანდრე მცხეთის მაშენებლის გამეფების [წელია]. ამის მამა – გიორგი თურქებმა მოკლეს ქრისტეს აქეთ 1407-ს, ქართულით – 95-ს.

„ცხოვრებაში“ წერია გიორგის ძედ ალექსანდრე და ამ ალექსანდრეს სიკვდილი – ქრისტეს აქეთ 1419-ს, ამ ალექსანდრეს ძედ – ვახტანგი. ხოლო „ნათესაობაში“ ვახტანგის მეფობა [დადებულია] – ქრისტეს აქეთ 1443-ს, ქართულით – 132-ს. ეს არის ვახტანგის მეფობის მეორე წელი. ხოლო „ცხოვრებაში“ ვახტანგის სიკვდილის [წელი] – ქრისტეს აქეთ 1445-ს. ვახტანგის ძმის – [295] გიორგის გამეფების წლად „ნათესაობაში“ წერია ქრისტეს აქეთ 1445, ქართულით – 133, „ცხოვრებაში“ – გამეფება ამასვე [წელს], ხოლო გიორგის სიკვდილს – ქრისტეს აქეთ 1455-ს. ამ გიორგის ძედ ბაგრატს [ასახელებს]. „ნათესაობაში“ [მის] გამეფებას წერს ქრისტესით 1455, ქართულით – 143-ს. „ცხოვრებაში“ – ბაგრატის სიკვდილს – ქრისტეს აქეთ – 1461-ს, და ამ ბაგრატის ძედ – კოსტანტინეს, ხოლო კოსტანტინეს სიკვდილს – ქრისტეს აქეთ 1468-ს. შემდეგ, კოსტანტინეს ძმად წერს ალექსანდრეს და ამ ალექსანდრეს სიკვდილს – ქრისტეს აქეთ 1492-ს, ხოლო „ნათესაობაში“ ამათ შესახებ არაფერია, რადგან ვერაფერი შეუტყვიათ. ამ ალექსანდრეს ძედ კოსტანტინეს [ასახელებს], ხოლო „ნათესაობაში“ მის მეფობას – 1492-ს, ქართულით – 180-ს, ხოლო „ცხოვრებაში“ – სიკვდილს 1510-ს; ამ კოსტანტინეს ძედ დავითია დასახელებული და დავითის სიკვდილს – ქრისტეს [აქეთ] – 1642-ს, ხოლო „ნათესაობაში“ არც ამის შესახებ წერს რაიმეს. შემდეგ, დავითის ძედ ლუარსაბს [ასახელებს] და ლუარსაბის სიკვდილს – ქრისტეს აქეთ 1534-ს. ლუარსაბის ძედ სვიმონს [ასახელებს] და „ნათესაობაში“ მის გამეფებას [დებს] ქრისტეს აქეთ 1556-ს, ქართულით – 246-ს, რომელიც არის ლუარსაბის სიკვდილის [წელიც]. „ცხოვრებაში“ სვიმონის სიკვდილს – ქრისტეს აქეთ 1600-ს, ხოლო ამის შემდგომ ქორონიკონებს აღარ წერს. ხოლო ალექსანდრეს სიკვდილისა და ვახტანგის გამეფების ქორონიკონი – 1519 – არც ერთი არ არის მათი, არამედ მცხეთის აღმაშენებლის – ალექსანდრეს გამეფების დრო არის. ხოლო ვახტანგის სიკვდილის და გიორგის გამეფების ქორონიკონი – 1445 სწორია, რასაც „ნათესაობის“ ქორონიკონიც ემონმება. ასევე, გიორგის სიკვდილისა და ბაგრატის გამეფების ქორონიკონი –

1455 არ არის სწორი, რადგან ბაგრატი გიორგის ძე კი არ არის, არამედ დიმიტრისა, იმერთა ერისთავისა. ამ გიორგის ძე კოსტანტინე იყო და, [როცა] გიორგი მოკვდა, კოსტანტინე გამეფდა ქრისტეს [აქეთ] 1469-ს და ეს გიორგის ქორონიკონიც არის.

ბაგრატისა და მისი ძის – ალექსანდრესა და მის შემდეგდროინდელი იმერეთის [მეფეებთან] მიუთითეთ მათი ქორონიკონებიც, მაგრამ კოსტანტინე გიორგის ძის სიკვდილი და მისი ძის გამეფების ქორონიკონი – 1504, ერთით ნაკლები არის, ხოლო დავითის სიკვდილი და მისი ძმის, გიორგის გამეფება ქრისტეს აქეთ 1527-ს არა გამეფებისა არის, არამედ [მისი] მეფობის ქორონიკონია.

ასევე, ლუარსაბის ქორონიკონი 1542 არა გამეფების არის, არამედ მეფობის, და სვიმონ მეფისა – 1560 სვიმონის მეფობის მეორე წელი არის. ამრიგად, ეს ქორონიკონები უზუსტო და წინააღმდეგობრივი არიან და არც იმას წერს, რატომ მოხდა განყოფა და არც იმერთა და კახთა მფლობელთა შთამომავლობას წერს. ხოლო ამას თუ შევამოწმებთ, ძალიან უზუსტოა, რადგან [დიმიტრი] თავდადებულის სიკვდილის [თარიღი] ვიცით და მის შემდგომ მეფეების ცხოვრებათაგან წლების აღრიცხვით გიორგი ბრწყინვალემდე მივალწევთ. გიორგი ბრწყინვალე გამეფდა ქრისტეს აქეთ 1318-ს, ქართულით – 6-ს და შემდეგ [მეფეების თარიღებს], ვგებულობთ გუჯრებიდან, სიგელებიდან და ძველი ქორონიკონიდან [დანყებული] 1323-ით, ქართულით 10 – ჩვენამდე. [ამ ქორონიკონებით ვგებულობთ] გიორგი ბრწყინვალის ძის, დავითისა და მისი ძის ბაგრატ დიდის მეფობას და ბაგრატის სიკვდილს და ამ ბაგრატის დროს თემურის ორგზის მოსვლას, რომელთაგან პირველი იყო ქრისტეს აქეთ 1387-ს, ქართულით – 80-ს და მეორე – ქრისტეს აქეთ 1394-ს, ქართულით – 82-ს. მაგრამ ალექსანდრე დაუნერიათ ქართლის მეფედ ქრისტეს აქეთ 1393-ს, მაგრამ თუ ბაგრატ დიდი და ალექსანდრე ერთ დროს იყვნენ, [გამოდის, რომ] ერთდროულად [იყვნენ] მეფეები, არამედ შეცდომით არის დაწერილი და მანამდე მეფეებიც [შეცდომითაა], რადგან ალექსანდრე იყო იმერთა [მეფე] და მისი ძმა გიორგიც – მის შემდეგ. რადგან ვმსჯელობთ გიორგის სიკვდილის შესახებ ქრისტეს აქეთ 1392-ს, ქართულით – 80-ს, და ბაგრატ დიდის სიკვდილის ქრისტეს აქეთ – 1395-ს, ქართულით – 83-ს, [გამოდის, რომ] ალექსანდრე და გიორგი ბაგრატ დიდის დროს ჩანან. ამიტომ არ შეიძლება ერთდროულად სამი მეფე – ორი მათგანი იმერთა

[მეფეებია] და ბაგრატ დიდი – ქართლისა. ის კი არ არის გიორგი ბრწყინვალე, [297] რომლის ძედ წერს ბაგრატს და რომლისათვისაც არც ქორონიკონი დაუწერიათ, არამედ ის, რომლის სიკვდილი დაუწერიათ ქრისტეს აქეთ 1355-ს, ხოლო მის ძედ – დავითი. [მასზე ადრინდელი] მეფეებიც შეცდომით არიან. ხოლო ამ დავითის ძე იყო ბაგრატ დიდი, რომლის დროსაც მოვიდა თემური. და რადგან ამ ქორონიკონში მოვიდა თემური მეოთხედ, ამიტომ ალექსანდრეს ქორონიკონი ტყუის და მცდარი არის. ხოლო ბაგრატ დიდის ძე იყო გიორგი, როგორც ვნახავთ დავითის, ბაგრატ დიდისა და გიორგის ქორონიკონებს, გუჯრებსა და სიგელებში.

ალექსანდრე მეფე მოკვდა ქრისტეს აქეთ 1392-ს, ქართულით – 78-ს. მოკლეს გიორგი მეფე მეგრელებმა ქრისტეს აქეთ 1392-ს, ქართულით – 80-ს. მოკლეს მეფე კოსტანტინე ჩალა-ლანში ქრისტეს აქეთ 1401-ს, ქართულით – 89-ს. იყო დიდი ომი [და] მოკლეს გიორგი თურქებმა და მისი ძმა კოსტანტინე მეფე გახდა ქრისტეს აქეთ 1407-ს, ქართულით – 95-ს. ამრიგად, ვხვდებით ალექსანდრე და გიორგი მეფებს მეფე ბაგრატ დიდის დროში, ხოლო კოსტანტინე მეფის ცხოვრებასა და სიკვდილს – გიორგი მეფის [დროს], რომლებიც ამ ქორონიკონებით არ არიან ერთი და იგივე მეფეები. ალექსანდრე, გიორგი და კოსტანტინე [დასახელებულნი არიან როგორც] ძენი ბაგრატისნი, [სინამდვილეში არიან] მიქელ მეფის ძენი და იმერეთის მეფეები, ხოლო გიორგი და კოსტანტინე – ბაგრატ დიდის ძენი და ქართლის მეფეები. გიორგის ძე არის ალექსანდრე – მცხეთის მაშენებელი, როგორც ბარათიანთა გუჯარში, რომელიც ბეთენიას ინახება, წერია: „ალექსანდრე მეფემ, გიორგი მეფის ძემ გააძევა სამი ძმა: აბაში, გუგუნა და დავითი“. ასე რომ არ იყოს, წლების რაოდენობა ცოტაა, რომ ექვსი მეფე, ერთმანეთის ძენი, მეფობდნენ [15 წლის ინტერვალით], რადგან გიორგი ბრწყინვალე გამეფდა ქრისტეს აქეთ 1318-ს, ქართულით – 6-ს და ალექსანდრე, მცხეთის მაშენებელი, გამეფდა ქრისტეს აქეთ 1414-ს, ქართულით – 102-ს. ამ ქორონიკონებს შორის არის 93 წელი. ეს რომ [ექვს] მეფეზე გავყოთ, გიორგის, ბაგრატს, გიორგის, დავითს, ალექსანდრეს და გიორგის – თითოეულს შეხვდება 16 [წელი]. [ასეთ მოკლე დროში] შეუძლებლია ძეთა შობა. და მეორეც, [298] რადგან ყოველი მათგანი არის მეორე შვილი და არცერთი არ არის ერთადერთი ძმა მცხეთის მაშენებლის – ალექსანდრეს მომდევნომდე. მეფე გიორგი ბრწყინვალეიდან სვიმონ მეფემდე არის 228 წელი და 13

მეფე. არ შეიძლება გონიერმა დაიჯეროს [ასეთი შობადობა], რადგან თითოეულ მეფეზე [ინტერვალ] მოდის 15 წელი და ისინი ერთმანეთის ძეები არიან. კიდევ, თუ ჭეშმარიტია, რატომ [არაფერს] ამბობს მათი ღვანლის შესახებ, არამედ იტყვის: „იმეფა და მოკვდა“ და სხვა არაფერს, არც იმონებს ქორონიკონსა. და თუ იმონებს, ერთმანეთის სანინაალმდეგო და უზუსტოა, როგორც ვნახეთ, და ამიტომ – არაჭეშმარიტი. ასე რომ არ იყოს, რაც ჩვენ აღვწერეთ – გუჯრები, სიგელები და ქორონიკონები, არ იქნებოდნენ ჭეშმარიტი და ამიტომ უმჯობესია, რომ დავრწმუნდეთ, ვიდრე მტკიცების გარეშე ვისაუბროთ, როგორც იქ არის – არც ერთ მტკიცებულებას არ იმონებს.

ალექსანდრე – მცხეთის მაშენებლის მომდევნო [მეფეების] და მათი ქორონიკონები, გუჯრები და სიგელები მრავალია, როგორც თვით [მეფეები]. ბაგრატ დიდის ძის – გიორგის შემდეგ მოკლეს მეფე კოსტანტინე თურქებმა ქრისტეს აქეთ 1414-ს, ქართულით – 102-ს და დაჯდა მეფედ ალექსანდრე, ძე გიორგი მეფისა. მაგრამ ამ მეფის ცხოვრებისა და სიკვდილის [თარიღებიდან] ჩანს, რომ [მან] იმეფა 28 წელი, ხოლო „ცხოვრებაში“ დაუწერიათ 7 წელი, რაც არ შეესაბამება მის ცხოვრებას და არც გუჯართა მოწმობას, რადგან სწერია: „ჩვენი მეფობის 10, 15 დქ 20 ინდიქტიონს გიწყალობეთ“.

ასევე, მისი ძის ვახტანგის [შესახებ]: „სამი წელი იმეფა და მოკვდაო“, მაგრამ ქორონიკონით მისი მეფობის 26 წელი დაუწერიათ, ხოლო „ნათესაობაში“ – სხვა, და ასე შეუსწორებელი არის.

ხოლო ვახტანგის ძმისა და ალექსანდრეს ძის – გიორგის [შესახებ] წერს მისი მეფობის 10 წელს, თუმცა ქორონიკონებისა და [299] გუჯრების მოწმობით [სინამდვილეში] იმეფა 24 წელი, რადგან წერს: „ჩუენ გიორგი მეფემ 15 ინდიქტიონს გიწყალობეთ“ და ამ გიორგის ძედ ბაგრატს [ასახელებს] და ბაგრატის მეფობას – 6 წელიწადს. მაგრამ ქორონიკონთა მოწმობით ეს ასე არ არის, როგორც ამას ვნახავთ. მეფე გიორგი და ბაგრატი შეიბნენ ჩიხორს და ბაგრატმა გაიმარჯვა ქრისტეს აქეთ 1462-ს, ქართულით – 150-ს. [აი] ნახე – ბაგრატს არ ასახელებს მეფედ, რადგან [იგი] ერისთავი იყო.

ასევე, გიორგი მეფე თავრიჟ გილაქმა და თემურმა გაანადგურეს ქრისტეს აქეთ 1463-ს, ქართულით – 151-ს; გიორგი მეფე შეიპყრო ყვარყვარე ათაბაგმა ფანავარს ქრისტეს აქეთ 1465-ს, ქართულით 153-ს. ბაგრატ მეფემ ქართლი დაიპყრო ქრისტეს აქეთ 1466-ს, ქართულით –

154-ს; გიორგი მეფე მოკვდა ქრისტეს აქეთ 1469-ს, ქართულით – 157-ს; ბაგრატ მეფე მოკვდა ქრისტეს აქეთ 1478-ს, ქართულით – 166-ს. ამათგან ბაგრატი გიორგის ძე [კი] არ არის, რადგან ერთ დროს ცხოვრობენ და ერთმანეთის მტერი და მოწინააღმდეგენი იყვნენ, [არამედ] ბაგრატი არის დიმიტრის ძე, ალექსანდრე იმერთა [მეფის] ძისა, ხოლო ეს გიორგი – ძე ალექსანდრე მცხეთის მამულებელისა. ამ გიორგის ძე არის კოსტანტინე, რადგან ქორონიკონი ნათლად წერს ალექსანდრეს ბაგრატის ძედ. თუკი ვნახავთ სიგელებსა და გუჯრებს, რომ: „ჩუენ, ბა-გრატ მეფემ ქართლისა, იმერთა, კახთა, სამცხისა, რანისა, შარვანისა და შანშისა“. მაგრამ, რადგან დაიპყრო ქართლი და ემორჩილებოდნენ კახნი და მესხნიცა, ამიტომ ადრინდელი ჩვეულებისამებრ [ასე] წერდა. ხოლო ბაგრატის ძედ – კოსტანტინეს და ამ კოსტანტინეს – ალექსანდრეს ძმად, ხოლო ამ ალექსანდრეს ძედ – კვლავ კოსტანტინეს, მაგრამ ეს კოსტანტინე იგივე კოსტანტინეა – გიორგი მეფის ძე და მამა დავით მეფისა და გიორგისა. ხოლო ალექსანდრე – ბაგრატის ძე და ალექსანდრეს ძე ბაგრატი, რომელმაც ყვარყვარე ათაბაგი შეიპყრო, ცხადად ჩანს. ხოლო „ცხოვრების“ მიხედვით, რომელიც აღუწერიათ, ეს კოსტანტინე მისულა ყაენთან, როგორც სწერია: „მივიდა კოსტანტინე თათრებში“. [300] ასევე, კოსტანტინე მეფემ ქართლი დაიპყრო ქრისტეს აქეთ 1479-ს, ქართულით – 167-ს. კოსტანტინე მეფე ჯავახეთს შეიჭრა და დადიანიც თან ახლდა ქრისტეს აქეთ 1481-ს, ქართულით – 169-ს. ეს [კოსტანტინე] ბაგრატისა და ალექსანდრეს მტერი და მოწინააღმდეგე არის და როგორ შეიძლება ძე იყოს? ასევე, გამეფდა ალექსანდრე და ქუთაისი აიღო ქრისტეს აქეთ 1484-ს, ქართულით – 172-ს. კოსტანტინე მეფემ ქუთაისი აიღო ქრისტეს აქეთ 1487-ს, ქართულით – 175-ს. ალექსანდრე მეფემ კვლავ დაიპყრო ქუთაისი ქრისტეს აქეთ 1489, ქართულით – 177-ს.

მეფობდა კოსტანტინე ქრისტეს აქეთ 1492-ს, ქართულით – 180-ს და მოკვდა – ქრისტეს აქეთ 1505-ს, ქართულით – 193-ს. ალექსანდრე მეფემ, ბაგრატ მეფის ძემ, გორი დაიპყრო ქრისტეს აქეთ 1509-ს, ქართულით – 197-ს. მოკვდა ალექსანდრე მეფე და გამეფდა მისი ძე ბაგრატი ქრისტეს აქეთ 1510-ს, ქართულით – 198-ს. აქედან ცხადი და თვალსაჩინოა, რომ [ის] არ არის ძე, არამედ ამისი მამა სხვაა და იმისი მამა – სხვა. როგორც დავწერეთ, ის არის ჭეშმარიტება, რადგან ბაგრატი და ალექსანდრე იმერთა მეფენი [იყვნენ], ხოლო ეს კოსტანტინე – ქართლის მეფე.

კოსტანტინე მეფის ძის – დავითის [შესახებ] წერს: „გამეფდაო ქრისტეს აქეთ 1510-ს“, რომელიც ბაგრატ იმერეთის მეფის გამეფება არის. ჩვენ ვიპოვეთ კოსტანტინე მეფის სიკვდილის ქორონიკონი და ავგიორგის მიერ თავისი მამის მოკვლის [ამბავი] და თვით მისი, ავგიორგის სიკვდილის [ქორონიკონი]: ყაენი ქართლის ასაოხრებლად წამოვიდა ქრისტეს აქეთ 1518-ს, ქართულით – 206-ს და დავით მეფემ თავისი ძე – რამაზი მიაგება და დაიხსნა ქართლი აოხრებისაგან. ხოლო ყაენი იყო შაჰ-ისმაილი. სპარსელების მიერ აღწერილი ქორონიკონებიდან გამოვიანგარიშეთ და შაჰ-ისმაილის გამოჩენა მოხდა ქრისტეს აქეთ 1499-ს, ქართულით – 187-ს და სიკვდილი მისი – ქრისტეს აქეთ 1523-ს, ქართულით – 211-ს. ამიტომ არ არის დავით მეფის ქორონიკონი, არამედ [301] – კოსტანტინე მეფის სიკვდილისა ქრისტეს აქეთ 1505-ს და გამეფება დავით მეფისა. ხოლო დავით მეფე კვლავ მეფობდა შაჰ-ისმაილის მოსვლის შემდეგ, როგორც [ამას] წარმოაჩენს ბარათიანთა გაყრის ქორონიკონი – წელსა ქრისტეს აქეთ 1523-ს, ქართულით – 211-ს: „ზე ადიდოს ღმერთმა დავით მეფე, ერგო გუგუნას ეს და გერმანოზს – ეს“.

ხოლო დავით მეფის შემდეგ იყო გიორგი მეფე, დავით მეფის ძმა. შაჰ-ისმაილის მოსვლა ლუარსაბ მეფის დროს აღუწერიათ. ლუარსაბ მეფის მოკლე „ცხოვრება“ და მისი სიკვდილი ნათლად არის ქორონიკონებში და ამ ქორონიკონთა აღრიცხვით შაჰ-ისმაილის მოსვლა არ ყოფილა ლუარსაბის დროს, რადგან გიორგის მეფობა სრულად დაიკარგება დავითისა და ლუარსაბის ქორონიკონების გამო, მაგრამ შაჰ-ისმაილის მოსვლა ჩვენს ქორონიკონებში წერია: „დევალ“<sup>274</sup> მოვიდა, ქართლი და სამცხე მოაოხრა ქრისტეს აქეთ 1522-ს, ქართულით – 210-ს. [ეს თარიღი] სპარსელებისა და ზოგიერთ ჩვენს ქორონიკონშიც შაჰ-ისმაილის მოსვლად ჩაუთვლიათ და ჩვენც ასე აღვწერეთ, მაგრამ დავითივე იყო მეფედ, რადგან ლუარსაბის გამეფებას წერს ქრისტეს აქეთ 1542-ს და სიკვდილს – ქრისტეს აქეთ 1574-ს. ამის მიხედვით მისი მეფობის წლები გამოდის 32 წელი, მაგრამ შაჰ-ისმაილი მოვიდა ქართლში ქრისტეს აქეთ 1522-ს და მოკვდა ქრისტეს აქეთ 1523-ს. ამიტომ არ [შეიძლებოდა] ლუარსაბი ყოფილიყო შაჰ-ისმაილის დროს და შეცდომით [არის] მეფობის წლებიც, რადგან მეფე ლუარსაბი მოკვდა, ცხადია, ქრისტეს აქეთ 1558-ს, ქართულით – 246-ს. ამ ქორონიკონსა და შაჰ-ისმაილს ქორონიკონს შორის არის 37 წელი და ასევე წინააღმდეგობაშია სპარსთა და ჩვენ ქორონიკონთან.

ხოლო მეფე სვიმონ დიდი მეფისა – დაუთხანისა, ისევ სვიმონ მეფისა, მისი ძის გიორგისა, ლუარსაბ გიორგის ძისა, რომლის მეფობა „ნათესაობაში“ ჩაუნერიათ ქრისტეს აქეთ 1607-ს, ქართულით – 295-ს, ბაგრატიისა, დაუთხანის ძისა და სვიმონისა, ბაგრატიის ძისა – ყველანი ჩვენი ქორონიკონებით, სპარსთაგან და გუჯრებით და [302] სიგელებით გაგვიკეთებია. ასევე, როსტომ მეფისა და მისი მომდევნო [მეფეთა] ხსენება ჩვენ [დრომდე] ქორონიკონებიდან და მათი ცხოვრების [მიხედვით] შევადგინეთ.

ხოლო იმერთა მეფეების [შესახებ]: მეფე ნარინ-დავითის ძენი – კოსტანტინე და მიქელი ნათლად წერია ჩვენს „ცხოვრებაში“. ხოლო მიქელ მეფის ძის [შესახებ] ამბობს ქორონიკონი: „მიქელ მეფის ძემ და არა ბაგრატ მეფემ შეირთო ცოლად ყვარყვარეს ასული ქრისტეს აქეთ 1358-ს, ქართულით – 46-ს“. ამის გამო და ზემოხსენებულ მეფეების [ქრონოლოგიათა] სხვაობის [გარკვევით] დავადგინეთ ჩვენ ნარინ-დავითის შთამომავლობა. ეს მიქელ მეფის ძე ბაგრატი – გიორგის, დავითისა და ბაგრატ დიდის დროს ცხოვრობდა და ამ მეფეების ერთმთავრობით მეფობა მთელ ივერიაში ცხადი და ნათელია, რადგან მეფედ არ წერს ბაგრატს, ამიტომ [ჩვენც] ასე დავწერეთ, ხოლო მეფის ძის ბაგრატიის ძეთა – ალექსანდრეს, გიორგისა და კოსტანტინეს ქორონიკონებით ცხადია, როგორც ჩვენ დავწერეთ მათი ძმობა. თუ კი ძმები არ იყვნენ, არ შეეძლოთ ძეთა შობა ასე ხანმოკლე მეფობის განმავლობაში. კვლავ, ალექსანდრეს ძე რომ დიმიტრია, ცხადად ჩანს, და მისი ძე – ბაგრატი, რომელიც მტერი იყო გიორგი მეფისა, რადგან არ იქნებოდა მტერი, თუ კი დიმიტრის ძე არ იქნებოდა. ძე ბაგრატიისა [303] ალექსანდრეა და მისი ძე – ბაგრატი, როგორც წარმოვაჩინეთ ქორონიკონებით და ამის შემ-დგომი [ამბებებიდან] ჩანს ქორონიკონებით.

კახთა მფლობელებსაც აღვწერთ ახლებურად, რადგან გიორგი ბრწყინვალედან გიორგი ალექსანდრეს ძემდე იყო ერთმეფობა, გუჯრების, სიგელებისა და ქორონიკონების მონაწილობით. ასევე, ბაგრატი და გიორგი მეფეები ებრძოდნენ თემურს. როგორ შეეძლოთ ეს, თუ კი არ იყო ერთმეფობა, რადგან ექვსჯერ მოვიდა თემურ და ვერ აისრულა წადილი. ასევე, ალექსანდრემ რომ მცხეთა და რუისის ღვთაება აღადგინა – და სხვა მრავალი მოხსენებული [ადგილი], შეუძლებელი იყო, თუ ერთმეფობის ქვეშ არ ეპყრათ ყველაფერი, რადგან უნიგნურმა გლეხმაც კი იცის, ალექსანდრე მეფე კომლზე 6 კრიმანაულს რომ

აგროვებდა ყოველწლიურად მთელ საქართველოში და რომ იმ [თანხ-ით] მცხეთა ააშენა. ასევე, მეორე: ვერსად ვნახავთ გუჯრებში, სიგე-ლებში და ქორონიკონებში, რომ ამ მეფეებზე ადრე ყოფილიყო კახთა მფლობელთა [ტიტული] ან კახთა განდგომის [შესახებ] დაწერილი, ან სხვა რაიმე ცნობა. ხოლო ამის მომდევნო [ამბებს] აღწერთ, როგორც ვიპოვეთ, დავითის, გიორგის, ალექსანდრესა და ავ-გიორგის და მათი მომდევნოთა [შესახებ] უფრო ჩანს და თითქმის მომსწრენიც [არიან].

ხოლო კახთა განდგომილება გიორგისა და კოსტანტინეს მეფის ქორონიკონებისა და გუჯრე-ბიდან და მცირედი „ცხოვრებათაგან“ წარმოჩნდება, რადგან მათ დროს იქმნა განდგომილება კახთა. ხოლო წარმომავლობა ნათესაობასა კახთა მფლობელებისა მეფეებთან წარ-მოვაჩინეთ თავის ადგილას, [ყველა] გონიერი დაეთანხმება ჩვენს სრულ სიმართლეს. ჩვენი შექმნილი და აღწერილი ყველაფერი ქორონიკონით არის დამტკიცებული, რომელიც დღესაც იპოვება და იხილავს, ვინც არის მეძიებული. და როგორც გვინახავს, ისევე ჩაგვირთავს ქრისტეს აქეთი და ქართული [ქორონიკონები], რომელიც არის ხუთასიანი [304] (რომ ადვილი ყოფილიყო და არ დაგჭირდებოდათ გამოკლება ერთი მეორისაგან) გიორგი ბრწყინვალედან ქრისტეს აქეთ 1745-მდე და ქართულისა 433-მდე.

ხოლო თუ უმჯობესი და უჭეშმარიტესი ნახოს ვინმემ გონიერმა და შეამოწმოს ესეც და ისიც და იგი უფრო კარგად მიიჩნიოს, არ არის ეს ჩვენი გამოანგარიშებული დამაბრკოლებელი, რომ თქვენ უმჯობესი აირჩიოთ. მაგრამ ისმინე და გაიაზრე აღმოჩენა-უწყებულებანი და მის შესაბამისად იყოს თქვენი ნამოქმედარი.

ხოლო ჩვენ ეს შრომა იმიტომ გავსწიეთ, რომ [ეს ისტორია] ვახტანგ მეფის სახელით აღწერათ და [ჩვენ] ამდენი წინააღმდეგობანი და გაუ-მართაობა გავასწორეთ და გავამართლეთ ზევით თქმულის დამონმე-ბით, რათა არავინ ამას მნახველმან არ თქვას, რომ [ჩვენ] არად ჩავ-აგდეთ რაიმე, რადგან მეფის განზრახვაც მგონია ის, როგორც [ჩვენ] აღწერეთ, რადგან „ნათესაობის“ ქორონიკონში სწორს წერს, მაგრამ მისი გადმომტანნი შემცდარნი არიან.

ხოლო ჩვენ [ამ წიგნის] დასრულებისათვის ვმადლობთ ღმერთსა და შევსწირავთ ქებასა, პატივსა და დიდებასა დაუსაბამოსა ერთსა ღმერ-თსა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ან მარადის და უკუნიითი-უკუ-ნისამდე, ამინ.

## აღწერა ახლანდელი ქართლისა

### საზღვრებით, მთებით, მდინარეებით ადგილებით და იქ არსებული შენობა-ნაგებობებით [და მოსახლეობით]

რადგან სახელები, ვინც ამ ქვეყანაში [რაიმე] ააშენა, [და გააკეთა, უკვე] დაწერეთ, ახლა დავინყოთ სათითაოდ დასახელება მთების, ველებისა და წყლების, ხოლო რადგან ყველა აქაურ მდინარეთაგან უდიდესია მტკვარი, რომელიც გაივლის ამ ქვეყნის შუაში, პირველად ვახსენოთ ეს მდინარე, რომელსაც სათავე აქვს კოლაში, ყანლუ მთაში, გამოივლის სამცხეს, ქართლს, ჰერეთს და რანს, გაივლის მოვაკანს, მიიერთებს რახსს, ჯავათს და სალიანის ქვევით ერთვის კასპიის ზღვას.

ქართლში მტკვარი სიგანეში 60-70 და 80 მხარი არის, ზოგ ადგილებში მეტიც, ხოლო სადაც ძალიან გაფართოვდება და ჩქარა მიედინება, შეიძლება ფონით გავლაც, ხოლო [სადაც] მდორედ მიდინება, არის ძლიან ღრმა. მტკვრის აქეთა და იქითა ნაპირები არის კლდოვან-ქარაფოვანი, უმეტეს ადგილებში ქალიანი, ბალახანი, ჩალიანი, ნადირიანი და ფრინველიანი. არის მასში გემრიელ თევზთა სიმრავლე, რომელსაც იჭერენ ბადით, კონით<sup>275</sup>, ფაცრით, ნემსკავით, საფიჩხულითა და ოჩხით. ზოგჯერ იჭერენ ზუთხსაც, რადგან ამ მდინარეში განჯის ქვემოთ ურიცხვია და მდინარის [დინების] სიჩქარის გამო ველარ ამოდის [ზევით]. მტკვრის ხეობაში [დინება] უმეტესად ჩქარია დვირამდე, ხოლო დვირის ზევით ისეთივე, როგორც ქართლში.

[306] მტკვარს ერთვის კოლის, არტაანის, ჯავახეთის, სამცხის, ქართლის, კახეთის, ჰერეთის, რანის და მოვაკანის ყველა მდინარე და თვით არაზიც. მტკვრის [წყალი] არის სასმელად გემრიელი და მარგებელი, განსაკუთრებით ქართლში და სამცხეში.

### ბერდუჯის აღწერა

რადგან ქართლის საზღვარი მდინარე ბერდუჯი არის, აღწერაც აქედან დავინყოთ. მდინარე ბერდუჯი გამოედინება აბოცის მთიდან და მიედინება აღმოსავლეთით ჭოჭოკინამდე, შემდეგ მობრუნდება და მიედინება ჩრდლოეთის მხარეს და უერთდება მდინარე ქციას. ხოლო იწოდება სამი სახელით: პირველი ბერდუჯი, მეორე – საგიმი და მესამე – დებედა. ბერდუჯი – სოფელ ბერდიკისაგან ეწოდა, ხოლო საგიმი – ინჯა, ანუ აღისტევი მგონია. ეს მდინარე იქ, სადაც იწყებს დინებას,

ჩრდილოეთ მხარეს, სარგებლიანია თევზთა სიმრავლით, სახელდობრ: ორაგული, ლოქო, ჭანარი, გოჭა, კაპოეტი და მრავალი სხვადასხვა წვრილი თევზი. აღმოსავლეთისაკენ დინებაში ბევრი დიდი და წვრილი კალმახია, მაგრამ აქაური თევზი არ არის ისეთი გემრიელი, როგორც სხვა მდინარეებისა. მდინარეებიდან გაჰყავთ არხები და აქეთ და იქით ირწყვება ველები, სადაც ხარობს ყოველგვარი მარცვლის თესლი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ნესვი, საზამთრო, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა, ხოლო [307] კანაფი – ველურად მოდის. [ირწყვება] აგრეთვე ყოველგვარი ბალჩები და ხეხილის ბაღები. ამიტომ ამბობენ: „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი“, ხოლო ახლა – დებედა (მდინარის სახელია). აკეთებდნენ აბრეშუმს, მაგრამ არა მრავლად. ჰავა ზაფხულში ცხელია – გაუსაძლისი, ზამთარი – ზომიერი, რადგან თოვლი არ დევს ორ დღეზე მეტხანს. ფრინველები მრავლადაა: ხოხობი, კაკაბი, იხვი ურიცხვი და სხვა მრავალი. ამ ადგილის ძველი სახელია ქურდვაჭრის-ხევი, ხოლო ახლა უწოდებენ აღჯაყალას [თეთრციხე], იაყუფ ყაენისაგან წოდებულს, რომელმაც პირველმა ააშენა ეს ციხე და შემდეგ, როდესაც წაართვა შაჰ-აბასმა 82-ე მეფეს – გიორგის [იგი], მან მოიყვანა ელნი ბორჩალუ და დაასახლა აქ, ამიტომ ეწოდა ბორჩალუ. ხოლო სადაც აღმოსავლეთით მიედინება ბერდუჯი, არის ძლიერ კლდოვანი და ტყიანი, კაცთაგან შეუვალი, მაგრამ აქაც ხარობს ყოველგვარი მარცვლეული ბრინჯ-ბამბის გარდა: ვენახი, ბრონეული, ლეღვი და სხვა მრავალი ხილი. ლორის ციხის ზევით ცივი და გემრიელი წყაროებია. ბამბაკის ხევში არაფერია, გარდა ხორბლისა, ქრთილისა [და] სელისა. თივით იკვებება ცხვარი, ძროხა, კამეჩი, ცხენი, ვირი [და] თხა. მრავლადაა ნადირი: კლდეებში – თხა და არჩვი (ფსიტი და არჩვი იგივე არის); ტყეებში – ირემი, შველი, დათვი, მგელი, ფოცხვერი, მელა [და] მრავალი კურდღელი. აქ თევზი და ხორცეული გემრიელია. ლორის ციხის ქვემოთი ცხელია და ზაფხულში გაუსაძლისი, მაგრამ ზამთარი – თუ არა შევიწროვება [მისგან] – მშვენიერი.

### [300] ახპატის აღწერა

ახპატი და სანაინი ქართველ მეფეთა აშენებულია: კარგად ნაშენი გუმბათიანი ეკლესიები [და] საეპისკოპოსო, მაგრამ ახლა [აქ] სხედან სომხები, ხოლო ქართლის მეფე დასვამს ხოლმე ეპისკოპოსს ოქივარტერის<sup>276</sup> მიწერით, რადგან, რაც კი ქართლის მახლობლად სომხო-

ბა არის, მისი სამწყსოა. აქ მოიპოვება გვარჯილათა სიმრავლე არა მინიდან, არამედ ნოტიო კლდეებიდან. ამის ზევით არის ქობერის მცირე მონასტერი, მაგრამ დიდებულად ნაშენი – უჭირავთ სომხებს.

მის დასავლეთით, მდინარე ბერდუჯის [პირას] არის მშვენიერი მონასტერი, ძელი ჭეშმარიტებისა – უჭირავთ სომხებსვე. აქ მაღალ კლდეებში მრავალი გამოქვაბულია და ამ გამოქვაბულებში მრავალი ძველი ნიგნი ძევს, მაგრამ მათში ადამიანის შესვლის შეუძლებლობის გამო [ისინი] უსარგებლო არიან.

მის დასავლეთით, ორ მდინარეს შორის, ქარაფოვან კლდეზე არის ლორის ციხე და მცირე ქალაქი, ზაფხულში – მშვენიერი, ზამთარში – გაუსაძლისი. დასავლეთით არის კლდოვანი მინდორი და აქედან [ციხე] მრავალჯერ იქნა აღებული. ახლა უპყრიათ სპარსელებს.

### **ბამბაკის აღწერა**

ბამბაკის ხევი არის მთიანი, მშვენიერი და ნაყოფიერი. [აქ] ხარობს ხორბალი, ქრთილი, სელი, შვრია და სხვა არაფერი. [309] თვით ბამბაკი არის მცირე ქალაქი. [აქ] არის პირუტყვთა სიმრავლე, გარდა აქლემისა, უხვად არის თივა და თაფლი. სომხეთს, ერევანს და [ბამბაკს] ჰყოფს დიდი მთა, მაღალი და მუდამ თოვლიანი, ტყიანი და ნადირიანი კალთებით, რომელიც ვრცელდება დასავლეთით არტაანამდე, ხოლო აღმოსავლეთით გაივლის რანსა და გელაქუნს შუა და რახსამდე მიდის.

ამ მთის სამხრეთი მხარე სომხით-ერევნისა არის, ხოლო ჩრდილოეთი მხარე – ბერდუჯისა და რანისა. მდინარე ბერდუჯის აღმოსავლეთი ნაპირი უჭირავთ ბორჩალოელებს, დასავლეთის ნაპირის მხარე ხუნანამდე უჭირავს ქართლის მეფეს. ხოლო მცირე ბერდუჯის მთა ძევს ჩრდილოეთით და სამხრეთიდან ებჯინება ზემონახსენებ ერევნის მთას. ამ მთის აღმოსავლეთი მხარე არის რანისა, ხოლო დასავლეთი მხარე – ბერდუჯისა. ძველად იყო ხუნანის საერისთავო, შემდეგ ჰყავდა თავისი ერისთავი (რომელსაც უწოდებდნენ ახლანდელ ხანს, რადგან, როდესაც დაიპყრო შაჰ-აბასმა, იმ განზრახვით დაიპყრო, რომ ქართლში ჰქონოდა შესავალ-გამოსავალი).

### **სომხითის აღწერა**

ახპატის ქვევით, ლელვარის მთის ქვეშ არის ჭოჭოკანის ხეობა, ვენახიანი, ხილიანი, შემკული ნაყოფიერებითა და ჰავით. მის ქვევით,

ჩრდილოეთით არის აგარაკის ეკლესია (რომელშიც გორგასალმა ეპისკოპოსი დასვა, რომელიც შემდეგ გახდა მიტროპოლიტი და [310] სომხითის მეტოქი, რომლის სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე), გუმბათიანი, დიდებულად ნაშენი, ახლა უწოდებენ ახტალას, თუმცა ახლა ხუცესის ამარა არის. ახტალის პირდაპირ, აღმოსავლეთით ბერდუჯის მთაში ორი მონასტერია, რომელთაგან ერთი გიჟს აჭკვიანებს, ხოლო მეორეში აღმოედინება წყარო, რომელიც, თუ ასვან ბრაზიან-ცოფიანს 40 დღით ადრე, ვეღარ ავნებს ბრაზი დაკბენილ კაცს. ხოლო ახტალის ქვემოთ არის ხოჟორნიას ხეობა. ხოჟორნიასში არის გუმბათიანი ეკლესია, ხოლო წოფაში – მცირე ციხე. ეს ხეობა არის ვენახიანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოველგვარი ნათესისა. ამის ქვემოთ ველზე ქციაიმდე სახლობენ ელნი და თესავენ ზემოთ ნახსენებ ყოველგვარ მარცვლეულს, თესლეულს და ბაღჩა-ბაღეულს – ჰყავთ უამრავი პირუტყვი. ახლა [ამ ადგილს] უწოდებენ ალაღაჯს.

ქციის პირას, სადაც [მას] ერთვის შულავერის წყალი, არიან ელნი – ყულარად წოდებულნი, ასეთივე საქმიანობით და ბერდუჯის აღმოსავლეთ მხარეს ხუნანამდე ელი – ბორჩალოელნი, ასეთივე საქმიანობით. შულავერის ხეობა არის ლელვარის მთის გავლით – ორივე მხარის სოფლები. შულავერი არის დიდი სოფელი. მის ქვემოთ არის ნაქალაქევი, დიდი შენობებით და მოედინება ძალიან დიდი წყარო, ზევით – მცირე ციხე. შულავერის სამხრეთ მხარეს არის გორულის ხევი, [რომელიც] უერთდება შულავერის ხევს. ამის ზევით – ოფრეთი – მცირე ქალაქი და მისი ციხე.

ხოლო შულავერის დასავლეთით არის მანხუტის-ხევი და მის დასავლეთით – ტალავრის ხევი. ამ ხევის ბოლოს – ჭაპალა და მისი ციხე (ამას წერენ გაჩინად). ჭაპალის [311] ჩრდილოეთით, ქციის კლდოვან ნაპირას არის არქევანი, მას ეწოდა ქაოზიანი, სადაც არის დიდ-დიდი ნაგებობანი. ასევე არის გაჩინიც. ჭაპალის დასავლეთით არის სარკინეთის-ხევი. სარკინეთში მოიპოვებენ რკინისა და სპილენძის ლითონებს და არის მცირე ოდენობა ძვირფასი ქვებისა.

[სარკინეთის] დასავლეთით მოედინება მდინარე ფოლადაური, გამოდის ლელვარის [მთიდან] და უერთდება მდინარე მაშავერს. ამ [მდინარეზე] არის მცირე ქალაქი – ბოლნისი. მის ზემოთ [არის] ბოლნისის დიდი ეკლესია, უგუმბათო, რომელიც ააშენა 29-ე მეფე ფარსმანმა და გორგასალმა დასვა ეპისკოპოსი. დანგრევის შემდეგ აღაშენა 89-ე დედოფალმა მარიამმა. ახლაც ზის ეპისკოპოსი – ახლანდელი ქართლის სომხითის მწყემსი.

ამ ეკლესიის პირდაპირ არის წულრულაშენის მონასტერი, გუმბათიანი, მშვენივრად ნაშენი მშვენიერ ადგილას, ხოლო ახლა გაუქმებულია. ამის ზევით, მაღალ კლდეზე [აშენებულია] ბერდიკის ციხე, ძალიან მტკიცე. დასავლეთიდან ფოლადაურს უერთდება ხევი, რომელიც გამოდის ლოქის მთიდან და გაშენებულია სოფლებით. ამის ზევით არის ჰუჯაბის მონასტერი, გუმბათიანი, კარგ ადგილას; ახლა დაცარიელებულია. ხოლო ამ ადგილებს და ბერდუჯის მდინარეს ჰყოფს ლელვარის მთა, რომელიც გრძელდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, და ამ მთისაგან გამოიყოფა მცირე მთა – ბოლნისის ჩრდილოეთით მდებარე. ლელვარი არის მაღალი მთა, უტყეო მწვერვალითა და ტყიანი კალთებით, [რომელიც] ნადირით [არის] სავსე. სამხრეთის მხარე ლოქამდე [ეკუთვნის] ბერდუჯს, ხოლო ჩრდილოეთი – სომხითს. ლოქის მთა ჰყოფს ტაშირსა და კაზრეთს, ბალიჭსა და დბანის ხევს. ისიც ისეთივეა, როგორც ლელვარის მთა და ებმის აბოცის მთას, რომელსაც [უნოდებენ] ირჯანის [მთასაც]. ამ ადგილებს დებედიდან ბოლნისის [312] დასავლეთის მცირე მთამდე და მდინარე ქციიდან ლელვარ-ლოქის მთამდე ახლა უნოდებენ სომხითს, ხოლო ძველად ხუნანის საერისთავო [იყო]. [ეს მხარე] შემკობილია ყველაფრით: ვენახებითა და მრავალნაირით ხილეულით, მაგრამ მთიან მხარეს არ არის. ყოველგვარი თესლეული [ხარობს] და ნაყოფს იძლევა. ნახირი, ცხვრის ფარები, ღორები, ჯოგების სიმრავლე, ღვინოები ნაირ-ნაირი, მთის ნადირი და ფრინველი, რომელიც აღვწერეთ, უთვალავია.

ქცია-ბერდუჯის მდინარეების ნაპირებზე ჰაერი ცხელია, უსიამოვნო, უვარგისი [და] გაუსაძლისი, სხვა ადგილებში – კარგი. ტყეები მრავლადაა, წყაროები – ცივი და მშვენიერი და უამრავი. ქციის სამხრეთით იყო უწყლო ველი, [მაგრამ] 94-ე მეფე ვახტანგმა გაიყვანა ძველი არხი და ახლა ირწყვება [იგი] და ძალიან ნაყოფიერია. ამ ადგილების მოსახლეობა სარწმუნოებით არიან სომეხნი და მცირეა ქართლის სარწმუნოების [მიმდევართა რიცხვი], მაგრამ ისინი ქართული ქცევა-ზნისანი არიან. აქ სახლობენ თავადნი, ხოლო აზნაურობა მრავლადაა.

### **ტაშირის აღწერა**

ლოქის მთის სამხრეთის მხრის მდინარეები მიედინებიან და უერთდებიან ტაშირის წყალს, [რომელიც] ერთვის მდინარე დებედას ლორის ციხესთან. ლორეს ზევით და ლოქის სამხრეთით დებედამდე და არჯანის მთამდე ამ ადგილებს სივაკის გამო ეწოდება ტაშირი და არის

[იგი] ნაყოფიერი ხორბლით, ქრთილით, სელით, შვრიით [და] პირუტყვითა სიმრავლით. ზაფხულში ფრიად მშვენიერია, ბალახიან-ყვავილიანი, მრავალი მშვენიერი წყაროთი, ფრინველები მრავლადაა, გარდა ხობხისა და კაკბისა; მდინარეები სავსეა კალმახით, ხოლო სხვა თევზი ნაკლებად არის. არ არის ხილი, ბალჩა-ბოსტნეული, თაფლი ბევრია და თეთრი, [313] როგორც თოვლი და უწყინარი. სელისაგან ხდიან ზეთს, რომელსაც ჭამენ, [იყენებენ] სანვავად და ჰყიდიან. ზამთარი ცივი და თოვლიანია – ორი ადლის [სიმაღლისა] და ყინვიანია, მაგრამ ცხოვრობენ უღუმელოდ, არ არის ტყე, არც ხე და [მას] ეზიდებიან ლოქლეღვარიდან. [სანვავად] უმეტესად ხმარობენ ფუნას საზრდელის [დასამზადებლად] და სითბოსათვის.

აქ, მისხანაში მოიპოვებენ დიდძალ სპილენძის ლითონს. მიწიდან ამოაქვთ წითელი, ფრიად მაგარი, წმინდა და ეღვარე ქვა.

მოსახლეობა სარწმუნოებით სომხურია. [ეკუთვნის] დბანისის სამწყსოს. [ისინი] შემოსილნი არიან ბინძურად, ცუდად და ულაზათოდ, არიან გაზეთილნი, გრძელჩოხიანები, მაგრამ არიან მშვენიერნი და ტანადები, ძლიერები, [მაგრამ] ლაშქრობაში გამოუცდელნი და უვარგისი.

### **აბოცის ანუ ყაიყულის აღწერა**

ტაშირს, აბოცსა და ბერდუჯ-ბამბაკს ჰყოფს ირჯანის, ახლა ყარაღაჯად წოდებული მთა. [იგი] არის მუდამ თოვლიანი და უტყეო, კალთები ბალახიანი და ყვავილოვანი აქვს, წყაროები – მრავალი [და] კარგი. [იგი] გაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთ მხარეს. აქ მოიპოვება თეთრი ქვა – მარმარილოს მსგავსი. ამ მთის დასავლეთ მხარეს არის აბოცი, ახლა ყაიყულად წოდებული. [ის] მთლიანად გარშემორტყმულია მთებით და შუაში ვაკეა. მთის მხარეს – გორიანი, მოსავალმოუცდენელი: ხორბალი, ქრთილი, სელი, შვრია, და სხვა არაფერი, არც ხილი და არც ბალჩა-ბაღები, არის პირუტყვითა სიმრავლე. თევზი ცოტაა და ისიც [მხოლოდ] კალმახი. ყაზანჩი<sup>277</sup> იყო პატარა ქალაქი (!)

პალაკაციოსა და აბოცს შორის არის მთა აღბაბასი. ეს მთა არის ქართლისა და ყარსის საზღვარი თეთრ ციხემდე და ტაშალანის ტბამდე. აოხრებული აბოცი [314] აღადგინა 90-ე მეფე ვახტანგმა და ახლა დაიპყრო შაჰ-ნადირმა. სარწმუნოებით [ისინი] არიან სომეხნი, კაცები – ჰაეროვანნი და ტანადნი, მაგრამ ცუდად შემოსილნი, როგორც ტაშირელები, თუმცა ბრძოლაში გამოსადეგნი. ესენიც ზეთის მხდელნი [არიან].

## დბანისის ხევის აღწერა

ყარალაჯისა და ტაშირის ჩრდილოეთ მხარეს არის დბანისის ხეობა და მდინარე მაშავერი, რომელიც მათ შორის მიედინება. [ამ სახელით] იწოდა მდინარე ქციასთან მისი შერთვის გამო: „მა, შავერიე ქციას“ და ახლა მაშავერად არის წოდებული. [ის] გამოედინება კეჩუთის მთიდან და მიედინება აღმოსავლეთით და უერთდება ქციას ნახიდურის ბოლოს. ამ ხეობას ჰყოფს სამხრეთით ყარალაჯისა და ლოქის მთები; აღმოსავლეთით – ბოლნისის მცირე მთა; ჩრდილოეთით – ლუკუნის მთა, წაგრძელებული აღმოსავლეთისაკენ ნახიდურამდე; დასავლეთით – კეჩუთის და ბოლოლის მთები.

კეჩუთისა და ბოლოლის მთები არიან უტყეონი, ხევში არის არყნარი და მთა – ბალახიანი, შამბნარიანი, ყვავილოვანი და წყაროიანი. აქ იპოვება ყვავილი სუმბული, თეთრი ფერისა, ნარის მსგავსი და მიწაზე გართხმული, სურნელოვანი, როგორც ამბარი, [ოლონდ] უფრო სურნელოვანი და ეკლიანი. 94-ე მეფე ვახტანგმა დანერგა საყვავილეში, მაგრამ ნაყოფი არ გამოიღო. კეჩუთის მთაში არის ირემთა და ნადირთა სიმრავლე. აქ არის კლდეში ნაკვეთი უდაბნო, დავით გარეჯელისაგან გამოკვეთილი ეკლესია-სენაკები – ახლა ცარიელი.

[315] [აქ] არის ორმოზანის ტბა, არც თუ დიდი და უთევზო. ხოლო დბანისამდე, მდინარის იქითა და აქეთა [ნაპირებზე], მთებში სოფლებია, როგორც ტაშირთან დავნერეთ – ნაყოფიერი და პირუტყვითაც ისეთი. [მაცხოვრებელთაგან] სარწმუნოებით უმეტესობა ქართველობაა.

დბანისის ჩრდილოეთით მიედინება მაშავერი, სამხრეთით – ფინეზური, ხოლო სახელი ეწოდა დაბების გამო: „დაბანი ისინი“. აქ დაასახლა ბულა თურქმა ოსები. იმ დროიდან იყო ციხე-ქალაქი [მის დრომდე არა ხსენებული] 83-ე მეფე სვიმონის [დრომდე] და მან წაართვა ოსმალოებს და შემდეგ მოოხრდა. [აქ] არის დიდი უგუმბათო, ლამაზი ეკლესია. [აქ] ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ტაშირისა და დბანისის ხევისა. ჰავა არის მშვენიერი, მაგრამ ზამთარი ცივია, ზაფხული – ცხელი, უვენახო, უხილო, მრავლშენობიანი, მაგრამ დანგრეული. აქ არის წყარო, რომელიც კურნავს მუნუკიანებს. აქვე არის წყარო, რომელიც ამსხვერვეს თირკმელებში შირიმის ქვას და დააყრევინებს მას, [ვინც შესვამს]. ახლა მიუერთეს ყაფლანიანთა ციხე-სიმაგრეს. სამხრეთით არის ფინეზაურის ხევი, რომელიც იწყება ლოქის მთიდან. [ის] ისეთივე ნაყოფიერია, როგორც ტაშირის და დბანისის ხეობები.

დბანისის ქვევით, ჩრდილოეთის მხარეს არის ხინწის ხევი. მის ქვევით სოფელი აბულმუგი. აქ მოიპოვებენ რკინის, სპილენძისა და ლაჟვარდის მადანს. მის ქვევით, სამხრეთიდან მაშავერს ერთვის ბალიჭის ხევი, [რომელიც] იწყება ლოქის [მთიდან]. [ის] არის ვენახიანი, ხილიანი და ყველაფრით ნაყოფიანი, მაგრამ ლოქის მხარეს [ისეთია], როგორც დბანისის ხევი. მას ქვევით ერთვის გეტის ხევი და [316] ქვეშის ხევი, იწყება ლუკუნნიდან [და] ჩრდილოეთიდან ერთვის მაშავერს და ისეთივეა ნაყოფიერებით.

ქუემის ციხე დგას მაღალ კლდეზე, ჰავით და თვალისათვის მშვენიერი, წყარო – კარგი. მის ქვემოთ [არის] კაზრეთის ხეობა, [რომელიც] სამხრეთიდან უერთდება მაშავერს, [ხოლო] იწყება ლოქის [მთიდანვე], ესეც ისეთია, როგორც ბალიჭის ხეობა.

ყორანთას არის ეკლესია, [სადაც] დასვენებულია ატოცის წმინდა გიორგის ჯვარი.

სატრედოში, [მდინარე] მაშავერზე, აშენებულია ქვითკირის ხიდი, შვიდი თალით წყალდიდობისათვის. აქ არის ქალა. მის ზევით ქცია-მაშავერს შუა არის დისველის მინდორი, უწყლო, მაგრამ ნაყოფიერი, მოუცდენელი მარცვლიანი მოსავლისაგან, ბრინჯ-ბამბის გარდა. ხოლო აკაურთაში და ტანძიაში [არის] ქვითკირის მრავალი შენობა.

ლუკუნის მთას სახელი ეწოდა ლუკა მახარებლის ეკლესიის გამო, რომელიც აშენებული არის [მთის] წვერზე, ხოლო მის ქვემოთ, სამხრეთით არის მონასტერი „წითელ- ეკლესია“ – [სახელწოდება] წითელი ქვით აშენების გამო [მიიღო]. ის მშვენიერია, გარშემო ნაგებობებიც წითელი ქვით არის ნაშენები, მაგრამ ახლა დაცარიელებულია.

ჯანდარში არის ასევე მონასტერი – ახლა დაცარიელებული. ეს მთა არის ტყიანი, ნადირიანი. მდინარე მაშავერი არის მომცრო თევზებით სავსე, ხოლო მთის მხარეს [არის] კალმახი.

დბანისის ქვევით ქციამდე ყველაფერი ფრიად ნაყოფიერია: ბალ-ვე-ნახებით, თესლ-მარცვლეულით, გარეულ და შინაურ ფრინველთა სიმრავლით. ზამთარი თბილი და მშვენიერია, ზაფხული – შეზავებული, წყაროები – ცივი, მშვენიერი, ქალა – ტყეებით, ბალახი და ყვავილები – მრავალგვარი.

## ზურტაკეტის აღწერა

ლუკუნის მთის ჩრდილოეთ მხარეს არის მდინარე ზურტაკეტა, [რომელიც] გამოედინება შამბიანის მთიდან და უერთდება მდინარე ქციას. [317] ამ ხეობის საზღვრებია: აღმოსავლეთით – ქციის ხრამი, სამხრეთით – ლუკუნის მთა, ჩრდილოეთით – კვირიკეთის მთა და დასავლეთით – შამბიანის მთა. ამ მთას შამბიანი ეწოდება შამბ-ბალახის სიმაღლის გამო, სადაც ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი [მასში] არ გამოჩნდება. ეს მთა არის მაღალი და მასიური, [მიემართება] ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და [აქ] ძვეს მუდმივი თოვლი, მაგრამ შემკული არის მრავალფეროვანი და სურნელოვანი ყვავილების მშვენიერებით და წყაროებით. [ის] უტყეოა, მაგრამ ხევში არის არყნალი. აქ არის თამარ მეფის მიერ აშენებული ფუნდუკი ზამთარში მოგზაურთათვის. [აქ] არის: ფუნდუკის ხევი, შამბიანის [ხევი] და არუნალის [ხევი]. არყანალ-შამბიანის ხევის შუა არის მშვენიერი წყარო, რომელიც მარმარილოთი ააშენა 94-ე მეფე ვახტანგმა. ამ მთაში არის ირემთა სიმრავლე ჯოგ-ჯოგად და ხროდ, [ასევე] სხვა ნადირი. ერთხელ ინადირა 94-ე მეფე ვახტანგმა და ერთ დღეში მოკლეს 180 [სული].

ხოლო ველზე არის დაბა შავი-წყარო – ყარაბულახი, აქეთა და იქითა მხრიდან ჩაუდის კალმახით სავსე წყაროს მდინარეები, მაგრამ სამხრეთის კალმახი არის შავი, ხოლო ჩრდილოეთისა – თეთრი. თუ ჩრდილოეთის [თევზს] ჩასვამ სამხრეთის [წყალში] – გაშავდება, ხოლო თუ სამხრეთისას ჩრდილოეთისაში – გათეთრდება.

ამის სამხრეთით არის მაღალი ციხე, კლდის გალავნით შემორტყმული და მუსის ციხე ყალად წოდებული. შიგნიდან მოედინება წყარო, ხოლო ზურტაკეტა ამის ქვევით მიედინება ჩრდილოეთისა [318] და აღმოსავლეთის შუა და მას ეწოდება რადაბრაგანი. ყარაბულახის ქვევით, ქარვასლის ხევიდან ზურტაკეტას ერთვის საფიქლის ხევი, [რომელიც] იწყება ქარვასლის ხევიდან და უერთდება ზურტაკეტას. შესაყარში ერთვის მეორე საფიქლის ხევი. აქ არის დიდი სოფელი გომარეთი, როგორც მცირე ქალაქი. [მდინარე] ზურტაკეტაში სხვა თევზი არ არის, გარდა კალმახისა, ხოლო იგი მრავლადაა.

კვირიკეთის მთას [სახელი] უწოდეს ეკლესიის [გამო], რომელიც წმინდა კვირიკესია და აშენებულია მთის წვერზე. ეს მთა არის ტყიანი და ნადირიანი, ხოლო ამ ხეობაში არ არის ვენახები, ხილეული, გარდა მთის ხილისა, და ნაყოფიერებითაც [ჰგავს] სხვა მთების ადგილებს.

## თრიალეთის აღწერა

ზურტაკეტის ჩრდილოეთ მხარეს არის თრიალეთი. აღმოსავლეთით თრიალეთს ესაზღვრება კლდეკარიდან გადმოკიდებული ლაკვის მცირე მთა და მასზე მიბმული ბენდერის მთა; სამხრეთით – ბენდერის მთა და მისი შვერილი, რომელიც უერთდება მდინარე ქციას კლდეის დასავლეთით, კვირიკეთის მთის პირდაპირ ქარვასლის ხევის მთამდე. ჩრდილოეთით – კლდეკარის და ერჯევენის მთები – თორის მთამდე და ბაკურიანამდე; დასავლეთით – შავრაშეთის მთა და ტბის-ყურის გამჭრელი ხაზი, ბარძიმის მთა და ფარაენის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე.

თრიალეთის შუა ნაწილში მიედინება მდინარე ქცია, [ასე] ნოდებული ან სოფლის გამო ან, რადგან აქცევს ხიდებს, როგორც მტკიცე ქვითკირისა არ უნდა იყოს იგი, ამიტომ ეწოდა [ასე]. ის გამოედინება შავრაშეთის მთიდან, გამოივლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ხრამს და უერთდება მტკვარს ხუნანთან და მუდამჟამს მიედინება აღმოსავლეთისაკენ. ის თრიალეთში [319] მიედინება მდორედ, ხოლო ეძინში აკეთებს ხრამს. [მისი] ნაპირების ორივე მხარე არის კლდოვან-ქარაფოვანი და მაღალი – 100 მხარზე მეტი, სიგანით – 180 მხარზე მეტი. ეძინის ქვევით და ახალქალაქის ზევით ქცია გადმოდის მაღალი კლდიდან, როგორც ღარიდან. ძირს აქვს დიდი ტბა. ამის ზევით ორაგული და დიდი თევზები ველარ ადიან. ზედა ნაწილში არის მრავალი და გემრიელი დიდი და მცირე კალმახი.

94-ე მეფე ვახტანგმა მოინადირა ეს ტბა კირსაგლით<sup>278</sup> და ერთ დღეში გარდა კალმახისა და სხვა თევზისა, ამოიღეს მარტო ორაგული 900 [ცალი].

თრიალეთი ზაფხულში არის ფრიად მშვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი. [არის] მრავალი სანადირო [ადგილი]: დიდნადირთა, ფრინველთა და თევზთა. აქ არ არის ტყე, [ხე-ტყეს] ეზიდებიან ერჯევიდან, ხოლო [სანვავად] უმეტესად ხმარობენ ფუნას. მოსავლიანობით [ისეთია] როგორც ტაშირი, მაგრამ უმჯობესი. პირუტყვი მრავალი [და მრავალგვარია], გარდა აქლემისა. აქ არ არის ვენახი, ხილი და ბაღჩა-ბოსტნეული, ხოლო მთის ხილი – მრავალი. ტკბილი [ღვინო] მოაქვთ ბარიდან, აქ ჩაასხამენ და დგება ღვინო კარგი და გემრიელი.

ეძნას ზევით, ჩრდილოეთიდან ქციას უერთდება ბეშკენაშენის ხევი. იგი იწყება ერჯევენისა და კლდე-კარის მთებიდან. ბეშკენაშენის აღ-

მოსავლეთით არის ბარეთის ტბა – მცირე და უთევზო. მის გარშემო [არის] სოფლები ლაკვის მთამდე. მის ზევით ქციას უერთდება ერან-თურანის ხევი, იწყება ერჯვენის მთიდან და ქციას უერთდება ჩრდილოეთიდან საბატეში. მის ზევით, ქციის ნაპირზე, ნალკაში არის დიდი, გუმბათიანი, კარგად ნაშენები ეკლესია, [სადაც] ზის ეპისკოპოსი, მწყემსი თრიალეთისა. მის ზევით – კოხტა-ცრიცის ხევი, იწყება ერჯვენისა და თორის მთებში და უერთდება ქციას.

[320] არწივანში, თეზის ხრამში, არის კლდეში აბიბოს ნეკრესელის მიერ გამოკვეთილი მონასტერი, ახლა დაცარიელებულია. მის ზევით – საპონაურისა და ცხურისის-ხევი გამოდის თორის მთიდან [და] უერთდება ქციას თეზის ხრამში, კოხაჯის-ხევის პირდაპირ, ქვემოთ. სამხრეთიდან ქციას უერთდება ავლადის-ხევი, [რომელიც] იწყება ხევ-ლრმის ხრამიდან. ეს არის ცივი ანუ მყინვარი. მის ქვევით ქციას ერთვის ხევ-ლრმისა და ანდრაპოლთისის ხევი, ხოლო ახალქალაქის ქვევით ქციას ერთვის ჩრდილოეთიდან აბანოს ხევი. მის ქვევით ქციას ერთვის კარნახის ხევი, რომელიც იწყება უზნარიანიდან და მოემართება აღმოსავლეთისაკენ. კარნახის ხევის შესართავთავის ქვევით, კვირიკეთის მთის ძირში, ჩრდილოეთ მხარეს, მდინარე ქციის ნაპირას არის ციხე „მოდმნახე“. ამის ზევით არის თრიალეთი – მოსავლით, როგორც ტაშირი და დაბნის-ხევი აღვწერეთ თავფლითურთ. აქაც ხდიან ზეთს სელისაგან.

ფანავრის ტბა არის დიდი და თევზით სავსე, მაგრამ უგემურით, რადგან ზაფხულში მის გარშემო დგებიან: არვენი, ჯოგები, ნახირი, საქონელი ქართლისა და კახეთისა და ნეხვი გამდნარი თოვლის [გზით] შედის ტბაში და ამიტომ ამბობენ [თევზის] უგემურებას. აქ არის წყარო, რომელიც, თუ გამძღარი, ან საჭმლის ვერ მომწელებელი შესვამს, დაადნობს [საჭმელს], როგორც ქონს ცეცხლი.

ამ ტბას ერთვის შაორის წყარო, [რომელიც] მდინარესავით გადმოედინება კლდიდან და სავსე არის კალმახით. შაორის მთის წვერზე დგას დიდი ლოდებით ნაშენები ციხე. აგრეთვე, ფანავრისა და ტბის-ყურის შორის არის თავკვეთილი, ღრმა ხევიანი მთა ბარძიმი და ჭიქიანი.

[321] აგრეთვე შაორსა და თავკვეთილ [მთას] შორის არის შავნაბადი. ამ მთებზე არ არის ტყე, ანუ ხე, გარდა მცირე არყნარისა ხევებში. ნადირი მრავლადაა, ირემი და არჩვი – ჯოგებად, [აგრეთვე] შველი და დათვი. აქ არის კლდე, ფიქალ-ფიქალად დაწყობილი, როგორც ადამიანის ხელით დალაგებული და ნაშენები მთის ძირიდან წვერამდე, თუ

მასზე შედგება კაცი, ნადირი ან პირუტყვი, [მთა] თრთის და იძვრის დაბლიდან მალამდე, მაგრამ არ ინგრევა. ასეთი კლდე მრავალია შამბიანზეც, მაგრამ ეს უმეტესად უცნაურია – უწოდებენ კარკნალს.

ტბის-ყურის წყალი არის მტკნარი, სასმელად გემრიელი და მარგებელი; გარემო – ნაძვარი, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და დიდი და წვრილი, ძალიან გემრიელი კალმახით სავსე. ხოლო თრი-ალეთელი კაცები შემოსილნი არიან, როგორც ღბანისხვევლნი, სიმხნე-ჰაეროვნებითაც ისეთივე, მაგრამ ყველაფრით უმჯობესნი.

### ქციის ხრამის აღწერა

„მოდიმნახეს“ ციხის ქვევით არის ქციის ხრამი ნახიდურამდე – მალ-ალი და განიერი, როგორც აღვწერეთ ეძან-ახალქალაქს შორის, მაგრამ ეს უფრო მალალი და განიერია, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი, ვენახოვანი, ხილიანი. ახალქალაქიდან ქცია მიედინება სამხრეთით სოფელ ქციისამდე. „მოდიმნახეს“ ქვევით არის ვარდისუბნის უგუმბათო მონასტერი – მშვენიერ ადგილას. მის ქვევით ქციას ერთვის კლდეისის ხევი, [რომელიც] იწყება ბენდერის გადმოკიდებულ მთიდან. ხორხებში არის კლდის გამოქვაბული, რომელიც არის ზამთარში თბილი, როგორც აბანო, ხოლო ზაფხულში კლდიდან მოდის წყაროს [წყალი], რომელიც იყინება და არის ფრიად წმინდა და ბევრი, ზაფხულში ეზიდებიან მეფისათვის. ამის დასავლეთით არის ციხე. აქაც არ არის [322] ვენახი და ხილი. ამ ხევის ქვევით ქციაზე არის ლიპარიტის უბნის მცირე მონასტერი, კარგად ნაშენები. ორივე მონასტერი ახლა დაცარიელებულია. აქ ქციას უერთდება ძველ-გომარეთის ხევი, [რომელიც] იწყება კვირიკეთის მთიდან. ეს [ხევიც] არის უვენახო [და] უხილო. მის ქვევით არის დაბა ქცია, მდინარე ქციის ნაპირზე. აქ არის მონასტერი კეთილი, მაგრამ ახლა ხუცესის ამარა.

მის ქვევით არის ფიტარეთის მონასტერი – მშვენიერნაშენი, გუმბათიანი, მშვენიერ ადგილას. [აქ] ზის წინამძღვარი. მის ქვევით ქციას უერთდება ფოცხვერიანის ხევი – ვენახიანი [და] ხილიანი. მის ქვევით ქციის ნაპირზე [არის] ხულუტის ციხე. მის ქვევით, სამხრეთით, არის ბერიქალის ციხე, [აშენებული] კლდეზე, კლდითავე შემორტყმული, შეუვალსა და მტკიცე ადგილას. მის ქვევით უერთდება ქციას ტორნეს ხევი – ირავის ხეობის მდინარე, [რომელიც] გამოდის ბენდერის მთიდან და მოედინება სამხრეთით. ეს ხეობა არის ვენახიანი, ხილიანი, ტყიანი,

ნადირ-ფრინველიანი, მოსავლიანი, როგორც ბენდერის მთის მხარის სხვა მთიანი ადგილები. ამ ხევში სამღერეთას ზევით, გვიანაში არის მცირე მონასტერი – ახლა ხუცესის ამარა [დარჩენილი].

მის ქვევით, პირღებულში, ქციის ხრამში, არის მონასტერი, გამოკვეთილი კლდეში, დიდი შენობით და ყველაფრით შემკული. [აქ] ზის არქიმანდრიტი. ამბობენ, რომ თამარ მეფის აშენებულიაო. მის ქვევით არის ორბეთის ციხე, ახლა სამშვილდედ წოდებული. [ის] ააშენა ქართლოსმა და პირველმა მეფემ ფარნავაზმა დააწესა საერისთავო და [ააშენა] ქალაქი, მაგრამ იყო ქალაქი 83-ე მეფე სვიმონის [დრომდე]. [ის] არის ფრიად მტკიცე, სამხრეთით ჩაუდის ქცია, ჩრდილოეთით – ჭივ-ჭივა. შორ მანძილზე ხრამიდან ხრამამდე გავლებულია გალავანი განიერი და მაღალი. ასევე, ქალაქის გარეთ გალავანია გავლებული, [323] ასევე დიდი ლოდებით. ციხის შიგნით გუმბათიანი ეკლესია ააშენა 32-ე მეფე მირდატმა (ციხე დაანგრია ლანგ-თემურმა, შემდეგ ოსმალებმა).

ზაფხული არის ცხელი, ზამთარი – ცივი, არამედ მშვენიერი და კეთილჰავიანი. ამის ძირას, ქციის ნაპირზე, არის მცირე მონასტერი, ახლა ხუცესის ამარა. ქციის ხრამი აქ არის სიმაღლით 200 მხარი და მეტიც, სიგანით – 560 მხარი, ხოლო ჭივჭივის ხრამში - 200 მხარი. აქ ჭივჭივაზე არის თეთრი კლდე და მისგან ცვივა კუთხეებად გათლილი, ორივე მხრიდან ნვეტიანი ბროლი. ჭივჭივის-წყალი გამოდის ბენდერის მთიდან და მოედინება სამხრეთისაკენ. [ადგილი] არის ვენახიანი, ხილიანი, მაგრამ მთისკენ – არა. ამ სადინარში არის ნადარბაზევი, თამარ მეფის ნასასახლავი. აქ არის მცირე ტბა, [რომელშიც] არაფერია, გარდა ლულუფრისა<sup>279</sup>.

სამშვილდის ქვევით, ქციის ხრამი ნახიდურამდე განსაკუთრებით განიერია. აქ ხარობს სხვა ადგილებთან [შედარებით] დამატებით ბრონეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვა. რადგან აქ ზამთარი თბილია და ზაფხული ძალიან ცხელი, ზამთარში შემას არ საჭიროებენ. ნახიდურს ქვევით ქცია მიედინება მინდორზე გაშლილად, ხოლო ნაპირები ორივე მხარეს ციცაბო – ფლატიანია.

ამ კლდოვან ხეობაში არის მრავალი გამოქვაბული, მაღალ კლდეებში გამოკვეთილი სახიზრად. ზოგიერთი ახლა კაცთაგან მიუდგომელია და მასში მრავალი ფუტკარია და რომლისგან თაფლი გამოედინება. ქციაში არის გემრიელ თევზთა ფრიადი სიმრავლე, [მდინარის] ორივე ნაპირზე არის სოფლები, პირუტყვი უამრავია. ხოლო ხრამის ნაპირე-

ბზე სოფლებში არ არის ვენახი და ხილი. ჩრდილოეთ მხარეს ხრამში აკეთებენ მცირე [რაოდენობის] აბრეშუმს. აქ არის შინაურ და გარეულ ფრინველთა სიმრავლე და განსაკუთრებით კაკბისა. ნახიდურს ქვევით ნაპირზე სახლობენ მაჰმადიანი ელები, მეფის მოხარკენი [324] და მოლაშქრენი. შაჰ-სეფიმ ბაიდრის სულთანი დაასახლა ავღაჯარს ქვევით ნაჯბადინამდე და [სოფელ] ეკლესია – ნაზარამდე. ხოლო ამ ადგილს პირველად ეწოდებოდა წყალთაშუა, ხოლო ახლა – ბაიდარი. ეს ადგილი ფრიად ნაყოფიერია. აქ ხარობს ყოველგვარი თესლი, ბალოვანის ხილი და ბოსტნეული მოუცდენლად და მრავალი, [აგრეთვე] აბრეშუმი, ბევრი ბაბმა, პირუტყვი აქლემით [დანყებული] თხამდე – ყოველგვარი, ფრინველები გარეულ-შინაური ყოველგვარი, აურაცხელი და ფრინველზე სანადირო [ადგილები] ყველაზე საუკეთესო.

ნაჯბადინის ქვევით არის ხუნანი; აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით [მას] ჩამოუდის მტკვარი, სამხრეთით – ქცია. [ეს] ციხე-ქალაქი ააშენა ქართლოსმა, პირველად ეწოდა მტკვრის-ციხე, შემდეგ – ხუნანი და ახლა მაჰმადიანები უწოდებენ ქალის-ციხეს – ყიზყალას სოფლის [სახელის] გამო. პირველმა მეფემ ფარნავაზმა [აქ] დაარსა საერისთავო, რადგან იყო ქალაქი და საზღვრის ადგილი. [მურვან] ყრუს დროს ქალაქი მოოხრდა და დღემდე იყო ციხე. აქ არის ნახიდური და ამიტომ 89-ე მეფე როსტომმა ააშენა ქვითკირის ხიდი, დიდი და მშვენიერი, რომლის სვეტში არის მშვენიერი სახლი, [საიდანაც] ჩანს მდინარის ორივე ნაპირი. ხიდის სიგანე არის 10 მხარი. ქციის ორივე ნაპირზე არის სასტუმრო დიდი და კარგი, თლილი ქვებით ნაგები. ხუნანის ველზე უწყლობით არ იყო ნაყოფი. 94-ე მეფე ვახტანგმა გამოიყვანა არხი ქციის ნახიდურის ბოლოდან, ააშენა სოფლები და ახლა ძალიან ნაყოფიერია.

### **მდინარე ალგეთის აღწერა**

მტკვარს ხუნანის ჩრდილოეთ ნაწილში [325] დასავლეთიდან ერთვის ალგეთი. [ის] გამოდის კლდე-კარში და მოედინება აღმოსავლეთისაკენ. ხოლო მდინარე შემოსაზღვრულია: აღმოსავლეთით მტკვრით, სამხრეთით ლომთა გორით და ამჟამად მარნეულის გორის აღმოსავლეთით გულთაფამდე; დასავლეთით ამავე გორის გაგრძელება წრაუთის თავამდე, მიღწეული სამეზამდე და მისული ბენდერის მთამდე და ბენდერი – ლაკვის გორამდე; ჩრდილოეთით კუმისის გორა, მტკვრიდან მოყოლებული კოჯრამდე, გაივლის სამადლოს და სხალნარს, მიადგე-

ბა დიდგორს, შემდეგ – მთა დიდგორი და ერიქალისა, და მიადგება კლდეკარს; დასავლეთით კლდეკარის გადმოკიდებული ლაკვის გორა, ბენდერის მიყოლებით.

კლდეკარი ააშენა ლიპარიტ ბაღვაშმა. მაღალი მთის კლდეზე არის ციხე. ამ მთიდან გამოედინება ალგეთი. უცნობია, რატომ ეწოდა ალგეთი. ამის ქვევით, ჩრდილოეთიდან ალგეთს ერთვის საყავარის ხევი. ამის ქვევით ალგეთს ერთვის მჟავის-ხევი, [რომელიც] გამოდის კლდეკარიდან. ამათ უწოდებენ კლდეკარის სოფლებს. ამის ქვევით არის მანგლისი, გუმბათიანი ეკლესია, [რომელიც] ააშენა კოსტანტინე დიდმა მირიან მეფის დროს და დაასვენა აქ უფლის ფეხთა ფიცარი. [ის] არასოდეს დანგრეულა: სამხრეთის გუმბადაში დახატულია ლომზე მჯდარი მაჰმადი. ამბობენ, რომ ამის გამო მაჰმადიანებს იგი არ დაუნგრევიათ. [აქ] ზის გორგასალის [მიერ] დასმული ეპისკოპოსი – მწყემსი ალგეთის ხეობისა და ქციის ზემო [ნაწილისა] თრიალეთამდე.

მანგლისის ქვევით ალგეთს ერთვის კველთეთის ხევი – დიდგორის მთიდან გამომდინარე. ამის ქვევით ალგეთს ერთვის ლაკვის-წყალი. ლაკვაში მოედინება ერთი სანისქვილო [326] წყარო. ლაკვის ადგილი მშვენიერია, როგორც თრიალეთი. ამის ქვევით ალგეთს ერთვის დვალთა-ლოლოვნის-ხევი. პატივანის ზევით კლდეკარ-დიდგორამდე არ არის ვენახი და ხილი, ხოლო მოსავლით ისეთივეა, როგორც მთის ადგილები აღწერეთ, მაგრამ არის ტყიანი, ნადირიანი. პატივანის ქვევით, ვაკეში არის ლოდი, რომელსაც თუ გვალვაში გადააბრუნებთ და შენამავთ, წვიმა მოვა, ხოლო წვიმიანობის დროს თუ შეაყრით ნაცარს და გადააბრუნებთ – იქნება უწვიმრობა.

ამის ქვევით მიედინება ალგეთი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და [შუა ნაწილში] მას ერთვის გუდარეხის-ხევი. გუდარეხში – ბენდერის მთის ძირში, არის მონასტერი, უგუმბათო, ფრიად მშვენიერი და მშვენიერ ადგილას. [მას] მრავალი შენობა აქვს. [აქ] ზის წინამძღვარი. მის ზევით, ბენდერის მთისაკენ, არის ციხე და კლდოვანი ადგილი, კლდეშივე – მარანი. ამის ქვევით ალგეთს თაკვის მხრიდან ერთვის ამლივის წყალი, [რომელიც] მოედინება სამხრეთისაკენ.

ბუჟულეთის ქვევით ალგეთი იწყებს აღმოსავლეთისაკენ დინებას. ტბისის უკან, ჩრდილოეთ მხარეს, არის ბირთვისის ციხე, კლდეში ნაშენები და გარშემო კლდით შემორტყმული 4,500 ნაბიჯის [სიგრძეზე] და [არის] შეუვალი. აქ [კლდეში] მოედინებიან წყაროები.

ჩხიკვთის სამხრეთით არის წმინდა გიორგის ეკლესია „სამება!“, [რომელიც] აშენებულია მაღალ გორაზე და საკვირველია [მით], რომ [მას] შემოვლებული აქვს დიდროვანი ლოდებით აშენებული გალავანი, რაც კაცთაგან შეუძლებელია ამის გაკეთება. მის ძირში არის დიდი და ფრიად კარგი წყარო. ძველად [ამ ადგილს] ეწოდებოდა გმირთ-ნაკვეთი და იყო ციხე, ხოლო ახლა [აქ] ეკლესიაა.

ამის ქვევით ალგეთს ერთვის საღირაშენის ხევი, [327] [რომელიც] იწყება სხალნარში და მოემართება სამხრეთისაკენ. მას ერთვის ზრბით-ოშეთის ხევი, სადაც არის მონასტერი „საძელისი“. მის ზევით, ზრბითის ხევში, მაღალ კლდეზე, არის ორბეთის ეკლესია, ხოლო სადაც ეს ხევი ალგეთს უერთდება, არის ფარცხისის ციხე, ფარი ბირთვისის ციხისა, ამჟამად – დანგრეული. ამის გასწვრივ, სამხრეთით არის წინწყარო, მცირე ქალაქი, მოსავლიანი, კეთილ-ჰავიანი, მაღალ ადგილას გაშენებული. აქ არის წყარო, [რომლის წყლითაც] თუ მოხარშავ რომელიმე მარცვლეულს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში რომ ხარშო, ვერასოდეს მოხარშავ, მაგრამ სასმელად და მოსახმარად კარგია.

ფარცხისის ქვევით ალგეთს ერთვის ბოგვის ხევი, გამოდის სხალნარში [და] მოდის სამხრეთისაკენ. მას ქვევით ერთვის ასურეთის ხევი, რომელიც გამოდის სამადლოდან. „სამადლო“ ეწოდება იქაური ქარვასლის გამო. ეს ხევი მიდის სამხრეთისაკენ.

კიკეთის ქვევით, ხევში არის კაბენის მონასტერი, ყოფილი დედათა [მონასტერი], გუმბათიანი, მშვენიერი. ახლა [ის] არის ხუცესის ამარა. [მონასტერი] ააშენა თამარ მეფემ. მის ზემოთ, სამხრეთით არის აზეულას ციხე, ახლა – კოჯრის ციხე, [რომელიც აშენებულია] კლდის თავზე. ამ ციხის სამხრეთით არის მეფის სასახლე კოჯორი, [რომელიც] ააშენა 89-ე მეფე როსტომმა, ხოლო უმეტესი ნაწილი კი – 91-ე მეფემ გიორგიმ და 94-ე მეფე ვახტანგმა. [აქ] ზაფხულში ჩერდებოდნენ მეფენი.

ლოუზნის-ხევი გამოდის კოჯრის ციხის გორიდან და ერთვის ასურეთის-ხევს. ასურეთის-ხევის ქვევით, სამხრეთით, არის დურნუკი. აქ არის დიდი კარკნალი<sup>280</sup> და დარანნი<sup>281</sup>, ასევე მარნეულში, სადაც ბევრი აფთარია.

მარნეულში არის ნაციხარი, რომლის გამო ძველადვე ეწოდა ლომთა-გორა. მის სამხრეთით არის [328] დაბა ეკლესია, სიცხის გამო ჯოჯოხეთად წოდებული. აქ თხრიან მიწას და ხდიან გვარჯილას, ასევე იალლუჯის მთაში მიწისაგან ხდიან გვარჯილას.

ამ ადგილებს ახლა ეწოდება საბარათიანო ალგეთში მოსახლე ბარათაშვილების გამო, გარდა დბანისის-ხევისა, თრიალეთისა, ტაშირისა და სომხთისა.

ალგეთის შესართავის ჩრდილოეთით იალღუჯამდე, მტკვრის ნაპირას სახლობენ მაჰმადიანი ელები, [ისინი] თესავენ და [მოჰყავთ] ბრინჯი, ბამბა და ყოველგვარი მარცვლეული, აკეთებენ აბრეშუმს, ჰყავთ უამრავი პირუტყვი. ისინი არიან მეფის მოხარკენი. საყალბეთნის დასავლეთით არის იალღუჯის მთა – უტყეო და უწყლო და მოედინება მხოლოდ პატარა წყარო და ისიც მწარე და მლაშე, მაგრამ არის ზამთარ-ზაფხულს ყოველთვის ბალახოვანი, რომლითაც საზრდობენ თხა-ცხვართა და საქონლის ჯოგები და აქლემები. [აქ] მოიპოვება აქატის ქვის მსგავსი, დიდი და მცირე, მრავალფერი. აქ არის ბალახიკალია, რომლის ძირს წვავენ და მისი ნაცრით ადულებენ საუკეთესო საპონს, აგრეთვე ხმარობენ სხვაგვარადაც.

ამ მთის დასავლეთით, ხოშაგერმას იქით, ველზე არის ობის-ციხე – ახლა დანგრეული, ხოლო მის ჩრდილოეთ მხარეს არის კუმისის ტბა, მლაშე, [მას] ერთვის კოდის წყარო, აგრეთვე კოჯრისა და გუდელისის წყალი. ამ ტბის დასავლეთით არის კუმისი, დიდი სოფელი, ვენახოვანი, ლეღვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი. მინდორში ხარობს ყოველგვარი თესლეული ბრინჯ-ბამბის გარდა. კანაფი იზრდება ველურად. კუმისის თავზე, კლდეში არის გამოკვეთილი გამოქვაბულები.

კუმისის აღმოსავლეთით, მტკვრის [მხარეს], არის თელეთები და წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ეკლესია. მტკვრის ნაპირას [329] არის ჭალა ყურყურთა, ახლა სონლალულად წოდებული – ნაყოფიერი ყველაფრით. ამ ჭალადან იალღუჯამდე და კუმისის ტბამდე და მტკვრამდე არის დიდი მინდორი, ამჟამად სარვანისად წოდებული, მეფეთა აქლემების სადგომი, უწყლობით – უნაყოფო.

### **მდინარე სკვირეთის აღწერა**

ხოლო კოჯრის ჩრდილოეთ მხარეს არის სკვირეთის მდინარე, ამჟამად ვერედ წოდებული. გამოდის დიდგორის მთიდან, მოდის აღმოსავლეთისაკენ და ერთვის მტკვარს დასავლეთიდან, თბილისის ჩრდილოეთით. შესართავთან არის ლურჯი მონასტერი. ეს ხეობა დიდგორის მთის მხარეს არის უვენახო [და] უხილო ვანათამდე, ხოლო მის ქვევით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი [და] ფრინველიანი. ვანათის

ქვევით არის წვერის ციხე; სამხრეთით, აქვე არის გელიყარის ხევი; მას ქვევით, წყდულეთში ერთვის ვერეს ხევი; ამ ხევის სათავეში, მთაში ჩრდილოეთისაკენ არის ლასტის ციხე. ამის ქვევით, სამხრეთით [არის] ყოვლადწმინდა [ღვთისმშობლის] მონასტერი ბეთენია, გუმბათიანი, თამარ მეფის აშენებული მყარ ადგილას, ამჟამად [არის] ხუცესის ამარა. აქ ვერეს სამადლოს მხრიდან ერთვის ხევი. აქ არის რკინის-ციხე, უქვითკირო, კლდით შემორტყმული. ამის ქვევით არის ახალდაბა და მის დასავლეთით უძო, წმინდა გიორგის ეკლესია – მაღალ გორაზე, [საიდანაც] ჩანს კოჯორი და თბილისი.

ეს ხეობა არის ფრად მტკიცე და ხვავრიელი მოსავლით და პირუტყვით. მაგრამ ხშირად იცის სეტყვა, რადგან ემიჯნება დიდგორს. დიდგორის მთა არის მაღალი და თავში უტყეო, ტყიანი კალთებით, ბალახ-ყვავილით და წყაროებით შემკული, [აქ] ნადირი მრავლადაა. აქ არის წყარო, [რომელიც] კურნავს, თუ ციებისაგან გაყვითლებულმა [330] სვას და პირი დაიბანოს. ძველად იყო მეფეთა საზაფხულო სადგომი, ხოლო ამჟამად არის მეფეთა ცხენების დასაბმელი ზაფხულობით. აქედან მრავალი ადგილი მოსჩანს. ამისი ჩრდილოეთი მხარე მეოთხე სადროშოსია, ხოლო სამხრეთი მხარე – ამის სადროშოსი. ამის პირდაპირ, სამხრეთით, [არის] ბენდერის მთა, ასევე ტყიანი და ბალახ-ყვავილოვან-წყაროიანი, ხოლო [მთის] თავი – უტყეო და თრიალეთისაკენ სრულიად უტყეო. ხოლო ესენი, რომელიც აღვწერეთ, ძველად [გაყოფილი] იყო ორ საერისთავოდ.

### **გარდაბნისა და გაჩიანის საერისთავოები**

გარდაბნის საზღვრებია: აღმოსავლეთით – მტკვარი და ხუნანის მიმართულებით, ბერდუჯის აღმოსავლეთით მცირე მთა; სამხრეთით – შულავერისა, ჭაპალისა და ბოლნისის გორები; ჩრდილოეთით – მტკვრიდან თბილისის გორები ტაგნაგეთამდე; დასავლეთით – ასურთის ხევი წინწყაროს გაყოლებით ნახიდურამდე და ბოლნისის მცირე მთამდე. [ასე] იწოდება ქართლოსის ძის გარდაბნის გამო, რომელსაც დედამ მისცა ხუნანი და ეს [ადგილები], ხოლო მან უწოდა თავისი სახელი. ამავე [სახელს] უწოდებდნენ შემდგომ აგარიანნი. გრიგოლი მთავრის განდგომის შემდეგ ამას დაემატა: გრდანი, ლილო და მარტყოფი და ესენი იწოდებოდა გარდაბნად. ხუნანის საერისთავო არის ზემოთქმული გარდაბანი, სომხითი, ბერდუჯის მდინარე, ტაშირი და ბამბაკი.

მეორე საერისთავო – სამშვილდისა – არის: საბარათიანო, დბანის ხევი, სკვირეთი, თრიალეთი, რომელიც იყო სამფლობელო [331] გაჩიოსი, გარდაბნის ზევითა [მხარე]. მან ააშენა ქალაქი გაჩიანი. ის იყო ქართლოსის ძე, რომელსაც დედამ მისცა ობის-ციხე და სკვირეთიდან ფანავრამდე და აბოცის თავამდე. განყოფამდე ეს იყო საერისთავო, არამედ დღემდე უწოდებდნენ სომხითსაც, თრიალეთის გარდა, ორ საერისთავოს, რადგან ხოსროვანთა შემდეგ ბაგრატ მეფემდე ეს ადგილები დაიპყრეს სომხითის მეფეებმა, როგორც [ამას] მოგვითხრობს [ქართლის] ცხოვრება, ამიტომ უწოდეს სომხითი, ხოლო ამჟამად არის ერთი სასპასპეტო, ხოლო სპასპეტები იცვლებოდნენ.

### **ბოსტან-ქალაქი და გარეჯის მთის აღწერა**

იალღუჯის აღმოსავლეთით და მტკვრის გაღმა არის ბოსტან-ქალაქი, რომელიც არის რუსთავი, ხოლო ამჟამად [ენოდება] ნაგები. ეს ციხე-ქალაქი ააშენა ქართლოსის ცოლმა. შემდეგ, 28-ე მეფე თრდატმა ააშენა კარგი ეკლესია. გიორგასალმა, [რომელიც] იყო 64-ე მეფე დავითამდე, აქ დასვა ეპისკოპოსი, ხოლო ბერქა ყაენის შემოსვლისას მოხრდა და ამჟამადაც უკაცრიელია. ბოლო დროს ააშენა 92-ე მეფე ერეკლემ სასახლე, ხოლო შემდეგ დაანგრია 94-ე მეფე ვახტანგმა. მისი საზღვრებია დასავლეთით – მტკვარი, ჩრდილოეთით – ლოჭინის ხევი; აღმოსავლეთით – გარეჯის მთა მწარე-წყლამდე; სამხრეთით – მწარე წყალი.

ნაგების აღმოსავლეთით და სამხრეთით არის ყარაიის დიდი ველი, სავსე ქურციკებით, რომელსაც წლიდან-წლამდე მოინადირებენ [ხოლმე] მეფეები.

მტკვრის ნაპირებზე [არის] დიდი ჭალა, სავსე გარეული ღორებით, შველებით, დათვებით, მგლებით და წვრილი ნადირით, ირემი – დროდადრო და ხოხობი – მრავალი.

გარეჯის მთაში არის მონასტერი, კლდეში [332] გამოკვეთილი სენაკებით, სატრაპეზოებით, დარბაზებით. [ადგილი] არის ზამთარში – თბილი, ზაფხულში – გრილი. „ნათლისმცემელში“ ზის არქიმანდრიტი, ბერთუბანში – წინამძღვარი. [ადრე] ბევრი მონასტერი ყოფილა მწარე-წყლამდე – მონესეებით გავსებული, ხოლო ამჟამად არის ხუთი, [რომელშიც] მონესე იმყოფება. აქ არ არის წყალი, მაგრამ აგროვებენ წვიმისაგან კლდის ქებში და სვამენ მას. არ არის ტყე, მხოლოდ – ძეძ-

ვი, რომლითაც ხარშავენ და აცხოვენ. [აქ] არის ეკლესიები, შემკული და მოხატული ძველთაგანვე. მონასტერი დაარსებულია დავითის – „ათცამეტ“ მამათაგანის მიერ, შემდეგ შემკული და გაფართოებული მეფეთაგან. ნაგებიდან გაიყვანა 94-ე მეფე ვახტანგმა მტკვრის არხი და ამ დროიდან ჭალებს ქვევით მინდვრები ნაყოფიერი [გახდა].

ყარაიის ჭალის ქვევით, მტკვრის ნაპირას ესახლნენ ელნი დემურ-ჩიასანლუ, [რომლებსაც ჰყავთ] ურიცხვი პირუტყვი, რადგან ზამთარში სითბოთი, ტყითა და ბალახით ულეველი არის ეს ადგილი. მათი პირუტყვი ძოვდა გარეჯის მთაზე, სადაც მრავალი მლაშე წყარო დის, რომელიც რგებს პირუტყვს.

ამ მთაზე არის თუთუბო<sup>282</sup> [და] კაპარი მრავლად. რაც ელები აღვწერეთ ქართლში, ზამთარში ამ ადგილებში არიან და ზაფხულში ადიან ყაიყულისა და პალაკაციოს მთებზე.[ისინი] აჰყარა შაჰ-ნადირმა და ჩაასახლა ხორასანს. ესეც საბარათიანოს სასპასპეტო<sup>283</sup> არის.

ნაგების ჩრდილოეთით, მტკვრის ნაპირას არის ყარაღაჯის მთა, ასევე ნადირიანი და ხოხობ-ფრინველებით სავსე. [აქ] იდგა მეფეთა [კუთვნილი] ჯოგი და [ამიტომ] უწოდებენ საჯოგის ჭალას.

ეს ადგილები ნაგების ზევით ძველად იყო კუხეთისა, რომელიც დედამ მისცა კუხოსს, ხოლო ნაგების ქვევით იყო ჰერეთისა, ხოლო ამჟამად უწოდებენ ყარაიას და ასევე ძველ სახელს – გარეჯის მთას. [აქ] სახლობენ სომხით – საბარათიანოს მთავარნი და აზნაურნი, როგორც აღნიშნული გვაქვს რუკაზე. [333] [ისინი] არიან მშვიდნი, მორჩილნი, ბრძოლაში გაბედულები, მშვენიერ-ჰაეროვანნი, ასევე ქალებიც – მეტად ნაზი.

ხოლო თათრები, რომლებიც აღვწერეთ, არიან სუნიტები, ქცევით როგორც შეშვენის პირუტყვთა მწყემსებს, მაგრამ მხენი და გაბედულნი ბრძოლაში, ახოვანნი, მშვენიერნი. [მათ] უწოდებენ თარაქამებს, რადგან ბრიყვები და უცოდინარნი არიან. ასევე ქალებიც, მხოლოდ – მოშავვგრემანო, მამაცნი კაცებზე მეტად – ცხენითაც და ქვეითადაც.

### **მეოთხე სასპასპეტოს აღწერა**

მეოთხე სასპასპეტო [არის] თბილისიდან ტაშისკარამდე, მეფის [განმგებლობაში] მყოფი და შემოსაზღვრულია: აღმოსავლეთით ლილოს საზღვრით, რომელიც ავლებს ხაზს შარობის ლილოსა აღმოსავლეთით – სამხრეთისაკენ ლოჭინამდე, რომელიც ომანის-ხევი ეწოდება, აქი-

დან გაივლის სამგორსა და ჩადივარს შუა, მრავალწყაროსა და სათის-ჭალას შუა და მიადგება ბერთუბნის ლელეს, ხოლო ლილოდან ჩრდილოეთისაკენ მიადგება ხევ-ძმარას, ხევ-ძმარი მტკვარს მიადგება, ხოლო მტკვრის ნაპირი – მცხეთამდე. სამხრეთით – ლოჭის-ხევი, გამოღმა – კრწანისის გორა, შინდისისა და წავკისის გორა, წყნეთის გორა და სკვირეთის ჩრდილოეთი მხარე სხალ-დიდამდე და სხალ-დიდიდან დიდგორის მთამდე მიყოლებით: ერიქალის მთა, კლდე-კარი, ერჯე-ვანი, თორის მთა და გაყოლებით ნირიანის ხაზი ტბის-ყურამდე; ჩრდილოეთით – მტკვარი და დასავლეთით, დამჩხერალოდან სადგერსა და თორს შუა, ბაკურიანის მთამდე და ტბის-ყურამდე. ხოლო თბილისის სამხრეთით მტკვარს ერთვის კრწანისის-ხევი დასავლეთიდან, კუმისისა და შინდისის მცირე მთებიდან გამომდინარე.

### **თბილისის აღწერა**

თბილისი შედგება სამი ქალაქისაგან: თბილისი, კალა და ისანი. მათ ყოფს მტკვარი: კალას ჩაუდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თბილისს – ჩრდილოეთით და ისანს დასავლეთით და სამხრეთით. კალასა და თბილისს ყოფს სოლოლაკის წყალი, რომელიც გამოდის წავკისისა და კოჯრის მთებიდან; სამხრეთით და აღმოსავლეთით ჩაუდის [334] კალას და დასავლეთით თბილისს.

პირველად [თბილისი] იყო სოფელი. 27-ე მეფე ვარზაბაკურის დროს სპარსთა ერისთავმა ააშენა შურის-ციხე მცხეთისათვის. შემდგომ გორგასალმა ჩაუყარა საფუძველი, დაჩიმ – 34-ე მეფემ აქცია ქალაქად და მეფეთა ტახტად, ხოლო მურვან ყრუს შემდეგ დაანგრის ხაზარებმა და ააშენა ამირ აგარიანმა. მცხეთის შემცირებისა და მისი აოხრების შემდეგ, ბაგრატიონთა ტახტი უმეტესად იყო [თბილისში].

თბილისში კლდიდან მოდის ცხელი წყალი. [ამ წყლებზე აშენებულა] აბანოს ექვსი დიდებული შენობა აუზებით. ცხელი წყალი მოდის უწყვეტად. აქ, თაბორში, ყოფილა ციხე, მაგრამ ამჟამად დანგრეულია. აქ დაასახლა შასეფიმ სეიდები, ამიტომ უწოდებენ სპარსელები სეიდაბადს. [აქ] ყოფილა დიდი ეკლესიები, მაგრამ ამჟამად დანგრეულია.

კალაში არის ციხე, აშენებული მაღალ კლდეზე და ჩამოდის გალავნით სოლოლაკის-ხევიდან მტკვრამდე. სოლოლაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯისკარს. მაღალ ციხეში არის გუმბათიანი ეკლესია წმინდა ნიკოლოზისა და მეფის სასახლე, დიდ-დიდი მშენიერი დარ-

ბაზები. 89-ე მეფე როსტომმა გალავანი გაავლო კალა ციხიდან ხიდის-ყურამდე, დატოვა და მისცა სპარსელებს. იმ დროიდან უჭირავთ მათ. [მან] თავისთვის სამეფოდ ააშენა სასახლე სიონის და ანჩისხატს შუა, რომელიც გადაკიდებულია მტკვარზე და ყიზილბაშთა სტილისაა. 94-ე [335] მეფე ვახტანგმა ააშენა მშვენიერი სახლი, მთლიანად სარკეებიანი და მოოქროვილი, დიდებული მხატვრობით, ლაჟვარდით და მარმარილოს კედლებით, [მაგრამ] დაანგრის ოსმალებმა.

კალაში არის გუმბათიანი, ღვთისმშობლის დიდი და მშვენიერი ეკლესია სიონად წოდებული, რომლის საფუძველი დადგა 34-ე მეფე გურამმა, შემდეგ დაასრულა ვინმე ქვრივმა, მოქალაქეებმა და 41-ე მამამთავარმა ადარნარემ, ხოლო ამჟამად თითქმის დარღვევის პირას მისული, განაახლა და ააშენა საფუძველიდან გუმბათითურთ 94-ე მეფე ვახტანგმა. [აქ] ზის ეპისკოპოსი, მწყემსი თბილისის სამხრეთიდან ქციისამდე. ასევე, არის ჯვარის ეკლესია, გუმბათიანი, მშვენიერი, რომელიც ამჟამად განაახლა იმერლისშვილმა. არის [აქ] ანჩისხატი, დიდი, უგუმბათო, კათოლიკოსის [საყდარი] – დანგრეული ააშენა დომენტი კათალიკოსმა, ქაიხოსროს ძემ, ნათლისმცემლის [სახელზე]. [336] გუმბათი მოარღვია 89-ე მეფე როსტომმა, განაახლა [გუმბათის გარდა] 94-ე მეფე ვახტანგმა.

დაბალ ციხეში არის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც ამჟამად ცარიელია, აგრეთვე სხვა გუმბათიანი [ეკლესიები], სამი უჭირავთ სომხებს. კარის საყდრად უგუმბათო [ეკლესია] ააშენა 89-ე დედოფალმა მარიამმა. 94-ე მეფე ვახტანგმა ააშენა კიდევ ორი უგუმბათო [ეკლესია]. 90-ე დედოფალმა როდამში ააშენა ერთი უგუმბათო [ეკლესია]. კიდევ 4 უგუმბათო [ეკლესია] ამჟამად უჭირავთ სომხებს. ხოლო ხიდისყურში შაისმაილმა ააშენა მეჩეთი. 89-ე მეფე როსტომმა ააშენა ციხის გარეთ ერთი [ეკლესია], თავის სასახლეში [კიდევ] ერთი ეკლესია და განჯის კართან – ერთი. ურუმებმა ქრისტეს [აქეთ] 1727 წ. აღაშენეს სამი, მაგრამ დაანგრია შაჰ-ნადირმა.

ისანში, მტკვრის ნაპირას, ციხეში არის ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა, გუმბათიანი, დიდი და მშვენიერად ნაშენი, არქიმანდრიტის საჯდომი. [დანგრეული მეტეხი] ააშენა 66-ე მეფე [337] დიმიტრიმ. 92-ე მეფე ერეკლემ მისცა სპარსელებს, ამჟამად უქმია. აქ გადებულია ხიდი კალიდან ისანში – ციხიდან-ციხეში. ხიდისყურის სამხრეთით არის წმინდა აბოს საფლავი, რომელიც ეწამა არაბთაგან თბილისში. ისნის

ციხე ყოფილა დიდი, რომელიც განაახლეს ოსმალებმა ქრისტეს [აქეთ] 1728-ს, მაგრამ დარჩათ დაუსრულებელი. ისანში არის ერთი უგუმბათო ეკლესია, ხოლო გუმბათიანი – ორი. ერთი უგუმბათო უჭირავთ სომხებს. ძველად მრავალი ეკლესია არსებულა თბილისში, კალასა და ისანში, მაგრამ ამჟამად დანგრეული არიან.

კალას გალავანი მეორედ შემოავლო შაჰ-აბაზმა, რადგან პირველი დანგრეული [იყო], სამხრეთით მოავლო სოლოლაკის კლდეზე. დასავლეთით გაუკეთეს ორი კარი, ჩრდილოეთით – ორი კარი. გალავნის გარეთ [ნანილს] ეძახიან ამჟამად გარეთ-უბანს, სადაც არის მოედანი. აქ არის ორი გუმბათიანი და ორი – უგუმბათო [ეკლესია], რომელიც უჭირავთ სომხებს, ხოლო ორი უგუმბათო უჭირავთ ქართველებს. კალას არის რომაელთა ერთი ეკლესია და მონაზვნები. ამჟამად [338] ოთხივე ქალაქს უწოდებენ თბილისს, ხოლო თითოეულს: კალა-თბილისს, თბილის-სეიდაბადს და ისან-ავლაბარს და ის თბილისის გარეთ-უბანია. ციხეში და სეიდაბადში ცხოვრობენ მაჰმადიანი სპარსელები, ხოლო ციხის გარეთ – უმეტესად სომხები, ქართული ზნე-ჩვეულებებით, და ცოტა ქართველები. სახლები ნაშენებია ქვა-ტალახით და გალესილია გაჯით, ზოგი სპარსული ტრადიციით, ზოგი – ქართულით. ციხე, ეკლესიები და გალავნები ქვითკირისაა. ჰავა არის მშვენიერი და სასიამოვნო, ხოლო ხალხი – მშვენიერი და მშვიდი. ქალები – ფრიად კეკლუცნი. ქალაქის ირგვლივ [არის] ბალები და ვარდნარი მრავალი, ყოველგვარი ხილითა და ყვავილით სავსე. მაგრამ ქალაქი ვინროა. ქუჩები – ულამაზო, ზაფხულში ცხელი, მაგრამ არა გაუსაძლისი, ზამთარი – ცივი, გაზაფხული-შემოდგომა მშვენიერი და ლამაზი. ფრინველთა და ნადირთა სანადირო [ადგილები] მრავალი და ახლოს. დასავლეთით, იშიტუტრუქის კლდეში არის მთანმიდის მონასტერი, ამჟამად – დაცარიელებული.

თბილისის სამხრეთ აღმოსავლეთით არის ნავთლუხი. აქ მტკვრის ნაპირას მოდის ნავთი, მაგრამ წყლის სიახლოვის გამო ცოტას იღებენ. თბილისის აღმოსავლეთით არის ლილო. აქ არ არის ვენახი და ხილი მთიანობის გამო. აქ წყაროებიც არ არის, მაგრამ მინა ნაყოფიერია მთის პირობაზე, ტბები – პატარა, უთევზო და ბყაყებით სავსე. [ტბაში] ჯდება მრავალი წერო და ბატი.

თბილისის ჩრდილოეთით არის დიდუბის მინდორი, რომელსაც ადრე ცხენის-ტერფი ერქვა. თბილისიდან მცხეთამდე [ადგილები] უწყლოა, მაგრამ მოსავლიანი. თბილისის ჩრდილოეთით არის ლურჯი მონას-

ტერი, ეკლესია წმინდა გიორგისა, დიდი, უგუმბათო, ამჟამად ხუცესის ამარა. ვერეზე არის დიდი ქვიტკირის ხიდი, ხოლო ვერე წყნეთამდე ბაღების სიმრავლითაა შემკული. [339] [თბილისის] სამხრეთით არის საბურთალოს ველი. აქ ყოფილა ვერედან გამოყვანილი არხი (რუ), ამჟამად მის გარეშე [ეს ადგილები] უნაყოფო არის.

მის ზევით არის ლისის ტბა, ხოლო მის დასავლეთით – სხალდიდის მთა, კარგი დასასვენებელი ადგილი და ყოველგვარი მშვენიერებით [შემკული]. ამის სამხრეთით [არის] დიღმის ხეობა, რომლის წყალი გამოდის სხალდიდისა და სათოვლიას მთებიდან და მიედინება აღმოსავლეთისკენ, მიერთვის მტკვარს დასავლეთიდან. [იგი] არის წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი, ხოლო მის ზევით – მთიანი.

სამხრეთით არის დიღმის დიდი ველი, უნაყოფო, მაგრამ ბალახოვანი და ზამთარში [აქ] საზრდოობს ცხვარი და საქონელი. ნაქულბაქევის ზევით არის დევის-ნამუხლარი – კლდეში გაჭრილი გზა. მის ზევით – მუხათ-გვერდი, მის ზევით, მცხეთის ხიდის სამხრეთით, არის მონასტერი ახალ ქალაქური, ყოვლადწმიდისა [ღვთისმშობელისა], უგუმბათო, კარგ ადგილას. [ადრე] იდგნენ მონესეები. მის დასავლეთით [არის] ქართლის-ხევი, [რომელიც] გამოდის მისსავე მთიდან და მოედინება ჩრდილოეთისაკენ. აქ არის ციხე, რომელიც ააშენა ქართლოსმა და უწოდა თავისი სახელი. [ის] არასოდეს დანგრეულა მტერთაგან და [მურვან] ყრუს მოსვლასაც გაუძლო. ამ ადგილის გამო ეწოდა ქვეყანას ქართლი. პირველმა მეფე ფარნავაზმა აღმართა აქ კერპი არმაზი, თავისი სახელის [მიხედვით] და ამიტომ ეწოდა ამ ადგილს არმაზი. აქ [არის] დასაფლავებული ქართლოსი და ფარნავაზიც – თავისი კერპის წინ. ამ კერპის მსახურნი [იყვნენ] ქართველნი, ხოლო შემდეგ ეს კერპი დაამსხვრია წმიდა ნინომ. ქალაქი არმაზი მდებარეობდა აქედან ნაქულბაქევამდე და მოოხრდა [მურვან] ყრუსაგან და მის შემდეგაც, ხოლო ამჟამად არის სოფლები.

### **[340] მცხეთის ზემოთის აღწერა**

არმაზის დასავლეთით არის ციხე-დიდი. მის დასავლეთით – ძეგვის-ხევი, გამოდის სხალდიდიდან [და], მიერთვის მტკვარს სამხრეთიდან. აქაური ღვინო და ბალი არის კარგი. ამის დასავლეთით [არის] ნიჩბისის ხევი, გამოდის დიდგორიდან, მიემართება ჩრდილოეთისაკენ, ერთვის მტკვარს სამხრეთიდან.

## ნიჩბისისათვის

ნიჩბისში არის დიდი შენობა და მცირე მონასტერი, ამჟამად [არის] ხუცესის ამარა. ნიჩბისის-წყლის შესართავთან არის კონახურას ფონი – მუხრანში გასასვლელი.

## კავთისხევისათვის

ნიჩბისის დასავლეთით [არის] კავთის-ხევი, [რომელიც] გამოდის დიდგორიდან, მიედინება ჩრდილოეთისაკენ [და] ერთვის მტკვარს სამხრეთიდან. ქვათახევამდე [ხეობა არის] ვენახიანი [და] ხილიანი. ქვათახევიში არის მონასტერი ყოვლადწმიდა [ღვთისმშობელისა], გუმბათიანი, მშვენერ-ნაშენი. [აქ] ზის არქიმანდრიტი. [ეს] ადგილი არის შემკული, ზაფხულში გრილი, წყაროიანი. ზამთარში – თბილი. ირგვლივ ტყიანი მთაა. მონასტერი მრავალშენობიანია.

ამ [ეკლესიაში] შეჰყარა თემურ-ლენგმა მონესენი და შეაბა ეჟენები [რომელიც] იტყოდნენ: „ვაი ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვეჟღერუნებინა!“ და გამოწვა ყველანი ეკლესიაში. დღესაც ჩანს იატაკზე ხელები, ფეხები, თავები და სხეულები. [ეკლესიაში] ვერავინ შევა ფეხსაცმლით, არამედ ფეხშიშველი [ამ ადგილის] სინმიდისათვის. ამის ზევით, დიდგორის კალთაზე არის კავთის ციხე, [341] აშენებული მალალ კლდეზე. კავთის ქვევით ამ ხევს ერთვის ბოტისის-ხევი. ქვათახევი-წინარეხის ქვევით ამავე ხევს ერთვის გუდარეხის-ხევი. წინარეხის აღმოსავლეთით და გომიჯურის ზევით არის მონასტერი ლავრა, გუმბათიანი, მშვენიერ ადგილას, ამჟამად – გაუქმებული. გუდარეხის ხევში, თვალივში, არის მეფეთა სასახლე, დიდი შენობა.

## თეძმისათვის

კავთისხევის დასავლეთით მიედინება თეძმის მდინარე, გამოდის ჭვარებსა და თორის შუა მთიდან და დედა-ციხიდან მიედინება აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ მიედინება ჩრდილოეთისაკენ და უერთდება მტკვარს სამხრეთიდან. აქ, მტკვრის ნაპირას არის მონასტერი ყოვლადწმიდა [ღვთისმშობელისა], გუმბათიანი, დიდი – მეტეხი, კარგად ნაშენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო. ამის ზევით არის სხერტის ჭალა. მის სამხრეთით თეძმაზე არის ახალქალაქი. ამის ზევით [არის] გუმბათიანი ეკლესია – ერთანმინდა, სასწაულმოქმედი. ამის აღმოსავლეთით არის ცხირეთის ციხე, ნასასახლევი მეფეთა. ერთნ-

მინდის დასავლეთით მდინარე თეძმაზე არის დრის ციხე, მტკიცე, [აშენებული] მაღალ კლდეზე.

### **კრკონის აღწერა**

[დრის ციხის] სამხრეთით, თეძმის მდინარეზე, არის კრკონის მონასტერი, გუმბათიანი, ძალიან მტკიცე და შეუვალ ადგილას. აქ არის დიდძალი ტყვიის [საბადო], ამბობენ – ვერცხლსაც. [აქ] ზის წინამძღვარი. ამ დრომდე არის თეძამი ვენახ-ხილით ნაყოფიერი. [342] ამის ზევით – როგორც თრიალეთი ქვარებითურთ. რკონის ზემოთ ხევებრმაში არის მონასტერი.

### **დედაციხის აღწერა**

ამის ზევით, ერიქალის მთის ქვეშ არის დედაციხე, კლდეებით შემორტყმული, ძლიერ მტკიცე. ამ მდინარეში არ არის თევზი, გარდა კალმახისა, ხოლო იგი მრავლადაა. წყალდიდობის დროს [მდინარეში] შემოდის კაპოეტი და დროდადრო – ორაგულიც. გომიდან მეტეხამდე არის სხერტის ქალა და [აქ] არის მრავალი ხოხობი.

### **ხოვლესათვის**

თეძმის დასავლეთით არის ხოვლეს ხევი, გამოდის რაზმითის მთიდან, მოდის ჩრდილოეთიდან და ერთვის მტკვარს სამხრეთიდან. [ადგილი] არის ვენახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი. თეძმიდან ატენის წყლამდე [არის] დოესის მინდორი, რომელიც ირწყვება თეზის არხით და არის ძალიან მოსავლიანი, გარდა ბრინჯ-ბამბისა.

### **ატენისათვის**

ამის დასავლეთით არის ატენის მდინარის ხეობა. ტანა გამოდის ჯამჯამისა და საცხენისის მთიდან, დრის ხევამდე მიედინება აღმოსავლეთისაკენ, მერმე მიედინება ჩრდილოეთისაკენ [და] ერთვის მტკვარს სამხრეთიდან. მტკვრის სამხრეთით დასავლეთიდან ატენის წყალს ერთვის წედის ხევი. წედისში არის მცირე ციხე. ეს ხეობა არის ვენახოვანი, ხილიანი. ასევე ატენის-წყალს უერთდება აღმოსავლეთიდან ვერეს ხევი. აქ არის ციხე მაღალ კლდეზე. ხეობა არის [343] ვენახოვან-ხილიანი. ვერის დაბის დასავლეთით, დანახვისის მთის ძირში არის მონასტერი [ღვთისმშობლისა], კარგი და მშვენიერი. ამის ზევით

[არის] ატენი, მცირე ქალაქი, [რომელშიც] სახლობენ: ქართველები, სომხები და ებრაელები. დიდი ციხე აშენებულია მაღალ კლდეზე.

გორის ციხის სამხრეთით არის საცივი, როგორც მყინვარი, სადაც საუკეთესო ღვინო დგება. ჩრდილოეთ მხარეს მოდის თბილი წყალი, [რომელიც] ჰკურნავს კანზე გამონაყარს. [აქ] არის სხვა ცივი წყაროც.

ატენის სამხრეთით არის მონასტერი სიონი, გუმბათიანი, კარგად ნაშენები. ამჟამად [აქ] სვამენ ახტალის ნაცვლად გადამდგარ ეპისკოპოსს, რადგან იგი გაუქმებულია და არის მისი ნაცვალი.

სიონის პირდაპირ, დანახვისის ძირში არის [იოანე] ნათლისმცემლის მონასტერი. დანახვისის მაღალ მთაზე დგას წმინდა გიორგის ეკლესია, [საიდანაც] მოჩანს [მთელი] ქართლი. ამის ზევით ტანას ერთვის დრის ხევი, გამომდინარე რაზმითის მთიდან. ამ მთის კალთები ტყიანია, ხოლო თხემი – უტყეო. აქ არის ხუთი ადლის სიგრძის საფლავი ჯაფირისა, რომელიც ცხოვრობდა როსტომ მეფის დროს.

ბობნაევის ზევით ტანას ერთვის ღუის-ხევი, გამომდინარე საცხენისის მთიდან. ობნავამდე ეს ხეობა არის ვენახოვანი [და] ხილიანი, მის ზევით – მთიანი, ვიწრო და მტკიცე კლდიანი, ტყიანი და ცხელი. [აქ] კონახურის [მთელი] ტყეა. ბობნავის ზევით, ჩრდილოეთ მხარეს, არის კიკანთა-ბერის ციხე, კლდეებით შემოვლებული, [საიდანაც] გამოდის წყარო. [ციხე] ფრიად მტკიცეა. ამ ციხის დასავლეთით, მთაში არის წმიდა გიორგის ეკლესია – ახალ-ჯვარი, სასწაულმოქმედი, რადგან [მისი] კარები არ იკეტება, მცველი არასოდეს [ჰყოლია] და ვერ შედის ქურდი და ვერც ნადირი. ატენის [344] მდინარეში არის გემრიელი და მრავალი კალმახი, ხოლო სხვა თევზი არ არის.

წედისის ჩრდილოეთით და გორის პირდაპირ არის წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ეკლესია, მაღალ გორაზე აშენებული. წმიდა გიორგის თავი გამოკვეთილია ჯვარზე, [ამიტომ] უწოდებენ [მას] გორიჯვარს. აქ არ იყო წყალი და 94-ე დედოფალმა რუსუდანმა გამოიყვანა [არხი] ბურეთის მთიდან.

### **საციციანოს აღწერა ხვედურეთის ზევით დამჩხერალომდე**

გორიჯვრის დასავლეთით არის სკრის ხევი, [რომელიც] უერთდება მტკვარს სამხრეთიდან. ამ ხეობის დასავლეთით არის ხვედურეთის ხეობა. გამოდის [იგი] საცხენისის მთიდან და უერთდება მტკვარს სამხრეთიდან. ორივე ხეობა არის ვენახოვანი [და] ხილიანი.

ხვედურეთის დასავლეთით, ყინწვისში არის წმინდა ნიკოლოზის მონასტერი, გუმბათიანი, დიდებულად და მშვენივრად ნაშენები მაღალ ადგილას; [აქ] ზის წინამძღვარი. ამის სამხრეთით, მთაში, სარკეში არის მონასტერი უგუმბათო, ძალიან კარგად ნაშენები, ხოლო ამჟამად უქმი. ყინწვისის დასავლეთით არის ძამის ხეობა, [რომელიც] გამოდის თორის მთიდან და მოდის აღმოსავლეთისაკენ საგლონის ქალამდე, აქედან მიედინება ჩრდილოეთისაკენ [და] ერთვის მტკვარს სამხრეთიდან. მტკვრის ნაპირას, სამწვერისში არის დიდი ციხე, ხოლო [ციხეში] – ეკლესია, კარგად ნაშენები. სამწვერისის სამხრეთით ძამაში უერთდება იმერხევის-ხევი, [რომელიც] გამოედინება საცხენისის მთიდან.

აქ არის ძამის მონასტერი, [რომელიც] ამჟამად [დარჩენილია] ხუცესის ამარა. იმერხევის დასავლეთით, ძამაზე არის მძორეთი – მცირე ქალაქი, მოსახლეობა – სომხები და ებრაელები. ციხე აშენებულია მაღალ კლდეზე – ეს არის ძამის-ციხე. ამ ციხის ქვეშ [არის] ციციშვილების სასახლე. მძორეთის დასავლეთით, გვეძინეთში ძამას ერთვის მუხალეთის ხევი. [345] აქ არის ციხე. ამავე გვეძინეთის დასავლეთით უერთდება აბუხალოს ხევი. აქ, მაღალ კლდეებში გამოკვეთილია მრავალი გამოქვაბული, მასში ეკლესიაა, კარგი და კაცთაგან შეუვალი სიმაგრიოთ. აქედან გადადის გზა გუჯარეთში. ამ გზის დასავლეთით და ქოზიფას ზევით არის კლდე, მშვენიერი, ყვითელი და ბრწყინვალე, როგორც ოქრო. მის ქვევით, მთაში არის ქოზიფას მონასტერი, უგუმბათო, კარგად ნაშენები – ამჟამად ცარიელი. ეს ხეობა გვეძინეთამდე არის ვენახოვანი, ხილიანი და მის ზევით – მთიანი. მძორეთის ჩრდილოეთით გორას იქით და სამწვერისის ზევით, წრომში არის ყოვლადწმინდა [ღვთისმშობლის] მონასტერი, გუმბათიანი, მშვენიერი, მოზაიკით ჩანყობილ-დახატული, და ხუცესის ამარა [დარჩენილი]. ამის ქვევით მინდორს რწყავს ძამის არხი და ანაყოფიერებს [მინას]. წრომის დასავლეთით არის მინობის-ხევი, მის დასავლეთით [კი] – კრისის-ხევი, მის დასავლეთით – ქციის-ხევი. ეს ხეობები არის ვენახოვანი [და] ხილიანი.

დამჩხერალიდან თბილისამდე, მტკვრის მხარეს მთამდე [ხევი] არის ნაყოფიერი, [მოდის] ყოველგვარი მარცვლეული, რომელიც [ზემოთ] აღწერეთ, ბრინჯ-ბამბის გარდა. ხილი და ვენახი მრავალია; აქაური ღვინო საუკეთესოა მთელ ქართლში, განსაკუთრებით ატენური – საქართველოს ყველა ღვინოზე საუკეთესო. ყოველგვარი პირუტყვიც

მრავლადაა, გარდა აქლემისა. ჰაერი – კარგი და შემკული, ხოლო მთის სოფლები ნაყოფითა და პირუტყვით ისეთია, როგორც მთის შესახებ დავწერეთ – ტყიანი, ნაძვიან-ფიჭოვანი და ნადირიანი. დიდი-გორისა და ერიქალის [346] მთები არის ამ ადგილების ჩრდილოეთი მხარე და ნადირიანია, [ოლონდ] ერიქალის მთაში არის სხვებზე მეტი თხა. კლდე-კარის დასავლეთით არის ერჯევანის მთა, მაღალი და თავში – უტყეო, [ხოლო] ჯვარების მხარეს – ტყიანი. აქ არის მრავალი დიდი და მცირე ნადირი, აქ მთის თავზე არის წყარო, რომელსაც თუ მეტისმეტად გამაძღარი დაღვეს, ეგონება, რომ თითქოს სამი დღის უჭმელია. ეს მთები შემკულია მშვენიერებით. წრომის ჩრდილოეთით, მტკვრის ნაპირას არის დაღალულა მინდორი, შენობებით და ძალიან ნაყოფიერი. ზამთარში მოუკლებლად არის პირუტყვითა და ბალახი, სასვება სხვადასხვა ფრინველით, მაგრამ ზაფხულში – გაუსაძლისი. თბილისიდან გორამდე მტკვრის ორივე ნაპირზე არის ქალები, კლდიანი, ნადირი და ხოხობი – მრავალი. გორიდან დამჩხერალომდე – ფლატოიანი და ქალიანი, როგორც დაღალულა.

### **თორისა და ახლანდელი გუჯარეთი აღწერა**

ჭვარების დასავლეთით და მძოვრეთის სამხრეთით არის თორის მდინარე და ხეობა, რომელიც გამოდის ჭვარებისა და ამ მთას შორის და მიედინება დასავლეთით. მერე მომრგვალდება ჩრდილოეთისაკენ სადგერის ზევით და უერთდება მტკვარს სამხრეთიდან. ამჟამად [თორი] გაყოფილია სადგერად და გუჯარეთად. ამ ადგილების კაცები ყოფილან ძლიერი მებრძოლები, ახლაც მამაცნი არიან. გომარეთის ზევით ჭვარებამდე არის გუჯარეთის ხეობა. [აქ] ადრე ყოფილა მრავალი შენობა და ეკლესია, მაგრამ ამჟამად დანგრეულია. სოფელ გუჯარეთის ქვევით კიმოთესუბნამდე<sup>284</sup>, თორის წყლის ორივე მხარეს არის კლდე, რომლიდანაც ფიქალ-ფიქალ იჭრება შავი, დიდ-დიდი ფიცრები, რომლითაც ხურავენ სახლებს.

[347] გუჯარეთის ჩრდილოეთით, მაღალი მთის თავზე, არის ციხე თოთხამი, საიდანაც ჩანს ქართლი და იმერეთი. ამის ქვევით არის მომწვარას ციხე და მცირე ეკლესია, ხოლო შენობები – დიდი.

სარბიელას ზევით, სარბიელა-ხევის თავზე მაღალი მთის წვერზე არის ალენის ციხე, საიდანაც ჩანს ქართლი და იმერეთი. ეს ადგილები იყო დაუსახლებელი მცირე ნაწილის გარდა, ააშენა 94-ე მეფე ვახ-

ტანგმა. აქ არ არის ვენახი და ხილი, გარდა მთის ხილისა და მთის სხვა ნაყოფისა; შემკულია ბალახ-ყვავილებით, ტყით და წყაროებით, [აქ] ბინადრობს მრავალი ნადირი, წყალი კალმახით [არის] სავსე. თორის წყალს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან უერთდება ხევები. ამჟამად არის ტყიანი, სადაც თავს იყრის ზაფხულში ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე ტბის-ყურამდე, ვაკე და მშენიერ ადგილას.

ქცია მიედინება ნარიანის შუაში [და არის] კალმახით სავსე [ამბობენ ტბის-ყურის შესახებ, რომ თამარ მეფემ აქცია ტბად, რადგან ჩანს არხის ნაკვალევი, რომელიც ქციამ დააქცია და ახლა უქმად არის].

ეს სასპასპეტო არის შემკობილი მთებით, ბარით, პირუტყვებით [და] ნადირ-ფრინველებით. მოსავალი, რომელიც ავლნერეთ, უხვი მოდის. კაცები და ქალები [არია] მშენიერი, მშვიდნი, მორჩილნი, ხოლო ზოგიერთები – შფოთისმოყვარულნი, ძლიერი მებრძოლები. სამწყსოები [ეკუთვნიან] კათალიკოსს. [აქ] სახლობს ოთხი მთავარი და მრავალი აზნაური. ახლა ვინყებთ სხვას.

### **მესამე სასპასპეტოს აღწერა**

მესამე სასპასპეტო იწყება მცხეთიდან, ხოლო კათალიკოსი რადგან მეფესთან მყოფი არის და ეკუთვნის მეოთხე სასპასპეტოს, ამიტომ მუხრანი, ორი არაგვი, ქსნის-ხევი და მისი მამული სასპასპეტოსია.

[348] მუხრანმა ასეთი სახელი მიიღო მუხებისაგან, რადგან ამ ადგილებში არის ტყე, უმეტესად – მუხნარი. საზღვარი მუხრანისა არის ძეგვის-წყლიდან დიღმის ვინრომდე. ამჟამად აღმოსავლეთით ესაზღვრება არაგვი, სამხრეთით მტკვარი, ჩრდილოეთით ბოდავის ციხე და ტანის მთა, დასავლეთით ოკამის გორა, სამხრეთისაკენ მიმართული ხაზი შავ-ტყისა და წლევისა – კასპის ბოლომდე.

### **მცხეთის აღწერა**

მცხეთა მდებარეობს ორ მდინარეს შორის: სამხრეთით ჩაუდის მტკვარი, აღმოსავლეთით – არაგვი და აქ შეიკრიბებიან. [იგი] ააშენა მცხეთოსმა, ქართლოსის ძემ და უწოდა თავისი სახელი. შემდგომ გახდა დიდი ქალაქი – უწოდებდნენ დედაქალაქს. მერე [მას] გალავანი შემოავლო სპარსელების ერისთავმა არდამმა; მანვე ააშენა ციხე ხიდზე ჩრდილოეთის მხარეს. ასევე, არმაზიდან მტკვრამდე ააშენა გალავანი. აქედან ისწავლეს ქართველებმა ქვითკირის [დამზადება]. ამ ქალაქში

იმყოფებოდა უხუცესი მთელი საქართველოსი და ემორჩილებოდნენ მას. შემდეგ აზონმა გალავანი მოარღვია, პირველმა მეფე ფარნავაზმა კვლავ [ალადგინა] გალავანი და დროდადრო მეფეები [მას] ამაგრებდნენ. მირიანმა თავის ბაღში ააშენა მოციქულთა ხის ეკლესია, სადაც დაფლულია უფლის კვართი, რომელიც ჩამოიტანა ელიოზმა, და ელიას ხალენი. 26-ე მეფე მირდატმა ალაშენა მოჭრილი სვეტის გარშემო ქვითკირის სვეტი და ამიტომ ეწოდა ეკლესიას სვეტიცხოველი, და აღმართა მასზე ჯვარი, რომელსაც სდიოდა სამკურნალო მირონი და ამჟამად უწოდებენ სამირონეს.

ამის ჩრდილოეთით მირიანმავე ააშენა ღვთაება-მაცხოვრის ეკლესია – სამთავრო, ქვითკირისა, გუმბათიანი, დიდებული, სადაც ის დაკრძალეს. იქვე დაკრძალეს აგრეთვე 43-ე მეფე – მირი, გორგასალმა [349] იქ დასვა ეპისკოპოსი და ახლაც ზის [აქ] მთავარეპისკოპოსი, მწყემსი რეხულას ზევით დიდ ღიახვამდე. ვახტანგ გორგასალმა ააშენა მცხეთა ქვითკირითა და დიდებულად შეამკო იგი. მანვე დასვა აქ კათალიკოსი. შემდეგ მინისძვრით დაქცეული [ქალაქი] ააშენა 71-ე მეფე გიორგიმ. შემდეგ დაანგრია თემურ-ლენგმა, ხოლო ისევ ააშენა 76-ე მეფე ალექსანდრემ. [სვეტიცხოველი] არის სიგრძით [ოცდაათი] ადლი და განით [ოცდაათი] ადლი, ძალიან მაღალი. შემდეგ ჩამოვარდა გუმბათი და დააშენა 89-ე მეფე როსტომმა, 94-ე მეფე ვახტანგმა სამირონეს კარი შეამკო ოქროთი, მინით და ვერცხლით და [იატაკი] ზეზით<sup>285</sup> მოფინა. [აქ] დასაფლავებულნი არიან მეფეები გორგასალი, დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, ლუარსაბ დიდი, სვიმონ და გიორგი (ახლაც ასაფლავებენ, მაგრამ შეუფერებელი არის).

აქვე 31-ე მეფე არჩილმა აღმოსავლეთით, არაგვის კარზე ააშენა სტეფანწმინდის ეკლესია. აქბევრი ეკლესია ყოფილა. მაგრამ [ამჟამად] დანგრეული არიან. შემორჩენილია დიდი შენობები, დიდი სასახლეები, მაგრამ ახლა აღარ არის ქალაქი, არამედ – დაბა, რადგან [მურვან] ყრუს [შემოსევის] შედეგად [იგი] მოოხრდა (ამბობენ, აღარ ალადგინეს ქალაქი მაჰმადიანთა ძალადობის გამო, რათა მათ არ დაეპყროთ და არ შეეგინებინათ სინმინდეები). ზამთარი [აქ] არის ცივი [და] ქარიანი, ზაფხული – ცხელი, შეზავებული ჰავით, მთებს შორის [მდებარეობის] გამო, რადგან აღმოსავლეთით არის ჯვარ-ზედაზნის მთა, დასავლეთით – სარკინეთის მთა, ხოლო სამხრეთით – ქართლისა და კარსანის მთა.

### [350] მუხრანის აღწერა

სარკინეთი არის მცხეთის დასავლეთით, სადაც თურქებმა ააშენეს ძლიერი ქალაქი, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის მოსვლისას გახვრიტეს ეს მთა სახლტბის [მიმართულებით] და გაიქცნენ კავკასიისაკენ. [ეს ხვრელი] შემდეგ ალექსანდრემ დაანგრია. აქ არის მრავალი გამოქვაბული, გამოკვეთილი კლდეში. ეს კლდე [გეგონება] ქვითკირით ნაშენები. აქ არის დიდი [და] გუმბათიანი მონასტერი და მასში ორმო, რომელშიც ცხოვრობდა წმინდა შიო – 13 მამათაგანი. აქ ახლა ზის არქიმანდრიტი. მღვიმეში არის წმიდა შიოს საფლავი – სასწაულმოქმედი, რომლის არე-მარეში ვერ ბედავს ნადირი მონასტრის პირუტყვის შეჭმას. აქ არის კიდევ დიდი ეკლესია, უგუმბათო, კარგად ნაშენები. ამბობენ, რომ ძველად ამ ადგილებში ცხოვრობდა 5000 მონაზონი. ეს მთა არის ტყიანი, ღელე-ხრამიანი, უწყლო [და] ყოველგვარ ნადირიანი, გარდა ირმისა. მტკვრის სამხრეთი მხარე უმოსავლოა, ხოლო ჩრდილოეთი მხარე – მოსავლიანი, ვენახ-ხილიანი. ეს მთა იწყება მცხეთიდან და გრძელდება გორამდე, [უფრო ზუსტად] ალამდე.

მცხეთას კვეთს არაგვი, მოებმის ზედაზნის მთა და მიდის ქისიყამდე. ხოლო მდინარე არაგვი ყოფს ქართლსა და კახეთს. ამ მდინარეს ეწოდა ეს სახელი თავისთავად, რადგან მოედინება ჩქარა, მოგვის და იმღვრევა შავად: „ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ ხევთა?“, თუმცა მდინარე არის ურგები, თევზი [351] არ არის, გარდა ორაგულის, ისიც დროდადრო. გამოედინება მალრან-დვალეთის ქნოლოს კავკასიის მთიდან და ციკარიდან მოედინება აღმოსავლეთ-სამხრეთის შუა, გუდამაყრის ხევამდე, ხოლო აქედან სამხრეთით – მტკვრამდე. იქით და აქეთ [ნაპირზე] ჯღარდლოვანი<sup>286</sup> [და] ეკლოვანი ქალებია – ნადირით, გარეული ღორებით და ხოხობით სავსე.

მცხეთის ჩრდილოეთით არის ბელტის ციხე, [რომელიც] ააშენა არდამ ერისთავმა. ამის ჩრდილოეთით არის ღართის-კარი – ხევი ღრმა და მშრალი. მის ჩრდილოეთით არის ნარეკვავის მდინარე, რომელიც გამოედინება ალევის მთიდან და მიედინება სამხრეთისაკენ ტყვილიანამდე, შემდეგ – აღმოსავლეთით, გამოივლის მუხრანს და უერთდება არაგვს დასავლეთიდან. არაგვის დასავლეთით, ნარეკვავზე არის ნარეკვავისავე ქალა, სავსე ნადირითა და ხოხბებით. მდინარის [ნაპირები] უყანამდე არის ვენახითა და ხილით ნაყოფიერი. ხოლო ნარეკვავის ჩრდილოეთით, არაგვის პირას არის საფურცლე და საფურ-

ცლის ჩრდილოეთით, მთის ძირას – მისაქციელი. ამის დასავლეთით, მთის ძირას, ნილკანში არის ღვთისმშობლის გუმბათიანი და მშვენიერი ეკლესია, [რომელიც] ააშენა მეფე ბაქარმა. [აქ] ზის ეპისკოპოსი – მწყემსი მუხრანისა, ორივე არაგვისა და ბაზალეთისა. ტყვილიანიდან ისო ნილკენლმა, 13 მამათაგანმა, წამოიყვანა ყავარჯნის თრევით რუ, რომელსაც შრომის გარეშე მოსდევდა წყალი და მოიყვანა ნილკანში და მოედინება დღემდე. დაკრძალულია წმინდა ისო აქ, ხოლო მინდორი ირწყვება მისი [გამოყვანილი] რუთი და ძალიან ნაყოფიერია. ტყვილიანის ჩრდილოეთით, საბურდიანოში არის მჭადის-ჯვრის გუმბათიანი მონასტერი, ხოლო ამჟამად – უქმი. ნარეკვავის შესართავის დასავლეთით, სარკინეთის მთის ჩრდილოეთი კალთა ქანდა-ციხის ძირამდე არის ვენახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი. ციხისძირს ჩამოუდის ქსანი. ოძისამდე [მდინარე] არის მუხრანის, [ხოლო] ოძისის ჩრდილოეთი გვერდი – [352] ქნის-ხევისა. ციხის-ძირის სამხრეთით არის მტკვრის ციხე, სარკინეთისავე მთაზე, რომელიც ააშენა 79-ე მეფის კოსტანტინეს ძემ – ბაგრატმა. ამ ციხის სამხრეთით, მტკვრამდე და ნასპარსევამდე არის ნასპარსევის მინდვრად წოდებული [ადგილი]. როდესაც თურქთა მოსვლის დროს [აქ] დასახლდნენ სპარსელები, რომლებიც ამოწყვიტა ალექსანდრე დიდმა, ამის გამო დაერქვა ეს სახელი. [ადგილი] არის უნაყოფო უწყლობით, მაგრამ ზამთარში – ბალახიანი და [აქ] საზრდოობს ცხვართა და ჯოგთა სიმრავლე.

მდინარე ქსანი ერთვის მტკვარს ჩრდილოეთიდან, ციხის ქვევით. ციხის-ძირს ზევით ქსანს აღმოსავლეთიდან ერთვის შიოს-უბნის წყაროს-წყალი. შიოს-უბანში არის სასახლეთა დიდი შენობები. [აქ] ოსმალებმა ციხე ააშენეს ქრისტეს [აქეთ] 1730-ს. ახლა არის სახიზარი. ამის ჩრდილოეთით [არის] ქსორისი. აქ არის გაყვანილი არხი, რომელიც რწყავს ამ ორ მთას შორის [არსებულ] მინდორს – სარკინეთისა და ციხე-ბოდავის მთებს შორის, და ამიტომ ძალიან ნაყოფიერია. მის ზევით [არის] ოძისი, ხოლო ქსნის დასავლეთით – ირტო-თეზ-ოკამისა და ჩანგილარ-ბეგთათავის მინდორი ირწყვება ქსნისავე არხით და ნაყოფიერია. ციხის-ძირის დასავლეთით, ქსნის იქით, იწყება თხოთის მთა, რომელზეც მეფე მირიანი ქრისტიანობაზე მოექცა. ახლაც არის აქ ჯვარის ნიშანი, რომელიც აღმართა წმინდა ნინომ [და რომელიც იყო] სვეტიცხლისაგან გამოკვეთილი. ამ მთას ებმის წლევის მთა, [რომელიც] წაგრძელებულია გორამდე. ამ მთების სამხრეთით ქსნიდან მტკვრამდე

და კასპამდე არის ალაიანის მინდორი – უწყლო და უნაყოფო, მაგრამ ბალახიანი და ზამთარში ასაზრდოებს ცხვრებს და ჯოგებს. მდინარე ქსანმა ეს სახელი მიიღო, რადგან ეს მდინარე არის სხვა მდინარეების ერთი კსანი.<sup>287</sup> მდინარე სარგებლიანია და თევზიანი. მუხრანი ძალიან შემკულია სითბოთი ზამთარში, [ის არის] მეფეთა სადგომი, ბალახჩალიან-ლერწოვანი, ზაფხულში – მშვენიერი, კარგ-აგარაკოვანი, ცივი წყაროებით, ჰავით მშვენიერი. ბაღჩა-ბაღების, ვენახისა და თესლმარცვლოვანთა მოსავალი უხვია და ნაყოფიერი. პირუტყვი, აქლემის გარდა, ყოველგვარია და მრავალი, რადგან ზამთარშიც ბალახს ძოვენ. ფრინველები მრავლადაა როგორც [353] შინაური, ასევე გარეული, სანადირო [ადგილები] – დაუღეველი. [აქ] სახლობენ გვაროვანი აზნაურები, კაცები – მამაცი და მებრძოლი, მაგრამ ქურდნი. პირველად იყო მეფეთა სადგომი, ახლა ბაგრატის შემდეგ უჭირავს მუხრანბატონს, მასვე აქვს არაგვ-ქსნის სასპასპეტო დროშა.

### **არაგვის პირისა და ბაზალეთის აღწერა**

არაგვის პირას არის ოხერ-ხიდა, რომელსაც პირველად ეწოდა ხიდარი, სადაც ვარზა-ბაქარმა ააშენა ციხე და უკან დაიხია კახეთის ხევიდან არაგვის პირას. მისაქციელიდან და ოხერ-ხიდიდან ანანურამდე არის ვენახოვანი, ხილიანი. ოხერ-ხიდას ჩრდილოეთით არის ბოდორნას გამოქვაბულები, გამოკვეთილი [კლდეში] და ციხე ძლიერი. ამის ჩრდილოეთით [არის] ურია, ვაჭარი მოსახლეობით. მის ჩრდილოეთით არის ზანდუკლის ხევი, მის ზევით ვეძათხევის ხევი. ამ ხევისა და არაგვის ნაპირას არის ანანური. ძველად იყო მცირე ეკლესია, მაგრამ ქრისტეს [აქეთ] 1704 წელს გიორგი ერისთავმა ააშენა დიდი, გუმბათიანი ეკლესია, გარს შემოავლო ქვითკირის გალავანი და მაღალ კლდეზე ააშენა კოშკი და ციხე. მას ეგონა, [რომ ააშენა] თავისთვის და თავისი შთამომავლობისათვის სიმაგრე, არამედ [იგი] ექცა საფრთხედ და მისი ძეებისა და ნათესავების მოსპობის მიზეზად. ვეძათხევის დასავლეთით მთაზე არის საფერშეთი და ალევი. ალევი არის მაღალი მთა, თავზე – უტყეო, ხოლო კალთებტყიანი. იგი გრძელდება სამხრეთით ოძისამდე და ჩრდილოეთისაკენ – ლომისამდე. ეს მთა [ერთმანეთისაგან] ჰყოფს ქსნის-ხევსა და ბაზალეთს. ალევის მთის წვერზე არის უგუმბათო ეკლესია, საიდანაც შეიძლება ქართლ-კახეთის დანახვა. [ეკლესიაში] არის ოქროსა და ვერცხლის ხატებისა და ჯვარების სიმრავლე

და ეკლესიის საჭირო ნივთები დიდი ოდენობით. კარები ოქროსია, რომელიც გაუკეთებიათ სპარსელებს [მაშინ], [354] როდესაც აქედან ხატი წაუღიათ და ნანახი სასწაულის გამო გაუკეთებიათ ოქროს კარები, დაუდგამთ ხარბშებმულ ურმებზე და მოუტანიათ აქ. ამ მთიდან მოედინება ნარეკვავი.

ამ ხეობას ბენის-ჭილუტამდე ეწოდება გრემის ხევი. [აქ] არ არის ვენახი და ხილი, [სხვა მხრივ] მოსავლიანია. ამ სიმრგვალეში არის ბაზალეთი, რომელიც მას ეწოდა დაბის გამო. ბაზალეთს აღმოსავლეთით საზღვრავს არაგვი, სამხრეთით – ბოდავის ციხე და ტანის მთა, დასავლეთით – გრემის ხევი და ალევის მთა, ჩრდილოეთით – ჭართალის მთა. აქ არის ბაზალეთის ტბა, რომელიც დუშეთის წინ მდებარეობს. [ტბა] არის უსარგებლო და უთევზო, ხოლო წურბელი – მრავალი. აქ მრავალი ფრინველი ჯდება. ტბის გარშემო, მუხრანის მხარეს, არაგვისაკენ – გრემის მხარეს და ანანურის მხარეს, არის სოფლები ვენახოვანი, ხილიანი და მოსავლიანი, ხოლო უწყლობით არა მრავალნაყოფიერი. დაბებში არის მცირე წყაროები. ჰავა მშვენიერი და კარგია, კაცები – მებრძოლნი, ქურდები, ავაზაკები და ღვთის არა მოშიშნი. წილკნის მთის ზევით ანანურამდე უმეტესად ტყიანი, ღელებიან-ხრამიანი, ხოლო ანანურის ზევით, არაგვს ერთვის დასავლეთიდან ჭართალის ხევი. მის ჩრდილოეთით არის მთიულთ-კარი – სიმაგრე მტკიცე; მის ზევით [არის] მეფეთა ნასახლევი და ხანდოს-ხევი, რომელიც გამოდის ლომისის მთიდან [და] ერთვის არაგვს დასავლეთიდან.

### **გუდამაყრის აღწერა**

[ხანდოს-ხევის] ზევით არაგვს ჩრდილოეთიდან ერთვის გუდამაყრის ხევი, რომელიც გამოდის კავკასიდან გუდამაყარს, ხევსა და ძურძუკს შორის.

გუდამაყრის ხეობა არის მტკიცე, მოსავალი აქ ისეთივეა, როგორც მთის სხვა ადგილებში და [კიდევ] უფრო მწირი. კაცები და ქალები მთიულთა მსგავსია, [ისინი კარგი] ხელოსნები არიან, აკეთებენ მშვილდებს, ნაკეთობებს – ჯიხვის, თხისა და ხარის რქებისაგან.

### **[355] მთიულეთის აღწერა**

გუდამაყრის-ხევის შესართავის ზევით, დასავლეთსა და ჩრდილოეთს შუა არის მთიულეთი. მთიულეთს და ქსნის-ხევს ჰყოფს ცხრაზმი-

სა და ხანდოს ლომისის მთა; გუდამაყრის ხევის ზევით, სამხრეთიდან არაგვს ერთვის ამირთ-ხევი; ასევე სამხრეთიდანვე ერთვის ჩოხელთ-ხევი. ამის ზევით, ცეცხლის-ჯვარიდან ერთვის არაგვს ცეცხლის-ჯვარიდან ხარხელთ-ხევი. მის ზევით არის ნალვარევი, [სადაც არის] მეფეთა ნასახლარის დიდი შენობა. მის ზევით არაგვს ერთვის ლუდოს-ხევი. ამის ზევით არის ყოვლადწმიდა [ღვთისმშობლის] მონასტერი, [რომელიც] ახლა უქმია. ეს ხევეები გამოდიან ლომისის მთიდან. მონასტრის სამხრეთით, მთის თავზე არის წმიდა გიორგის ეკლესია, ლომისად წოდებული [და ამის გამო ეწოდა ამ მთას ეს სახელი]. [ეკლესია] უგუმბათოა, მასში მრავალი ოქრო-ვერცხლის ხატი და ჯვარი არის გახიზნული. სამხრეთით [ის] უყურებს ქსანს, ჩრდილოეთით მთიულეთს. ეს მთა უტყეოა და ბალახ-ყვავილოვანი, [მთის] კალთები ტყიანია, ლუდოს-ხევის ჩრდილოეთით, არაგვს გაღმა, არის სოფელი ხადა, [აშენებული] მაღალ კლდეზე და გალავანშემოვლებული კლდითვე. მის ჩრდილოეთით არის ციკარა, ადგილი კლდიანი, გარშემო 60 კოშკიანი. აქ არის მცირე ეკლესია. ციკარას დასავლეთით გზა გადადის ხევში. ციკარას აღმოსავლეთით არის დიდი შენობა – მეფეთა ნასახლარი. მის ქვევით ციკარას წყალი ორად იყოფა და ერთვის არაგვს ხარხელის ზევით და ქვევით ჩრდილოეთიდან.

ჩრდილოეთიდან წამომართული კავკასი ჰყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ხევისაგან. მთიულეთი შემორტყმულია მთებით. ამიტომ [იგი] მტკიცე და შეუვალი არის. ადგილები უფენახო, უხილო და მცირე [356] მოსავლიანია. ბარიდან შემოაქვთ ტკბილი, ასხამენ აქა და ლომისაში დგება კარგი ღვინო, თეთრი და ტკბილი. აქ არ არის აქლემი, კამბეჩი და ვირი. აქ არის ცხვარი – უდუმო-კუდიანი, ძროხა და ცხენიც ცოტაა სივინროვის გამო. ჰავა არის ძალიან კარგი და მშვენიერი, წყარო-წყლიანი და [გარემო] მწვანე. წყალში ბევრია კალმახი; [აქ] ხორცი, თევზი და ფრინველი გემრიელია, პური ნოყიერი, ასევეა ქრთილიც. კაცები [არაიან] ჰაეროვანნი, მამაცნი და მებრძოლნი, ერთგულნი, ბრიყვ-უსაქციელონი, იარაღის მოყვარულნი, სამოსლით და იარაღით კობტა. ქალებიც მშვენიერნი, მაგარამ ულაზათოდ ჩაცმულნი. აქ არის ქვა, რომელიც კლდისაგან ფიქალ-ფიქალ იჭრება და ქვას სიბრტყეზე აყრია მუნუკების მსგავსი, როგორც ოქრო და ვერცხლი, ან ნარევი, რომელიც ძლიერ ბრწყინავს. ასეთი ქვით აშენებენ გალავნებს გარშემო და არის ეს ძვირფასეულობა მათში.

## ხევის აღწერა

მთიულეთის ჩრდილოეთით არის ხევი.ხევში გზა გადადის ხადის დასავლეთიდან კავკასზე. ხევი არის დაბალი და უტყეო. ზამთარში მასზე ვერ დადის ცხენი თოვლის სიდიდის გამო. ზაფხულში [ის] არის ბალახიანი და ყვავილიანი. მას უწოდებენ ყელს. ხევის მდინარეს ჩრთილოეთიდან ერთვის ხევი, რომელსაც უწოდებენ შთასავალს. აქ არის თეთრი წყარო, როგორც თოვლი, და [აქ] ყრია მრავლად ბროლი, გათლილის მსგავსი, რომელიც ცვივა კლდიდან. აქ მოიპოვება ბროლი, და რომელიც ჩანს ნითლად და თუ გატეხავ, შიგნით არის წითელი ბროლი. ხევის მდინარეს ეწოდება არაგვივე ჩერქეზეთამდე და აქ ლომეკის-მდინარე ძველთაგანვე, ხოლო ამჟამად უწოდებენ თერგს, [რომელიც] გამოდის ქურთაულის, ზახისა და მალრან-დვალეთის შუა აღმოსავლეთიდან, კავკასის მხრიდან და მიედინება აღმოსავლეთისაკენ ჩასავალამდე. [357] ჩასავალის ზევით არის თრუსო – სამ ხევად. აღმოსავლეთით [მას] აქვს ხევი, დასავლეთით ზახა და მალრან-დვალეთი, სამხრეთით – მთიულეთი, ჩრდილოეთით – ქურთაული და შემორტყმულია კავკასით, გარდა ხევის მხარისა. სახლობენ ოსები [და] დვალეები. ჩასავალის ქვევით უხვევს არაგვი და მიედინება ჩრდილოეთით ქისტის-წყალმდე და მიედინება ძლიან სწრაფად. ასეთი დინების გამო ამ მდინარეში არ არის თევზი, გარდა კალმახისა. ეს ხეობა არის შემორტყმული კავკასით, რადგან დასავლეთით არის მყინვარი, მთელი კავკასის უმაღლესი [მთა] და მუდამ ყინულიანი, კვერცხის ფორმისა. ეს მთა ჰყოფს თაგაურს, ჩიმს და ხევს. აღმოსავლეთით ძევს ისევ კავკასი, ისიც მარად თოვლიანია, ეს მთა ყოფს ქისტეთს, ძურძუქს და ხევს. სამხრეთით ესაზღვრება ისევ კავკასი და ყოფს გუდამაყარს, მთიულეთს და ხევს.

ჩასავალის ქვევით, ჩრდილოეთ მხარეს, არაგვის დასავლეთით არის არშის ციხე, კაცის ხელის გარეშე აშენებული მაღალ კლდეზე, შემორტყმული კლდითავე მყინვარის კალთაზე და კაცთაგან შეუვალი.

აღმოსავლეთიდან, არშას ქვევით არაგვს ერთვის აჩხოტის ხევი. აქ არის ლუდუშაურის ციხე, მცირე, არამედ ძალიან მტკიცე. ამ ხევიდან გადადის გზა გუდამაყარში. მის ჩრდილოეთით არის სტეფანწმინდა, კარგი სოფელი. მის დასავლეთით, არაგვის იქითა ნაპირას არის გერგეთი. მის ზევით, მყინვარის კალთაზე არის სამების მონასტერი, გუმბათიანი. [ის] იყო მცხეთის სამკაულის სახიზარი, სადაც ესვენა ნინოს ჯვარი. [მონასტერი] აშენებულია მშვენივრად და მშვენიერ ადგილას.

მყინვარის ძალიან მაღალ კლდეში არის გამოკვეთილი გამოქვაბულები, რომელსაც უწოდებენ ბეთლემს, მაგრამ ძნელი ასასვლელი აქვს, რადგან გამოქვაბულიდან გადმოკიდებულია რკინის ჯაჭვი და იმით ადიან. ამბობენ, რომ იქ უნდა იყოს უფლის აკვანი და აბრაჰამის კარავი, [357] რომელიც დგას სვეტებისა და თოკების გარეშე და კიდევ სხვასაც საკვირველს, მაგრამ მე გავჩუმდები.

[ბეთლემის] ძირში არის კლდეში გამოკვეთილი მონასტერი უდაბნოდ, ახლაც ცარიელი. გერგეთის ქვევით, ჩრდილოეთისაკენ დასავლეთიდან ერთვის გელათის ხევი, ძველად ასე წოდებული სოფლის სახელის [მიხედვით], ხოლო ამჟამად უწოდებენ გველეთს.

გველეთის ქვევით არაგვის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ერთვის არაგვისავე ხევი, რომელიც გამოდის გუდამაყრისა და ძურძუკის კავკასიდან, მოდის ჩრდილო-დასავლეთს შუა და არის დაუსახლებელი. ამ ხევიდან ძნელი და სახიფათო გზა გადადის ძურძუკში და ქისტეთში, ასევე გადადის გზა გუდამაყარშიც. ამ ხევის ქვევით, [სადაც] ხევი ვინროვდება კლდეებით, არაგვის აღმოსავლეთით, ნაპირზე არის დავითის ციხე, აღმაშენებლის აშენებული. მის ქვევით, არაგვის აღმოსავლეთით, ნაპირას [არის] დარიელა, მესამე მეფე მირვანის მიერ [აშენებული]. [მან] შეაბა კარი და შექმნა აქ სიმაგრე ხაზარებისა და ოსებისაგან [დასაცავად], რათა ამის ქვევით ველარ შემოსულიყვნენ (ეს სახელი არის „მომრევი“). ამის ქვევით [არის] მეფეთა ნასახლარი: როდესაც ოსეთზე გაილაშქრებდნენ, აქ ჩერდებოდნენ.

ხევის ხეობა არის მოსავლიანი ხორბლით, ქრთილით, სელით [და] შვრიით შთასავლიდან გველეთამდე. აქ არ არის ხილი, გარდა მთის ხილისა. არის კონახური, მოცხარი, კლდის მერსენი<sup>288</sup> და სხვა ბალახოვანი ხილიც. ქალებში არის ვარდი მრავალფურცლოვანი და წითელი და მთის სხვა მრავალი ყვავილი. პირუტყვი მრავალი – რაც ეტევა. აქ ცხვარი უდუმო არის, ჯიხვი და არჩვი [ჯოგ-ჯოგებად] და მრავალი. ფრინველთაგან: შურთხი, გნოლი, და ზაფხულში – ურიცხვი მწყერი. ამბობენ, რომ არის ოქროს და ვერცხლის ლითონები. არ არის აქ ტყე – ეზიდებიან გველეთის ქვემოდან; ჰავა – კარგი და მშვენიერი. კაცები არიან მებრძოლნი, [359] ძლიერნი, მამაცნი, მშვენიერნი, როგორც მთიულნი, მაგრამ ესენი ყველაზე უმჯობესნი არიან. სარწმუნოებით ქართველებთან ერთად არიან, მაგრამ – მისი უმეცარნი.

## ქსნის-ხევისა და მისი მამულის აღწერა

მდინარე ქსანი მოემართება ოძის ზევით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლეთით, ხოლო გამოდის ქნოლოდან, უმურის კავკასიის შუაში. [ის] აღმოსავლეთისაკენ მიედინება ქარჩოხამდე, ქარჩოხის ქვევით, სამხრეთით, გაივლის მუხრანს და უერთდება მტკვარს. ოძის ზევით არის მონასტერი ხოფა, უგუმბათო, დიდი, კარგად ნაშენები, ახლა – ცარიელი. მის ჩრდილოეთით არის მცირე ქალაქი – ახალგორი. მოსახლეობა [აქ] სომხურია, ხოლო სასახლე – ქსნის ერისთავისა. მის ზევით, ქსნის დასავლეთ ნაპირას არის სოფელი ნირქვალის-ციხე. ამის სამხრეთით, ბოლსა და ახალდაბას შორის არის ახალდაბის ციხე – ამილახორისა. ნირქვალს ზევით, ჩრდილოეთით ყანჩიეთში, არის მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, კარგად ნაშენები, მშენიერ ადგილას, ამჟამად – ხუცესის ამარა. ყანჩიეთის ჩრდილოეთით, ზებეყურის მთის ძირში არის ხადის ციხე – მტკიცე. ზებეყურის მთის თავი უტყყოა, ხოლო კალთები – ტყიანი. ეს მთა ცხვირივით არის ჩამოგრძელებული ქსანში დასავლეთიდან და ალევის მთის ცხვირი – აღმოსავლეთიდან, [ამიტომ] ავინროებს კლდეებით ქსანს. ამ კლდის ქვევით მტკვრამდე ქსანი არის ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, როგორც სხვათა [შესახებ] აღწერეთ, ხოლო ამ კლდის ზევით [არის] ვინრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი მოსავლითა და ტყიან-კლდიანობით [ისეთი], როგორც სხვა მთის ადგილები.

ამავე კლდის ჩრდილოეთით, საძეგურში ქსანს აღმოსავლეთიდან ერთვის ხევი, [რომელიც] ალევის მთიდან გამოდის. საძეგურის ჩრდილოეთით არის მონასტერი ლარგვისი – ნმინდა თეოდორესი. [მას] აღმოსავლეთით ჩამოუდის ქსანი, [ხოლო] სამხრეთით ჭურთის წყალი. [მონასტერი] უგუმბათოა, შემკული ყოველნაირად, ახლა – ხუცესის ამარა. აქ ააშენა შანშემ [360] ციხე, მაგრამ თავისთვის უსარგებლიდ. მის ჩრდილოეთით აღმოსავლეთიდან ქსანს ერთვის ცხრაზმის-ხევი, [რომელიც] გამოდის ლომისიდან. ეს ადგილი მოსავლიანია მთის ადგილების [პირობაზე], ამ ხევის ზევით, ჩრდილოეთისაკენ, ქსნის ნაპირზე, ლომისიდან ჩამოზიდულ კლდეზე არის ქარჩოხის ციხე. [მას] სამხრეთით ჩაუდის ქსანი და აღმოსავლეთით – ხევი ლომისის, მთიდან გამომდინარე. აქედან გზა ადის ლომისის ეკლესიასთან და ჩადის მთიულეთში. ქარჩოხის დასავლეთით არის ჟამური. ამჟამად [აქ] სახლობენ ოსები. ჟამურის შუაში არის ბერციხედ ნოდებული ციხე, რომელიც ქსანზე და კლდეზე დგას.

მთიულეთსა და ამის შუა არის მთა – მუდამ თოვლიანი, უტყეო, კალთებზე მცირე არყნალით. ჟამურის მხარეს ამ მთაზე არის ჩარიგებული მრავალი მაღალი, კარგად ნაშენები კოშკი. მოსავალი აქაც ისეთია, როგორც მთის სხვა ადგილებში. ცხვარი აქაც – უდუმო, [ხოლო] პირუტყვი არც თუ მრავალი.

ჟამურის სამხრეთით არის მთა, [რომელიც] ჰყოფს ჭურთსა და ჟამურს, თავზე – უტყეო, ხოლო კალთები – ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამხრეთით არის ჭურთის ხევი, რომლის წყალი გამოდის ამ მთიდან და, სადაც ამ წყალს ერთვის ცხრანყაროს-წყალი, იქ, ამ ორ წყალს შუა, არის ციხე წინკიბე, ძალიან მტკიცე. ორივე ამ ხევეს უწოდებენ ჭურთას, რომელიც მიდის აღმოსავლეთისაკენ და უერთდება ქსანს მონასტერთან. აქაური მოსახლეობა, [ისე როგორც] ქსნის ხევისა და ცხრაზმისა, არიან სარწმუნოებით ქართველები. ჭურთაში მოსავალი ისეთივეა, როგორც მთის სხვა ადგილებში. ამ სამი ხეობის კაცები და ქალები ისეთნი არიან, როგორც დავწერეთ მთიულთა [შესახებ], მათი მსგავსნი, ოღონდ ისინი ყველაფრით უკეთესები არიან, ხოლო ესენი – ქურდები, მძარცველნი [და] უსირცხვილონი.

### **[361] ქოლოთქვითკირის აღწერა**

ცხრანყაროს სამხრეთით არის მთა, ქსნიდან ისროლის ხევის მთამდე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ [გაგრძელებული]. [მთა] თავზე უტყეოა, ხოლო კალთები – ტყიანი. ამ მთიდან სამხრეთით გამოდის რეხულა. აქ არის მცირე ციხე, ხოლო ციხის ქვევით – ქოლოთქვითკირი. ესეც არის მთის ადგილების [მსგავსი] ზახორამდე.

### **ისროლის-ხევის აღწერა**

ჭურთის, ცხრანყაროსა და ქოლოთქვითკირის დასავლეთით არის ისროლის-ხევი. ბიყარის-ხევის ზევით არის ქსნის მამული. ეს მდინარე არის მეჯვდა, [რომელიც] გამოდის ჟამურის მთიდან, მიდის სამხრეთით სოფელ მეჯვდამდე. ჟამურის მთის კალთაზე არის აშატურთ-კარი და ციხე. ამ ხეობას, ქოლოთქვითკირსა და ჟამურს ყოფს ხარაულის მთა, [რომელიც მიმართულია] ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. [არის ის] ტყიანი და ნადირიანი. მეჯვდას დასავლეთიდან, აშატურთ-კარის ქვემოთ ერთვის მერის-ხევი, [რომელიც] გამოდის ბენდერის მთიდან. ამ ხევის სამხრეთით, მახასიდან ორბოძლის მთამდე წამოზიდულია მთა

ტყიანი და ნადირიანი. ორბოძალი არის თავზე უტყეო, ხოლო კალთებით ტყიანი [და] ნადირიანი. ორბოძალზე არის ბალახი, რომელსაც თუ არა იქაური ცხენი მოძოვს, იმ წამსვე მოკლავს, ასევე, მისი თივაც კლავს. ასეთი ბალახი ამ მთებზე ყველგან ბევრია. ორბოძალი გრძელდება ბენდერის მთამდე. მერეს-ხევის ქვევით მეჯვდას აღმოსავლეთიდან ერთვის ბიყრის-ხევი, რომელიც გამოდის უსანეთიდან. ბიყარის ზევით არის ისროლის-ხევი – ვინრო, ტყიანი და მწირი, როგორც ამ მხრის სხვა მთების ადგილები. ორბოძლის მთის სამხრეთით, [362] მთის კალთაში, იკორთაში არის დიდი, გუმბათიანი მონასტერი, კარგად ნაშენები, კარგ ადგილას. [აქ] ზის არქიმანდრიტი.

### **გვერდის ძირის აღწერა**

[ორბოძლის] მთის სამხრეთ მხარეს, ჯარაშნიდან ვანათამდე, უწოდებენ გვერდის-ძირს. ეს ადგილი არის ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი. ბრინჯ-ბამბის გარდა აქ ყველაფერ ხარობს ნაყოფიერად, როგორც [ეს] დავენერეთ ქართლის [შესახებ], მაგრამ აქაური ღვინო თხელი და მომჟაოა, თუმცა სასმელად – სასიამოვნო.

### **პატარა ლიახვის ხეობის აღწერა**

ისროლის-ხევისა და ჟამურის დასავლეთით არის პატარა ლიახვის ხეობა. მათ ჰყოფს ბენდერის, წიფორისა და ქნოლოს მთები. ეს მთები მდებარეობენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ კავკასამდე. ამ მთებს ესაზღვრება აღმოსავლეთით: ისროლის-ხევი, ქურთა და ჟამური; დასავლეთით – პატარა-ლიახვი. პატარა ლიახვი გამოდის ქნოლოს ზევით, მცირე ტბიდან და მოდის სამხრეთისაკენ ფოტირისამდე, შემდეგ საცხენის ქვემოთამდე დასავლეთისაკენ, ხოლო შემდეგ – სამხრეთისაკენ. ვანათში ლიახვს დასავლეთიდან ერთვის გერის ხევი. [ის] გამოდის მშხლების მთიდან და მიედინება სამხრეთისაკენ. აქ სახლობენ ოსები. [მას] ვანათითურთ უწოდებენ სავახტანგოს. ვანათის, საცხენისისა და ბელოთის ზევით [პატარა ლიახვს] ერთვის ფოტირისის-ხევი, ღრმა და კლდიანი, ძნელად გასავლელი. [იგი] გამოდის გერისა და შუაცხვირის მთებიდან. შუაცხვირში ცხოვრობენ ოსები. ამ ფოტირისის-ხევის ზევით არის აწერის-ხევი. აქ ააშენა შანშემ თავისთვის ციხე-სიმაგრე, მაგრამ ექცა გალიად, რადგან გამოიყვანეს მისი ცოლი და დედანული იქიდან. მის ზევით, აღმოსავლეთიდან უერთდება ლიახვს შამბიანის-ხევი. [363]

[იგი] გამოდის ჟამურის მთიდან და მიედინება დასავლეთისაკენ. ამ ხევის ზევით ლიახვს ერთვის ჩაბახურეთის ხევი. [იგი] გამოდის გერის მთიდან, მოედინება აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთიდან ერთვის ლიახვს. ლიახვის შესართავში, ორივე წყალს შუა, არის ბეყჩოს ციხე. ამ ციხის ზევით არის ქნოლო, [გაყოფილი] სამ ხეობად: აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთისა და ჩრდილოეთის შუიდან. ქნოლოს ტბა არის მცირე, საიდანაც გამოედინება ლიახვი. ამ ტბიდან ვანათამდე ლიახვის ხეობა არის უვენახო, უხილო, როგორც მთის ხევების [შესახებ] დავნერეთ, და ესენი უფრო მწირე – სივინროვის [გამო]. აწერის-ხევის ზევით მთლიანად ოსები ცხოვრობენ.

### **მალრან-დვალეების აღწერა**

ქნოლოს ჩრდილოეთ მხარეს არის მთა – დიდი კავკასი. ამ კავკასის ჩრდილოეთისაკენ არის მალრან-დვალეთი. შემოსაზღვრულია ეს მალრან-დვალეთი: აღმოსავლეთით – კავკასით, მთიულეთისა და მალრან-დვალეთს შუა [ნაწილით]; სამხრეთიდან – კავკასით, ქნოლო-მალრან-დვალეთის სივრცით; ჩრდილოეთით – კავკასით და მთებს შორის ყველაზე დაბალი თურსო-ზახის [მთისა] და მალრან-დვალეთის სივრცით; დასავლეთიდან – კავკასიდან ჩამოზიდული მთით [და] ჭბასა და მალრან-დვალეთის სივრცით. აქ, მალრან-დვალეთში თურსოსა და ზახის კავკასიდან დიდი ლიახვი მიედინება სამხრეთსა და დასავლეთს შუა. მალრან-დვალეთის სამ-ხეობა მოსავლით ისეთივეა, როგორც ამ მხრის მთის ადგილების [შესახებ] დავნერეთ. აქ სახლობენ ოსები. ქსნის მამულები, რომელთა [შესახებ] დავნერეთ, არიან მტკიცე მთით, კლდით და ტყით. მთები შემკულია ყვავილებითა და ბალახებით. კაცები – ჩათვალე, როგორც არაგვისანი, მაგრამ ისინი უმჯობესნი [არიან]. ამ მთების ადგილებში, რომელიც დავნერეთ, მოედინება მომლაშო, ძლიერ ანკარა წყაროები, საჭმლის გადამამუშავებელი და მომწელებელი, სვამენ იქაურები და უწოდებენ ვეძას, რგებს პირუტყვებსაც და ასუქებს [მათ]. ხოლო რამდენი ოსი დავნერეთ ამ ადგილებში, პირველად [მათ ადგილებზე] სახლებულან ქართველი გლეხები. შემდეგ [ამ ადგილების] მეპატრონეებს [364] გადმოუსახლებიათ ოსები, ხოლო ქართველები ბარში ჩამოსულან, რადგან ბარში მოსახლეობა შემცირებულა მტერთა [შემოსევების] შედეგად. ხოლო ამ ოსების ჩვეულების [შესახებ] დავნერეთ თავის ადგილას – ოსეთის აღწერაში.

## მეორე სასპასპეტოს და საამილახვროს აღწერა

ვინცებთ მეორე სასპასპეტოს, შიდა ქართლის მარჯვენა ნაწილის [აღწერას], რომელსაც ახლა ზემო-ქართლი ეწოდება. მისი საზღვრები არის: აღმოსავლეთით, როგორც დაწვრეთ, ხაზი კასპიდან წამოსული ჩრდილოეთისაკენ, რომელიც კვეთს წლევის, შავტყეც და მიდის ქსნის კიდემდე და ბოლამდე; სამხრეთით – მდინარე მტკვარი; ჩრდილოეთით, როგორც აღწვრეთ – ქსნის მამულის საზღვარი და შემდეგ, კავკასი; დასავლეთით – ძირულას გაღმა კოლბეურის მცირე მთა, რომელიც მიჰყვება ჩრდილოეთ მხრის პერანგამდე, იქიდან ერწო-კუდარამდე და იგივე კოლბეურის მთა ხეფინის-ხევისა და ამაშუკეთს შუა მიყვება სამხრეთით ვერტყ-ვილამდე; ვერტყვილიდან ხაზი ჩხერიმელის დაბის გამოქვაბულამდე, ხოლო იქიდან მახვილის მთის გამჭრელი [ხაზი] – დვირამდე და ბაკულიანის მთამდე, ხოლო მუხრანში თხოთის მთიდან მოჰყვება მთა დასავლეთისაკენ, მტკვრის ნაპირას ქალაქ გორამდე და ეწოდება წლევის მთა, შემდეგ – კვერნაქი. ამ მთის ჩრდილოეთი მხარე ტყიანია ზეგანამდე, მის ქვევით კვერნაქი უტყეოა გორამდე და სამხრეთ მხარეს სრულებით უტყეო, მაგრამ ბალახიანი ზამთარშიც და თბილი. [აქ არის] მაღალი კლდეები და [მათში] გამოკვეთილი მრავალი გამოქვაბული. ეს კლდე [გაგრძელებულია] აშურიანამდე ისე, როგორც სარკინეთისა, შემდეგ – თირი. წლევის მთას კვეთს მდინარე რეხულა, ხოლო ქოლოთქვითკირის ქვევით მიედინება ლეხურა სამხრეთისაკენ და ერთვის ჩრდილოეთიდან მტკვარს კასპში. კასპი პირველად ააშენა ქალაქად უფლოსმა, [365] მცხეთოსის ძემ, და იყო ქალაქი [მურვან] ყრუმდე, ხოლო ახლა არის დიდი დაბა. კასპის ზევით, წლევის მთაში, მამებაში არის მონასტერი თათე სტეფანწმიდელისა, 13 მამათაგანის აშენებული. წმინდა თათე დაფლულია იქ. ამბობენ ამის [წმინდა] ნაწილის აღმოსავლას, როგორც წმინდა შიოსას, მაგრამ ახლა დეკანოზის მიზეზით აკრძალულია. ახლა [ის] არის ხუცესის ამარა. მის ზევით არის ციხე, საიდანაც ოსებმა გორგასალის და გამოიყვანეს. ამის ზევით, ხორხებთან, რეხულას ერთვის უსისტყის ხევი, [რომელიც] გამოდის მხურვალეთის მთიდან. ამის ზევით, რეხულას აღმოსავლეთით არის სამთავისი – დიდი, გუმნათიანი ეკლესია, აშენებული დიდებულად. [აქ] ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ქსნისა და ლეხურას ხეობისა. [ის] აშენებულია 13-მამათაგანის ისიდორესგან. [იგი] აქ არის დასაფლავებული. სამთავისის ჩრდილოეთით, ჭალაში [არის] სასახლის დიდი შენობა. ჭალის აღმოსავლეთით

მთის ძირში არის ცხვილოსის ციხე. ეს მთა გრძელდება ჩრდილოეთი-საკენ ზებეყურამდე და დასავლეთით უსენეთამდე. [იგი] არის ტყიანი და ნადირიანი. ქალას ზევით არის დაბა რეხი, რომლის გამო იწოდა [ამ სახელით] ეს მდინარე. ამ რეხის აღმოსავლეთით არის მონასტერი ქუაბისმანი. [აქ] ზის წინამძღვარი. აქამდე რეხის ხეობა არის ხილიან-ვენახიანი და ნაყოფიერი. ამის ზევით ქოლოთქვითკირითურთ – როგორც სხვა მთების ადგილები. რეხის დაბის ზევით რეხულას ერთვის ნოლდის ხევი და ყოფს მას ზემოსხენებული ცხვილოსის მთა. ამ მთის ჩრდილოეთით არის ნოლდი, სამხრეთით ბერშოეთ-კირბალი და სხვანი. ნოლდის ხევი გამოდის უსანეთის მთიდან. უსანეთის მთის თავზე არის წმინდა გიორგის უგუმბათო ეკლესია. ამ მთას ამის გამო ეწოდა ეს სახელი. ამის აღმოსავლეთით, ზემოთ არის ზახორი, ზახორის ზევით – ციხე კაბერი და ამ ციხის ზევით – ქოლოთქვითკირი. ხოლო ქალასა და რეხის დასავლეთისაკენ, მხურვალეთის ზევით, მთაში არის მონასტერი, კარგად აშენებული – ახლა ცარიელი.

[367] ამ მთის მიყოლებით დასავლეთისაკენ მეჯვდამდე და დიდ ლი-ახვამდე და კუერნაქის მთის შორის [მდებარე] დიდი მინდორი უტყეოა, მაგრამ სოფლებში არის ბალები, ნიგვზნარები და ვენახები მრავლად. მინდვირის მეჯვდის აღმოსავლეთით [მდებარე ნაწილი] ირწყვება მეჯვდის არხით. [აქ] მოდის ყოველგვარი მარცვლეულის [მოსავალი], გარდა ბრინჯ-ბამბისა. მთის ძირას სოფლები ასევე ვენახიანი და ხილიანია, არის ყოველგვარ პირუტყვთა სიმრავლე, გარდა აქლემისა. ამ ადგილს ამჟამად უწოდებენ საამილახვროს. კასპის დასავლეთით მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შორის არის აშურიანი, უწყლობის გამო უნაყოფო უფლისციხემდე, არამედ ზამთარში ბალახიანი, [რითაც] საზრდოობს ცხვართა, ცხენთა ჯოგების და პირუტყვთა სიმრავლე და არის თბილი ზამთარი. აშურიანის ზევით არის უფლისციხე – კვერნაქის გადმოკიდებული კლდის გორაზე, მტკვრის ნაპირას, რომელიც პირველად ააშენა უფლოსმა, ქართლოსის ძემ, და იყო ქალაქი ჩინგიზ [ხანამდე] – ახლა დანგრეულია. აშენებულია საკვირველად – კლდეში გამოკვეთილი, დიდი დარბაზები გამოკვეთილია კლდიდანვე, დიდი გვირაბი ჩახვრეტით გაყვანილია მტკვრად; დასავლეთით აქვს მალა-ლი კლდე და მასში გამოკვეთილია მრავალი დიდი გამოქვაბული, მაგარამ ამჟამად [მათში] შესვლა შეუძლებელია. მათში არის ფუტკარი. [აქედან] გამოსულს ეჩვენება სპა-ლამქარნი, შუბოსან-მშვილდოსანნი,

ცხენოსანნი სალაშქროდ მიმავალი, [რასაც] მიიჩნევენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს.

### **ქალაქ გორის აღწერა**

[უფლისციხის] დასავლეთით არის ქალაქი გორი. მან სახელი მიიღო დიდი გორისაგან, რომელიც ამოზიდულია აქ, მდინარე ლიახვის ნაპირას. ამ გორას აღმოსავლეთით ესაზღვრება კუერნაქი, ჩრდილოეთით – რუისის მთა, ლიახვის დასავლეთით, რომელიც ასევე კუერნაქად იწოდებოდა; სამსრეთით – ბურეთისა და გორიჯვრის მთები. ამ მთის [367] ძირში, გორსა და მთას შუა მოედინება მდინარე მტკვარი. ქალაქ გორის დასავლეთით ჩაუდის ლიახვი და უერთდება ჩრდილოეთიდან მტკვარს. უცნობია, ვინ ააშენა პირველად [იგი]. „ცხოვრებაში“ სწერია: ერეკლე კეისარმა [მას] უწოდა ტონთიო (რომელიც არის ოქროს მთა) და აქცია საგანძურის სამარხად. გორაზე არის დიდი ციხე, დასავლეთით არის ქვითკირის გვირაბი, რომელიც ჩადის ლიახვამდე. ლიახვიდან ლიახვამდე მიხვეულ-მოხვეული ქალაქი 83-ე მეფე სვიმონმა წაართვა ოსმალებს და დაანგრია ციხე. 89-ე მეფე როსტომის მეფობაში შაჰსეფიმ კვლავ ააშენა ციხე და იმდროიდან ეკავათ ყიაზილბაშებს. 94-ე მეფე ვახტანგის დროს იყო ცარიელი. შემდეგ დაიპყრეს ურუმებმა, შემდეგ შაჰ-ნადირმა დაანგრია ციხე. ოსმალთა, ლეკთა და ყიზილბაშთა ძალმომრეობის გამო ქალაქის [მოსახლეობა] შემცირდა. [აქ] შენობები უმეტესად ქვითკირისაა, 8 ეკლესია – კარგი და მშვენიერი, ოღონდ ერთი – სომხური ოსმალებმა დაანგრიეს. აქ 89-ე მეფე როსტომმა ააშენა სპარსული ყაიდის სასახლე დიდი ბალებით და საყვავილეებით, დიდი და მშვენიერი წყლის აუზებით. 94-ე მეფე ვახტანგმა განაახლა, მაგრამ ოსმალებმა დაანგრიეს. [ეს] ადგილი მშვენიერია ჰავით, კარგი წყლით, გარშემო გაშენებულია მრავლად ვენახები და ბალები. ზაფხული ზომიერია, ზამთარი ცივი და ქარიანია. სანადირო [ადგილები] გამოუღეველია ფრინველით, თევზით და სხვითაც. ხილი და საკვები – გემრიელი და უხვად. სახლობენ ქართველები და სომხები. [ისინი] არიან ტანადნი, ჰაეროვანნი, მშვენიერები, ამაყები და კარგი მოლექსენი.

### **მდინარე მეჯვდის აღწერა ბიყრამდე**

ამ ციხის ძირში ლიახვს ერთვის მდინარე მეჯვდა. ბიყრამდე მეჯვდა არის ვენახოვანი [და] ხილიანი. აქეთ და იქით მრავალი სოფელია, [368]

ნათესისა და მარცვლეულის მოსავლით ნაყოფიერი. გორის ზევით ბერბუკში მეჯვდას ერთვის სველნეთის ფშანი. [მდინარე] მეჯვდაზე, იკორთისა და კირბალის მთის ძირში არის დაბა მეჯვდა, რომლისგანაც მიიღო სახელი ამ მდინარემ. გორიდან ჩრდილოეთისაკენ, მეჯვდის ზევით, უსანეთის მთის ძირში არის წმინდა თევდორეს მონასტერი, ახლა [მხოლოდ] ხუცესის ამარა. ამის ზევით, მდინარე მეჯვდის დასავლეთით მთის ძირში მშვენიერ ადგილას არის ბიეთის მონასტერი. მას ჩაუდის ხევი, გამომდინარე მერის მთიდან, [რომელიც] ერთვის მეჯვდას დასავლეთიდან. ბიეთში ზის წინამძღვარი. ბიეთის ზევით არის მახისის ხევი. აქობამდე მეჯვდას ხეობა [არის] ვენახოვან-ხილოვანი [და] მოსავლიანი. ამის ზევით არის ბაყარი და ისროლის-ხევი, როგორც აღვწერეთ.

### **დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის აღწერა ვანათამდე**

გორიდან მდინარე ლიახვის სიგრძე არის მალრან-დვალეთამდე და მოედინება მალრან-დვალეთიდან, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მეგუთამდე, მეგუთიდან მიემართება სამხრეთისაკენ გორამდე და გორის ცოტა ქვევით უერთდება მტკვარს ჩრდილოეთიდან. მდინარე ლიახვი არის სარგებლიანი, რწყავს ლიახვის აქეთა და იქითა ნაპირებს, მოედინება სწრაფად და ხმაურით, [ნაპირები] რიყიანია, [წყალი] სასმელად მარგებელია და გემრიელი, მუდამ ცივი, მაგრამ ზამთარში არ იყინება [დინების] სიჩქარის გამო. [აქ] თევზი ბევრია. იმ ველებზე, რომელსაც ლიახვი რწყავს, მთელ ქართლში ყველაზე საუკეთესო, გემრიელი და თეთრი პური [მოდის]. გორის ზევით ლიახვს ერთვის გორისავე ქალისა და ნაჭარმაგევის წყალი. ნაჭარმაგევი იყო მეფეთა სადგომი და კარგი სანადირო [ადგილი]. ახლა ეწოდება კარალეთი. ადგილი ლამაზია, ქალიან-მინდვრიანი, ნადირიანი და ფრინველიანი, [369] მაგრამ გორის ზევით აღარ არის კაკაბი – მხოლოდ ცოტა ადგილებში თულა იპოვება. გორის ზევით, კარალეთის პირდაპირ, ლიახვის დასავლეთით, რუისის მთის ძირში არის თედონწმინდა. ცოტა ზევით დასავლეთიდან ლიახვს ერთვის ვარიანის ფშანი და ახალდაბის [ფშანი]. აქ იჭერენ ყვითელ, ძალიან კარგ კალმახს.

ვარიანის ზევით ლიახვს აღმოსავლეთიდან ერთვის პატარა ლიახვი, ამიტომ ეწოდა ამ დაბას შერთული. ვანათამდე [ლიახვი] არის ვენახიანი, ხილიანი, სოფლებიანი და რწყავს გორის ზევით ველებს მდინარე

მეჯვდისა და პატარა ლიახვს შორის გვერდის-ძირამდე. შერთულის ზევით, პატარა ლიახვის ნაპირას, დასავლეთით, არბონმინდის ზევით, არის არბონმინდის სასწაულმოქმედი ეკლესია. აღმოსავლეთიდან პატარა ლიახვს ერთვის მერის-ხევი. ამ ხევზე, აღმოსავლეთით, ორბოძლის მთის კალთაზე არის კულბითის ციხე. კულბითის ქვევით ამ ხევს უერთდება ლაფაჩების ხევი, [რომელიც] გამოდის ორბოძალიდან. ამ ხევს ერთვის დიდი, [სასმელად] უაღრესად მარგებელი სნეკვის-ხევი, რომელიც გამოდის სნეკვიდანვე. [აქ] არის სნეკვი, ლაფაჩები და მერისხევი. მერისხევის ზევით, ჩრდილოეთ მხარეს, პატარა ლიახვის ნაპირას არის ვანათი. მალლა გორაზე, სნეკვიდან წამოსულ პატარა მთაზე არის ციხე. ეს მთა კულბითიდან ვანათამდე ყოფს სოფლებს: საცხენისს, ბელოთს და პატარა ლიახვს და მიადგება ორბოძალს. [ორბოძალს] ჩრდილოეთით ჩაუდის პატარა ლიახვი, სამხრეთით ესაზღვრება კულბითი და ვანათი. დანგრეული ვანათის ციხე აღადგინა შანშემ. [370] [ის] კვლავ დაანგრის სპარსელებმა. ციხის უკან ჩრდილოეთით არის მალალი ქარაფოვანი კლდე, [რომელიც] გადმოჰყურებს ლიახვს, და კლდეში გამოკვეთილია მრავალი გამოქვაბული. შერთულს ზევით, დიდ ლიახვზე მეღვრეკისში არის უგუმბათო მონასტერი, [სადაც] ზის წინამძღვარი. მეღვრეკისის დასავლეთით, ლიახვის გაღმა, ნიქოზში არის ეკლესია ღვთაებისა, დიდი, გუმბათიანი, [რომელიც] ააშენა გორგასალმა და მასში დაასაფლავა წმინდა რაჭდენის გვამი. გორგასალმავე აქცია [ის] საეპისკოპოსოდ და დასვა ეპისკოპოსი და ზის დღესაც და [არის] მწყემსი კავკასიელების, დვალეებისა – ამჟამად ოსეთად წოდებულისა, [აგრეთვე] გლოლა-ლებითურთ. ეკლესია არის დიდებულად ნაშენი, მშვენიერი, კარგ ადგილას [აშენებული]. ნიქოზის ჩრდილოეთით, დიდი ლიახვის ნაპირას არის პატარა ქალაქი ცხინვალი, კარგ-ჰავიანი. [აქ] ცხოვრობენ ქართველები, სომხები და ებრაელები. გარშემო – ბალ-ვენახოვანი, საკვებით უზრუნველყოფილი. ლიახვის გაღმა, ცხინვალის აღმოსავლეთით იწყება ტყიანი მთა და ეს მთა მიემართება ჩრდილოეთისაკენ მშხლებამდე. ამ მთის ძირში, ცხინვალის აღმოსავლეთით, პატარა ლიახვისაკენ არის ერედვის ციხე და მასში სასწაულმოქმედი ეკლესია წმიდა გიორგისა. მის ჩრდილოეთით, მთის კალთაზე არის სხვა პატარა ციხე. ერედვის ჩრდილოეთით ეს მთა ჰყოფს ვანათ-მერის-ხევსა და დიდ ლიახვს. ასევე, ერედვის ჩრდილოეთით, ამავე მთაში, ცხინვალისაკენ, არის მონასტერი საბან-

მინდა – გუმბათიანი, კარგად ნაშენები, კარგსა და მშვენიერ ადგილას, მრავალშენობიანი – ამჟამად ხუცესის ამარა. მის ზევით, ამავე მთაში, აღმოსავლეთისაკენ არის უდაბნო – მაღალ კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულები ეკლესიით. [აქ] კლდის კუბოში ასვენია მკვდარი მონესე ანაფორით, დღემდე უხრწნელი. აქ არის კლდე, სადაც ზამთარში თოვლი დნება, ხოლო ზაფხულში ყინავს და ყინულად ხმარობენ.

ქცხილოვანს ზევით, ლიახვის დასავლეთით, არის თამარაშენი – მცირე ქალაქი, [რომელშიც] ცხოვრობენ სომხები, ებრაელები და ქართველები. თამარაშენის ზევით [ლიახვს] ერთვის თირის-მონასტრის ხევი. [371] ამ ხევზე, გორის ძირში არის აჩაბეთი – მეფეთა სასახლე და ციხე. მის დასავლეთით, მთაში არის თირის მონასტერი – უგუმბათო, მაგრამ ძალიან კარგად აშენებული კარგ ადგილას. [აქ] ზის წინამღვარი. აჩაბეთის ზევით, კეხვში, მთის კალთაზე არის კეხვის ციხე. ეს მთა იწყება ქცხილოვანიდან დასავლეთის მხრისაკენ, და გრძელდება ჩრდილოეთით და კეხვის ზევით [ლიახვი] კლდეთაგან ვინროვდება და გრძელდება დასავლეთით და მიადგება პერანგის წარმონაზარდს წონისა და ფანას მთებს შორის და კვლავ ცხინვალიდან მიემართება დასავლეთისაკენ და მივა ბეყმარამდე. ხოლო კეხვის ზევით, სივინროვეში არის სვერისაკენ გადასასვლელი ხიდი და ამ ხიდის ქვევით ლიახვი ანგრევს მტკიცე ხიდებსაც [კი]. გორიდან სვერამდე ლიახვის ორივე ნაპირას არის სოფლები ხილიან-ვენახიანნი, ღვინო არის თხელი და მომჟავო – სასმელად მშვენიერი.

კეხვის აღმოსავლეთიდან ლიახვს ერთვის სვერის-ხევისა და ქემერტს შორის, [რომელიც] ჩამოდის ჩრდილოეთიდან, გამოდის ამ [მთას] და გერის მთას შორის. ამ მთის თავზე არის ეკლესია – სპარსი წმიდა გიორგისა და [აქ] არის დიდი ოქროს ხატი, სპარსელებისაგან დამზადებული მის მიერ ჩადენილი სასწაულისათვის; ამჟამადაც ხდება სასწაულები. სვერიდან ჩრდილოეთით წაგრძელებულია ტყიანი მთა და სადაც უხვევს ლიახვი, ეს მთაც მას მიყვება და მიდის აღმოსავლეთისაკენ და მიადგება გერის მთას. სვერის ხიდს ზევით დასავლეთიდან ჩამოედინება ითრაფულა და უერთდება ლიახვს. ამის ზევით, გუფთაში არის ნაციხარი. გუფთის ზევით ლიახვს უერთდება მდინარე ფანა, [რომელიც] გამოედინება ერნოსა და ამ მთას შორის და მიედინება აღმოსავლეთისაკენ. ამ ხევს უერთდება სამხრეთიდან სხვა ხევი, რომელიც იმავე მთიდან გამოდის და მოდის აღმოსავლეთისაკენ. ამ

ხევის შესართავის ზევით ფანას ერთვის პატარა-ჯავის ხევი, [რომელიც] გამოდის დვალთ-გორიდან. ამის ზევით, ფანაში [მას] ერთვის სოხოს-ხევი; [372] სოხოს-ხევის ზევით ფანაშივე უერთდება ქეშელთის ხევი; ეს ხევეები გამოდიან დვალთ-გორიდან. პატარა ჯავასა და ხნვეს შუა არის სამხრეთით მდებარე ტყიანი მთა დვალთ-გორიდან ფანამდე. ფანის შესართავის ზევით არის სხლები და ჯავა. ჯავის ზევით ლიახვს დასავლეთიდან ერთვის ხნვის-ხევი, [რომელიც] გამოდის დვალთ-გორიდან. ხნვის პირდაპირ, ლიახვის გაღმა ნაპირას არის სასუნებელი მიწა და ფრიად ცუდი სუნი უდის, მაგრამ ეს სუნი კურნავს ქარს, სევდას და კუჭის აშლილობას, თუმცა მსუნებელს გული უწუხდება ამ სუნის [გამო]. ხნვის ზევით, დასავლეთიდან ლიახვს უერთდება მუგუთის ხევი, [რომელიც] გამოდის დვალთ-გორიდან. აქ მაღალ კლდეზე ააშენა ციხე მაჩაბელმა, [რომელიც] დაანგრის ურუმებმა. მუგუთის ცოტა ზევით ლიახვი უხვევს და იქ მას უერთდება კოშკის-ხევი. მის ზევით ლიახვს უერთდება როკის-ხევი. როკის ზევით ლიახვსავე უერთდება ბჟის-ხევი და ეს ხევეები გამოდიან დვალთ-გორიდან და მიედინებიან სამხრეთისაკენ. ხოლო სადაც ბჟის-ხევი გამოდის კავკასიდან, იქ დაბლდება ზეკარის კავკასი და ზამთარ-ზაფხულ გადადის გზა ზახაში და დვალეთში. ასევე, ბჟის ზევით, სამხრეთიდან ლიახვს ერთვის მშხლების ხევი, რომელიც გამოდის გერის მთიდან. ამის ზევით არის მალრან-დვალეთი, რომელიც [უკვე] აღვწერეთ. სვერის ზევით რაც ლიახვის ხეობა აღვწერეთ, არის უვენახო და უხილო. აქ სახლობენ ოსები და დვალეები. მოსავალი – მთის ადგილების [შესაბამისად] და პირუტყვიც – ასევე. ქცხილვანის დასავლეთით, ზემოხსენებული მთის ძირში არის თიხრევის-ხევი, რომელიც გამოდის ძარიდან და მიედინება სამხრეთისაკენ, მაგრამ მინდვრად ვეღარ მდინარებს. ტბეთის ზევით არის ნაციხარი. ამის ზევით, დუდეთში, მოიპოვება შავი ქვა. ამ ქვით ხურავენ ეკლესიებს [მისი] სიბრტყისა და სიმსუბუქის გამო. ქცხილვანის [373] ხეობის კაცები [არიან] მშვენიერნი და ლამაზნი, მებრძოლნი, სამარცხვინო ქცევის მდევნელნი, ამაყნი [და] ერთგულნი. [აქ] სახლობენ თავადნი და აზნაურნი; ქალებიც ასევე მიიჩნიეთ.

### **გორისა და ლიახვის [ზევით მხარის] აღწერა**

გორის დასავლეთით არის რუისის მთა, ტინის ხიდით [და] თედონმიდით სასირეთამდე და მტკვრამდე, მცირე ადგილებში ტყიანი,

სახნავი და ნაყოფიერ-მოსავლიანი, უწყლო, მხოლოდ ადგილ-ადგილ მოედინება პატარა წყაროები. მტკვრის ნაპირები – ხრამიან-კლდიანი. ამ მთის დასავლეთით, მტკვრის ნაპირას არის ურბნისი. ქალაქი ააშენა უფლოსმა, ქართლოსის ძემ, და იყო [აქ] ქალაქი [მურვან] ყრუმდე, ხოლო ამჟამად არის დიდი, უგუმბათო ეკლესია, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი დიდი ღიახვისა და იმ [ადგილებისა], რომელიც ღიახვით ირწყვება. დანგრეული [ქალაქი] ააშენა და განაახლა 94-ე მეფე ვახტანგმა და შეამკო მისი წმინდა სტეფანე პირველმონამის ხატი და შემოავლო ქვითკირის [გალავანი]. ურბნისის დასავლეთით, დუდეში, მტკვრის ნაპირას მოდის ძალიან დიდი წყარო, რომელიც აბრუნებს დიდ წისქვილებს ზამთარშიც, რადგან [ის] არ იყინება.

ურბნისის სამხრეთით, რუისის მთის ძირში არის დიდი სოფელი რუისი და ღვთაების ეკლესია – გუმბათიანი, დიდი და დიდებულად ნაშენი. [აქ] ზის ეპისკოპოსი, მწყემსი რუისს ზევითა ქართლისა ლიხტაშისკარამდე, და ამჟამად მწყემსავს [აგრეთვე] ხეობას და სადგერს, რადგან მანყვერელი აღარ არის. [რუისი] დაანგრია ლანგ-თემურმა. ეს ეკლესია ააშენა 76-ე მეფე ალექსანდრემ. შემდეგ კვლავ განაახლა და [374] შეამკო 89-ე დედოფალმა მარიამმა. რუისის მთის სამხრეთით [მდებარე] მინდორი ნიქოზამდე და ღიახვიდან დვანის-წყლამდე ირწყვება ღიახვის ორი არხით, რომელიც თამარ მეფეს გაუყვანია. [აქ] ყველაფრით ნაყოფიერი მრავალი სოფელია. სალთვისის არხი განაახლა 94-ე მეფე ვახტანგმა, მაგრამ ამჟამად უქმად არის. რუისი არის უწყლო, მხოლოდ ერთი წყაროთი, რომელიც ეკლესიასთან მოდის. აქ სარგებლობენ ამ არხის [წყლით] და ურბნისამდე მინდორსაც მთივე რწყავენ.

### **დვანის-წყლის აღწერა**

რუისის დასავლეთით არის დვანის-წყალი. ის გამოდის თირის მონასტრიდან ნამოზიდულ მთიდან, მიედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და ერთვის მტკვარს ჩრდილოეთიდან. [დვანის წყლის] აღმოსავლეთით, ბრეთში არის უგუმბათო მონასტერი, რომელიც დაარსა პიროსმა, 13 მამათაგანმა და თვითონაც აქ არის დასაფლავებული. ამჟამად [მონასტერი] ხუცესის ამარაა. ბრეთის დასავლეთით წვერედან იწყება კვერნაქის მთა და მიდის ჭის-წყლამდე, [იმ ადგილას], რომელსაც ეწოდა ცეცხლის-ჯუარი. წვერის ქვევით, არადეთში არის ჭია მარი-

ამული, რომელიც კურნავს ბრაზიანის ნაკბენს წასმით. ამის ჩრდილოეთით და [დვანის წყლის] დასავლეთ ნაპირას, დირბში არის მონასტერი, სადაც ზის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტი, მაგრამ ქართლის მეფეები აქ ქართველს სვამენ. იგი მამულებს ფლობს მთელ საქართველოში და მოსავალს [აქცევს] ვერცხლად და გზავნის იერუსალიმში. მის ზევით, დვანში ამ წყალს ერთვის ქოლიბურის-ხევი. ამ ხევის ზევით ამ წყალს ერთვის [375] წუნარის-ხევი. წუნარში არის გუმბათიანი ეკლესია, [რომელიც] ახლა გაუქმებულია. წუნარის-ხევის ზევით, ერკეთში არის ეკლესია, რომელშიც დვანან ბერძენი მონაზვნები მთანმიდიდან. აქ ამ წყალს დასავლეთიდან ერთვის ნულის-ხევი. ნულში არის ციხე. ამ ხევის ზევით აღმოსავლეთიდან ერთვის [დვანის-წყალს] ყორნისის-ხევი, [რომელიც] გამოდის ძარის მთიდან. ყორნისში არის კლდის გამოქვაბულები კოშკებით, მაგრამ დაანგრის ლეკებმა. ყორნისის ზევით, წორბისში ამ წყალს ერთვის ხტანის-ხევი. წორბისის ზევით ამ წყალზე, მთაში არის საქართლის-ციხე – მტკიცე. დვანის-ხეობა არის ვენახოვანი, ხილიანი, ყოველგვარი მარცვლეულით ნაყოფიერი.

### **ფცის-წყლის აღწერა**

დვანის-წყლის დასავლეთით არის ფცის-წყალი, რომელიც გამოედინება ლოხოის-პერანგას მთიდან, მოდის სამხრეთისაკენ და უერთდება მტკვარს ჩრდილოეთიდან. მტკვრის ნაპირას არის ქვენა-ტკოცა, [ხოლო] მის ზევით – ბერძენაული. ამის ზევით ამ წყალს უერთდება დასავლეთიდან ტკოცის ხევი. ფცის ზევით ამ წყალს უერთდება აღმოსავლეთიდან ლოლეთის-ხევი, [რომელიც] გამოდის ლებურის მთიდან. ამის ზევით, ავლევი ამ წყალს დასავლეთიდან უერთდება ბრეძის-წყალი. [აქ], ბრეძაში არის პატარა ციხე. ეს წყალი გამოდის პერანგადან, მოდის სამხრეთისაკენ ბრეძამდე [ხოლო] შემდეგ აღმოსავლეთისაკენ. აბანოში ამ წყალს უერთდება ნალვლის წყალი, ხოლო ბრეძაში უერთდება აბანოს-წყალი. ის გამოდის მშვილდაურის მთიდან. ორივე უერთდება ბრძენის-წყალს დასავლეთიდან. აბანოში მოდის თბილი წყალი, [რომელიც] კურნავს ქარით დახუთულებს და ბუგრ-მუნუკიანებს. ბრეძის ჩრდილოეთით, ატოცში არის წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ეკლესია. ავლევის ზევით, ფცის-წყლის აღმოსავლეთით არის ოქონას მონასტერი – დიდი, გუმბათიანი, მაგრამ უცნაური, რადგან მინისძვრისაგან [376] ჩრდილოეთისაკენ გადახსნილი დგას და არ ინგრევა. [ის] მშვენიერ და წყაროიან

ადგილას დგას. აქ არის ნიგოზი, რომელსაც თუ გატეხავ, [ნახავ], რომ ნახევარი მისი არის ნიგვზის ლეზანი, ხოლო ნახევარი – თხილი.

მეტეხისა და ფცის-წყლის დასავლეთით, თიღვაში არის ჯვარის მონასტერი, რომელიც ააშენა [დავით] აღმაშენებლის ასულმა თამარმა. [ის არის] გუმბათიანი, დიდად მშვენიერი და კარგად ნაშენები. [მის] გარშემო მრავალი შენობაა; ამჟამად [დარჩენილია] ხუცესის ამარა. მის ჩრდილოეთ მხარეს არის ძალინა. აქ არის ვერცხლის ლითონი, მაგრამ უსარგებლობისათვის მიატოვეს. აქვე, მდინარის ნაპირას არის მუხაური. [მის] მოსახლეობას [შეადგენენ] ებრაელები და სომეხი ვაჭრები. მუხაურის ბოლოს ფცის-წყალს უერთდება ხტნას-ხევი. ძალინაში არის ციხე და სასახლე. ფცისა და დვანის წყლებს ყოფს ლებეურის მთა, რომელიც იწყება სოფელ ფცაში და განოლილია ხტანამდე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. [იგი არის] ტყიანი და ნადირიანი. მუხაურის ზევით, ფცისა და ოყორის-წყლებს შუა არის ოყორის მონასტერი – უგუმბათო, ლამაზ ადგილას, ამჟამად ხუცესის ამარა. ხტანის ზევით, მთაში არის ეკლესია, გომართად წოდებული – ამჟამად ცარიელი. აქედან გზა მიდის ლოხისის მთაზე, [შემდეგ] პერანგას მთაზე და გადადის იმერეთის ქალებში.

### **ალის-წყლის აღწერა**

ფცის-წყლის დასავლეთით არის ალის-წყალი, [რომელიც] გამოდის ლიხის მთიდან, მოდის სამხრეთისაკენ და მტკვარს ერთვის ჩრდილოეთიდან. ამ შესართავთან არის დაღალულა. მტკვარის ნაპირას, სამხრეთით არის სომანეთი, ხოლო სომანეთის სამხრეთით არის ვაყა, ვაყას ზევით არის ნაბახტევი და [იქვე] ნაციხარი, სომანეთსა და ქვედა-ტკოცას შუა არის მოხისი – დიდი სოფელი ცეცხლის-ჯვრის მთის ძირში. მისი მინდორი უწყლოა მტკვრამდე, მაგრამ ყოველგვარი მარცვლეულით – მოსავლიანი. ნაბახტევის ზევით ალის-წყალს ერთვის ბრილის-წყალი, [რომელიც] გამოდის ბრილში ერთი წყაროდან და [377] აბრუნებს წისქვილს. აქ, ბრილში მოიპოვებენ ძალიან კარგ, მოთეთრო კაჟს ჩახმახისათვის. ბრილის-წყლის შესართავის ზევით, ალის-წყალზე, დასავლეთით, კლდეზე არის ალი – პატარა ქალაქი, [სადაც] სახლობენ სომეხები და ებრაელები, ქართველები – ცოტა. გაზაფხულ-შემოდგომაზე – ქყაპიან-ტალახიანი, ზამთარში – ცივი, ზაფხულში – ცხელი, მაგრამ ჰავით – კარგი და ხალისიანი. ალის ზევით, ლიხის მთის კალთაზე არის ალის ციხე. ციხის უკან, მთაში არის სოფელი უწლევი. აქ აკეთებენ

ჭურებს ღვინისათვის – ყველაზე უმჯობესს. ამავე ციხის ზევით ალის-წყალს აღმოსავლეთიდან ერთვის ჭერათხევის-ხევი – უშენობო<sup>289</sup>. ამ ხევს ზევით, ულუმბაში არის მონასტერი – უგუმბათო, დიდი, დიდებულად ნაშენი, მიქაელ 13-მამათაგანის აშენებული. მიქაელიც იქვე არის დასაფლავებული. [აქ] ზის წინამძღვარი.

### **სურამის-წყლის აღწერა**

ალის-წყლის დასავლეთით არის სურამის - წყალი, [რომელიც] გამოდის ლიხის მთიდან და ჩრდილოეთიდან უერთდება მტკვარს ოსიაურის ზევით. აქ მტკვრის ნაპირზე არის სურამის ქალა დაღალულიდან შოლამდე, რომელიც გაკაფა 94-ე მეფე ვახტანგმა და გააშენა სოფლები. ოსიაურის ზევით, ხაშურში სურამის-წყალს აღმოსავლეთიდან ერთვის ქემერტის-წყალი, [რომელიც] გამოდის ლიხის მთიდან. ამ ხევის შესართავის ჩრდილოეთით, შანდარას დასავლეთით არის სურამი – მცირე ქალაქი, რომლის მოსახლენი არიან ქართველები, სომხები და ებრაელები. [აქ], შუაში, მაღალ კლდეზე არის მტკიცე ციხე. [ეს ადგილები] ჰავით არის მშვენიერი და მხიარული. სურამის ზევით, სამხრეთიდან ამ წყალს უერთდება უთხვის-ხევი. მის ზევით, იტრიაში არის მონასტერი ყოვლადწმიდა [ღვთისმშობელისა], უგუმბათო, დიდებულად ნაშენები, ამჟამად ხუცესის ამარა. სურამის ბეკამიდან იწყება მაღალი გორა, [რომელიც] გრძელდება დასავლეთით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამხრეთით არის ბეკამი, ტეძერი – შოლამდე, ჩრდილოეთით – სურამის ხეობა. მდინარე შოლა [378] გამოდის ლიხის მთიდან, მიდის აღმოსავლეთისაკენ [და] უერთდება ჩრდილოეთიდან მტკვარს. შოლას ნაპირიდან გაიყვანა არხი 94-ე მეფე ვახტანგმა, რადგან ეს მინდორი უწყლო იყო, და გააკეთა წისქვილები, [აგრეთვე] სვამენ პირუტყვნი. შოლას ნაპირიდან დასავლეთით, შოლისავე ნაპირას არის ქვიშხეთი – ზაფხულში საამო ჰავიანი და მშვენიერი, ზამთარში – ცივი, ქარიანი და ცუდი. ქვიშხეთის ზევით, შოლაზე, ციხისძირში არის ციხე. ქვიშხეთის სამხრეთით, მთის ძირში, მტკვრის ახლოს, არის დაბა ტაშის-კარი. მდინარე ლიახვის აქეთ ტაშისკარამდე რაც მდინარე-ხევი ალვწერეთ, უწოდებენ ფრონეთა, გარდა შოლასი. ამ ფრონეთაში შემოდის წყალდიდობის დროს მრავალი კაპოეტნი, დროდადრო – ორაგულიც. მცირეწყლიანობის დროს [მდინარეებში] არის მრავლად წვრილი თევზი, ხოლო მთის მხარეს – კალმახიც – მრავალი [და] გემ-

რიელი. ადგილები გორის ზევით არის მოსავლიანი ვენახით, ხილითა და ყოველგვარი მარცვლეულით, გარდა ბრინჯ-ბამბისა. აკეთებენ [აქ] ცოტაოდენ აბრეშუმსაც. ყოველგვარი პირუტყვი მრავლადაა, გარდა აქლემისა, მაგრამ ზამთარში არა იმდენი, როგორც აღვწერეთ სომხით-საბარათიანოს შესახებ, რადგან ზამთარში სამი თვე თოვლი დევს, [ხოლო] ზაფხულში თიბავენ [ცოტა] თივას – მინის სახნავად [გამოყენების] გამო. [სათიბი] მთაში არასაკმარისია. ჰავა მშვენიერია და საამო. აქაური სასმელი და საჭმელი უფრო გემრიელია, ვიდრე სხვა ადგილებში. კაცები არიან ლამაზნი, ამაყები, მამაცები, შემართულები, მხიარულები, უხვნი [და] სტუმართმოყვარენი. ქალები – ისეთივე, როგორც სხვათა [შესახებ] დავწერეთ. [აქ] სახლობს მრავალი მთავარი და აზნაური.

### **მთისგადაღმა [მხარის] აღწერა**

სურამის დასავლეთით, ლიხის მთის შუაში არის სოფელი ფონა. ფონადან გამოდის მდინარე ჩხერიმელა [379] და მიედინება დასავლეთსა და სამხრეთს შუა მებოძიარის ზემომდე. მის ქვევით, დაბის გამოქვაბულამდე ეკუთვნის ქართლს. მებოძიარის ზევით ჩხერიმელას ერთვის ჩრდილის-ხევი. ამ ჩრდილის-ხევს სამხრეთიდან ერთვის ნუნისის-ხევი, რომელიც ამ მთას და ხეობას შუა მთიდან გამოდის. ჩრდილოეთის-ხევი გამოდის მცირე ლიახვის მთიდან, რომლის იქითა მხრიდან გამოედინება შოლა. ნუნისში არის ეკლესია-მონასტერი, მშვენიერი, ლამაზ ადგილას; [აქ] ზის წინამძღვარი. ეს ხევეები ვენახოვანი [და] ხილიანია.

### **ხეფინის-ხევის აღწერა**

ფონას ზევით და სურამის დასავლეთით ლიხის მთიდან გამოდის ხეფინისხევის-წყალი და ერთვის აღმოსავლეთიდან ძირულას, ხოლო ძირულა გამოდის პერანგას მთიდან და მიედინება ლოდორამდე სამხრეთისაკენ და იქიდან მომრგვალებით – დასავლეთისაკენ. [ის] ვერტყვილამდე ეკუთვნის ქართლს და ვერტყვილიდან ნადაბურამდე უწოდებენ ხეფინის-ხევს. მის ზევით არის ულუმბის მონასტერი, მაგრამ მისაკუთრებული აქვთ იმერლებს, თუმცა ახლაც აძლევენ ცვილის, ზეთისა და საკმეველის ფასს. ვერტყვილას უერთდება სამხრეთიდან ვერტყვილისავე ხევი. ვერტყვილასა და ამაშუკეთს შუა არის პატარა

მთა – მიერთებული კოლბეურის მთასთან და არის ახლანდელი საზღვარი ქართლსა და იმერეთს შორის. ვერტყვილის ხევის ზევით ერთვის ძირულას ბჟინევის-ხევი. აქ, სამხრეთით არის მონასტერი გეთსამანია – გუმბათიანი, კარგად ნაშენები, სანინამძღვრო. მის ზევით – გრივალეთის ხევი, [რომელიც] ერთვის ძირულას. მის ზევით ხეფინის-ხევის წყალს ერთვის ხევისჯვრის-ხევი. მის ზევით ამასვე ერთვის ნაქვის-ხევი. [ჩამოთვლილი] ხევეები ყველანი [ძირულას] ერთვიან სამხრეთიდან და გამომდინარეობენ ფონას გამდინარე ჩხერიმელისა და ხეფინის-ხევის შუა მთიდან, საიდანაც ფონა გამოდის. ხეფინისხევის ხეობა არის [380] მოსავლიანი, ვენახოვანი [და] ხილიანი. ქრთილოვანთაგან აქ არის ღომი, [არის] ხურმა [და] ნაბლი, როგორც მთის გადაღმის – ქვიშხეთის დასავლეთის [შესახებ] დავწერეთ, ისინიც ისეთივე მიიჩნიეთ. [აქ] არის ცხვარი უდუმო, თესავენ ბევრ სიმინდს. ხოლო ეს ადგილები, რომლებიც აღვწერეთ ლიხის მთის მიდამოებში, ისევე მიიჩნიე, როგორც იმერეთი აღვწერეთ.

### **მტკვრის ხეობის აღწერა**

ტაშისკარის სამხრეთით დასავლეთიდან ცხვირების მსგავსად ჩამონოლილია მახვილის მთა და აღმოსავლეთიდან ყერძენის-მთის წვერი და ავინროებს მტკვარს კლდით. აქ შევიწროებულში არის გასასვლელი კარი და მასზე [აგებული] კოშკი – ქართლიდან ხეობაში სავალი. ამის გამო ეწოდა [მას] ტაშისკარი (ეს არის ქვის კარი). ამის პირდაპირ სამხრეთიდან ერთვის მტკვარს სარმანიშვილის-ხევი, [რომელიც] გამოდის ყერძენსა და ამ შუა მთიდან. ამის დასავლეთით არის ახალდაბა – პატარა ქალაქი – სახლობენ მტკვრის იქითა და აქეთა ნაპირებზე ქართველები და ებრაელები. აქ არის მტკიცე ხიდი. ახალდაბის სამხრეთით, მაღალ კლდეზე არის ციხე – დიდებულად ნაშენი და მტკიცე. ახალდაბის ქვევით მტკვარს ერთვის ჩრდილოეთიდან ნეძვის-ხევი, რომელიც გამოდის ამ და მთის გადაღმა შუა მთიდან. კვლავ ახალდაბის ზევით მტკვარს სამხრეთიდან ერთვის ქიმერეთის-ხევი, [რომელიც] გამოდის ყერძენის მთიდან. ქიმერეთის-ხევის ზევით მტკვარს სამხრეთიდანვე ერთვის კორთანეთის-ხევი, [რომელიც] გამოდის იგივე მთიდან. ჩრდილოეთიდან მტკვარს ერთვის ზანავ-რვილის ხევი, [რომელიც] გამომდინარეობს ამ და მთისგადაღმა შუა მთიდან.

## სადგერის ხეობის აღწერა

ამ ხევის ზევით მტკვარს სამხრეთიდან ერთვის თორის-წყალი. ამ შესართავის სამხრეთით არის სადგერის წმიდა გიორგის ეკლესია. მას აღმოსავლეთით ჩაუდის მდინარე თორი, ხოლო დასავლეთით – შავწყალი, [რომელიც] გამოდის ბაკულიანისა და კოდიანის მთიდან [381] და ერთვის მტკვარს სამხრეთიდან. გომარეთამდე შავწყალსა და თორისწყალს ამჟამად უწოდებენ სადგერის-ხეობას. სადგერი არის მტკიცე და შეუვალი. დანგრეული ეკლესია ააშენა და მისი ხატი შეამკო 94-ე მეფე ვახტანგმა. სადგერის ზევით, დასავლეთით არის სოფელი თორი, მის ზევით – ციხისჯვარი და დასასვლეთისაკენ მისი ციხე შავწყალზე. სადგერის ზევით თორის-წყალს სამხრეთიდან ერთვის ბაკულიანის-წყალი, გამომდინარე ბაკულიანის მთიდანვე. აქ, თორის-წყლის ნაპირზე, აღმოსავლეთით, კიმოთისმანში<sup>3</sup> არის მონასტერი – გუმბათიანი, კარგად ნაშენები, მშვენიერ ადგილას. [აქ] ზის წინამძღვარი. სადგერის ხეობა არის უვენახო, მაგრამ მოსავლით, როგორც გუჯარეთის ხეობა აღვწერეთ, ესეც ისეთივე ნაყოფიერია, [ასეთივე] მთებით, ნადირითა და პირუტყვით. კიმოთისმანის ქვევით, თორის-წყლის აღმოსავლეთით ნაპირზე არის უზნარიანის ციხე, ძალიან მტკიცე.

## იმავე ხეობის აღწერა

ხეობაში მტკვარს ჩრდილოეთიდან ერთვის ეშმაკთუბნის-ხევი, გამომდინარე ამ და მთის გადაღმა მთის შუიდან. ამის ზევით, ნუაში [მტკვარს] ერთვის შავწყალი. ნუას ზევით, ჭალის პირდაპირ, სამხრეთიდან მტკვარს ერთვის დღვაშის-ხევი, [რომელიც] გამოდის კოდიანის მთიდან. მის ზევით, მტკვრის ნაპირას, სამხრეთით არის პეტრეს-ციხე, ძალიან მტკიცე და შეუვალი მტერთაგან. ამ ციხეს დასავლეთიდან ჩაუდის ყვერბილის-ხევი, [რომელიც] ერთვის მტკვარს სამხრეთიდან, [ხოლო] გამოდის კოდიანიდან. ციხის პირდაპირ მტკვარს ჩრდილოეთიდან ერთვის ლიკანის-ხევი, [რომელიც] გამოდის მახვილოფერსათიდან. ამ ხევის ზევით არის ჭობის-ხევი, რომელიც ეკუთვნის ქართლს – დვირამდე. მტკვრის ხეობა არის ვენახიანი, ხილიანი, ვინრო და მწირი, მტკიცე და შეუვალი მტერთაგან. კაცები – ჰაეროვანნი და ტანადნი; მთები – ნადირიანი, [ტყეები] – ნაძვოვან-ფიჭვოვანი. [382] ირემი, თხა, არჩვი და სხვა ნადირი – მრავალი. ჩრდილოეთით არის ლადოს მთა მახვილოსკენ წამოსული აღმოსავლეთით ტაშის-კარამდე; სამხრეთით –

კოდიანიდან წამოსული მთა ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთს შუა, ამ და სადგერის ხეობას შორის.

### **საერისთავოს, სასპასპეტოსა და სადროშოს [შესახებ], როგორ არის და [როგორ] იყო**

ტაშისკარისა და ლიხის მთის ქვევით არაგვ-თბილისამდე არის სამი სასპასპეტო: მარცხენა – მუხრანისა, მარჯვენა – ქართლისა, მეფესთან მყოფი. თბილისს ზევით – მტკვრის სამხრეთისა და თრიალეთ-ფანავრამდე არის უფლოსის – მცხეთოსის ძის წილი. შიდა ქართლის ზენა-სოფლებს [სახელები] ეწოდა უფლოსისაგან. ისინი პირველად ერთი სასპასპეტო იყო – ზედამხედველი ყველა ერისთავისა და სპასპეტისა. თამარ მეფის შემდეგ ქართლის ერისთავი სხვა [იყო, ხოლო] ქსნისა – სხვა. განყოფის შემდეგ ასევე სამ სადროშოდ [გაიყო]. რაც [ჩვენ] ეკლესიები, მონასტრები ან სასახლეები აღვწერეთ, არც ერთი არ არის ისეთი, რომ თლილი ქვით არ იყოს ნაშენები – ყველაფერი თლილი ქვით არის აშენებული. ასევე, არ არის არცერთი სოფელი ან აგარაკი, რომელშიც არ იდგეს თლილი ქვის, დიდი და მცირე, უგუმბათო ეკლესია. ნასოფლარებიც იცნობა იმით, სადაც დგას ეკლესია. ხოლო მონასტრები, რომლებიც ცარიელად აღვწერეთ, ამჟამად ხუცესის ამარაა. მათი მამულები მიუსაკუთრებიათ ახლანდელ მთავრებსა და აზნაურებს. შეწირულობანი ან მეფეთაგან სახიზრად შემოტანილი, რაც კი აქ იყო დაბინავებული, დროის ცვალებადობის [გამოყენებით], მიუსაკუთრებიათ მათ, აღარ დაუსვამთ წინამძღვარი და მონაზონთა საზრდელის გარეშე [დატოვების გამო] ახლა დაცარიელებულია. ასევე, [ჩვენ] დავწერეთ ეკლესიათა მაშენებელი მეფეები, რომელთა მიერ არის აშენებული ყველაფერი, მაგრამ ზოგიერთის აღმშენებელი არ მოვიხსენიეთ – რაც მთავართა და ხუროთმოძღვართაგან [აშენდა], [რადგან] ამას თვით ეკლესიებზე [გაკეთებული] წარწერები წარმოაჩენენ.

## კომენტარები

1. თარგმანში დაცულია ავტორისეული სტილი. კვადრატულ ფრჩხილებში მითითებულია დედნისეული ტექსტის გვერდები და მთარგმნელის მიერ დაზუსტებული ენობრივი ერთეულები. დედნისათვის იხილეთ გამოცემა: ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973; შემდგომ დავადასტურებთ: ყაუხჩიშვილი, გვ. ...
2. იგივე დაბადება, მოსეს ხუთნიგნეულის პირველი წიგნი. მოგვითხრობს ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის ბიბლიურ ისტორიას.
3. გამომცემელის შენიშვნით ბიზანტია აქ ქალაქის სახელია. შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 7, სქ. 1
4. ავტორისეული ფორმა ვარზაბაქარი
5. ურმიზდ IV, სპარსეთის შაჰი, 582-602 წწ.
6. 3. ხოსრო II, ურმიზდ IV-ის ძე
7. ისტორიული ქრონიკა
8. გრძელკალთებიანი სამოსი
9. რკინის ფიცარი, „ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ თბილისი, ტ. 1, 1991, ტ. 2, 1993. შემდგომ ყველგან დავადასტურებთ ფორმით საბა.)
10. სანვივე აბჯარი
11. საომარი თავსაბურავი
12. „უმკვეთლო საცემი იარაღი“ (საბა)
13. მცირე წერაქვი
14. „ლახტივით დიდ უფრთო“ (საბა)
15. შუბი
16. ფრთადაბალი და პირმონწული ისარი
17. სასახლის მნე, სამეურნეო საქმის მოხელე
18. „მეფის მაგიერ მოლაპარაკე“ (საბა)
19. საპოლიციო მოხელე
20. სასამართლო მოხელეთა თავი
21. სასამართლოს აღმასრულებელი

22. ჯალათი
23. წვივზე ჩამოსაცმელი, ტყავისა ან შალისა
24. სათადარიგო
25. ღვინის ჩამომსხმელი
26. აქ: პირი, რომელსაც აბარია ღვინოსთან დაკავშირებული სამეურნეო საქმეები
27. მეფის მიერ გაცემული წყალობის წერილი
28. „სავედრებელი მინაწერი“ (საბა)
29. ბრძანების წერილი
30. მეფის მიერ მეფისთვის მინაწერი
31. როარტაგი/პროარტაგი, მეფის წერილი: „პროარტაგი არს წიგნი მეფეთამიერი“ (საბა)
32. მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთი, რომელშიც განსაზღვრულია უფლება-მოვალეობები, მფლობელობა
33. მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთი
34. ბენვისგან დამზადებული ქსოვილი
35. ქსოვილის უბრალო ქუდი
36. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, იგულისხმება გიორგი XI, 1676-1707 წწ. ყაუხჩიშვილი, გვ. 24, სქ. 1
37. ზეციური, ღვთაებრივი ძალით
38. სამთავროს ტაძარი მცხეთაში
39. იგულისხმება ცამეტი ასურელი მამა, VI ს-ში შუამდინარეთიდან ჩამოსული საქართველოში
40. აქ: ასკეტ ბერთა სავანე
41. “ლაშქართა უკან მავალი“ (საბა)
42. კონტექსტის გათვალისწინებით სიტყვა „გვარი“ აქ, უპირველესად, გულისხმობს ნოდებრივ იერარქიას და შემდგომ კი გვარის თანამედროვე მნიშვნელობას.
43. ბაღვაშები, მსხვილ ფეოდალთა საგვარეულო IX-XIII სს-ში; ზემო იმერეთში არგვეთის მფლობელები. IX ს-ის 70-იან წლებში გვარის უფროსმა წარმომადგენელმა ლიპარიტ I-მა ბაღვაშმა აღიარა დავით I კურაპალატის (876-881) ყმობა, მიიღო მიწის მფლობელობა თრიალეთში და შექმნა კლდეკარის ძლიერი საერისთავო. ბაღვაშები ინოდებოდნენ ერისთავთ-ერისთავებად. ოპოზიციაში ედგნენ გაერთიანებული საქართველო მეფეებს. კლდეკარის საერისთავო გააუქმა დავით IV აღმაშენებელმა.

44. აქ დედნისეული ტექსტი „გუარნი არა წარინერებიან ცხადად საცნობელად“ და შესაბამისი კონტექსტი გულისხმობს, რომ ჩამოთვლილი სახელები ერისთავობის დასტურია, მათი მატარებლები იწოდებიან ერისთავებად და დოკუმენტურად, ანუ წერილობით ჯერ არ გაფორმებულა გვარებად. ამ კონტექსტში ავტორისეული „წარწერილი“ ვთარგმნეთ როგორც დადგენილი, წერილობით დადასტურებული
45. ყუთლუ-არსლანი, გიორგი III -ისა და მეფე თამარის მეჭურჭლეთუხუცესი; გიორგი III -ის გარდაცვალების შემდგომ თამარ მეფის ხელისუფლების მონინაალმდევე დასის სათავეში მდგომი დიდგვაროვანი. სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ გამოვლენილი წინააღმდეგობისთვის სამეფო კარმა იგი გადააყენა მეჭურჭლეთუხუცესობიდან.
46. დარბაზის წარჩინებულნი
47. სროლაში შეჯიბრის დროს სამიზნე თასის შემოსადგმელი ადგილი.
48. შიხი, შაჰ ისმაილის მამა ( ყაუხჩიშვილი, გვ. 1089).
49. ჯარში განვევა, სამხედრო ბეგარა
50. ოსმალები
51. მეფის მცველი; „დიდი რამ კარის მოხელე“ (საბა)
52. ჭაშნაგირი, ღვინის მეჭაშნიკე
53. ტბა. ვახუშტი ბაგრატიონი ტოპონიმს ამ ფორმით ადასტურებს. დღეს ეწოდება ფარავნის ტბა.
54. ალექსანდრე I, კონსტანტინეს ძე, 1412-1442 წწ. ( ყაუხჩიშვილი, გვ. 33, სქ. 1)
55. უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო წოდება; ოსმალური ტიტული.
56. ფეოდალი, მემამულე; ოსმალური ტიტული.
57. ადმინისტრაციული ერთეული (ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 951).
58. „წარწერილი“ აქ გულისხმობს ერთგვარ რეზოლუციას.
59. დავით ქართლის მეფე, 1505-1524 (ყაუხჩიშვილი, გვ. 37)
60. დოკუმენტი, საბუთი
61. ქართლის მეფე ახ. წ. 2-55 წ. წ.
62. „ეჯი“ ფარსანგი და ალაჯი ზომით ერთია. ეჯი არის რუსული ექვსი ვერსი, ვერსი – ხუთი მხარი, მხარი – სამი ადლი, ადლი – ოცდათორმეტი თითი, თითი – ქერის ექვსი მარცვალი, ქერის ექვსი მარცვალი – ცხენის ექვსი ფაფარი“ (ვახუშტი)
63. შავი ზღვის სამხრეთი ნაწილი
64. შემოდგომაზე ნათესი ქერი
65. ლობიოს სახეობა

66. ბარდის სახეობა
67. ლობიოს სახეობა
68. გარგარი
69. ვასტა (არაქისი)
70. საზამთრო
71. ნესვი
72. ველური ყურძენი
73. ველური ბლის სახეობა
74. ტყის ვაშლი
75. ცირცელი
76. გარეული მსხალი-პანტა
77. მცენარე – *Sorbus torminalis* Cztz.
78. მცენარე – *Corylus Colurna*
79. ძუძუმარწყვა – ტყის მოგრძო მარწყვი
80. ნუნუფარა – *yacintus*
81. კომბოსტო
82. ხასა (საბა)
83. *ustela lutra*
84. „კოლინბურია ის, რომელსაც სპარსელები სიყვას უწოდებენ; ჭივჭავზე პატარაა, ჭრელია და მშვენიერი. თბილისის გარშემო ბაღები სავსეა ზამთარ-ზაფხულ“ (დავით რექტორი, ყაუხჩიშვილი, გვ. 42, სქ. 1)
85. დიდი არწივი-*Faloo chyzaetos*;
86. დედამთვრალა
87. ფარშევანგი- *Coracias garrula*
88. ყანჩა – *Piatelea levcorodia*
89. მხარი – ოთხი წრთა, წრთა-მანძილი იდაყვიდან თითამდე.
90. აქ მთა – ქედი
91. ხვლიკის სახეობა
92. რომის პატრიარქი (314-335)
93. ტექსტშია „თეთრყირმიზნი“ (თეთრწითელი)
94. სანმერთული – ტილოს შარვალი ან გრძელი საცვალი
95. რბილი უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი
96. ქოშის ტიპის ფეხსაცმელი
97. დათარილების ძველად არსებული სისტემა გულისხმობდა სამ ერას: ქვეყნის დასაბამიდან, ქრისტეს შობიდან და ქორონიკონს (ვახუშტის მიხედვით ქარ-

- თულს), რაც იყო მზისა და მთვარის მოქცევის 532 წლიანი ციკლი. ქართულ ტრადიციებში გავრცელებული იყო დასაბამიდან 5604 წლიანი და ბიზანტიური – 5508 წლიანი ერა (ვახუშტისთან ბერძნული)
98. ვახუშტისთან სიტყვა „მთა“ მოხმობილია „ქედის“ მნიშვნელობით. უზუსტობათა თავიდან აცილების მიზნით ვტოვებთ უცვლელად
  99. დღეს: ორბის ციხე
  100. დღეს: ფარავანი
  101. აირჩიეს
  102. ადარბადაგანი
  103. ვახუშტი და საერთოდ ქართული საისტორიო ქრონიკები ებრაული ეთნოსის აღსანიშნად სარგებლობენ ამ ეთნოსის ბიბლიური სახელწოდებით „ჰურია//ურია“. ამ თარგმანში გადმოგვაქვს თანამედროვე ტერმინით – ებრაელი
  104. საგურამო (დავით რექტორი, შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 53, სქ. 3)
  105. ამ დროს სპარსთა მეფე იყო დარიოს კოდომანი (დავით რექტორი, შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 54, სქ. 2)
  106. რკინის კომბალი
  107. „სხვა გამოკრებილ ქართლის ცხოვრებაში წერს 200 იტალიელი მხედრის ალექსანდრე მაკედონელისაგან აზონთან დატყვევებას“ (დავით რექტორი, იქვე, გვ. 56, სქ. 1)
  108. არგვეთი, დღევანდელ იმერეთში
  109. ჩრდ. კავკასიაში მოსახლე ტომი
  110. ზოროასტრიზმი ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა
  111. მოქცევა ანუ 532 წლიანი სრული ციკლი
  112. მამაცი
  113. საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ქვეყანას მოედო
  114. ვახუშტისავე შენიშვნაა: „აქ მოიქცა ქართული ქორონიკონი თერთმეტჯერ და მეთორმეტესი არის“ (შდრ. ყაუხჩიშვილი, გვ. 69, სქ. 1).
  115. ვახუშტისავე შენიშვნაა: „ამ ქასრემ შეიპყრო ვალერიაზე კეისარი. იქ ქასრეს სახელი საბურად წერია.“ (შდრ. ყაუხჩიშვილი, გვ. 71, სქ. 1)
  116. ვახუშტისეული შენიშვნა: „ეს მირიანი იყო ძე ქასრე სპარსთა მეფისა, საბურად წოდებულისა“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 71, სქ. 2)
  117. აქ: პატრიარქის მოადგილე
  118. ტაძრის მეთვალყურე
  119. ტერმინი გულისხმობს ფრანკებს – თანამედროვე ფრანგების წინაპრებს; ვახუშტისეულ ტერმინს ვტოვებთ უცვლელად

120. ვახუშტის კომენტარი: „გვიქრობ, ბრანჯების სამყოფელია ბარცალონა, რომელიც არიც ქალაქი ესპანეთის კატალონიაში, რადგანაც სახელები მსგავსია: „ბრანჯი“ ქართულად და „ბარცალონ“ მათებურად; ხოლო „პატალონსა“ და „კათალონს“ შორის ქართულად ერთი ასოა გამოცვლილი; იქვეა ღრმა მდინარე და პატალონის ანუ კათალონის ველი; ასევე იქ სახლობენ ბარლუზები, ანუ ქართულად ბრანჯები“ (შდრ. ყაუხჩიშვილი, გვ. 73, სქ. 1)
121. იგულისხმება, რომ იგი შეუდგა განდეგილობას
122. მიდიელთა
123. იგულისხმება ხელდასხმა
124. ვახუშტის შენიშვნა: „თუმცა ამ დროს კეისარი იყო კონსტანტინე დიდი, მაგრამ 306-311 წწ. რომის კეისარი იყო მაქსიმიანე, რომელიც ტანჯავდა რომს და ქალწულები და ქმრიანები თავისთან მიჰყავდა და ძალადობით ხრწნიდა, როგორც წერს ბარონია. ეს რიფსიმეც იმ დროს გამოიქცა რომიდან. მე ასე მგონია.“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 75, სქ. 1)
125. ვახუშტის შენიშვნა: „თრდატის მიერ ამათ წამებას ბარონია წერს 311 წელს, რაც მოწმობს აქ დაწერილ ქორონოკონებსა და სომხეთის მოქცევასაც, რომლებიც მოიქცნენ ქრისტესით 315 წელს.“ (იქვე, გვ. 76, სქ. 1)
126. შხამიანი ქვეწარმავალი
127. სხვა ქვეყანაში ყოფნა
128. ვახუშტისეული კომენტარი: „წმინდა გრიგოლ პართელიც არ იყო ფარულად სომეხთა ქვეყანაში; და ქადაგებდა ჯვარცმულ ქრისტესა და მის სახარებას.“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 79, სქ. 1)
129. „ეს თვალი ზღვისა და ცის ფერია, მოიპოვება ტავროსში, ევფრატის გასასვლელში“ (საბა)
130. აკაკიას ხე (საბა)
131. მალლა, ხეზე ასული ვაზი
132. სამთავროს ტაძარი
133. იგულისხმება იუდაური რწმენის საღვთისმსახურო ჩინი
134. ხიდან ნაჟური სურნელი
135. საკმეველი
136. ბიბლიური მღვდელთმთავარი
137. ლურსმანი
138. ტყავის მოსასხამი
139. წიწვოვანი ხის სახეობა-კვიპაროსი; ლიბანის ნაძვი ბიბლიური სახეა.
140. ბიზანტიის იმპერატორი, IV ს.

141. იგულისხმება უხილავი მტერი, ეშმაკი
142. ბენვის საფენი, რომელიც საჭიროა ლოცვის დროს მუხლის მოსაყრელად
143. ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნი.
144. ეკლიანი ბუჩქნარი
145. ელჩი
146. ხოსრო – ძლიერ; ხვარან ხოსრო – მეფეთ მეფე; შდრ.: „ქართლის ცხოვრება“, (ყაუხჩიშვილი, გვ. 430, 460).
147. თავსახურავი, გადასაფარებელი, დამცავი. ტექსტის მიხედვით, სვეტის საბურველად სწორედ ეკლესია მოიაზრება.
148. ვახუშტის კომენტარი: „ამას იმონმებს აღმოსავლეთის მატიანე, რომ ჯვარი ამ დროს გამოაჩინა ელენე დედოფალმა“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 89, სქ. 2); არსებობს ქრისტიანულ მწერლობაში ძალზე პოპულარული ჯვრის გამოჩინების საკითხავები
149. ხის, ფიცრის ბორკილი
150. ნებართვით
151. დღეს: ბოდბე
152. ვახუშტისთან: პეროჟ ავრისვანელი, შესაძლოა იყოს ხელნაწერის ცდომილებით გამოწვეული. აქ გასწორებულია ლეონტი მროველის მიხედვით. (შდრ. ყაუხჩიშვილი, გვ. 126)
153. აღავლინა ჟამისწირვა, ლიტურგია.
154. ვახუშტის კომენტარი: „ნინოს ქორონიკონი „ცხოვრებაში“ სხვა წერია. ამ ქორონიკონში არც კონსტანტინე იყო და არც სხვა. ხოლო რომ წერია 14 წელი ნინოს ქართლში ყოფნა, ეს 14 წელი მისი მოსვლის თარიღს რომ დავუმატოთ, ეს ქორონიკონი იქნება“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 94, სქ. 2)
155. ვარაზ-ბაქარი. ქართლის მეფე. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომისთვის დამახასიათებელია გვარ-სახელებისა და ტოპონიმების განსხვავებული დანერვილობა. აქაც და ყველგან, ავტორის სტილის ნათელსაყოფად, ვტოვებთ დედნისეულ წაკითხვას.
156. მაიუმი
157. შეესებული და გადამუშავებული აგიოგრაფიული თხზულება
158. ხელნაწერის აშიაზე: „ეს მეფე თეოდოსი დიდის დროს იყო და მისი ძე, წმინდა პეტრე – მცირე თეოდოსის დროს. ეს ასე რომ არ იყოს, მეორე ფარსმანამდე 200 წელი ბევრი იქნება და არც ვახტანგ გორგასლის დრო განსაზღვრება სწორად. კონსტანტინეპოლის I მსოფლიო კრება შედგა ქრისტეს აქეთ 380 [წელს], ვარაზ-ბაქარის მეფობის პირველ წელს. ვახუშტი“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 96, სქ. 1)

159. ვახუშტი ქართლის ნაცვლად ხშირად ხმარობს „საქართველოს“. აქ და ყველგან ვტოვებთ ავტორისეულ წაკითხვას.
160. მავედრებელი
161. ცეცხლთაყვანისმცემელთა სარიტუალო დანიშნულების ადგილი: „სადა მარადის ცეცხლი ეგზების, გინა ცეცხლთა ჭურჭელია“ (საბა).
162. მობიდანნი
163. ცეცხლთაყვანისმცემელი
164. ვახუშტისეული შენიშვნა: „ეფესის მსოფლიო კრება იყო ქრისტეშობის 430 წელს და არჩილის მეფობის მე-20 წელს. ვახუშტი“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 99, სქ. 1)
165. „ბავშვი, მცირეწლოვანი
166. „ბინქარანი, ცეცხლის-მსახურთა ეპისკოპოსი
167. „მიქაელ ეპისკოპოსი
168. „ვახუშტისეული მინაწერი: „ქალკედონური მსოფლიო კრება იყო ქრისტესით 451 წელს, ხოლო ვახტანგის მეფობის მე-5 წელს. ვახუშტი;“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ 100, სქ. 2)
169. ვახუშტისეული შენიშვნა; სტილი დაცულია: „ამ მიქელს წერენ (მოიხსენიებენ ნ. რ.) ქართლის მემატანიეები კათალიკოსად. ამ მიქელს მოსწერა პეტროს მკანვრელმა, როდესაც შეუერთა სომხეთი ხაჩე ჯვარს, რომელიც არის სამ-წმინდანობაში, რომელიც ჯვარს ეცვა ჩვენთვის [აქ ვახუშტი გულისხმობს „ხაჩეცარს, ანუ „ჯვარს ეცვი“. ეს სიტყვები პეტრე მკანვრელის ფორმულით სომხებმა ჩაამატეს „წმიდაო ღმერთოში“ და ვნება და ჯვარცმა წმინდა სამებას მიაწერეს. „ხაჩეცარი“ შემოიღეს V ს-ში. მოგვიანებით ეს სიტყვა იქცა სომხთა მწვალებლობის გამომხატველად. ნ. რ. ], რათა მასთან ერთად აღიაროს მისი მწვალებლობა. ხოლო მიხაელ-მიქელი წაეიდა და წაიყვანა თავისი რამდენიმე ეპისკოპოსი და მგ ზავრობისას იხილა ჩვენება, რომ ყველამ უბით აიღოს ქვები. და ასე გააკეთეს. როდესაც მივიდა მიქელი, დაინახა პეტროსი, რომელსაც გაეკეთებინა საფეხური და იქიდან გადმოეშვა სახელო, რომ ყველას თაყვანი ეცა; და ეგონა, რომ მიხაილიც თაყვანს სცემდა; მაგრამ მიქელმა სახელოზე მოქაჩა და გადმოაგდო საფეხურიდან პეტროსი; მან და მისმა მხლებლებმა დაუშინესა ქვები და მოკვდა პეტროსი. და მიქელი წამოვიდა მშვიდობით, რადგანაც ვერავინ ვერაფერი ავნო ამის გამო და მოვიდა მცხეთაში. და ამის შემდგომ დაიწყო სომხთა და ქართველთა შორის დავა სარწმუნოების გამო და განყოფა სჯულით. ვახუშტი.“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ 101, სქ. 1)
170. მხედარი არის ცხენოსანი, მკვირცხლი – ქვეითი ( დავით რექტორი; შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 102, სქ. 1)

171. ტესტშია ტერმინი „ტალი“, რომელსაც დავით რექტორი განმარტავს როგორც „ყარაულს“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 102, სქ. 3)
172. ახოვანი, ძლიერი, ორთამბრძოლი
173. მანძილი გაშლილ ხელისმტევანზე ცერიდან ნეკამდე.
174. მდინარის კლდოვანი ნაპირი.
175. საჩუქრად
176. აშიაზე: „ვფიქრობ, კაბადოკიას, რომელიც ახლა იწოდება ყაისარიად. ვახუშტი“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 105, სქ. 1).
177. აშიაზე: „ეს არის ჩვენება მეფე ვახტანგისა. ვრცლად მის ცხოვრებაში მოიძიე, რადგანაც სომხებსაც უნერიათ. ვახუშტი. ჩვენება ვახტანგისა ძილში ცრცლად ცხოვრებაშია.“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 105, სქ. 2)
178. ღვთის სასიამოვნო, მისი მოსანონი საქმე გაეკეთებინა
179. ვახუშტისეული ფორმაა. აქ და ყველგან დაცუულია ავტორისეული ნაკითხვა.
180. „ან ვიგრის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უხმობენ და ჴმელთა ცხოველიც არს. მისი ტყავი ეგრევე ძვალით მოლურსმულია“ (საბა)
181. სურნელება
182. იმედი
183. იგივე ურფა, ისტ. შუამდინარეთი, ამჟამად თურქეთი
184. აშიაზე: „ეს ეპისკოპოსი იგივე მიქელია, რომელმაც საღვთი წერილით აღზარდა ვახტანგი და ამიტომაც გაკადნიერდა ასე. ვახუშტი“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 113, სქ. 1)
185. ფეხსაცმლის ქუსლი: „ფანდაკი არის მაშისა და მოგვის (ჩექმის ნ. ჩ.) ქუსლი. დავით რექტორი“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, იქვე, სქ. 2)
186. განდევნა, გადასახლება
187. საქართველო; ავტორის სტილის დასაცავად ვტოვებთ უცვლელად
188. აშიაზე: „საქართველოს კათალიკოსის გათავისუფლება ანტიოქიისგან“ (შდრ. ყაუხჩიშვილი, გვ. 117, სქ. 1)
189. დედანში სიტყვა-სიტყვით წერია: „რადგან არ იცნობდნენ ერთმანეთის ენებს“.
190. ვარსკენ პიტიახში ქვემო ქართლისა
191. აქ და ყველგან ავტორისეული ფორებია: „კურადპალატი“, „კუროპალატი“, „კურადპალატობა“
192. აშიაზე: „ამ დროს ენამა აბიბოს ნეკრესელი“ (ვახუშტი. შდრ.: ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 119. სქ. 1)
193. ციხე-სიმაგრე

194. ქრისტიანულ ქვეყნებში წელთაღრიცხვის 15-წლიან ციკლში წლის რიგითი ნომრის სახელწოდება. ბიზანტიის იმპერიაში ინდიქტიონი შემოიღო კონსტანტინე დიდმა (312/313 წწ. – 1-ლი ინდიქტიონი).
195. აშიაზე: „ამ ბაგრატიონთა დავითიან-ბაგრატიონობა და წარმომავლობა როგორცა ან ქართლში მოსვლა სამცხის აღწერაში წაიკითხე, რადგანაც პირველად იქ მოვიდნენ.“ (ვახუშტი. შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 120, სქ. 1)
196. აშიაზე: „ამ დროს დაიწყო დავა ქართველთა და სომხთა შორის სარწმუნოების გამო. ხოლო კირიონ, ანუ სვიმეონ კათალიკოსმა ქართლისა განდევნა ცურტავის ეპისკოპოსი შუშანიკის საფლავიდან სომხთა მწვალებლობის გამო; და გაღრმავდა განხეთქილება. ხოლო ჰერეთი სომხთა მწვალებლობისკენ გადაიხარა. ასე წერენ ქართული ეკლესიის მემატრიანები“ (ვახუშტი. შდრ.: იქვე, სქ. 2)
197. აშიაზე: „ამ დროს აწამეს ქრისტესთვის ესტატე მცხეთელი, სამოელის კათალიკოსობისას (ვახუშტი. შდრ.: იქვე, გვ. 121, სქ. 1)
198. ოქროს ფული
199. აშიაზე: „ჩვენი მემატრიანები ქართლისა წერენ ეკლესიის ძველ მატრიანეს ბაგრატიონთა შესახებ, რომ, როგორც კი წაართვეს ბერძნებმა სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი და ეგრისის მდინარის იქითა [მხარე], კეისრის გაბრუნების შემდგომ მოვიდნენ ბერძნები და აღწერეს სრულიად იბერია, ანუ საქართველო.“ (ვახუშტი; შდრ. იქვე, გვ. 122, სქ. 1)
200. აშიაზე: „ბარონია წერს მაჰმადის გამოჩენას ქორონიკონის წელს და მეფობას 10 წელს და სიკვდილს ქ“ლ 630 წელს. ხოლო აბუბექირას მეფობას 3 წელს“ (ვახუშტი; იქვე, გვ. 123, სქ. 1)
201. აშიაზე: „კოსტანტინეპოლის მეხუთე მსოფლიო კრება იყო 681 წელს და არჩილის მეფობის მე-13 წელს.“ (ვახუშტი, იქვე, გვ. 125, სქ. 1)
202. აქ ვახუშტი ბაგრატიონი გულისხმობს საერთისთავო მამულის სამეფო საყმოსთვის მიკუთვნებას.
203. აქ: სასახლის წევრები, ქვეშევრდომები
204. დედანში: ძის-ძის ძის ასული (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 127, სტრ. 19)
205. დედანში; ზღვის-გარეთი (შდრ.: იქვე, სტრ. 24)
206. აშიაზე: „აქ ქართული ქორონიკონი 12-ჯერ მოიქცა და 13-ის 6 წელი გასულიყო (ვახუშტი; შდრ. იქვე, სქ. 2)
207. დედნის აშიაზე: „ხოლო გუარამ კურაპალატიდან აშოკ კურაპალატამდე როგორ იყვნენ ბაგრატიონები, სამცხის აღწერაში წაიკითხე“ (ვახუშტი, იქვე, გვ. 128, სქ. 1)

208. აშიაზე: „ამ ამირამ ანამა ქრისტესთვის აბო თბილისში“ (ვახუშტი, იქვე, გვ. 128, სქ. 3)
209. მეფის მონაცვლე (საბა)
210. „ამ ბულამ შეიპყრო კონსტანტინე ქართველი და გაგზავნა ბაღდადში ჯაფარ ამირა მუმლის წინაშე და მან ანამა იგი ქრისტესთვის 850 წელს, როგორც გვაუწყებს მეტაფრასი (წმინდა მონამისადმი მიძღვნილი გადამუშავებული და შევსებული თხზულება. ნ. ჩ.) მისი“ (ვახუშტი, შდრ. ; იქვე, გვ. 130, სქ. 1)
211. აშიაზე: „ილარიონ ქართველი გარდაიცვალა ქრისტესით 882, ქართლით 102 [წელს]“ (ვახუშტი; შდრ.: იქვე, გვ. 132, სქ. 1)
212. ამის გასწვრივ აშიაზე წერია: „იოვანე, მამა ეფთიმესი, მთარგმნელი ჩვენი წიგნებისა, რომელიც იყო ტაოს ქვეყნიდან, ამ დროს იყო,“ (ვახუშტი, იქვე, გვ. 137, სქ. 1)
213. შენიშვნაში წერია: „დასაბამიდან 6496, ქორონიკონს 988, მეცამეტე მოქცევისას ანუ 988 წ. მოიქცა ვლადიმერ მეფე რუსთა სრულიად დიდი რუსეთიდან“ (ვახუშტი, იქვე, გვ. 137, სქ. 2)
214. მეფე ბაგრატ III და მამამისი გურგენი (980-1008) (იქვე, გვ. 137, სქ. 3)
215. აშიაზე: „მაგისტრო რომაულია, მოძღვარი ან ოსტატი“ (დავით რექტორი; შდრ. ; ყაუხჩიშვილი, გვ. 140, სქ. 1)
216. [დავით კურაპალატის] „დროს იყო იოანე, მამა ეფთიმესი, მთარგმნელისა ჩვენი წიგნებისა, რომელიც [წარმოშობით] იყო ტაოს ქვეყნიდან“ (ვახუშტი; იქვე, სქ. 2)
217. აქ და ყველგან ქართლელის აღმნიშვნელად ვახუშტი წერს ქართველს.
218. აშიაზე: „წერენ ასევე ეკლესიის მემატრიანები, ამ ბაგრატ მეფესთან მოვიდა სომეხთა წინაძღვარი და რჯულის მეცნიერი მათი, რომელსაც ეწოდა სოსთენი, საქადაგებლად, რათა დაერწმუნებინა მათს (სომხთა ნ. ჩ.) მწვალებლობაში ქართველები. მას ვერავინ აღუდგა წინ. მაშინ გაიკითხა მეფემ და მოიყვანა ხახულის მთავარეპისკოპოსთან მყოფი ეფთიმე გრძელი. ეს აღუდგა წინ სოსთენს და შეარცხვინა სამწმინდა არსებისა (წმ. სამების ნ. ჩ.) და ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ წერილით (წმ. წერილით ნ. ჩ.) ისე, რომ ვერ შეუბრუნა სოსთენმა სიტყვა. და გაბრუნდა სოსთენი შერცხვენილი თავისთან“. დავით რექტორის დამატება: „ამაზე უკეთ ეფთიმესა და სოსთენის ერთმანეთთან კამათი თუ გსურს [გაიგო], როგორ იყო, წაიკითხე იმარგალიტიდან“ გამოკრებილი ნაწერი და იქიპოვი მთელ ამბავს ვრცლად, თუ როგორ დაადგუმა სოსთენი ეფთიმე გრძელმა ხახულელმა. დავით რექტორი“ (შდრ.: ყაუხჩიშვილი, გვ. 141, სქ. 1)

219. ბერძნული ტერმინის შესატყვისად: წინამძღოლი; სულხან-საბასეული განმარტებით: სატყუარა თუ მატყუარა (საბა) (შდრ.: ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 143, სქ. 1, გვ. 932)
220. აშიაზე: „წმინდა ეფთვიმე მიიცვალა ქრისტესით 1028, ქართულით 248 [წელს]“ (ვახუშტი; იქვე, გვ. 144, სქ. 1)
221. აშიაზე: „ამას მოწმობს გიორგო მთანმინდლის ცხოვრება, კეისრის მიერ ქალის მიცემას, რადგანაც იყო გიორგი მთანმინდელიც ლონსტანტინეპოლში (იქვე, გვ. 144, სქ. 2)
222. კონსტანტინე VIII გარდაიცვალა 1028 წელს. 1028-1034 წლებში მეფობდა რომანოზ III არგიროსი. რომანოზის ცოლია კონსტანტინე VIII-ის ასული ზოია (იქვე, სქ. 3)
223. მაღალი საკარისკაცო ტიტული ბიზანტიის კარზე (შდრ. ; ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 929)
224. ლოდის სასროლი მანქანა; დავით რექტორის განმარტებით, საალყო კარვები (შდრ. იქვე, გვ. 146, სქ. 1)
225. თბილისის ციხე-სიმაგრე
226. აშიაზე: ამას მოწმობს ბერძნული ქრონოლოგია, როდესაც ბაგრატ მეფე აფხაზეთიდან კონსტანტინეპოლში ჩავიდა“ (შდრ. იქვე, გვ. 148, სქ. 1)
227. საუბარია ბაგრატ IV-ის ასულ მართაზე, რომელიც მიათხოვეს ბიზანტიის კეისარ მიხეილ VII პარაპინაკს და რომელსაც ეწოდა მარიამი. (შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 150, სქ. 1)
228. აშიაზე: „გარდაიცვალა გიორგი მთანმინდელი კონსტანტინეპოლში ქრისტესით 1066, ქართულით 286 [წელს].“ (შდრ.: იქვე, სქ. 2)
229. მიიღო მუსლიმური რელიგია
230. აშიაზე: ისარანგი არის რამდენიმე კეთილის უფროსი, რომ მათგან შეშინდნენ ბოროტი ადამიანები. დავით რექტორი. იქვე: „სარანგი არის რამდენიმე კაცის უფროსი, რათა მათი მეშვეობით გუნდი და გუნდი [ადამიანებისა] სწორად დადიოდეს და ბოროტი კაცები შეშინდნენ. პეტრე ყარიბი“ (ყაუხჩიშვილი, გვ. 151, სქ. 2)
231. სიტყვის განმარტება არ იძებნება.
232. აშიაზე: „სევასტოსი ბერძნულია, ხოლო ქართულად თაყვანის საცემელი - ასე ითქმის“ (დავით რექტორი, იქვე, გვ. 152, სქ. 3)
233. ბაღვაში – ერთი გამოუქვეყნებელი სტატიის მიხედვით (რ. ჩაგუნავა) ბაღვაში საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ ადამიანის თვისება (უარყოფითი). დ. ჩუბინაშვილს ქართულ-რუსულ ლექსიკონში შეტანილი აქვს: ბაღვა – გგლეჯ; მიბაღვა – დამწყევლა; დამქოლა; проклял меня.

234. ქორონიკონი – წელთაღრიცხვის ქრისტიანული სისტემა, რომელიც ემყარება სამყაროს გაჩენიდან წლებისა (ბიზანტიურით – 5508; ალექსანდრიულით – 5492; ქართულით 5604 წელი და ა. შ.) და 532 წლიანი პასქალური ციკლის საფუძველზე მიღებულ კომბინაციას (მაგ. ქართულით 323 ქორონიკონი უდრის: 780 არის 532-წლიანი ციკლის 12 მოქცევა. მას ემატება 323 = 1103 წ.) ქორონიკონის ასეთ სისტემას ეწოდება „დიდი ინდიქტიონი“. არსებობს „მცირე ინდიქტიონის“ სისტემაც, რომელიც ემყარება 15-წლიან ციკლს.
235. „სახლნი ღვთისანი ქვაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“ – არის პერიფრაზი სახარების ადგილისა: „...სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა...“ (მათე, 21, 13).
236. „ქმნა კრება“ – იგულისხმება დავით აღმაშენებელის ბრძანებით 1105 წ. მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (ვახუშტის დათარიღებით 1103 წ.)
237. შედეგებული (სისხლი) – ასეა თარგმნილი ტექსტის „შეყენებული“ (გვ. 157; 165)
238. ტაძრული – „ტაძარი“ მოცემულ კონტექსტში ნიშნავს „სასახლეს“, სამეფო კარს. ხოლო „ტაძრული“ – მეფის სასახლის მსახურნი იგულისხმება მეფის ზატმცველნი და გვარდიაც
239. ზატიკი – „ზატიკი გარდაიხადა“, შესაძლოა, საუბარი იყოს აღდგომის კრავის შეწირვის დღესასწაულს, შეს. 6, 8
240. ვახტანგი – დავით აღმაშენებელის უმცროსი ვაჟი მეუღლე გურანდუხტისაგან. დავითის მეორე ანდერძში (1125 წ.), როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის მიჩნეული, ვახტანგი „ცვატას“ ზედწოდებით იხსენიება, მცდარია. „ცვატა“ მცირეს, ცოტას აღნიშნავს (ე. გაბიძაშვილი, ძეგლები, IV, გვ. 280-283)
241. „უცნაურად გარდმოფრინდა“ – ჰიპერბოლა, რომელიც გულისხმობს „გაუგონარ სისწრაფეს“
242. პირმარხვა – დიდი მარხვის პირველი დღე
243. მხარი – სიგრძის საზომი ერთეული, უდრის დაახლ. 1 მეტრსა და 80 სანტიმეტრს („ოთხი წყრთა ერთი მჯარი არს“ – საბა. წყრთა დაახ. 45 სანტიმეტრია)
244. „შეიღებეს სახე და ხელები“ – ეს მაჰმადიანთა გლოვის წესი უნდა იყოს.
245. „თავს დაესხა ბაბურს დარუბანდს“ – ასეა ვახუშტისთან. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან – „...და აპრილსა დაესხნეს შაბურანს დარუბანდელსა (ქ. ცხ. I, 944, 12, თუმცა სქოლიოში ჩატანილია რამდენიმე ხელნაწერის ჩვენება – „ბაბურანს“)
246. „ისწრაფა და...“ – ასე ვთარგმნეთ „ალიმსთო“ (საბასთან „აღრე ასწრაფება“)

247. მიზგითი (არაბ.) – მაჰმადიანთა სალოცავი, იგივე მეჩეთი.
248. სპასალარი – მხედართმთავარი. „სპარსულია, ქართულად სპასპეტი ჰქვიან“ – საბა
249. მანდატურთუხუცესი – სამეფო კარის მოხელე, მანდატურთა (პოლიციელთა) უფროსი
250. მეჭურჭლეთუხუცესი – სამეფო კარის მოხელე სახელმწიფო ხაზინისა და ქონების განმკარგველი
251. ჩუნჩერახი – ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ წერს: „ჩუნჩერახისათჳს: ჩუნჩერახი, ამის ჴელისა იყო: მზარეულთუხუცესნი, მეპურენი, მერწყულნი, მგოსანნი, მემწყობრენი ბუკ-ტაბლაკთა და სხუათა მცემელნი ( ქ. ც. IV, გვ. 22), რასაც კონკრეტულობა აკლია. ეს ტერმინი, ოღონდ „ჩუნჩერახი“ ფორმით საბასთან განმარტებულია – „დიდი რამ კარის მოხელე“, ხოლო კ. კეკელიძის მიერ – „მეფის მცველი“. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში – „მზარეულთუხუცესი“ (кухмейстер)
252. ამილახორი (სპ.) – სამეფო კარის მოხელე, მეჯინიბეთა (ცხენის მომვლელი) უფროსი. აქედან მომდინარეობს ქართული გვარი „ამილახვარი“
253. სილოდა – „მთვრალის ღლაბუცი“ (საბა). მთვრალთა აურზაური, დებოში
254. ზერდაგი – ტექსტშია: „შეჯდა მეფე ზერდაგსა“. საბასთან – „ყვითელ-შავი“, ხოლო დ. ჩუბინაშვილთან – „ჩალისფერი ცხენი“ (буланая лошадь)
255. შეგება – „ჯორ-აქლემ-ცხენ ტკირთულთა, რომლისა არა იყო შეგება“. ამ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს „სათვალავს“. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით – сметка
256. „მუყრთა ნილ რეკეს ძელთა“ – ვთარგმნეთ: „მოლათა [ყვილის] ნაცვლად შემოკრეს ზარი“
257. აზანი (არაბ.) – მაჰმადიანთა მოწოდება სალოცავად
258. აიდი – მაჰმადიანთა დღესასწაული, მთვარის აღვსების წინა დღეს
259. ჯალალდინი – ტექსტში ყოველთვის ასეა, ამიტომ არ გადმოვიტანეთ „ჯალალედინ“ ფორმით (როგორც მიღებულია დღეს)
260. ადარბაგანი – ტექსტში უფრო ხშირად გვხვდება „ადარბაგანი“, ხოლო „ჟამთაღმწერელთან მხოლოდ – „ადარბადაგანი“
261. შეუფერებელი – ასე ვთარგმნეთ „უგვანო“
262. მემაშიობა (არაბ.) – ტექსტში ვკითხულობთ: „ხოლო ივერიელთა პატივსცა ყეენმან უგვანითა პატივითა, ვიეთთა მემაშიობა, ზოგთა მშკლდის-მტკრთველობა – და ესრეთ ყოველთა“. საბას ლექსიკონში განმარტებულია

- „მაშია – ფერწესაცმელია”. უფრო ზუსტი უნდა იყოს დ. ჩუბინაშვილი – „მე-  
მაშიე – მეფის მაშიების მცველი”, რაც ვახუშტის კომენტარით „უგვანი” ე. ი.  
შეუფერებელი, დამამცირებელი პატივია”
263. ბედიელი – ბედიის (აფხაზეთში) ეპისკოპოსის პატივი
264. ხვამლის გამოქვაბული – დასავლეთ საქართველოს სამეფო საგანძურის  
სახიზარი ხვამლის მთის (ლენჩხუმში) გამოქვაბულში
265. ბადინი – ჟამთაღმწერელის” შესატყვის ტექსტში: „მოეგებნეს ყოველნი მთა-  
ვარნი და ერისმთავნი საქართველოსანი და შადინი ვინმე ნათესავით სომეხი”  
(ქ. ც. II, გვ. 244, 20). ე. ი. ვახუშტისთან „ბადინი” შეცდომაა („ბ” და „შ”-ს აღ-  
რევა)
266. სიბა – „თეთრის წყლის პირსა ზედა შეკრა სიბა, ჰგინებდეს გამოსლვასა  
ბერქა ყენისასა” (გვ. 223, 2); მეორეგან: „გარნა ამათ შეკრეს ღობე თეთრსა  
წყალსა ზედა” (გვ. 223, 11). ამ ორი მაგალითის მიხედვით სიბა უნდა ეწოდებ-  
ოდეს ჯვბირის მსგავს ნაგებობა-სარტყელს, აშენებულს მდინარის პირას  
მტრის შემოტევის მოსაგერიებლად. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: „ფერდე-  
ბის გარშემო წელი, შემოსაკრავი სარტყელისა, поясница“
267. საბდივანი – აშიაზე დავით რექტორის განმარტება: „ვჰგონებ იყოს ლექსი  
(სიტყვა) სპარსული: საბ – პატრონი, დივანი – სამართალი, ე. ი. სამართლის  
პატრონობა” (გვ. 227, სქ.)
268. აქიტობელი – ბიბლიური დავით მეფის მრჩეველი (ნეშტ. 27, 33; (II მეფეთა  
15, 12, 1)
269. კუდიანი ვარსკვლავი – კომეტა
270. მთიები – ცისკრის ვარსკვლავი
271. სუნიტი – მუსლიმური მიმდინარეობის – სუნიზმის მიმდევარი, რომელიც  
ყურანთან ერთად სუნასაც („წმინდა თქმულება”) აღიარებს (შიიტები, სუნას  
უარყოფენ)
272. კირმანაული – ფულის ერთეული („სამი კირმანაული, რომელი არს ექუსი  
შაური” – გვ. 284, 4), რომელიც ასე იშიფრება: „კირ-უფალი (ბერძ.) და მანუ-  
ილ” – ტრაპიზონის მეფის (1238-1263 წწ.) სახელი
273. ადრიბეჟანი – ტექსტში გვხვდება ერთჯერ, უფრო ხშირად – „ადრბაგანი”,  
იშვიათად ადარბაგანი” (ჟამთაღმწერელთან ყოველთვის „ადარბაგანი”)
274. „დევალ” – ვახუშტი წერს: „დევალ მოვიდა, ქართლი და სამცხე მოსტყუნა...”  
(გვ. 301, 14); მეორეგან: „...ვინითგან იხილა შეავება სამცხისა შაჰ-ისმაილის  
დევალისაგან” (გვ. 816, 21). ორივეგან ეს სიტყვა უკავშირდება შაჰ-ისმაილს.  
ხომ არ არის ეს მისი ზენოდება? სხვაგან ეს სიტყვა არ გვხვდება

275. კონი, ფაცერი, ოჩხი – თევზის მდინარეში დაჭერის საშუალებები
276. ქივარტერი (სომხ.) – „სულიერი მამა“. მ. ბროსეს აზრით სწორი ფორმაა „ქევორტერი“
277. ყაზანჩი იყო მცირე ქალაქი – ეს ფრაზა სრულიად უადგილოდ არის ჩართული აბოცის ანუ ყაიყულის აღწერაში” (გვ. 313, 22-23)
278. კირსაგალი – კირშერეული ბალახი (საგალი – ბალახია), თევზისათვის სანამლავი
279. ლულუფარი – წვრილი თევზის სახეობა
280. კარკალი – კლდე; „დიდი ქვების ნაყარი“ (საბა)
281. დარანი – გამოქვაბული; გვირაბი
282. თუთუბო – „ბალახი სამყი“ (საბა); сүмох, кожевное дерево – მ. ჯანაშვილი
283. საპასპეტო – სპასპეტის (მხედართმთავრის) სამფლობელო. უნდა უდრიდეს ისტორიოგრაფიაში მიღებულ ტერმინს – „სადროშო“
284. კიმოთემანი – იგივე ტიმოთესუბანი//კიმოთესუბანი (ნალვერთან)
285. ზეზი – ოქრომკერდით ქსოვილი
286. ჯლარდლი – „მცენარე შიშხინა“ (Волчая ягода) – დ. ჩუბინაშვილი
287. კსანი – „მდინარე ესე არს მდინარეთა ერთი კსანი“. „ქსანი ერთი თუხტი ან სტილი (თუხტი – ერთი სტილი, რომელა 33<sup>1/2</sup> მისხალი“) – დ. ჩუბინაშვილი
288. მერსენი – მთის თხილი. მურტი. მიწის ძახველა (калина) – დ. ჩუბინაშვილი
289. უშენობო – აქ: დაუსახლებელი

